

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის



შრომები

Т Р У Д Ы

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
ИМЕНИ СТАЛИНА

TRAVAUX

DE L'UNIVERSITÉ
STALINE
à TBILISSI (Tiflis)

XXVI

სერია B

კვანისძეაძის გამომცემლობა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
Издательство Тбилисского государственного университета им. Сталина

თ ბ ი ლ ი ს ი

1944

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის



შრომები

Т Р У Д Ы

TRAVAUX


ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
ИМЕНИ СТАЛИНА

DE L'UNIVERSITÉ
STALINE
à TBILISSI (Tiflis)

XXVI

სერია B

ვხანისგარეული მხარეკაგანი



სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
Издательство Тбилисского государственного университета им. Сталина

თ ბ ი ლ ი ს ი

1944

შ ი ნ ა ა რ ს ი

სამბართლის გეცნიერება 83:

1. ა. ვაჩეიშვილი, ვახტანგ VI-ის კანონმდებლობის ზოგიერთი საკითხი 1

კოლიტიკური ეპოქონოგია

2. ს. ბერაძე, კ. მარქსის „კაპიტალის“ ისტორიული მნიშვნელობა . . . 57
3. ნ. ქოიავა, ფულის სისტემათა ინტერნაციონალიზაციის საკითხისათვის 73

ისტორია

4. გ. გოზალიშვილი, ბიზანტიისა და ირანს შორის ბრძოლა იბერი-
ლაზიკისთვის VI საუკუნეში 87
5. გ. ნათაძე, დავის თეორიის კრიტიკა და თანამედროვე ფაზიზმი . 159

ლიტერატურის ისტორია

6. ლ. მელიქსეთ-ბეგი, სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერ-
თობის იშვიათი ძეგლი 191


ფილოლოგია

7. მ. ბერძნიშვილი, ლეონდის ცნობა ფოთის შესახებ 201
8. ილ. აბულაძე, ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან 225

ენათმეცნიერება

9. არნ. ჩიქობავა, სტრუქტურალიზმი, როგორც თანამედროვე ენათ-
მეცნიერების მიმდინარეობა 231

დაიბეჭდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამეცნიერო საბჭოს განკარგულებით




პასუხისმგებელი რედაქტორი აკად. ალ. ჯანელიძე

ხელმოწ. დასაბ. 8/VIII 1944 წ.
ტირაჟი 300
ში 06914

ანაწყოების ზომა 7×11
სისტ. ფორმათა რაოდ 15,5
სტამბის შეკვ. № 46

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის განყოფილება



СОДЕРЖАНИЕ

| | стр. |
|--|------|
| 1. А. Вачейшвили, Некоторые вопросы законодательства Вахтанга VI | 1 |
| 2. С. Берадзе, Историческое значение „Капитала“ К. Маркса | 57 |
| 3. Н. Койава, К вопросу об интернационализации денежных систем | 73 |
| 4. Г. Гозалишвили, Борьба между Византией и Ираном из-за Иверии-Лазики в VI веке | 87 |
| 5. Г. Натадзе, Критика теории Дюпша и современный фашизм | 159 |
| 6. Л. Меликсет-бек, Редкий памятник армяно-грузинских литературных связей | 191 |
| 7. М. Бердзнишвили, Сообщение Гевонда о Поти | 201 |
| 8. Илья Абуладзе, Из лексики «Вепхист-тқаосани» | 225 |
| 9. Арн. Чикобава, Структурализм как течение современной лингвистики на Западе | 231 |

SOMMAIRE

| | |
|--|-----|
| 1. A. Vatchéichvili, Quelques problèmes de la législation de Vakhtang VI | 1 |
| 2. S. Béradzé, Importance historique du «Kapital» de K. Marx | 57 |
| 3. N. Koiava, Sur la question d'internationalisation des systèmes monétaires | 73 |
| 4. G. Gozalichvili, La lutte entre Byzance et Perse pour l'Ibérie-Lazique en VI siècle | 87 |
| 5. G. Nathadzé, Critique de la théorie de Dopsch et le fascisme contemporain | 159 |
| 6. L. Mélikset-Bég, Un monument rare des relations littéraires arméno-géorgiennes | 191 |
| 7. M. Bérdsnichvili, Renseignement de Ghévoud à propos de Phothi | 201 |
| 8. Él. Abouladzé, Sur le lexique du «Preux à la Peau de Tigre» | 225 |
| 9. Arn. Tchikobava, Le structuralisme comme une école de la linguistique contemporaine | 231 |

ბ. ბაჩიშვილი

გახტავს VI-ის კანონმდებლობის ზოგადი საკითხი

I

როგორც ეროვნული კულტურის სხვა მხარეებს, ქართული სამართლის ცხოვრებასაც თავისი მდიდარი და რთული ისტორია აქვს; სამართლის დარგშიც ქართველმა ხალხმა თავისი მრავალსაუკუნეებრივი ისტორიის მანძილზე გამოიჩინა შემოქმედებითი უნარი და შექმნა საკანონმდებლო ძეგლები, რომელთაგან, სამწუხაროდ, ჩვენს დრომდის მხოლოდ ზოგიერთია მოაღწია. სამართლის განვითარება სახელმწიფო ორგანიზაციის ზრდასთან არის დაკავშირებული; როდესაც საქართველოში სახელმწიფო ძლიერდება, და განმტკიცების გზაზეა დამდგარი, ცენტრალური ხელისუფლება იმორჩილებს გმ ძალებს, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა პროვინციების გაერთიანებას ეწინააღმდეგებიან; იგი ცდილობს ერთ მთლიან პოლიტიკურ სხეულად გარდაქმნას ქვეყნის ცალკეული ნაწილები, რომლებიც ბუნებრივად ყოველთვის იჩენენ დამოუკიდებლობის მიწვევას. პოლიტიკური გაერთიანების ხანა წარმოადგენს ნაყოფიერ ნიადაგს, რომელზედაც იფურჩქნება ეროვნული კულტურა. ეს პერიოდი ჰქმნის ხელსაყრელ პირობებს ქვეყნის კულტურული აყვავებისათვის, რომლის შესანიშნავ ნიმუშს ლიტერატურის დარგში იძლევა რუსთაველის გენიალური პოემა, ხოლო ფილოსოფიის დარგში პეტრიწის ფილოსოფიური ნაშრომები. სავსებით ვასაგებია, რომ ამეფე პერიოდში გაცხოველებულ მუშაობას უნდა ჰქონოდა ადგილი სამართლის დარგშიც, და, მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ X—XI ს.ს. გამოჩენილი მოღვაწე ექვთიმე მთაწმინდელი სთარგმნის ბიზანტიის საკანონმდებლო ძეგლებს, რომლებიც საეკლესიო ცხოვრებაში მოქმედ სამართლად იყო მიჩნეული. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ დასავლეთ ევროპის კანონიკური სამართლის მსგავსად ქართული ეკლესიის იურიდიულ ნორმებს ძლიერი გავლენა ჰქონდათ საერო სამართალზე, ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ ზოგიერთი საერო სამართლის ინსტიტუტის წყარო საეკლესიო კანონმდებლობაში უნდა ვეძიოთ; არ უნდა დაფიქვსოთ ისიც, რომ აღნიშნულ პერიოდში შეტად ფართო იყო საეკლესიო სასამართლოების იურიდიქცია; მას ექვემდებარებოდა ისეთი საქმეები, რომლებიც შემდგომ საუკუნეებში საერო სასამართლოების ხელში გადავიდა და მათი უომპეტენტის ფარგლებში იყო მოქცეული. აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით; ქართული საეკლესიო სამართლის მოქმედების ასპარეზი



მართო წმინდა საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებით არ განისაზღვრეს არამედ გაცილებით უფრო ფართო დანიშნულება და სარბიელი ჰქონდა.

საეკლესიო სამართლის ძეგლების გზით არის შემოსული ქართულ სამართალში სხვადასხვა იურიდიული ცნება; ამ მხრივ, საქართველო, რასაკვირველია, გამონაკლისს არ წარმოადგენს, რადგან იმავე მოვლენას ადგილი აქვს დასავლეთ ევროპის ხალხთა იურიდიულ ცხოვრებაში და აგრეთვე რუსული სამართლის ისტორიაშიც.

დანაშაულის სუბიექტური ელემენტების დამუშავება, მათი ზუსტი შესწავლა და ანალიზი იმ სახით, რომლითაც ეს მოცემულია ექვთიმეს მიერ თარგმნილ „სჯულის კანონში“ (ნომოკანონში), უცილობელად იურიდიული აზროვნების დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს; აქ უკვე გარკვეულად არის განსხვავებული ბრალის ფორმები—განზრახვა და გაუფრთხილებლობა—და ამ განსხვავების უკანასკნელი ფესვები, ჩვენის აზრით, რომის სამართალში შეიძლება იქნას აღმოჩენილი. ეს სუბიექტური შერაცხვის საწყისი, ერთხელ შეთვისებული, ჟამთა სივრცე ვადაურჩა, და XVIII საუკუნემდე მოადრწია; ისტორიულ მსგელოებაში საქართველო ხშირად დიდ გაჭირვებასა და საშიშროებას განიცდიდა, უფოდალური ძალების თვითნებური თარგმის და გარეშე მტრების შემოსევის შედეგად იგი ხშირად სიკვდილის პირზე იყო მიყვანილი, მისი სახელმწიფოებრივი სხეული დაქუცმაცებული იყო, ცალკეულ დამოუკიდებელ ნაწილებად; კულტურული აღმავლობისა და განვითარების ხანა დაქვეითებით და შემოკლებების თითქმის სრული ჩაქრობით იცვლებოდა, ხალხის არსებობა განსაცდელში იყო ჩაყენებული, მაგრამ ზემოთ აღნიშნული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტური საწყისი ეროვნული ცნობიერებიდან, მაინც არ გამქრალა. მიუხედავად თავისი ისტორიული ბედის ცვალებადობისა, ქართველმა ერმა შესძლო ამ საწყისის დაცვა და შენარჩუნება; XVIII ს. დამლევს ვახტანგ VI გარკვევით აღიარებს მას და შეაქვს იგი თავის სამართლის წიგნში.

ამავე დროს საყურადღებოა ის, რომ ქართული სამართალი იცნობს ორ ინსტიტუტს, რომელიც განვითარებული სამართლის ბუნებას არ შეესაბამება და უძველესი წესების ნაშთს წარმოადგენს; ესაა ოჯახის სისხლის სამართლის წესით სოლიდარული პასუხისმგებლობა და „კომპოზიციების“ ანუ, ჩვენი წყაროების ტერმინოლოგიით რომ ვილაპარაკოთ, „სისხლის დაურეების“ სისტემა.

კომპოზიციების სისტემა ქართული სამართლის ისტორიის სხვადასხვა საფეხურზე გვხვდება: მას ჩვენ ვნახულობთ XIV და XV საუკ. იურიდიულ ძეგლებში: გიორგი V ძეგლის დადებაში და ბექა-ალბუღას კანონებში; მასვე იც-

¹ აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ქართული საეკლესიო სამართალი უფრო რომის კათოლიკეთა რელიგიის Corpus juris canonici-ს მიაჯავს, ვიდრე აღმოსავლეთის ეკლესიის, ბერძენთა და რუსთა საეკლესიო სამართალს“ (ქართული სამართლის ისტორია, 1928, ტ. I, 18). აკად. ივ. ჯავახიშვილი გამოთქვამს აზრს, რომ „ქართული კანონიკური მწერლობის დასაწყისად არამეტო XI ს. მიჩნევა არ შეიძლება, არამედ ამ დარგის მწერლობის პირველი ძეგლები უკვე ხანმეტობის ხანაში ყოფილა“ (იქვე, გვ. 28). აკად. კ. ქეკელიძე არ ეთანხმება ამ აზრს; უკანასკნელის შეხედულებით, ქართული საეკლესიო იურიდიული მწერლობა მეთექვსმეტის საუკუნის გასვლიდან უნდა დაიწყოს (ქართული ლიტერატურის ისტორია, 1941, ტ. I, გვ. 515).



ნობს ვახტანგ VI სამართლას წიგნი (XVIII ს.), უფრო აღრინდულნი იგივე სისტემა გვხვდება; ამას ადასტურებს ბავრატ კურაპალატის კანონების ნაწილიც, სადაც მთელი რიგი მუხლები „სისხლის დაურევებაზე“ ლაპარაკობენ. სრულიად ბუნებრივია, რომ უძველეს სამართალში „დაურევების“ წესი უფრო მეტი მოცულობით იქნებოდა შემოღებული, ვინაიდან იმ შორეულ პერიოდში სახელმწიფო ხელისუფლება ჯერ კიდევ თავისი განვითარების პირველ საფეხურზე იმყოფებოდა; ბავრატ III-ის, დავით აღმაშენებლის, გიორგი III-ისა, და თამარის დროს სამეფო ხელისუფლება ძლიერდება, ქართული სახელმწიფოებრიობა იჩენს თავის სიმტკიცეს და განვითარების უკლებლეს დონეს აღწევს. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ პოლიტიკურ პროცესში საჯარო საწყისი სისხლის სამართლის დარგში უნდა გაძლიერებულიყო და ამის შესაბამისად სახელმწიფო ხასიათის სასჯელებსაც მეტი ადგილი უნდა ჰქონოდა დათმობილი. აკად. ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვები: „ყამთა მისთა არა იყო მიმდღავრებელი, არცა მტაცებელი, არცა რეკობრე და ნაპარგო და დასძენს, რომ „ასეთი მუყდროება საქართველოში გიორგი III-ის დროს მოწვეულ საქანონმდებლო კრებას მკაცრი სასჯელის დაწესებით დაუმყარებია“¹. ვარდანს თავის „მსოფლიო ისტორიაში“ აღნიშნული აქვს, რომ გიორგი III საქართველოში მპარავი და მეკობრე მოსპო, „რათგან ყოველთა ლაშქართა თანადგომითა სჯულად დასდო მტირისა და დიდისა საქმისათვის უწყალოდ ყოველისა კაცისა ძელზე აღბმა და ჩინებულთაგან მრავალნი ძელზე ჩამოახჩვიეს“². აქ ნათლად მოჩანს სამეფო ხელისუფლების სიძლიერე: იგი მტკიცედ, ენერგიულად იცავს მართლწესრიგს და ამყარებს საზოგადოებრივ მშვიდობიანობას.

შემდგომ პერიოდში, როცა მონღოლთა შემოსევის გამო ქართული სახელმწიფო დაეცა და მისი პოლიტიკური მთლიანობა დაირღვა, საჯარო საწყისიც დასჯის პოლიტიკის დარგში შესუსტდა, მისი მოქმედების ფარგლებიც შეიზღუდა და ადგილი ვასაგებია, რომ „კომპოზიციებიც“ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მეტ ადგილს დაიკავებდნენ. ეს ბუნებრივი, აუცილებელი შედეგი იყო ცენტრალური ხელისუფლების სისუსტისა და პოლიტიკური დაქუცმაცებისა; ფეოდალურმა ძალებმა მეტი თავისუფლება და ვასაქანი მოიპოვეს და მეტი მნიშვნელობა მიიღო კერძო საწყისმა, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე დგას არა საზოგადოებისა და სახელმწიფოს, არამედ დაზარალებული პირის ინტერესები.

საფიქრებელია, რომ კომპოზიციები ქართულ სამართალში მაინც კი არსებობდნენ, როცა სახელმწიფო თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე იდგა, როცა ფეოდალური მონარქია თავისი აყვავების ხანას განიცდიდა. „გარკვეულ დანაშაულებათათვის, — ამბობს აკად. ივ. ჯავახიშვილი, — კანონი დამნაშავეს დაზარალებულისა და მისი ნათესავების, აგრეთვე სხვა სამართლოს სასარგებლოდ ქონებრივი საზღაურის გადახდას აკისრებდა. ასეთი წესი საქართველოში XIV—XVIII სს-ში არსებობდა და საქანონმდებლო ძეგლებში ეს აღბეჭდილია კიდევ. ნაწილობრივ მაინც ასეთი წესი წინათაც არსებულა.

¹ ქართლსამ. ისტორია, წიგნი II, ნაკვ. 2, გვ. 307.

² იქვე.



რაკი IX—XII სს-ის საკანონმდებლო ძეგლები დაცული არ არის, ამასთანავე ასეთი წყაროებით ამ აზრის დამტკიცების საშუალება არ არსებობს. მაგრამ ორიოდ ამის დამადასტურებელი ცნობა საბუთებშია შეჩვენული. ამას „საზღაგო“ ჰრქმევია იმ გვარადღე, როგორც ასეთი ქონებრივი ისანაზღაურებელის დასაზღაურებლის მიერ ჩაბარებას „საზღაგად აღება“ სწოდებოდა¹.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ კომპოზიციების სისტემას ქართული სამართლის თითქმის ყველა ჩვენს დრომდის შემონახული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ძეგლი იცნობს; მაგრამ, ცხადია, რომ მისი მოქმედების ფარგლები ისტორიულად სხვადასხვა იქნებოდა; იგი უსათუოდ გაფართოვდებოდა, შეტანიშვნელობას წიოდებდა სამეფო ხელისუფლების დაცვის, დაცინების ხანში; ბირებით, მისი მოქმედების არე ბუნებრივად შენულდული უნდა ყოფილიყო, როცა ხელისუფლება მოწინააღმდეგე ძალებს იმორჩილებდა და გაძლიერების გზაზე იყო დამდგარი.

კომპოზიციების გვერდით არსებობს სახელმწიფო სასჯელთა სისტემა, რომელსაც სხვადასხვა მძიმე დანაშაულისათვის უფარდებენ; დანაშაულთა ამ უკანასკნელ ჯგუფს პირველ რიგში ეკუთვნის სახელმწიფო ლაღატი.

როცა ვლაბარაკობთ ქართული სამართლის უცხოურ წყაროებზე, ჩვენ, რასაკვირველია, მარტოოდნ ბიზანტიური სამართლის გავლენის აღნიშნით ვერ დავკმაყოფილდებით. საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიურ, იდეურ და პოლიტიკურ გავლენათა გზაჯვარედინზე, სადაც ერთმანეთს ორი განსხვავებული კულტურა ხვდებოდა, შედეგად აუცილებლად უნდა ჰქონოდა დასავლეთის მსოფლომხედველობის ზეგავლენის გვერდით აგრეთვე აღმოსავლური კულტურის ელენენტების შემოღებაც; ამგვარ გავლენას აღვილი ჰქონდა ხელოვნების, ლიტერატურის დარგში. ცხადია, რომ სამართალიც ამა თუ იმ სახით და მოცულობით იმავე გავლენის ქვეშ მომყვებოდა². იმ ელენენტების გარდა, რაც ქართულ სამართალს უცხო წყაროებიდან ჰქონდა ნასესხები და შეთვისებული, მას, რა თქმა უნდა, თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი შინაარსიც ექნებოდა, ის თავისებური სამართლებრივი ტონდი, ადათებისა თუ ვანონების სახით, რაც ძველისძველი ეროვნული განცდების ან ახალი მოთხოვნისებებისა და მიზნების გამოხატულებას წარმოადგენდა. ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარის ამოცანას შეადგენს სამართლის ამ წმინდა ნაციონალური ელემენტების გამოკვლევა, მათი გამოყოფა იმ ფენებისაგან, რომლებიც უცხოური

1) დასახელ. შრომა, II, 2, გვ. 506.

2) კორკუთვი რუსეთის სამართლის გავლენაზე ლაბარაკობს, იგი აღნიშნავს, რომ ვანტანის დებულებაში შეტანილია ბიზანტიური, სომხური და მოსეს კანონები და დასძენს: Кроме того, с установлением зависимости Грузии от России, стали применяться переведенные на грузинский язык Уложение Соборное 1649 года и Воинский Устав Петра Великого, так что туда вошло через воинский устав даже савское право (Общая теория права, 1909, 281). სამწუხაროდ, არავითარი გარკვეული ცნობები, თუ როდის იყო შესრულებული ეს თარგმანები, ავტორს არ მოჰყავს. „1649 წლის დებულების“ ქართულ ენაზე თარგმნის შესახებ იხ. აკად. კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორია, 1926, ტ. I, გვ. 363.



სამართლიდან არის გადმოტანდლი და შეთვისებული. ამ ამოცანის შესრულებაში ძნელია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში შეუძლებელი არაა.

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ქართული სამართლის ისტორიის შესწავლა უძველესი დროიდან უნდა დაიწყოს. თვითონ ივ. ჯავახიშვილი სამართლის ისტორიას იველიეს XIII ს-მდე. მან „ქართული სამართლის ისტორიაში“ თავი მოუყარა სხვადასხვა დარგის უდიდეს იურიდიულ მასალას, შეეცადა სისტემაში მოეყვანა ეს მასალა და მოგვცა სამართლის წყაროების ფართო და ზუსტი გამოკვლევა. შეიძლება ითქვას, რომ მან საფუძველი ჩაუყარა ქართული სამართლის ისტორიის საკითხების მეცნიერულ დამუშავებასა და შესწავლას; ამ მხრივ ივ. ჯავახიშვილის შრომა ფასდაუდებელ განმსწარმოადგენს, რითაც ისარგებლებენ მომავალი მკვლევარნი, რომლებიც, სბტიალური ცოდნით აღჭურვილნი, მის მიერ დაწყებულ საქმეს განაგრძობენ და წინ წასწევენ.

როდესაც აკად. ივ. ჯავახიშვილი ლაპარაკობს გასული საუკუნის მკვლევარის ნ. ურბნელის შესახებ, იგი აღნიშნავს, რომ უკანასკნელს „ქართულ მაშინდელ ღარიბ-საისტორიო მწერლობაში მანამდე ხელუხლებელი, სრულებით ახალი ახარების შესწავლით ძვირფასი წვლილიც შეჰქონდა“ და დასძენს, რომ „ნ. ურბნელის საქმეს ქართველ იურისტთა შორის გამგრძობლებული უნდა განმოსწავლოდნენ... მაგრამ ეს იმედები არ გამართლებულა; ურბნელის გარდა არცერთ იურისტს ქართული სამართლის ისტორიის შესწავლა თავის სპეციალობად არ აურჩევია“¹.

თვით ივ. ჯავახიშვილი ხსნის ამ გარემოებას იმით, რომ სამართლის ისტორიკოსი ერთსა და იმავე დროს იურისტიცა და ფილოლოგ-ისტორიკოსიც უნდა იყოს, რაც, მისი სიტყვით, იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს. ამ საფუძვლიან შენიშვნას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ქართული სამართლის ისტორიის შესწავლას, უეჭველად, აბრკოლებს ქართული იურიდიული ძეგლების კრიტიკულად გასინჯული ტექსტების გამოუცემლობა. ამ ძეგლების გამოცემა, ცხადია, გაუადვილებდა მსურველს მათ შესწავლას და იურისტებს შორისაც აღძრავდა მათი გადრწევილი ვანხილვისა და მეცნიერული გამოკვლევის მისწრაფებას.

ძველი დროის საერთო კანონმდებლობიდან ჩვენს ხანამდე ქართული იურიდიული ძეგლები არ შემონახულა, თუმცა დანამდვილებით შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ იმ ბერძნულში, როდესაც სახელმწიფო ცხოვრება გართულებული იყო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყველა დარგს წინსვლა და განვითარება ემჩნეოდა, სამართლის დარგსაც უნდა მიეღო მონაწილეობა ამ საერთო მოძრაობაში. ახალ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ურთიერთობებს, რასაკვირველია; ახალი, მათთვის შესაბამისი, საკანონმდებლო ნორმები დასჭირდებოდა და გაძლიერებულ სახელმწიფოს არც აკლდა სათანადო ძალები და საშუალება, რომ ამგვარი ნორმები შეექმნა. ასეთი იყო დავით აღმაშენებლის, გიორგი III და თამარის ხანა; ძნელი წარმოსადგენია, რომ მათ მეფობაში ფართო საკანონმდებლო მუშაობას ადგილი არ ჰქონოდა.

¹ აკად. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ. წ. I (წინასიტყვაობა VII).



ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ერთი იურიდიული ძეგლის ნაწყვეტს, ივ. ჯავახიშვილის აზრით, XI საუკ. დამდგეს ე. ი. ბაგრატ III ხანას ეკუთვნის¹. ეს არის ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტი, რომლის შესახებ ფრანგმა მეცნიერმა კარსტმა ც გამოთქვა თავისი აზრი. კარსტის შეხედულებით, ბაგრატის კოდექსი, X—XI საუკ. შედგენილია, მეორე რედაქციით გამოცემულ იქნა და ვით აღმაშენებლის მიერ, რომელიც ქართულ ისტორიაში ცნობილია როგორც რეფორმატორი და კანონმდებელიც (რუს-ურბნისის კრების ნომოკანონი); ბაგრატ კურაპალატის ძველი კოდექსი გადასინჯული და შევსებული იყო სომხური, ბიზანტიურ-რომაული და კანონიკური სამართლის ელემენტებით. დავითის კოდექსი ხელახლა იქნა გადამუშავებული და შევსებული შედგომ საუკუნეებში საეპისკოპოსო-საეკლესიო სამართლის ზეგავლენით და მოთავსებული თავისი ახლანდელი მოცულობით (17 მმ.) აღბუღას კოდექსში, თუ ამ შთავრის სიცოცხლეში არა, ყოველ შემთხვევაში ცოტა ხნის შემდეგ მაინც, ჯერ კიდევ XV საუკუნეში. ბაგრატ-დავითის კოდექსის ტენდენცია, მისი დანიშნულება, კარსტის სიტყვით, გარკვევით არის ასახული მის თანმიმდევრობით განვითარებაში: შედგენილ იქნა სისხლის სამართლის კოდექსი, შერეული იურისდიქციის დარგი (domaine de juridiction mixte), რომელიც განაწილებული იყო საერო ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის, რაც საყვებით გასაგებად ხდის კანონიკური სამართლის იმ ძლიერ ელემენტს, რომელსაც ვნახულობთ ამ კანონმდებლობაში².

კარსტის მიერ მოცემული განმარტება, რასაკვირველია, შიშითებს წარმოადგენს, რომელიც თავის დასაბუთებას მოითხოვს, მაგრამ იგი, თითქოს, იძლევა იმ მოვლენის ახსნას, რომელიც ბექა-აღბუღას კოდექსის შესწავლის დროს უნებლიედ იპყრობს შკოთხელის ყურადღებას; მე აქ მხედველობაში მაქვს ბექა-აღბუღას კოდექსში შეტანილი ზოგიერთი მუხლის სანქციის თავისებური ხასიათი: 161—169 მუხლები ქონებრივი საზღაურის გარდა ითვალისწინებენ კიდევ დამატებით დამნაშავეს „შეწვენებას“: „კრულ და წყეულ და შეწვენებულ იყავნ კაცი იგი ცათა შინა და ქვეყანასა ზედა....“ ამგვარი სანქცია, რა თქმა უნდა, საეკლესიო სამართლის უშუალო ზეგავლენით უნდა ყოფილიყო შემოღებული; საერო ხელისუფლების მხრივ შესაფარდებელი სასჯელის გარდა კანონი ემუქრება დამნაშავეს კიდევ საეკლესიო ხასიათის სასჯელით და ეს უკანასკნელი თავისი შედეგებით მეტად სასტიკი იყო; როგორც ივ. ჯავახიშვილი ამბობს, „შეწვენებულს გვრავინ მიეკარებოდა, არავის არ უნდა ეშველნა მისთვის, თუნდ რომ გაკირვებული ყოფილიყო, იმითომ რომ, ვინც-კი მას მიიღებდა, ისიც წყეულ-შეწვენებული გახდებოდა“³. ამ მუხლებით დაწესებული სანქცია ვაცილებით უფრო მკაცრია, ვიდრე ქართული სამართლის სხვა რომელიმე ძეგლის სათანადო დადგენილებანი. კარსტის განმარტება საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ხაზს უსვამს და აშუქებს შერეული ქვემდებარეობის საკითხს,

¹ ქართული სამართლის ისტორია, ტ. I, 88.

² Karst, Code d' Aghbougha, Tome II, Livre premier, 1938, p. 5,6.

³ ივ. ჯავახიშვილი დასახ. ნაშრომი, 113, 114.



რომელიც ფეოდალურ სამართალში ხშირ მოვლენას შეადგენდა. თვითმხმამღვანელები რეალურად სამართლის წიგნის უკანასკნელი მუხლებისა, ჩენის ანკით, ინგვითრთებს შათ წარმოშობაზე და მოწმობს, რომ ბრძოლა დანაშაულობასთან განსაკუთრებულ პირობებში წარმოებდა, ეს კანონები უნდა ეკუთვნოდნენ იმ ხანას, როდესაც სამეფო ხელისუფლება იკრებს ძალ-ღონეს, ცდილობს მოწინააღმდეგე ძალების დაძლევის და დამორჩილებას და წესრიგი შეაქვს საზოგადოებრივ ურთიერთობაში. ბუნებრივია, რომ ამ დიდად ბრძოლაში იგი პირველ ყოვლისა სისხლის სამართლის დარგს აქცევს ყურადღებას და ამ ხაზით იყენებს ენერგიულ და სასტიკ ღონისძიებებს; იმავე მოვლენას გვხვდებით დასავლეთ ევროპის ისტორიაშიც: იქაც აღმავალი მონარქია თავისი ხელისუფლების განსამტკიცებლად მკაცრ კანონებს აწესებდა სისხლის სამართლის დარგში; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სამართალს არასდროს არ გამოუჩენია ისეთი სიმკაცრე, როგორც ფეოდალური პერიოდის ევროპულ კანონმდებლობაში ვხვდებით. საქართველოში სამეფო ხელისუფლების მიერ აღებული პოლიტიკურ გეზს მხარს უჭერს ეკლესია, რომელიც თავისი ავტორიტეტით ამაგრებს მას, გამოდის მისი თანამშრომლის რაოდენობით.

ბეჭა-აღბუღას კანონების დანართი (27 მუხლი) ქართული საერო კანონმდებლობის უძველეს, ჩვენს დრომდე შემონახულ ძეგლს წარმოადგენს და ამიტომ გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელსაც იგი იწვევს. ამ დანართის გამოკვლევას ივ. ჯავახიშვილი შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „... ვახტანგ VI-ის კოდიკონში ბეჭა-აღბუღას სამართლის წიგნის ბოლოში დართული კანონები თავისი შინაარსით არც ერთ აქამდე ცნობილს ქართულ საკანონმდებლო ძეგლს არ უდგება, წყევლა-კრულვითა და ნაწილობრივ სასჯელთა სიმკაცრით მხოლოდ კათალიკოსთა სამართლის წიგნს უახლოვდება, მაგრამ ამგვარი თვისებები შეიძლება თამარ მეფეზე უწინარესი ხანის ძეგლებსაც ჰქონდათ... მათი დათარიღებისათვის ჯერ კიდევ საკმაოდ გულევა-ძიებაა საჭირო. ამ კანონების შინაარსი და განსხვავებული თვისებები ამ ძეგლს საყურადღებოდ ხდის და მათი სიღატაკობის გამორკვევა და დათარიღება ჩვენი მეცნიერების მორიგ საკითხად უნდა იქნას მიჩნეული“¹. ივ. ჯავახიშვილმა მიამქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ბეჭა-აღბუღას სამართლის წიგნის უკანასკნელი ნაწილი ერთსა და იმავე კანონმდებელს არ ეკუთვნის: იგი სხვადასხვა ისტორიული ფენის შენაერთს წარმოადგენს. ივ. ჯავახიშვილი აღიარებს ერთმანეთს §§ 117 და 161, რომელთაგან პირველი ლალატით მკვლევლობისათვის აწესებს ერთ სისხლის ფასს და ზედმეტად მხოლოდ 12.000 თეთრის გადახდას, ხოლო მეორე იმავე დანაშაულისათვის—ორკეცი სისხლის დაურევებს „გვარსა ზედა“ და გარდა ამისა „წყევლა-კრულვას“ და „შეჩენებას“ როგორც მკვლელს, ისე ყველას, ვინცკი მას ხელს შეუწყობს (ფინცა უშველოს და შეიწყნაროს); აქედან ივ. ჯავახიშვილი საფუძვლიანად დაასკვნის, რომ შეუძლებელია ეს ორი მუხლი ერთსა და იმავე კანონმდებელს ეკუთვნოდეს². აღნიშნული ფაქტი მოწმობს,

¹ დასახ. ნაშრომი. 116.

² იქვე, 113.



რომ ბექა-აღბულას სამართლის წიგნის ბოლოში მოთავსებული კანონმდებლობის დასახელება დროს იყო შედგენილი, მათ შორის, როგორც ირკვევა, საკმაოდ დიდი შეუთხზნებლობაც არსებობს, ვინაიდან იქ ერთიანად და იმავე დანაშაულისათვის ორი სხვადასხვა, საგრძნობლად განსხვავებული, სასჯელია გათვალისწინებული.

აღბულას სამართლის წიგნის შედგენის შემდეგ საკანონმდებლო მოღვაწეობას საქართველოში რაიმე მნიშვნელოვანი ნაყოფი მთელი, ორი საუკუნის (XVI—XVII საუკ.) განმავლობაში არ გამოუღია. ცალკეული კანონები, რასაკვირველია, იცემოდა, მათ შორის დაეხსებოდა სვიმონ მეფის 1590 წ. ბრძანება, რომლითაც განსაზღვრული იყო მეკობრეთა მძებნელის სამოსამართლო უფლებები და აღნიშნული, თუ რომელი დანაშაულისათვის რომელი, სასჯელი უნდა ყოფილიყო დადებული. ამ საბუთით მეკობრეთა მძებნელის მოქმედების არც, ტერიტორიული ქვემდებარეობა ვიწროდ იყო შემოღობული (დილომ¹ ზევითა და შტკერის გამოღმა ხევამდე მდებარე ადგილი). მაგრამ მასში აღნიშნული სისხლის სამართლის ნორმები დანაშაულისა და სასჯელის შესახებ მთელი ქართლის სამეფოსათვის სავალდებულო უნდა ყოფილიყო. ამგვარად, ეს ძველი შეიცავდა როგორც საბროცესო, ისე მატერიალური სისხლის სამართლის ნორმებს და ამდენად იგი სამართლის ისტორიისათვის, უეჭველად, ინტერესს წარმოადგენს.

სისხლის სამართლის თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ქსნის ერისთავთა ერისთავის შალვა ქუენიფნეველისაგან ლარგვისის მონასტრისადმი 1470 წ. მიცემული სიგელი, რომელიც „სხვადასხვა დანაშაულობისათვის დაწესებული სასჯელის განწინებას შეიცავს“¹.

მიუხედავად ცალკეული კანონების გამოცემისა, XVI და XVII საუკუნეებში ფართო ხასიათის საკანონმდებლო მუშაობას მაინც არ შეიძლება ადგილი. სულ სხვა სურათს ვხედავთ, როდესაც XVIII საუკუნეში გადავდივართ. XVIII საუკუნე შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც გაცხოველებული საკანონმდებლო მუშაობისა და იურიდიული შემოქმედების ხანა. XVIII საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის ქართული სამართლის შესანიშნავი ძეგლი, რომელიც ჩვენს ისტორიაში ცნობილია ვახტანგ VI კოდიკოს სახელწოდებით. შემოქმედება სამართლის დარგში, რომელსაც ადგილი ჰქონდა XVIII საუკუნის დამდეგს, არ წარმოადგენს რაიმე განცალკევებულ, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის სხვა მხარეებისაგან მოწყვეტილ მოვლენას. პირიქით, ის აღნიშნული პერიოდის საერთო კულტურული აღორძინების ერთ-ერთი მხარეა, ერთ-ერთი მაჩვენებელი იმ ძვრებისა და ცვლილებებისა, რომელნიც თავის ყველაზე უფრო ძლიერ გამოხატულებას ლიტერატურის დარგში პოულობენ. როდესაც ჩვენ ვადარბობთ ერთმანეთს სამართლისა და ლიტერატურის განვითარებას, უნებლიეთ გვგვახსენდება აზრი, რომ სამართლის დარგი ჩამორჩა კიდევ საგრძნობლად იმ აღორძინებისა და აღმავლობის მოძრაობას, რომელიც ძლიერი ნაკადებით ჩქეფდა სამწერლობო სფეროში. ქართული მწერლობის აღორძინების ანუ გერცხლის

¹ ა. ჯაფარიშვილი, დასახელ. ნაშრომი, 124.



ხანას - გ. კეკელიძე იწყებს უკვე XVI საუკუნის დაბდგით¹. თუ უკლებლივ ლის დარგი იმავე ტიპებით ვერ ვითარდება, როგორც ლიტერატურა, ამ მოვლენის ახსნა იმდროინდელი საქართველოს საერთო პოლიტიკურ მდგომარეობაში უნდა ვეძიოთ. საქართველო დაქუცმაცებული იყო რამდენიმე ნაწილად, სახელმწიფოში მძვინვარებდა ფეოდალური წესწყობილება უველა თავისი დამახასიათებელი თვისებით და აქედან ჩვენთვის გისაგებია, რომ საქანონმდებლო მოღვაწეობისათვის ამ ქაშაობის, მძლავრობისა და შინაური არე-დარევის დროს ხელსაყრელი პირობები არ არსებობდა. მსგავსს მოვლენას გვიჩვენებს სხვა ქვეყნების ისტორიაც: სამართლის ინსტიტუტები იმავე ნაბიჯით ვერ ვითარდებიან, ვერ იჩენენ მოძრაობის იმავე სისწრაფეს, როგორც ჩვენ ვნახულობთ ლიტერატურისა და საერთოდ ხელოვნების დარგებში.

თუმცა ისტორიის ზოგჯერ საწინააღმდეგო-მაგალითსაც გვაძლევს: რომის სამართლის რენესანსი XII საუკუნეში ზეგარად წინ უსწრებს ბუალის საერთო რენესანსს (პოლონიის იურიდიული სკოლა).

XVIII საუკუნის პირველ ნახევარს ივ. ჯავახი შვილი ენციკლოპედიურ ხანას უწოდებს: ამ ხანაში გიორგი XI და განსაკუთრებით ვახტანგ VI თაობით შესრულებულ იქნა დიდი მუშაობა, რომლის მიზანს შეადგენდა — „ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნეების ნამუშევარი და ნაქირნახულევი შეეკრიბათ, შეესწავლათ და ჩამომავლობისათვის დამთავრებული, ყოველმხრივი წარმოდგენა და ცნობა გარდაეცათ“².

ამ მართლაც ენციკლოპედიური ხანის ნაწარმოებებს შორის ჩვენ აქ ბუნებრივად გვამჩნევრებს ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი სამართლის წიგნების კრებული. თავისი სამართლის წიგნის წინასიტყვაობაში ვახტანგ VI აღნიშნავს ქართლში მართლმსაჯულების დაცემას, მოსამართლეთა თვითნებობასა და შექრთამობას: „იყო ქვეყანა ესე ქართლისა, ამბობს კანონმდებელი, ყოვლითურთ კეთილითა შემკული და შეზავებული, ხოლო ცვალებითა დღეთა და ვითარებითა უამთათა თვით სიბრძნით და თავით თვისით სჯიდენ და განავებდენ, ვიეთნიმე მოყუბობით, ვიეთნიმე მეგობრობით, ვიეთნიმე მორიდებით, ვიეთნიმე ღმრთის ურიდველობით და ვიეთნიმე მიღებითა ქრთამათა, ვითარცა ენებათ ეგრეთ შსჯიდენა. ვახტანგს მიზნად აქვს მართლმსაჯულების აღდგენა და განმტკიცება: „ამით უფრო ვექმენით წიგნისა ამბს მიზეზ, რაათა აღარავინ ვანდრიკოს სასწორსა სამართლისასა ქრთამით, გინა მოყურობით. ან სხვაფრივ რითმე მიდგომით...“. ამასთან ერთად ვახტანგი მიუთითებს, რომ მისი სამართლის წიგნი შედგენილია არა მხოლოდ მის მიერ („...ნუოვენ ჰგონებთ, რამეთუ თვისთ თავით თვისით რასმე უჭყოფდეთ...“), არამედ მღვდელმთავრების, დიდიმთავრების და „სხვათა ყოველთა დარბაზის-ერთა ჩვენთათა და კითხვითა ექუათა-მყოფელთა და მოხუცებულთა კაცთათა თანდასწრებით და დამოწმებით, მოწონებით („თანა-ყოლითა და მოწმებითა“); ამგვარად, სამართლის

¹ ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941, 59. იქვე იხ. ამ აღორძინების გამოწვევს დაქტორებზე.

² ქართული სამართლის ისტორია, ტ. I, 116.



წიგნს იგი გვაცნობს, როგორც კოლექტიური თანამშრომლობის ნაყოფი. აზრს ვახტანგი იმეორებს 204. მუხლის დანართში: «...რომელსა ზედა მოწინაობა დართეს ერთა ჩვენთა სრულობით საღმრთოთა და გინა სამხედროთა, ბრძენმან და მონახულმან ყოველმანვე ერთბაშად და ესე ესრეთ არს შემზადებული...»¹.

ვახტანგ VI კრებული მეტად ვრცელ საკანონმდებლო მასალას იძლევა: მასში მოცემულია სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო ხასიათის ნორმები. ყველა ამ ნორმის გამოკვლევა და მათი შინაარსის დამუშავება დიდ დროს და, რა თქმა უნდა, სპეციალურ ცოდნასა და მომზადებას მოითხოვს. ჩვენ კი პირადად ვახტანგის კანონმდებლობა გვინტერესებს სისხლის სამართლისა და საპროცესო ხაზით, ე. ი. იმდენად, რამდენადაც იგი ეხება დანაშაულისა და სასჯელის და სასამართლო-საგამომძიებლო მოქმედების საკითხებს.

ამ თვალსაზრისით ჩვენ ვიხილავთ რამდენიმე ნარკვევის სახით ზოგიერთ საკითხს, რომლებიც ამ კანონმდებლობის სისხლის სამართლის ნორმების საფუძვლებს გამოხატავენ.

II

ვახტანგ VI მალა აყენებს მარხლმსაჯულების საქმეს; სასამართლოს მოღვაწეობას, მისი აზრით, დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ როდესაც იგი ლაპარაკობს ქართლის ისტორიულ სინამდვილეზე, იგი იძულებულია მწუხარებით აღნიშნოს ის უწყობა და მართლმსაჯულების დამახინჯება, რასაც ადგილი ჰქონდა სასამართლოებაში როგორც წინათ, ისე მის ხანაში — «...თავით თვისით სჯიდნენ და განაგებდნენ, ვითნამე მოყქსობით, ვითმინე მეგობრობით, ვითმინე მორიდებით... ვითარცა ენებათ ეგრეთ ჰსჯიდნენა, საქართველოს მეფენი, ვახტანგის სიტყვით, ბევრჯერ ისე დამდაბლებულან, რომ ოდენ სახელი მეფე რქმევითა და «როგორც ყმათა სდომებიათ ისრე უსამართლებიათ და ურიგებიათ». მაგრამ თუ მეფე იმდენად უძღურია, რომ სწორი სამართლის განხორციელება არ შეუძლია, სჯობს ხელი აიღოს მეფობაზე — ამბობს ვახტანგი². მის მიზანს შეადგენს, მტკიცე კანონების გამოცემის გზით, გამოიყვანოს სასამართლო პრაქტიკა დამცირებული მდგომარეობიდან და განამტკიცოს სამართალი.

ვახტანგის კრებული შედგება ქართული და უცხოური ელემენტებისაგან; მისი სხვადასხვა შემადგენლობითი ნაწილები ზოგჯერ არაა ერთმანეთთან შეთანხმებული და ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ამგვარი წინააღმდეგობა სავსებით ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ იმ ვარაუდებს, რომ ვახტანგის კრებულის ნაწილები შედგენილი იყო სხვადასხვა ისტორიულ დროს, სხვადასხვა პირობებისა და მოთხოვნების ზეგავლენით და კულტურის განსხვავებულ დონეს ეკუთვნოდნენ. ამ კრებულში შედიან, ერთი მხრით, ქართული ძეგლები — გიორგი V ძეგლის დადება, ბექა-აღბულას კოდექსი, კათოლიკოსის კანონები, ვახტანგ VI საკუთარი სამართლის წიგნი, ხოლო, მეორე მხრით, სომხუ-

¹ ზებინაშვილის ქრესტომატია, ნაწ. 1, 1846, 394—450.

² ვახტანგის სამართლის წიგნის 2. მუხლი.



რი, ბერძნული და მოსეს კანონები. საესებით გასაგებია, რომ ესოდენ მსგავსი ფეროვანი კანონმდებლობის ცალკეულ ნაწილებს შორის აუცილებლად შეუთანხმებლობა და ზოგჯერ წინააღმდეგობაც უნდა არსებულებოდა. მოვიყვანოთ, მაგალითად, თუნდაც კოლექტიური, ოჯახური პასუხისმგებლობის ფაქტები, მოცემული ვახტანგის დებულებების ზოგიერთ მუხლში, და მათ შევადაროთ წმინდა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საწყისი, აღიარებული ბერძნული კანონებით (მმ. 20 და 377) ანდა მოსეს კანონებით (მ. 45).

როცა ვახტანგი აღგენდა თავის კრებულს, მას, რა თქმა უნდა, შეგნებულად ჰქონდა მის მიერ მოცემული მეტად ეროვნული საქანონმდებლო მასალის სხვადასხვა გვარობა და მრავალფეროვნება. ამიტომ ლიტერატურაში სრულიად საღუბგლიანად დასმული იყო საკითხი, თუ კანონმდებლობის რომელ ნაწილს ანიჭებდა კანონმდებელი სავალდებულო ძალას, ე. ი. რომელი ნაწილი მის მიერ შედგენილი კრებულისა მას მიაჩნდა მოქმედ სამართლად, — საკითხი, რომელიც იურიდიული თეორიისაზრისით დიდ ინტერესს წარმოადგენს. ზოგიერთის აზრით, საქართველოში მოქმედ კანონად აღიარებული იყო მხოლოდ ვახტანგის დებულება. ფრენკელის გამოცემის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ ძველი ქართული სამართლის მთელი რიგი მკვლევარები ეთანხმებიან ერთმანეთს იმაში, რომ საქართველოში მოქმედებდა მხოლოდ მეფე ვახტანგის დებულება; ამასთან ერთად ვახტანგის, აღბუღას და გიორგის დადგენილებანი შეიცავდნენ სერო კანონებს; კათალიკოსისა და მოსესი — სასულიერო კანონებს; სომხური კანონებით ხელმძღვანელობდნენ სავაჭრო, კომერციულ საქმეებში, დასასრულ, ბერძნული კანონები შეტანილი იყო ვახტანგის კოდექსში, ალბათ, შედარებისა და მოსამართლეობა „შეგონებისათვის“ (с целью сравнения и „вразумления“ судей)¹. ამ წინასიტყვაობის თანახმად, საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში თითქოს მარტოდონ მეფე ვახტანგის დებულებას ჰქონია იურიდიული ძალა; თუმცა იქვე ნათქვამია, რომ სომხური კანონებითაც ხელმძღვანელობდნენ სპეციალურად სავაჭრო დარგში, ხოლო რაც შეეხება ბერძნულ კანონებს, ისინი ვახტანგის მიერ შემოღებული იყო იმ მიზნით, რომ მოსამართლისათვის მიეცა ერთგვარი რჩევა-დარიგება მისი საზოგადოებრივი მოვალეობის სწორი შესრულებისათვის. თუ მივიღებთ იმ შეხედულებას, რომლის თანახმად კანონის ძალა მხოლოდ ვახტანგის საკუთარ დებულებას ჰქონდა მინიჭებული, მაშინ ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორი იყო სამართლის კრებულის სხვა ეროვნული ნაწილების იურიდიული მდგომარეობა? საკითხი ამით არ ამოიწურება, რადგან ეროვნული ელემენტების გარდა ვახტანგის კრებულში მოთავსებულია კიდევ უცხოური კანონები და მათ შესახებაც ისმება კითხვა: რა მნიშვნელობას მიაწერდა ამ უკანასკნელ კანონებს კრებულის შემდგენელი?

¹ Исследователи старых грузинских законов... согласны между собой в том, что действующим законом в Грузии следует признать исключительно Уложение царя Вахтанга; при этом постановления Вахтанга, Агбуги и Георгия заключали в себе законы светские; католичесовы и Моисеевы — духовные законы; армянскими законами руководствовались в делах торговых... греческие законы введены в кодекс Вахтангом с целью сравнения и „вразумления“ судей. Френкель, Сборн. Зак. Груз. царя Вахтанга, 1887. Предисловие.



საერთოდ უნდა ითქვას, რომ დაუნებელი საკითხის გადაჭრა სიძნელეს წარმოადგენს. განსაკუთრებით იმის გამო, რომ იგი ეხება ძველ სამართალს, რომლის გამოკვლევას დროს თანამედროვე ცნებები და მიღებული მეთოდები ყოველთვის არ გამოადგება.

შეხედულებას ვახტანგის სამართლის წიგნის საჯალღებულოობის შესახებ ამაგრებს ის გარემოება, რომ „მოსეს კანონთა“ წინასიტყვაობის ავტორის თქმით, ვახტანგის კრებულში მოთავსებულ სხვადასხვა ნორმებს შორის ბევრი გამოუსადეგარია საქართველოში, „ხოლო თვით ვახტანგის მიერ გამოცემული უპირატესად უნდა იქნეს გამოყენებული“. ავტორი დასძენს, რომ ასეთი უპირატესობა ვახტანგის დებულებიდან აიხსნება არა იმით, რომ იგი თვითონ წუწნს სდებს ძველ კანონებს, არამედ იმით, რომ ვახტანგის კანონები უფრო სასარგებლოა ჩვენი სამშობლოსათვის და დროსა და გარემოებებს აქვთ ისეთი ძალა, რომ გვიანდელ კანონებს უპირატესობა ენიჭებათ შედარებით წინანდელთან.

როგორც სამართლიანად შენიშნავს დ. ბაქრაძე, ეს წინასიტყვაობა ვახტანგის შემდგომ არის შედგენილი. დ. ბაქრაძე თავის აზრს შემდგენიარად ასაბუთებს: წინასიტყვაობის ავტორი ლაპარაკობს ვახტანგზე მესამე პირით და თანაც ვახტანგი არ ილაპარაკებდა თავის თავზე ისეთი მაღალფარდოვანი სტილით, როგორც ამას ვხედავთ წინასიტყვაობაში; გარდა ამისა, ეს წინასიტყვაობა არაა შეტანილი თეიმურაზის ხელნაწერში, რომელიც ეკუთვნის 1751 წელს და, მაშასადამე, ძალიან დაახლოვებულია ვახტანგის ხანასთან (გარდაიცვ. 1737 წ.). თეიმურაზის ხელნაწერი უშუალოდ იწყება მოსეს კანონთა ტექსტით. ამგვარად, ზემოაღნიშნული წინასიტყვაობა შემდგომი დროის დამატებად უნდა ჩაითვალოს¹.

დასწული საკითხის გადასაჭრელად მივმართით უშუალოდ ტექსტს და ვნახოთ, როგორ ლაპარაკობს თვით ვახტანგი საკუთარი სამართლის წიგნის შესავალში. თავისი სამართლის წიგნის შესავალში ვახტანგ VI ამბობს შემდეგს: „... წინათქმულთა ამისთვის ვიწადეთ სასამართლოსა წიგნისა დაწერა, პირველ დაბადებისა მოსეს მიერ ქმნილი სამართალნი და კვლად ბერძენთა და სინენთა წიგნთაგან გარდმოთარგმნული, ეგრეთვე კათალიკოსისა და მეფის გიორგისა და ბექას განჩინებული სამართლები შევკრიბეთ და ესე ყოველი ზემორე წერებულმან გამცნოსთ, ხოლო ესეცა მსკანთ, იგულეთ და იგულსნოდვინეთ და რომელიც გენბოსთ და უმჯობეს გინდესთ მით მსჯიდეთ და მართალსა სამართალს იქმოდეთა². მოყვანილი ადგილი გვაჩვენებს, თუ როგორ უყუბრებდა თავისი საქანონმდებლო მოღვაწეობის ნაყოფს თვით მეფე ვახტანგი; იგი გარკვეულად ამბობს: „... ხოლო ესეცა მსკანთ, იგულეთ და იგულს-

¹ Сборник Законов Груз. царя Вахтанга VI, 1887, стр. 47. აკად. ივ. ჯავახიშვილი დ. ბაქრაძის ამ აზრს დასაბუთებულად სცნობს, მაგრამ ფიქრობს, რომ მოსეს სჯულის წინასიტყვაობაში წინე კარვად არის ახსნილი ვახტანგის „სურვილი და წადილი, რამაც აიძულა ახალი კანონები შეედგინა“. ქართული სამ. ისტორია, I, 118, 1928.

² დ. ჩუბინაშვილი ძს. ქრესტოპატია, ნაწილი პირველი, 1846, გვ. 395.

მოდგინეთ და რომელიც გენებოსთ და უმჯობეს გინდესთ, უკეთესად
 მსჯიდეთ და მართალსა სამართალს იქმოდეთ“. ამ პრინციპების
 დან შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ ვახტანგს აზრად არ ჰქონია გამო-
 ყვო მის მიერ შედგენილი კანონები და მხოლოდ ისინი ჩაეთვალა საეკლესიო-
 ლო, მოქმედ სამართალად; პირიქით, მისი კრებულის ყველა ცალკეული ელემენტი
 მას თითქმის თანასწორღირებულად მიაჩნდა და იგი მოსამართლეს ნორმების
 თავისუფალი ამორჩევისა და შეფარდების უფლებას ანიჭებდა: სასამართლოს
 უფლება ჰქონდა გამოეყენებინა ის ნორმები, რომლებიც, მისი შეხედულებით,
 ყველაზე უფრო უმჯობესი და მიზანშეწონილი იყო.

მაგრამ ვახტანგის აზრის ასეთ გაგებას არ ეთანხმება 204; მუხლის დანარ-
 თი, რომელიც სხვა დებულებას შეიცავს; დანართში ნათქვამი: „... არამედ
 ვინათგან ქართველთა წესნი და ქცევანი სხვა რამე არს და არა მივაგვს სხვათა
 ქვეყნისა რიგთა და ქცეულბათა, სხვა არს დიდებული და თავადი, სხვა არს
 სისხდი და სიკუდილი, სხვა არს ღალატი და უკადრისი; ამიდ ესე ვითარისა
 სამართალნი სხვათა განაჩინთა შინა მოკლედ იბოების და მათი წიგნი უფროს
 ჩვენდა უხმარ არს, ნუ სიქადულად შემირიცხავთ და ვგონებთ უმჯო-
 ბესად ყოველთასა წიგნსა ამას სასარგებლოდ ქვეყანისა
 ამისად...“¹. აქ უკვე კანონმდებელი უცხოურ კანონებს გამოუხადებარად ცნობს
 ჩვენი ქვეყნისათვის, ხოლო მის მიერ შედგენილ სამართლის წიგნს უყურებს
 როგორც ყველაზე უფრო შეგუებულს საქართველოს ცხოვრების პირობებთან
 და სასარგებლოს მშობლიური ქვეყნისათვის. როგორც, ვხედავთ, უკანასკნელი
 აზრი არ ეთანხმება იმ დებულებას, რომელიც გამოთქმულია სამართლის წი-
 გნის წინასიტყვაობაში; უკანასკნელში კანონმდებელი მისი კრებულის ყველა
 შექმედებულ ნაწილს თვლის თანასწორ ღირებულად და მოსამართლეს ანიჭებს
 ნორმების თავისუფალი ამორჩევისა და შეფარდების უფლებას; დანართი კი
 სხვაგვარად წყვეტს საკითხს: უცხოური სამართლის ძეგლებთან შედარებით მას
 უკეთესად და საქართველოს ცხოვრებასთან უფრო შეთანხმებულად მიაჩნია
 ვახტანგის სამართლის წიგნში მოცემული კანონები; «ქართველთა წესნი და
 ქცევანი სხვა რამე არს და არა მივაგვს სხვათა ქვეყნისა რიგთა და ქცეულბათა...»
 ამ სიტყვებში მეტად საყურადღებო აზრია გამოთქმული: მეფე ვახტანგი არ
 იზარებს იმ შეხედულებას, რომ ერთი და იგივე იურიდიული ნორმები გამო-
 სადგვი იყოს სხვადასხვა ქვეყნისათვის, მას, პირიქით, საჭიროდ მიაჩნია, რომ
 სამართალი შეთანხმებულ იქნას, შეესაბამებოდეს ადგილობრივ პირობებს, ქვე-
 ყნის მოთხოვნილებებს, მის წესებს, ზნე-ჩვეულებას; იგი ფიქრობს, რომ სამარ-
 თლის კრებულის სხვა ნაწილებთან შედარებით, მისი საკუთარი დებულება ყვე-
 ლაზე უფრო შეეფერება საქართველოს საზოგადოებრივ წყობილებას, ყველაზე
 უფრო გამოხატავს იმ თავისებურ მხარეებს, რომლებითაც ქართული ყოფა-
 ცხოვრება სხვა სახელმწიფოთა შინაგანი წყობისაგან განსხვავდება.

¹ დ. ჩუბინაშვილის კრესტომატია, 1846, 427 დ. ნაქრათის სიტყვით. ზემოაღნიშ-
 ნული დანართი თეიმურაზის 1751 წლის ვარიანტში არ მოიპოვება (Френкель, 60).

ადგილი გასაგებია, რომ ვახტანგმა საკუთარ სამართლის წიგნს კოდეფიკაციის სახელით დაწვრილებული წიგნების სახელით შედარებით უპირატესობა მიანიჭა; ვახტანგმა თავი მიჰყოფა მისი დიდ საკანონმდებლო მასალას, მან შეკრიბა უცხოური და ქართული კანონები და მათ გვერდით მიანიჭა საკუთარი დებულება შეადგინა; აშკარაა, რომ უკანასკნელი მას უმჯობესად მიაჩნდა. როგორც ივ. ჯავახიშვილი ამბობს, „კანონმდებელ მეფეს განმარტებული აქვს, თუ რა მიზანი ჰქონდა, როდესაც ძველი ქართული და უცხოური სამართლის წიგნების ერთად თავმოყრის შემდგომაც მან მიანიჭა ახალი ქართული სამართლის წიგნის შედგენა აუცილებელ საპირობად მიიჩნია. ამის მიზეზად უცხოური სამართლის ნორმების საქართველოსთვის გამოუღებარობას ასახელებს, რათვან საქართველოს ყოფა-ცხოვრებას ეს კანონები არ შეეფერებოდა“¹.

პოლიტიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ეს საგნებით ბუნებრივია, მაგრამ ამავე დროს იბადება საკითხი; რა როლი მიაკუთვნა ვახტანგმა მისი კრებულის სხვა ნაწილებს? თვითონ მეფე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უცხოური სამართლის წიგნების გადმოთარგმნა ძნელსა და ხანგრძლივ საქმეს წარმოადგენდა: «ხოლო სხვანიც შემორე სხენებულნი წიგნები სასამართლონი დიდთა სამეფოთაზნ მოვიძიეთ და მოვიღვეით და მრავლის სასჯელითა, ვიდრე წესთა მეორედმდე გარდმოთარგმნეთო...» — ამბობს ვახტანგი². ამდენი შრომით შეკრებილ საკანონმდებლო მასალასაც, რა თქმა უნდა, თავისი პრაქტიკული დანიშნულება ექნებოდა. უბრალო შედარება გვარწმუნებს, რომ ვახტანგს უცხოური მასალა არ გამოუყენებია როგორც საფუძველი საკუთარი სამართლის წიგნის შედგენის დროს; უკანასკნელი სრულიად დამოუკიდებელ საკანონმდებლო ერთეულს წარმოადგენს, რომლის შინაარსი მეტწილად ძველი ქართული ადათობრივი სამართლიდან არის ნასესხები³. საკუთარი დებულებებისაგან დამოუკიდებლად ვახტანგმა თავის კომპილაციაში სამი ძველი ეროვნული იურიდიული ძეგლი და სამი უცხოური კოდექსი შეიტანა. რად დასჭირდა კანონმდებელს ასეთი დიდი მოცულობის კომპილაციის შედგენა, თუ იგი კანონის ძალას მხოლოდ საკუთარ სამართლის წიგნს მიაწერდა და მხოლოდ მას თვლიდა სავალდებულოდ სასამართლო პრაქტიკისათვის?

ქართული სამართლის მკვლევარი ჰ. როლდაკი სპეციალურად ჩერდება ამ საკითხზე და მსჯელობს შემდეგნაირად. ვახტანგის წინასიტყვაობებიდან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ კანონმდებელს კომპილაციის მიზნად არ მიაჩნდა ისეთი ნორმების დაწესება, რომლებიც აბსოლუტურად სავალდებულო უნდა ყოფილიყო მოსამართლისათვის, მეფის საკუთარი სიტყვების მიხედვით მოსამართლეს ამ ნორმების დახმარებით უნდა მიეღო რჩევა-დარიგება თანამდებობრივი მოვალეობის სწორი შესრულებისათვის. ვახტანგის პოლიტიკური მდგომარეობაც

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, 118.

² 204. მუხლის დანართი.

³ Hólldack, Zwei Grundsteine zu einer Grusinischen Staats- und Rechtsgeschichte, 1907, S. 92. როცა აწესებს სისხლის ფასს სხვადასხვა წოდების მიხედვით, კანონმდებელი ამბობს: «ეს სისხლის განაჩენები რაც დაგვიწერია ძველად დადებული დაგვიწერია, თორემ სხვისა არა დაგვირთავს რა» (ვახტანგის სამ. წიგნის 34. მუხლი).

არ ყოფილა ისეთი, რომ მას შესძლებოდა ამგვარი საერთო-საველდებულო აბსოლუტურად იძულებითი კანონების გამოცემა (Auch lag es wohl nach der politischen Lage nicht in der Macht Wachtangs derartig allgemein gültige und unbedingt zwingende Gesetzesbestimmungen zu erlassen...). ეს უფრო მეტად შეეხება იმ ნორმებს, რომლებიც ხალხის შეგნებასთან, მის სულიერ განწყობილებასთან შეთანხმებული არ იყო. მაგრამ ვინაიდან ვანტანგის საკუთარი კანონი მეტწილად ძველი ადათობრივი სამართლიდან იყო წახსენები და თანაც მეფე მას, კომპილაციის სხვა ნაწილებსაგან განსხვავებით, მთელი თავისი ავტორიტეტით ამავრებდა და მხოლოდ მას ანიჭებდა კანონის ძალას (... indem er ihm ausschliessliche Gesetzeskraft beilegte), უნდა მივიღოთ ის დასკვნა, რომ კოდექსის ეს შემადგენელი ნაწილი მაშინ საქართველოში ნამდვილად გამოიყენებოდა, ე. ი. მაშინ მოქმედი სამართალი იყო (dass er damals geltendes Recht war)¹.

მაშასადამე, ჰოლდაკის აზრით, საველდებულო ძალა ჰქონია მხოლოდ ვანტანგის მიერ შედგენილ სამართლის წიგნს, როგორც იყო კრებულში შემავალი სხვა ქართული ძეგლების იურიდიული მდგომარეობა? ჰოლდაკი ფიქრობს, რომ ეს ძველი ქართული კანონმდებლობა, სხვადასხვა დროს შედგენილი, ვანტანგის ხანაში, ცხადია, ნაწილობრივად მოძველებული იყო და მას, რამდენადაც ის ვანტანგის საკუთარ კანონს ეწინააღმდეგებოდა, იურიდიული ძალა დაკარგული ჰქონდა. აქედან ცხადია, რომ, თუ ეს ძველი ნორმები ვანტანგის მიერ დადგენილ ახალ კანონს არ ეწინააღმდეგებოდნენ, სასამართლოს შეეფლო მათი გამოყენება თავის პრაქტიკაში; ამის აღიარება კი ნიშნავს, რომ ძველი ქართული სამართალი ნაწილობრივად ცოცხლობდა და დამხმარე სამართლის სახით შინც განაგრძობდა მოქმედებას. რაც შეეხება ეროვნულად უცხო ელემენტებს — სომხურ, ბერძნულსა და მოსეს კანონებს — მათაც ჰოლდაკი დამხმარე სამართლის მნიშვნელობას მიაწერს (... so dass auch diesen Gesetzen der Charakter einer Art von Hilfsrecht zuzuerkennen ist)²; მოსამართლის თავისუფალ მოსაზრებაზე იყო დამოკიდებული, შეუფარდებდა იგი თუ არა უცხოური სამართლის ნორმებს, როცა ვანტანგის სამართლის წიგნი სათანადო ნორმას არ შეიცავდა³.

ჰოლდაკი მიუთითებს დაყენებული საკითხის სიძნელეებზე. მისი სიტყვით, იურიდიული კრიტიკისა და ახსნა-განმარტების ყველა საშუალების გზით მთელი კოდექსიდან გამოყოფილი სამართლის სისტემა მოგვეცემდა მხოლოდ მეფე ვანტანგის დროის იურიდიული ცხოვრების დამახინჯებულ სურათს (ein unwahres Zerrbild), კიდევ რომ შესაძლებელი იყოს ცალკეული ნაწილების მრავალ

¹ Op. cit. 92, 93.

² იგივე აზრი გამოთქვა თავის დროზე Haxthausen-მა: ვანტანგის კრებულის მოსეს, ბერძნული და სომხური კანონები გამოიყენება საქართველოში მხოლოდ როგორც დამხმარე სამართალი (Hilfsrecht) და ისეთი შემთხვევებისათვის, რომელთა გადასაჭრელად მისი კანონი საკმარის არაა. Transcaucasia, II, 1856, 282.

³ ibid. 97.



წინააღმდეგობათა შეთანხმება; მიუხედავად ამისა, პოლდაკი მაინც ამბობს, რომ ვაჩიშვილი გამოყვით ეროვნულად უცხო ელემენტები და ვახტანგ VI კოდექსის სახელის ქართული სამართლის გადმოცემას საფუძველად დაუდგიათ მეფის საკუთარი კანონები, ხოლო გიორგი V, აბოხუას და კათალიკოსის კანონებს მივაკუთვნოთ დამატებითი, შევსებითი ნორმების (ergänzende Normen) მნიშვნელობა, მაშინ შესაძლოა მივიღოთ სწორი წარმოდგენა იმ ხანაში მოქმედი ქართული სამართლის შესახებო¹.

ასეთია პოლდაკის აზრი, ზემოთ დაყენებული საკითხი შესაძლოა შემდეგნაირად ვადაიქრას:

1. ვახტანგ VI თავისი კრებულის ყველა ნაწილს თანაბარ ძალას ანიჭებდა; მოსამართლეს ჰქონდა უფლება გამოეყენებინა ის ნორმები, რომელნიც მას უჩვენებდა მიაჩნდა. ამ ვარიანტს თათქოს სამართლის წიგნის წინაპიტყვაობა აღსატურებს.

2. ვახტანგი საგაღდებულო ძალას მხოლოდ თავის საკუთარ სამართლის წიგნს ანიჭებდა, როგორც ადგილობრივი, ეროვნული ცხოვრების თავისებურებებთან ყველაზე უფრო შეთანხმებულს. ასეთია 204. მუხლის დანართის აზრი.

3. შესაძლოა კიდევ ერთი ვარიანტი: ვახტანგს საკუთარი სამართლის წიგნი მიაჩნდა საგაღდებულოდ, მაგრამ ამავე დროს იგი მოსამართლეს აძლევდა კრებულის სხვა ნორმების შეფარდების უფლებას ისეთ შემთხვევებში, რომლებიც მისი კანონებზე გათვალისწინებული არ იყო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არსებული მასალების საფუძველზე შეიძლება მივიღოთ უკანასკნელი ვარიანტი: მეფე ვახტანგი საკუთარ დებულებას საგაღდებულო ძალას ანიჭებდა როგორც ყველაზე უფრო შეგუებულს ქართულ ყოფაცხოვრებასთან; რაც შეეხება სხვა იურიდიულ ძველებს, ისინი, დადებითი სამართლის და მხმარე წყაროს წარმოადგენდნენ². ამგვარად მოქმედი სამართალი მხოლოდ და მხოლოდ ვახტანგის დებულებით არ ამოიწურებოდა; ვახტანგის დებულება სარგებლობდა უპირატესობით, მაგრამ სასამართლოს ჰქონდა კომპილაციის სხვა ნორმების შეფარდების უფლება, თუ ამის სა-

¹ ibid. 102.

² კარსტის აზრით, მთავარი ძალა აქვს ვახტანგის საკუთარ სამართლის წიგნს— „C'est le code de Vakhtang proprement dit (Code V), qui figure dans l'intention du législateur royal, comme norme ou loi suprême, destinée à primer ou dominer non seulement les anciennes codifications nationales—géorgiennes, mais a plus forte raison encore les lois ou coutumes d'infiltration et récéption exotique“. Code géorgien du roi Vachitang VI T. I¹ p. 15.

რაც შეეხება სხვა ნაციონალურ ძველებს, მათ კარსტი უწოდებს „la matière subsidiaire de premier degré“, რომელსაც ძალა აქვს იმდენად, რამდენადაც იგი გაუქმებული არაა ვახტანგის სამართლის წიგნით.

ხოლო უბრალოდ ვინაობს კარსტი უწოდებს: le droit subsidiaire ou supplétif de second degré, რაც ნიშნავს იმას, რომ კოლიზიის შემთხვევაში იგი გამორიცხული იქნება ეროვნული კანონებით: „Il est primé, supplanté et éliminé en cas de concours ou



ჭიროება მოითხოვდა. ვიდრე მეტიც, როგორც შემდეგში დავინახავთ, მისი მხარე ძლიერ გამოყენდა ფართო შემოქმედების უნარი ახალი ნორმების შექმნის საკუთარი წინადადებათა და კერძოდ ძველი იურიდიული ინსტიტუტების გამოკვლევისა და შეფასებისას მკვლევარი ხშირად უნებლიეთ იყენებს თანამედროვე მეცნიერებაში მიღებულ ცნებებს, შორეულ წარსულში მან გააბაძეს ის შეთხოვები და შეზღუდვებები, რომლებიც ახლანდელი ცხოვრების ნაყოფს შეადგენენ; მეცნიერულად კვლევაძიების დროს კი საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე და კრიტიკული გასინჯვა ამგვარი წინასწარ შეუქმავებული ცნებებისა. შესალოდ ამ გაით შევსლებით ჩვენ განვანხორციელოთ მეცნიერული გამოკვლევის ამოცანები და მივიღოთ ნამდვილი, კონსტრუქციული წარმოდგენა წარსული ცხოვრების მოვლენებზე.

თანამედროვე იურიდიული პროცესებისათვის სრულიად გავგებარია, რომ ვახტანგს, რომელმაც საკუთარი სამართლის წიგნი შეადგინა, მიეცა მოსაშრომლისადაც უფლება ეხელმძღვანელა აგრეთვე სხვადასხვა ისტორიულ საფუძვრზე აღმოკვნიებული და სხვადასხვა ხალხის ყოფაცხოვრების პროცესებით გამოწვეული იურიდიული ნორმებით. ჩვენი დროის სამართლის ძველსაზრისით ეს გოვლად დაუშვებელი კენებოდა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ის, რაც ვერ თავსდება ახლანდელი მეცნიერული ასტევისა და მტკმედი სამართლის ცნებების ჩაბრთხში, ძველად დასაშვებია და მისაღები იყო.

ამაზრის დასამტკიცებლად, რომ ისტორიული პრობლემების გარკვევისათვის თანამედროვე საზომები ყოველთვის ვერ გამოდგება, მოვყვანოთ კიდევ ერთი ადგილი ვახტანგის კანონების შეხვალადან. ვახტანგს შეგნებულა აქვს, რომ მისი დებულებს უნაკლო არაა, რომ არის ბევრი შემთხვევა, რომელსაც მისი კანონები არ ითვალისწინებენ და ვერც ვაითვალისწინებდნენ, ვინაიდან კანონებს არ შეუძლიათ ამოწერონ ცხოვრების სიმდიდრე და მრავალსახეობა; სამართლის წიგნში ყოველთვის ექნება ადგილი ხარვეზებს და მან სასურველად შეაჩინა, რომ კანონმდებლობის ნაკლებობა შეესვებულ იქნას ახალი, მისგან გაუთვალისწინებელი მასალით. ჩვენ საკაროდ გცნობთ მოვიყვანოთ აქ ეს შესანიშნავი სიტყვები, სადაც ვახტანგი ძველ კანონმდებლთათვის უჩვეულო აავმდებლობით აღნიშნავს, რომ მის მიერ შედგენილ სამართლის ძეგლს აქვს თავისი ნაკლი; მეფე-სჯულმდებელი ამბობს: "შე ეს წიგნი ასრუ არ დამწერია, არც ვიჩემებ, რომე არა აკლდესრა: ბევრი ასეთი სწივრები არის და

collison par la matière subsidiaire de premier degré", ე. ი. ვითოგი ბრწყინვალის, შეკავალბლას და კათალიკოსის კოდექსებით (იქვე).
 ანგვარად, საკლდებული ძალის (la validité) თვალსაზრისით, კარსტი ვახტანგ VI კანონმდებლობის მოელ მასალას ჭეჭს სამ მაწილად:
 1. ვახტანგ VI საკუთარი დებულება.
 2. დანარჩენი ეროვნული კოდექსები, რომელთაც აქვთ სუბსიდიარული ძალა (ბირველი ხარისხის, de premier degré).
 3. უცხოური კოდექსები, რომელთაც აგრეთვე აქვთ სუბსიდიარული, დამატებითი ძალა, მაგრამ მეორე ხარისხისა (de second degré).



მოგვა, რომ ზოგი ვერ მოვიგონეთ და არც მისწუდებოდნენ. ცის გონება, ვინც მიხჭიდეს რასმე და მოიგონოს ჩაურთოს, და ჩასწეროს კარგსა და მართებულსა იქსა¹.

უკანასკნელი სიტყვების აზრი არც ისე ნათელია, როგორც პირველი შეხედვით გვეჩვენება. ვახტანგი ამბობს: „... ვინც მიხჭიდეს რასმე და მოიგონოს ჩაურთოს და ჩასწეროს კარგსა და მართებულსა იქსა“. ვის გულისხმობს კანონმდებელი ამ სიტყვებით? ჩვენის აზრით, პირველ ყოვლისა იმ პირებს, რომელთაც უხდებოდათ ნორმების შეფარდება სინამდვილის ამათუი კონკრეტულ ფაქტებთან, ე. ი. მოსამართლეებს. მოსამართლეებს ეძლევათ უფლება მათი მოღვაწეობის პროცესში შეიმუშავონ ახალი ნორმები, ახალი საშართალი. ესეც ფეოდალური სამართლის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. მართალია, XIX საუკუნის დამლევს გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ჩვენ გვხვავთ თავისებურ მიმდინარეობას, რომელიც ცნობილია როგორც „თავისუფალი სამართლის მიმართულება“ და რომელიც ცდილობდა გამოეყვანა მოსამართლე კანონის გიწრო ჩარჩოებიდან და რომის პრეტორის მსგავსად მიენიჭებინა მისთვის შემოქმედებითი როლი. მაგრამ ეს იყო თეორიული მიმდინარეობა, პრობლემის დაყენება და მისი გადაჭრის ცდა, ფეოდალურ სამართალში კი მოსამართლის ფართო თავისუფლება წარმოადგენდა პოზიტიური სამართლის, სასამართლო პრაქტიკის უცილობელსა და საუკუნეთა განმავლობაში გამტკიცებულ ფაქტს.

აქ უნდა მოვიყვანოთ ერთი მოსაზრება, რომელიც, ჩვენის აზრით, რამდენადმე მაინც უჭკს ჰენს და არკვევს დაყენებულ საკითხს. თუ ვახტანგი დასაშვებად სცნობდა ხარვეზების არსებობის შემთხვევაში სამართლის ახალი ნორმების შექმნას, მით უფრო მისაღებია, რომ მისი შეხედულებით შესაძლო იყო კოდისკოს სხვა ნაწილებში (ჯარდა მისი საკუთარი სამართლის წიგნისა) მოთავსებული ნორმების გამოყენება და სასამართლო პრაქტიკაში შეფარდება. პირველი, რასაკვირველია, უფრო შორს მიდის და უფრო მეტ უფლებას ანიჭებს მოსამართლეს, ვიდრე მეორე. ვახტანგი ეუბნება მოსამართლეს: უკეთუ შენ აღმოაჩინე ჩემს სამართლის წიგნში რაიმე ნაკლულობა — მას ექვი არ ეპარება, რომ ასეთი რამ მოხდება — შეგიძლია შეიმუშავო ახალი ნორმა და შეიტანო იგი სამართლის წიგნში; ვახტანგი რომ ნამდვილად ანიჭებს ასეთ უფლებას მოსამართლეს — ეს, როგორც უკვე ვნახეთ, უდავო ფაქტია. თუ ეს ასეა, არავითარი სიძნელე არ ელობება წინ იმის დაშვებას, რომ, ვახტანგის თვალსაზრისით, მოსამართლეს შეეძლო გამოეყენებინა უკვე არსებული და ხანგრძლივი ავტორიტეტით აღჭურვილი, მაგრამ კრებულის სხვა ნაწილებში შეტანილი ნორმები. იბადება საკითხი: რა შემთხვევებში? საფიქრებელია, რომ იმავე შემთხვევებში, ე. ი. როცა კანონმდებლობას ემჩნეოდა ხარვეზი, მაშასადამე, ვახტანგის საკუთარი სამართლის წიგნით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში.

¹ იქვე.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ კანონმდებლის მოწოდება ავინც ვერცხვავს რასმე და მოიგონოს ჩაუთოს და ჩასწეროს, მსოფლიო კანონმდებლობის ტორიასი იშვიათ მაგალითს წარმოადგენს. 204. მუხლის დანართში კანონმდებელი უბრუნდება იმავე საკითხს; აქ იგი მიმართავს მოსამართლეს სიტყვებით; «...რომელმან უმჯობესი საბრძნით თვისით ჰპაოს იგი ჩართვით თვისვე თქმულად, სად ენებოს მუნ დაწეროს და იგიც ეგოს». მოსამართლეს შეუძლია თუ რასმე უმჯობესს აღმოაჩინოს, ჩაუთოს სამართლის წიგნში; ოღონდ კანონმდებელი მოითხოვს, რომ ეს ახალი ჩანაწერი არეული არ იქნეს ძველ ტექსტთან: «...რომელმან შრძენმან და გულს ხმის მყოფელმან მოსამართლემან აღმოკვეთისათვის ქრთამთა და მიუღლომელობითონ მოყვასთა და თვალუხვავად სჯათა წვრთილებისათვის იმდღეღარათ წიგნი ესე და მოიძავოთ და ინებოთ შეცვლა სამართალთა სხვებრ რათმე, ამას ნუ ჰყოფთ, ნუცა გარყვნით წერილთა ჩვენთა, რომელი აღგვეწეროს». თუ ვინმეს არ მოეწონა ამ წიგნში მოთაყსებული კანონები და მან მოინდომა მათი შეცვლა სხვა რამეთი, ნუ იზამს იმას, ნუ შერყვნის, დაანახნჯებს ჩვენ მიერ დაწერილსაო — ამბობს მეფე; «ხოლო რომელმან, დასძენს იგი, არა ისმინოს ვედრება ესე და მოშალოს სამართლები ჩვენი სხვებრ შეცვალნეს ცოლიათა ჩვენთა მიერ იგიმცა დაისაჯებისა»¹.

საინტერესოა ის, რომ რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ საქართველოში არა ურთულეს მიუმართავთ მთავრობისათვის შუამდგომლობით მეფე ვახტანგის კანონების გაუქმების შესახებ (იხ. ფრენკელი, VII, VIII). ბაგრატიონ-მუხრანელი ამგვარ შუამდგომლობის მიზეზად თვლის ვახტანგის დებულების არასწორ გამოყენებას სახელმწიფო დაწესებულებების მიერ, რომელთაც არ ჰქონდათ მიცემული კრებულის სხვადასხვა ნაწილის მნიშვნელობისა და ძალის ანსნა-განმარტება და რომელნიც მათ უფარდებდნენ სრულიად თვითნებურად, რაც აუცილებლად იწვევდა არაე-დარეგასა და დაბნეულობას სასამართლო პრაქტიკაში («...прилагали их по выбору своему совершенно произвольно, отчего неминуемо должны были водвориться самая разнообразная практика и замешательство в судебном управлени») ², მაგრამ მთავრობა

¹ დ. ნუბინა შვილის ქრესტომატია, 437.

² ბოროზდინი თავის მოგონებებში სამეგრელოსა და სვანეთის შესახებ ამბობს შემდეგს: «ჩვეულებითი სამართალი, ჩაწერილი მეფე ვახტანგის მიერ წარსულ საუკუნეში და არეული მოსეს და ადბუღას კანონებთან ერთად, წარმოადგენდა კრებულს, რომელსაც თავის დღეში არა ჰქონია საკანონმდებლო კოდექსის მნიშვნელობა, ამას მხოლოდ მოსამართლენი ხმართბდნენ საქმის გარჩევის დროს სხვადასხვა ცნობების ამოსაკრებად... ამ „კანონების“ თავტანის გაგება ძნელი იყო, ამიტომ დიდი სიფრთხილით უნდა მიგვემართა მათთვის, სხვა საიდან რა უნდა გვეშველნა საქმისათვის? მთელ თხუთმეტ ტომიანა „კანონთა კრებას“, თავისი დამატებებით, საწყალ მეგრელებთან ვერ გამოვიყენებდით. ამიტომ იძულებული ვიყავით, ფურცარივით, ცოტ-ცოტა ყველგან მოგვეკრიფა სახელმძღვანელოდ და, განსაკუთრებით, გზა არ უნდა აგვევლო სად გონებისათვის» (სამეგრელო და სვანეთი. 1934, გვ. 269, 270).

ბოროზდინი კარგად ანსიათებს რუსეთის მართლმსაჯულების დაბნეულობას ანლად შემოერთებულ სამეგრელოში, მაგრამ მას არ ესმის ვახტანგ VI კანონმდებლობის ისტორიული როლი და მნიშვნელობა. რაც შეეხება სად გონებას, რომლითაც რუსი მოხელენი ხელმძღვანელობდნენ, ადვილი ვასაგებია, თუ რა პოლიტიკური გზის გამტარებელი იქნებოდა იგი.



მაინც მერყეობდა; მას ვერ გადაეწყვიტა ერთბაშად გაუქმება კანონმდებლობისა, რომელიც ქვეყნის ძირითად კანონად ითვლებოდა; მთავრობის გაუქმებამა ამ საკითხში უმთავრესად აიხსნებოდა იმით, რომ თვით საგანი არ იყო საქმარად შესწავლილი: კრებულის სხვადასხვა ნაწილები ერთ მთლიანად იყო მიჩნეული; სხვადასხვა დროისა და ქვეყნის კანონების განსხვავებას თვით კანონმდებლის წინააღმდეგობას მიიწოდებენ.

საბოლოო რეფორმის წინა დროის სასამართლო პრაქტიკამ ვახტანგ VI-ის კანონების შეფარდების საკითხში მიიღო შემდეგი დებულებები:

1. ვახტანგის კანონები გამოყენებულ უნდა იქნან სამოქალაქო საქმეების საწარმოებლად, ხოლო სისხლის სამართლს საქმეებში შეფარდებულ უნდა იქნან რუსეთის იმპერიის კანონები.

2. ქართული კანონების გარკვეულობის შემთხვევაში სამოქალაქო საქმის გადაჭრის დროს შეფარდებულ უნდა იქნან ქართული კანონები და არა რუსეთის კანონთა კრებული (Сводъ законов).

3. ადგილობრივ კანონთა გაურკვევლობას შემთხვევაში შეფარდებულ უნდა იქნას იმპერიის საერთო კანონები.

4. შვედ ვახტანგის კრებულიდან სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს პირველი წიგნით; ე. ი. საკუთრივ ვახტანგის დებულებით¹.

ამგვარად, ვახტანგის სამართლის წიგნის ნორმები განაგრძობდნენ მოქმედებას საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, მაგრამ ძალადი დარჩა მხოლოდ სამოქალაქო სამართლის ნორმები. რაც შეეხება ვახტანგის დებულებაში მოთავსებულ სისხლის სამართლს კანონებს, ისინი გაუქმებული იყო უკვე 1801 წლის ბრძანებულებით, სადაც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საქმეები განიხილულ უნდა იქნან რუსეთის იმპერიის კანონების მიხედვით².

III

ვახტანგის კანონმდებლობაში ასახულია ფეოდალური საზოგადოება ყველა თაისი დამახასიათებელი თვისებით; ეს არის სავსებით ჩამოყალიბებული წოდებრივი საზოგადოება, დაყოფილი რამდენიმე მკვეთრად განსაზღვრულ ფენად, რომლებიც ერთმანეთისაგან სხვადასხვა უფლებრივი მდგომარეობით განიზივნებიან.

სახელმწიფოს სათავეში დგას მეფე-სიუხერენი; რომელსაც კოდექსი უთანაბრებს კათალიკოსს; ამეფის და კათალიკოსის საქმე უკადრისი თუ რაც რამფერი ორისავე სწორი არის; ამიტომ რომ ერთი ხორცის ხელმწიფე არის და მფორე სულისა, კურთხევა და პატივიც დუთისაგან და კაცთაგანცა სწორე აქქსთა (ვახტ. სამ. წიგნის 25. მ.). თავადები და აზნაურები დაყოფილია სამ-სამ ჯგუფად, სასულიერო წოდება შვიდ საფეხურად არის დაყოფილი, ვაჭრები კი ოთხ ფენად. სახელმწიფო შენობის უმდაბლეს საფეხურს შეადგენს გლეხობა, რომელიც მამაგრებულია მიწაზე და სისხლის საწლათის მხრივ ყველაზე ნაკლებად არის შეფასებული. დანაშაულის ჩადენის დროს ბატონობს სისხლის დაურ-

¹ Френкель, Предисловие, IX, X.

² №30, 382: „В Грузии уголовные дела судить по законам Российской империи, а гражданские по обычаям грузинским и по уложению, изданному царем Вахтангом“.

ვეების წესი, რომელსაც სამართლის ისტორიკოსნი ჩვეულებრივად „სისხლის სისტემას“ უწოდებენ. დაურეგბის სისტემას ახასიათებს მკაფიოდ გამო-სახული წოდებრივი საწყისი, რომელიც თავიდან ბოლომდე თანმიმდევრობით არის გატარებული; დიდებული თავადის სისხლი უდრის 1536 თუმანს, მის ტოლად შეფასებულია მთავარ-ეპისკოპოსის სისხლი; შუა თავადის სისხლი უდრის 768 თუმანს, მასთან გათანასწოებულია ეპისკოპოსის სისხლი; მესამე ხარისხის თავადის სისხლი უდრის 384 თუმანს. „ვადილებულის აზნაურ შვილის“ — 192 თუმანს, შუა აზნაურ-შვილის — 96 თუმანს [მასთან გათანასწოებულია „დიდებული დიდ-ვაჭარი მთქალაქე“], მესამე ხარისხის აზნაურის — 48 თუმანს (ანასთან გათანასწოებულია მღვდელი და მეორე ხარისხის ვაჭარი); ვახტანგის სამართლის წიგნი გლახობიდან ცალკე ფენად გამოყოფს მსახურებს, რომელთა სისხლი უდრის 24 თუმანს (მათ ტოლად შეფასებულია მთავარ-დიაკვნის და მესამე ხარისხის ვაჭრის სისხლი); ყველაზე ნაკლებ სახლად იღებს გლეხი, რომლის სისხლი უდრის 12 თუმანს, გლეხთან გათანაბრებულია მეოთხე ხარისხის ვაჭარი. როგორც ვხედავთ, კომპოზიციების მთელი სისტემა აგებულია მარტივ საფუძველზე: საზოგადოება შედგება რამდენიმე იერარქიულად დაქვემდებარებული ჯგუფისაგან და ამ იერარქიის ყოველი ზემდგომი ფენის სახლადური ქვემდგომი ფენის სისხლის ორკეც ოდენობა წარმოადგენს; ამგვარად, სისხლის ფასი მექანიკურად, არითმეტიკულად არის გამოანგარიშებული, რასაც თვით კანონმდებელი აღნიშნავს 33. მუხლში: „... ეს ასრე არის გარიგებული, გლეხის სისხლზე ერთი ორად მსახურისა არის. მსახურზედ ერთი ორად ცალ-მოგვის აზნაურ-შვილისა; ცალ-მოგვზედ ერთი ორად შუას აზნაურისა არის. შუა-აზნაურზედ ერთი ორად დიდი აზნაურისა. დიდს აზნაურზედ ერთი ორად დაბალის თავადისა, დაბალს თავადზედ ერთი ორად შუა თავადისა, შუას თავადზე ერთი ორად დიდებულიისა. სხვა საღათო კაცისა და ვაჭრისა თანუწერია. მეფისა, კათალიკოზისა და უფლის-წულისა არა დაგვიწერია რა“.

კანონმდებელი მიუთითებს, რომ ამ ფასების დადგენაში მის რაიმე შემოქმედება არ გამოუჩენია, მან თავისე სამართლის წიგნში შეიტანა ის ნორმები, რაც უკვე ძველად არსებობდა; ეს სისხლის განაწილები რაც დაგვიწერია ძველად დატებული დაგვიწერია, თორემ სხვისა არა დაგვიწერია რა“ — ამბობს კანონმდებელი (34 მ.); უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ნორმები, რომლებიც სულაურების საკითხს აწესრიგებენ, ვახტანგს ძველი ქართული ადათობრივი სამართლიდან პქონდა წასესხები.

ღებულება, აწესებს რა სისხლის ფასს სხვადასხვა წოდებისათვის, არა-ტერს ამბობს მეფის, კათალიკოზისა და უფლის-წულის შესახებ: „მეფისა, კათალიკოზისა და უფლის-წულისა არა დაგვიწერია რა“ — ამბობს 33. მუხლი; ასეთ შემთხვევაში უძველესად მოქმედებდა სახელმწიფო ხასიათის სასჯელი; კანონმდებელი განსზაბს არაღერს ამბობს ამგვარ დანაშაულთა იურიდიულ შედეგებზე; იუსტილი კანონისა იმის მიჩვენებულია, რომ იგი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივად მიღებულ გზებს — კონტრაქტ საჩლადურებს — ამგვარ შემთხვევაში დაუშვებლად სცნობს.



ვახტანგის სამართლის წიგნი აგრეთვე როგორც მეტად მძიმე დასჯის საშუალებას უყურებს მამის მიერ შვილის, ან შვილის მიერ მამის მოკვლას: «თუ მამამ შვილი მოკლას ან შვილმან მამა, მავისი სისხლი და სამართალი არ დაიწერებოდეს და სჯულის კანონით უნდა გარიგდეს» (მ. 78); იმავე ადგენს ძმის მკვლელობის შემთხვევისათვის: «თუ ძმამან ძმა მოკლას არც მისი სისხლისა ვიცით, ჩვენთან დიდ მძიმე არის და თქვენ იცით; მაგრამე, თუ შვილი ჰყავს, სისხლი და ნახევარი გაუწინდების, და კათალიკოზისა იმან იცის...» (მ. 81); ასევე — «თუ ძმამან დაჰ მოკლას ან დამან ძმა მოკლას ჩვენ იმისი სამართალი არ ვიცით მისი მეფემ და კათალიკოზმან იციან» (მ. 82).

ვახტანგის კანონები ითვლისწინებენ დაწვრილებით ანაზღაურების ტარიფებს სხეულის დაზიანების, დაშავების და ჭრილობის მიყენების შემთხვევაში (43—49 მმ., 264—267 მმ.).

ორივე თვალთ მხედველობის უნარის დაკარგვა, ორივე ხელის ან ფეხის მოქმედების დაკარგვა გათანასწორებულია სიკვდილთან და ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებულია „მთელი სისხლი“, დაზარალებულის გვარის მიხედვით — „რასაც გვარისა იყოს“ (44 მ.); ცალი თვალის დაშავება უდრის სისხლის ერთ მესამედს, ასევე ცალი ხელის ან ფეხის ისეთი დაშავება, როცა სხეულს მოქმედების უნარი აქვს დაკარგული; თუ დაშავებულია არა მთელი ხელი, არამედ ერთი თითი, ხაზლაური უდრის მთელი ხელის ფასის ერთ მეხუთედს; ფეხის თითი ხელის თითთან გათანასწორებული არაა, მისი ფასი უდრის უკანასკნელის ნახევარს; კბილი საზღაურის მხრივ გათანასწორებულია ხელის თითთან¹.

აქაც, რა თქმა უნდა, წოდებრივი თვალსაზრისისა გატარებული; აი, რას ამბობს ჭრილობის შესახებ 49. მუხლი; ასხვა ჭრილობისა ასრე არის: ტანზედ, მკლავზედ, ბარკალზედ და წვივზედ, თუ რასაც ადგილს კაცი დაიჭრას დაუშავებლად; თორემ დაშავებისა ხომ დაგვიწერია, ის ჭრილობა ქერის მარცვლით გამოზომონ, რამდენიც ქერის მარცვლის ზომა დადგეს მარცვალზედ ერთი ზროხა გლენისა არის დადებული. ზროხა ორ მინალთუნათ ჩაგარდების, მსახურის ქერის მარცვლის ჭრილობაზედ ოთხი მინალთუნია. ცალ-მოგვ აზნაურზედ რვა მინალთუნია, შუას აზნაურზედ თექვსმეტი მინალთუნია, დიდ აზნაურს შვილზედ სამი თუმანი და ორი მინალთუნი, დაბალს თავადზედ ექვსი თუმანი და ოთხი მინალთუნი, შუას თავადზედ თორმეტი თუმანი და რვა მინალთუნი, დიდებულზედ ოცდახუთი თუმანი და ექვსი მინალთუნი...» ამავე საკითხზე ვახტანგის კანონები მოსამართლეს აძლევენ შემდეგ სახელმძღვანელო ზოგად დაროებას: მოსამართლემ ესეც უნდა იცოდეს, თუ რას ასოს და როგორს ჭრილობას რა სისხლი აქვს და ან როგორი საქმისათვის რა სისხლი გაუწინდების, ამას ქვეით თან-უწერია და ისე გააჩნდეს, რასაც გვარისა იყოს ასრე მიაცემინებდეს» (43 მ.).

¹ დასავლეთ ევროპის ადრიაინი ფერდალიზმის ძველები შვიცავენ უფრო დაწვრილებით და უფრო განვითარებულ ტარიფებს სხეულის დაზიანების შემთხვევაში. ამ მხრივ საინტერესოა ანგლოსაქსების სამართლის დადგენილებანი (VI—XI სს.), ეთელბირთის კანონებით დაწესებული ვილჰელმ დამპყრობელის სამართლით გათავებული. იხ. R. Schmid, Die Gesetze der Angelsachsen, 1 Theil, 1852, განსაკუთრებით ალფრედის კანონები—von Wunden, გვ. 53—57.

ქონებრივი საზღაური დადგენილია ფულადი სახით, მაგრამ კანონმდებელი ანგარიშს უწევს იმ ფაქტს, რომ ქართლში ფული მცირე რაოდენობით ბრუნავს და ამ მოსაზრებნით აწესებს, რომ საზღაურის გადახდა შეიძლება საქონლით და სხვადასხვა ნივთებითა: გლეხის მკვლევლობისათვის, ამბობს კანონმდებელი, სამოცი ძროხა იყო გაჩენილი, მაგრამ ჩვენ თეთრად დავვიწერია, ქართლში მაგდენი თეთრი არ არის და ისრვე გლეხის კაციცა და მსახურის სისხლში ძროხა, ცხვარი, ცხენი, იარაღი და სახლის სახმარი: რკინა, რგალი ყველა დიპჩირვისა (მ. 18 ვახტ.); შემდეგ აღნიშნულია, თუ რა შეუძლიათ მიიღონ ფულის მაგივრად სისხლის ფასში აზნაურს და სხვადასხვა ხარისხის თავადს (მმ. 19—22. ვახტ.)

სამართლის წიგნი განსაკუთრებით გამოყოფს მკვლევლობას მოწამულით და აწესებს ამ დანაშაულისათვის ორჯერ სისხლის ფასს: „... მოწამულით მკვდარი კაცი სხვას კაცის ჯვლას არა ჰგავს, ამაღ რომე ერთმან ერთისშუღლით სიკვდილი სხვა არის, ფათერაკად სიკვდილი სხვა არის, მტერობის სიკვდილი სხვა არის; მაგრამ ეს მოწამლა ორ-ნომად სისხლად იგდება: ქრისტიანობით სამართლით ხელში ის მოწამლაე მიეცემის მოსისხარს“ (მ. 252); გარდა ორჯერი სისხლის ფასისა, კანონი მიუთითებს, რომ ქრისტიანული სამართლის მიხედვით მომწამლველი გადაცემულ უნდა იქნას მოსისხარის განკარგულებაში.

დაურებებ დაწესებულია სხვადასხვა დანაშაულისათვის: მკვლევლობის, სხეულის ღაზიანების (დაშავება და დაჭრა), ფიზიკური ძალადობის (ცემა, დარტყმა), ქალის მოტაცების, ცოლის მიტოვების, სახლზე და მამულზე თავდასასხათვის, ქურდობისათვის და სხვ. სისხლის ფასი ხშირად დანაწევრებულია: ნახევარი, მესამედი, მეოთხედი, მეხუთედი, მეექვსედი, ორი მესამედი, ხუთი მეექვსედი საზღაურისა (53, 54, 55, 56, 60, 84, 85 მუხლები ვახტანგის სამ. წიგნისა). საზღაურის დაწესებას იცნობენ აგრეთვე გიორგი V ძეგლის დადება (23, 24, 32, 33, 35 მუხლები და სხვ.) და ბექა-აღბულას კანონები (5 მუხლი და სხვა.).

არის შემთხვევები, როდესაც კანონმდებელი შეუძლებლად სცნობს საზღაურის დადგენას; ამგვარი შემთხვევები ჩამოთვლილია 4? მუხლში. სადაც აღნიშნულია ისეთი გარემოებები, როგორცაა მკვლევლობა „მებრისპირე მეომრისა“, თავისი დროშის მეომრის „უცნობლად“ მოკვლა; აუცილებელი მოგერება და სხვ.

გარდა ამისა, ვახტანგს გათვალისწინებული აქვს ქართლის პოლიტიკური ვითარება, სადაც იშვიათი არ იყო შემთხვევა, როცა ორი მოწინააღმდეგე პირი ერთმანეთს ხელისუფლებას ეცილებოდა, როცა მთელი სამეფო გაყოფილი იყო ორ მტრულ ბანაკად და აღვილი ჰქონდა თავდასხმას, მკვლევლობას, რბევას და სხვა ამგვარ მოქმედებას; ვახტანგი ითვალისწინებს ამ გარემოებას და აღგენს, რომ სამოლოოდ გამარჯვებულმა მხარემ დაძლეულს პასუხი არ უნდა აგებინოს ასეთი მოქმედებებისათვის: „ორ ბატონობასა და ორინობაში, ამბობს კანონმდებელი, ერთის მეორისაგანამისდობა, მოკლვა, აკლება, წართმევა და მოტაცება, დალაშქრვა არ იხსენების, არც გამოიკიდების, მტერი ყოფილან და გაყოფილნი და რაც ხელით გამოსლეთათ ერთავ ქვეყანა ურბევით და ბოლოს რომელსაც ბატონს დარჩეს ნულარ ათქმევს“ (მ. 176).



ქართული
ენების
სწავლის
სამეცნიერო
ცენტრი

ქონებრივი საზღაურის საკითხს აწესრიგებენ აგრეთვე გეგმა-აღბულის კანონების დანაშაულის კონკრეტული შემთხვევების კონკრეტული განმარტებით; გეგმა-აღბულის კანონებში შესაბამისი საზოგადოებრივი წყობა არაა იხილი დანაშაულებრივად, როგორცაა ვახტანგის სამართლის წიგნში განსაზღვრული, მაგრამ, რასაკვირველია, ისიც წარდებრივობის საფუძველზეა დამყარებული; გეგმა-აღბულის კანონები ითვალისწინებენ აზნაურის, თანამდებობის პირის, გლეხის, ვაჭრის მკვლელობას, დანაშაულებას, ჭრილობის მიყენებას; შ. მუხლი აღგენს, რომ სისხლის ფასი ვაჭარბილი უნდა იქნას გვარის მიხედვით; განსაკუთრებით საყურადღებოა გეგმა-აღბულის კანონების დანართი, სადაც ხშირად გვხვდებით სისხლის დაურევებას და, რაც ყველაზე უფრო საგულისხმოა, სისხლის დაურევება ზოგჯერ უკავშირდება საეკლესიო ხასიათის სანქციას, წყევლა-კრულვას (მუხლები 104—132, 134—151, 161—169. ამ მუხლებით გათვალისწინებულია მოავალგვარი დანაშაული: მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ცემა, შეურაცხყოფა, დაშტურება, თავდასხმა, გაძარცვა, ქურდობა, ტყუილი დასმენა და სხვა.

გიორგი V ძეგლის დადება ითვალისწინებს ერისთავის, განმგებელის, სუვის ბერის, ჰეროვანის, მშობელის, ძმის მკვლელობას, სხეულის დაზიანებას, შეურაცხყოფას და სხვ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ვახტანგის და გეგმა-აღბულის კანონებში გამოხატული საზოგადოებრივი წყობა ბევრად უფრო რთულია და უფრო ხალხს დგას შედარებით გიორგი ბრწყინვალის ძეგლში მოცემულ წყობილებასთან: უკანასკნელი ძეგლი შეიცავს ადათობრივი სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც მთიულთა ჩამორჩენილ ყოფაცხოვრებას ეხებოდა და მას აწესრიგებენ; ეკონომიური ურთიერთობანი აქ უკრძვრობით განუფიქრებელია, რაც საკმაოდ მტკიცდება თუნდაც იმით, რომ გიორგის კანონები კრძალავენ პროცენტის აღებას (მ. 46). აღბულის კოდექსი და ვახტანგის სამართლის წიგნი კი გულისხმობენ შედარებით განვითარებულ სევაჭრო ურთიერთობებს: საათაბაგოს გეოგრაფიული მდებარეობა, მისი სიანლოვე შავი ზღვის სანაპიროებთან და ქართლ-კახეთის მდებარეობა აღმოსავლეთის საეპრო გზებზე, ცხადია, ხელს უწყობდა სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრების გართულებასა და განვითარებას; აღბულის კოდექსი აწესებს 20% წილიწადში და კრძალავს მხოლოდ პროცენტს პროცენტზე (მ. 95), ვახტანგის დებულება კი კანონიერად თვლის 12% (მ. 125); დიდვაჭრის სისხლი, როგორც აღნიშნულია იყო, ვათანასწორებულა გეორგ ბარის ხის აზნაურის სისხლთან (მ. 30).

ნამივე სამართლის წიგნის მიხედვით სახელმწიფო იმყოფება იმ საფეხურზე, როცა ბატონობს ეკრეთწოდებული კომპოზიციების სისტემა; როგორც გიორ-

1 მეტად საინტერესოა ვახტანგ VI კრებულში შეტანილ ეროვნული კანონების არაქართულ კოდექსებთან შედარება იმ მიზნით, რომ გამოჩვენდეს იქნას ნათი მოთხოვნა და განსხვავება: ვახტანგულ იქნას ის ბაჯადი იდეები და საფუძველები, რომლებიც მათთვის ან სავრდია ან განმანათლებელი. ეს ამოცანა იმდენად რთულია, რომ სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს. აქ ჩვენ მას მხოლოდ რამდენიმე სიტყვით შევჩვენებთ.

ვახტანგ VI კრებულში მოთავსებული სომხური სამართალი ორი ნაწილიდან შედგება: პირველ ნაწილი, 1—150 თავის შემკველი, წარმოადგენს სირიულ-რომაული სამართლის თარ-



ვის ძველის დაღება, ისე აღბეჭდას და ვახტანგის კანონები გწესებენ შტურეშის
ზღაურებს მკვლევლობისა და სხეულის დაზიანების შემთხვევაში, რასაკვირველია,
ღმინაობელბულის წოდების და სოციალური მდგომარეობის შესაბამისად („რასაც
გვარისა იყოს“, „მის გუარსა ზედან“), კომპოზიციების დაწესების გზით სახელ-
მწიფო ცანონებს შტურედოს სისხლის აღების უძველესი ინსტიტუტის მოქმედ-
ბა, აღაგმოს ცალკეულ პირთა თვითნებობა, და დააყაროს ერთგვარი მზი-

გმანს. ხოლო მეორე ნაწილი (152—431 წაგი) XII საუკუნის დამლეგს მხოთარ გოშის მიერ
შედგნილი „სომხური სამართლის წიგნის“ დადამუშავებას შეადგენს (იხ. ბროფ. მელიქსე-ტ-
ბეგი, სამართალი სომხური, 1927, წინასიტყვაობა; XIII, IX); ვახტანგ VI-ს ამ ძველის თარ-
გმანში ზოგიერთი ცვლილებები და დამატებანი შეუტანია. (იხ. ბროფ. მელიქსე-ტ-ბეგი, დასბ.
ნაწილი 245, აგრეთვე Katsi, Code géogien du roi Vakhtang VI, 1934, II, p. 10, 11. „...la
version, de Vakhtang diffère sensiblement de la teneur arménienne de Mékhithar et son
école... კარსტი ამ ვერსიას უწოდებენ... révisión ou modification des manuels juridiques
byzantino-arméniens...“ და ხნისი მას „par adaptation réelle du droit de réception grec-
byzantin au droit indigène Ibero-georgien...“ p. 13).

სომხური სამართლის ამ ორ ნაწილს შორის მათი დიდიმადრი სხვაობები — თვალსაზ-
რისით არსებითი განსხვავება: პირველში, ესე იგი სირიულ-რომაული სამართლის ვერსიაში,
გარკვევით აღიარებულია საჯარო პირნიცაი სისხლის სამართლის დარღში (თავი 104 კრძა-
ლავს ქურდის „უხელმწიფოდ“ მოკვლას და წაბდენას; თავი 105 კრძალავს შურისძიებას და
„სისხლის ოსოებას“); მეორე ნაწილი, ესე იგი მხოთარ გოშის მიერ შედგნილი სამართლის წიგნი
(152—413 გვ.), პირიგთა; უფართოესი მოცულობით პოიარებს კომპოზიციების სისტემას ამის
დასამტკიცებლად დავასახელებთ იმ მუხლებს, სადაც ქონებრივ სახალურთა გადანდის წესობ
დადგნილი; ამ წესს იუვალისწინებენ შემდეგი მუხლები: 152, 165, 169, 172, 173, 174, 175,
176, 177, 178, 179, 180, 185, 192, 203, 210, 211, 212, 213, 216, 221, 231, 234, 281, 290
372, 382, 383, 385, 386, 388, 414, 415, 416, 431. ყველა ამ შემთხვევაში დადგნილია გონებ-
რივი სახალური, როგორც ვხედავთ, ამ მხრივ სამართლის ორ შემადგენელ ნაწილს შორის
სრულტ შეუსაბამობა: ისინი ორ სხვადასხვა, მთწინააღმდეგე პირნიცაის განსახევენ. უნდა
აღვნიხნობთ ისიც, რომ მხოთარ გოშის სამართლის წიგნის ქართულ თარგმანში წოდებრივი
საწყისია გატარებული (თუ ქონსტიანმა ვაჟმა ქტორი დედაკაცი მოატყუოს და გააწილოს,
უნდა შეირთოს ცოლად, თუ სხვა ცოლი არა ყუანდეს. თუ სხვა ყუანდეს, მას დედაკაცს საწ
უბატო მიხცენ და როგორც შეეძლოს ვარსივაც ვარსიხადოს და თუ დედაკაცი დიდსახლი
იყოს, მასაც მასთან მამუნტავი ვარსიხა ვარსიხადვიონთა (მ. 178. იხ. აგრეთვე 348, მუხლი).

ყუროდებენ დირსია, რომ სომხური სამართალი აღიარებუ პირადი, ინდივიდუალური
მასუნიხმებლობის საწყისს სისხლი სამართლის დარღში; ეს საწყისი განილაქმულია 170, 277
მუხლებში: 170. მუხლი: „მუნდმან განცეს ფაგისის დანაშავერის პასუხი და მას გარდაბდეს,
და შეილთან და მმასთან ხელი მუ ატეო ყველქ თავისის დანაშაულზე განიკიონის და მოკუ-
ლების და მისი შეილა მის დანაშაულისათვის არ უნდა დაჩაგრონ და საბატრონი მამისა შეილს
უნდა მისცენ: 277. მუხლი იმავე პასუხი გამოატევენ: „არ მოიკულის მამა შეილის მაგიერ და
არცა შეილა მამის მაგიერ, თუთავს ცოლდისათვის თვლთამოკუდენა“. ამ სიტყვებში ანკარად
ჩანს განვითარებული რომაულ-ბერძნული სამართლის ბგავალები; თქმეცა ებრაელთა სწორთა-
ლექ იმავე საწყისს აღიარებენ მტვერე საელო, XIII, 161. პირადი, მასუნიხმებლობის საწყის-
სა სომხურ სამართალში უხტად და თანამიმდევრულად დაცული არაა, ვინაიდან ზოგ შემთ-
ხვევაში იგი თუანის შეკრებულ ვკისრებს მასუნიხმებლობას უფროსის მიერ ნადგნილი
დანაშაულისათვის. (დენიწ წაიდეს პატრონთა საქმეულთა საქმეულად, თუ უხუაღლო
აგის თალი მისიხარონ ანუ ხალი მასქან და ცოლი და შეილი მისი და საქმეული სახელ-
მწიფოლ განთარგან... მ. 152; იხ. აგრეთვე 413. მუხლი: „ცოლი და შეილი მისი და საქმე-
ულთა სახელმწიფოლ განთარგან...“). უნდა ითქვას, რომ საერთოდ, რანდნადაც ჩვენ ვივნიობთ
სხვადასხვა მალხთა ისტორიულ განვითარების ფაქტებს კომპოზიციების სისტემა წარმოადგენს



დობიანობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პირველყოფილი სისხლისგანუხსნელური ხასიათისა; სახელმწიფო თავისი არსებობის უკვე პირველ საფეხურზე მიზნად ისახავს ჩააყენოს ეს შურისძიების მისწრაფება გარკვეულ ფარგლებში, დაუდვას მას ზღვარი, ვინაიდან მას ჯერჯერობით არ ძალუძს მისი სრული მოსპობა. საზღაურის აღება თავდაპირველად ნებაყოფლობის ხასიათს ატარებს, მაგრამ შემდეგში, როცა სახელმწიფო ძლიერდება, იგი სავალდებულო ხდება და დაზარალებულს უკვე არ აქვს უფლება მიმართოს შურისძიებას¹.

ვახტანგის კრებულის სხვადასხვა ნაწილების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასში ასახულია სახელმწიფოებრივი განვითარების ის საფეხური, როდესაც ქარბობს ქონებრივ საზღაურთა სისტემა. ამავე დროს სისხლის აღებასაც დათმობილი აქვს ერთგვარი არე: ეტყობა, სახელმწიფოს არ შესწევს ძალა, რომ საბოლოოდ აღმოუხერხოს ეს ძველისძველი, პირველყოფილი საზოგადოების ინსტიტუტი: კანონმდებელი იძულებულია დაუშვას იგი ზოგიერთ წინასწარ გათვალისწინებულ შემთხვევებში. ასეთია, მაგალითად, ვიოგვი V ძეგლის დადების შემდეგი მუხლების შინაარსი: «აკვან თუ კაცსა ცოლი წაართუას, იგი ცოლ წაუჭრილი კაცი რასაც ვის ემტეროს ერთს წლამის, დაიწუას, მოტაცებასა, დარბევასა, არა მიუფასოს, რა რიგად წაუღოს სისხლის ქნისაგან მეტი და ერთს წელიწადს უკან რას ემტერების, იგიც მიეფერების, ნახევარ სისხლის დაურევება მართებს მათს გუარსა ზედა ცოლის წაგურისათვის და სისხლისა მიეფასების...» (მ. 22). მაშასადამე, კანონით დაშვებული იყო შურისძიება ცოლის მოტაცების შემთხვევაში, ხოლო შურისძიების ვადად დანიშნულია ერთი წელი, მეორე წლისათვის კი ნახევარი სისხლის დაურევება. შურისძიე-

ისეთ ფაქტორს, რომელიც ხელს უშლის პირადი პასუხისმგებლობის პრინციპის წმინდა სახით გატარებას; გარდა ამისა იგივე სისტემა ბრალის იღვის განვითარებასაც აბრკოლებს, ვინაიდან პირადი პასუხისმგებლობის და სუბიექტური შერაცხვის იდეები ისტორიულად და ლოგიკულად ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

რაც შეეხება ვახტანგ VI კრებულის მეორე შემადგენელ არაქართულ იურიდიულ ძეგლს—ბერძნულ კანონებს, იგი, როგორც რომაული სამართლის მეშვეობით, რასაკვირველია, საჯარო საწყისებზეა აგებული (94. მუხლის ძალით, შეურაცხყოფის შემთხვევაშიც კი დაზარალებულს არა აქვს უფლება შეუჩიოდეს დამნაშავეს ანაბლურების მიღების გზით, ვინაიდან საქმე უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ. 134. მუხლი კბძალეს თვითნებობას). პირადი პასუხისმგებლობის იდეა თანამიმდევრულად არის გატარებული, რასაც მოწმობენ 20, 312 და 377 მუხლები (20 მუხლის თანხმად, ძირალი ევისრება პირადად დამნაშავეს და არა მის ნათესავებს; 312. მუხლი აღგენს, რომ ქურდის შვილები პასუხს არ აკებენ ძამის დამნაშაულისათვის; იგივე აზრია გამოთქმული 377. მუხლში).

ამ მოკლე გადმოცემიდან მათლდ ჩანს, თუ რამდენად განსხვავებულია ის ძირითადი ცნებები, რომლებიც ვახტანგ VI კრებულის სხვადასხვა—როგორც ქართულ, ისე არაქართულ ელემენტებს ეკუთვნის.

¹ საზოგადოებრივი ცხოვრება თავის განვითარებაში ზაიფლის შემდეგ საფეხურებს: 1. სისხლის აღება, კერძო შურისძიების პერიოდი; 2. კომპოზიციები, რომელთაც აქვთ ნებაყოფლობითი ხასიათი; 3. ლეგალური, ე. ი. სავალდებულო კომპოზიციების პერიოდი და 4. სახელმწიფო სასჯელთა პერიოდი, იხ. Girard, Manuel élément. de droit romain, 1911, p. 393.

ბის უფლებების საკითხს აწესრიგებენ აგრეთვე იმავე ძეგლის 26, 30, 44 და 45 მმ. 26, და 30. მუხლები ითვალისწინებენ ცოლის მოტაცებას, ხოლო 44, და 45. მუხლები — ქურდობას; ქურდობის შემთხვევაში გიორგის ძეგლი აღდგენს, რომ თუ საქონლის პატრონი ზედ დაესხას მას შეკობრესა, დამსხმელი არა პქუიან...» (45 მ.). იმავე საკითხს ეხება ბექა-აღბუღას ვოდქსი; ბექა-აღბუღას კოდექსის 1. მუხლი იძლევა მეტად საგულისხმო დებულებას: შუროსძიება შეურაცხყოფილი პირის მხრივ დაშვებულია, სანამ არ მიუსწობენ ჯაყელის ან აწყურის მღვდელ-მთავრის მსახურნი ღვთისმშობლის ხატიო და იქამდის მიყენებული ზარალი არ ჩაითვლება სისხლის ფასში, ხოლო როცა აღნიშნული პირები გამოცხადდებიან ხატიო, ყოველივე შუროსძიება უნდა შეწყდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში შუროს-მაძიებელს დაედება გადასახდელი, განსაზღვრული აწყურის მღვდელმთავრის შეურაცხყოფისათვის, დაზიანებული ან გატაცებული კი ჩაითვლება სისხლის ფასში. იგივე ძეგლი აღდგენს, რომ თუ ჯავიან კაცს ჯვარ-გაცვლილი საცოლე წამ-გვაროს, დაზარალებულს არ აქვს უფლება მოითხოვოს ფულიანი ანაზღაურება, მაგ-რამ ქმარმა უნდა დააკმაყოფილოს თავისი მეტოქე და ამით შეწყვიტოს შემდგომი მტრობა; როგორც ვხედავთ, აქ კანონმდებელი თავის ამოცანად ისახავს მოსა-ლოდნელი შუროსძიების წინასწარ აცილებას (მ. 39), 40. მუხლი პირდაპირ ანი-ჭებს დაზარალებულს შუროსძიების უფლებას იმ პირის მიმართ, რომელმაც უსა-ფუძლოდ დააბეზლა იგი მთავრის წინაშე; დამზებლებელი მოვალეა აუნაზღაუროს მას მიყენებული ზარალი და გარდა ამისა მას დაედება სასჯელი სასამართლოს გარეშე, რადგან, კანონის სიტყვით, ასეთი საქციელი უფრო მძიმეა, ვიდრე და-ლატი მთავრის მიმართ; თუმცა მთავარს შეუძლია საქმე გადასცეს გამოსაკვლე-ვად სასამართლოს.

თვით ზანტანგის დებულება კიდევ უფრო შორის მიდის სისხლის აღების შეზღუდვის საქმეში: შეიძლება ითქვას, რომ იგი კატეგორიულად კრძალავს მას, ერთი ინეც, ამბობს ვანტანგი, უწყოდეს მოსამართლემ, რომე რა დიდი საქმე და დიდროანს კაცში სიკუდილი და რავინდა რა სისხლი მოხდეს, ერთი მეორეს მოყვრობით, მოხმარებას და მიშველებას მეფე და კათალიკოსი ნუ აქ-ნევიანებს, ნურც ერთს მეორის რბევას დააწყებინებს და ნურც ვინ მოინდომებდ, თორემ მიმშველისა ასაბნის და მარბიელის კაცის დაგვიწერია და ისე ჩაივლის და არც შერჩების, რა ამგვარი საქმე ქვეყანაში მოხდეს, ასრე უნდა მათ შუა ხელმწიფემ კაცი დაუყენოს, ერთმანერთზედ არლა მიუშვან, კიდევ სიკუდილი და ღვთის საწყენი საქმე აღარ იქმნას რაჲ, ან რბევა არ დაუწყონ, გლხი და მა-ბული არ მოეთაროსთ...» ორივე მხარე უნდა დაიბარონ, გულდასმით გამო-იკვლიონ საქმე და ისე გამოიტანონ გადაწყვეტილება ან ფიცის დადების ანდა სისხლის საზღაურის გადახდევინების შესახებ; კარგად უნდა იქნას გამოკვლე-ული, „ნდომითა“, თუ „უნდომით“ ჩადენილი დანაშაული (მ. 24), როგორც ვხედავთ, კანონმდებლის მიზანს შეადგენს სისხლის აღებისა და შუროსძიების აქტების წინააღმდეგ ბრძოლა, და მეტად საინტერესოა ის, რომ კანონი აქ მკვეთრად ასხევეებს ნდომით და უნდომით ჩადენილ ქმედობას, ე. ი. აქცევს ყურადღებას მოქმედების სუბიექტურ მხარეს (რუნულ თარგმანში ეს ადგილი გადმოთარგმულია სიტყვებით „умышленно ли преступление сделано или не-



უმჯობესებულა¹⁾ ამაგვარად, დებულება ყველა ქმედებას სუბიექტური აქტების ტიპის თვალსაზრისით აყოფს ორ დიდ ჯგუფად: 1. განზრახ ჩადენილი დანაშაული, 2. დანაშაული ჩადენილი განზრახვის გარეშე. ჩვენ აქ არ შეგნებდებით ბოლოელის საკითხზე, ვინაიდან იგი შეადგენს სპეციალური გამოკვლევის საგანს და შემდეგში იქნება განხილული. ჩვენ ახლა გვინტერესებს განტანვის კანონმდებლობის ის ადგილები, სადაც იგი ვადამწვევტ ბრძოლას უცხადებს შერისპიების გამოვლინებებს. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ვახტანგის დებულების 173. მუხლი, რომელიც კრძალავს ყოველივე თვითნებობას: „ქვეყანაში ამისა ყადაღა ხელმწიფისაგან უნდა იყოს და არი; რომე რაგინდა დიდი საქმე სისხლი და ვალი ემართოს, ერთი მეორეს ნურც მოსტაცებს, ნურც დაიხუთავს; თუ ვისმე კართული ქონდეს, ან ხელმწიფეს შემოსივილოს, ან მისს მდივანბეგსა და მოსწართლესა და ისრე თავისი საქმე გაარღოს, თორემ თავისთავად ვინც ან შოიტაცოს რამე, ან დაიხუთონ ექვსი თუშანი სახელმწიფოდ ჯარისა გამოილოს და წანართმევიც პატრონს ისევ მიეცეს. სახელმწიფო ხელისუფლებას საცემბით შეგნებული აქვს თვითნებური აქტების დაშუგებლობა და 173. მუხლი გამოხატავს კანონმდებლობის მისწრაფებას ჯარუნეღყოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების მშვიდობიანი წესრიგი. 173. მუხლი გვაძლევს თვითნებობის შეფიქრად ჩამოყალიბებულ, ზუსტ განსაზღვრას.

აქვე უნდა დავასახელოთ 95. მუხლი ვახტანგის სამართლის წიგნისა, სადაც გამოთქმულია ის აზრი, რომ დასჯის უფლება ეკუთვნის მხოლოდ ხელმწიფეს: „... ხელმწიფოდ კაცს თავისის ყმისა სიკვდილი და გახვებრება არა ვის ხელმწიფების, რომელიც ნაც გვარი სასიკვდილო და ან გასახვებრებელი დანაშაული ქონდეს, ხელმწიფეს მოახსტნოს და იმის დასტურით უყოს...“ კანონმდებელი, როგორც ვეინავთ, გამოთქვამს მეტად საგულისხმო შეხედულებას სახელმწიფო ხელისუფლების დანიშნულებაზე: მართლმსაჯულების განხორციელება უნდა შეადგენდეს მხოლოდ ხელისუფლების საქმეს და პატრონს არა აქვს უფლება მძიმე სასჯელი შეუფარდოს თავის ყმას რაიმე დანაშაულისათვის; „თავისი ყმისა სიკვდილი და გახვებრება არავის ხელმწიფებისა — ამ სიტყვებში მოცემულია დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის იდეა, რომლის ცხოვრებაში გატარება იმდროინდელ პოლიტიკურ პირობებში, რასაკვირველია, შეუძლებელ ამოცანას წარმოადგენდა.

მუხედავად წემით მოყვანილი მუხლებისა, რომლებიც მიმართულია მშვიდობიანი და მოწყობილებული საზოგადოებრივი ცხოვრების განხორციელებასა და უდავოდ პროგრესულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ვახტანგის დებულება შეიცავს ზოგიერთ ნორმებს, რომლებიც, მართალია, სუსტად, მკროალად, მაგრამ მაინც გამოხატავენ ძველი წესწყობილების ზეგავლენას და მოქმედებას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ვახტანგის სამართლის წიგნის 36. მუხლი, რომელიც ლა-

¹⁾ Орешкол, 12.

²⁾ წარს. ამ ადგილს თარგმნის: „Mais s'il le poursuitant a un Catholien pour debiteur...“ (tu visme l'art d'elles grandes). Tl. 1 211. კანონის აზრის ასეთი ინტერპრეტაცია მეტად სწავია.



პარაკობს იმ შემთხვევაზე, როცა ვინმე ჩაიდენს მკვლელობას სისხლისსავე წინააღმდეგობა და ასეთი შემთხვევისათვის აწესებს სისხლის ფასის ურთიერთ, შეფარდებებს და ჩათვლას; ... ეს წამართები სისხლიც, იმბობს კანონი, გაუსინჯეთ და იმ ახლოს მკვლარს სისხლიც გაუწინჯეთ, შეადარეთ, რაც წამართებმან სისხლმან შეიფარდოს ჩაართინეთ და რაც შეტი დარჩეს მიაცემინეთ. (მუხ. 35). დაახლოვებით იმავე სასიხისად 60. მუხლის წინააღმდეგ, რომელიც აგრეთვე ითვალისწინებს სისხლს აუტეხა მოტივით ჩადენილ ჩასაფრებში მკვლელობას; კანონის ნიტყვით, აქაც უნდა იქნას ერთმანეთთან შეფარდებული ორივე პირის ურთიერთ მოთხოვნები და გამოკვლების გზით დადგენილი სისხლის ფასი; მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში კანონი უმატებს მთელი სისხლის ფასის ერთ მესხუთედს „მუხთლად სიკვდილისათვის“; ... ვასინჯეთ კარვად, ვინ იცის იმ დამდგომან კაცმან მოკლას მისი საქმე და ამისი შეადარდეთ, და რაღაცა სჭირდეს აუგი იმ მკვლელს იმას გამოდით და სხვა სისხლი მოსცეს და მუხთლად სიკვდილისათვის კიდევ სისხლის მეხუთედის მოსცეს და თუ იმ მიმავალმან ის დამდგომი მოკლას ნახევარი სისხლი გაუწინჯეთ (მ. 60); მიმავალი იხდის მხოლოდ ნახევარ სისხლის ფასს.

ზოგჯერ ვხვდებით წარმებს, რომლებიც კმელობის ჩადენის განსაკუთრებული გარემოების მიხედვით გაძლეურობულ საზღაურს აწესებენ; კანონი ანგარიშს უწევს დამართლებული პირის თანამდებობრივ მდგომარეობას, დანაშაულის ჩადენის ადვილს, დროს და სხვა პირობებს¹. ვატანგის სამართლის წიგნის 51. მუხლი ითვალისწინებს სასულზე თავდასხმას; თუ სახახლესა და ცოლ-შვილში კაცს კაცს მიუხდეს, დაესხას რაც მოკლას და ან დაჭრას, ოროლი სისხლი მისცეს, რასაც გვაოისა იყოს და წანადებიცა და თუ არა მოკვდესო და დაიჭრას, დაჭრილობისათვის ორი სისხლი და შინდომისათვის ერთი მთელი სისხლი მისცეს; თუ მიხდომიში დედაკაცს შვილი მოსწყდა მისთვისაც მთელი სისხლი მისცეს, და თუ მიმდომი და ან ასახია მოკვდეს ან დაიჭრას, მისი სისხლი არ არის.

ვინც თავს დაესხმის გლეხს, რომელიც მისი ბატონის ახლოს ცხოვრობს, მკვლელობის და დაჭრის შემთხვევაში უნდა გადაიხადოს ორკაცი სისხლი და წანადებიც დაუბრუნოს (მ. 52).

გარდა ამისა გათვალისწინებულია თავდასხმა სახლისა და ოჯახის გარეთ, მაგრამ პატრონის მამულში; თუ უსასახლოს და უცოლ-შვილოდ სხვას თავის მამულში იყოს და ისრე, მიუხდეს და დამხდომი მოკვდეს სისხლი და სისხლის მესამედი მოსცეს, ისრე ჭრილობისათვის, წანადებისაც შემოვებო და თუ მიხდომი და ან მისი ასახია მოკვდეს სისხლის ნახევარი მიტეცს (მ. 53). 55. მუხლი ვატანგისსამ. წიგნისა ითვალისწინებს აგრეთვე თავდასხმას ქორწილის, ნათლობის ან მწუხარების, უბედური შემთხვევის დროს; თუ კაცი ასეთს დროს მამულის მოსარბევად და საავოდ მიუხდეს, რომ ან ქორწილი, ან ნათლობა და სხარული ჰქონდეს, ან ქირის დღე და მწუხარება დამართებოდეს და ამ და-

¹ შეადარე გერმანული სამართლის „Sonderfrieden“. Brunner, Deutsche Rechtsgeschichte, 1892, B. II, S. 580.



მართებულმან კაცმან უწყინოს და მივიდეს და მამულში მომხდომი შემთხვევების სისხლის მეექვსედი დააკლონ და თუ მამულის პატრონი მოკლედეს მთელი სისხლი და მთელი სისხლის მესამედი მიხდომისათვის მისცეს... იგივე წესია დაჭრილობის შემთხვევაშიც. მაგრამ კანონი აქაც ატარებს წოდებრივ თვალსაზრისს და ამბობს: «თუ ამ გჭირი საქმე უმცროსს უფროსმან კაცმან უყოს დათმობა მართებს, ხოლო, თუ არ დასთმო და მიხდომი კაცი მოკლა, მთელი სისხლი უნდა მისცეს, ამიტომ რომ უფროსობის პტივი არ დაუძს»; უკეთუ მამულის პატრონი მიხდომმა უფროსმა კაცმა მოკლა, მთელი სისხლი დაერთი მეოთხედი უნდა გადაიხადოს (მ. 56). 50. მუხლი ლაპარაკობს სასაფლაოზე თავდასხმის შესახებ: «... თუ სასაფლაოში მყოფი მიხდომიან მოკლას, და სასაფლაოაღც ესეები უყოს, რომელიც ზეით დაგვიწერია (სასაფლაოს დარბევა. ა. ვ.), მისი სამი სისხლი მისცეს ერთი საფლავისათვის, ერთი სიკვდილისათვის, ერთი მიხდომისათვის და წანადებიც უკლებად, აგრევე ჭრილობისა და თუ არა მოკლას და არცარა საფლავს ჰკბნოს და არცარა დაჭრას, ერთი მთელი სისხლი მიანიც მისცეს, დედა-წულთ არევისათვის; თუ მიხდომი ან მისი ასაბია მოიკლას, თუ დაიჭრას მისი სისხლი არ არის; ასეთი დანაშაულისათვის დაწესებული სამკეცი სისხლი, თუ მას შედევად მოყვა მკვლელობა ან დაჭრა, და თუ არც მკვლელობა და არც ჭრილობა მოყოლია — ერთი სისხლი, ვინაიდან თავდასხმამ რჯანის შემფოთება გამოიწვია, მისი მკუდროება დაარღვია. ბეჟა-აღბუღას კანონები ითვალისწინებენ ეკლესიაზე თავდასხმას და მის ვაძარცვას 102—115 მუხლებში და ყველა ასეთ შემთხვევაში აწესებენ საზღაურის გადახდას. კანონი სპეციალურად იხსენიებს დანაშაულის ჩაღენას ლაშქრობაში: «ლაშქრობაში თუ ან ცხენი, ან იარაღი, ან ტანთსაცმელი, ჯაჭვი, აბჯარი მოჰპაროს თავად დიდი სირცხვილია, ერთი ესე რომე უმტროდ და შეუბმელად და დაუნარჩუნებლად მუხთლად იარაღი აყრია, აუგი დასდებია და მეორე ესე, თუ ომი მოხდა იმ ლაშქრობაში უიარაღობით მკუდარი შეიქნების, ამისთვისაც ამის ქურდმან მონაპირავიც შვიდეულად მისცეს და სისხლის ნახევარიცა» (მ. 152). როგორც ვხედავთ, ქურდობა ლაშქრობაში განსაკუთრებით მძიმე შედეგს იწვევდა. ლაშქრობა დიდი მნიშვნელობის სახელმწიფო საქმეა და ამიტომ კანონი კრძალავს ლაშქრობის დროს მესაკუთრის მიერ გამოცნობილი ცხენის ან იარაღის დაბრუნების მოთხოვნას; თავისი საკუთრების დაბრუნება პატრონს შუამწყალში შეუძლია, მაგრამ «ამ ერთს ალაგს ეს არ იქნებისო, ამბობს ვახტანგის სამართლის წიგნი: მაშინ რომე ხელმწიფე ერთს შეპირისპირეს მტერზედ ან ქვეყანის მოსარბევლად ერთის კვირის სალაშქროზედ რომ მიბრძანდებოდეს; მაშინ რომ კაცმან კაცის ხელში იცნას რამე ნუ წაეკიდების, ამიტომ რომე ცხენი არის, თუ იარაღი ყველა თავის ფიქრით იქნების, და ახლა ამ კაცის ჩამოკვეითება და იარაღის აყრა ერთის მეორის მოშლა არის, მერმე შუღლი მოსდევს და მაშინ ჯარისათვის არ ვარგა, ასრე იქნას მოწამე დაიჭირონ ამ ცხენს, ამ იარაღს ვიჩირო თქო, და იმ ერთს კვირას უკან მოსამართლესთან შეიყარნენ და ისრე გარიდენა» (მ. 158). აღბუღას კოდექსი ლაშქრობის დროს შეურაცხყოფისათვის აწესებს გადასახდელს 4000 თეთრის რაოდენობით (მ. 130).



ზოგ შემთხვევაში ქურდობა ჩადენის ადგილის მიხედვით კვალიდებოდა. ხეს დებულობს და საჯარო სასჯელს იწვევს; ასეთია, მაგალითად, ქურდობა „საპატრიოტ ადგილსა“; აღბუღას კოდექსი ამბობს: «ესეცა იტოდით, უმეფოსა და უდიდებულესის კაცისაგან თვალთა დაწვას არაგინა ღირსა, ისიც ასრე, რომე ან ღიდი სალარო, ან ეკლესია, ან ჯოჯი, ან ღალატი ქნას» (მ. 153). ზემოთ ჩვენ ვხატეთ, რომ აღბუღას კოდექსის ზოგიერთი მუხლის მიხედვით ეკლესიის გამარცხისათვის დადგენილი იყო საზღაურის გადახდა (მ. 110 და სხვა.).

განსაკუთრებული გადასახადია დანიშნული თანამდებობის პირის მოკვლის ან დაჭრისათვის; ასეთ შემთხვევაში გვარობის სისხლს ემატება „სახელოს სისხლი“: «მაგრამე ზოგნი არიან ხელმწიფის მოხელენი საქვეყნოთ, თუ კარზედ გამრიგედ, იმათი სიკჳდილი და ქრილობა რომ მოხდეს ვასგანმე, იმათი სისხლბ დიდებულთანაცა სდის, თაუადთანაც და აზნაურთანაც. ვისაც ჟამში მოხდეს გვარობის სისხლს ვარეთად სახელოს სისხლიც ზედ დაურთონ და ისრე გაუჩინონ, ესეც არის თუ მოხელე, თუ სხვა ბატონისაგან წარვლენილი ყმა ბატონის სამსახურზედ მოუკლავთ, იმისი კიდევ მეტი არის» (34 მ.). დაახლოვებით ამავე შინაარსის დადგენილებას გვაძლევს ვახტანგის სამ. წიგნის 177. მუხლი, სადაც გათვალისწინებულია თანამდებობის პირის მკვლელობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს: «იქნების ხელმწიფემ, ამბობს ძეგლი, თუ მებატონემ ჯარი გაუსიოს თავის საბატონოში მოსარბეველად, ან კაცი კაცის დასაჭერად მიუსიოს და არ დამორჩილდენ, არც დაერბვიონონ, არც დაეჭვირვიონოს, იასაული ბატონის ბრძანების გათავებას ეცდები; ამაში ხელის გამოღება და ერთისაგან მეორის სიკჳდილი მოხდეს, თუ იასაული მოკჳდეს სისხლი და ნახევარი მისცეს და თუ ის დასაჭერი კაცი მოკჳდეს მისი სისხლი ნუ არის». ამ უკანასკნელ დადგენილებას, ე. ი. დასაჭერი ადამიანის მოკვლას, კანონი ასაბუთებს შემდეგი მოსაზრებით: შეიძლება თქვან, რომ თანამდებობის პირს დავადებულნი ჰქონდა ადამიანის დაჭერა და არა მოკვლაო, მაგრამ მკვლელობა დაზარალებულის წინააღმდეგობამ გამოიწვია — «ეგების თქვას ვინმე სიკჳდილი არ დაბარებოდაო, დაჭერა სთქმოდაო, მართალი არი არა სთქმია; მაგრამ თუ ხელს გამოიღებს და არ დაეჭვირვინების, მაშ სიკჳდილი მოაქვს» (177 მ.).

ვახტანგის სამართლის წიგნი აღნიშნავს აგრეთვე შუამავალის მკვლელობას და დაჭრას და ამგვარი დანაშაულისათვის «ორკეც სისხლს» აწესებს: «თუ შუამავალი მოკვდეს ბერი თუ მონაზონი, ქალი თუ კაცი, მოკითხული უნდა იქნას, თუ მართლის გამოჩენით ჩნდეს, რომ შუამავალი ყოფილიყოს და არც ერთის მომხმარო არ ყოფილიყოს სიკჳდილისა და ქრილობისაც ორ-კეცი სისხლი უნდა მისცეს, როგორიც სისხლი სდიოდეს»; მაგრამ თუ დაზარალებული რომელიმე მხარეს ეხმარებოდა, მაშინ ამ მხარეს უნდა მოეთხოვოს პასუხი — «და თუ მომხმარო ყოფილა რომლისამე, ვისაც მოხმარებოდეს მას ელაპარაკოს» (მ. 58); ანალოგიურ დადგენილებას შეიცავს ბექა-აღბუღას კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს მოჩუბარ მხარეთა გამზავებლის მკვლელობას ან დაჭრას და ადგენს ორკეც საზღაურს გვარის მიხედვით.



ყველა აქ დასახელებული დადგენილება საყურადღებოა იმ მკვლევარებისთვის, რომლებიც, როგორც კვიციანი, თავის შედგენად გაძლიერებულ პანუსინგებლობას იწვევდნენ; პანუსინგებლობის გადიდების საფუძვლად სხვადასხვა ფერმობაა აღებული; ასეთია დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო, დასარალებული პირის თანამდებობრივი მდგომარეობა, ან სხვა რაიმე თვისება (გამაყვებელი, შუამავალი). ზოგიერთ ადგილი განსაკუთრებული დაცვით სარგებლობდა; ეკლესია, სასახლე, სახლი, მიწისუფალი იყო ისეთ ადგილებად, რომელთა მკურდროების დარღვევა მომეტებულ სასჯელთან იყო დაკავშირებული; ამავე ჯგუფს ეკუთვნოდა ქუჩა-ღობა ლაშქრობის დროს, ლაშქრობის წესრიგში იმდენად იყო დაცული, რომ თვით შესაკუთრებს არ შეეძლო თავისი აღმოსწინელი ცხენის ან იარაღის მოახლოება და უნდა გადაედგა ლაშქრობის დამთავრებამდე.

მონასტერი მიჩნეული იყო სპეციალურად დაცულ ადგილად, რომლის ზღვრულზე ყოველი შურისძიება და შუღლი უნდა შეწყვეტილყო; მონასტრის კედლებში ხმლის ამოღებაც კი აკრძალულია; ამის საუკეთესო მაგალითს გვაძლევს შალვა ქვენიჭნველის გუჯარი, ლიოგვისის მონასტრისადმი მიძებული (1470 წ.), რომელშიც ნათქვამია: «და თუ შუღლი ვინმე იკადროს და მანვილი მადოს მონასტერსა შინა, ანუ კაცი დაპრას ანუ კიდევ სისხლი ადნოს, მისი ამაჯარი ეკლესიას შეიღებოდეს და თვით თუ კაცი ცემით და ჯღენით განაძებოდეს, დარბი გინდა უმართლე იყოს, მისი სამართალი წახლეს, აგრეთვე თუ მესიანლე მესიანლესა შეეყაროს, შორს უსაუბროდ აღსდებოდეს და თუ არა დასაკლავად გამოამატოს და ვეღარ მოკლას, სისხლისა ნახევარი გაეცუდდეს... ამაღ რომე აქა ხრმალისა ამოღებაჲ არ იკადრებოდა. და თუ მოკლას მისი სისხლი გაეცუდდეს და მოკლულსა სრული სისხლი დაუურვოსა. ამკვარად მესისხლე, რომელიც მონასტრის კედლებში მიმართედ და შურისძიებას, საზღაურის უფლებას კარგავდა („სისხლი მისი გაეცუდდეს“) და მოვალე იყო გადაეხდა სრული სისხლი.

დასავლეთ ევროპის ხალხთა შუა საუკუნეების საკანონმდებლო ძეგლები იცნობენ კომპოზიციების განვითარებულ სისტემას და უკანასკნელის გვერდით არსებობს სისხლის აღებაც, როგორც ნაშთი უძველესი, საგვარეულო წესჩვეულებებისა. ამის ერთ-ერთ მაგალითს გვაძლევს სალიკური ფრანკების სამართალი; მეოთხეების დინასტიის შეფეები ჯერ კიდევ მეტად სუსტნი იყვნენ, ხალხის ცხოვრებაში გერმანიის ძველ ადათებს მაგარი ფესვები ჰქონდათ გადგმული და ბუნებრივია, რომ ფრანკების საზოგადოებაში სამართლის, წესიერებისა და მშვიდობიანობის დამყარება სამწილო საკმევს წარმოადგენდა; მართალია, სისხლის აღების უფლება მიწმენელოვნად იყო შეკვეცილი; იგი არსებობდა მხოლოდ დანაშაულთა მცირე რაოდენობის შემთხვევებისათვის, ისეთი დანაშაულისათვის, რომელიც განსაკუთრებით მძიმე ხასიათს ატარებდა, მაგრამ როცა ერთ-ერთი ამ დანაშაულთაგანი იყო ჩადენილი, დასარალებული, რომელსაც არ ჰსურდა მიემართა სასამართლოსათვის, ინარჩუნებდა ძველ თავისუფლებას და იარაღით ხელში იცავდა თავის ინტერესებს. დასარალებულს ჰქონდა უფლება ამოეჩრია კომპოზიციასა და კერძო ომს შორის. მაგრამ კარო-

ლინგების დროს მდგომარეობა შეიცვალა იმ მხრივ, რომ კარლოს დიდმა ქვეყნის დებულო გახადა კანონიერი კომპოზიცია; 779 წელს გამოცემულ კანონმდებლობაში დაავალა გრაფებს დაეფიციებინათ მოდავე მხარეები, რომ მათ ხელი აიღეს შურისძიებაზე და რომ მშვიდობიანობა აღდგენილია; ვინც დაარღვედა შერიგების ფიცს, მას სამეფო ტრიბუნალი მიუსჯიდა მარჯვენა ხელის მოკვეთას, შემდეგ კი მას ქვეყნიდან გააძევებდნენ; ამგვარად კარლოს დიდმა მოდავე მხარეთა შერიგება იძულებითი წესით სავალდებულო გახადა („... et distringantur ad pacem, etiam si noluerint“)¹.

რას წარმოადგენს თავისი ბუნებით კომპოზიცია?

ჩვენ ვიცით, რომ იგი ქონებრივი საზღაურის გადახდაში გამოიხატებოდა². მაგრამ შეცდომა იქნებოდა იმის დაშვება, რომ იგი თითქოს თანამედროვე ქონებრივი ზარალის ეკვივალენტური ცნებაა. სამართლიანად აღნიშნავენ, რომ კომპოზიციის ოდენობის განსაზღვრის დროს, რასაკვირველია, ხელმძღვანელობდნენ მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოსაზრებით, ვინაიდან საზღაური ჩვეულებრივად მით უფრო მეტია, რაც უფრო მნიშვნელოვანია მიყენებული ვნება; მაგრამ თავისი წარმოშობით იგი მაინც შურისძიების უფლების გამოსყიდვას წარმოადგენს. კომპოზიციას აქვს უმთავრესად კერძო ხასიათი, რადგან მისი უდიდესი ნაწილი დაზარალებული პირის სასარგებლოდ მიდიოდა; იგი ენათესავება ანაზღაურებას იმ მხრივ, რომ შეადგენს კანონიერ ფასს, რომლის საფუძველზე დაზარალებული მხარე უარს ამბობს სისხლის აღებაზე; მაგრამ მაინც არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს მასში სრულიად არ იყოს საჯარო ელემენტი; მას რამდენიმედ საჯარო ელემენტიც აქვს და ეს მტკიცდება იმით, რომ განსაზღვრული ნაწილი (სალიკური სამართლის მიხედვით ერთი მესამედი) ეკუთვნის ხელისუფლებას, როგორც საზოგადოებრივი უშიშროების დამცველს.

კომპოზიცია შედგება ორი ნაწილისაგან: ერთი ნაწილი ეკუთვნის მომჩივან მხარეს და მას ეწოდება *faidus*, ეს სახელწოდება აიხსნება იმით, რომ შეუ-

¹ Thonissen, La loi salique 1882, 192, 193.

² იხ. Jacob Grimm, Deutsche Rechtsalterthümer, 1828, S. 640—680—Bussen.

სალიკური სამართალი (*Lex Salica*) კომპოზიციას ჩვეულებრივ შემდეგი ფორმულით აღნიშნავს: „Si ei fuerit adprobatum, dinarios... qui faciunt solidos... culpabilis iudicetur“. შეადარე *Lex Ribuarria*: „Si quis homo ingenuum Ribuarium interfecerit 200 solidos culpabilis iudicetur. Aut si negavit, eam 12 iurit“. VII (edidit R. Sohm, 1883). აგრეთვე *Lex Francorum Chamaavorum*: „Qui hominem ingenuum occiderit, solidos 200 componat, et exinde in dominico terciam partem componat“ (edidit R. Sohm, 1883). უფრო რთულ დადგენილებებს ენაზღაურობთ ვესტგუთების სამართალში — *Leges Visigothorum*, რომელსაც რომაული და აგრეთვე ებრაელთა სამართლის გავლენა ემჩნევა და რომელიც უფრო დიდ ადგილს უთმობს სახელმწიფო ხასიათის სასჯელებს და დანაშაულის სუბიექტურ მხარესაც აქცევს ყურადღებას (*voluntate, casu*); მაგრამ, რასაკვირველია, აქაც კომპოზიციებია მიღებული — „...Cauri solidos det“, „L solidos reddat“ და სხვ. (*Leges Visigothorum antiquiores*, edidit Kar. Zeumer, 1894. Libr. VI, VII...).

სახლიურთა დაწერილებით ტარიფებს შეიცავენ *Edictus Langobardorum*, *Leges Anglo-Saxonicae*, *Lex Burgundionum* და სხვ.



რაცხყოფილი პირი, ღებულობს რა კოპოზიციას, უარს ამბობს შუროსკრეფილში (faida); მეორე ნაწილს იხდინა მეფის, მთავრის სასარგებლოდ და იგივეს უწოდებენ ლია ისტორიაში როგორც fredus (fretus, fritus, fridus, fredum, freda)¹ გერმანული სიტყვისაგან Friede, ვინაიდან მას იხდიდნენ როგორც კომპენსაციას საჯარო მშვიდობიანობის დარღვევისათვის. Fredus გადახდის გზით დამნაშავე ხელახლა პოულობდა მშვიდობიანობას და უშიშრობას, რომელიც მან დაკარგა დანაშაულის ჩადენის გამო. ბელგიელი მეცნიერის ტონისენის სიტყვით, კომპოზიციის ის ნაწილი, რომელსაც fredus ეწოდება, მშვიდობიანობის ფასს წარმოადგენდა (La partie de la composition appelée fredus était le prix de la paix)².

საერთოდ მიღებული წესით, ფეოდალური პერიოდის საკანონმდებლო ძეგლები განსაზღვრავენ კომპოზიციის იმ ნაწილებს, რომლებიც ეკუთვნოდნენ კერძო პირს და ფისკალურ ორგანოს; სალიკური სამართალი, მაგალითად, აწესებს, რომ ორი მესამედი მიდის დაზარალებულის სასარგებლოდ, ხოლო ერთი მესამედი ეკუთვნის გრაფს (et de ipsa secundum legem quae debet duas partes ille cuius causa est ad se revocet, tertia parte grafio fredo ad se recolligat). ლუი გულკეთილის (Louis le Débonnaire) კაპიტულარი, გამოცემული 817 წელს, ანიჭებს რა ყალბ მოწმეებს უფლებას ხელის მოკვეთის მაგივრად გადაიხადონ საზღაური, ამბობს: Manus suas redimant; cuius compositionis duae partes ei contra quem testati sunt dentur, tertia pro fredo solvantur³. არის ზოგიერთი იშვიათი შემთხვევები, როცა fredus არ არსებობს, მაგრამ ეს მხოლოდ გამონაკლისია, საერთოდ წესით კი იგი ვებუდება როგორც კომპოზიციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. იმავე მოვლენას ადგილი აქვს რუსეთის

¹ „Sed et levioribus delictis pro modo poenae; equorum pecorumque numero convicti mulctantur. Pars mulctae regi vel civitati, pars ipsi, qui vindicatur, vel propinquis eius exsolvitur“. Tacitus, De situ, moribus et populis Germaniae, XII.

² Thonissen, op. cit. 205.

³ Thonissen, 210.

იხ. Brunner, Deutsche Rechtsgeschichte, B. I, 1906, § 22 (Fehde und Busse).

Schröder, Lehrbuch der deutschen Rechtsgeschichte, 1919, 86, 87; იგივე ნაშრომი, 1907 წლის გამოცემა, 81—83, 353—357.

Amira, Grundriss des germanischen Rechts, 1901, §§ 80, 81.

Pertile, Storia del diritto italiano, V, 1892, §§ 177, 178, 179.

Siegel Deutsche Rechtsgeschichte, 1886, §§ 168—172.

J. Grimm, Deutsche Rechtsalterthümer, 656.

სამართლის ისტორიკოსი ოსენბრიგენი კომპოზიციების შესახებ ამბობს შემდეგს: Solche Sühnverträge sind nicht etwa schweizerische Eigentümlichkeit, sondern Ausdrücke des germanischen Rechtslebens, das sich in Jahrhunderten von der Wassersäulen des Geisers auf Island bis zu den Quellen des Rheins entwickelte“. Osenbrüggen, Studien zur deutschen und schweizerischen Rechtsgeschichte, 1868, S. 12. ეს მტკიცდება სხვადასხვა გერმანულ ტომთა სამართალი — Leges Barbarorum — რომლებიც ზუსტად განსაზღვრულ ფულიად ჯარიმების ტარიფებს შეიცავენ.

გერმანული სისტემა ქონებრივი სახალურებისა ორდალივითან ერთად ვესტგუთებმა შეიტანეს ესპანეთში, სადაც VII საუკუნეში შედგენილ იქნა Lex visigothorum, liber iudicum,

სამართლის ისტორიაშიც: იქაც უძველესი რუსული სამართლის ძეგლებში „Русская правда“-ს მიხედვით დანაშაულის ჩადენა იწვევდა გარკვეულ სამართლებრივ გადამსჯელს, რომელშიაც ასხვევდნენ: მკვლელობის შემთხვევაში — ვირა (მთავრის სასარგებლოდ) და головничество (დაზარალებულს); სხვა დანაშაულისათვის — продажа (მთავრს) და урнк (დაზარალებულს).¹

„Первоначально, — эмбрион ступени, — выкуп явился как замена мести, а потому весь шел в пользу мстителя: кто имел право мстить, тот и получал выкуп. Позднее, вместе с усилением государственной власти, и наказание за преступления принимает публичный характер; представители власти должны были также примирены с преступником. Таким образом, с течением времени стали получать выкупы князь и его органы“².

ესტანე მეექვსის კანონმდებლობის შესწავლისას, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ უკანასკნელი კომპილაციის იმ ნაწილს, რომელიც ეკუთვნის ხელისუფლების წარმომადგენელს, თითქმის არ იცნობს ბეჭა-იღბულას კანონების თანახმად დანაშაულებრივად უზღვიდა სასაღურს დაზარალებულს; მთავარს არავითარი წილი ამ საზღაურში არ ჰქონია, გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადება აგროთვე იზიარებს გერძო საწყისს: აქაც მთელი თანხა გადადის დაზარალებულის ხელში; გიორგი V-ის ნორმები იმდენად გამსჭვალულია გერძო საწყისით, რომ განმეგებელი კაცის მკვლელობის შემთხვევაში, თუკი მკვლელის მამული „სახეფეოდ დაიდება“ (საზინაში გადადის), მაგრამ მეფე მოვალეა განმეგებლის სახლს საზღაური მისცეს, როგორც კანონი აზრობს: „... განმეგებლის სახლს მეფისაგან სისხლი ეზოძოს და მამული სასეფეოდ დაიდება“ (მ. 3.)

რომელსაც ჩვეულებრივ „Fuero Juzgo“ ეწოდება და რომელიც XVIII საუკუნეშიც ნაწილობრივად ძალაში იყო (იხ. Bräuchisch, Geschichte des spanischen Rechts, 1852, S. 22—24, 33—40).

იტალიის სამართლის შესახებ საინტერესო მასალებს იძლევა d'Arbois de Jubainville, რომელიც იხილავს VIII საუკუნის ძეგლში „Sendius Mor“-ში ასახულ სამართალს და საზოგადოებრივ წყობას; საზოგადოება დაყოფილია რამდენიმე ფენად კონტრებიე მდგომარეობის მიხედვით და თითოეული საზოგადოებრივი ფენა ღებულობს შეფურაცხუფის შემთხვევაში ანაზღაურებას, რომელსაც „énech—lann“, ე. ი. „სახის ფასი“ (prix du visage) ეწოდება (Résumé d'un cours de droit irlandais 1838, 1892, chapitre VI; troisième mémoire, 61).

შედარებითი მეთოდი არაკვესს, რომ კომპილაციების სისტემა ხალხთა ერთ რომელიმე ჯგუფის კუთვნილებას როდი შეადგენს: იგი კაცობრიობის ისტორიის საერთო მოვლენაა, მას ჩვენ ვხედავთ სწავლასხვა ხალხთა და ტომთა ცხოვრებაში სამართლის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე.

ლიტერატურა ამ საკითხზე დიდია; აქ დავახსენებთ: Post, Ursprung des Rechts, Anfänge des Staats- und Rechtslebens; Kohler, Allgemeine Rechtsgeschichte, აგრეთვე მისი მრავალი გამოკვლევა სამართლის შედარებითი ისტორიის დარგში; Dareste, Etudes d'histoire du droit. Zum ältesten Strafrecht der Kulturvölker, 1905, Fragen Zur Rechtsvergleichung, gestellt von Theodor Mommsen; М. Ковалевский Закон и обычай на Кавказе, Современный обычай и древний закон, Родовой строй и др.; Ф. Энгельс, Происхождение семьи, частной собственности и государства, 1932.

¹ „Русская правда“ აღტრნატულად ლაბარაკობს სისხლის აღებაზე და გამოასყიდებზე; დაზარალებულს ეკუთვნოდა არჩევანი.

² Лекции и исследования, 1903, 385.

გიორგი V-მ შესძლო საქართველოს გაერთიანების განხორციელება მისი მეფობის დროს ცენტრალური ხელისუფლება საკმაოდ ძლიერი იქნა. მისი ზემოთ აღნიშნული მოვლენა სრულიად გასაგებია, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მის მიერ შედგენილი კანონები გათვალისწინებულია სოციალურად და კულტურულად ჩამორჩენილი მხარისათვის, სადაც ძლიერი იყო გვაროვნული ზნე-ჩვეულების, ადათების გავლენა.

მოსალოდნელი იყო, რომ ვახტანგ VI სამართლის წიგნში ასახული საზოგადოებრივი წყობილება მეტ გასაქანს მისცემდა საჯარო საწყისს, მეტ ძალას და მნიშვნელობას მინიჭებდა მას, ვინაიდან იგი კულტურულად ბევრად უფრო მაღლა იდგა და ეკონომიურად და საზოგადოებრივად უფრო განვითარებულ მდგომარეობას გულისხმობდა. მიუხედავად ამისა, როდესაც ვიკვლევთ თვით ვახტანგის მიერ შედგენილ სამართლის წიგნს, ვრწმუნდებით, რომ საერთოდ არც იგი იცნობს საზღაურის იმ ელემენტს, რომელიც სხვა ხალხთა ცნობრებაში ხელისუფლების წარმომადგენლებს ეკუთვნოდა. ამ მხრივ ერთადერთ გამონაკლისს შეადგენს ვახტანგის სამართლის წიგნის 154. მუხლი, რომელიც ამბობს: ამ ზემო წერებულს ქურდობაებს გარდა ის სხვა ქურდობაები დიდისა, თუ მდაბლისა, ბევრისა, თუ ცოტასი, შინა, თუ გარეთ, ვისაც რასაც ფერის ქურდობა შეემთხვიოს მისი საზღვარი შეიღწეული არის და ამ სამზღურისა ასრეუნდა იქნას: თუ ის საქონელი ან პირუტყვი საპატიოს კაცის შვილისა ან აზნაურ შვილისა მოპარული იმას ის საზღვარი შეიღწევი მთლივ მიეცემის და თუ ეს მონაპარი გლეხისა არის ერთი ორად გლეხს მიეცემის და სხვა სახელმწიფო არის, სამთხრობლო რაც საქონლის დამკარავს გაუა ისიც ქურდმან უნდა მისცეს. მოყვანილი მუხლის აზრი ისაა, რომ ქურდობის შემთხვევაში დამნაშავემ უნდა გადაუხადოს დაზარალებულს შვიდეკვი ღირებულება მოპარულისა, თუ დაზარალებული ეკუთვნის მოსახლეობის მაღალ ფენებს, თუ ოგი საპატიო კაცის შვილია ან აზნაური, მაგრამ თუ მოპარული ეკუთვნის გლეხს, მას აძლევენ მხოლოდ მოპარულის ორმაგ ღირებულებას, დანარჩენი კი მიდის სახელმწიფოს სასარგებლოდ; ამრიგად, ვახტანგის კანონმდებლობა მოყვანილ მუხლში აღიარებს კომპოზიციის საჯარო ელემენტს, მაგრამ თავისი ძირითადი საფუძვლების შესაბამისად აქაც აღიარებს წოდებრივ ხაზს: აზნაური ღებულობს მთელ საზღაურს, ხოლო გლეხი მოპარულის ორმაგს, დანარჩენი ნაწილი ხაზინის კუთვნილებაა. როგორც უკვე ვიცით, ეს არის ერთადერთი მუხლი, რომელიც წარმოადგენს გამონაკლისს: კოდექსის საერთო გეზი იქითა მიმართული, რომ დაზარალებულმა მხარემ მთლიანად მიიღოს დანაშაულით გამოწვეული საზღაური.

ეს თავისებურება ქართული კანონმდებლობისა უკვე შემჩნეული იყო ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარის ურბნელის მიერ¹. თავის გამოკვლევაში ბექა-აღბუღას კანონების შესახებ ურბნელი აყენებს საკითხს: ვის უნდა დაეთუვა სისხლი? და უპასუხებს, რომ სათაბაგოში სისხლის დაურევების მოვალეობა ეკუთვნოდა პირდაპირ დამნაშავეს, თუ არა და—იმის სახლობას, «ერთ საზღაიანს მეყვისებს». საგვარეულო წყობილების დროს დაურევა გვარის მოვალე-

¹ ნ. ურბნელი, ბექა-აღბუღას კანონები, 258, 256.

ობას შეედგენს და ვინაიდან საათაბაგოში ეს აღადი უკვე გადავარდნულად იქონიებდა „ამის მიზეზი, ურბნელის სიტყვით. იურიდიული წარმატებაა“. მაგრამ, განაგრძობს ავტორი, „ამ იურიდიულ წარმატებას თითქო ერთი გარემოება ჩრდილს ჰყენს და, სახელდობრ, აი როგორ: როცა ერის ცხოვრებაში სახელმწიფო წყობილება ფეხს იღვამს და გზას იკვლევს, მმართველობის წარმომადგენელსაც უნდა მიეცეს სისხლის ნაწილი, რადგანაც სამართლის ქმნა კერძო საქმე აღარაა და მმართველობას აბარია.... საქმე ისაა, რომ დანაშაულს საზოგადო ბოროტებად სთვლიდნენ და საზოგადოების წარმომადგენელსაც ჯარიმა უნდა მიეღო, მით უმეტეს, რომ იგი ასამართლებდა. საათაბაგოში კი სისხლი მთლად ნაწყენს და ამის სახლობას მიჰქონდა და არა ჩანს, ათაბაგს და იმის მოხელეებს ჯარიმა მიეცეთო. ამის მიზეზი იქნება ისიც იყო, რომ საათაბაგოში დანაშაული კერძო საქმედ მიიჩნდა და არა ისეთ ბოროტებად, რომელიც მთლად საზოგადოებას შეეხება და მმართველობამ უნდა სდევნოს...“

ჰოლდაკი, თავის მხრივ, ხაზგასმით აღნიშნავს „fredus“-ის უქონლობას ქართულ-სამართალში¹. ჰოლდაკს ეს მოვლენა სრულიად ბუნებრივად მიიჩნია, რადგან საჯარო ელემენტი სისხლის ფასისა ვერ განვითარდებოდა თავისუფლად იმის გამო, რომ ერთმანეთს ეჯახებოდა ორი საწინააღმდეგო ფაქტორი: ერთის მხრივ, კერძო პირის ანაზღაურების ინტერესი, რომელიც მოითხოვდა რაც შეიძლება მეტ დაკმაყოფილებას დანაშაულისაგან და, მეორეს მხრივ-კი, საზოგადოების მისწრაფება, რომ გადახდილი ყოფილიყო გარკვეული ფასი მშვიდობიანობის აღსადგენად. მაგრამ ჰოლდაკს ავიწყდება, რომ იგივე ფაქტორები მოქმედებენ ყველგან, სადაც კი ვხვდებით კომპოზიციას. ქართულ სამართალში, ჰოლდაკის სიტყვით, პირველი ფაქტორი იმდენად ძლიერი იყო, რომ მან სრულიად დაჩრდილა საზოგადოების მონაწილეობა სისხლის ფასის მიღებაში. ამაზე უფრო ნათლად, ჰოლდაკის აზრით, შეუძლებელია სახელმწიფო ხელისუფლების სისუსტის გამოაშკარავება. როგორც საჯარო საწყისის ერთადერთი განკერძოებული მაგალითი ავტორს მოჰყავს ზემოთ განხილული 154. მუხლი ვახტანგის სამართლის წიგნისა.

აღნიშნული მოვლენა მეტად საყურადღებოა, განსაკუთრებით თუ მას დავეყავიწირებთ იმ აზრს, რომელიც გამოთქმული იყო ივ. ჯავახიშვილის მიერ ქართული ფეოდალური სისტემის განსხვავებული თვისების შესახებ.

¹ Hollack, დასახ. ნაშრომი, გვ., 245: „Seine grössten Triumphe in der Beherrschung des grusinischen Rechtssystems hat endlich das Entschädigungsprinzip in der völligen Niederhaltung jeder Bildung eines Rechtsinstituts des Friedengeldes, des Fredus, gefeiert“.

აი რას ამბობს იმავე საკითხზე Karst-ი: „Le wergeld se paie en entier à la victime ou à sa famille. L'autorité publique, c'est-à-dire le seigneur territorial ou l'Etat ne semble pas participer aux avantages de la composition du sang. Le code Bag (ბეჭა-აბხუღას კოდექსი, ა. გ.), du moins, n'offre aucune formulation expresse ou précise quant à l'obligation éventuelle d'une amende expiatoire ou amende de reconciliation qui aurait été à effectuer à titre de fredum au tribunal seigneurial ou à l'autorité publique (code d'Aghbo-ughha — Livre 2, 1939, P. 28). Karst-ი დაპარაკობს აბხუღას კოდექსის შესახებ, ჰოლდაკი კი ახასიათებს საერთოდ ქართულ სამართალს; ჰოლდაკის აზრი გადაჭარბებულია.



ივ. ჯავახიშვილი ადარებს ერთმანეთს ქართულსა და დასავლეთ ევროპულ წყობებს. ლურ წყობილებას და გამოთქვას აზრს, რომ თუმცა საქართველოში მსგავსებაა „ინსტიტუტი არსებობდა, მაგრამ იგი არასდროს სახელმწიფო ცხოვრების საზოგადო მოვლენად არ ყოფილა, არამედ მხოლოდ გამონაკლისს შეადგენდა, ამასთანავე იგი თითქმის მხოლოდ სახელმწიფო გადასახადებს ეწებოდა და სასამართლო შეუვალაობა საქართველოში არასდროს არ ყოფილა“. დასავლეთ ევროპაში ფეოდალს მინიჭებული ჰქონდა იმუნიტეტი, რომელიც მას მისი ყმების მიმართ ერთადერთ უზენაეს მსაჯულად ხდიდა, მის სამფლობელოში სამეფო სასამართლო არ მოქმედებდა. „არაფერი ამის მსგავსი, ამბობს აკად. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოში არ ყოფილა: პატრიონებს თავიანთ ყმებისადმი მსაჯულის უფლება არ ჰქონიათ, არამედ ყმებიც საშეფოს მოსამართლეს იმქვემდებარებოდნენ და ყმათათვისაც სახელმწიფო სასამართლოს კარგები მუდამ ღია იყო“. ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ საქართველოს ეკლესია წარმოადგენდა—მას ჰქონდა შეუვალაობის უფლება და მისი ყმები მხოლოდ საეკლესიო სასამართლოს ემორჩილებოდნენ. აქედან ივ. ჯავახიშვილს გამოყავს დასკვნა, რომ საქართველოში სახელმწიფო სამართლის ორი უზენაესი გამოხატულება—მართლმსაჯულებისა და გადასახადების გაწერისა და აკრფის უფლება—მეფეს მტკიცედ ეპყრა, სწორედ ამაში ნახულობს იგი იმ ნიშანს, რომლითაც ქართული ფეოდალიზმი არსებითად განსხვავდება დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმისაგან. ის ფაქტი, რომ საქართველოში ფეოდალის სასამართლო შეუვალაობით არ სარგებლობდა, აკად. ჯავახიშვილს საქმიო საფუძვლად მიაჩნია, რომ წამოაყენოს შემდეგი დებულება: „საქართველოში სახელმწიფოებრივი აზროვნება და სამართალი ისე არ ყოფილა დაცემული, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში იყო საშუალო საუკუნეებში“ (ქართ. სამ. ისტ. II, 1, გვ. 101).

ჩვენ არ შევიჩრდებით საკითხზე, თუ რომდენად მართებულია უკანასკნელი დებულება, რომელიც ჩვენი ფეოდალური წყობის განზოგადებულ დახასიათებას წარმოადგენს. ჩვენთვის უფრო საინტერესეოა ის აზრი, რომ საქართველოში ფეოდალური სისტემა ეგრეთწოდებულ სასამართლო იმუნიტეტს (შეუვალაობას) არ იცნობს, გარდა საეკლესიო დარგისა. ივ. ჯავახიშვილი საფუძვლიანად აღნიშნავს, რომ „სისხლის საველები“ სასამართლო შეუვალაობის წიგნებად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან ამ სიგელებით მეფე ზოგიერთ საჯვარეულოს მხოლოდ პირად უპირატესობას ანიჭებდა და იქ განსაზღვრული იყო არა ქვემდებარეობის საკითხი, არამედ „სისხლის“ რაოდენობა (ჩვეულებრივზე მეტი), რომელიც უნდა გადაეხადა იმას, ვინც ამ გვარის წარმომადგენელს რაიმე ზიანს მიაყენებდა¹.

ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული აზრი საერთოდ ფეოდალურ რეჟიმს შეეხება: იგი არ ლაპარაკობს ფეოდალური წყობის განვითარების ერთ რომელიმე საფეხურზე, არამედ მთელ ამ სისტემას ახასიათებს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ როცა ივ. ჯავახიშვილი იძლევა ზოგადი ხასიათის დასკვნებს, იგი მეტად თავდაპირილი და ფრთხილია, ამ შემთხვევაში კი იგი კატეგორიულად, გადაქრით ამტკიცებს, რომ აღნიშნული გამონაკლისის გარდა „სასამართლო

¹ აკად. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, ყველა გამოქვეყნებული „სისხლის სიგელი“ საეკო ღირსებისა და ყალბია“. ქართული სამართლის ისტორია, II, I, გვ. 101.

შეუვალობა საქართველოში არას დროს არ ყოფილა“¹. იმ დროს, როდესაც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, იუსტიციის სფეროში, სახელმწიფოებრივი, საჯარო საწყისი არასდროს არ გამჭრალა; იგი ყოველთვის ცოცხლობდა და, როგორც ეტყობა, საგრძობლად ზღუდავდა კერძო საწყისის მოქმედების არეს მართლმსაჯულების დარღვი.

ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთის მეფეებს ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდათ იმისათვის, რომ შეეკვეცათ სენიორთა შეუვალობა იუსტიციის დარგში; სამეფო ხელისუფლება ლეგისტების დახმარებით თანდათანობით ზღუდავდა ფეოდალების ამ უფლებას, რომელიც მათი პრივილეგიური მდგომარეობის ერთ-ერთ თვალსაჩინო განმარტებულს შეადგენდა; ამ მიზნით იგი ისეთ ხერხებს მიმართავდა, როგორცაა „cas royaux“, პრევენცია, აპელაცია და სხვა (Brissaud, Cours d'histoire du droit francais, T. I, 71—74). ამგვარად, სენიორული იუსტიციის შეზღუდვა სახელმწიფოებრივობის განმტკიცების და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების უდავო მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს¹.

საქართველოში კი ასეთ მდგომარეობას აღვილი არ ჰქონია.

მით უფრო ვასაკვირია ის მოვლენა, რომელიც უკვე იყო აღნიშნული: ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული ცნობილი სამართლის წიგნები თითქმის არ იხსენიებენ „კომპოზიციის“ იმ ელემენტს, რომელშიაც სწორედ საჯარო, საზოგადოებრივი საწყისი გამოიხატება; ამვე დროს დასავლეთ ევროპის და რუსეთის ფეოდალური პერიოდის სამართლის ძეგლები უხვად, შეიძლება ითქვას ყოველ ნაბიჯზე აწესებენ და ზუსტად განსაზღვრავენ იმ წილს, რომელიც ხელისუფლების ორგანოებს ეკუთვნოდა: საქართველოში კი კანონს მიერ დადგენილი საზღაური, ვარდა ერთი შემთხვევისა, მთლიანად დაზარალებულის სასარგებლოდ მიდის. როგორც ვხედავთ, აქ აშკარა შეუსაბამობაა; რით უნდა ავსინათ, ერთის მხრივ, სასამართლო შეუვალობის უარყოფა ჩვენს სამართალში, რაც, ცხადია, არსებითად, ზოუდავდა ფეოდალებს უფლებებს, და შეტყვევად ხელისუფლების სიძლიერეს მოწმობს და, მეორე მხრივ, კომპოზიციების აგება მხოლოდ და მხოლოდ კერძო ინტერესთა დამაკაყოფილების საფუძველზე?

ამიტომ საჭიროა მიგვაჩინა შეგვირდეთ ამ საკითხზე; იგი მოითხოვს უფრო ყურადღებით, უფრო დაკვირვებულ შესწავლას; გერმანელ მკვლევარ პოლ-დაკს რომ დავუჯეროთ, ქართულ სამართალში თითქოს განუყოფელად ბატონობდა დაზარალებული პირის ქონებრივი ინტერესი, რის გამოც საზღაურის საჯარო ელემენტს (fredus) სრულიად არ ჰქონია აღვილი; იმ მიზნით, რომ გამოვარკვიოთ, თუ რამდენად ეთანხმება ეს აზრი ისტორიულ ფაქტებს, უნდა გავეცნოთ იურიდიულ საბუთებს, რომლებიც სათანადო მასალას შეიცავენ.

ზემოთ მოყვანილ შეხედულებას აქვს საფუძველი, თუ შეხედვლობაში მივიღებთ ვანტანგ VI-ის კრებულში მოთავსებულ ნაციონალურ იურიდიულ ძეგლებს. მაგრამ მხოლოდ ამ ნორმების შესწავლის საფუძველზე, რასაკვირველია,

¹ იუნტიტის შესახებ დასავლეთ ევროპაში იხ. Brunner, Deutsche Rechtsgeschichte, II, § 94; Schröder, Deutsche Rechtsgeschichte, 1907, § 27; Viollet, Histoire des instit. polit. et adm. de la France, I, 328 შებდ.; Glanville, Histoire du droit, III, 117 შებდ.; 375 შებდ.; Beauchet, Hist. de l'organis. judiciaire en France §§ 28—32, 161—184.



არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ქართული სამართალი ვითომც ~~საქართველოში~~ არ იცნობს სისხლის დაურევების საზოგადოებრივ, საჯარო ელემენტებს ~~საქართველოში~~ რული საკითხების მკვლევარს დიდი სიფრთხილე მოეთხოვება; მტკიცების საფუძვლიანობისათვის საჭიროა კიდევ სხვა მასალების შესწავლა; ჰოლ და კი ვახტანგ VI-ის კოდიკონში შეტანილი ნორმების შინაარსით ხელმძღვანელობს, როდესაც თავის აზრს გამოთქვამს; სხვა იურიდიულ ძეგლებს იგი, როგორც ეტყობა, არ იცნობდა და სწორედ ეს არის მის მიერ წამოყვანილი შეტად განზოგადებული შეხედულების ნაკლის მიზეზი; სხვადასხვა ისტორიულ საფეხურზე, ცალკეულ იურიდიულ დოკუმენტებში ჩვენ, პირიქით, გარკვეული სახით ვნახულობთ ქონებრივი საზღაურის საჯარო ელემენტს.

ივ. ჯავახიშვილი თავის „ქართული სამართლის ისტორიაში“ ეხება ჩვენ მიერ დასმულ საკითხს და ამბობს: „გარკვეულ დანაშაულებათათვის კანონი დამნაშავეს დაზარალებულისა და მისი ნათესავების, აგრეთვე სასამართლოს სასარგებლოდ ქონებრივი საზღაურის გადახდას აკისრებდა. ასეთი წესი საქართველოში XIV—XVIII სს-ში არსებობდა და საკანონმდებლო ძეგლებში ეს აღბეჭდილია კიდევ. ნაწილობრივ მაინც ასეთი წესი წინათაც არსებულა. რაჟი IX—XII სს-ის საკანონმდებლო ძეგლები დატული არ არის, ამიტომ ასეთი წყაროებით ამ აზრის დამტკიცების საშუალება არ არსებობს, მაგრამ ორიოდ ამის დამადასტურებელი ცნობა საბუთებშია შერჩენილი. ამას „საზღაგო“ ჰრქმევია იმგვარადვე, როგორც ასეთი ქონებრივი ასანაზღაურებელის დაზარალებულის მიერ ჩაბარებას „საზღაგად აღება“ სწოდებია“¹.

ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს „საზღაგად აღების“ მაგალითები ნიკორწმინდის XI საუკ. სიგელიდან, საიდანაც ჩანს, რომ მოპარვისა და ჭრილობის მიყენებისათვის აუღიათ „საზღაგო“ მიწის ნაკვეთის სახით. სიგელები იხსენიებენ მოპარვას და დაკოდვას (დაჭრილობას).

ივ. ჯავახიშვილის აზრით, დასახელებული სიგელები მსუბუქ დაჭრილობას და პირველ და მარტივ პარვას უნდა გულისხმობდნენ. „შეორეზისი და წარმდები იმგვარადვე, როგორც საპატიჟო ადგილას ჩადენილი ქურდობისათვის, სხვა, უფრო მკაცრი, სასჯელი არსებობდა“². ამგვარი დანაშაულისათვის სხეულის სასჯელი ყოფილა დაწესებული.

როგორ სასჯელს იწვევდა მძიმე ჭრილობის მიყენება? ამ დანაშაულს სახელმწიფო ხასიათის სასჯელი, თუ „კომპოზიცია“ ჰქონდა შედეგად? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ შემთხვევისათვის ქონებრივი საზღაური უნდა ყოფილიყო დაწესებული. გრიგოლ ქართლის ერისთავი თავის ანდერძში ამბობს: «თუ სისხლი შეჭხუდეს მლუიმის კაცსა ჩვენისა კაცისაჲ მლუიმის ხელისუფალმან სისხლის პატრონსა სისხლი გარდასცეს მონასტრითა წესითა...». მაშასადამე, მკვლელობისათვის ქონებრივი საზღაურის გადახდის მოვალეობა არსებობდა და თუ უკანასკნელი მიღებული იყო მკვლელობის შემთხვევაში, მით უფრო მიღებული იქნებოდა ეს წესი მაშინ, როცა ადგილი ჰქონდა ჭრილობის მიყენებას. გრიგოლ ერისთავის საბუთი ეკუ-

¹ ქართ. სამ. ისტორია, II, 2, გვ. 506.

² დასახელ. ნაშრომი, II, 2, გვ. 317.

თავის XIII საუკ. შუა ხანას და საფიქრებელია, რომ იგივე წესი არსებობდა უფრო ადრინდელ პერიოდშიც, ვინაიდან „საზღაურთა“ სისტემა თავის ბუნებით მეტად კონსერვატიული ინსტიტუტია: იგი ნელ-ნელა იდგამს ფესვებს ხალხის ცხოვრებაში და ერთხელ დამკვიდრებული ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინარჩუნებს სიცოცხლის უნარს, იჩენს თავის ძალას და მოქმედებას.

ქურდობისათვის ძველადვე დაწესებული ყოფილა „საზღაური შეიდეული“, ე. ი. დამნაშავეს „საზღაოს“ სახით მოპარულის შეიდეცი ღირებულება უნდა გადაეხადა. ამის საუკეთესო მაგალითს გვაძლევს XIII საუკ. საბუთი, გრიგოლ ქართლის ერისთავის ანდერძი, სადაც ნათქვამია: «თუ ნაპარევი შეპხულეს მღვიმისა კაცსა, მღვიმის ხელისუფალმა თავნი ხელთ მისცეს და შუიდეოლი წესა შიოსდა შეშიწირავს სჲმნ ჩემი კერძია საერისთავოჲ»; ამ საბუთის მიხედვით, ნაპარევის „თავნი“, ე. ი. მისი ღირებულება, ხელისუფალს უნდა მიესაჯა დაზარალებულისათვის; ხოლო თავნის შეიდეცი ღირებულება ეკუთვნოდა თვით ერისთავს, როგორც სასამართლოს წარმოების მეთვალყურეს. ნ. ურბნელი ფიქრობდა, რომ „საზღაური შეიდეული“ ვახტანგ სჯულმდებელმა შემოიღო, უკანასკნელმა თითქოს მოსპო ძველად მიღებული ნაპარევის ორკეცად დაურუება და ებრაელთა სჯულის წესს მიბაძო. ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად აღნიშნავს ნ. ურბნელის შეხედულების მცდარობას¹; „საზღაური შეიდეული“ ცნობილი ყოფილა უკვე XIII საუკ. შუა წლების ქართულ სამართალში და ამიტომ იმის მტკიცება, რომ ეს ინსტიტუტი პირველად ვითომც ვახტანგ VI-მ შემოიღო, მოკლებულია ყოველ საფუძველს. ვახტანგ მე-VI ამ მხრივ ახალი არაფერი შეუქმნია, მან მხოლოდ შეითვისა და განიმეორა ის, რაც ტრადიციის ძალით განმტკიცებული იყო ქართულ სისხლის სამართალში; სწორედ აქ შეიძლება მოვიყვანოთ მისი საკუთარი სიტყვები: «სისხლის განაჩენები, რაც დაგვიწერია, ძველად დადებული დავიწერია...» (მ. 34). მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვახტანგის სამართლის წიგნში დადგენილება „საზღაური შეიდეულის“ შესახებ უფრო რთულ ხასიათს ღებულობს: ვახტანგის სამართლის წიგნის 154 მუხლი „საზღაოს“ გადახდის დროს ანგარიშს უწევს დაზარალებულის წოდებრივ მდგომარეობას—მაღალი წოდების დაზარალებული მთლიანად ღებულობს ანაზღაურებას, გლეხი კი—მხოლოდ ორ წილს, დანარჩენი ნაწილი, ე. ი. ხუთკეცი მოპარულის ღირებულებისა, ეკუთვნის სახელმწიფოს. ამგვარ სოციალურ დიფერენციაციას XIII საუკ. ძველი არ იცნობს, იქ საკითხი გადაჭრილია უფრო მარტივად: თავნის „შეიდეული“ ერისთავისათვის განკუთვნილ კერძს წარმოადგენს: „ჩემი კერძია საერისთავოჲ“.

გუჯარი ქსნის ერისთავის ქვენიფნეველის შალვასი, ბოძებული ლარგვისის მონასტრისადმი 1470 წ., ლაპარაკობს სხვადასხვა დანაშაულზე, მათ შორის ქურდობაზე, და ადგენს: «და თუ ვინ იპაროს, შეიღნაწილად ეზღვიოს».

ამავე საკითხზე ლაპარაკობს „განჩინება მეფის სვიმონ პირველისა მეკობრეთ მძებნელის განწესების და მეკობრეთა შესახებ“, რომელიც გამოცემულია იყო 1590 წელს. ეს ძველი შეიცავს საპროცესო ხასიათის წესს, მაგრამ მასში მა-



ტერიალური სისხლის სამართლის ნორმებიც არის აღნიშნული. ჩვენ უნდა გავხსენებთ ტერესებს უკანასკნელი ნორმები; აი რას ამბობს ეს ძველი: «ვისცა ჩვენის ორდოსა (ურდოს, ლაშქარის ბანაკში. ა. ვ.) რამ მოიპაროს, ის ქურდი ჩვენს კარზედ მოიყვანონ. ვისცა ვორის ციხის აღებას წინაა რამ მოიპაროს, ის სამეფულად აზღვევიონ: ერთი პატრონსა, ერთი და ნახევარი ჩვენ და ნახევარი მეკობრეთ მიჰნელსა. ვისცა სხუის უმტეროს თემისა რამ მოეპაროს, ის ხუთეფულად აზღვევინოს: ორი პატრონსა, ორი ჩვენ და ერთი მეკობრეთ მიჰნელსა. ვისცა ჩვენის საბატონოსა რამ მოეპაროს, ის შვიდეფულად აზღვევინონ: ორი პატრონსა, ოთხი ჩვენ და ერთი მეკობრეთ მიჰნელსა». როგორც ვხედავთ, აქაც კანონმდებელი აწესებს საზღაოს, მაგრამ ასხვავებს რამოდენიმე შემთხვევას ქურდობის დროის და ადგილის მიხედვით: პირველ ყოვლისა, საინტერესოა ის, რომ განჩინება განსაკუთრებით გამოყოფს ლაშქარის ბანაკში ჩადენილ ქურდობას და მოითხოვს, რომ ქურდი მეფის კარზე მიიყვანონ; აქ აღნიშნულია ამგარი საქმეების ქვემდებარებობა, რომლის მიხედვით ლაშქარში ქურდობის საქმეებს მეფის კარის სასამართლო განიხილავდა და, უეჭველია, რომ ამგვარ დანაშაულისათვის უფრო მძიმე ხასიათის პასუხისმგებლობა უნდა ყოფილიყო დაწესებული. ვიდრე ქურდობის სხვა სახეებისათვის. სხვა შემთხვევებში ვათვალისწინებულა კონტრივი საზღაური, რომლის ოდენობა დიფერენცირებულია სხვადასხვა გარემოების მიხედვით; ყველაზე მეტ საზღაურს იმდის ის, ვისაც „საბატონოსა რამ მოეპაროს“. ასეთი დანაშაულისათვის დადგენილია ქართული სამართლისათვის ძველადვე ცნობილი, ტრადიციული ზომა საზღაურისა — მოპარულის „შვიდეფული“, რომლის ხუთი წილი ეკუთვნის მეფეს და მის ხელისუფალს.

აღნიშნული ძველი ყურადღებას იპყრობს იმ მხრივაც, რომ კონტრივი დანაშაულის, ქურდობის, გარდა, ითვალისწინებს პიროვნების საწინააღმდეგო დანაშაულსაც; იგი აწესებს პასუხისმგებლობას სხეულის დაზიანებისათვის; განჩინება ამბობს: ვინც კბალი ჩააგდებინოს, იმას უკეთეს სამასი შაური, საშუალს ორასი და უქუედაეს ასი შაური აზღვევინონ. ვინც ვის თავი გაუტეხოს, უკეთეს ასი შაური, საშუალს სამოცი და უქუედაეს ორმოცი შაური აზღვევინონ: სხეულის დაზიანების შემთხვევაშიც კონტრივი საზღაური დადგენილი, მხოლოდ კანონმდებელი განსხვავებას აკარებს დაზარალებულის სოციალური მდგომარეობის მიხედვით — „უკეთეს“, „საშუალს“, „უქუედაეს“. განჩინება არაფერს ამბობს იმ წილზე, რომელიც ხელისუფლებას უნდა ეკუთვნოდეს.

დაყენებული საკითხის თვალსაზრისით საყურადღებოა იკვრეთვე ის მასალი, რომელსაც XVIII საუკ. დასაწყისში შედგენილი იურიდიული ძეგლი (1704—1711) „დასტურლამალი“ იძლევა; დასტურლამალი ქართული სახელმწიფო, აღმინისტრირებული და საფინანსო სამართლის ნორმებს შეიცავს, მაგრამ ზოგჯერ მასში ვხვდებით სისხლის სამართლისა და საპროცესო ხასიათის ნორმებსაც; უკანასკნელი სასამართლო ქვემდებარეობის საკითხს ეხება. ჩვენ აქ მოგვყავს მხოლოდ სისხლის სამართლის ნორმები, რომლებიც ამ ძეგლის სხვადასხვა ადგილას არიან მოთავსებული და საზღაურის საკითხს აწესრიგებენ. ერთ ადგილას

დასტურლამალი ამბობს: „... იქვე რომ ერთმანერთში ქურდობა იქნასა მსჯობს ქურდობა ულად აზღვევინონ: ერთი ორად პატრონს, ოთხი ბატონს და ერთი მოურავს (კლ). აქაც მეორდება ძველი ისტორიული ტრადიცია — ქურდობა იწვევს შვიდ-კეცის ანაზღაურების მოვალეობას. მეორე ადგილას გნახულობთ შემდეგ დადგენილებას: „ქურდობა თუ საქართველოს მამულში შეჩანდეს, შვიდეულად აზღვევინოს მოურავი და ერთი ორად პატრონს მისცეს, სხვა საბატონოდ მოვიდეს, თუ სხვის ქვეყნის ქურდობა შეჩანდეს, ერთი ორად აზღვევინონ, ერთი პატრონს მისცენ, და ერთი საბატონოდ მოიყვანონ“ (სა). მოვიყვანოთ კიდევ ერთი ადგილი იმავე ძველიდან: „თუ საქონელი საბატონოს კაცის შვილისა იყოს ანაზღაურ-შვილისა, ექვსი პატრონს, ერთი ხევის თავს; თუ გლეხისა იყოს, ერთი ორად გლეხს, ერთი ხევის-თავს, ოთხი ბატონს“ (სკ)¹. უკანასკნელ დადგენილებაშიც დატულია ანაზღაურების ძველი ისტორიული საზომი — შვიდეკვი ოდენობა და ამავე დროს, ვახტანგის მთელი კანონმდებლობის ბუნების შესაბამისად, ვატარებულა წოდებრივი თვალსაზრისი.

დასტურლამალში ვხვდებით კიდევ ერთ საინტერესო დებულებას, რომელიც შუქს პოულობს ხეშოთ დასმულ საკითხს; ტექსტში ნათქვამია: „მოურავს თავის გასამტეხლო ხუთი აბასი, ნაცვალს ორი შაური; ხელის მოტეხისათვის ოცდაათი შაური, ნაცვალს სამი შაური; აგრეთვე კბილის ჩაკლებინებისათვის...“².

რახეა აქ ლაპარაკი?

აქ შექველად უნდა ვიგულისხმოთ ის თანხა, რომელიც ერიგება ხელისუფლების წარმომადგენლებს — მოურავსა და ნაცვალს — სხეულის ზიანის მიყენების შემთხვევაში, დამოუკიდებლად იმ სასლაურისა, რომელსაც დაზარალებული პირი ღებულობდა; თვით ხელისუფლების წარმომადგენლის დაზიანება ამ დადგენილებით, რასაკვირველია, ნაგულისხმევი არაა, ვინაიდან წარმოუდგენელია, რომ მათი სძსხლი ასე მცირედ ყოფილიყო შეუასებული. ამ განმარტებას აღსტურებენ ტექსტის უკანასკნელი სიტყვები: „გასამყროლდ მოურავს ხარი, ნაცვალს აბასი, მამასახლისსაც აბასი“; აქ განსაზღვრულია ის ვალასახადი, რომელსაც ხელისუფალი თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის მიხედვით ღებულობს.

დასტურლამალის მოყვანილი დადგენილება ხელისუფალის ხვედრი წილის შესახებ სხეულის დაზიანების შემთხვევაში აშკარად არ ეთანხმება იმ შეხედულებას, რომელიც ჩვენ ხეშოთ განვიხილეთ: აქ მოცემულია შემთხვევა, სადაც კანონი ხუსტად განსაზღვრავს იმ წილს, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენელს ეჭუთვნის, როცა ჩადენილია პიროვნების საწინააღმდეგო დანაშაული (სხეულის დაზიანება).

მაგიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს. 1713 წელს ვინმე ასლან თარხნიშვილი დავით გარეჯელის მონასტრის წინამძღვარს აძლევს საბუთს, რომელიც საინტერესოა იმ მხრივ, რომ იქ ქურდობისათვის დადგენილია მოპარული ნივთის შვიდეკვი გადასახადი; აქედან ორი წილი ეჭუთვნის ნივთის პატრონს,

¹ დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, უმიკაშვილის რედაქციით, 1886.

² იქვე 32, 11.



ოთხი წინამძღვარს და ერთი მოურავს; მძიმე ცემისათვის დაწესებული ვაჭრის
და ერთი მარჩილი (60 კ.), აქედან ორი წილი ეკუთვნის წინამძღვარს და ერთი
მოურავს¹.

ამგვარად, ქართული სამართლის შესანიშნავი ძეგლი დასტურლამალი და-
ყენებული საკითხის გადასაჭრელად მეტად საინტერესო მასალას შეიცავს: ირ-
კვევა, რომ სწორედ ვახტანგ VI-ის ხანაში სხეულის დაზიანების შემთხვევაში
ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენელნი—მოურავი და ნაცვალი—საზ-
ღაურის ზუსტად განსაზღვრულ თანხას ღებულობდნენ; ეს წესი, რა თქმა უნდა,
მხოლოდ XVIII საუკუნეში დადგენილი არ იქნებოდა; იგი ძველი წარმოშობი-
საა; ვახტანგმა დასტურლამალში აღნიშნა ის, რაც, ალბათ, ქართულ სამართალში
აღათობრივი ნორმების სახით იყო შემონახული. გადაუჭრელი რჩება საკითხი:
როგორი წესი არსებობდა უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში,
მკვლელობის შემთხვევაში? აქაც იყო განკუთვნილი ხელისუფლების წილი თუ
არა? ამ საკითხზე დასტურლამალი პასუხს არ იძლევა.

მაგრამ ძველი იურიდიული საბუთების მიხედვით შეიძლება იმის მტკიცება,
რომ ქართული სამართალი საზღაურის გარდა, რაც დაზარალებულ მხარეს ეკუთ-
ვნოდა, იცნობდა აგრეთვე „საზაოს“, ე. ი. იმ წილს, რომელიც საზოგადოებ-
რივი ხელისუფლების სასარგებლოდ მიდიოდა. ამ მხრივ სწორად უნდა ჩი-
თვალოს კარსტის აზრი, რომლის თანახმად კომპოზიციის აქტი, სისხლის დაურ-
ვეების გარდა, კიდევ სამი სახის დამატებით მოვალეობას გულისხმობდა: სა-
ნაზაოს, საზაოს და საპიროს. საზაოს უდრის შუა საუკუნეების ფრან-
გულ-გერმანულ სამართლის „fredum“-ს, რომელსაც კომპოზიციის დამთავრე-
ბისას იხილდნენ (Le Sazao est le „fredum“ du droit franco-germain médi-
éval, payable en fin de la composition²).

¹ Френкель, Законы царя Вахтанга VI, 1887, стр. 142. ლამბერტის აღნიშნული
აქვს, რომ ქურდმა სამეგრელოში (XVII ს.) უნდა გადაიხადოს „ნაქურდალის ფასი თხუთმე-
ტჯერ მეტი, რომლისაგანაც ხუთი ნაწილი პატრონს ურგება, ხუთი — ხაზინას და ხუთიც
იმ მოხელეთა გასამრჯელოდ, ვინც სასჯელს დაადებს დამნაშავეს“. სამეგრელოს აღწერა,
1938 გვ. 74.


² Karst, დასახ. ნაშრომი, II, 2 146. როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, აკად-
ემ. ჯავახიშვილი გადაჭრით უარყოფს „სასისხლო სიგელთა“ სინამდვილეს; იგი კრიტიკულად
განიხილავს სხვადასხვა გვარისათვის ბოძებულ სასისხლო სიგელებს და დაასკვნის: „სასისხ-
სიგელების ნაწილების დაწერილებითი განხილვა როგორც ენისა და გამოთქმულობის მხრივ,
ისევე ქართული სიგელთამცოდნეობის წესების თვალსაზრისით მათი შედარებითი შესწავლა ამ
საბუთების ნატყუარობას ცხადყოფს... ბევრი ამ საბუთთაგანი ძველად დაყალბებული
არც — კია, არამედ შედარებით ახალი შეთხუთი უნდა იყვნენ წოდებრივი უპირატესობის
მოსაპოვებლად“ (სიგელთამცოდნეობა, 1926, 187, 188).

უნდა ითქვას, რომ ივ. ჯავახიშვილის არგუმენტაცია დამაჯერებელია; მაგრამ ისიც უნდა
აღინიშნოს, რომ ამ სიგელებში მოხსენებული ტერმინები და იურიდიული ხასიათის ინსტი-
ტუტები ნაწილობრივად მაინც ისტორიულ სინამდვილეს უნდა ეთანხმებოდეს; მაგალითად,
სიგელები იხსენიებენ „სანაზმიროს“, „საზაოს“; აქ, რასაკვირველია, სიგელის ავტორი აღნიშ-
ნავს და ბაძავს იმას, რაც ნამდვილად არსებობდა და მიღებული იყო იმდროინდელ სახელმ-
წიფოებრივ ცხოვრებაში.

ამ მოკლე მიმოხილვის მიხედვით ჩვენ ვგაქვს საფუძველი გაგვიკეთონ შედეგი დასკვნა: ყოველ ექვს გარეშეა, რომ ქართული სამართალი იცნობს იმ ინსტიტუტს, რომელსაც გერმანული ფეოდალური სამართალი „Friedensgeld“-ს უწოდებს; ეს ინსტიტუტი ქართულ სახელმწიფო ცხოვრებისათვის სრულიად უცხო რამ არ იყო; ჯარიმების სისტემის ხელისუფლების სასარგებლოდ ქართული სამართალი იცნობს თავისი არსებობის სხვადასხვა საფეხურზე: მას ვნახულობთ XIII, XV, XVI და XVIII სს. იურიდიულ საბუთებში; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ მას ადგილი აქვს არა მხოლოდ ქონებრივი დანაშაულის, არამედ პიროვნების საწინააღმდეგო დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც. მაგრამ დასავლეთ ევროპის ფეოდალური სამართლისაგან განსხვავებით, აღნიშნულ ინსტიტუტს ქართულ სამართალში არ შიუღია განვითარებული, სისტემატურად ჩამოყალიბებული და დამუშავებული სახე. თუ ქართული სისხლის სამართლის თავისებურებაზე შეიძლება ლაპარაკი, ეს თავისებურება მხოლოდ ამაში გამოიხატება.

ჰოლდაკი აღარებს ერთმანეთს გიორგი V ძეგლის დადებას და ვახტანგის სამართლის წიგნს და მიუთითებს, რომ ბირველი აშკარად აღიარებდა სისხლის აღებას, მეორე კი უარყოფდა მას, მაგრამ მაინც ქონებრივ საზღაურთა ინსტიტუტს მტკიცედ ჩასჭიდებოდა და „Friedensgeld“-ის თითქმის არაფერი იცოდო („... sich aber auch noch ängstlich an die Institution des Wergeldes klammerte und von Friedensgeld so gut wie nichts wusste“. Zwei Grundsteine... 163). ჰოლდაკი არ იცნობდა ვახტანგის კანონმდებლობის მეორე თვალსაჩინო ძეგლს, დასტურლამალს, რომელიც, როგორც ჩვენ უკვე ვნახეთ, ამ მხრით ვახტანგის სამართლის წიგნის ერთგვარ დამატებას და შევსებას წარმოადგენს. დასტურლამალი შეიცავს ისეთ ნორმას, რომლის შესახებ ვახტანგის სამართლის წიგნი არაფერს ამბობს. დასტურლამალის შესწავლა ხელს გვიწყობს, რომ ცოტად თუ ბევრად გავერკვეთ დაყენებულ საკითხში. ჰოლდაკი არც ქართული სამართლის სხვა ძეგლებს იცნობდა. ქართული სამართლის ძირითადი თვისებების დასახასიათებლად, მისი ზოგადი საფუძვლების გამოსარკვევად კი ასეთი ცოდნა აუცილებლად საჭირო იყო; წყაროების სათანადო ცოდნის უქონლობით უნდა აიხსნას ის, რომ ჰოლდაკი ქართული სამართლის საერთო დახასიათების დროს ნაჩქარევ დასკვნებს აკეთებს.

ქართულ სისხლის სამართალში ვხვდებით კიდევ ორ საყურადღებო აქტს, რომლებიც დამატებით თანერთვიან სისხლის დაურევებას: ერთია „სანახშირო“, მეორე კი „საპირო დასახანები“; ორივე აქტი აღწერილი აქვს ურბნელს; ურბნელი ამბობს შემდეგს: „სახსლთან კავშირი აქვს სათავდებოს, ეგრედ წოდებულს wadium-ს, რომელიც სისხლის დაურევებამდე დამნაშავეს უნდა გარდგნა და მერე სისხლში მისთვლოდა. სათავდებოს მიცემა ხელშეკრულობა იყო, — ი ამოდენს წინაღვე გაძლევ იმის ნიშნად, რომ მერე მთელს სისხლს დაგიურვებო... საქართველოში ძველს დროს, როცა მეფე რომელსამე დიდებულს სისხლის სიგელს უბოძებდა, ხშირად სიგელში სანახშიროსაც ჩაუწერდა ხოლმე და აღნიშნავდა — ესა და ეს და ამოდენი მოგეცეს სანახშიროდაო. როგორც სჩანს, დაზა-



გებული მესისხლე სანახშიროში, ფულს გარდა, ავეჯსა და საქონელსაც იღებდა, სახელდობრ: ხმალს, ცხენსა და სხ. აღბულაც იხსენიებს სანახშიროს ქრისტიანებთან კაცთან შმას თვალნი დასწენეს ცხადაც ანუ დალატად, ანუ მოკვეთოს რაჟე ასოთანი სისხლი სრული და სანახშირო დაუურვოსო“ (მუხ. 162)¹. რუსულ გამოცემაში „სანახშირო“ თარგმნილია როგორც штраф; რედაქტორის განმარტებით სიტყვა „სანახშირო“ გვხვდება მხოლოდ აღბულას კოდექსში და ისიც ერთხელ; მაგრამ მას ჩვენ ხშირად ვნახულობთ უძველეს აქტებში². იბადება საკითხი — სანახშირო ცალკე ვადასახად იყო, თუ სისხლის ფასში ჩამთვლებოდა? როგორც ხემათ მოყვანილი სიტყვებიდან ჩანს, ურბნელის აზრით, სანახშირო საზღაურის საერთო თანხაში უნდა ჩათვლიდა დამნაშავეს. მაგრამ კარსტი ასეთ შეხედულებას არ ეთანხმება და ამტკიცებს, რომ სანახშირო ცალკე ვადასახად შეადგენდა; კალსტის აზრი, რასაკვირველია, უფრო ეფუძება აღბულას კრებულის 162. მუხლის ტექსტს, სადაც პირდაპირ ნათქვამია: „სისხლი სრული და სანახშირო დაუურვოს“. თუმცა ისიც დასაშვებია, რომ, როგორც თვითონ კარსტი ფიქრობს, სანახშირო ზოგ შემთხვევაში სისხლის ფასში შედიოდა და ამგვარად საერთო თანხის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა³.

ურბნელი თავის გამთავლებვაში სამართლიანად შენიშნავს, რომ სიგელების მიხედვით საფიქრებელია, რომ სანახშიროს დიდი გვარის პირნი იღებდნენ და ისიც მძიმე დანაშაულისათვის; „ცხადია, ანუ რად: სანახშირო ზავია, ხოლო ზავიც სამძიმო საქმეშია საჭირო. რასაკვირველია, სისხლო საქმე უფრო დიდგვარიანებისათვის იყო სამძიმო. უეჭველია, ჩვენშიც სანახშირო მაშინ დაარსდა, როცა შუთისძიება მოიხპო და დაურევება დაწესდა. თვით სანახშიროს განმარტება — „სანდო მისაცემი“ — პირდაპირ ამას ამტკიცებს⁴.

ბეკა-აღბულას კანონები იხსენიებენ აგრეთვე შეროე სახის ვადასახად — „საპირო დასანახებს“. ურბნელის განმარტებით, „საპირო“ სულის წინაგასამძღვანებელია — საპირო წინა გაუმძღვანეთ და აგრე გაიბრჭვენო“ (მუხ. 5 ა), და მხოლოდ მოკელისათვის იყო დადებული. ეს არის უძველესი ჩვეულება, რომელიც ხევსურეთში ყოფილა შემონახული. „როცა ხევსური ვისმე მოკლავს, სინამდე შერიგება მოხდება და დაურევება გათავდება, ბრალდებულის გვარში და ნათესაობამ მკვდარს ცხვარი უნდა დაუკლას და იგი ზვარაკი სულის წინ გასამძღვანებელია, შესანდობელი“⁵. როგორც ვხედავთ, ამ აქტს იმთავითვე აშკარად რელიგიური ხასიათი ჰქონია. კარსტი თავის შრომაში სწორედ „საპიროს“ პირვანდელ რელიგიურ სარჩულზე მიუთითებს; მისი სიტყვით, „საპირო“

¹ ურბნელი, დასახელ. ნაშრომი 259—261. იხ. აკად. ივ. ჯავახიშვილი, ჭარბ. სამ. ისტორია, II, 2, გვ. 303—304.

² Френкель 127.

³ Karst, Code d' Aghbougha, Tome II, Livre 2, 29, 1939.

⁴ ურბნელი, 261.

⁵ ურბნელი, 262.

დანაშაულის მოსანანიებელი ჯარომაა, საზღაურისაგან დამოუკიდებელი პირუანდლო მიზანია შეღახული ღირსების აღდგენა, მსხვერპლის სულის შერიგება (son caractere est celui d' une amende expiatoire du crime, independante du wergeld; son but primitif est de rétablir l' honneur lésé, de reconcilier l' ame de la victime...); ევოლუციის შედეგად ფეოდალურ სამართალში „საპირომ“ მიიღო წმინდა საერო—სამოქალაქო ხასიათი, იგი გახდა სისხლის დაუზღვრების წესის შემადგენელი ელემენტი: „საპიროს“ დანიშნულებაა შეწყვეტილი ურთიერთობის განახლება ორ მოწინააღმდეგეს შორის: შურისმძიებელისა და დამნაშავეს ოჯახებს შორის¹.

რუსულ თარგმანში განხილული ინსტიტუტი სრულიად დამახინჯებულად არის გადმოცემული; „საპირო დასახეები“ თარგმნილია როგორც „личная обида“, შერიგების აქტი აღრეულია პირადი შეურაცხყოფის ცნებასთან: „Как личная обида бывает различная, то и удовлетворение за оную бывает различное...“ (მუხლი 160); „Удовлетворение за личную обиду в рас- суждении знатных людей, дворян и крестьян бывает также различное...“ (მუხლი 161). ეტყობა, მთარგმნელებს არ ესმოდათ „საპიროს“ ისტორიული მნიშვნელობა და შინაარსი, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს უ რ ბ ნ ე ლ ი; „უვიცობის გამო, ამბობს იგი, ეს სიტყვა რუსულად გადათარგმნილია „личная обида“-დ (?). მაინც ჩვენი სამართალი უვარგისად უთარგმნიათ, მიუცილებლად საჭიროა, რომ ქართულს ენას მიმართონ, თორემ რუსული თარგმანი შეცდომებით ხავესა“². იმავე შეცდომაზე მიუთითებს კ ა რ ს ტ ი ც³.

დასასრულ, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ ქართული სამართლის იმ თვისებაზე, რომელსაც ჩვენ ვნახულობთ სხვა ხალხთა იურიდიულ ცხოვრებაშიც მათი განვითარების გარკვეულ საფეხურებზე და რომელიც უმეტესად მჭიდროდ არის დაკავშირებული ქონებრივი საზღაურის სისტემასთან; ჩვენ მხედველობაში გვაქვს ოჯახის პასუხისმგებლობა მისი წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის და ანაზღაურების ნათესაური პრინციპი⁴. სახელმწიფოს განვითარების პირველ საფეხურებზე სხვადასხვა ხალხთა სამართალში აღიღილი აქვს ნათესაური კავშირის და ოჯახის სოლიდარულ პასუხისმგებლობას, მთელი ოჯახი ღებულობს სისხლის ფასს და ამავე დროს მოვალეა გადაიხადოს იგი; სოლიდარული პასუხისმგებლობის ფაქტები აღნიშნული

¹ Karst, დასახელ. ნაშრომი, T, II, 2, pp. 146—148

² უ რ ბ ნ ე ლ ი, 262.

³ Karst, დასახ. შრ., T, II, 2, p. 30.

⁴ ოჯახის სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის შესახებ იხ. Salvioi, La responsabilità dell'erede e della famiglia pel delitto del defunto, 1886; Pertile, Storia del diritto italiano, Vol. V, 1892, 196—199; Glotz, La solidarité de la famille dans le droit criminel en Grèce 1904; Thonissen, Loi salique, 225—231.

ნათესავთა სოლიდარული პასუხისმგებლობა მკვლელობის შემთხვევაში (სიმბოლური წესი chrene cruda) გაუქმებულ იქნა 596 წელს ხილდებერტ II ედიქტით, რომელიც აცხადებს, რომ მომავალში მკვლელის ნათესავები არ არიან მოვალენი მონაწილეობა მიიღონ კომპოზიციის გადახდაში. Thonissen, დასახელ. ნაშრომი, 230.

აქვს ტაციტუსს თავის „De situ, moribus et populis Germaniarum“¹ სიტყვებში გერმანელ ტომთა ზნეჩვეულების აღწერის დროს იგი ამბობს: „Suscipere cum inimicitias seu patris seu propinqui quam amicitias necesse est. Nec implacabiles durant; luitur enim etiam homicidium certo armentorum ac pecorum numero, recipitque satisfactionem universa domus...“ (XXI). მთელი ოჯახი დებულობდა ანაზღაურებას—recipit satisfactionem universa domus.

იმავე შინაარსის დებულებას ვნახულობთ სალიკურ სამართალში, რომელიც აწესრიგებს მკვლელის ოჯახის წევრთა პასუხისმგებლობას, თუ მკვლელი ხელმოკლეობის გამო ვერ იხდის საზღაურს; სამაგიეროდ ახლობელი ნათესავები მკვლელობის შემთხვევაში დებულობდნენ კომპოზიციის კანონით განსაზღვრულ ნაწილს.

ვახტანგის კანონები რამდენიმე მუხლში იხსენიებენ ისეთ შემთხვევას, როცა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ნათესაურ საწყისთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ საგულისხმო მასალას შეიცავენ ვახტანგის დებულების 39, 75, 151, 60, 95 და 96, მუხლები, რომელთაგან პირველი სამი მუხლი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აკისრებს ოჯახის წევრებს შათი უფროსის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, ხოლო სამი უკანასკნელი მუხლი ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როცა საზღაური გადადის დაზარალებული პირის ნათესავების ხელში². გავეცნოთ ამ მუხლებს ცალკე-ცალკე.

ვახტანგის დებულების 39. მუხლი ლაპარაკობს იმ შემთხვევაზე, როცა თავადს ბრალი ედება დიდებულის მკვლელობაში; კანონი ავალებს შოსამართლეს განიხილოს, წაყენებულია თუ არა ბრალდება „მთხრობელის“ მიერ; პირველ შემთხვევაში, თუ მას ჰყავს მთხრობელის თანასწორი ყმა („დარი ყმა“), ამ უკანასკნელმა უნდა გამოიწვიოს მთხრობელი ხმალში, და თუ არ ჰყავს, თვითონ გავიდეს საბრძოლველად; უკეთუ ძლეულ იქნა, უნდა გადაიხადოს სისხლის ფასი, ხოლო თუ დაამარცხა მოწინააღმდეგე, მთხრობელი ხელშეკრული უნდა მიეცეს და მთხრობელმან მთელი სისხლი გარდაუხადოს გარდამგდებსა. თუ ვინ იცის მთხრობელს გარდამგდებულის სისხლის მიცემა არ შეეძლოს მთხრობელი ცოლშვილით უნდა მიეცეს³.

75. მუხლი ითვალისწინებს მკვლელის გადაცემას მთელი მისი ოჯახით მოკლულის ნათესავთა სრულ განკარგულებაში. «თუ აზნაურმან ანუ გლეხმან მისგან უფროსი კაცი მოკლას ერთ-ნახევარი სისხლი მისცეს, თუ მისის პატრონისაგან არა სცოდნოდეს ისრე ექნას მესისხლე კაცი თავის ნასყიდის მამულითა რაც ერგებოდეს და თავის კერძის საქონლით ცოლშვილითა ხელში მისცენ, რაც უნდა უყოს...». ოჯახის პასუხისმგებლობის კიდევ ერთ მაგალითს გვაძლევს 151 მუხლი, რომელიც ამბობს: «ერთი ძნელი ესე რომ ცოლი და ქმარი ერთს სახლში ერთად მწოლთ შეეპარა ქურდი და ისრე ან კაცის იარაღი,

¹ გერმანულ სამართალზე ამირა ამბობს შემდეგს: „Daher auch wurde nach dem älteren Strafrecht das Wergeld von ganzen Geschlecht, soweit Verwandtschaft galt, gegeben und genommen...“ Amira, Grundriss des germanischen Rechts. 1901, 107; М. Ковалевский, Рюриковъ быт, 1911 73, 73; J. Grimm, დასახ. ნაშრომი, 663.

ან ტანის-სამოსი ან სხვა რამე მიიძარა ან თუ ქალის სამკაული, ან ტანის-სამოსი მიიძარა ის ჩაქურდალიც შეიღწეულად უზღოს და რასაც გვარისა არიან ნახევარ ნახევარი სისხლი სხვა გარდაუხნადოს; თუ ვერ აუფილეს ქურდი თავისის ცოლ-შვილით, ქონებით და ნასყილით მიეცეს: თუ რომ ეს ქურდობა მართლის სამართლით არა ჩნდეს ფიცითა გამართლდეს, როგორც ზემოდ ფიცის საზღვარი დაგვიწერიდა. აქაც მთელი ოჯახი აგებს პასუხს უფროსის მიერ ჩადენილი ქურდობისათვის; მოყვანილი მუნღები ითვალისწინებენ ოჯახის სოლიდარულ პასუხისმგებლობას მკვლელობისა და ქურდობის შემთხვევისათვის. ნი. მუნღი ითვალისწინებს ნათესავის უფლებას სისხლის ფასის მიღებაზე; ამ მუნღის ძალით ნათესავი ღებულობს საზღაურს, რომელიც დადგენილია მკვლელობისათვის; აქ გავალისწინებულნი შემთხვევა შემდეგია: ვინმე შურის საძიებლად ჩაესაფრება მეორეს და მოკლავს მას, ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა შეუფარდოს ერთმანეთს ორივეს ბრეტენზიები, მათი შრთიერთ სისხლის ფასის შედარების და გამოკლების საფუძველზე უნდა მიუსაჯოს საზღაური და გარდა ამისა მთელ სისხლის ფასის მებუთედი; მაგრამ თუ მეორე პირმა მოკლა ჩასაფრებულნი, მან უნდა გადაიხადოს ნახევარი სისხლის ფასი და წინანდელი საქმისათვის დადგენილი საზღაური, რომელიც ეკუთვნის მოკლულის სახლის კაცს — ... და თუ იმ მიმავალმან ის დამდგომი მოკლას ნახევარი სისხლი გაუჩინეთ და რასაც უწინდელს სხვას საქმეს ჩოდა იმისი სამართალიც მისს სახლის კაცს უყავით¹.

მოვეყვანით კიდევ 96. მუნღი, სადაც კანონი ითვალისწინებს საზღაურის გადახდას ნათესავის სასარგებლოდ: «თუ ცოლი გაუყიდონ ვისმე საში სისხლი არის, ერთი ქალის პატრონს უნდა მისცენ, ორი კმარს».

აქვე უნდა დავასახელოთ 95. მუნღი, რომლითაც ასახულია ნათესაური კავშირის იურიდიული მნიშვნელობა. 95. მუნღი ითვალისწინებს ბატონის მიერ თავისა ყმის მოკვლას ან გახეიბრებას, და კრძალავს რა ამგვარ მოქმედებას, აწესებს «საფათერაკო» საზღაურს. როგორც უკვე იყო აღნიშნული, 95. მუნღი მნიშვნელოვანია პირველ ყოვლისა იმ მხრივ, რომ კანონმდებელი აქ ააშკარავებს მისწრაფებას დაასაბუთოს სამეფო ძალაუფლების სუვერენული მდგომარეობა დასჯის პოლიტიკის დარგში და აღადგინოს თავდაუნაზურობის თვითნებობა — «უხელმწიფოდ კაცს თავისის ყმისა სიკუდილი და გახეიბრება არავის ხელეწიფების, დასჯის უფლება ეკუთვნის მეფეს და, ვინაოდან დანაშაული ჯერ კიდევ განიხილება როგორც ცოდვა, დარღვევა დედაებრივი მცნებისა, კანონი დასტენს — მკვლელობა და დასახინრება «კათალიკონისაგანც საწყენი არისო». მაგრამ კანონმდებელს შეგნებული აქვს ხელისუფლების სისუსტე, მას არ შეუძლია ბოლომდე გაატაროს მტკიცე მართლწესრიგის დაცვის ხაზი და ამიტომ იგი იქვე ამბობს: «და თუ მოუხდეს და ქნას ყმა ვერას შეუა» — ყმას არ შეუძლია მოსთხოვოს ბატონს დაკმაყოფილება. გარდა ამისა საყურადღებოა, რომ უდანაშაულო ყმის განზრახვის გარეშე მოკვლისათვის კანონი მიანიჭ აწესებს სისხლის საზღაურს, რომელსაც «საფათერაკო» ეწოდება. კანონმდებელი ამით არ კმაყოფილ-

¹ კარსტი თარგმნის: „faites en justice à un homme de sa famille (scil. de celle du créancier tué)“.



დება: თუ უდანაშაულოდ დასახიჩრებულმა ყმა არ მოინდომა თავისი უდანაშაულოდ დარჩენა, მას აქვს უფლება თავისი ცოლშვილით წავიდეს ვისთანაც უნდა, ვინაიდან არ ექნება“, ვინაიდან ყმას, კანონის სიტყვით, „თავი სისხლით დაუხსნია“¹.

ნათესაური კავშირის თვალსაზრისით განსაკუთრებით საფულისხმოა 95. მუხლის უკანასკნელი ნაწილი, სადაც ნათქვამია: «... ძმისა და სახლის კაცს თუ არ სიკუდილისათვის განხიზრებისათვის ვერაფერს გამოართავს». ახრი ამ დებულებისა უნდა იყოს ის, რომ ყმის მოკვლის შემთხვევაში მისი ძმა და ნათესავი (სახლის კაცი) თავისუფლებას პოულობენ². ამგვარად კანონის თანახმად ბატონის მიერ ყმის მკვლელობას და არა განხიზრებას შედეგად მისი ძმის და სახლის კაცის განთავისუფლება უნდა ჰქონოდა; როგორც ვხედავთ, აქაც მუდგინდება ნათესაური კავშირის იურიდიული ძალა და შედეგები—მოკლულის ნათესავი ყმობისაგან თავისუფლდება. რა თქმა უნდა, სინამდვილისაგან ეს ძლიერ დაშორებული იქნებოდა, მაგრამ მაინც ყურადღების ღირსია ის ლმობიერება, რომელითაც ნაკარნახევია აღნიშნული დადგენილება.

ზემოთ დასახელებული იყო ის ნორმები, რომლებიც გამოხატავენ ძველი საგვარეულო წყობილების ინსტიტუტის ნაშთის მოქმედებას. ამავე დროს უდავოა, რომ ქართული სამართალი იცნობს აგრეთვე კოლექტიური პასუხისმგებლობის სხვა სახეებსაც, რომლებიც ნათესაურ ერთობასთან დაკავშირებული არაა. როგორც მაგალითი მთელი თემის სოლიდარული პასუხისმგებლობისა მისი წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის შეიძლება დავასახელოთ ბროსეს საქართველოს ისტორიაში აღნიშნული ერეკლე II დადგენილება (1786 წ.), რომელშიც ნათქვამია: ძველად გლეხის მკვლელობისათვის დაწესებული იყო 12 თუმანი; ჩვენ თავის მხრივ დავადგინეთ 24 თუმანი, და ვინაიდან არც ამან იქონია გავლენა და მკვლელობები არ წყდება, ახლა ვაწესებთ 30 თუმანს თუშის, ანჭუხის და ქართლელის მოკვლისათვის. თუ მკვლელი დაიმალა, პასუხს აგებენ მისი ნათესავები და მისი სოფელი³. აქ მოცემულია საუკეთესო მაგალითი თემის სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობისა, რომელიც ანალოგიურია იმისა, რასაც ჩვენ ვნახულობთ რუსული სამართლის ისტორიაში „дикая вира“-ს სახელწოდებით; მასვე ვხვდებით სხვადასხვა ხალხთა ცხოვრებაში და შეიძლება საერთოდ ითქვას, რომ იგი თავისი ბუნებით სავსებით შეესაბამება განვითარების იმ საფეხურს, როცა სამართლის ცხოვრებაში ბატონობს კომპოზიციების სისტემა.

ჩვენ მოკლედ დავახასიათეთ ქართული სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლების მხოლოდ ზოგიერთი მხარე; განხილული იყო შემდეგი საკითხი: სისხლის

¹ შეადარე 258. მუხლი: „... ამ სამართალს უკან, თუ ბატონმა ყმა არ დაინდოს, ან მოკლას, ან განხიზროს, მოსამართლემ მისი სახლი გაათავისუფლოს“.

² ქარსტი თარგმნის: Mais quant à son frère et son apparenté („homme de la maison“), si ce n'est pour le cas de supplice de mort, l'on ne peut nullement les lui adjoindre et les comprendre avec lui [en vue de quitter le servage du seigneur suppliciant], pour simple peine de mutilation“.

³ Френкель, 10.

დაურევების სისტემა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სისხლის სანქციონირების წესით კოლექტიური პასუხისმგებლობის ინსტიტუტი. ჩვენ ვნახეთ, რომ ამ მხრივ ქართული სისხლის სამართალი იმავე გზებით მიდიოდა, როგორც სხვადასხვა ხალხთა ფეოდალური სამართალი: როგორც შუა საუკუნეების საფრანგეთის, ვერმანიის, რუსეთის და სხვა ქვეყნების სისხლის სამართალი, ქართული სამართალიც იცნობს სისხლის ანაზღაურების სისტემას, მაგრამ მას უცხოური სამართლისაგან განსხვავებით ახასიათებს ერთი ძირითადი თავისებურება.

ვანტანგის კრებულში შემავალი კანონები თითქმის არ იცნობენ საზღაურის საზოგადოებრივ, საჯარო ელემენტს: ვამბობთ თითქმის, იმიტომ რომ ვანტანგის სამართლის წიგნის ერთადერთი მუხლი (154 მ.) ითვალისწინებს ამ ელემენტს, ისიც ქონებრივი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. მაგრამ ვანტანგის დროის მეორე თვალსაჩინო ძეგლი „დასტურლამალი“ ითვალისწინებს იმავე საჯარო ხასიათის ჯარიმას როგორც ქონებრივი დანაშაულის, ისე სხეულის დაზიანების შემთხვევაში; ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ „დასტურლამალის“ დადგენილებას ვანტანგის კრებულის მიმართ შევსებითი ხასიათი აქვს; მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული სამართლის დადგენილებებს ამ საკითხში არა აქვთ ის განვითარებული, მთლიანი, სისტემატურად დამუშავებული ხასიათი, რომელიც დასავლეთ ევროპის ფეოდალური ეპოქის იურიდიულ ძეგლებს ახასიათებს; დასავლეთ ევროპის ძეგლები დაწვრილებით აწესრიგებენ ამ საკითხს: იმდროინდელ კოდექსებში სისტემატურად და ამომწურავად არის გათვალისწინებული ყველა ის შემთხვევა, როცა ადგილი აქვს ქონებრივ ჯარიმას; ხელისუფლების ხვედრი წილი განსაზღვრულია დანაშაულთა ცალკეული ჯგუფებისათვის. ქართული სისხლის სამართალი კი ამგვარ სურათს არ იძლევა.

ჩვენ, რასაკვირველი, ვერ დავეთანხმებით ჰოლდაკის გადაჭარბებულ აზრს, რომ თითქოს ქართული სამართალი „fredus“-ს არ იცნობდა, რომ სისხლის სამართალი ვითომც კერძო ინტერესთა ბატონობის სარბიელს წარმოადგენდა; ჰოლდაკი ხსნის ამ მოვლენას ხელისუფლების სისუსტით საქართველოში. მაგრამ როგორ შეგვიძლია გავიზიაროთ ჰოლდაკის შეხედულება, როდესაც ჩვენ ბლომად გვაქვს ისტორიული მაცალითები იმისა, რომ „fredus“ არსებობს ისეთ ხალხთა ცხოვრებაში, სადაც სახელმწიფო ჯერ კიდევ განვითარების პირველ საფეხურზე იმყოფება და ხელისუფლების სიძლიერეზე, ცხადია, ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

როგორ წარმოვიდგინოთ, რომ ფრანკებს „სალიკური სამართლის“ ნორმების შექმნის დროს ჰქონდათ უფრო ძლიერი სახელმწიფო ვიდრე ქართველებს იმ პერიოდებში, რაც ასახულია ჩვენ მიერ ზემოთ არაერთხელ დასახელებულ ძეგლებში, რომელთაგან გიორგი V-ის კანონები ეკუთვნიან XIV საუკუნის პირველ ნახევარს, ხოლო ბექა-აღბუღას კანონებში მოქცეული ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტი—უფრო აღრინდელ ხანას.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის დანართშიც საკმაო მოცულობით მიღებულია კომპოზიციების სისტემა, ჩვენს დრომდე სხვა უფრო აღრინდელი კო-



დექსები არ შემონახულა; როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, აღმამწებელის, გიორგი III-ისა და თამარ მეფის დროსაც იქნებოდა გამოცემული კანონები, მაგრამ ჩვენდა სამუშაოდ ჯერჯერობით ამის შესახებ არავითარი პირდაპირი ცნობები არ აღმოჩნილა¹. მასალების უქონლობის გამო მწელია, რასაკვირველია, რაიმე გარკვეული აზრის გამოთქმა ამ მეფეთა პერიოდში მოქმედი სისხლის სამართლის შესახებ; მაინც შეგვიძლია დაახლოებით ვთქვათ, რომ მაშინაც, მიუხედავად სახელმწიფო ხელისუფლების არჩევნულ-ბრძოლიანი ზრდისა და განმტკიცებისა, ქართულ სამართალში მიღებული იქნებოდა ქონებრივი საზღაურების სისტემა. ამგვარად, ჩვენის აზრით, ეს უკანასკნელი სისტემა ქართული სახელმწიფოს თანამგზავრია მისი არსებობის ყველა საფეხურზე. ამით, რასაკვირველია, ჩვენ არ გვინდა ვთქვათ, რომ ქართული სამართალი თითქოს საჯარო ხასიათის სასჯელს, ე. ი. სახელმწიფო სასჯელს, არ იცნობდეს. პირიქით, ქართული სამართლის ყველა განხილულ ძეგლში კომპოზიციების გვერდით ამა თუ იმ მოცულობით სახელმწიფო სასჯელებსაც გვხვდებით; მაგრამ კომპოზიციებს მაინც გაბატონებული ადგილი უკავიათ.

გერმანელი მეცნიერის ჰოლდაკის აზრით, ქართული სამართლის ძირითადი პრინციპის გვერდით, რაც დაწვრილებით დამუშავებულ კომპოზიციების სისტემაში გამოინათებოდა, არსებობდა მეტად მკირეულენი და ნაწილობრივად ბუნდოვანი დადგენილებანი, რომლებიც საჯარო სისხლის სამართალს გამოასახედნენ („Neben diesem Grundprinzip des grusinischen Rechts, dem umfassenden und bis ins einzelne ausgearbeiteten System der Kompositionen waren es nur verschwindend wenige und zum Teil noch verschwommene Bestimmungen, in denen das Leben des öffentlichen Strairechts sich zeigte“ დასახელ. ნაშრომი, 247). ჰოლდაკის აზრი გადაქარბებულია უნდა ჩაითვალოს; როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ქართული სამართალი თითქოს ძლიერ სუსტად იცნობს საჯარო ხასიათის სასჯელებს, როდესაც ვახტანგის კოდიკონში შემავალი ეროვნული ძეგლები საჯარო სასჯელთა მთელ რივ გარკვეულ სახეებს ითვალისწინებენ².

საინტერესოა, თუ როგორ ხსნის ჰოლდაკი საჯარო ელემენტის სისუსტეს ქართულ სამართალში. საჯარო საწყისის შევიწროება და ქონებრივი საზღაურების პრინციპის გაბატონება ქართულ სამართალში; ამ მეცნიერის სიტყვით, უმთავრესად აიხსნება სახელმწიფო ძალაუფლების უეცარი დაცემით თამარის მეფობის შემდეგ და თვითნებობის გამოცოცხლებით, მეორე მხრივ კი, იმავე მოვლენას, ე. ი. „კრიმინალური სასჯელის გაუქმებას“, ხელს უწყობდა კანონიკური ვაჟენა, ისე როგორც სომხურ სამართალში. („ist diese Zurückdrängung des kriminellen Elements und dieser markante Vorstoss des Entschädigungsprinzip im grusinischen Recht wohl zum grossen Teil aus dem plötzlichen Niedergang der staatlichen Macht nach dem Tode

¹ ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, 1928, 93.

² სასჯელთა საკითხს ქართული სამართლის მიხედვით ჩვენ განვიხილავთ სპეციალურ ნარკვევში.

Tamaras und dem Aufleben der Willkür zu erklären, so haben nicht auch kanonische Einflüsse ebenso wie im armenischen Recht bei der Beseitigung der Kriminalstrafe mitgewirkt* (დასახელ., ნაშრომი 228). უდავოა, რომ სახელმწიფოს დაცემა დიდ გასაქანს მისცემდა მის მოწინააღმდეგე ძალებს და შეასუსტებდა საჯარო პრინციპს, მაგრამ ის შეხედულება, რომ კანონიკური სამართალი ვითომც იმავე მიმართულებით მოქმედებდა, საეჭვოდ მიგვაჩნია. პირიქით, კათალიკოზის კანონები მკაცრ საჯარო ხასიათის სასჯელებს აწესებენ (სიკვდილით დასჯა; ხელის მოკვეთა, დასახიჩრება; მუხლები: 2, 3, 4, 5, 6, 17, 23).

როგორც საერთოდ ფეოდალური სამართალი, ქართული სამართლის ნორმებიც გამსჭვალულია რელიგიური სულისკვეთებით; როცა ვანტანგის დებულება ეხება მკვლევლობას, იგი ამბობს. «... ნუმცავინ იკადრებს და ნუმცა ვის შეეძთხვევის ესე ვითარი, რომელი აწენებს ხორცსა და უმეტესად სულსა, ნუცა საღთო კაცი და ნუმც სხვათა ძეთა ადამისთა, რომელსამე ვხმობ ესე ვითარი...» (მ. 25); დანაშაული მისთვის ცოდვება, გამოწვეული უხილავი ბოროტი სულის ზეგავლენით: «... მარადის მტერმან და მბრძოლმან უხილავმან ეშმაკმან თვისთა მანქანებითა და საბრხე გებითა აღზრას ბუნებანი კაცთანი შურად და კვლად კაცისად...» (მ. 25) (იხ. აგრეთვე ვანტანგის სამართლის წიგნის 97. მუხლი: ადამიანის გაყიდვა ურჯულოზხედ—ორკეცი სისხლის დაურყვება). რელიგიურ ნიადავზეა აგრეთვე აგებული დამამტკიცებელი საბუთები, რომელთა შორის მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ფიცი, გამოცდა შანთით, მღუღარე წყლით, ორთაბრძოლა და ცოდვის-მოკიდება: «საქართველოს რიგი და სამართალი ექვსი არის რომე ამითი თავი იმართლებს: პირველი ფიცი, მეორე შანთი, მესამე მღუღარე, მეოთხე ხრმალი, მეხუთე მოწამე, შეექვსე ცოდვის მოკიდება. ამათ თითოს და თითოს თავისი საზღტარი აქტს, თუ რომელ როგორს საქმეზედ უნდა დაუდვას და ქნით როგორ უნდა ქნას თვითოეულადცა გამცნებთა (მ. 6 ვანტ. დ.). საპროცესო დამამტკიცებელ საბუთთა ყველა აქ ჩამოთვლილი სახეები სხვა ხალხთა სამართლისათვის უცხო რამ არაა და ამ მხრივ ჩვენი საპროცესო სამართალი ახალს არაფერს გვაძლევს; ორდალიები, სასამართლო დუელი, ფიცი ფეოდალური სისხლის სამართლის პროცესის საერთო და ჩვეულებრივი კუთვნილებაა, მხოლოდ უკანასკნელი სპე, რომელსაც ვანტანგი „ფიცის მოკიდებას“ უწოდებს, უმკველად მტკიცების თავისებურ ხერხს წარმოადგენს და ქართული სამართლის დამახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს.

ქართული სისხლის სამართალი თავისი მრავალსაუკუნეებრივი განვითარების მანძილზე მეტად საგულისხმო სურათს წარმოადგენს: ზოგიერთის მხრივ იგი მაღალი კულტურის ნიმუშებს იძლევა, რის დასამტკიცებლად შეიძლება მივიყვანოთ დანაშაულის სუბიექტური ელემენტების დამუშავება, განზრახვის და გაუფრთხილებლობის გათვალისწინება ცალკეულ დანაშაულთა განსაზღვრის დროს. მაგრამ ამასთან ერთად ზოგ შემთხვევაში იგი აღიარებს ობიექტური შერაცხვის პრინციპს და იცნობს ოჯახის სოლიდარულ პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის დარგში. ზოლდაკი სამართლიანად შენიშნავს, რომ საქარ-



თველოში სამართლის განვითარება ვერ მიდიოდა წინ იმავე ნაბიჯით, რითაც ლიტერატურული და საერთოდ ხელოვნების განვითარებაო; ნაბიჯის მიხედვით ნაღ ჩამორჩა უკანასკნელს, რომ თვით კულტურის მაღალმა დონემ ვერ შეძლო ისეთი ძველის ძველი წესების განდევნა სამართლის ცხოვრებიდან, როგორცაა ოჯახის პასუხისმგებლობა მისი უფროსის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, ანდა თანანაფიცთა (соприсяжники, conjuratores) გამოყენება პროცესში¹. ლიტერატურის დარგში ქართველმა ერმა უდიდესი შემოქმედებითი უნარი გამოიჩინა და მსოფლიო შედეგები შექმნა, მაგრამ სამართლის დარგში იგი თავისი დამოუკიდებელი არსებობის ბოლომდე სისხლის სახლათურის სისტემაზე დარჩა; ამ მხრივ ჰოლდაკს, რასაკვირველია, ჰქონდა ერთგვარი საფუძველი ელაპარაკა ქართული სამართლის ჩამორჩენილობაზე შედარებით საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მხარეებთან; მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ჰოლდაკს, როცა იგი ამტკიცებს, რომ ბერძნულ სამართალს თითქმის არავითარი გავლენა არ ჰქონია ქართულ სამართალზეო, და თავის აზრს ასაბუთებს, სხვათა შორის, იმით, რომ ბერძნები, ისე როგორც სომხები, ვაქრები იყვნენ, ქართველები კი მხოლოდ მიწაამოქმედებას მისდევდნენ, ეს კი მნიშვნელოვნად შეაფერხებდა ბერძნული სამართლის რეცეპციას². ჩვენ ვიცით, რომ ბიზანტიური სამართლის გავლენა საკმაოდ ღრმა იყო იმ ქვეყნების ცხოვრებაში, რომლებიც მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმატებს იზიარებდნენ; ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ძველი რუსეთის ისტორია მას შემდეგ, რაც რუსებმა ქრისტიანობა ბიზანტიის ხელიდან მიიღეს. რა თქმა უნდა, რუსულის მსგავსად, ქართული სამართალიც განიცდიდა ბევრად უფრო განვითარებული ბერძნული სამართლის გავლენას. რომ ავიღოთ, მაგალითად, ისეთი დიდი საკითხი, როგორცაა განზრახვისა და გაუფრთხილებლობის საკითხი, ჩვენ შეგვიძლია დანამდვილებით

¹ „... dass in Georgien die Rechtsentwicklung niemals mit der auf allen anderen Gebieten zuzeiten vorübergehender nationaler Erstarkung sich zeigenden Entfaltung der literarischen und künstlerischen Kräfte hat gleichen Schritt halten können...“ დასახელ. ნაშრომი, 100.


² იქვე. HOLLDAK-ი ამბობს: „... vielmehr hat auch von diesen griechischen Normen dasselbe zu gelten wie von den armenischen und mosaischen, nämlich, dass sie überhaupt nicht, oder doch so gut wie gar nicht in das Rechtsleben eingedrungen und in ihm zu selbständiger Erscheinung gelangt sind“. თუმცა საბოლოო ანგარიშით ჰოლდაკი მაინც ცნობს მათ გავლენას: „Fragt man sich, ამბობს იგი, nun von welchen grossen Richtungen her das grusinische Recht beeinflusst worden sein kann, so ist freilich a priori anzunehmen, dass bei den mannigfachen wechselseitigen kulturellen Berührungspunkten im einzelnen armenische und syrisch-römische, griechische und mosaische Rechtsgedanken auf die nationale Rechtsbildung einwirken konnten und sicherlich auch eingewirkt haben“ (106). გარდა ამისა, იგი ცნობს მაჰმადიანური (islamische) და სპარსული სამართლის გავლენას; კიდევ მეტი, იგი მიუთითებს, რომ გერმანულ სამართალსაც უვეძლო სომხეთის მეშვეობით გავლენა მოუხდინა ქართულ სამართალზეო; მოკონსტანტუფენებს ახლოებული ურთიერთობა ჰქონდათ სომხეთთან და სომხური ფეოდალური სისტემა ჩამოყალიბდა ფრანკების ფეოდალური წყობის ხეობქმედების გზით (109). ავტორი მიღის უფრო შორს და ლაპარაკობს კავკასიურ და სუმიერულ ხალხთა ძველის ძველ სამართლის ერთიანობაზე (eine uralte Rechtseinheit kaukasischer und sumerischer Völkerschaften, 111).

ქართული
ენების
მეცნიერება

ვთქვათ, რომ მისი დანუშავება საქართველოში ბიზანტიური სამართლის წარმოება; ბიზანტიურ სამართალში შემუშავებული ცნებების გადმოტანა და შეთვისება ჩვენი იურიდიული ცხოვრებისათვის უეჭველად ხელსაყრელი და სასარგებლო იყო: ამგვარ რეცეპციას შედეგად ჰქონდა იურიდიული აზროვნების გარდაქმნა და გაღრმავება, ჩამორჩენილი იურიდიული წესების ახალი თვალსაზრისით გადასინჯვა და უფრო განვითარებული, უფრო მაღალი კულტურის გამომხატველი ინსტიტუტების შემოღება.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სისხლის სამართლის კათედრა:

(შემოვიდა რედაქციაში 1943. V. 5)



ს. ბერაძე

ძ. მარქსის „კაპიტალის“ ისტორიული მნიშვნელობა

I

უკვე საუკუნის სამმა მეოთხედმა განვლო კ. მარქსის გენიალური ნაწარმოების—„კაპიტალის“ გამოცემის წმინდა, მიუხედავად იმ ცვლილებებისა, რაც მსოფლიომ განიცადა ამ ხნის განმავლობაში, კ. მარქსის „კაპიტალი“ იყო, არის და იქნება მსოფლიო ლიტერატურის ის შედეგო, რომელიც ინარჩუნებს ღრმა მეცნიერულ შინაარსს. „წიგნებს აქვს თავისი ბედი,“—ამბობს ლათინური გამოთქმა. კ. მარქსის „კაპიტალი“ არ ეკუთვნის ისეთ წიგნებს, რომელნიც დროებით ამძიმებენ ბიბლიოთეკის თაროებს და უკვალოდ გაქრებიან ისტორიიდან. კ. მარქსმა ამ ნაწარმოებით ებოქა შექმნა, რადგან მან აღმოაჩინა საზოგადოების ეკონომიური განვითარების კანონი: „ამ ნაწარმოების საბოლოო მიზანს, — წერს მარქსი, —სწორედ თანამედროვე საზოგადოების ეკონომიური განვითარების კანონის აღმოჩენა შეადგენს“. კ. მარქსმა რომ ეს დიდი ამოცანა ზედმიწევნით კეთილსინდისიერად შეასრულა, ჩანს ენგელსის სიტყვიდან: „ისე, როგორც დარვიშმა ორგანული სამყაროს განვითარების კანონი აღმოაჩინა, ასევე მარქსმა აღმოაჩინა ადამიანთა ისტორიის განვითარების კანონი“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებები, ტ. XV, გვ. 652).

კ. მარქსის „კაპიტალმა“ პირველად მოგვცა კაპიტალისტური წყობილების აღმოცენების, განვითარებისა და მოსპობის კანონების მეცნიერული დასაბუთება. „კაპიტალის“ შესახებ ფ. ენგელსი წერს: „მას შემდეგ, რაც დედამიწაზე კაპიტალისტები და მუშები არსებობენ, არ გამოჩენილა არც ერთი წიგნი, რომელსაც ჰქონოდა ისეთი მნიშვნელობა მუშებისათვის, როგორც მას, რომელიც ჩვენს წინა დევს“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებები, ტ. XIII, ნაწ. I, გვ. 230). „კაპიტალის“ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა თანამედროვე საზოგადოების იმ დიდი მოვლენების გაგება, რომელთა მოწამენი ჩვენ ვართ; გაუგებარი იქნებოდა კაპიტალიზმის სისტემის საერთო კრიზისის არსი. სწორედ „კაპიტალში“ მოცემული, როგორც აღნიშნავს ამხანაგი სტალინი—„კაპიტალიზმის საფუძვლების ანალიზი“ (ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გამოც. რუს. მე-10, გვ. 170).

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური წყობილების დამყარება შეუძლებელი იქნებოდა, რომ ლენინ-სტალინის პარტია არ ყოფილიყო შეიარაღებული კ. მარქსის მიერ „კაპიტალში“ ჩინებულად გაშუქებული რევოლუციური თეორიით, როგორც აღნიშნავს

1 წაკითხულია მოხსენებად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოლტიკური ეკონომიის კათედრის საჯარო სხდომაზე 1942 წლის სექტემბერში.

ლენინი, „კაპიტალი“ არის უდიდესი პოლიტიკურ-ეკონომიური ნაწარმოები (ვ. ლენინი, თხზულებები, რუს. მესამე გამ. ტ. I, გვ. 414). „კაპიტალი“ მათა კლასის ხელში წარმოადგენს ბასრ იარაღს, მისი ისტორიული მისიის შესრულებისათვის—ძველი წყობილების შეცვლისათვის, სოციალიზმის აშენებისათვის, „კაპიტალს“ აქვს დიდ ბრძოლიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა. მას მიმართავენ ყველა ქვეყნის რევოლუციონერები, როგორც მასებზე დაუფლებულ, მატერიალური ძალის შემცველ თეორიის ნაკადულს. „კაპიტალი“ მძლავრ იარაღს წარმოადგენს და ეხმარება მათ ბრძოლაში, რადგან ის („კაპიტალი“) თვით შეიცავს ორგანულად დაკავშირებულ მეცნიერულსა და რევოლუციურს მთლიანობას.

„კაპიტალის“ მნიშვნელობა განსაკუთრებით ცხადია დღეს, როდესაც წარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ბნელი რეაქციის გამომხატველ, სისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხი ღირსეულად აფასებს და პატივისცემით ეპყრობა კ. მარქსის ნაწარმოებს—„კაპიტალს“—საბჭოთა ხალხი, იბრძვის რა დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ფაშიზმის წინააღმდეგ, ამით ამავე დროს იბრძვის მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველი იდეებისათვის.

II

მეტად საინტერესოა ამ წიგნის გამოქვეყნების ისტორია.

თავისი მთავარი ნაწარმოების—„კაპიტალის“ პირველი ნაწილი ხელნაწერის სახით კ. მარქსმა ჩააბარა გამოცემელ მისინერს 1866 წლის სექტემბერში, ხოლო ხელნაწერის დანარჩენი ნაწილი—1867 წლის აპრილში. ბეჭდვა დამთავრდა, და „კაპიტალის“ პირველი ტომი გამოქვეყნდა 1867 წლის სექტემბერში. წელს „კაპიტალის“ პირველად გამოქვეყნების 75 წლისთავია, რუსული თარგმანის გამოქვეყნების 70 წლისთავი. რაც შეეხება ქართულ თარგმანს, ის მხოლოდ 12 წლის წინათ იქნა გამოცემული.

ძლიერ საგულისხმო და საინტერესოა „კაპიტალის“ გამოცემიდან განვლილი 75 წელი. „კაპიტალი“, რომელსაც კ. მარქსი სთვლიდა თავისი ცხოვრების საქმედ, წარმოადგენს უზარ-მაზარ საკვლევო-სამეცნიერო შრომის ნაყოფს.

პოლიტიკური ეკონომიის, რომელსაც კ. მარქსი ადამიანთა საზოგადოების ანატომიად სთვლის, შესწავლისა და კვლევის მოთხოვნილება და სურვილი კ. მარქსს ებადება 1842-1843 წლებში. პირველი, რამაც ხელი შეუწყო ამ მოთხოვნილების წარმოშობას, იყო „რენის ვაზეთის“ რედაქტორობის დროს მარქსის მიერ ეკონომიურ საკითხებზე აზრის გამოთქმის აუცილებლობა. „1842-43 წელს—წერს კ. მარქსი,—როდესაც მე „Rheinische Zeitung“-ს რედაქტორობდი, პირველად ჩავვარდი გასაჭირში იმის გამო, რომ აზრი უნდა გამომეთქვა ეგრეთ-წოდებული მატერიალური ინტერესების შესახებ“ (კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, ქართული გამოც., „წინასიტყვაობა“, გვ. 39). ამიტომ ლენინი წერს: „სავაზეთო მუშაობამ მარქსს დაანახა, რომ მას აკლდა პოლიტიკური ეკონომიის ჯგეროვანი ცოდნა, და ის გულმოდგინედ შეუდგა მის შესწავლას (ლენინი, თხზულებები, ტ. XVIII, გვ. 5, ქართ. გამ.).

მეორე, რამაც კ. მარქსს გაუძლიერა წყურვილი პოლიტიკური ეკონომიისადმი, იყო ფ. ენგელსის შრომა: „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის ნარკ-

გვეი“, რომელიც კ. მარქსმა ჩასთვალა გენიალურ ნაშრომად და 1842 წელს მოათავსა ჟურნალ „გერმანულ-ფრანგულ მატინენში“. ამ საკითხზე ლენინი შენიშნავს: „ენგელსთან ურთიერთობაში უდავოდ შეფუყო ხელი, იმას, რომ მარქსმა გადაწყვიტა ხელი მოეკიდა პოლიტიკური ეკონომიისთვის, იმ მეცნიერებისათვის, რომელშიაც მისმა შრომებმა მთელი გადატრიალება მოახდინა“ (ვ. ლენინი, თხზულებები, რუს. გამოც., ტ. I, გვ. 413). ეს ვებებრთელა შემოქმედებითი შრომა პოლიტიკურ ეკონომიაში, დაწყებული მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში, შესწყვიტა მხოლოდ კ. მარქსის გარდაცვალებამ.

პოლიტიკურ ეკონომიაზე დასაბუთი მუშაობის პირველი პერიოდი ორმოციან წლებში ემთხვევა კ. მარქსის და ფ. ენგელსის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პერიოდს. ამ პერიოდში კ. მარქსი და ფ. ენგელსი მდგრად შეებრძოლნენ წვრილ-ბურჟუაზიული სოციალიზმის სხვადასხვა მოძღვრებას და შეიმუშავეს რევოლუციური პროლეტარული სოციალიზმის ანუ კომუნისმის (მარქსიზმის) თეორია და ტაქტიკა (ვ. ლენინი, თხზულებები, ტ. XVIII, ქართ. გამ. გვ. 5).

კ. მარქსმა კრიტიკულად დაამუშავა დიდძალი ფილოსოფიური, ეკონომიური და სოციალური ლიტერატურა. ინგლისში გადასახლების შემდეგ კ. მარქსს შესაძლებლობა მიეცა ფორმალურად თავისუფალი ცხოვრებისა და ფაქტიური შიმშილისა. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ წვრილ ცოლშვილიან კ. მარქსს შეელოდა ფ. ენგელსი თავისი მატერიალური დახმარებით. თუ ინგლისში ჩასვლამდე კ. მარქსი მისთვის საჭირო უამრავ ლიტერატურას მხოლოდ გერმანულ და ფრანგულ ენებზე ამუშავებდა, აქ მან ისე სწრაფად და საფუძვლიანად შეისწავლა ინგლისური ენა, რომ ის გახდა მისთვის მეორე დედა-ენად. ამან კ. მარქსს საშუალება მისცა დაემუშავებინა პოლიტიკური ეკონომიის ისტორიის ის აუცილებელი მასალა, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმშია დაგროვილი, ლონდონი კი გამოყენებულ იქნა იმ სათვალთვალო პუნქტად, საიდანაც კ. მარქსი აწარმოებდა ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე დაკვირვებას. „პოლიტიკური ეკონომიის ისტორიის იმ აუარებელმა მასალამ, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმშია დაგროვილი, — წერს კ. მარქსი, — იმ ხელსაყრელმა მდგომარეობამ, რომელსაც ლონდონი წარმოადგენს ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე დაკვირვების საწარმოებლად... აღმიძრა სურვილი, რომ თავიდანვე დამეწყო საგნის შესწავლა და კრიტიკულად გზა გამეკვლია ახალ მასალაში“ (კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, ქართ. გამ. გვ. 43).

ეკონომიურ პრობლემებზე მუშაობამ დიდი როლი ითამაშა კ. მარქსის მოძღვრების შექმნაში. კ. მარქსის „მოძღვრება აღმოცენდა როგორც ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიისა და სოციალიზმის უდიდეს წარმომადგენელთა მოძღვრების პირდაპირი და უშუალო გაგრძელება“ (ვ. ლენინი, თხზულებები, ტ. XVI, რუს. გამ. გვ. 349). კაცობრიობის მოწინავე აზრის მიერ დასმული კითხვები საუკუნეების განმავლობაში რჩებოდა გადაუწყვეტელი. „მარქსის მთელი გენიალობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან პასუხი გასცა კითხვებს, რომელნიც კაცობრიობის მოწინავე აზრმა უკვე დასვა“ (ვ. ლენინი, იქვე).



კ. მარქსის მთავარ შრომას წარმოადგენს „კაპიტალი“, სადაც ვხვდებით ლია მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია. მან პოლიტიკურ ეკონომიას ვოლუტა მოახდინა. კ. მარქსმა თავისი ძალღონე უმთავრესად პოლიტიკურ ეკონომიას მოახდინა. „ლენინი წერს, რომ მარქსი „ისტორიული შრომების მთელს რიგში... თავის მატერიალისტურ თეორიას ამუშავებდა; თავის ძალღონეს უმთავრესად პოლიტიკური ეკონომიის შესწავლას ანდომებდა. მარქსმა ამ მეცნიერების რევოლუტია მოახდინა“ (ვ. ლენინი, თხზულებები, ტ. XVIII, ქართ. გამ. გვ. 6).

პოლიტიკური ეკონომიისადმი ესოდენ დიდი ინტერესი აიხსნება იმით, რომ კ. მარქსმა საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა ჩასთვალა იმ რეალურ მატერიალურ საფუძვლად, რომელზედაც აღიმართება საზოგადოების იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი. ამ რეალურ, ეკონომიურ საფუძველს „ცნობიერების განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმები შეესაბამება“ (კ. მარქსი). ამიტომ კ. მარქსმა უფრო მეტი ყურადღება პოლიტიკურ ეკონომიას მიაქცია (ლენინი, თხზულებები, ტ. XVI, რუს. გამ. გვ. 351).

კ. მარქსმა ფართოდ გაშალა გიგანტური მუშაობა „კაპიტალის“ დაწერისათვის. ამ საქმის შესრულებას იგი სთვლიდა თავის გადაუდებელ ფრიად სერიოზულ პარტიულ მოვალეობად, რათა მისი შესრულებით პარტიისათვის მოეპოვებინა გამარჯვება თეორიულ, იდეოლოგიურ ფრონტზე და მუშათა კლასისათვის კი ჩაებარებინა მძლავრი ყუმბარა, მიმართული კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ.

კ. მარქსის ღრმა მეცნიერულ-კვლევითსა და უდიდეს შემოქმედებითს საქმეს ელობებოდა წინ ის აუტანელი ხელვიწროობა, რომელსაც ის და მისი ცოლშვილი განიცდიდნენ. „კაპიტალის“ დაწერის დაყოვნება კ. მარქსს ძლიერ აღელვებდა. „მთელი ჩემი ღრის სამი მეოთხედი მიდის გროშებისათვის ძებნაში“, — შესჩივის კ. მარქსი ფ. ენგელსს 1853 წლის 18 აგვისტოს მიწერილ ბარათში (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებები, ტ. XXI, გვ. 507). 1858 წლის 15 ივლისს ფ. ენგელსისადმი მიწერილ ბარათში კ. მარქსი ამბობს: „უდიდესი ბრახით ვფიქრობ მე იმაზე, რომ საძაგელი წვრილმანების გამო ილუპებიან ჩემი ინტელექტი და ჩემი მუშაობის უნარიანობა“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებები, ტ. XII, გვ. 350). იმისათვის, რომ „კაპიტალზე“ მუშაობა არ ჩაშლილიყო, კ. მარქსი ეწერდა კოლოსალურ შრომას, მეტწილად ეს მუშაობა გრძელდებოდა თითქმის მთელი ღამე, გათენებამდის. აი რას სწერს კ. მარქსი ფ. ენგელსს 1857 წლის 18 დეკემბერს: „გემუშაობ ახლა შე კოლოსალურად, უმეტეს წილად დიდის 4 საათამდე“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებები, ტ. XXII, გვ. 272).

ეკონომიურმა ხელვიწროობამ და ძლიერ დაძაბულმა, აუტანელმა შრომამ თავისი დიდი დასხვა კ. მარქსის ჯანმრთელობას: მას გაუჩნდა კარბუნკულები და გაუხშირდა ავადმყოფობის შეტევა ღვიძლში. ასეთ პირობებში წერდა კ. მარქსი იმ გენიალურ ნაწარმოებს, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა.

უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა მარქსმა დაამთავრა გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს („კაპიტალის“ ქვესათაურით: „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა“), რასაც ადასტურებს ფ. ენგელ-

სის შემდეგი შენიშვნა: „1840-იან წლებში მარქსმა ჯერ კიდევ ვერ დაამთავრა თავისი პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა. ეს მან გააკეთა მხოლოდ 1845 წლებში ბოლოსთვის“ (კ. მარქსი, დაქირავებული შრომა და კაპიტალი, ფ. ენგელსის შესავალი, 1935 წლის რუსული გამ., გვ. 8).

გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს კ. მარქსს პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის გამოქვეყნების გეგმის რამდენიმე ეპოქიანი დაუსახავს. „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ წინასიტყვაობაში, და 1858 წლის 2 აპრილს ფ. ენგელსისადმი მიწერილ ბარათში მოცემულია კ. მარქსის ეპოქიანი კრიტიკის მიხედვით პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა უნდა გამოცემულიყო ი წიგნად: „1) კაპიტალის შესახებ. 2) მიწის საკუთრება. 3) დაქირავებული შრომა. 4) სახელმწიფო. 5) საერთაშორისო ვაჭრობა. 6) მსოფლიო ბაზარი“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტ. XXII, გვ. 327). კ. მარქსს არ სურდა ცალკე გამოცემებად გამოსულიყო მისი შრომა (რაც ჩანს მის მიერ 1858 წლის 22 თებერვალს ლასალისადმი გაგზავნილი წერილიდან), მაგრამ, ერთი მხრით, მასაღების სიუხვემ და შრომის სიღიღემ, მეორე მხრით, ეკონომიურმა ხელუწყობამ და ბოლოს გამოცემის დაჩქარების საჭიროებამ მუშათა კლასისათვის იძლეოდა კ. მარქსი შრომა გამოექვეყნებინა ცალკე გამოცემების სახით. პირველი გამოცემა გამოქვეყნდა 1859 წლის ივნისში 1000 ექსემპლარის რაოდენობით, სახელწოდებით „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, წიგნი, რომლის მიჩქმალვა ვანიზრახა ბურჟუაზიამ დუმილის შეთქმულებით. მხოლოდ ფ. ენგელსი იძლევეს წიგნს სწორ შეფასებას; ის აღნიშნავს, რომ პროლეტარული პარტიის თეორიის მკელი შინაარსი „აღმოცენდა პოლიტიკური ეკონომიის შესწავლიდან“ (კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, ფ. ენგელსის რეცენზია, რუს. გამ. 1935 წ., გვ. 180).

„პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ გამოსვლის შემდეგ კ. მარქსი აგრძელებს მუშაობას შემდეგი თავების ირგვლივ. 1862 წელს მარქსმა უკვე გადაწყვიტა შემდეგი წიგნისათვის დაერქმია „კაპიტალი“, ხოლო წიგნის ქვეათურისათვის — „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა“ (იხილეთ მარქსის წერილი კუგელმანისადმი 1862 წ. 28 დეკემბრის თარიღით). აგრეთვე კ. მარქსმა დასახა „კაპიტალის“ ოთხ წიგნად გამოცემის გეგმა, რის შესახებაც 1866 წლის 13 ოქტომბერს იგი სწერს კუგელმანს: „მთელი თხზულება იყოფა ოთხ ნაწილად:—

- წიგნი I კაპიტალის წარმოების პროცესი
- „ II კაპიტალის მიმოქცევის პროცესი
- „ III ფორმები და სახეები მთელი პროცესისა მთლიანად
- „ IV თეორიის ისტორიისათვის“.

„კაპიტალის“ I ტომი გამოქვეყნდა 1867 წლის სექტემბერში 1000 ეგზემპლარის რაოდენობით. წინასიტყვაობაში პირველი გამოცემისათვის მარქსი წერს: „ნაწარმოები, რომლის პირველ ტომს ამჟამად მივაწოდებ საზოგადოებას, წარმოადგენს ჩემ მიერ 1859 წელს გამოქვეყნებული შრომის „Zur Kritik der Politischen Oekonomie-ს გაგრძელებას“. ეს იმას მოწმობს, რომ კ. მარქსის მიერ



მოცემული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა ერთ მთლიან ნაწარმად მისი მოადგენს.

როდესაც კ. მარქსმა 1867 წლის აპრილში გამოქვეყნებულ მთლად ჩაბარა „კაპიტალი“ ხელნაწერის სახით, მაშინვე მისწერა თავის შეგობარ ზიგფრიდ შეიერს შემდეგი შინაარსის ბარათი: „ამრიგად, რატომ არ გიპასუხებდით მე თქვენ? იმიტომ რომ მე სულ სამარის პირას ვიძყოფებოდი. იმიტომ მე უნდა გამოვეყენებინა თითოეული მომენტი, როდესაც მე ვიყავი მუშაობის უნარის მქონე, რათა დამემთავრებინა ჩემი თხზულება, რომელსაც მე შევსწორე ჯანმრთელობა, სიცოცხლის ბედნიერება და ოჯახი. ვიმედოვნებ, რომ ეს ახსნა საქაოა“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებები, ტ. XXV, გვ. 485). ხოლო 1867 წლის 16 აგვისტოს, ღამის 2 საათზე, როდესაც კ. მარქსმა ბექედის პროცესში მყოფი „კაპიტალის“ I ტ. კორექტურა დაამთავრა, მაშინვე მისწერა ფ. ენგელსს: „ამრიგად, ეს ტომი მზადაა. მხოლოდ შენ უნდა გიმადლოდე მე იმას, რომ ეს გახდა შესაძლებელი, შენი ჩემდამი თავგანწირულების გარეშე შე ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეგძლებდი სამივე ტომისათვის მთელ ვეებერთელა სამუშაოს“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებები, ტ. XVII, გვ. IX). აქედან გამომდინარეობს: პირველი: „ენგელს რომ მუდმივი თავგანწირული ფინანსიური დახმარება არ გაეწია, მარქსი არა თუ ვერ შესძლებდა „კაპიტალის“ დამთავრებას, არამედ აუცილებლად დაიღუპებოდა სიღატაკის გამო“ (ვ. ლენინი, თხზულებები, ტ. XVIII, ქართ. გამ. გვ. 6); მეორე: ის, რომ „კაპიტალის“ სამივე ტომი ერთ და იმავე დროს მუშავდებოდა და ეს ფაქტი სრულიად აქარწყლებს იმ ცილისწამებას, რომელსაც კაპიტალიზმის აპოლოგეტები მიმართავენ და „კაპიტალის“ I და III ტომებს შორის თითქოს არსებული წინააღმდეგობის შესახებ ლაპარაკობენ. სინამდვილეში „კაპიტალის“ ცალკეულ ტომებს შორის სრულიად არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს.

III

„კაპიტალში“ კ. მარქსი გადაჭრით ავითარებს და უდავო ფაქტებით ასაბუთებს თავის ახალ შეხედულებებს; მან ძირი გამოუთხარა ბურჟუაზიულ მეცნიერებას, რომელიც საზოგადოების განვითარების საკითხებს არასწორად ხსნიდა. კ. მარქსმა გაბედულად გაილაშქრა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პოლიტეკონომიის წინააღმდეგ აღიარებული ავტორიტეტების წინააღმდეგ. კ. მარქსი იძლევა მეცნიერული გამბედაობის იშვიათ ნიმუშს. „ჩემი შეხედულება, — წერს მარქსი, — როგორც უნდა განსაჯონ და რაგინდ ნაკლებ ეთანხმებოდეს იგი გაბატონებულ კლასთა დაინტერესებულ ცრუმორწმუნეობას, კეთილსინდისიერი და მრავალწლოვანი კვლევა-ძიების შედეგს წარმოადგენს. მეცნიერების შესავალთან, როგორც ჯოჯოხეთის კარებთან, შემდეგი მოთხოვნა უნდა იყოს დასმული... აქ უნდა მოკვდეს ყოველი სიმბდალე“ (კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. წინასიტყვაობა, ქართ. გამ. გვ. 44).

კ. მარქსი, ილაშქრებს რა იდეალიზმის ყოველგვარი ნაირსახელების წინააღმდეგ, ამსხვრევს რა ყოველგვარ დრომოკმულ ტრადიციებს, რომელნიც განვითარების მუხრუჭებად გადაიქცნენ, არკვევს ანტაგონიზმის შინაარსსა და ფორ-

მებს იმ მიზნით, რომ დაეხმაროს პროლეტარიატს ძველი წყობილების მოსპობაში. ლენინი აღნიშნავს, რომ კ. მარქსის „ველევა-ძიების პირდაპირი შედეგები“ — ანტაგონიზმის და ექსპლოატაციის ყველა ფორმის გამოსაშვარავება, რათა დაეხმაროს პროლეტარიატს ჩამოაგდოს ის“ (ვ. ლენინი, თხზულებები, ტ. I, რუს. გამ. გვ. 217).

ცხადია, ასეთი მეცნიერებისა და ასეთი ნაწარმოების წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრებდა ბურჟუაზია. ამით აიხსნება ის დუმილის შეთქმულება, რომელიც „კაპიტალის“ გამოქვეყნებისთანავე ბურჟუაზიამ მოუწყო მას. „კაპიტალის“ ირგვლივ არსებული დუმილი ძლიერ აღელვებს კ. მარქსს. მას უნდა, რომ წიგნის შესახებ გაიგოს მუშათა კლასმა და მშრომელმა. „კაპიტალის“ შესახებ რეცენზიების წერას ხელი მოჰკიდეს მარქსის მეგობრებმა — ფ. ენგელსმა და კუგელმანმა. ფ. ენგელსმა დასწერა სულ 9 რეცენზია, რომელთაგან ბურჟუაზიული პრესის მიერ ნაწილი არ იქნა დაბეჭდილი. კ. მარქსის ნაწარმოების შემდგომმა სოციალისტურმა პოპულარიზაციამ ხელი შეუწყო მარქსის იდეების გავრცელებას მუშათა კლასის რიგებში. „ის გავება, რომელიც მალე პოვა „კაპიტალი“ გერმანიის მუშათა კლასის წრეებში, საუკეთესო ჯილდოა ჩემი შრომისათვის“ (კ. მარქსი, კაპიტალი, I ტ., ქართ. გამ. გვ. LVII). რაც შეეხება ბურჟუაზიული პრესის დამოკიდებულებას „კაპიტალისადმი“, ამაზე კ. მარქსი წერს: „გერმანიის ბურჟუაზიის სწავლული და არასწავლული ბელადები შეეცადნენ ჯერ დუმილით შეხვედროდნენ „კაპიტალს“, სწორედ ისე, როგორც მოიქცნენ ჩემი უწინდელი თხზულებების მიმართ“ (კ. მარქსი, იქვე, გვ. LX). ბურჟუაზიის მხრივ „კაპიტალის“ ირგვლივ ჯერ ალაპარაკდა ე. დიურინგი, რომელმაც, კ. მარქსის თქმით, ვერაფერი ვერ გაიგო „კაპიტალში“. ხოლო შემდეგ, დროთა ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით (პარიზის კომუნა, მუშათა მოძრაობის ზრდა) ბურჟუაზიული საზოგადოების აბოლოგენტები — ვულგარული პოლიტეკონომიის წარმომადგენლები, გამოვიდნენ „კრიტიკით“ „კაპიტალის“ წინააღმდეგ. ეს „კრიტიკა“ ფაქტიურად წარმოადგენდა ბრძოლას კ. მარქსის წინააღმდეგ.

პირველი ტომის გამოქვეყნების შემდეგ კ. მარქსი განაგრძობს მუშაობას „კაპიტალის“ დანარჩენ ტომებზე. ამავე დროს ის ეწევა მუშაობას პირველი ტომის ხელახალი გამოცემისა და თარგმნის ხაზით. კ. მარქსს ძლიერ აინტერესებდა „კაპიტალის“ თარგმნა სხვადასხვა ენაზე. „კაპიტალი“ პირველად თარგმნილ იქნა რუსულ ენაზე და გამოქვეყნდა 1872 წელს 3000 ეგზემპლარის რაოდენობით. შემდეგ გამოიცა ფრანგული თარგმანი, ხოლო ინგლისური თარგმანის გამოცემას კ. მარქსი აღარ მოსწორებია. ახლა „კაპიტალი“ თარგმნილია თითქმის ყველა ენაზე. „კაპიტალის“ დანარჩენ ტომებზე მუშაობის დროს მარქსს მოუხდა განსაკუთრებით ახალი მონაცემების საფუძველზე შეესწავლა საადგილ-მამულო ურთიერთობა. რუსეთის ეკონომიური ცხოვრების, განსაკუთრებით რეფორმის შემდგომ დროინდელი ვითარებისა და რუსეთის საადგილ-მამულო ურთიერთობათა უშუალოდ შესწავლის მიზნით მან დაიწყო 1869 წლის ბოლოს რუსული ენის შესწავლა; მარქსი მალე დაეუფლა მას და შეესწავლა მდიდარი მასალები. მარქსი სულ ახალი და ახალი მასალების საფუძველზე ავი-

თარგმნა და აღრმავებდა „კაპიტალის“ დანარჩენ ტომებს, და ეს მუშაუბრა მისივე წყვიტა მხოლოდ მარქსის გარდაცვალებამ.

IV-

მარქსის გარდაცვალების შემდეგ ენგელსმა იყისრა და შესძლო კიდევ „კაპიტალის“ II და III ტომების გამოცემა. მარქსის მიერ წერილი ხელით დაწერილი, დაულაგებელი ვეებერთელა ხელნაწერების წიგნად გამოცემა ძლიერ დიდსა და დაძაბულ მუშაობას მოითხოვდა. ენგელსის მიერ ბეკეტრისადმი მიწერილ ბარათიდან ჩანს ეს, სიდაც ენგელსი II ტომის გამოცემის შემდეგ ლაბარაკობს III ტომის შესახებ: „ესეც საკატოროდო შრომა იყო. სამაგიეროდ ჩინებული საქმეა“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებები, ტ. XXVII, გვ. 511). II ტომი გამოქვეყნებულ იქნა 1885 წელს, III ტომი კი — 1894 წელს. „კაპიტალს“ ენგელსი უწოდებს მარქსის მთავარ ნაწარმოებს და ზედმიწევნით კეთილსინდისიერად ეპყრობა ხელნაწერების გამოქვეყნებას. 1894 წ. ენგელსი წერს: „ბოლოს და ბოლოს მე მოვახერხე მარქსის მთავარი ნაწარმოების ეს შესამეწიგნი, თეორიული ნაწილის დასასრული, გამომეცევენებინა“ (კ. მარქსი, კაპიტალი, III ტ. წინასიტყვაობა ენგელსისა). თუ II ტომს პურყუაზიული პრესა მისთვის ნაცადი დუმილის შეთქმულებით შეხვდა, სამაგიეროდ III ტომის გამოქვეყნებისთანავე მან ასტეხა „კაპიტალის“ წინააღმდეგ უჩვეულო დრიილი. „კაპიტალის“ II ტომის გამოსვლის შემდეგ 1885 წლის 13 ნოემბერს ენგელსი სწერს დანიელსონს: „მე არ ვეპეკობ, რომ II ტომი თქვენთვისაცისეთივე სინამოენო იქნება, როგორც ჩემთვის... გერმანული „მეცნიერება“ საგონებელში ჩავარდნილი აქვეტს თვალს ახალ წიგნზე, უძღურია რა გაიგოს ის... ამიტომ ოფიციალური ეკონომიური ლიტერატურა იცავს მისდამი ფრთხილ დუმილს, მაგრამ III ტომი აიძულებს მათალაბარაკდენ“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებები, XXVII ტ., გვ. 499). მართლაც, III ტომის გამოსვლის შემდეგ კაპიტალიზმის აზოლოგეტებმა გაშალეს „კრიტიკა“ „კაპიტალის“ წინააღმდეგ. ეს „კრიტიკა“ სინამდვილეში ცილისწამებას წარმოადგენდა. ზოგიერთები ბრალს სდებდნენ მარქსს პლაგიატობაში როდბერტუსისადმი. ენგელსმა II ტომის შესავალში სრულიად გააქარწყულა ეს ცილისწამება და დაგვანახა ამ ცილისწამების კლასობრივი არსი. მეორენი ცილს სწამებდნენ მარქსს I და III ტომებს შორის „წინააღმდეგობის“ არსებობაში. სინამდვილეში კი არავითარი წინააღმდეგობა არაა I და III ტ. შორის. ენგელსმა მარქსის ეს ცილისწამებელნი გამოააშკარავა III ტ. წინასიტყვაობაში. 1895 წელს გარდაიცვალა ენგელსი. მან ველარ მოასწრო მარქსის მიერ გათვალისწინებულ „კაპიტალის“ IV ტომის გამოქვეყნება. მარქსის ეს ნაშრომი გამოქვეყნებულ იქნა ენგელსის გარდაცვალების შემდეგ სამ წიგნად „ზედმეტო ლირებულებას თეორიების“ სახელწოდებით. ენგელსმა დაუფასებელი სამსახური და თავდადება გაუწია მარქსს. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ ლენინმა და სტალინმა გაშალეს ბრძოლა მარქსიზმის ყოველგვარი შტრების წინააღმდეგ. ლენინმა და სტალინმა ახალ ვითარებაში, ახალი გამოცდილების საფუძველზე გაამდიდრეს და წინ წასწიეს მარქსის თეორია.

მარქსი და ენგელსი დაინტერესებული იყვნენ არა მარტო იმით, რომ პიტალი“ გავრცელებული ყოფილიყო და მასებისათვის ცნობილი გამზარდარიყო არამედ იმითაც რომ „კაპიტალის“ იდეას მიეღწია მასებამდე, რომ „კაპიტალის“ წაკითხვა და შესწავლა ხელმისაწვდომი ყოფილიყო. როდესაც მისმა მეგობარმა კუგელმანმა აცნობა მარქსს, რომ მისი ცოლი „კაპიტალის“ კითხვის დროს თავშივე სიძნელეს წააწყდაო, მარქსმა მისცა იმის რჩევა, თუ როგორ შეიძლება წაიკითხოს „კაპიტალის“ I ტომი. „გადაეცით თქვენს მეუღლეს, რომ პირველად უფრო ადვილია წაკითხულ იქნას ჩემი წიგნის შემდეგი განყოფილება: „სამუშაო დღე“, „კოოპერაცია, შრომის დანაწილება და მანქანები“, და ბოლოს, „პირვანდელი დაგროვება“ (კ. მარქსი, წერილი კუგელმანისადმი, 1867 წლის 30 ნოემბერი). ამ თავების წაკითხვის შემდეგ უკვე შეიძლება უკეთ იქნას წაკითხული და შესწავლილი პირველი და სხვა თავები. მარქსი იქვე მოითხოვს უცხო ტერმინების ახსნას კითხვის დროს. რაც შეეხება „კაპიტალის“ II და III ტომებს, მათი წაკითხვის რეცეპტს იძლევა ენგელსი 1895 წლის 16 მარტს ვ. ადლერისადმი გაგზავნილ წერილში.

V

„კაპიტალის“ I ტომის პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში მარქსი აღნიშნავს, რომ მისი კვლევა-ძიების მიზანს „საზოგადოების ეკონომიური განვითარების კანონის აღმოჩენა შეადგენს“. და იქვე გვამცნობს თავის „თვალსაზრისს, რომლის თანახმად საზოგადოების ეკონომიური ფორმაციის განვითარება განიხილება როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესი“. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ სწორედ ეს წარმოადგენს „კაპიტალის“ ძირითად იდეას. მარქსის „კაპიტალის“ წინასიტყვაობიდან ამოღებული ამ ადგილების შესახებ ლენინი წერს: „საკმაოა წინასიტყვაობიდან მოყვანილ მხოლოდ ორი ადგილის უბრალო შედარება მაინც, რათა დაინახო, რომ სწორედ ამაში გამოიხატება „კაპიტალის“ ძირითადი იდეა“ (ვ. ლენინი, თხზულებები, ტ. I, რუს. გამ. გვ. 58).

მარქსის მიერ „კაპიტალში“ ამ იდეების დასმაში და მის ბრწყინვალე გადაწყვეტაში გამოიხატება „კაპიტალის“ ისტორიული მნიშვნელობა.

მარქსის მიერ მოხდენილი გადატრიალება პოლიტიკურ ეკონომიაში ორგანულადაა დაკავშირებული მთელი სამყაროს მოძრაობის მატერიალისტურ ახსნასთან. პოლიტიკური ეკონომიის სფეროში გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეკონომიური კატეგორიების ბუნებისა და ისტორიული ადგილის სწორ ახსნას. ბურჟუაზიული მკვლევარები სხვადასხვა გვარად და არა სწორად ხსნიდნენ ამ კატეგორიებს. მთავარი მათი ნაკლი და შეცდომაა ამ საკითხში იყო ბურჟუაზიული საზოგადოების კატეგორიების აბსოლუტურ და მარადიულ კატეგორიებად აღიარება. მარქსმა მეცნიერულად განმარტა: „ის კატეგორიები, რომლებიც ბურჟუაზიული საზოგადოების შინაგან სტრუქტურას შეადგენს და რომლებსაც ძირითადი კლასები ეყრდნობიან“ (კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, შესავალი, ქართ. გამ. გვ. 32—33). ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიური კატეგორიები: კაპიტალი, დაქირავებული შრომა, ზედმეტი ღირფ-



ბუღება, საადგილმამულო საკუთრება და სხვა, გამოხატავენ ბურჟუაზიული წარმოებითს ურთიერთობას. მარქსმა დაამტკიცა, რომ ადამიანთა შორის ურთიერთობითი ურთიერთობანი ისტორიულად იცვლებიან და მასთან ერთად იცვლება ეკონომიური კატეგორიებიც. მარქსმა თავის ეკონომიურ მოძღვრებას საფუძვლად ისტორიის მატერიალისტური გაგება დაუდგა. „კაპიტალში“ მარქსს მოცემული აქვს იშვიათი ნიმუში მისივე შექმნილი დიალექტიკური მატერიალიზმის გამოყენებისა. თავისი დიალექტიკური მეთოდის დახასიათება მარქსმა უკვე მოგვცა „კაპიტალის“ I ტომის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში, მეთოდისა, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება ჰელიოს მეთოდს. ადამიანთა წარმოებითს ურთიერთობაში აღმოაჩინა მარქსმა საზოგადოების რეალური საფუძველი, რომელზეც აღმართულია პოლიტიკური და იდეოლოგიური ზედნაშენი. ზედნაშენში მომხდარი ცვლილების მიზეზი რეალურ საფუძველში—ადამიანთა ეკონომიურ სტრუქტურაში უნდა ვეძებოთ. კაპიტალისტური წყობილების დროს წარმოებითი ურთიერთობანი ადამიანთა ნებისა და ცნობიერების გარეშე მყარდებიან—სტიქიურად. და ეს იმანენტურად შეესაბამება კაპიტალიზმის ეკონომიურ ცხოვრების ანარქიულ ბუნებას. კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრების მთელ შინაარსს კონკრეტული საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობის აღმოცენების, განვითარებისა და შეცვლის აუცილებლობის გარკვევა წარმოადგენს. „თანამედროვე ისტორიულად განსაზღვრული საზოგადოების საწარმოო დამოკიდებულებათა გამოკვლევა მათ წარმოშობასა, განვითარებასა და დაცემაში—ასეთია მარქსის ეკონომიური მოძღვრების შინაარსი“ (ვ. ლენინი, თხზულებები, ტ. XVIII, ქართ. გამ. გვ. 16—17). ბურჟუაზიულ საზოგადოებაში წარმოებით ურთიერთობათა და საწარმოო ძალების ურთიერთდამოკიდებულება გამოიხატება კლასთა ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში. ამიტომ ბურჟუაზიული საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობის გამოკვლევის დროს მარქსი იკვლევს კლასთა ურთიერთდამოკიდებულებას—კლასთა ბრძოლას და მის მიზეზებს: ხელფასისათვის ბრძოლას, სამუშაო დღისათვის ბრძოლას, მუშების ექსპლოატაციისა და შრომის აუტანელი პირობების წინააღმდეგ პროლეტარიატის ბრძოლას, პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლას. ამჟღავნებს ბურჟუაზიული სახელმწიფოს კლასობრივ-ანტაგონისტურ ბუნებას. „კაპიტალში“ მარქსმა ვეებერთელა ფაქტიური მასალის საფუძველზე დაასაბუთა და დაგვანახა მატერიალიზმის მოთხოვნა—საზოგადობრივი შეგნების ახსნა საზოგადობრივი ყოფით. ამიტომ, სრულიად სამართლიანად შენიშნავს ლენინი: „მარქსის თეორიის ყველაზე ღრმა, ყოველმხრივ და დეტალურ დადასტურებას და გამოყენებას მისი ეკონომიური მოძღვრება წარმოადგენს“ (ვ. ლენინი, თხზულებები, ტ. XVIII, ქართ. გამ. გვ. 15).

VI

მარქსმა აღმოაჩინა ღირებულების კანონი, რის შესახებაც თვითონ წერს: „ადამიანის გონება ამაოდ ცდილობდა მის გაგებას 2000 წელზე მეტი ხნის განმავლობაში“. და იქვე: „ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის... საქონლის ღირებულებითი ფორმა ეკონომიური უჯრედის ფორმაა“ (კ. მარქსი, კაპიტალი,

ტ. I, ქართ. გამ. გვ. LIII). რადგან ბურჟუაზიულ საზოგადოებაში საქონლის წარმოება გაბატონებული, ამიტომ მარქსი ანალიზს იწყებს საქონლის წარმოქმნის პროცესში მარქსმა აღმოაჩინა წინააღმდეგობის, ის ჩანასახი, რომელიც კაპიტალისტური წარმოების წესისა და იმისი წინააღმდეგობის ზრდასთან ერთად განვითარდა და გაიზარდა. მარქსმა აღმოაჩინა საქონელში ჩაქსოვილი შრომის ორმაგი ბუნება. და როგორც მარქსი სწერს ენგელსს 1867 წლის 24 აგვისტოს: „ამ თეორიაზე; შრომის ორმაგ ხასიათზე არის დამყარებული ფაქტების მთელი გაგება“. მარქსის ღირებულების თეორიამ გამოაშკარავა საქონლის ფეტიშიზმის საიდუმლოება და დაგვანახა აღამიანთა წარმოებითი ურთიერთობანი.

მარქსის ეკონომიური მოძღვრების კვაკუთხედს წარმოადგენს ზედმეტი ღირებულების თეორია. ზედმეტი ღირებულების თეორია, შექმნილი მარქსის მიერ, ამჟღავნებს კაპიტალისტური ექსპლოატაციის ბუნებას. ზედმეტი ღირებულების თეორიების ჩანასახები ჰქონდათ ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებს, რომელთაც წარმოდგენილი ჰქონდათ ზედმეტი ღირებულება მხოლოდ ერთ-ერთი ფორმის სახით: პეტის—რენტის სახით, კენეს—„წმინდა პროდუქტის“ სახით, ხოლო—სმიტსა და რიკარდოს—მოგების სახით. ამ სახეებით წარმოდგენა არ არკვევს ზედმეტი ღირებულების არსს. ამიტომ კ. მარქსმა ბურჟუაზიულ მკვლევარების ამ მოძღვრებაში დაინახა მხოლოდ საკითხის დასმა. და ამ ვეებერთელა, არსებითი ამოცანის გადაჭრა შესძლო მხოლოდ კ. მარქსმა. ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ისეთ გამოჩენილ მკვლევარებს, როგორც იყვნენ პეტეი, ფრანკლინი, კენე, სმიტი, რიკარდო არ ჰქონდათ საკმაოდ და ნათლად გარკვეული შრომითი-ღირებულების თეორია, აქაც მარქსმა იპოვა მხოლოდ საკითხის დასმა. რადგან მათ შრომითი ღირებულების თეორია არ ჰქონდათ გარკვეული, ცხადია ზედმეტი ღირებულების თეორიასაც ვერ გაარკვევდნენ (იხილეთ ამ საკითხზე ენგელსის წინასიტყვაობა კ. მარქსის „კაპიტალის“ II ტომში). მარქსმა პირველმა აღმოაჩინა, რომ მუშა ჰყიდის არა შრომას, არამედ სამუშაო ძალას. სამუშაო ძალა არის განსაკუთრებული საქონელი, რომელსაც ზედმეტი ღირებულების შექმნის უნარი აქვს. ამ საქონელს აქვს როგორც ღირებულება, ასევე სახმარი ღირებულება. როდესაც კაპიტალისტი ყიდულობს ამ სამუშაო ძალას, წარმოებაში მოიხმარს მას—აქმნევიებს იმაზე მეტ ღირებულებას, რასაც ხელფასის სახით თვითონ აძლევს მუშას; მათ შორის განსხვავება წარმოადგენს ზედმეტ ღირებულებას, რომელსაც მუშის ექსპლოატაციის შედეგად ითვისებს კაპიტალისტი. მარქსმა დაამტკიცა, რომ კაპიტალისტური წარმოება არის წარმოება ზედმეტი ღირებულებისა. ზედმეტი ღირებულების მიღება კაპიტალისტური წარმოების მიზანი. მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორია გვიჩვენებს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის არსებულ წინააღმდეგობის, ბურჟუაზიული საზოგადოების ძირითადი წინააღმდეგობის მთელ სიღრმესა და სიმწვავეს. მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორიაში მოცემულია კაპიტალის კლასობრივი ბუნების დახასიათება და პროლეტარული რევოლუციის აუცილებლობის მეცნიერული დასაბუთება.

ზედმეტი ღირებულების თეორიის ყოველმხრივ დამუშავების საფუძველზე გახდა შესაძლებელი ისეთი აღმოჩენა, რომელიც მოგვცა მარქსმა კაპიტალის-

ტური დაგროვების საყოველთაო კანონის სახით. ამ კანონის აღმოჩენით მარქსმა დაგვანახა, თუ როგორ იწვევს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კაპიტალის დაგროვება სიმდიდრის თავმოყრას საზოგადოების ერთ პოლუსზე და სიღატაკისა—მეორეზე. მარქსმა დაგვანახა კაპიტალიზმის თანამგზავრის—მუშათა სარეზერვო არმიის—უმუშევრობის გაჩენისა და ზრდის მიზეზები. მარქსმა გამოაშკარავა, დამახასიათებელი კაპიტალისტურ წყობილებისათვის, პროლეტარიატის შეფარდებითი და აბსოლუტური გადატაკება და მისი მიზეზები.

მარქსმა პირველმა მოგვცა საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის რეპროდუქცია და მიმოქცევის ყოველმხრივი ანალიზი. თუ ფრანსუა კენეს რეპროდუქციის ანალიზის მხოლოდ ცდა ჰქონდა—ცდა, რომელიც, მხოლოდ საკითხის დასმას წარმოადგენდა, მარქსმა ამომწურავად გადასწყვიტა ეს საკითხი. ერთობლივი კაპიტალის რეპროდუქციისა და მიმოქცევის მარქსისტული თეორია იძლევა გასაღებს კაპიტალისტური ეკონომიური პერიოდული კრიზისების ახსნისათვის. მარქსმა დაამტკიცა, რომ კაპიტალისტური წყობილებისათვის პერიოდული კრიზისები გარდუვალია, რადგან კრიზისების მიზეზები თავით კაპიტალიზმის ბუნებაშია ჩაქსოვილი. კრიზისის ძირითადი მიზეზია კაპიტალისტური წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო-კაპიტალისტურ ფორმას შორის არსებული ანტაგონისტური წინააღმდეგობა—ძირითადი წინააღმდეგობა კაპიტალიზმისა. ეს წინააღმდეგობა გამოვლინდება სხვადასხვა წინააღმდეგობათა სახით, პირველ რიგში კი წარმოების ანარქიის სახით. კრიზისი მარქსის თქმით კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა აფეთქებას წარმოადგენს. ამ აფეთქების დროს განსაკუთრებით გეცემა თვალში კაპიტალისტური წარმოების ანარქიულობა.

მარქსმა გამოიკვლია მიწის რენტის არსი და სახეები და ასევე კაპიტალიზმის განვითარების თავისებურება სოფლის მეურნეობაში. მან დაამტკიცა რომ კაპიტალი ექსპლოატაციას უწევს არა მხოლოდ მუშებს, არამედ მშრომელ გლეხობასაც, რომ განსხვავება მხოლოდ ამ ექსპლოატაციის ფორმაშია. კაპიტალისტური წარმოების წესი წინ ეღობება სოფლის მეურნეობის სწრაფსა და რაციონალურ განვითარებას. ამიტომ როგორც მარქსმა დაამტკიცა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა და ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის გაღრმავება თანდაყოლილი და გარდუვალი მოვლენა კაპიტალიზმისათვის.

VII

კაპიტალისტური დაგროვების ისტორიული ტენდენციის გამოვლენის დროს მარქსმა თავის მთავარ ნაშრომში — „კაპიტალში“ — მოგვცა მომავალ ვითარებათა — კაპიტალიზმის უმადლესი და უკანასკნელი სტადიის დამახასიათებელ მოვლენათა შემდეგი გენიალური განკვეთვა: „კაპიტალის მაგნატების რიცხვის განუწყვეტელ შემცირებასთან ერთად, რომელნიც ითვისებენ და თავის მონოპოლიად აქცივენ ამ გარდაქმნის პროცესის ყველა ხელსაყრელ მხარეთ, იზრდება სიღატაკე, ჩავრა, დამონავება, გადაგვარება, ექსპლოატაცია, მაგრამ ამასთანავე ძლიერდება მუდამ ზრდაში მყოფი და კაპიტალისტური წარმოების პროცესის მექანიზმით გაწვრთნილი, გაერთიანებული და ორგანიზაციულად დარაზმული

მუშათა კლასის აღმფოთება. კაპიტალის მონოპოლია ხდება იმ წარმოებებს შორის ბორკილებად, რომელმაც მასთან ერთად და მისი დახმარებით აყვავებინა. საწარმოო საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადობრივება აღწევს იმ წერტილს, სადაც ისინი ვეღარ თავსდებიან მათ კაპიტალისტურ გარსში. ეს უკანასკნელი სკდება. რეკავს კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკანასკნელი საათი. ექსპროპრიატორები ექსპროპრიაციქმნილი ხდებიან“ (კ. მარქსი, კაპიტალი, I ტ., ქართ. გამ. გვ. 704).

მოვლენათა ისტორიულმა მსვლელობამ სავსებით დაადასტურა მარქსის ეს მეცნიერული განჭვრეტა. ჩვენს ქვეყანაში, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების წყალობით, უკვე დაიჩვენა „კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკანასკნელი საათი“. და ამ გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშა მუშათა კლასის შეიარაღებამ „კაპიტალის“ იდეით. მარქსის „კაპიტალი“ სოციალისტური რევოლუციის განუყრელი მონაწილეა.

VIII

მარქსის გენიალური ნაშრომი „კაპიტალი“ თავიდანვე დამბული კლასობრივი ბრძოლის სავანა წარმოადგენდა. ბურჟუაზიული საზოგადოება გასაქანს არ აძლევდა მარქსს და აიძულებდა მას ემომშობა. ხოლო „კაპიტალის“ დაბადებას ბურჟუაზია ყოველგვარი ზრივებით უშლიდა ხელს. „კაპიტალის“ შობის შემდეგ მისდამი მტრულად განწყობილი კლასობრივი მტერი არა ერთხელ იცვლის ბრძოლის ტაქტიკას. ჯერ მიმართეს და გამოიყენეს დუმილის ტაქტიკა, რათა ამით გაუხმაურებლად ჩაეკლათ წიგნი. ხოლო რადგან მარქსის „კაპიტალის“ იდეამ მიაღწია მუშებამდე, კლასობრივმა მტრებმა დუმილი შესცვალეს „კრიტიკით“. ბურჟუაზიულმა პრესამ ასტეხა რა ყვირილი „კაპიტალის“ წინააღმდეგ, დაიწყო მარქსის ცალკეული მეცნიერული დებულების უარყოფა და ფართოდ გამოიყენა მარქსის წინააღმდეგ ინსინუაცია, ლანძვრა და გინება. ხოლო მარქსის აღმოჩენები (ფულის თეორია, წარმოების კონცენტრაცია და სხვა) გამოყენებულ იქნა ბურჟუაზიულ სახელმძღვანელოებში ავტორის დაუსახელებლად.

მუშათა მოძრაობის გაზრდამ და მარქსიზმის გამარჯვებამ აიძულა კლასობრივი მტრები ახალი ტაქტიკისათვის მიემართათ „კაპიტალისადმი“ დამოკიდებულების საკითხში. ეს ახალი ტაქტიკა გამოინატებოდა სიტყვით „კაპიტალის“ დებულებათა გაზიარებაში, საქმით კი მარქსიზმის უტიფარ დამახინჯებაში, რათა შიგნიდან დაემარცხებინათ მარქსიზმი. იბრძოდნენ რა ამ მეთოდით, ბერნშტეინი და II ინტერნაციონალის სხვა წარმომადგენლები „კაპიტალის“ ცალკეულ ადგილებს „მოძველებულად“ სთვლიდნენ და მარქსის დებულებებში შეჭკონდათ „შესწორებები“. ამრიგად გამოფხტავდნენ მარქსის „კაპიტალის“ რევოლუციურ შინაარსს. ბერნშტეინმა მოთხოვნილებაც კი წამოაყენა, რათა უარეყოთ „კაპიტალის“ ავტორის მატერიალისტური დიალექტიკა, შრომითი ღირებულების თეორია, ზედმეტი ღირებულების თეორია, მოძღვრება ანტაგონისტური კლასების შეფურიგებლობის შესახებ, მოძღვრება კაპიტალიზმის რევოლუციურად შეცვლის აუცილებლობის შესახებ. კაპიტალიზმის ანტიგონისტიკის და მარქსთან შედა-



რებით მას აძლევს უპირატესობას. თავის მხრივ კაუჭიკი კაპიტალის მფლობელებს შორის ხედავს პარაზონიას. ჰილფერდინგმა კი წამოაყენა „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ თეორია. მარქსიზმის მტრების ეს აზრები სრულიად ეწინააღმდეგება სინამდვილესაც და მარქსის „კაპიტალიზმი“ განვითარებულ იდეასაც. მარქსიზმის ამ მტრებმა პოლიტიკური ეკონომიის საგანიც დაამახინჯეს, შემოზღუდეს რა ის (საგანი) მხოლოდ კაპიტალიზმით; თითქოს პოლიტიკური ეკონომია იკვლევდეს მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტურ წყობილებას, რაც არაა სწორი. მარქსიზმის კლასიკოსებმა დაამტკიცეს, რომ პოლიტიკონომიის საგანი ფართოდ უნდა იქნას გაგებული.

ხალხის მტრები, ბუხარინელები და ტროცკისტები, განმარტავდნენ პოლიტიკონომიის საგანს მხოლოდ ვიწრო გაგებით და ამით იბრძოდნენ სოციალიზმის პოლიტიკონომიის გამოყენებისა და სოციალიზმის აზნების წინააღმდეგ ჩვენს ქვეყანაში. კაპიტალიზმის თანამედროვე სტადია, ლბობადი სტადია ხალხის მტრებს, ბუხარინელებს და ტროცკისტებს, წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც „ორგანიზებული კაპიტალიზმი“. მარქსი კი „კაპიტალიზმი“ განსაკუთრებით უსვამს ხაზს კაპიტალისტური მეურნეობის ანარქიულ ბუნებას, სადაც ყოვლად შეუძლებელია ორგანიზება. ხალხის ეს მტრები სრულიად მექანიკურად აიგივებდნენ კაპიტალისტური წყობილებისა და სოციალისტური წყობილების ეკონომიურ კანონებს, რათა ამით გაეადვილებინათ კაპიტალიზმის რესტავრაცია ჩვენს ქვეყანაში. ხალხის მტრების ბრძოლა სოციალიზმის წინააღმდეგ წარმოადგენს ამავე დროს ბრძოლას მარქსის „კაპიტალის“ იდეების წინააღმდეგ.

გაცოფებულმა ფაშისტებმა უკიდურეს მეთოდს მიმართეს მარქსის ნაწარმოებთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. გერმანელმა ფაშისტებმა ცეცხლის კოცონზე დასწვეს მარქსის ნაწარმოებები და მათ შორის „კაპიტალიზმი“. ფაშისტებმა მსოფლიოში განთქმულ ლიტერატორებისა და მეცნიერების წიგნებთან ერთად დასწვეს მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის შრომებიც. მაგრამ ამ წიგნების დაწვა ვერ იხსნის ფაშისტებს დამარცხებისაგან. მარქსის „კაპიტალიზმი“ ფაშისტების ასეთი სიძულვილი და ასეთი გაცოფება ამტკიცებს მხოლოდ იმას, თუ რა დიდ რევოლუციურ ძალას წარმოადგენს მარქსის მიერ „კაპიტალიზმი“ განვითარებული იდეა. მარქსიზმი მუშათა კლასის იდეოლოგიაა და მისი მოსპობა ისევე არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება მუშათა კლასის მოსპობა.

მეცნიერების კორიფეებმა ლენინმა და სტალინმა აღმართეს ბრძოლის დროშა მარქსიზმის ყოველგვარი ჯურის მტრების წინააღმდეგ და წმინდად დაიცვეს მარქსიზმი. ლენინმა და სტალინმა ახალ ეპოქაში ახალი ფაქტებისა და ახალი გამოცდილების საფუძველზე განავითარეს მარქსის ეკონომიური მოძღვრება და გაამდიდრეს ის. მარქსის „კაპიტალის“ საფუძველზე ახალ ვითარებაში მოგვცა ლენინმა იმპერიალიზმის მარქსისტული ანალიზი. „ლენინის დამსახურება და, მაშასადამე, ლენინის მიერ ახლის შექმნა აქ იმაშია, ამბობს ამხანაგი სტალინი, — რომ დემყარა რა „კაპიტალის“ ძირითად დებულებებს, მან მოგვცა იმპერიალიზმის დასაბუთებული მარქსისტული ანალიზი, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი ფაზისა, გამოააშკარავა მისი წყულულები და მისი დაღუპვის აუცილებ-



ბელი პირობები. ამ ანალიზის ბაზაზე აღმოცენდა ლენინის ცნობილი დებულება, რომ იმპერიალიზმის პირობებში შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება ცალკეულ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყნებში“ (ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, რუს. მე-10 გამ. გვ. 170). ეს თეორია მუშათა კლასის გამარჯვების, ძველი წყობილების შეცვლისა და სოციალისტური წყობილების გამარჯვების გზის მაჩვენებელია.

მარქსის „კაპიტალი“ არ დაპარგავს მნიშვნელობას კომუნიზმის აშენების შემდეგაც, რადგან ის იძლევა მარქსისტული დიალექტიკური მატერიალიზმის მეცნიერული მეთოდის დაუფლების საშუალებას.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პოლიტიკური ეკონომიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1942. XII. 5)



Н. Коица


К ВОПРОСУ ОБ ИНТЕРНАЦИОНАЛИЗАЦИИ ДЕНЕЖНЫХ СИСТЕМ

Проекты интернационализации денежных систем весьма стары. Первый; известный нам, проект был предложен итальянцем Скаруффи в 1582 г. (Reggiano, per far ragione e concordanza d'oro e d'argento... Milano, 1804). Периодами наиболее интенсивной разработки проектов интернационализации денежных систем являются период разложения феодально-крепостнического общества, последние десятилетия эпохи промышленного капитализма и, наконец, годы, следующие за первой мировой войной вплоть до самого периода мирового экономического кризиса. Вторая мировая война породила новые проекты интернационализации денежных систем. Каждый проект является продуктом определенной конкретно-исторической обстановки. Задачи, ставившиеся перед интернационализацией денежных систем, весьма разнообразны и с течением времени все более и более усложнялись.

Если в XVI в. перед интернационализацией денежных систем ставилась сравнительно скромная задача облегчения международных расчетов, то в XX в. мы уже встречаемся с проектами, имеющими целью не только облегчение международных расчетов, но и устранение конъюнктурных колебаний, периодических кризисов, безработицы, возможности инфляции, стабилизации цен и т. д. Проекты интернационализации денежных систем весьма многочисленны и разнообразны. В данной статье мы задумаемся целью дать их классификацию по основным признакам, а также их общую оценку², учитывая те соображения, которые высказываются сторонниками и противниками интернационализации денежных систем.

¹ Данная статья воспроизводит в несколько сокращенном и измененном виде V главу еще не опубликованной работы автора, посвященной истории и критике теорий всемирных денег и проектов интернационализации денежных систем.

² В упомянутой работе дается история проектов интернационализации денежных систем, содержание и оценка каждого проекта.



Все известные нам проекты интернационализации денежных систем можно разбить на три группы: 1) проекты, предусматривающие создание одинаковой денежной системы во всех странах (или для начала в большинстве ведущих стран), 2) проекты, предусматривающие организацию международной денежной системы наряду с национальными и 3) проекты, предусматривающие создание единой мировой денежной системы с единым центром для выпуска денег в обращение, т. е. проекты, предусматривающие ликвидацию национальных систем в отдельных государствах.

Затем, по видам денег, на которые распространяется интернационализация, можно говорить о проектах, предусматривающих интернационализацию: 1) металлических денег, 2) бумажных заместителей денег, 3) металлических денег и бумажных заместителей денег.

Каждый проект монетного союза предусматривает организацию союза на базе определенной денежной системы. С этой стороны проекты организации монетного союза можно разбить на шесть групп в зависимости от того, какую из нижепоименованных систем они берут за основу монетного союза: 1) серебряный монометаллизм, 2) биметаллизм (параллельное обращение), 3) биметаллизм (двойное обращение), 4) золотой монометаллизм, 5) симметаллизм (при этой системе полноценные монеты чеканятся из смеси золота и серебра), 6) золото-слитковая система.

Со стороны территории, охватываемой монетным союзом, проектируемые союзы можно разбить на две группы: 1) региональный союз, 2) всемирный союз.

Региональный монетный союз есть такой монетный союз, который охватывает лишь ряд государств, а всемирный — такой, который охватывает все государства мира.

Проектируемые монетные союзы можно разбить еще на два вида: 1) парциальный союз, 2) генеральный союз.

Парциальный монетный союз означает такой союз, при котором государства, вступающие в союз, договариваются о чекане одной или двух одинаковых монет. По существу в данном случае речь идет о сохранении национальных монет и введении одной — двух вспомогательных монет, предназначенных для международных расчетов.

Генеральный союз означает такой союз, при котором союзные государства договариваются об одинаковом чекане всех монет.

Этим не исчерпывается классификация монетных союзов, проектируемых различными авторами.

Эти союзы можно разбить еще на два вида: 1) омотипный союз, 2) автотипный союз.

Омотипный союз — есть такой союз, при котором осуществляется полное единообразие чекана монет. Договаривающиеся государства принимают одинаковую весовую, счетную систему, одинаковую пробу для этих монет.

Автотипный союз предусматривает единообразие лишь отдельных моментов чекана.

Монетный союз, организуемый на базе золото-слитковой системы предусматривает лишь единообразие денежной единицы, идеальных монет, поскольку при этой системе чекан монет не имеет места.

Проекты интернационализации бумажных знаков денег также можно разбить на несколько групп.

В зависимости от того, на какой металл гласит проектируемая интернациональная нота, можно констатировать следующие виды нот: 1) ноты, гласящие на серебро, 2) ноты, гласящие на серебро и золото, 3) ноты, гласящие на золото, 4) свободные ноты, не гласящие ни на какой металл.

В зависимости от организации выпуска нот, можно отметить следующие виды проектируемых интернациональных нот: 1) ноты, выпускаемые исключительно единой специальной, международной организацией; 2) ноты, выпускаемые международной организацией наряду с национальными организациями; 3) ноты, выпускаемые исключительно национальными организациями, но на основе международного соглашения.

Говоря о монетном союзе, мы должны строго отличать его от монетного мутуализма и монетной гегемонии. Монетный мутуализм и монетную гегемонию нельзя отождествлять с монетным союзом, рассматривать их как один из видов монетного союза.

Монетный мутуализм есть допущение одним государством к обращению в своих границах монет другого государства на основе взаимности. В данном случае в пределах государства обращаются, наряду с собственными монетами, монеты другого государства. Общность экономических и политических интересов является основой монетного мутуализма. В условиях монетного мутуализма имеет место автономный чекан монеты, каждое государство чеканит монету по особой монетной стопе и в каждом из договаривающихся государств — имеет место хождение монет чеканных на различной основе, хождение монет выпускаемых двумя государствами. Монетная гегемония означает допущение каким-либо государством к обращению у себя монет другого государства, но не на основе взаимности — монеты этого последнего государства не имеют хождения в другом государстве. Монетная гегемония



является результатом экономического и фактически политического подчинения одного государства другим. И монетный мутуализм, и монетная гегемония исключают понятие монетного союза, т. к. для последнего необходимо взаимное допущение к обращению одинаково чеканных монет на основе договора. При монетном мутуализме имеется договор, имеется взаимность, но нет единообразия монет; при валютной гегемонии отсутствует договор, а если договор и имеется, то отсутствуют взаимность в обращении монет и единообразие чекана монет¹.

II

Проекты создания всемирного монетного союза значительно старше проектов создания международных нот. Первый, известный нам, проект организации всемирного монетного союза появился в 1582 г., а проект создания международных нот лишь в 1877 г.

Уже в конце эпохи промышленного капитализма ясно осознали, что интернационализация металлических денег без интернационализации их бумажных заместителей не может принести подлинной интернационализации денежных систем, не может дать эффекта, ожидаемого от нее. Проекты создания всемирного монетного союза восполнились проектами создания международных нот. Все реже и реже выдвигались проекты интернационализации лишь металлического обращения, но разработка таких проектов все же не прекращалась.

После первой мировой войны иностранные государства покинули обращение полноценных металлических денег, спрос на проекты монетного союза, на проекты, предусматривающие лишь интернационализацию металлического обращения, значительно снизился. Голос отдельных „смельчаков“, сторонников монетного союза, звучит как эхо недавнего прошлого, как надежда на возврат к „прекрасному“ прошлому. В этих проектах мы имеем своеобразный „монетный романтизм“.

С другой стороны появляются проекты, предусматривающие интернационализацию лишь бумажных заместителей денег. При этом в качестве денежной единицы предлагают или создание особой, специальной единицы для международных нот, или принятие какой-либо уже существующей денежной единицы, вернее денежной единицы одной из ведущих держав. Существуют, как мы отметили, и такие проекты, которые исключают металлическую основу нот.

¹ В предложенной нами классификации проектов интернационализации денежных систем мы применяем в качестве терминов слова, получившие в литературе права гражданства. Нами сконструированы и введены лишь два термина — „омотипный“ и „автотипный“ чекан.

Денежная система является одним из мощных орудий экономического и политического господства, орудием непрерывной экономической и политической борьбы, вызываемой внутренними и внешними противоречиями того или иного государства. Смело можно сказать, что ни одно государство не выпустит этого орудия из своих рук, ни одно государство никогда не согласится на такую интернационализацию денежных систем, которая предусматривает ликвидацию национальной денежной системы, централизацию чекана монет, выпуска нот и тем более централизацию и того и другого. История показывает, что отдельные государства ни в своих проектах, ни в реализации этих проектов не шли дальше организации монетных союзов. Современные государства в своих проектах не идут дальше частичной интернационализации, заключающейся в создании международных нот для международных расчетов, эти проекты предусматривают сохранение национальных денежных систем. Если какое-либо государство, руководимое интересами наиболее влиятельных кругов, согласится на частичную или даже полную интернационализацию денежных систем, то только в том случае, если за ним будет обеспечена ведущая роль в этой интернациональной организации, если эту организацию оно сможет использовать так же, или даже более эффективно, как и свою национальную денежную систему. Претендентов на такую роль будет не мало и договориться этим государствам на сколько-нибудь длительное время будет весьма трудно. Наконец, далеко не всякое государство может обеспечить себе не только ведущую роль, но даже хоть сколько-нибудь заметное влияние в этой организации и оно естественно воздержится от участия в этой организации — это обстоятельство является весьма чувствительным препятствием для интернационализации денежной системы. Итак, интернационализация денежных систем встречается с значительными трудностями.

III

Но нельзя ограничиться сказанным.

Остановимся специально на проекте организации всемирного монетного союза, создания всемирной монеты или монет.

Прежде всего взвесим те неудобства, которые связаны с существованием национальных монет, а затем и те удобства, которые принес бы всемирный монетный союз. Начнем с неудобств, создаваемых различием „национальных мундиров“.

1. Правительство в любой момент может снизить металлическое содержание монет к выгоде одних и в ущерб другим.

2. Наличие разных масштабов цен ведет к различному выражению цен; монеты говорят на разных языках, на мировом рынке нет взаимного понимания на базе общего языка.



3. Наличие национальных монет рождает наличие особого паритета между каждой парой национальных монет. Необходимо знать сложную систему паритетов, необходимо издание объемистых справочников с указанием паритета и описанием всех монет всех стран мира.

4. Наличие различных монет вызывает необходимость сложных перерасчетов.

5. Отсутствие единого масштаба цен, единой денежной единицы затрудняет бухгалтерский и статистический учет. Или этот учет должен вестись в разных денежных единицах, т. е. на разных языках, и он делается малопонятным, или надо производить сложный перерасчет на денежные единицы определенной страны, но и в этом случае учет является малопонятным для широких масс других стран, имеющих свою особую денежную единицу.

6. Монеты одной страны, даже полноценные, не имеют силы законного платежного средства в других странах. В результате этого, в нужных случаях, приходится обменивать монеты одной страны на монеты другой страны; это обстоятельство несколько затрудняет положение путешественников и др. лиц, переезжающих из страны в страну, особенно тех лиц, которые живут в пограничной полосе и имеют постоянные связи с пограничной полосой соседнего государства.

7. Обменная операция вызывает к жизни многочисленных менял разного калибра — от менял одиночек и до валютных отделов мощных банковских концернов. Менялы наживают значительные суммы на разменной операции, а меняющие несут дополнительный расход, связанный с обменной операцией. Обмен и обман, зачастую, идут рука об руку. При обменной операции возможны и ошибки. Наконец, обменная операция вызывает излишнюю трату времени.

8. В условиях действия золотого механизма вексельный курс устанавливается в результате спроса и предложения векселей, но не поднимается выше золотой точки, которую составляет: монетный паритет плюс различные расходы, связанные с пересылкой металла — упаковка, почтовые расходы, страховка и т. д. Среди этих расходов не последнее место занимает и перечекалка монет в стране их получателя. Это обстоятельство повышает курс векселя. Имеют место колебания вексельных курсов, искусственное воздействие на эти курсы, ажиотаж, биржевая игра.

9. Всякое изменение денежной единицы страны, масштаба цен, вызывает изменение паритетов со всеми последствиями. Частое повторение этой операции в одном или нескольких государствах еще более осложняет все это дело.

В условиях существования золото-слитковой системы, когда банкноты обмениваются на слитки золота, а монеты полноценные не чека-



няться, все неудобства, вызываемые разнообразием денежных единиц, остаются в силе полностью, с этой лишь разницей, что в необходимых случаях осуществляется обмен банкнот, а не чеканных монет и что при действии этой системы отпадают расходы по перечеканке монет и вексельные курсы складываются без учета этих расходов.

Допустим, что капиталистические государства решились выпустить мощное орудие из своих рук и согласились на интернационализацию денежных систем и строгое соблюдение договора—случай невероятный хоть в сколько-нибудь широком масштабе.

Каковы будут результаты интернационализации металлического обращения? Остановимся конкретно на каждом пункте.

1. Металлическое содержание денежной единицы будет неизменным, не будет иметь места снижение ее содержания со всеми последствиями этого снижения.

2. Наличие единого масштаба цен ведет к единому выражению цен. Цены делаются для всех понятными.

3. Отпадает понятие паритета.

4. Отпадают сложные перерасчеты.

5. Значительно облегчается бухгалтерский и статистический учет.

6. Все монеты имеют силу законного платежного средства во всех странах, что облегчает положение лиц, проезжающих из страны в страну, особенно жителей пограничной полосы.

7. Целиком отпадает обменная операция с монетами, отпадают расходы по обмену монет и потеря времени.

8. Вексельные курсы будут фиксироваться более быстро. Поскольку отпадает расход по перечеканке монет, вексельные курсы снизятся на всю сумму расходов, вызываемых перечеканкой монет.

9. Исчезнут изменения денежной единицы отдельных стран и неудобства, связанные с этими изменениями.

10. Мир получит одинаковую денежную систему и облегчится хозяйственная связь между отдельными странами.

Организация монетного союза на базе золото-слитковой системы по существу сводится к установлению во всех странах одинаковой денежной единицы, идеальной монеты, вопрос об единообразии чекана монет здесь отпадает, т. к. монеты не чеканятся, их в обращении нет, а эмиссионный банк обменивает банкноты на слитки, которые и применяются для сальдирования международных расчетов; все удобства приносимые монетным союзом и перечисленные нами выше сохраняются и в условиях существования золото-слитковой системы.

Если интернационализация распространяется и на бумажные знаки денег, то положение еще более улучшается. Прежде всего создается предпосылка для сохранения всемирного монетного союза и единой,

неизменной денежной единицы. Затем золотые точки сблизятся еще больше, т. к. пересылка нот вызывает минимальные расходы. Отпадает обеспечение денег со всеми явлениями, сопровождающими его, в частности валютный демпинг.

IV

Как видно, интернационализация денежных систем приносит немало удобств и выгод. Но ознакомимся теперь и с обратной стороной этой интернационализации.

1. При интернационализации денежных систем встает вопрос о выборе денежной единицы. Какую единицу избрать. Избрать одну какую-либо из уже существующих единиц, это значит с одной стороны создать привилегированное положение для одной страны, а с другой — ущемить самолюбие других стран. Этот шаг не легко сделать государству, которое должно изменить свою монетную систему в пользу монетной системы другого государства.

2. Выбор новой денежной единицы вызовет бесконечные споры о преимуществах денежной единицы того или иного вида; каждое государство будет восхвалять свою систему, как наилучшую.

3. Допустим, наконец, что, договорились о денежной единице — будет ли эта единица совершенно новой или одной из существующих. Введение новой денежной единицы в результате организации монетного союза означает отказ со стороны населения от привычного масштаба цен; новый масштаб будет с трудом усваиваться населением; коренным образом надо переделать привычку населения. В переходное время население будет вынуждено пользоваться двумя масштабами цен.

4. Переход на новый масштаб цен вызывает стремление к округлению цен, выгодному для торговцев, но невыгодному для покупателей.

5. Переход на новую денежную единицу, в результате организации монетного союза, вызывает необходимость перечеканки монет и, следовательно, крупных расходов, связанных с перечеканкой. Эти расходы придется покрывать налогами. Эти расходы тем более „досадны“, чем меньше разница между старой и новой денежной единицей. В условиях существования золото-слитковой системы речь может идти только о перечеканке разменной монеты, т. к. полноценные монеты при этой системе не чеканятся.

6. Отказ от действующей денежной системы и переход на новую денежную систему сопряжены с колоссальными трудностями. Не всякая страна, имеющая серебряный стандарт или даже золото-девизную систему, и тем более бумажно-денежное обращение, может перейти к золотому стандарту. Вообще переход на более совершенную систему требует колоссального напряжения сил и средств, жертв. Принятие золотого монOMETаллизма или золото-слитковой системы вызовет демо-

нетизацию серебра, его дальнейшее обесценение, ущемление интересов серебропромышленников; но оно принесет выгоды странам, добывающим золото. Принятие серебряного монометаллизма или даже биметаллизма, разговоры о которых не прекращаются, окажется неприемлемым для стран, уже имеющих золотой монометаллизм или золото-слитковую систему, т. к. этим странам приходится делать шаг назад и жертвовать системой, созданной в результате длительной и всегда тяжелой подготовки. Державы, обладающие значительными золотыми средствами, быть может и охотно придут на помощь другим странам, но последние вынуждены будут взять на себя тяжелое бремя долга, для покрытия которого придется прибегать к увеличению налогов, выпуску займов, форсированию экспорта, сжатию импорта, потребления. Замена одной денежной системы другой всегда выгодна для одних, невыгодна для других. Вокруг выбора денежной системы разыгрывается острая борьба. Тем острее будет эта борьба при установлении новой денежной системы, общей для всего мира или для государств, замыкающих союз. К разным внутренним противоречиям прибавляются и противоречия между отдельными странами. Принятие какой бы то ни было денежной системы создает лагерь победителей и побежденных, которые не прекратят борьбы. Интернационализированная денежная система явится объектом острой борьбы.

7. Генеральный монетный союз, союз охватывающий все виды монет, вплоть до разменных, связан с значительными затруднениями. В одном месте может иметь место наводнение разменных монет, а в другом — недостаток этих монет. За оплошность одного государства должно отвечать другое государство.

8. Создание парциального союза, создание лишь вспомогательной монеты или монет для международных расчетов с оставлением национальных монет, не даст должного эффекта. Это еще больше осложнит положение. Население будет вынуждено иметь дело с двумя монетными системами. Надеяться на то, что международная система вытеснит национальную — не приходится; по всей вероятности произойдет обратное.

9. Автотипный союз в значительной степени сводит на нет удобства всемирного монетного союза.

10. Региональный союз создает ряд удобств для союзных стран, но в отношениях между этим союзом и другими государствами остаются в силе все неудобства, связанные с разнообразием монет.

11. В условиях обращения банкнот и отсутствия интернационализации последних, существование всемирного, или даже регионального, монетного союза весьма эфемерно. В случае необходимости, напр. в случае войны, банкноты будут превращены в бумажные деньги. Ликви-

дация бумажно-денежного обращения вызовет изменение денежной единицы и, постепенно, всемирный монетный союз распадется.

Ко всему этому надо добавить еще следующее важное обстоятельство. Авторы этих проектов не учитывают разницы между национальной и международной сферой обращения. В национальной сфере обращения деньги являются средством обращения. Из этой функции возникает монетная форма денег, наличие этой функции делает возможным существование денег в монетной форме. Чекан монет был начат отдельными лицами, он впоследствии попал в руки государства, т. к. является важным моментом денежного обращения. В международной сфере мы не имеем обращения товаров. Здесь деньги являются не средством обращения, а средством обмена. В международном обороте отсутствует возможность возникновения монетной формы денег. Если бы в международном обороте существовали предпосылки для появления монеты, то эта монета появилась бы без участия государств, без их договора, также как и внутри национальной сферы обращения. Международный оборот вытолкнет всемирную монету как постороннее тело; всемирная монета, в противоположность национальной монете, погибнет в водовороте международного оборота — здесь могут пробить себе дорогу только слитки благородного металла, принимаемые по весу с учетом их пробы; в этой сфере вопрос решает золотое содержание монеты.

Ссылка на интернационализацию в условиях капитализма различных институтов, например, ссылка на организацию всемирного почтового союза, не является основательной. Международный оборот требует и делает возможной организацию всемирного почтового союза, но не делает возможным организацию всемирного монетного союза.

Большинство авторов различных проектов интернационализации денежных систем полагает, что такая интернационализация принесет миру всемирные деньги. Они не замечают, что всемирные деньги (золото, серебро) существуют, что отсутствует лишь всемирная монета, всемирная денежная система.

Бессмысленность всемирного монетного союза без интернационализации банкнот и вызвала к жизни идею выпуска международных банкнот, но необходимо отметить, что интернационализация банкнот зачастую проектируется не как дополнение к монетному союзу, а самостоятельно, без интернационализации металлических денег.

Допустим, что государства, преодолев все трудности, договорились об интернационализации бумажных знаков денег. Допустим, что в обращение вводится международная банкнота, выпускаемая только одним мировым банком, а национальные банки лишаются права выпускать банкноты. Вокруг банка и эмиссии банкнот разыграется острая

борьба держав, борьба за влияние, за использование банка и банковской эмиссии в своих интересах. Совершенно очевидно, что господствующими будут те страны, которые внесут больше золота в это дело, а остальные страны будут участвовать в этом банке на правах „бедного родственника“. Международная банкнота явится концентром противоречий, в которых она должна будет погибнуть. Наличие международной банкноты не удержит ни одно государство от выпуска, в случае необходимости, своих банкнот и бумажных денег, а это повéдет к распаду интернационализированной денежной системы.

Еще больше возрастают трудности существования международной банкноты, когда международные банкноты выпускаются мировым банком параллельно с национальными банками, поскольку национальные банкноты могут быть противопоставлены международным. Тем больше предпосылок для распада, когда интернационализация банкнот происходит путем выпуска международных банкнот отдельными национальными банками на основе договора, банкнот одного образца, принимаемых всеми банками всех стран и обмениваемых всеми национальными эмиссионными банками.

Ко всему этому надо добавить и то, что банкнота всегда остается не только знаком кредита, но и знаком золота, законы его обращения коренятся в законах обращения золотых денег. Законы обращения банкнот не меняются от того, что их эмиссия ставится на международную базу. Все опасности, стоящие перед эмиссионным банком внутри страны, не только сохраняются в мировом банке, но еще больше усиливаются. Предпосылок для краха у мирового банка еще больше, чем у национального. Этот крах может принести с собой не только война, но и периодические экономические кризисы, которые носят особенно острый характер, которые охватывают все страны, все отрасли народного хозяйства и перерастают в валютный и финансовый кризис.

В конечном итоге развитие денежной системы в каждом государстве пойдет своим особым путем.

Неравномерное распределение золота, отсутствие у большинства стран возможности участвовать золотом в международном банке породило проекты организации свободной валюты, обеспеченной не золотом, а товарной массой. Но мы знаем, что банкнота — не только знак кредита, но и знак золота. Без золотого обеспечения, такая банкнота по существу является бумажными деньгами и жизнь ее чревата неисчерпаемыми опасностями.

Итак, интернационализация денежных систем трудно реализуема, а будучи реализована обречена на гибель в пучинах противоречий современного общества.

История не знает существования всемирного монетного союза, но она знает существование региональных монетных союзов. Зачатки интернационализации денежных систем можно найти еще в античном обществе, а именно в Греции. Особенно многочисленными, но и кратковременными были эти союзы в период расцвета феодализма, когда широко практиковалась порча монет, затруднявшая как внутренний, так и международный оборот.

Самый новейший и самый крупный монетный союз — Латинский монетный союз — просуществовал с 1865 г. по 1914 г., т. е. 49 лет, но он не сумел пережить даже свидетелей своей организации. Он фактически погиб в годы первой мировой войны, не оправдав надежд его организаторов — стать базой всемирного монетного союза. Всемирная монетная конференция, созванная в 1867 г. в Париже по инициативе французского правительства и с участием России, вынесла решение об организации монетного союза на базе золотого монометаллизма с денежной единицей равной франку; но постановление конференции никогда не было реализовано. Первая мировая война принесла гибель и Скандинавского монетного союза, организованного в 1877 г., не взирая на то, что его участники не принимали участия в войне.

История еще не знает существования международных банкнот. Организация выпуска международных банкнот пока еще не вышла из стадии проектирования. История знает лишь кратковременное существование валютного мутуализма; примером может служить Скандинавский монетный союз, участники которого договорились с 1901 г. взаимно принимать банкноты, выпускавшиеся их центральными банками.

Валютное соглашение 1936 г., заключенное между США, Англией и Францией, еще не являлось интернационализацией ни их денежных систем, ни банкнот, оно было лишь соглашением относительно курса их валют.

Проекты интернационализации денежных систем весьма живучи. Нет сомнения в том, что еще будет выдвинут не один проект интернационализации денежных систем.

Проекты интернационализации денежных систем не следует смешивать с проектами стабилизации валют и организации международных расчетов с помощью специальных международных институтов. Также проекты, появившиеся в период второй мировой войны (М. Кейне, Международный клиринговый союз; Уайт, Проект стабилизационного фонда) не предусматривают ни установления всемирной денежной системы, ни создания международной банкноты, ни введения одинаковой денежной системы во всех государствах. Изучение и оценка этих проектов требуют специальной работы.

Советский Союз, занимающий $\frac{1}{6}$ часть земного шара, имеет денежную систему отличную от денежной системы иностранных государств—это обстоятельство, конечно, надо учитывать при проектировании интернационализации денежных систем, при проектировании выпуска международных банкнот, но научные работники Советского Союза не могут отказаться от изучения проектов интернационализации денежных систем иностранных государств.

ЛИТЕРАТУРА

Указатель литературы дан в нашей упомянутой работе. Здесь отмечаем лишь несколько наиболее значительных работ, посвященных проектам интернационализации денежных систем, появившихся накануне и после первой мировой войны.

1. J. Wolf, Vorschläge zur Währungsfrage, Zürich, 1892.
2. J. Wolf, Eine internationale Banknote: Zeitschrift für Sozialwissenschaft, 1908, Heft 1.
3. R. Saussure, La monnaie internationale: Revue Suisse de Numismatique, Geneve 1914, стр. 304.
4. S. Gesell, Internationale Valuta Assoziation (IVA), Sontra in Hessen, 1920.
5. Vanderlipp, Was aus Europa werden soll? München, 1922.
6. Economicus, A scientific money system and a world currency, N. Y., 1923.
7. Robertson, Das Geld, пер. с англ., Berlin, 1924.
8. P. Oflet, Pour une monnaie internationale. Paris, 1926.
9. A. Janssen, La monnaie internationale. La Haye, 1928.
10. Darling, A new international currency. London, 1929.
11. M. Keynes, A treatise on money, 1930.

Тбилисский Гос. Университет
имени Сталина
Кафедра финансов и кредита

(Поступило в редакцию 5. IX. 1943)

გ. გოჯალიშვილი

ბიზანტიასა და ირანს შორის ბრძოლა
იმპერია-ლაზიკისთვის VI საუკუნეში¹

შესავალი

ბიზანტიის ისტორიის შესწავლის იმ დიდსა და ძირითად ნაკლს, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ მკვლევართ არ ჰქონდათ შეგნებული ბიზანტიის ისტორიის ობიექტი, ე. ი. ის საზოგადოება და მისი ორგანიზაცია, რომელმაც მსოფლიო ისტორიაში ახალი ეტაპი შექმნა, ის ნაკლიც თან სდევდა, რომ არ არსებობდა აგრეთვე შეგნება ბიზანტიის იმპერიის საზოგადოების კონგლომერატული შემადგენლობისა; ბიზანტიის იმპერია და მისი საზოგადოება ჩვეულებრივ ძალზე ვიწრო ფარგლებში წარმოედგინათ, ნშირად კი იგი კონსტანტინოპოლის ირგვლივ არსებულ ვითარებასთან იყო ვაიგივებული და ის მნიშვნელოვანი პროვინციები, რომლებიც როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური თვალსაზრისით იმპერიის ცხოვრებაში თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ, უგულვებელყოფილი რჩებოდნენ, რის გამოც ბიზანტიის ისტორიის საკითხები მხოლოდ ცალმხრივ გაშუქებას ჰპოულობდნენ.

მხოლოდ უკანასკნელი დროის მოვლენაა ის შეგნება, რომ ბიზანტიის იმპერიასა და საზოგადოებაში უნდა იკვლითსმებოდეს ის მრავალწახანაგოვანი კონგლომერატი ეთნიკურ, კულტურულ; პოლიტიკურ და ეკონომიურ მოვლენათა, რომელნიც იმპერიის ცხოვრებას გარკვეულ კოლორიტს ანიჭებდნენ - და რომელთა ურთიერთშორის მოქმედების შედეგსაც ის ნარევი ნაყოფი წარმოადგენს, „ბიზანტინიზმის“ სახელით რომ არის ცნობილი.

აღმოსავლეთის მეცნიერულად შესწავლისა და ბიზანტინოლოგიის თანამედროვე ეტაპზე უკვე შეგნებულია ის გარემოება, რომ ტერმინი „ბიზანტია“ მაშინ არის მისი ნამდვილი შინაარსის გამომხატველი, როდესაც მასში ნაგული-სხმეგია ისტორიული განვითარების პროცესის მთელი ის კომპლექსი, რომელსაც

¹ ნაშრომი წარმოადგენს სადოქტორო დისერტაციას, რომელიც წარდგენილი იყო სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტში 1936 წელს და დაცულ იქნა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე 1937 წლის ივნისის 14-ს. იბეჭდება იმ სახით, როგორც იყო მაშინ წარდგენილი, თუმცა ახალი მასალების ნადავზე ზოგიერთი საკითხის გაუარყოფა შეიძლება.



აღმოსავლეთში ჰქონდა ადგილი. თუ სრულიად სამართლიანად იყო მიჩნეული, რომ არც სომხეთის, არც საქართველოსა და არც სლავების ისტორია ბიზანტიის ისტორიის გაუთვალისწინებლად არ შეიძლებოდა დაწერილიყო, ახლა ასეთივე სამართლიანობით უნდა ვაღიაროთ, რომ არც თვით ბიზანტიის ისტორიის დაწერა შეიძლება, თუ არ იქნა მხედველობაში მიღებული აღმოსავლეთისა და თვით ჩრდილოეთის იმდროინდელი ცხოვრება და მისი მამოძრავებელი და თანმხლები მოვლენები.

მართლაც, ყოველად შეუძლებელია ბიზანტიის ისტორიის ძირითადი მოვლენების სწორი გაგება, თუ არ იქნა სათანადოდ გამოკვლეული და შეფასებული ის ამბები, რომელთაც ბიზანტიის ცენტრსა და პროვინციებს შორის ურთიერთობის დროს ჰქონია ადგილი.

ამ პროვინციათა შორის თვალსაჩინოდ ადგილი ამიერ-კავკასიას, კერძოდ, ძველი საქართველოს (იბერიისა და ლაზიკის) ტერიტორიას მიეკუთვნება. ბიზანტიასა და ირანს შორის მეზუთე საუკუნიდან ატეხილი ომის მთავარი საგანი სწორედ აღნიშნული ტერიტორიაა. განსაკუთრებით VI საუკუნეში მძაფრდება ეს ბრძოლა და იბერია-ლაზიკაში გაბატონებისათვის ორივე მეტოქე იმპერია თავგანწირვით იბრძვის. ისტორიოგრაფიაში ამ ომიანობის ფაქტური მხარე თუ ცნობილია, სამაგიეროდ არ არის გამოკვლეული ის მოტყეები, რომლებიც მოქმედ მხარეებს ამოძრავებდა.

იუსტინიანე დიდის დროს (527—565) უკვე მტკიცდება და გარკვეულ სახესღებულს ბიზანტინიზმი როგორც დასავლეთისა და აღმოსავლეთის, რომანიზმისა და ელინიზმის სინთეზი; სრულდება ბიზანტინიზმის ნამდვილი სახის გამომუშავების ერთი ეტაპი, და ბიზანტინიზმის დამახასიათებელი არსებითი მხარეები უკვე არის მოცემული იმ მოვლენებში, რომლებიც ბიზანტიის აღმოსავლეთის ასპარეზზე ირანის იმპერიასთან შეხვედრისა და ორ მოქიშპეს შორის აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის ნიადაგზეა წარმოშობილი. სწორედ აქ შესაძლებელი ხდება სათავე მოეძებნოს არა ერთ ვითარებას, იმპერიის ცხოვრებას რომ თვალსაჩინოდ აფერადებდა.

ამასთანავე, მახდელიანობის ბრძოლა-გადახდილი, აღორძინების გზაზე შემდგარი ირანი ცდილობს აღადგინოს თავისი ავტორიტეტი აღმოსავლეთში და ამასთან ერთად ბიზანტიის ამ მიმართულებით წინსვლას საზღვარი დაუდვას. ყველა ეს გარემოება საინტერესო კვანძს ჰკრავს, რომლის გარშემოც საგულისხმო ამბები იშლება. ამ კვანძის ცენტრი თუ არა, მისი საგრძნობი ნაწილი მაინც ძველ საქართველოს ტერიტორიაზეა გაბანდული. ამ დროის ამბები როგორც ბიზანტიის, ისე ირანის და საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით, საგულისხმო მომენტებს წარმოადგენს საისტორიო მეცნიერებაში.

ჩვენ პირველ ყოვლისა ვეცდებით გავარკვიოთ ბიზანტინიზმის აღმოსავლეთისაკენ მისწრაფების მოტივები; მეორე მხრით, უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა მისწრაფება-პრეტენზიები ამოძრავებდა ირანს ბიზანტიის მიმართ; ხოლო მესამე მხრით, განვმარტოთ მოქიშპე იმპერიებს შორის ქიშპობის ობიექტის (იბერია-ლაზიკის) როგორც ისტორიული მოვლენების რაობა, და გავარკვიოთ, თუ რა ინტერესები აკავშირებდა თითოეულ მოქიშპე მხარეს ამ ქვეყნებთან და რა

მოსაზრებით ხელმძღვანელობდა თითოეული მათგანი ამ ქვეყნებთან ურთიერთობის დროს. ყველაფერი ეს ერთად კი გაგვიადვილებს ავსნათ თითოეული ის მოვლენა, რომელსაც ჩვენ მიერ აღებულ ეპოქაში ამ ქვეყანათა საერთო ურთიერთობის სფეროში ადგილი ჰქონდა.

I

IV საუკუნეში დასრულდა რომის იმპერიის დეგრადაციის აგონია: 330 წელს სატანტო ქალაქად რომის ნაცვლად ბატარა ბიზანტიონი იქნა აღიარებული. ეს ფაქტი დიდმნიშვნელოვანი იყო არა მარტო რომის იმპერიის ცხოვრებისათვის, არამედ მთელი მაშინდელი მსოფლიოსათვის. ბიზანტიონის გადაქცევა ახალ დედაქალაქად მთელ იმდროინდელ, როგორც საშინაო ისე საგარეო, ურთიერთობაში ახალი ხანის დასაწყისს ნიშნავდა.

რომის, როგორც დედაქალაქის, დაცემასთან ერთად, შეიძლება ითქვას, ჩაესვენა მზე რომის იმპერიის პოლიტიკური ძლიერებისა და ექსპანსიისა. ბიზანტია-კონსტანტინოპოლის ირგვლივ ხორცშესხმული სახელმწიფო ორგანიზმი არაერთარ შემთხვევებში არ წარმოადგენდა რომის სინამდვილეში არსებული ვითარების გაგრძელებას¹... მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ძველი ერთბაშად და მთლიანად იქნა უკუგდებული და ჩამობერტყილი. 330 წელი უღელტეხილზე ასვლას ნიშნავდა, საიდანაც აღმართის მეორე მიმართულებით გავლა იყო საჭირო.

IV და VI საუკუნეები ბიზანტიის ისტორიაში სწორედ ამ გზის განვლის სურათს წარმოგვიდგენენ, სურათს, რომელიც შეფერადებულია ყველა იმ საღებავით, რაც მაშინდელ ბიზანტიის იმპერიის შინაგან ეკონომიურ-პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებას, აგრეთვე საგარეო ურთიერთობას, ემოსა გარს.

სატანტო ქალაქის რომიდან კონსტანტინოპოლში გადმოტანა მექანიკური ოპერაცია როდი ყოფილა. ეს ნაბიჯი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოვლენათა რთული კომპლექსის მიერ იყო მომზადებული და ნაკარნახევი, იმ მიზანდასახულობასთან² და დანიშნულებასთან შეფარდებით, რაც შინაზოგადოებრივ ცხოვრებასა და საგარეო ურთიერთობასთან იყო შეფარდებული.

რომის დაცემა უბრალო პოლიტიკური მნიშვნელობის აქტს როდი წარმოადგენდა. რომის დაცემასთან ერთად დაეცა არა მარტო ის პოლიტიკური ორგანიზმი, რასაც რომის იმპერია ეწოდებოდა, არამედ მასთან ერთად დაეცა მთელი ის პოლიტიკურ-ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების სისტემა, რომელიც მონათმფლობელურ წყობილებაზე იყო აღმოსტყნებული.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ურთიერთობის წარმმართველი და განმსაზღვრელი უწინდელი საფუძველი დანგრეა და მას მიჰყვა მისი ზედნაშენიც. ყოფილი რომის იმპერიის მცხოვრებთა ურთიერთობა ახალი

¹ შეად. A. Heisenberg: „... das byzantinische Reich ist das alte römische Kaiserreich selbst in seiner unmittelbaren, niemals unterbrochenen Fortsetzung“ (იხ. Staat und Gesellschaft des byzantinischen Reiches, გვ. 364: Die Kultur der Gegenwart, Teil II, Abteilung IV, 1).



გზით უნდა წარმართულიყო. ძველი მონათმფლობელური ეკონომიური წესების ნაცვლად ახალი ეკონომიური ურთიერთობა უნდა დასდებოდა საზოგადოებრივ საზოგადოებრივ ურთიერთობას.

ამ ძველი ბაზისის თანდათანობითი ნგრევისა და გამოცლის პროცესის რომის იმპერიის ცხოვრებაში კარგა დიდხანს მიმდინარეობდა. IV საუკუნის წინამავალი ხანა ამ პროცესის ის სტადია იყო, როდესაც „მონობა ეკონომიურად უკვე შეუძლებელი გახდა, თავისუფალთა შრომა კი მორალურად გაკიცხული იყო. პირველს უკვე აღარ შეეძლო, მეორე კი ჯერ ვერ გახდებოდა საზოგადოებრივი წარმოების ძირითად ფორმად. ამ მდგომარეობიდან გამოყვანა შეეძლო მხოლოდ სრულ რევოლუციას“¹.

IV საუკუნეში, როგორც ვთქვით, აღმართის მეორე მხარეზე გადაღვა ბიზანტიის (ფორმალურად ჯერ ისევ რომის) იმპერიის ცხოვრება. IV-V საუკუნეებში ძველის უკუქცევის და ახლის თანდათან განმტკიცების პროცესი უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ახალი საზოგადოებრივი ეკონომიური ურთიერთობა თანდათან რელიეფურსა და გამოკვეთილ სახესღებლობს. ეს ურთიერთობა იყო მიწის მფლობელობისა და მუშა-ხელის ექსპლოატაციის ის ფორმა, რომელსაც ფეოდალიზმი ეწოდება.

IV-V საუკუნეები ბიზანტიის იმპერიაში სწორედ ამ ფეოდალურ ურთიერთობის გზაზე შედგომის პროცესს წარმოგვიდგენს და ეს არის სწორედ ის უმთავრესი, რაც ბიზანტინიზმს ძირითადად შინაარსს აძლევს.

იუსტინიანე დიდის (527—565 წ.) დროისთვის საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიური ბაზისის ცვლის პროცესის გარდამავალი ეტაპი განვლილია და საწარმოო ურთიერთობათა, საწარმოო ძალთა განაწილების ახალი ვითარება ძალაშია შესული. VI საუკუნეში უკვე ის ვითარება აღარ არის, როდესაც მონობას აღარ შეეძლო, ხოლო თავისუფალი შრომა ჯერ ვერ გახდებოდა საზოგადოებრივი წარმოების ძირითად ფორმად. ამ მიმართულებით რევოლუცია დიდი ხანია მომზადრია და აღებულ მომენტში ახალი ფორმაცია გარკვეულად ჩამოყალიბებული გვევლინება მის ძირითად ნაწილში მაინც. ამ დროს საზოგადოებრივი და საწარმოო ურთიერთობანი უკვე იმ ნიადაგზე არის შემდგარი, როდესაც თავისუფალი შრომა გამზადრია იყო საზოგადოებრივი წარმოების ძირითად, ე. ი. ექსპლოატაციის ახალ ფორმად.

ამ ნიადაგზე სახელმწიფოს შიგნით უკვე ადგილი აქვს საზოგადოების სათანადო ფენებად დანაწილებას. ეკონომიურად და მასთან ერთად პოლიტიკურად და სოციალურადაც ყველაზე ძლიერი კლასია მსხვილ მიწათმფლობელთა ფენა, რომელიც VI საუკუნიდან უკვე იჩენს თავს.

იუსტინიანეს სახით ბიზანტიის სამეფო ტახტზე გვევლინება მსხვილ მიწათმფლობელთა წრის წარმომადგენელი. მიწის მფლობელობისა და საზოგადოებრივი წარმოება-ურთიერთობის ძველი ფორმების ახალი ფორმებით შეცვლის პროცესი იუსტინიანეს დროისთვის დიდ გზა გავლილად მოჩანს. მსხვილ

¹ ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 179. სახელგამო, 1933 წ.

მიწათმფლობელთა (არა ლატიფუნდიალურ, არამედ ფეოდალურ მიწათმფლობელთა) რიცხვი ამ დროს ძალზე ბევრი უნდა ყოფილიყო, იმდენად უკმაყოფილო, რომ იგი უკვე სახელმწიფოში ძლიერ ძალას წარმოადგენს და მართვა-გამგეობას საკუთარ ხელში იღებს. მართლაც, ვინ არის ის ნალხი, ვინც იუსტინიანეს ტახტს ვარს ახვევია და იცავს მას? საკმარისია თუნდაც მარტო სახელგანთქმული მთავარსარდლის გელიზარის დასახელება, რომელსაც ომებში თან ახლავს რამდენიმე ათასეულისაგან შემდგარი საკუთარი გვარია¹. უკმაყოფილოა, რომ ველიზარი კენტად არ იქნებოდა, იგი, შესაძლებელია, მხოლოდ ყველაზე უპირველესი და უძლიერესი იყო მის მსგავს მრავალთა შორის.

რაკი საზოგადოებრივი წარმოების ძირითად ფორმად და სისტემად ფეოდალურ ურთიერთობაზე მოწყობილი მსხვილი მიწათმფლობელობა იქცა, მას თან დაჰყვა ტენდენცია თანდათანობით ზრდისა; თითოეული მსხვილი მიწათმფლობელის მისწრაფება იყო რაც შეიძლება მეტი მიწების საკუთარ მფლობელობაში კონცენტრირება. იუსტინიანეს ის დახასიათება, რომელიც პროკოპი კესარიელს აჯანყებულ არმენიელთა ელჩების სახელით ხოსროს წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში აქვს მოცემული, გადმოგვცემს არა მხოლოდ იუსტინიანეს, შესაძლებელია, ავანტიურისტული ელჩების მქონე მეგალომანიას, არამედ აქ ჩვენ საქმე გვაქვს იმ მისწრაფების გამოხატულებასთან, რომელიც ბიზანტიის მთავრობისა და მისი მოქმედების წარმმართველი საზოგადოებრივი წრეების სულსკვეთების დამახასიათებელი იყო.

ელჩების ნათქვამი, რომ „...ამ კაცს მთელი დედამიწა ვეღარ იტევს: მიწათვის ისიც ცოტაა, რომ ერთად ფლოს მთელი მსოფლიოა და სხვ.², მიეკუთვნება არა იმდენად იუსტინიანეს, რამდენადაც იმ მსხვილ მიწათმფლობელთა წრეებს, რომლებიც საკუთარი მფლობელობის მეტსა და მეტს ზრდას ცდილობდნენ.

მაგრამ ამგვარ მისწრაფებას წინ მრავალი გარეწობა ელოებოდა და ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მხრივ ის იყო, რომ ბიზანტიის იმპერიის დიდი ნაწილი ბარბაროსების ხელში იმყოფებოდა, რომელთა იმავე სახით ექსპლოატირება და ეკონომიური დაქვემდებარება, როგორც ეს იმპერიის მოსახლეობის მიმართ ხდებოდა, შეუძლებელი იყო არა მარტო ცალკეული მსხვილი მიწათმფლობელებისათვის, არამედ მათი მრავალრიცხოვანი ჯგუფისთვისაც კი, რადგან ბარბაროსები დიდ ფიზიკურ ძალას წარმოადგენდნენ და, პირიქით, მათ მიერ დაპყრობილ პროვინციებში მიწათმფლობელნი თვითონ არიან უმწიკო მდგომარეობაში ჩაყარდნილი.

იუსტინიანეს ტახტზე ასვლის ხანს იმპერიის დასავლეთი ნაწილი — იტალია — გუთებს უპყრიათ, ხოლო იმპერიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროვინ-

¹ III. Дивль, Юстинианъ и виз. дивил. в VI вѣкѣ, гл. 152—153.

² В. Р. II, 15; იუსტინიანეს შესახებ ამავე აზრს იმეორებს გუთების წინამძღოლი ვიტრიუსი იმავე ხოსროს წინაშე; იუსტინიანე როგორც ბუნებრივ დაუღვრთმელი ადამიანი, რომელსაც სწავლიან ყველაფერი ის, რაც მისი არ არის, ყოველგვარ საშუალებას მოიხმარს იმისთვის, რათა ყველა სახელმწიფო დაიპყროს და მთელი მსოფლიო ხელთ იგდოს» (В. Р. II, 2).



ციაში — აფრიკაში — ვანდალები არიან გაბატონებული. ერთი მხრით, მსხვილი მიწათმფლობელობის ფარგლების ვაფართოების მისწრაფება, რაც თვითნებურად მიწათმფლობელების გაზრდასაც ნიშნავდა, მეორე მხრით, აფრიკის მდიდარი პროვინციის კვლავ იმპერიის ფარგლებში დაბრუნების სურვილი, ხოლო, მესამე მხრით, ბარბაროსთა ბატონობის ქვეშ მყოფი მიწათმფლობელებისა და საერთოდ იმპერიის ქვეშევრდომი მოსახლეობის სურვილი უცხო ბატონობისაგან განთავისუფლებისა, — ჰქმნიან იმ სიტუაციას, რომელიც იუსტინიანეს აიძულებს იმპერიის დასავლეთის მიმართულებით გრანდიოზული ომები აწარმოოს.

ამ ომების ფართო მასშტაბით წარმოებას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ, დაპყრობითი ტენდენციების შენიღბვის მიზნით, წამოყენებული იყო მსოფლიო იმპერიის შექმნის იდეა, რაც აგრეთვე ნაკარნახევი იყო იუსტინიანესა და მისი დასაყრდენი საზოგადოებრივი ფენის მონარქისტული მისწრაფებებიც. ერთიანი ხელისუფლება შიგნით და ძლიერი იმპერიის გარეთ — ეს იყო დევიზი, რომელიც მსხვილ მიწათმფლობელთა ინტერესებზე იყო აღმოსაყენებული და რომელიც ძლიერი ხელისუფლების სახით ამ ინტერესთა განხორციელების უზრუნველყოფის შესაძლებლობას იძლეოდა.

550-იანი წლებისთვის იტალიაცა და აფრიკაც უცხოელთა ბატონობისაგან იქნა განთავისუფლებული. მართალია, ორსავე პროვინციაში საქმე ამით არ ვათავებულა, იქ მთელ რიგ აჯანყებებს ჰქონდა ადგილი, მაგრამ 550 წლებისთვის ისინი უკვე საბოლოოდ იმპერიის ხელშია მოქცეული და ამით ერთი დიდი პრობლემა — მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდის მისწრაფებისა და სახელმწიფო რესურსების გადიდების პრობლემა, — ასე თუ ისე იქნა გადაწყვეტილი.

მაგრამ ბიზანტიის შინასაზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრებით ნაკარნახევი მისწრაფება-საჭიროებანი მხოლოდ ამით როდი ამოიწურებოდა. მსხვილ მიწათმფლობელობასთან ერთად ფულადი მეურნეობის არსებობა ვაჭრობისა და ალბ-მიცემის ზრდასა და განვითარებას მოითხოვდა. იუსტინიანეს ხელისუფლება ვალდებული იყო ამ პრობლემის გადაჭრაზეც ეზრუნა, მით უმეტეს, რომ გრანდიოზული ომებისთვის საჭირო ფინანსური სახსრების მოპოვების ყველაზე უფრო მდიდარ წყაროს საგარეო ვაჭრობა წარმოადგენდა. ამ საზრუნავს კი ბიზანტიის ხელისუფლება აღმოსავლეთის ფრონტისაკენ მიჰყავდა.

აღმოსავლეთი იმდროინდელ საერთაშორისო ურთიერთობათა ცენტრალურ ასპარეზს წარმოადგენდა. ჯერ ისევ რომის იმპერიის დროს აღმოსავლეთის პროვინციებში ვაჭრობა ფართოდ იყო განვითარებული და მრავალი დოვლათიც იყო ამ ნიადაგზე დაგროვილი. განსაკუთრებით გამოირჩევიდნენ მცირე აზია, სირია და ეგვიპტე.

მცირე აზიის მრავალრიცხოვანმა ცხვრის ფარგმმა შესაძლებელი გახადა იქ საფეიქრო მრეწველობის აღრიდნენვე განვითარება.

სირიაში განვითარებული იყო ტილოს და სელის წარმოება. ამასთანავე სირიაზე გადიოდა ის სავაჭრო გზა, რომელიც აღმოსავლეთს დასავლეთთან აკავშირებდა.

ეგვიპტე მარტო პურის სამშობლო კი არ იყო, არამედ იქ მრეწველობა და სავაჭრო საქმიანობა მკაცრად იყო განვითარებული¹.

რომის იმპერიის დედაქალაქის აღმოსავლეთში გადატანამ ხელი შეუწყო მრეწველობისა და ვაჭრობის შემდგომ აყვავებას; განსაკუთრებულ განვითარებას კი თვით კონსტანტინოპოლში მიაღწია ამ ორივე დარგმა, ნამეტნავად მის შემდეგ, რაც VI საუკუნიდან მრეწველობის ახალი დარგი — მეაბრეშუმეობა იკიდებს ფეხს ბიზანტიაში.

ამ მახლობელი აღმოსავლეთის საშუალებით წარმოებდა ვაჭრობა მთელ იმდროინდელ მსოფლიოში შიორეული აღმოსავლეთიდან დაწყებული და დასავლეთ ევროპით გათავებულთ. სხვა აუცილებელ პირველი საჭიროების საგანთა გარდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩინეთის აბრეშუმით ვაჭრობა, რომელიც ქსოვილების სახით მოთხოვნილების დაკმაყოფილების გარდა დიდ მოგებას იძლეოდა, როგორც აღებ-მიცემის საგანი.

აღმოსავლეთიდან ამ სიმდიდრის მიღება შეიძლებოდა არა მხოლოდ იქაური მრეწველობის ხელში ჩაგდებათ, არამედ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო გზაზე ვაბატონებითაც — აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის შუამავლად გამოსვლითაც — რაც შემოსავლის ერთ-ერთ უმდიდრეს და წარმატებულ წყაროდ ითვლებოდა.

ასეთი სახის აღმოსავლეთი აუცილებელ სასიცოცხლო საჭიროებას წარმოადგენდა ბიზანტიისთვის. ამიტომაც ბიზანტიის საგარეო ექსპანსიის ერთი ისარი აქეთვე უნდა ყოფილიყო მიმართული. ეს ექსპანსია განსაკუთრებით თავს იჩენს VI საუკუნეში იუსტინიანეს უშუალო ხელმძღვანელობით. იუსტინიანე არ ზოგავს არც სამხედრო და არც მშვიდობიან საშუალებებს იმისთვის, რომ ზემოაღნიშნული ექსპანსიის განაღდება უზრუნველყოს². და ოგი იმასაც კი მიაღწევს, რომ 552 წლიდან საუკუნეთა განმავლობაში არსებულ აბრეშუმის წარმოების საიდუმლოებას გახსნის და ბიზანტიაში საკუთარი აბრეშუმის წარმოებას დასაბამს მისცემს³.

მაგრამ თუ დასავლეთით მიმართულ მსხვილ მიწათმფლობელთათვის ახალი ტერიტორიების დაპყრობით გაყვანილ ექსპანსიას გუთუბისა და ვანდალების ნახევრად ველური წინააღმდეგობა ელობებოდა, აღმოსავლეთისკენ მიმართული ექსპანსია უფრო სერიოზული მოწინააღმდეგის წინაშე იდგა.

ეს იყო იმდროინდელ მსოფლიოში ბიზანტიის შემდეგ (უფრო კი მის გვერდით) ყველაზე უფრო დიდი და ძლიერი პოლიტიკური ერთეული — ირანის სახელმწიფო.

ირანი და ბიზანტია ორივე ერთი-მეორის წინააღმდეგ თავის თავს მსოფლიოში ერთადერთ ყველაზე უძლიერეს ძალად თვლიდნენ და მსოფლიოზე ბატონობის პრეტენზიას აცხადებდნენ. უკვე ეს გარემოება მათ ერთმანეთის საწინააღმდეგო ძალად აქცედა, ხოლო აღმოსავლეთის ასპარეზზე ისინი ერთი-

¹ L. Brentano, Byzantinische Volkswirtschaft, გვ. 12-13; Leipzig, 1917.

² აღმოსავლეთთან ვაჭრობისა და სავაჭრო გზების შესახებ დაწვრილებით იხილე ქვევით.

³ Ш. Дилэ, Юстиниан и византийская цивилизация в VI веке, გვ. 548.



მეორის მოსისხლე მტრები ხდებიან, რადგან ორივე სახელმწიფოს ყველაზე უფრო მკვეთრად აქ შეეჯახებიან.

თუ VI საუკუნის ბიზანტია წინამავალ საუკუნეებში მოვლენილ უანრავ სოციალურ-პოლიტიკურ შერყევათა შემდეგ შემოქმედებითი ძალების ერთგვარი კონსოლიდაციების ეტაპს წარმოგვიდგენს, ამის სრულს ანალოგიას ვხედავთ აგრეთვე VI საუკუნის ირანის სახელმწიფოშიც.

V საუკუნეში ირანის შიგნით აღვილი ჰქონდა დრმა სოციალურ მოძრაობას, რომელიც მანდაკის მოძღვრებებს სახელით არის ცნობილი. ეს მოძრაობა პირველ ყოვლისა მიმართული უნდა ყოფილიყო მსხვილი საგვარეულო მიწათმფლობელობის წინააღმდეგ, რაც მთელი ირანის სახელმწიფოს სოციალ-პოლიტიკურ სისტემას საფუძვლად ედგა. იქ თვით სახელმწიფო ხელისუფლება და უმადლესი მოხელეობა მხოლოდ შთამომავლობით შექმლო ადამიანს მიეძო. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ კულტის მსახურნი, მოგვები ჯერ ისევ IV საუკუნეში მსხვილი და შლიდარი მიწისმფლობელები იყვნენ და ამათაც აგრეთვე სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე დიდი გავლენა ჰქონდათ თათბირობისა და წინასწარმეტყველებათა სახითა და საშუალებით¹.

მანდაკის მოძღვრებაზე აღმოცენებული სოციალური მოძრაობით ისარგებლეს სასანელთა საგვარეულოს ირანის ტახტზე მყოფმა მეფეებმა, რათა საგვარეულოთა მსხვილ მიწათმფლობელობის შორის გაფანტული ეკონომიური და პოლიტიკური ძალა-უფლება საკუთარ ხელში მოეკრიფათ და მხოლოდ უდიდეს მიწათმფლობელთა შედარებით შემცირებულ რაოდენობაზე, აგრეთვე ბიუროკრატიულ აპარატზე დაყრდნობით, სახელმწიფოში აბსოლუტური ხელისუფლება განეხორციელებინათ².

ამ მხრივ ყველაზე მეტს წარმატებებს ხოსრო პირველმა მიაღწია, რომელიც იუსტინიანეს თანამედროვე (531—571) და იმასავით ენერგიული და შემოქმედებითი უნარით აღსავსე იყო.

პირველადი წყაროები ხოსროს წარმოგვიდგენენ როგორც უმამაცესსა და უბედნიერეს მმართველს, რომელმაც ირანის საზღვრები გააფართოვა აღმოსავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით, შექმნა ჯარის ახალი ორგანიზაცია, მოახდინა რეფორმა და სამართლებრივი განაწილება გადასახადებისა, დააარსა ახალი ქალაქები და გაიყვანა ახალი გზები³. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი კი ხოსროს ანასიათებს, როგორც დაუდგრომელი კუკუის მქონე კაცს, რომელსაც გაავიწყებთ უყვარდა ახალ-ახალი რამეების შემოღება⁴. ამ ახალ-ახალი რამეების შემოღებაში უნდა იგულისხმებოდეს ხოსროს სწორედ ის მოღვაწეობა, რომელიც საგვარეულოების ხელში მყოფი დაქსაქსული ძალა-უფლებისა და გავლენის იმპერატორის ხელში კონცენტრირებას და ამ კერძოულ მბრძანებელთა თვითნებური თარგმის აღაგმვას ნიშნავდა. ხოსროს მიერ

¹ Ammianus Marc ellinus, XXII, 632; Agathias, II, 26.

² B. P. I, 23; Tabari, 149.

³ Tabari — Nöldeke, 33, 241.

⁴ B. P. I, 23.

შექმნილი ასეთი აბსოლუტისტური მონარქიის ინტერესები მას ჯერ ერთხელსავე თავად უკარნახებდა გარკვეულ საგარეო ზრახვებს და, მეორე მხრით, ბიზანტიის ექსპანსია მასში ბუნებრივი წინააღმდეგობის სურვილს იწვევდა საკუთარი ინტერესებისა და თავდაცვის მიზნით.

VI საუკუნეში ირანი ბიზანტიის ღირსეული მოწინააღმდეგეა და ზოგიერთ შემთხვევაში მოქმედების ინიციატორიც კი, მაგრამ იმავე VI საუკუნეში ირანის ძლიერებას ფრთებს აკვეცს და მის საგარეო ექსპანსიას საგრძნობლად ზღუდავს მის ზურგში ახლად გამოჩენილი პოლიტიკური ძალა თურქების სახით. და ეს გარემოება თვით ბიზანტია-ირანის VI საუკუნის ურთიერთობაში აგრეთვე სათანადოდ იჩენს თავს.

როგორც კი იუსტინიანემ დასავლეთით თავისი ლაშქრობანი სასურველ დონეზე დაიგულა, მაშინვე აღმოსავლეთის ფრონტზე აქტიურ მოქმედებას მიჰყო ხელი.

ამ რას ეუბნებიან ხოსროს ბიზანტიის წინააღმდეგ აღწყებულ არმენიცილთა ელჩები: «... როგორც კი... მან შეატყო, რომ დასავლეთა დაპყრობა თითქმის დასასრულს უახლოვდებოდა, უკვე ხელი მიჰყო აღმოსავლეთა, ე. ი. თქვენს დევნას»¹ და სხვ.

მაგრამ იუსტინიანეს ასეთ ლტოლვას თვით ხოსროს მსგავსივე მისწრაფებები ეჯახებოდა.

ამ მისწრაფებას პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს ლაზთა ელჩების სიტყვით; ისინი ხოსროს სხვათა შორის მოახსენებენ, რომ თუ ირანი ლაზიკას თავისი მფარველობის ქვეშ მიიღებს, მაშინ თქვენ, ირანელები ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებითო და «აქ თუ ხომალდებს ააგებთ, შეფევე, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიის პალატს მიაღწიოთ»² და სხვ. და, მართლაც, შემდგომში ხოსროს ამ თავისი გრანდიოზული მისწრაფების შესრულების ფართო გეგმა დაუსახავს. «მან გადასწყვიტა ქალაქი დარა აედო მოულოდნელად და ლაზიკიდან კოლხები ყველანი გამოესახლებინა, ხოლო მათ ნაცვლად სპარსელები დაესახლებინა»³, — მოგვითხრობს იგივე პროკოპი.

ასეთი იყო ის საერთაშორისო სიტუაცია, რომლის საერთო ფონზეა განსახილველი ბიზანტია-ირანის ბრძოლა ლაზიკა-იბერიისთვის VI საუკუნეში.


II

რომის იმპერიის სახელმწიფოებრივი ცხოვრების სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ძველი რომის სარბიელზე უკვე შეუძლებელი შეიქნა, საჭირო გახდა სახელმწიფოს ცენტრის გადანაცვლება იმ მხრით, სადაც სულის-მოთქმა შეიძლებოდა. სატანტო ქალაქი რომიდან ბიზანტიონში იქნა გადატანილი. ამ არჩევანში უკვე ჩასახული იყო იმპერიის მომავალი ექსპანსიის გეზი:

¹ B. P. II, 3.

² B. P. II, 15.

³ B. P. II, 28.



აღმოსავლეთისაკენ ლტოლვა, აქ ძიება იმ საშუალებებისა, რომლებსაც რომაელებმა რიისათვის სიცოცხლის უნარი უნდა შეენარჩუნებინა.

არჩევანი სავსებით გამართლდა, აღმოსავლეთში გადმონაცვლებულმა იმპერიამ დასავლეთიდან მოყოლილი ღრმა ჭრილობები სწრაფად მოიშუშა.

იმპერიის ცენტრის აღმოსავლეთში გადატანა იმას ნიშნავდა, რომ იმპერიის სიცოცხლის მთავარი ძარღვი ამიერიდან აღმოსავლეთში ფეთქებდა, რომ იმპერიის ცხოვრების შინაარსში აღმოსავლეთმა საფუძველი ჩაიდგა და მომავალი მასზე უნდა აგებულიყო... მართლაც, ბიზანტიის სახელმწიფოს გამძლეობა იმ განსხვავებაში უნდა ვეძიოთ, რომელიც მას იმპერიის დასავლეთ ნაწილთან შედარებით მოეპოვებოდა ან შეიძინა აღმოსავლეთიდან.

როგორც ცნობილია, ე. წ. ბარბაროსთა ძლევამოსილ წინსვლას, სხვა გარემოებათა შორის, რომის იმპერიის ლაშქრის დაბალი საბრძოლო ხარისხიც უწყობდა ხელს. ეს კი გამოწვეული იყო ჯარის დემორგანიზაციით, რაც უმთავრესად ეკონომიურ ნიადაგზე იყო აღმოცენებული, რადგან რომის ლეგიონები დაქირავებული ჯარისაგან შედგებოდა და უკანასკნელ ღროს ხელისუფლება ყოველთვის ველარ ახერხებდა მათს სათანადოდ დაკმაყოფილებას; დაქირავებული კი ამის შედეგად ბრძოლის ხალისსაც და ხარისხსაც ჰკარგავდა. თვით რომაელთაგან ძლიერ ცოტანი იყვნენ ბრძოლას მოწადინებული. იმპერია პირველ ყოვლისა სამხედრო კონტინგენტს საქირავებდა. აღმოსავლეთიც მას ამ მხრივ უარს არ ეუბნებოდა. იმპერია ახალი დედაქალაქიდან ახალ ერებს გაცნობდა და დაუახლოვდა, რომელთაგანაც მას არა ერთი სახელგანთქმული სარდალი შეეძინა და ამ სარდლებთან ერთად ათასობით მებრძოლიც: სირია, პალესტინა, სომხეთი და საქართველო ამ მხრივ უზვობას იჩენდნენ. V-VI საუკუნეები სავსეა ამ ერთაგან გამოსულ ბიზანტიელი ჯარის უმამაცესი სარდლების სახელებით.

„Die fähigsten Offiziere, die genialsten Heeresleiter der folgenden Jahrhunderte sind armenischen und iberischen Geblüts“ — ამბობს H. Geizer-ი VI საუკუნეზე¹.

„Der hohe und niedere Adel der Armenier bildeten neben den Iberern den kernhaftesten und tüchtigsten Stamm der römischen Reiterregimenter“ — უმატებს იგი მეორე ადგილას².

ბოლო ადონცის თქმით: „В ряду других и армянская, сирийская и грузинская дружины под предводительством собственных генералов были в степях Африки, в Италии и других частях империи для защиты дела, совершенно чуждого им“³.

გერმანელი მკვლევარის Ernst Stein-ის აზრით, VI საუკუნის მეორე ნახევარში (განსაკუთრებით) ბიზანტიასა და ირანს შორის ომის ერთი მთავარი მიზეზი ბიზანტიელებისათვის არმენიაში სამხედრო კონტინგენტის მოპოვება იყო.

¹ H. Geizer, Die Genesis der byzantinischen Themenverfassung, 83. 24. Leipzig, 1899.

² იქვე, 83. 96.

³ Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 83. 210.

„Trotzdem hat Tiberius sowohl wie dessen Nachfolger Mauricius den Krieg fortgesetzt, und dafür ist nur ein Grund denkbar: das Bestreben, in Armenien ein Gebiet zu erwerben, aus dem die für die Ergänzung des Heeres dringend notwendigen frischen Truppen gewonnen werden sollten“¹.

მეორე ადგილას კი ამბობს: „...Es ist schon o. S. 5 bemerkt worden, dass die Nachfolger Justinians den Perserkrieg nicht am wenigsten deshalb geführt haben, um durch die Erwerbung Persarmeniens in dessen kräftiger Bevölkerung die dringend notwendigen brauchbaren Soldaten zu gewinnen“².

კონსტანტინე დიდის მიერ სატახტო ქალაქის ბიზანტიონში გადმოტანას არა მარტო ეკონომიურმა და სტრატეგიულ-პოლიტიკურმა ინტერესებმა და პერსპექტივებმა შეუწყო ხელი, — ამ დროისათვის დიდ როლს თამაშობდა უკვე მძლავრ ორგანიზაციად ჩამოყალიბებული ქრისტიანობა. ეკონომიურად და ხეობრივად დაძაბუნებული საზოგადოების (და სწორედ ასეთი იყო რომის საზოგადოება) გამოცოცხლება და აღორძინებისაკენ წარმართვა მხოლოდ ახალი მორალის, ახალი მსოფლმხედველობის განმტკიცებით შეიძლებოდა. თავისთავად იგულისხმება, რომ ახალ მსოფლმხედველობას საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ-საფუძველზე გარდაქმნა უნდა ედევას საფუძვლად. ეს მოვლენა აღმოსავლეთში კარგა ხნის დაწყებული იყო და ამის შედეგად შექმნილი ქრისტიანული საზოგადოება უკვე წაგულისხმო ფიზიკურ ძალას წარმოადგენდა. ამიტომაც იყო, რომ კონსტანტინე დიდმა სატახტო ქალაქის გადანაცვლების პარალელურად ეს ახალი მოძღვრება (ქრისტიანობა) არსებული კულტის თანაბარ უფლებიანად გამოაცხადა, რაც ფაქტიურად მის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებას უდრიდა.


ქრისტიანობა იმპერიის ცხოვრებაში ორგვარ როლს თამაშობდა: თუ, ერთი მხრივ, იგი ერთი მიმართულებით, ე. ი. აღმოსავლეთის მიმართ ამაღლორძინებელ როლს ასრულებდა, დასავლეთისათვის იგი ის საშუალება იყო, რომელიც ამ დაძაბუნებული სხეულის გახრწნის პროცესს ხელს უწყობდა და აჩქარებდა. ამას, რასაკვირველია, ის ეკონომიურ-კულტურული საფუძველი ედევა, რაც აღმოსავლეთსა და დასავლეთს ერთი-მეორისაგან ანსხვავებდა.

„...развитие и успех христианства надо приписать также общему перелому настроений римской интеллигенции и всей массы населения, в конечном итоге вызванном своеобразным распределением материальных благ и организацией производства, другими словами „кризису античного мирозерцания“, в значительной мере совпавшему с общим кризисом, политическим, экономическим и т. п. переживавшимся Римом“³.

¹ E. Stein, Studien zur Geschichte des byzantinischen Reiches, 33. 5. Stuttgart.

² იქვე, 33. 127.

³ В. Сергеев, История древнего Рима, 33. 241, Москва, 1935 г.



როგორც ვთქვით, ქრისტიანობა დასავლეთსა და აღმოსავლეთში სხვადასხვა შედეგს იძლეოდა. აღმოსავლეთში სახელდობრ — ქრისტიანული დოგმა, როგორც სახელმწიფოებრივი ელემენტი, დიდ როლს ასრულებდა და ბიზანტიზმის ფორმაციის პერიოდისათვის იგი უმნიშვნელოვანეს ფაქტორად უნდა ჩაითვალოს.

„... христианство, способствуя дальнейшей организации туземцев, сплотило разнородные массы, подняло в них дух самоуважения и самосознания, развило энергию сопротивления и в конечном итоге на новых началах примирило, привело в равновесие бесчисленное количество групповых и индивидуальных интересов“¹.

ამგვარი მოღვაწეობის ნიადაგზე ქრისტიანობა ხელს უწყობდა სხვადასხვა ეთნიკური და სახელმწიფოებრივი ერთეულების იმპერიის ირგვლივ შემოკრებას და ამანვე მოამზადა მსოფლიო იმპერიის იდეა.

ქრისტიანობა ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლების განვითარებაში ძლიერ პოლიტიკურ იარაღს წარმოადგენდა.

„... христианство было огромной культурной силой, которое одерживало победу там, где римское оружие было бессильным“².

აღმოსავლეთში გადმონაცვლებული იმპერია პირისპირ აღმოჩნდა მეორე იმპერიის, ირანის, შიშართ. ორივე იმპერიის პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები მძაფრად დაუპირისპირდა ერთი-მეორეს. ეს დაპირისპირება პირველ ყოვლისა იმ მიზნებიდან გამომდინარეობდა, რომელთა გულისათვისაც აქ დედამამამი იქნა გადმოტანილი.

„Исключительно важное торговое и военное положение Византии — Константинополя на границе между Европой и Азией, господство над двумя морями, Черным и Средиземным, где находили себе блестящее развитие древние культуры — эти преимущества властного положения на Золотом Роге и Босфоре, хорошо были приняты и оценены древними задолго до Константина“³.

ერთი მთავარი მიზანი ბიზანტიის სახელმწიფოს ხელმძღვანელებისა სწორედ კონსტანტინოპოლის ამ სავაჭრო უპირატესობის მაქსიმალურად გამოყენება იყო. მაგრამ III საუკუნეში სასანელთა დინასტიის მეთაურობით აღორძინებული ირანი დიდ აქტივობას იჩენს და ჯერ ისევ რომს შორეულში აღმოსავლეთისაკენ გზას უჭრის, რითაც მას ვაჭრობის ერთ თვალსაჩინო წყაროს უხშობს. ირანის ექსპანსია ამ მხრივ შემდგომ აღმავლობის გზით ვითარდებოდა, რაც ორივე იმპერიის მეტოქეობას თანდათან აღრმავებდა⁴.

იმპერიათა ინტერესების ამგვარი დაპირისპირება საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა.

¹ Грибовский, Народ и власть в Византии. გვ. 56.

² В. В. Бартольд, Место прикаспийских областей в истории мусульманского мира. გვ. 24-25; Баку, 1924.

³ Ф. И. Успенский, История Византийской империи, т. I, გვ. 62.

⁴ Успенский, იქვე, გვ. 483; В. Сергеев, История древнего Рима, გვ. 287

574—578 წ. წ. ბიზანტიასა და ირანს შორის წარმოებულ ომზე E. Stein-ის აზრობა: „Die Weiterführung des Perserkrieges hatte die natürliche Folge, dass auch die Beziehungen zu fernem Völkern des Ostens um die sich Justinians Nachfolger ganz im Sinne ihres Vorgängers bemüht haben, von diesen die ganze auswärtige Politik beherrschenden Gesichtspunkt aus betrachtet wurden und eine Spitze gegen Persien hatten“¹.

ბიზანტიის ასეთი მისწრაფება განსაზღვრული იყო, რადგან ირანელები იყვნენ გაბატონებული აღმოსავლეთთან, განსაკუთრებით კი აბრეშუმით, ვაჭრობის ვაზზე და ბიზანტიასა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობის შუამავლად გამოდიოდნენ, რის შედეგადაც ბიზანტიის იმპერატორი ირანის სალაროებისაკენ მიედინებოდა, რასაც ბიზანტია შუიით უცქერდა. ამასთანავე ბიზანტიასა და ირანს შორის ხშირი ომების დროს ვაჭრობა მთლად შეწყდებოდა ხოლმე, რასაც ბიზანტიისათვის ორმაგი ზიანი მოჰქონდა: სავაჭრო საბრუნავი თანხის პრდის შეჩერება და საქირო საქონლის კრიზისი.

ბიზანტიის ცდას ირანის ხარჯზე საკუთარი მდგომარეობა გამოესწორებინა, ირანიც, რასაკერძოვლია, სათანადოდ უზარუნებდა. პროფ. შ. დილი მოგვითხრობს: „С начала VI века персы возобновили свои нападения на римскую границу, а в 527 году была начата война с ними. Будучи встревожена непрерывными успехами византийской политики, которая на всем протяжении азиатских границ искусно запасалась на всякий случай союзниками против постоянного врага империи, в особенности же беспокоясь новейшими успехами, которые в царствовании Юстиниана приобрело римское влияние в областях Кавказа, у Лазов, Иверов и даже у гуннов, — персидский царь взялся за оружие“².

მეორე ადგილს კი: „Хосрой с беспокойством следил за развитием честолюбивых планов императора³ и за его успехами; он хорошо сознавал, что стремление к всемирному господству рано или поздно станет грозить и самой монархии Сасанидов“⁴.

ბიზანტია-ირანს შორის აღმოსავლეთში შეტაკების ერთი მნიშვნელოვანი საბრძოლო ძველი საქართველოს ტერიტორია (იბერია-ლაზიკა), მაგრამ იმპერიისათა შორის ამ ნიადაგზე ქიშპობა ბიზანტინიზმის ხანაში როდი დაწყებულა. დიდი ხნით აღრე იყო რომის ყურადღება იბერიისა და ლაზიკისაკენ მიპყრობილი, რაც 65 წ. (ქრ. წ.) პომპეუსის მიერ ამ მხარეების დაპყრობით აღინიშნა.

ამის შემდეგ იბერიის სახელმწიფოს ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება: იგი უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომი ხდება (გარეგნულად მაინც). მაგრამ ეს კიდევ არააფერი. რომის აღმოსავლეთისაკენ ლტოლვით შემფოთებული ირანი თავის მხრით პრეტენზიებს აცხადებს იბერიის მიმართ და ამ პრეტენზიების განაღდებას იარაღით ცდილობს. ამგვარად, იბერია ორ მოქიშპე სახელმწიფოს შორის

¹ Stein, op. cit. გვ. 58.

² Ш. Диль, Юстиниан и византийская цивилизация в VI в., გვ. 133.

³ იუსტინიანე იგულისხმება.

⁴ დილი, op. cit., გვ. 220.



საცილობელ კერძად გადაიქცა და ამ ნიადაგზე მან არა ერთი მწარე და მწველი განიცადა. რა თქმა უნდა, ეს ქვეშევრდომობა ჯერ კიდევ დაპყრობას ვერასწავნავდა — ეს უფრო მოკავშირეობა იყო და როგორც ირანი, ისე რომიც უმთავრესად იმას ცდილობდნენ, რომ იბერია მოკავშირედ ჰყოლოდათ და იქ თავისი გავლენა გაეგრძელებინათ. ამ მხრივ, როგორც საისტორიო წყაროები მოწმობენ, რომის ხელისუფალნი იბერიას დიდ ყურადღებას აქცევდნენ.

ირანს ძლიერ აწუხებდა ბიზანტიელების აღმოსავლეთ საქართველოში თანდათანობით გავლენის მოპოვება, რაშიც მათ ხელს უწყობდა ქრისტიანობა, რომელიც იბერიაში მალე სახელმწიფო სარწმუნოებად იქნა აღიარებული, ხოლო სარწმუნოება იმავე დროს პოლიტიკური ორიენტაციის მაჩვენებელიც იყო. მაგრამ V საუკუნეში ირანი შინაური მოვლენების გამო სუსტდება და ამით ბიზანტიას საშუალება ეძლევა აღმოსავლეთში თავისი საქმე წინ წასწიოს.

V საუკუნის მეორე ნახევარში ირანის სახელმწიფოში აღვილი ჰქონდა შინაურ შფოთსა და აღრეულობას, რაც სოციალურ ნიადაგზედაც იყო აღმოცენებული (მაზდაკის მოძღვრება). ამავე დროს ირანს გარედან ემუქრება საფრთხე ე. წ. თეთრი ჰუნების სახით. ეს გარემოებანი აიძულებენ ირანს კარგა ხნით აიღოს ხელი საგარეო ექსპანსიაზე.

სწორედ ამ დროს ირანელების გავლენაც უნდა შემცირებულიყო იბერიაში. ამით ისარგებლა ბიზანტიამ და იბერიასა და ლაზიკაში თავისი პროტექტორატი გაავრცელა, თანაც ირანელებს ე. წ. კასპიის კარის მცველობისათვის გადაეცემალი გადასახადი მოუხაო.

შემდგომში ირანი კვლავ იკრებს ძალას, ისევ აძლიერებს ავრესიულ მოქმედებას ბიზანტიისა და, მაშასადამე, იბერია-ლაზიკის მიმართ. ამ ავრესიის შედეგებს უშუალოდ იბერია და ლაზიკა განიცდიდნენ.

„У подножья Кавказа население страны Лазов и Иберии то находилось в подданстве базилиевсов, то под покровительством сасанидов. Но все эти маленькие государства, из которых многие, особенно же Лазика, представляли важные стратегические и коммерческие позиции — и персы и римляне поочередно пытались либо распространить, либо поддерживать свой протекторат, вследствие чего происходили тяжелые войны“¹.

ხოლო თ. უსპენსკი ამბობს: „Можно догадываться, что обладание этой страной² рассматривалось как средство политического и экономического влияния на Кавказе и по Черноморскому побережью. Кроме того как лазы, так и соседние с ними иверы, были естественными стражами проходов через Кавказский хребет и с этой точки зрения ценными союзниками для той империи, политическое влияние которой в данное время имело перевес“³.

¹ შ. დილი, გვ. 216—217.

² ლაზიკაზეა ლაპარაკი.

³ Ф. И. Успенский, op. c. გვ. 492.

მაგრამ ხსენებული ტერიტორია მარტო კავკასიაში გავლენას ვერ იქონებდა, მას უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა: ეს ხომ ევროპასა და აზიას შორის ხიდი და ევროპიდან აზიაში გასავლის გასაღები იყო. ეს ის კარი იყო, რომლითაც მთელ აღმოსავლეთთან ვაჭრობის წარმოება შეიძლებოდა, როგორც ქვევით იქნება დასაბუთებული.

მაშასადამე, ამდროინდელი ურთიერთობის დამახასიათებელი: ერთის მხრით, ბიზანტიის მცდელობა, რათა იბერიასა და ლაზიკაში უკვე მოპოვებული გავლენის განმტკიცებით და გაფართოებით აღმოსავლეთისაკენ მტკიცე ბილიკი დაეჭნა, — ხოლო, მეორე მხრით, ბიზანტიის ამგვარი წარმატებით შეფიქრიანებული, მეხუთე საუკუნეში შინაგანი მოვლენებით შერყევის შემდეგ, აწკვავებული ირანის მისწრაფება, — ბიზანტიის აღმოსავლეთში გავლენის ცდისათვის საზღვარი დაედვა და იბერიაში დაკარგული გავლენა აღედგინა.

ყველა ზემოხსენებულმა გარემოებამ ორი იმპერია ერთი-მეორეს შეაჯახა. დაიწყო მათ შორის ხანგრძლივი ომი, რომელიც მთელი საუკუნის მეტ მანძილზე მცირე ხნით თუ ყოფილა ხოლმე შეჩერებული, და თუ რამდენად მძაფრი იყო ეს ომი და რამდენ ენერჯიას ალევდა მას ორივე მხარე, თუნდაც მხოლოდ ის ფაქტი ლაღადებს, რომ ორივე იმპერია ძალებ-დაშრეტილი დაჰხვდა ახალ ისტორიულ მოვლენას — არაბების გაძლიერებას — და მისი მსხვერპლი გახდა.

III

ნას შემდეგ, რაც ჩვენ განვიხილეთ ორივე იმპერიის ზრახვები იბერია-ლაზიკის მიმართ და ის მიზეზ-მოტივები, რომლებიც ამ მხარეთა შორის მუდმივი ომიანობის ატმოსფეროს ჰქმნიდა, ჩვენ შეგვიძლია მოკლედ მიმოვახლოთ თვალი ამ ომიანობის ქრონოლოგიურსა და ფაქტიურ მიმდინარეობას, და თითოეული ფაქტი განვიხილოთ იმ მხრივ, თუ რა ზარალ-სარგებლობა მოჰქონდა მას როგორც მოქიშპე, მხარეთათვის, ისე ქიშპობის ობიექტისათვის, თუ რანაირი ურთიერთობა იქმნებოდა ხოლმე ამა თუ იმ ფაქტის შემდეგ მხარეთა შორის.

როგორც ცნობილია, ჯერ ისევ რომის იმპერიასა და ირანს შორის იყო გაჩაღებული ბრძოლა აღმოსავლეთის პროვინციების მფლობელობისათვის. ამ ბრძოლის ერთ-ერთი ეტაპი 387 წ. ბიზანტიასა და ირანს შორის დადებული ზავით დასრულდა. ამ ზავის თანახმად, საბოლოოდ გადაწყდა სომხეთის (არმენიის) საკითხი: იგი ორივე იმპერიას შორის იქნა განაწილებული¹.

და ამიერ-კავკასიის ტერიტორიის ირგვლივ ბრძოლა მსოფლიოში მოქიშპე ძალთა შორის უფრო ადრეც წარმოებას.

„Мы знаем, что римляне в делах Албании принимали участие, парфяне также имели притязания на эту область. Но ни тот, ни другой народ не сделал Албанию своей провинцией... Мы видим в I веке по р. х. такую картину: с одной стороны соперничество между рим-

¹ Nöldeke, Geschichte der Perser und Araber, გვ. 455.

აღნიშნული მიწებითა და პარფიანთა მიწებითა — რომელთა მიწებიცაა აღნიშნული „...
 аянами и парфиянами — то римляне, то парфияне господствующаго государства в области до западных берегов Каспийского моря“ და სხვ.¹

ზომიერების ლაშქრობის შემდეგ მწვავედება ირანსა და რომს შორის ქიშობა აღმოსავლეთის გამო. სასანელთა გვარზე პროფ. ივ. ჯავახიშვილი წერს: „...მათ გააძლიერეს სპარსეთი და რომაელებს შესაფერ მეტოქეობას უწყვედნენ... როცა არტაშირმა ფეხი მაგრად მოიკიდა, მაშინვე რომაელებს ომი აუტეხა“².

ეს მეტოქეობა გრძელდებოდა და 298 წლის ნიზინის ზავის თანახმად იბერიის რომის მფარველობაში დაჩა. ბრძოლა ამითაც არ თავდება. 368 წელს იბერიას ორ ნაწილად ჰყოფენ, რომელთაგან ერთი ირანისა და მეორე კი ბიზანტიის გავლენის ქვეშ ექცევა³.

მაგრამ იბერიის ბედი არც ამით წყდება და ბრძოლა მუდმივ წარმოებს მეტ-ნაკლები ინტენსივობითა და გამოაშკარავებით.

მთელი I—VII საუკ. ხანა ირანსა და ბიზანტიას შორის გამწვავებულ ბრძოლასა და ქიშობაში დაილია. ისინი ერთმანეთს საქართველოზე ეცილებოდნენ: თითოეულს სურდა მის ერთადერთ ბატონად გამხდარიყო... მაშინ საქართველო ორ საშეფოდ იყო გაყოფილი: ლაზიკად და იბერად. მოქიშვნი სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ მთელი საქართველოს და ამიერ-კავკასიის მბრძანებლად გამხდარიყვნენ⁴.

ბიზანტიასა და ირანს შორის მტრული განწყობილება აღმოსავლეთში მეტოქეობის გამო არასოდეს არ მოსპობილა. პირიქით, მათ შორის ჩუმი ბრძოლა უწყვეტელი იყო, შეიარაღებული შეტაკებანი კი ანასტასი კეისრის დროს იწყება. პირველმავე შეტაკებამ დაარწმუნა ბიზანტიელები აღმოსავლეთში მათთვის ბაზის საჭიროებაში, რა ნიადაგზედაც აღმოცენდა ქალაქი დარა. სწორედ ამ ქალაქის გამო ორივე მხარეს შორის 502 წლიდან სერიოზული ბრძოლები დაიწყო.

ამის გარდა ბიზანტიელები უარს აცხადებენ ირანელებისათვის იმ ყოველწლიური თანხის გადახდაზე, რომელიც მათ უნდა ეძლიათ, თანახმად 368 წლის ზავისა, კასპიის კარის დაცვისათვის.

ამ ნიადაგზე ატყდა იმპერიათა შორის დავა.

ამგვარად, კასპიის კარი გახდა ომიანობის უშუალო საბაზი. რას წარმოადგენდა კასპიის კარი და ღირდა თუ არა ამის გულისათვის იმპერიათა შორის ბრძოლის ატეხა?

¹ В. Е. Бартольд, стр. с. 24-25.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, გამოცემა მესამე, გვ. 179. ტფილისი, 1928 წ.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 249.

IV¹

ბიზანტია-ირანს შორის ამიერ-კავკასიაში გაბატონებისათვის მეტოქეობის გამო VI საუკუნეში წარმოებული ხანგრძლივი ომის დროს ე. წ. კასპიის კარის საკითხი მრავალჯერ იჩენს თავს, ხან როგორც ომის დაწყების უშუალო საბაზი, ხან როგორც მეტრძოლ მხარეთა შორის ზავის შეკვრის ერთი მთავარი პირობათაგანი.

ამის გამო საჭიროა ვიცოდეთ, რას წარმოადგენდა ამ დროისთვის ხსენებული კარი (ანუ ჭიშკარი) და თითოეულ შემთხვევაში რა წონა და მნიშვნელობა ჰქონდა მას მოქიშვე იმპერიათა შორის უროიერთობაში. ამის გათვალისწინება კი საშუალებას მოგვცემს მოქმედ მხარეთა მიზან-მოტივები გამოვარკვიოთ და როგორც ბიზანტიისა და ირანის ისტორიის, ისე ძველი საქართველოს ტერიტორიაზე დატრიალებული ამბების ზოგიერთი მხარე განვმარტოთ; ეს უკანასკნელი გარემოება კი იძლევა შესაძლებლობას ბიზანტია-ირანის ურთიერთობის მოვლენები, დღევანდელთან შედარებით, სხვანაირად და უფრო სინამდვილესთან მიახლოებულად გავიგოთ.

პირველ ყოვლისა, ჩვენ მოგვებოება ფრიად საინტერესო ცნობა, რომელიც უყოყმანოდ სწყვეტს კასპიის კარის ლოკალიზაციის საკითხს.

ცნობა პლინიუს უმცროსს ეკუთვნის.

ამ ცნობიდან ირკვევა, რომ კასპიის (დარიალის) კარი დიდხანია მიჩნეული ყოფილა როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი და იგი სამხედრო რუკებზეც ყოფილა აღნიშნული. ამასთანავე ეს ცნობა ერთხელ კიდევ გვაძლევს საშუალებას დავადასტუროთ, რომ პროკოპი კესარიელი ნამდვილი ისტორიული წყაროებით სარგებლობდა² და რომ თვით პლინიუსსაც ჩვენი ქვეყნის შესახებ ოფიციალური წერილობითი წყაროები ჰქონდა ხელთ.

პლინიუსი შემდეგს მოგვითხრობს:


«*Corrigendus est in hoc loco error multorum, etiam qui in Armenia res proxime cum Corbulone gessere, namque hi Caspias appellavere Portas Hiberiae, quas Caucasias diximus vocari, situsque depicti et inde missi hoc nomen inscriptum habent, et Neronis principis comminatio ad Caspias portas tendere dicebatur, cum peteret illas, quae per Hiberiam in Sarmatas tendunt*»³.

იაქ უნდა გასწორდეს შეცდომა მრავალთა, აგრეთვე იმათიც, ვინც უკანასკნელ დროს მონაწილეობას იღებდა კორბულონის გალაშქრებაში არმენიაზე. ისინი უწოდებენ კასპიისად იბერიის კარს, რომელიც, როგორც ვთქვიოთ³, კავკასიის კარად იწოდება. ესევე სახელწოდებაა აღნიშნული აგრეთვე იქიდან გამოგზავნილ სიტუაციის რუკებზე და იმპერატორ ნერონის მუქარა თითქოს

¹ ეს თავი ცალკე წერილად დაიბეჭდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის „ენიმიკი“-ს მოამბეში V-VI, გვ. 469—477, წინამდებარე ნაშრომის მფლანაობის გულისთვის აქაც დავტოვე.

² C. Plinii Secundi Naturalis historia, VI, 36

³ იხ. მისივე op. c. VI, 20.



შეეხებოდა კასპიის ჭიშკარს, მაშინ როდესაც მასში იგულისხმება ისრაელის¹ რომელსაც იბერიიდან სარმატებში შეეყვართქ.

ავგარად, ცნობაში ვარკვევით არის ხაზგასმული, რომ ეს კარი იბერიიდან სარმატთა ქვეყანაში მიმყვანი კარია და ამდენად აღარ სტოვებს აღარავითარ იჭვს მისი და დარიალის კარის იგივეობისათვის.

ზედმეტი არ იქნება განვიხილოთ ძველ მწერალთა ის ცნობები, რომლებშიც კასპიის კარის სახელით დარიალის კარზეა ლაპარაკი; მით უმეტეს ეს საჭიროა, რადგან საისტორიო წყაროებში ხშირად არის მოხსენებული ჩრდილოეთიდან კავკასიონზე გადმომავალი გზის ჭიშკარი კავკასიის კარის სახელწოდებით, ხოლო ამ სახელწოდებით კი ორი კარი აღინიშნებოდა: იგი ხან დარიალს, ხან კი დარუბანდს გულისხმობდა; საჭიროა ყველა ცნობის კრიტიკულად განხილვის ნიადაგზე დადგენა იმისა, თუ თითოეულ შემთხვევაში ამ სახელწოდებით ორ მოხსენებულ კართაგან რომელი იგულისხმება.

პროკოპი კესარიელი, რამდენადაც ჩვენ მიერ შესწავლილია, ამ სახელწოდებით ყოველთვის დარიალის კარს აღნიშნავდა.

განვიხილოთ ძველ მწერალთა ის ცნობები, რომლებიც, ჩვენი აზრით, დარიალის კარს უნდა ეხებოდეს.

Tacitus-ს კასპიის კარი ორჯერა აქვს მოხსენებული. ამ ცნობათაგან ერთ შემთხვევაში (Annal. 6,33) დარიალის კარი, მეორეში კი (Hist. 1,6) დარუბანდის კარი იგულისხმება. ამ ცნობაში ვკითხულობთ: „Iberi locos potentes, Caspia via Sarmatam in Armenias raptim effiundunt“. სარმატების სომხებისათვის მისევა იბერიელებს ყველაზე ადვილად დარიალის გზით შეეძლოთ, რომელიც პლინიუსის სიტყვით სარმატთა ქვეყანაში მიმყვანებელი კარი იყო, როგორც ზემოთ მოყვანილი ცნობიდან ვიცით.

კასპიის კართან არის დაკავშირებული პრისკე პანიელის საინტერესო ცნობა სარაგურების ამიერ-კავკასიაში შემოსევის შესახებ.

ამ ცნობის თანახმად, სარაგურები ჯერ კასპიის ჭიშკარს მისდგომიან, რომლის ციხეშიც მათ ირანელი დარაჯები დახვედრიან; მათ ამ ჭიშკრისთვის გვერდი აუღლიათ და სხვა გზით იბერიაში შესულან, აქედან კი სომხების სოფლებს მისწვდომიან. ამის შემდეგ შეშინებული ირანელები რომაელებისაგან მოითხოვენ კასპიის კარის დასაცავად ან ფულს ან კაცებს¹.

ამ ცნობაში მოხსენებული კარი აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ გაგებულია დარიალის კარად², ზოგიერთის აზრით კი კასპიის კარით ამ შემთხვევაში დარუბანდია აღნიშნული, დარიალისად კი ის კარი მიაჩნიათ, რომლითაც, ამ ცნობის თანახმად, სარაგურები იბერიაში შემოვიდნენ.

იმის გადასაწყვეტად, თუ პრისკე რომელ შემთხვევაში რომელ გზას გულისხმობს, ჩვენ გვეზმარება ამავე ცნობაში მოთხრობილი ამბავი, რომ ირანელებმა, იშოვეს რა საბაბი, ბიზანტიელებს კვლავ განუახლეს ჩრდილოეთის კარის დაცვისათვის თანხის მოთხოვნა. ვიცით, რომ ირანელებს ბიზანტიელთა-

¹ Hist. Gr. Minores. ed. Dindorfius, გვ. 346.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I³, გვ. 220.

თვის ასეთი მოთხოვნის წარდგენა მხოლოდ დარიალის კარის მიმართ შეეძლო, რადგან 363 წლის ზავის თანახმად ეს კარი ორივე იმპერიას უნდა დაეცვა. სხვა რომელიმე კარის მიმართ ასეთი პრეტენზიები ირანელთაგან უადგილო უნდა ყოფილიყო და რომ სიტყვა მართლაც დარიალის კარს ეხება, ამას ამავე ცნობის ის სიტყვები ამყარებენ, რომ ირანელმა ელჩებმა იგივე სთქვეს, რაზედაც უწინაც ულაპარაკნიათ, ე. ი. ჩრდილოეთის კარის დაცვასა და ამასთან დაკავშირებულ ბიზანტიელთა ფულადს გალდებულებზე.

მაგრამ შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ კასპიის კარი ამ შემთხვევაში სწორედ დარუბანდის კარს აღნიშნავს, რომელსაც ირანელები იცავდნენ, ხოლო სარაგურები მართლაც დარიალის გზით შემოვიდნენ, რომელიც ირანელებსა და ბიზანტიელებს შორის შეუთანხმებლობის გამო დაუცველი იყო, რამაც შესაძლებელი გახდა სარაგურების შემოსევა, და მგავსი მოვლენის განმეორების აღკვეთის მიზნით ირანელებმა ბიზანტიელებს წინადადება მისცეს საერთო ძალით დაეცათ ეს კარი... შეიძლებოდა ასე ეფიქრა ადამიანს, მაგრამ, იმავე ავტორის მეორე ცნობით, ირანელები ბიზანტიელთაგან ხარჯის გაღებას მოითხოვენ ციხის დასაცავად «φοισριον ἐπι τῶν Κασπίων χειμῆνους πύλων».

ამ ციხის სახელი ყოფილა Ἰουρσειπάρχ. რადგანაც ბიზანტიელთათვის წარდგენილი მოთხოვნის ორივე შემთხვევაში ამ ციხის დაცვაზე ლაპარაკი რომელიც საკუთარი სახელით არის ორივეჯერ მოხსენებული¹ და რომელიც თურმე კასპიის კართან მდებარეობს, ხოლო ჩვენ ვთქვით, რომ ირანელებს დარიალის კარის ვარდა სხვა გზის დასაცავად ბიზანტიელთაგან რისიმე მოთხოვნის საფუძველი არა ჰქონდათ, უნდა ვიფიქროთ, რომ ორივე ცნობაში ერთსა და იმავე კარზეა ლაპარაკი და ეს კარია დარიალის კარი, რომელსაც სარაგურებმა გვერდი აუქციეს და იბერიაში რომელიმე სხვა გზით შემოვიდნენ. ეს კი სრულიად მოსახერხებელი იყო, რადგან, როგორც ცნობილია, დარიალს გარდა რამდენიმე სხვა გზაც არსებობდა. ასეთები იყო, მაგ., «გზაჲ დვაღეთისაჲ»² და «გზაჲ ლეკეთისაჲ»³.

VI საუკუნის ავტორის იოანე ლიდეს ცნობითაც, იგივე ციხე დარიალის კართან მდებარეობს, რომელიც, მისი სიტყვით, ირანელებს აუვიათ «οἱ Πέρσαι ἔσχοι ἀνάγκη γυναιχόμοισιν φοισριον Βιραπιαρχῆ πατρῆας ἀπὸ καλέσαντας»⁴.

რაც შეეხება პრისკე პანიელსა და იოანე ლიდეს ცნობათა შემონახულ კარის სახელწოდებებს, ესენი ერთი და იმავე სახელის სხვადასხვანაირ გრაფიკულ გამოხატულებას წარმოადგენს⁵ და ამ ციხის სახელწოდება იბერიასთან უნდა იყოს დაკავშირებული, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ პლინიუსის შემოთ მოყვანილ ცნობაში დარიალის (კასპიის) კარს იბერთა კარიც რქმევია.

¹ Histor. Gr. Min., გვ. 342.
² ცა მფთა, მარიამის ქ. ცხ. გვ. 40.
³ მტნე ქა, იქვე გვ. 216.
⁴ De magistratibus populi romani libri tres, ed. Wuensch, III, 52, Lipsiae, 1903.
⁵ Geographica, II, 44.



ამგვარად, პრისკე პანიელის ორივე ცნობაში ერთი და იგივეა ჩვენი დღობრ — დარიალის კარი უნდა ვიგულისხმოთ, და აქედან გამომდინარე ცნობები ისტორიის სხვა ამბებს სათანადოდ შეეფუძვროთ.

ამ ჭიშკართან ცხე, როგორც ჩანს, მუდმივ ყოფილა. ჯერ კიდევ სტრაბონი აღნიშნავს, რომ დარიალის კარს ცხე უდარაჯებდა¹.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით, VI საუკუნეში იბერიისი გამაგრებულმა ირანელებმა „კარნი ოცსეთისანი აიგნეს“, რომლის დარაჯობაც თურმე მთელთ ჩააბარეს². ხოლო ვახუშტი დარიალზე ამბობს, რომ იგი აგებულია „მეფის მირვანის მიერა და რომ მან შებაჲ კარი დაქმნა სიმაგრე ხაზართა და ოცსათვისის, რათა უმისოთ ვერლარა ვიდოდნენ“³.

ამავე სავანზე XIX საუკუნის ცნობებიც მოგვკვბოვება. საქართველოს მთავარმმართველს პ. ციციანოვს შეუდგენია პროექტი ჩრდილოეთიდან საქართველოში — თბილისისაკენ მიმავალი ტრაქტისა, რომელშიაც ნათქვამია:...

„Ущелье, известное в древности под названием „Кавказских ворот“, начинается от Владикавказа или древней Кумании и продолжается до самого Душета, по течению двух источниками своими противоположных рек Терека и Арагви, совокуплению которых положила непреодолимую преграду снеговая Каишаурская гора, оные реки разделяющая“⁴.

ამ პროექტით განზრახული იყო: «В Дарнале возобновить замок и содержать пост из 40 чел. пехоты, сменяющейся по двенедельно из кр. Владикавказской, отстоящей от оной в 8 верстах, и 20 казаков»⁵.

დარიალის კარს უნდა შეეხებოდეს აგრეთვე ერთი ლიტერატურული ცნობა, რომელიც მეოთხე საუკუნის კონსტანტინოპოლელ მოღვაწის თემისტეს სიტყვაშია შემონახული. იქ ვკითხულობთ: „... δὲξάσθαι μὲν στρατηγὸς Πάριαν Πύλας Κασπίας ἐξ ἑλκασθαι δὲ Ἀλαίνας ἐξ Ἀρμένιας, ἔσασθαι δὲ Ἰβήρων ἕρους καὶ Ἀλβανίας“⁶.

ქართულ წყაროებში დარიალის (კასპიის) კარი სხვადასხვა სახელით არის ცნობილი.

კასპიის კარის ისტორია იმ ეპოქაში, რომელიც ამჟამად გვიანტურესებს, მოკლედ ასეთია: ჰუნების ბატონი ამბაძევი (Амбаздан) თავაზობს კარს ბიზანტიის კეისარს ანასტასის, რომლისგანაც საკომპენსაციო თანხას მოითხოვს. ანასტასი კეისარი შეთავაზებულზე უარს ამბობს. ამბაძევის სიკვდილის შემდეგ ირანელები კასპიის კარს ძალით ჩაიგდებენ ხელში. ამის შემდეგ ირანელები

¹ Strabo, Geographia, Lib. XIII, 5.

² ე. თაყაიშვილი, Описание рукописей Общества распростран. грамотности среди груз. населения II, 724.

³ გეოგრაფია, გვ. 228.

⁴ და ⁵ Акты Кавказской Археограф. Комиссии, т. II, გვ. 224.

⁶ „... რომელთა სარდლები გადიოდნენ კასპიის ჭიშკარში, სომხეთიდან აღანებს სდევნიდნენ და უწყებდნენ საზღვრებს იბერიელებსა და აღბანელებს“. იხ. Латышев, Известия... ტ. I, вып. 3, გვ. 697.

მოითხოვენ ბიზანტიელებისაგან 363 წლის ზავის თანახმად უკანასკნელად ნაკისრი ყოველწლიური თანხის გადახდის კასპიის კარის დაცვაში მონაწილეობისათვის. ბიზანტიელები ამ თანხის გადახდაზე უარს აცხადებენ. ამის გამო მეფე კავადი ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობას იწყებს (502 წ.). კასპიის კარის საკითხის საომარ ოპერაციებთან უშუალოდ დაკავშირებამ და შემდგომშიაც ირანელებსა და ბიზანტიელთა შორის წარმოებულ საზავო მოლაპარაკებათა დროს ამ კარის რამდენიმეჯერ დავის თვალსაჩინო საკითხად გადაქცევამ შექმნა მკვლევართა შორის შთაბეჭდილება ამ კარის გადაჭარბებული მნიშვნელობის შესახებ ამ პერიოდში.

502 წ. ატეხილი ომის მიზეზის შესახებ გერმანელი მკვლევარი კარლ გიუტერბოკი ამბობს: „Dien ächste Ursache der neuen Perserkriege war eine Geldirage“¹. შემდეგ, მოგვიხსრობს რა კასპიის კარის დაცვაში ბიზანტიელების მიერ ირანელებისათვის ყოველწლიურად ფულადი გადასახადის ძლევას, რაც ბიზანტიელებს უღირს ხარკად (unwürdige Tributbezahlung) მიაჩნდათ, რის გამოც ისინი განიზრახავენ მის გადახდაზე ხელის აღებას, განაგრძობს, რომ კავადმა „...forderte von Kaiser Anastasios eine Geldunterstützung, offenbar als Ersatz für jene rückständigen Leistungen, und, als dieser sie verweigerte, kam es 502 zum Kriege“² [მოითხოვა ანასტასი კეისრისაგან ფულადი დახმარება (?), ალბათ ამ შრომის დავალიანებაში და როდესაც ამან უარით უპასუხა, ამას მოჰყვა 502 წლ. ომი]³.

იგივე აქვს მას განმეორებული 537 წლის ზავის შესახებ ლაპარაკის დროს: „War dereinst die Veranlassung zum Kriege die Weigerung des Anastasios gewesen die Zuschüsse für die Kaspischen Pässe zu leisten...“⁴ და სხვა [თუ ოდესღაც ომის მიზეზი გახდა ანასტასი კეისრის უარი კასპიის კარისთვის გადასახადზე...].

მართალია, კასპიის კარის საკითხი ბიზანტია-ირანის ურთიერთობის დროს მთელი VI საუკუნის 70 წლებამდე დღის წესრიგიდან არ იხსნება. მაგრამ ეს მხოლოდ ამ კარის მნიშვნელობით არ აიხსნება. ამის საფუძვლები ჩვენ სხვა მოვლენებში უნდა ვეძიოთ. როგორც დავინახეთ, იმპერიათა შორის ომის ატეხის მიზეზად ბიზანტიელების მიერ კასპიის კარის დაცვისათვის სავალდებულო გადასახადზე უარის თქმა აღიარებული.

ვაესინჯოთ, რამდენად ეს მართლა ასეა.

პირველ ყოვლისა ისმება კითხვა, ხომ არ შეიძლება მოიძებნოს, თუ რა მოსაზრებით ანუ, საბუთით აცხადებენ ბიზანტიელები უარს ნაკისრი თანხის გადახდაზე?

საქმე ის არის, რომ, როგორც ვიცით, ანასტასი კეისარმა უგულვებელყო ამბაძუკის შეთავაზება იმ მოსაზრებით, რომ ბიზანტია სიშორის გამო ვერ მოახერხებდა კასპიის კარის ფაქტიურად თავის ხელში ჩაგდებას, ამიტომ ის

¹ Dr. Karl Güterbock, Byzanz und Persien in ihren diplomatisch-völkerrechtlichen Beziehungen im Zeitalter Justinians, Berlin, 1906, გვ. 38.

² ib.

³ გვ. 43.



მოერიდა ასეთი უსარგებლო და უბერსპექტივო ნაბიჯით ირანელთა უკანასკნელ ლეზა დაემსახურებინა... მაგრამ რაც ვერ გაბედეს ბიზანტიელებმა, გაბედეს ირანელებმა — მათ ეს კარი ძალით ჩაიგდეს ხელში. ირანელებმა ეს გაბედეს, რადგან კარის ფაქტიური მფლობელობის პერსპექტივები ამ უკანასკნელთ უფრო გააჩნდათ, მისი ირანის სამფლობელოსთან ტერიტორიული სიახლოვის გამო. განსაკუთრებით კი მათ ამის საშუალებას იბერიის მათი გავლენის ქვეშ უკონა აძლევდა.

ამ ფაქტმა საფუძვლიანად შესცვალა ორივე მხარის დამოკიდებულება ამ კარისადმი: თუ აქამდე ორივე მათგანი მასზე თანაბარი უფლებით სარგებლობდა, ამიერიდან ეს თანასწორუფლებიანობა მძაფრად იყო დარღვეული ბიზანტიელთა საზიანოდ და ირანელთა სასარგებლოდ.

მაშასადამე, 363 წლის ზავის პირობა, ცხადია, გადათვალეირებას მოითხოვდა. საფიქრებელია, რომ სწორედ ეს მოტივი გამოიყენა ანასტასიმ ხსენებულ გადასახადზე უარისთვის და კასპიის კარის ირგვლივ დავა აღებულ მომენტში სწორედ ამ მოვლენით იწყება. ამგვარად, დაისვა საკითხი კარის ფაქტიური და იურიდიული მფლობელობის შესახებ. ბიზანტია იძულებული იყო, ერთი მხრით, შეჰკითხებოდა თავის თავს, რამდენად მიზანშეწონილი და თანაც სავალდებულო იყო მისთვის 363 წ. ნაკისრი გადასახადის შეტანა, ხოლო, მეორე მხრით, საქმის ეითარების ამგვარად შეცვლა, როდესაც ირანი ხდებოდა ერთადერთი ფაქტიური მფლობელი კარისა — ბიზანტიისათვის კი ამგვარი შესაძლებლობა გამოარიცხული იყო, აიძულებდა ბიზანტიას, თავისთვის ამ კარის იურიდიულად მფლობელობის უფლება მაინც უზრუნველყო. ყოველივე ეს კი არსებული ზავის პირობების გადათვალეირებას მოითხოვდა.

*კარის შესახებ დავის ეს დასაწყისი მომენტები კარგად უნდა გვეჩინდეს გათვალისწინებულნი, რადგან, ამასზე ბევრად არის დამოკიდებული შემდგომი ამბების გაგება.

502 წლის ომის დაწყების მიზეზად არ შეიძლება კასპიის კარის გამო გადასახადის საკითხი გამხდარიყო. დასაბუთებულ გარემოებათა საფუძველზე ჩვენ ეს უნდა ვაღიაროთ.

მართლაც, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, იმპერიათა შორის ომი სულ სხვა პირობებით იყო მომხდლებული და გამოწვეული.

საკითხის ამნაირად გადაწყვეტა რამდენიმე ახალ გარემოებას გვამცნებს: 1) გეისსნის ბიზანტიის მიერ გადასახადზე უარის მოტივს; 2) კასპიის კარის საკითხი არ ყოფილა იმპერიათა შორის ბრძოლის დაწყების მიზეზი, ის მხოლოდ საბაზი გახდა ომისათვის; 3) ომის ნამდვილი მიზეზი უმთავრესად ლაზიკა და იბერიაში ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობის შედეგად შექმნილი მდგომარეობა იყო.

ეს საბივე გარემოება მნიშვნელოვანია.*

მის შემდეგ, რაც 520 წ. იმპერიათა შორის მოლაპარაკება, რომლის დროსაც სწორედ გამოირკვა, რომ ომის ნამდვილი მიზეზი მართლაც ლაზიკა იყო (რადგან სწორედ ლაზიკის საკითხმა შეუძლებელი გახადა ზავის შეკვრა),

უშედეგოდ დამთავრდა, კასპიის კარის საკითხიც გადაუწყვეტილი დაჩრდილოეთით
რამ ის დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

530 წ. ბიზანტიელი დესპანი რუფინე კავადთან კვლავ აწარმოებს ზავის შესახებ მოლაპარაკებას¹, იგი უსაყვედურებს ირანელებს ომის ატებას. კავადი დანაშაულს, პირიქით, ბიზანტიელებს ადებს, რომლებმაც, ერთი მხრით, კასპიის კარის დაცვაში მონაწილეობაზე უარის თქმით და, მეორე მხრით, ირანის წინააღმდეგ მიმართული სიმაგრის, დარას, აგებით, შექმნეს ომის ატების პირობები... და აქვე დასძენს, რომ თუ ბიზანტიელებს სურთ ომი შეწყდეს, ამისთვის მათ ან უნდა მოწინააღმდეგეობა მიიღონ კასპიის კარის დაცვაში, ან ქ. დარა უნდა დაანგრიონ².

აქ ჩვენ კასპიის კარის საკითხი თითქოს ძლიერ აქტიურად გვევლინება და ისეთი შთაბეჭდილება იქნება, რომ კარის ფიზიკურად დაცვა ძალიან უნებლდებოდათ ირანელებს, რადგან ისინი ამ საქმეში ბიზანტიელთა მონაწილეობას დაკინებთ მოითხოვდნენ. თუ ეს მართლა ასეა, მაშინ ჩვენი ყურადღება იქითკენ უნდა მივმართოთ, რომ გამოვარკვიოთ ის სიტყვები, რომლებიც აქ ირანელებს ხვდებოდათ, და ამით კასპიის კარის მნიშვნელობა მოცემულ ეპოქაში გავითვალისწინოთ... მაგრამ ისტორიული წყაროს ცნობა ჩვენ სიტყვა-სიტყვით არ უნდა გავიგოთ ამ შემთხვევაში, როგორც ეს პროკოპი კესარიელის კომენტატორს გაბრიელ დესტუნისს დამართნია ნაწილობრივ. გ. დესტუნისის გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, თუ ირანელები ასეთ არჩევანს რად უყენებდნენ ბიზანტიელებს, რომ მათ ან კასპიის კარის დაცვა ეკისრათ, ან ქ. დარა დაეზოკათ... „Почему не опасались они, что в случае принятия на себя византийцами обороны Дарияльского прохода, эти последние постоянно имели бы возможность уговариваться против них с массами готовых на вторжение племен, населявших Кубанский, Волжский и Донской бассейны. Сознаемся, что весь вопрос этот ждет объяснителя“³.

აქ აშკარა გაუგებრობას აქვს ადგილი: ირანელები ბიზანტიელებს როდო ეუბნებიან, წაიღეთ კასპიის კარი და რაც გინდათ ის უყავითო; ისინი მათ მხოლოდ თანადამცველებად იწვევენ და ამას სწორედ ყოველთვის ხაზს უსვამენ. აი თუნდაც კავადის უკანასკნელი სიტყვა, რომლის გამოც დაწერილია დესტუნისის სხენებული კომენტარი «*εσ γὰρ τὸ βπλα καταμῆσαισι πέρσειαι, πρὶν δὲ ἀνταῖς Ῥωμαῖσι ἢ τὰς πύλας διακίνας καὶ ἔρμινε ξασυφύλαξσαι*» და სხვა⁴. [საბრძოლები მანამდე არ დაწყრიან იარაღს, სანამ რომაელები ან კარებს მათთან ერთად არ დაიცავენ, რაც სამართლიანი და სწორი იქნებოდა...].

ამასთანავე არც ეს უკანასკნელი — თანადამცველობა — გულისხმობდა უშედეგოდ ბიზანტიელთა ჯარის გაგზავნას, აქ მხოლოდ ბიზანტიელებისაგან

¹ В. Р. I, 16.

² იქვე.

³ Прокопiя Кесарiйского Исторiя войн Римаиъ с Персами, Вандалами и Готами: Перевод с греческого Спиридона Дестуниса. Комментарii Гавриила Дестуниса, кн. I, стр. 203, прим. 10. СПб, 1876.

⁴ В. Р. I, 16



ფულადი თანხის გადახდა იყო ნავარაუდელი. ამ საკითხის დაყენებას აქვეყნებდა ასეთ აქტიურ ფორმაში — ბიზანტიელებისაგან ფულის წაგლეჯა ჰქონდა ნიშნად.

რომ ირანელების მიზანი რომაელებისაგან ფულის მიღება იყო, ამას თავით პროკოპი კესარიელის ცნობა ადასტურებს. კავადის სიკვდილის შემდეგ ბიზანტიელები უკვე ხოსროსთან ხელახლა აწარმოებენ საზავო მოლაპარაკებას (531) და ხოსრო აქ მათ ბირდაბირ ეუბნება, რომ, თუ მათ უნდათ ქ. ღარას დანგრევა არ მოუხდეთ და კასპიის კარის დაცვაში მონაწილეობაც თავიდან აიცილონ, ხოსროს უნდა გადაუხადონ 110 კენდინარი: «... Χοσροῦς... τῆν μὲν εἰρηκῆν πέρως ἔναι ἔχουσιν ὄναα καὶ ἕατὸν κεντεναρίων ἄμισθαι πρὸς αὐτοὺς ἡρῆσαίαι... τῆσσι δὲ σὶ ὀμισησῆαι τὸ χρασίον ἰδέσθαι, ὡς μῆτε πῶν Δαριαδ Πρωαῖοι καμῆλεν ἀναγυμῶσται μῆτε φυλακῆσι τῶν ἐν πῶναις Κασιῶν μεταλαχῆν Πέρωας». [ხოსრო თანახმა ქი იყო ის ათ კენდინარად უვადო ზავი დაედვა მათთან... მისთვის ამ ოქროს მიცემას ის მოითხოვდა, რათა არც ქ. ღარას დანგრევა დასჭირებოდათ რომაელებს, არც კასპიის კარის დაცვაში მონაწილეობა სპარსელებთან ერთად]. როგორც ამ ცნობიდან ჩანს, აქ ფულადი გადასახადი მხოლოდ კასპიის კართან არ არის დაკავშირებული.

კასპიის კარის საკითხი ბიზანტია-ირანს შორის ურთიერთობაში ალც შემდეგში ყოფილა დავიწყებული. 532 წლის უვადო ზავის პირობებშიც ჰმოვა მან გამოძახილი:

„Die Bewachung und Sicherstellung der Kaukasischen Pässe (ავტორის მიერ არის ხაზვასმული) verblieb auch nach Abtretung von Lazica, bei Persien, ohne dass Ost-Rom einen besonderen Beitrag zu den Kosten zu zahlen hatte, die stipulierte Geldentschädigung² deckte auch diese Kosten mit. Persien übernahm... die Verpflichtung das römische Gebiet gegen Einfälle der Hunnen, Alanen und anderen Barbaren zu schützen“³.

კასპიის კარის ისტორია VI საუკუნეში ცხადპყოფს, რომ მას ის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა, წინა ხანაში რომ ჰქონდა, ამჟამად ზღარ მოეპოვება. ამ კარისადმი ის გულგრილობა, რომელსაც ბიზანტიელები იჩენენ, და გამუდმებული უარბ მის დაცვაში მონაწილეობაზე, ირანელების მხრივ ქი ბიზანტიელების მიმართ ამ მოთხოვნის დასაბუთების განელება მარტო იმით არ უნდა აიხსნებოდეს, რომ ბიზანტიელებისთვის ძნელი, თითქმის შეუძლებელი იყო კარის ფაქტიურ დამცველებად გამოსულიყვნენ, რაც განსაკუთრებით მოუხერხებელი გახდა მათთვის 532 წლის შემდეგ, როდესაც იბერიაში ირანი საბოლოოდ იქნა გაბატონებული. აქ უსათუოდ სხვა რამ გარემოებასაც უნდა ჰქონოდა ადგილი, რასაც თავისთავად უნდა შეემცივებინა კასპიის კარის ოდესლაც უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა... და ეს გარემოება კასპიის კარის გადაღმა, ჩრდილოეთში უნდა ვეძებოთ.

¹ B.P. I, 22.

² ფულისხმება 110 კენდინარი.

³ ib. Güterbock. op. c. 33. 69.

საერთოდ - ის გარემოება, რომ ჰენთა ბატონი ამბაბუკე თვითონ სთავაზობს კარს ბიზანტიას და რომ შესაძლებელი ხდება ირანელების მიერ ქვეყნის ხელში ჩაგდება, უსათუოდ ლაპარაკობს იმ ცვლილებებზე, რომლებსაც კასპიის კარის იქით მცხოვრებ ტომთა შორის ადგილი ჰქონდა იმ დროისათვის, რის შედეგადაც მათი ექსპანსია ამ მიმართულებით შენელებულა.

ამგვარად, კასპიის კარის საკიოხის განხილვამ ჩვენ წინაშე საინტერესო პრობლემა წამოაყენა, რომლის გამორკვევაც საინტერესო და თანაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს VI საუკუნის ისტორიულ მოვლენათა ჯგუფში.

ამინათლად, ირკვევა, რომ კასპიის (დარდალის) კარის სტრატეგიული მნიშვნელობა VI საუკუნეში მცირდება, რაც დიდად უნდა იყოს დამოკიდებული მის გადაღმა მომხდარ პოლიტიკურ თუ ეთნიკურ ცვლილებებთან... და რომ VI საუკუნეში ბიზანტია-ირანს შორის დავის დროს კასპიის კარის საკიოხი, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში პრიმატულ მოვლენად შეიძლება გვეგვიწინოს, ნამდვილად არსებითს საკიოხს არ წარმოადგენს და იგი ყოველთვის სხვა საკიოხებთან არის დაკავშირებული; თვითონ დამოუკიდებელი აქტიური საკიოხი ამ ურთიერთობის დროს იგი უკვე აღარ ყოფილა.

ამ გარემოების გათვალისწინება კი საჭირო და სასარგებლოა ბიზანტია-ირანისა და ამიერ-კავკასიის ამ ქვეყნებთან ურთიერთობის განხილვის დროს.

მაშ, კასპიის კარი გახდა მხოლოდ საბაზი იბერიათა შორის 502 წ. ატენილი ომისა.

V


ომის ატენის მიზეზი, ალბათ, ბიზანტიელების მიერ ფულის გადაუხდელობა არ უნდა იყოს მხოლოდ. უნდა ვიფიქროთ, რომ ბიზანტიელებს აწუხებდა სპარსელების მიერ კასპიის კარის ძალით ხელში ჩაგდება, რაც ბიზანტიელებს, ალბათ, სულ უკარგავდა მისზე უფლებას, ყოველ შემთხვევაში ამ უფლებას ძლიერ უკვეცავდა. მათ შინდომეს ამ უფლების დაბრუნება, რასაც ირანელებმა, ზავის თანახმად, დაწესებული თანხის მიღების პრეტენზია დაუპირისპირეს. ამ გარემოებათა ირგვლივ უნდა ვანასკეუდიყო ომის მიზეზ-პირობები.

მაგრამ კიდევ სხვა გარემოებაც იყო.

ბიზანტიასა და ირანს შორის ომის დაწყების მიზეზთაგან და იმ გარემოებებთან ერთად, რომელთაც ხელი შეუწყეს ბიზანტიას, რათა მას ირანისათვის 363 წლის ზავით ნაკისრ ფულით გადასახდელზე უარი ეთქვა, მოსახსენებელია აგრეთვე ის ვითარება, რომელიც იმ დროს აღმოსავლეთ საქართველოში — იბერიაში იყო, და რომელიც მაშინდელი სიტუაციის საერთო ჩარჩოში თავსდება. ეს დრო იბერიაში ვახტანგ გორგასალის მმართველობას ემთხვევა.

როგორც ცნობილია, ბიზანტიასა და ირანს შორის მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლაში საქართველოს ტერიტორიას არა უკანასკნელი ადგილი ეჭირა. ამიტომ ქართველი მოსახლეობა და მისი მმართველები იძულებული იყვნენ საგარეო ურთიერთობის ესა თუ ის კურსი აეღოთ.

ვახტანგ გორგასალზე ქართული წყაროები მოგვითხრობენ, რომ იგი ბიზანტიური ორიენტაციისა ყოფილა. მან ჯერ კიდევ 489 წ. მოაწყო ამბო-



ხება, რაც მისი ქვეყნის ირანელთა ბატონობისაგან განთავისუფლებას უწყობდა. მიზნად, მაგრამ ეს ცდა მარცხით დამთავრდა¹.

ეს დამარცხება, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავდა, რომ ვახტანგი თავის პოლიტიკურ გეზზე ხელს იღებდა. მაგრამ ამ დამარცხების შემდეგ მას უნდა ეგრძნო, რომ მისთვის ძნელი იყო კვლავ მხოლოდ საკუთარი ძალებით ირანის წინააღმდეგ შებმა, და უფრო ხელსაყრელი ვითარებისათვის დაუცდია.

ვახტანგს თავისი ზრახვებისათვის არ შეეძლო არ გამოეყენებინა ისეთი ფაქტორი, როგორც ბიზანტიისა და ირანის მეტოქეობა იყო, თუ კი თვით ბიზანტია არ ცდილობდა ვახტანგის გამოყენებას ირანის საწინააღმდეგო იარაღად. ამ ორმხრივი ინიციატივის შედეგად ვახტანგსა და ბიზანტიას შორის ირანის წინააღმდეგ საერთო ფრონტი უნდა შექმნილიყო.

საქმის ამ რიგზე მოწყობა ბიზანტიას საგრძნობლად ხელშემწყობ პირობებს უქმნიდა, რათა მას ირანის მიმართ თავი უფრო თამამად დაეჭირა. იბერიის ბიზანტიის სასარგებლო პოლიტიკურმა განწყობილებამ ხელი შეუწყო, კერძოდ, ანასტასი კეისარს (491—518), რათა მას ირანისათვის კასპიის კარის გადასახადზე უარი შეეთვალა.

ამის შემდეგ იბერიაში ირანელთა წინააღმდეგ იბერიელთა და ბიზანტიელთა შეერთებული ძალა იდგა.

როგორც გამოჩვენებულია, ვახტანგ გორგასალის სიკვდილი 502 წლის შემოდგომაზეა ნაფარაუდელი². ეს კი ის თარიღია, რომელმაც ბიზანტიასა და ირანს შორის მთელი VI საუკუნის მანძილზე წარმოებულ ბრძოლას დასაბამი დაუდვა.

ქართული საისტორიო წყაროების ცნობა, რომ ირანელებმა ვახტანგის წინააღმდეგ იმიტომ გაილაშქრეს, რადგან მან ირანის მეფის თხოვნაზე ბიზანტიელთა წინააღმდეგ დახმარების აღმოჩენის შესახებ უარი განაცხადა³, გადმოგვიცემს იმ სიტუაციას, რომელიც ბიზანტია-ირანს შორის ატეხილ ომს უშუალოდ წინ უსწრებდა. ეს ცნობა სრულ სინამდვილეს შეიცავს და როგორც ვახტანგის მოღვაწეობის, ისე ბიზანტია-ირანის იმდროინდელი ურთიერთობის საინტერესო მასალას წარმოადგენს. ეს ვითარება აუცილებლად გათვალისწინებული უნდა გვექნოდეს ბიზანტიასა და ირანს შორის ომის მომზადების ფაქტორთა აღნუსხვის დროს.

მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა ლაზიკის ირველიც შექმნილი ვითარება, რომელიც ბიზანტიასა და ირანს შორის საომარი სიტუაციის მომზადებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

ლაზიკაში უკვე ფესვებს იმაგრებდა ქრისტიანობა, რასაც ირანი გულგრილად ვერ შეჰხვდებოდა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, სარწმუნოება პოლიტიკურ ორიენტაციას განსაზღვრავდა. ამიტომ იყო, რომ ბიზანტიაცა და ირანიც ამ გარემოებას დიდ ყურადღებას აქცევდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 221.

² ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 267.

³ მოქცევა ქართლისაჲ, მამათა ცხოვრება — ივ. ჯავახიშვილი, გვ. 261.

საკუთარი გავლენის სფეროში მოსაქცევ ქვეყანაში საკუთარი სარწმუნოება გავრცელებინათ მოწინააღმდეგის სარწმუნოების აღმოფხვრის ნიშნად იწვევდა მოქიშვე მხარეთა შორის ხშირ შეტაკებას, რომლის დროსაც უდანაშაულო კოზაკი ისრისებოდა.

ირანი აღშფოთებით აღევნებდა თვალყურს ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე ქრისტიანობის მიერ თანდათან ფეხის მოკიდებას და ათასგვარ დაბრკოლებას ჰქმნიდა მისი გავრცელების წინააღმდეგ.

520-იანი წლების მახლობლად მეფე კავადმა მოისურვა იბერიაში ცეცხლ-საყვიანსმცემლობა აღედგინა და იბერიელებისაგან მოითხოვა, რათა ისინი ყველაფერში ისე მოქცეულიყვნენ, როგორც ირანელები, და მიცვალბულებიც მიწაში დამარხვის მაგიერ ძალღებისა და ფრინველებისათვის გადაეყარათ¹.

კავადს ძალიან კარგად ესმოდა, რომ ბიზანტიას შეეძლო ქრისტიანობის საშუალებით ლაზიკაცა და იბერიაც თავისკენ გადაებირებინა და მისი შიში მალე კიდევაც გამართლდა. ლაზთა მმართველს წათეს, რომელსაც ირანი მფარველობდა, ამ მფარველობიდან სასარგებლო დასკვნები ვერ გამოუტანია და ორიენტაციის გეზი ისევ ბიზანტიისკენ მიუმაართავს.

522 წელს ის მიემგზავრება კონსტანტინოპოლში, საიდანაც თავისი შევიდითურთ გაქრისტიანებული და იუსტინე კეისრისაგან ლაზიკის მეფედ დამტკიცებული, დიდად პატივცემული ბრუნდება².

წათეს გაქრისტიანებას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ლაზიკაში აღრევე გავრცელებული ქრისტიანობა ოფიციალურ სარწმუნოებად იქნა აღიარებული. პოლიტიკურად კი ეს იმას ნიშნავდა, რომ ლაზიკა ხელს იღებდა ირანთან ურთიერთობაზე და მთლიანად ბიზანტიის მხარეზე გადადიოდა. ეს ფაქტი მეტად საგულისხმოა, რადგან ერთ და იმავე დროს ლაზიკის პოლიტიკურსა და სარწმუნოებრივ განწყობილებას გადმოგვცემს და აღნიშნავს, რომ ორიენტაციის ასეთი გადამწყვეტი გზის განხორციელება მხოლოდ მეფის პირადი საქმე და ნაუცბათევი კი არ არის, არამედ ამას თავისი ისტორია აქვს, როგორც სარწმუნოებრივი ისე პოლიტიკური მხრივ — ეს ორივე თანამგზავრები არიან; რადგან ქრისტიანობა ლაზიკაში უცბად კი არ გავრცელებულა, არამედ მას კარგა ხნის ისტორია უნდა ჰქონოდა. წათეს გაქრისტიანება — ეს იყო მხოლოდ *de facto* არსებული მოვლენის *de jure* აღიარება, როგორც ეს ისტორიაში ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. ტყუილად ხომ არ იხსენიებს პრისკე პანიელი, რომ 461 წელს კონსტანტინოპოლში ჩასულმა ლაზთა მეფე გუბაზმა კეისარი ლეონი მჭერმეტყველებითა და ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლოთა გამოჩენით მოხიბლაო³.

გუბაზის მიერ ქრისტიანული სიმბოლოებისადმი მიდრეკილების დემონსტრაცია, რასაკვირველია, მარტო სარწმუნოებრივი ინტერესით არ ამოიწურებოდა და მას პოლიტიკური ეფექტის მოხდენა ჰქონდა მიზნად, რასაც ბიზანტიის ხელისუფლება მოელოდა და კიდევაც მოითხოვდა ლაზთა მეფისაგან.

¹ B. P. I. 12, 4-5 სტრ.

² Theophanis Chronogr, გვ. 259-260 კლასენის გამოცემა.

³ Historici Gr. Minores, გვ. 345, დინდორფის გამოცემა.



წათეს გაქრისტიანება¹ სწორედ პოლიტიკური თვალსაზრისით ირანის მეფე კავადმა, რომელმაც იუსტინე კეისარს საყვედურით ჩვენს წინაშე ჩვენს შორის მეგობრობისა და მშვიდობიანობის დროს ჩემი გავლენის ქვეშ მყოფ ხალხს მართმევო:

«γῶνς δὲ τῶντο Καβάνης, ὁ τῶν Περσῶν βασιλεὺς, ἐπιλάσων τῷ βασιλεὺς Ἰουστινῷ, ὅτι φιλῶς καὶ εὐφροῦς μετὰ τὸν ἡμῶν ὄντος τὰ ἐχθρῶν παύσεις καὶ τὸνδ ὑπὸ τῆς ἐξουσίας τῶν Περσῶν ὄντας ἡμῶν ἀνῶας περισελεύσει»².

კეისრის თვალთმაქცურმა პასუხმა, რომ მას არავისთვის არავინ წაუერთმევია, რომ მან მხოლოდ წათეს გაქრისტიანების სურვილი შეასრულა და ისევ თავის ქვეყანაშივე გაისტუმრა, — კავადი, რასაკვირველია, სრულებითაც არ დააკმაყოფილა, და ამ გარემოებამ იმპერიათა შორის მტრობა და შუღლი გააძლიერა³.

ამას შემდეგი გარემოებაც დაერთო.

კავადს თავისი სამი მეშვიდრიდან უმცროსისთვის (ხოსროსათვის) უნდოდა სამეფო ტახტი დაეტოვებინა და, რადგან ამ საქმეში დაბრკოლებას მოელოდა, ამიტომ მოიწადინა ხოსროსათვის კეისრის მფარველობა მოეპოვებინა. ამ მოსაზრებით მან ბიზანტიელებთან მტრობაზე ხელი აიღო და იუსტინიანეს სთხოვა ხოსრო ეშვილა და თანაც ზავი შეეკრათ.

დესპანები 520 წლის მახლობლად ორივე ქვეყნის საზღვარზე შეიყარნენ, მაგრამ ზავის დადება ვერ მოხერხდა, რასაც შემდგომმა გარემოებამ შეუშალა ხელი.

როგორც პრაქოპი კეისარიელი მოგვითხრობს, ელჩებმა, მათ შორის არსებულ უთანხმოებათა შესახებ, ბევრი ილაპარაკეს, მაგრამ ერთობა ეს უთანხმოებანი მცირემნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო და, როგორც ომის დაწყების მოტივებზე მითითების დროს აღვნიშნეთ, ლაზიკის საკითხი ცენტრალურ საკითხს წარმოადგენდა. ირანის ერთი წარმომადგენელთაგანის სეოსის მიერ ლაზიკაზე სიტყვის ჩამოგდება საკმარისი, ვახდა იმისათვის, რომ მთელი ეს მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრებულიყო. ეს ფაქტი გარკვეულად უსვამს ხაზს იმას, რომ როგორც ომიანობის მიზეზებში, ისე საზავო მოლაპარაკების დროს წამოჭრილ საკითხთა შორის — ლაზიკის საკითხი, თუ უმთავრესი არა, — ერთი პირველთაგანი იყო.

მაგრამ რა პრეტენზიები ჰქონდა ლაზიკის მიმართ ირანის წარმომადგენელს?

სეოსი ამბობს: «καὶ γῶν τῆς Κολχίδας, ἣ πῦν Δαζικῆ ἐπακαλεῖται... Περσῶν ἀατῆραον τὸ ἀνέκαθεν ὄνσαν βασισαμένους λῆγα ὀνδεν, Ἰωμαῖτοι ἔχουν»⁴.

¹ კ. გიუტერბოკს წათეს გაქრისტიანება, არ ვიცი რა საფუძველზე, საეჭოდ მიუჩნევია: «Sehr zweifelhaft ist seine angebliche Taufe»-ო, ამბობს იგი. იხ. დასახ. წ. გვ. 52 შენიშვნაში.

² Theoph. გვ. 260, სტრიქ. 7—11.

³ Theoph. იქვე.

⁴ «კოლხიდა, რომელსაც ახლა ლაზიკე ეწოდება, ძველთაგანვე რომ ირანელთა ქვეშევრდომი იყო, რომელღებს ძალით უჭირავთ უსამართლოდ». იხ. B. P. I, 11, პრაქ. ს. ყაუხჩი-შვილი Georiga II, გვ. 21.

როგორ უნდა გავივით *αὐτῶν ἀνέχεται ὁ νόστος*? რა თქმა უნდა, ქვეშევრდომობა სიტყვა-სიტყვით არ უნდა გავივით; პროკოპი კესარიელი ხალხ-გაღოდ ამ ტერმინს ხმარობს როგორც ირანის, ისე ბიზანტიის მოკავშირე, ან მათი გავლენის ქვეშ მყოფი ხალხებისა და სამეფოების მიმართ. მაგ., ის იბე-რიელეზე ამბობს: *... αὐτῶν μέγιστος ἐκ παλαιῶν τῶν Περσῶν βασιλεὺς ταυ γὰρ νῦν ἐστι* ¹ «ხოლო ძველთაგანვე ირანელთა მეფის ქვეშევრდომნი გამხ-ღარანო».

ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ქვეშევრდომობას პროკოპი არა ხმარობდა, ამ სიტყვის ნამდვილი პოლიტიკური მნიშვნელობით, არამედ მხოლოდ იბერიასა და ირანს შორის არსებული პოლიტიკური მოკავშირეობის აღნიშვნა ჰქონდა მიზნად. ამიტომ სეოსის ნათქვამმა ჩვენში გაუგებრობა არ უნდა გამოიწვიოს. ამაო იქნებოდა იმის ძებნა, თუ როდის იყო ლაზიკა ირანის «ქვეშევრდომი» ჩვენი დროის გაგებით, და რაზეა, მაშასადამე, სეოსის პრეტენზია აღმოცენე-ბული. უქვევლია, აქ წათეს გაქრისტიანება და ლაზიკის მიერ ბიზანტიისადმი მჭიდრო ურთიერთობის მიდრეკილების გამოჩენა მხედველობაში, რაზედაც ირანმა თავის დროზე განაცხადა პროტესტი.

რასაკვირველია, ბიზანტიელებსაც ძალიან კარგად ჰქონდათ შეგნებული ლაზიკის გაქრისტიანების მნიშვნელობა თავიანთი მომავლის პერსპექტივების-თვის აღმოსავლეთის საქმეში, ე. ი. რომ ბიზანტიელებმა ამიერიდან ლაზიკის სახით მეგობრულად განწყობილი ქვეყანა შეიძინეს, ხოლო ირანელებმა ასეთი დაპყარვეს; რომ ბიზანტიელებს ირანელებთან ბრძოლაში მოკავშირე შეემატათ, ირანელებს კი, პირიქით, მოწინააღმდეგე გაუჩნდათ. ამიტომაც სეოსის ნათ-ქვამმა ბიზანტიელი ელჩები სერიოზულად ააღელვა და ამან საზავო მოლაპარა-კებას საზღვარიც დაუღვა.

რომ ირანელები საზავო მოლაპარაკების ერთ მთავარ საგნად ლაზიკის საკითხს სთვლიდნენ, ეს იმით დამტკიცდა, რომ მოლაპარაკების ჩაშლის უმაღ-ირანელები ლაზთა ქვეყანაში შეიქრნენ და ეს ადვილი გასაგებიც არის, რადგან კავადი გულგრილად და გულხელდაკრეფილი ვერ შეჰხედებოდა ლაზიკის დაკარ-გვას, მის მოწინააღმდეგე ბანაკში გადასვლას.

ჟამთააღმწერელი თეოფანე მოგვითხრობს: *Τῷ δ' ἄστυ 'έπει ἡ βασιλεὺς Περσῶν 'επιπέμει τῷ Λαζῷ Τζαμῖδ, ἄν παρσυσεντ 'Ρωμαῖος [ამავე წელს სპარსთა მეფე დაემტერა ლაზს, წათეს, როგორც რომაელებისაკენ მიქცეულს]* ². როგორც ვხედავთ, კავადი წათეს მისი რომაელების მხარეზე გადასვლის გამო გადამტერებია.

ამ ცნობაში ჩვენ დამოწმებული ვვხვდებით თეოფანე მოწინააღმწერლის მიერ მოც-ლენის რეალური მხარის, მისი ნამდვილი შინაარსის გადმოცემა, ე. ი., რომ წათეს გაქრისტიანება მისი და მისი ქვეყნის პოლიტიკურ ორიენტაციას ნიშნავდა.

¹ იქვე.

² Theoph. გვ. 267, სტრ. 17-18.



ამგვარად, ბიზანტიასა და ირანს შორის ომის, რომლის უშუალო კაპაზის (დარიალის) კარი გახდა, — ნამდვილი მიზეზი ლაზიკასა და იბერიის შერწყმული მდგომარეობით იყო გამოწვეული და დაკავშირებული იყო იმ საერთო პოლიტიკურ ზრახვებსა და გეზთან, რომლებიც ორივე მოქიშვე იმპერიას ერთი-მეორის წინააღმდეგ ამოქმედებდა.

VI

VI საუკუნეში ლაზიკა-იბერიისათვის ბრძოლაში ირანელები დიდ აქტივობას იჩენენ.

კავადი, შეფიქრებულად აღმოსავლეთში ქრისტიანობის წარმოტებით, რაც ბიზანტიის იმპერიის ხელში მძლავრ პოლიტიკურ იარაღს წარმოადგენდა, თავის მხრივ ცდილობს მსგავსი იარაღისგე დაპირისპირებას. იგი იბერიის კარგა ხნის გაქრისტიანებული მოსახლეობისაგან მოითხოვს ქრისტიანობის უკუგდებას და ცეცხლთაყვანისმცემლობის აღდგენას. ეს კონტრიერში იყო იმ შეტევის წინააღმდეგ, რომელსაც ბიზანტია თანდათან ავითარებდა ლაზიკასა და იბერიაში. კავადს უნდოდა ამ საშუალებით იბერია ლაზიკისაგან გაემიჯნა და არ დაეშვა ბიზანტიისათვის სასარგებლო ხიდის შექმნა, რომელიც ამ ქვეყნებში ქრისტიანობის გავრცელებით უნდა გადებულიყო.

ლაზიკის გაქრისტიანებამ კავადი მთელი საქართველოს ირანისადმი მტრულად განწყობის საშიშროების წინაშე დააყენა. ამიტომ მან განიზრახა ამ ახალი სარწმუნოების აღმოფხვრა სხენებულ ტერიტორიაზე. მაგრამ ლაზიკა უფრო შორს იყო, იბერიაზე კი ხელი ადვილად მიუწვდებოდა; ამასთანავე გონიერება მოითხოვდა, რომ ლაზიკაში მოქმედების დაწყება იბერიაში ირანელებისათვის სასარგებლო მდგომარეობის შექმნით უნდა უზრუნველყოფილიყო. ამიტომ კავადმა პირველად იბერიას შეუტია. მან იბერთა მეფე გურგენისაგან მოითხოვა, რათა იბერიელებს, სხვა ირანულ ზნე-ჩვეულებებთან ერთად, მიცვალებულები მიწაში დამარხვის მაგიერ ძალღებვისა და ფრინველებისათვის გადაეყარათ, რაც ქრისტიანობის ლიკვიდაციასა და ცეცხლთაყვანისმცემლობის რესტავრაციას ნიშნავდა¹.

ასეთი საფრთხის წინაშე გურგენმა გადაწყვიტა ბიზანტიის მხარეზე გადასვლა იმ პირობით, რომ ბიზანტიელები იბერიელებს არასოდეს ირანელების ხელში აღარ ჩაადებდნენ. იუსტინე კეისარმა სინარულით აღუთქვა ეს და რეალური დახმარების აღმოჩენასაც შეუდგა, მაგრამ ეს დახმარება ირანელთა ძალების წინააღმდეგ მცირე აღმოჩნდა, რის გამოც გურგენ მეფე იძულებული გახდა ლაზიკის გავლით ბიზანტიაში გახიზნულიყო.

როგორც შემდეგში დავინახავთ, ბიზანტიელებმა თავისი აღთქმა არ შეასრულეს და ძალიან მალე იბერიელები ირანელებს ხელში ჩაუგდეს, რაც იურიდიულადაც აღიარეს (532 წლის ზავით).

ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს, თუ რა როლს ასრულებდა სარწმუნოება ძლიერი და სუსტი სახელმწიფოების ცხოვრებაში, თუ რა ფასი ჰქონდა ამ ნია-

დაგზე დიდ სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებას, და რომ როდესაც ვი
სარწმუნოებრივი მოტივი ისტორიულ მოვლენებში, განსაკუთრებით აქ ^{სახელმწიფო}
მწიფოთა შორის ურთიერთობის დროს, სცენაზე ჩნდება, ყოველთვის მას სარ-
წმუნოების გარეშე სხვა რამ პოლიტიკური და სამხედრო, ან ეკონომიური სარ-
ჩული უდევს საფუძვლად და თითქმის არასოდეს წმინდა სარწმუნოებრივი.

გურგენის იბერიიდან ლტოლვის შემდეგ, პროკოპი კესარიელის გადმოცემით,
თურმე ლაზებს არ სურდათ თავისი ქვეყნის დაცვა, რის გამოც კეისარმა იბე-
რიისა და ლაზიკის საზღვარზე ორი ციხიდან (იგულისხმება სკანდა და სორა-
პანი) ლაზების მცველები გამოიყვანა და მათ მაგიერ იქ ბიზანტიელი მეციხოვნე-
ნი ჩააყენა¹.

რასაკვირველია, პროკოპის მიერ დასახელებული მოტივი მეტად უზადრუ-
კია. საქმის ვითარება ასე უნდა წარმოვიდგინოთ: იბერიის თავის ხელში
ჩაგდებით ირანი უშუალოდ ლაზიკას დაემუქრა, ეს კი ბიზანტიელებისათვის ამ
ფრონტზე საბედისწერო იყო. ამიტომ საჭირო გახდა ირანის აგრესიის წინა-
აღმდეგ ლაზიკის გამაგრება ბიზანტიელი მეომრების უშუალო მონაწილეობით...
თუმცა ციხეების შენარჩუნება ბიზანტიელებს ვერ მოუხერხებიათ, რადგან მწირი
ბუნების გამო იქ მეციხოვნეთა გამოკვება თურმე ძალიან უჭირდათ. ბიზანტიე-
ლები იძულებული გამხდარან მალე მიეტოვებინათ ეს ციხეები, რომლებშიაც
დაუყოვნებლივ სპარსელები ჩადგნენ.

ეს ფაქტი უსათუოდ ამ ფრონტზე ბიზანტიის პოზიციების სისუსტის მაჩვენებელია, და VI საუკუნეში კარგა ხნის მანძილზე აქ წარმოებული ბრძოლა
სწორედ ამ ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს, ვიდრე ლაზთაგან აღებული ბიზანტიის
ორიენტაციის მტკიცე კურსმა ბიზანტიელების სასარგებლოდ ამ საქმის ვითარებაში
გარდატეხა არ მოახდინა.

იბერიის მდგომარეობას მას შემდეგ, რაც სპარსელებმა აქედან გურგენ
მეფე გააძევეს, ოდნავ გვაცნობს პროკოპი კესარიელი, რომელიც ამბობს, რომ
...იმ დროიდან რაც სპარსელები აძლევდნენ ნებას მათ მეფე ჰყოლოდათ,
არც იბერები ემორჩილებოდნენ სპარსელებს თავისი ნებით, არამედ დიდი
ეჭვითა და უნდობლობით ეყვრობოდნენ ერთმანეთს. ცხადი იყო, რომ იბერებს
ძალიან უჭირდათ ასეთ მდგომარეობაში ყოფნა და ახლო მომავალში განზრახული
ჰქონდათ აჯანყება, თუ კი შესძლებდნენ ოდესმე შესაფერისი დრო
გებოდათ².

იბერიას რომ გაუსწორდა, როგორც მოსალოდნელი იყო, ირანმა მერე
ლაზიკას შეუტია, მაგრამ იქ დამარცხება ძეგმა.

ამის შემდეგ მებრძოდ მხარეებს ფრონტი მესოპოტამიაში გადააქვთ.

VI საუკუნეში სრულდება ბიზანტინიზმის ელემენტების კონსოლიდაციის
პროცესის ერთი ეტაპი და იმპერია აქტიურ მოქმედებაზე გადადის. ეს შეტევა
მიზნად ისახავს იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც უკვე წელში გამართულ
ბიზანტიის სახელმწიფოს ესახებოდა. ამ ამოცანათა სათავეში, სხვა რესურსებ-

¹ B. P. I, 12.

² B. P. II, 17, 28.



თან ერთად, ბიზანტიის მიერ აღმოსავლეთთან ვაჭრობის თავის ხელში მოქცევის მისწრაფება იყო დაყენებული. იუსტინიანი თავისი მმართველობის მეორე წელსვე შეუდგა ამ ამოცანების განხორციელებას. საერთოდ აღმოსავლეთისა და კერძოდ ირანის მიმართ, უმჯელოა, მას წინასწარ მოფიქრებული გეგმა ჰქონდა, რომლის განხორციელებაც მან აღმოსავლეთის საზღვარზე საკუთარი სამხედრო ბაზის გაძლიერებით დაიწყო. 528 წელს მან უბრძანა ქ. დარას გარნიზონის უფროსს ველიზარს ნიზიზინის მახლობლად ახალი სიმაგრის აგება. ამან იმპერიათა შორის შეტაკება გამოიწვია. ბიზანტიელები დამარცხდნენ და უკან დაიხიეს. მაგრამ 530 წელს ველიზარი მრავალრიცხოვანი ჯარით შეტევას აახლებს. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე შედარებით სიწყნარე სუფევდა, ე. ი. აქ არ ჰქონია ადგილი ირანელებსა და ბიზანტიელებს შორის შეტაკებას. მაგრამ ეტყობა ორივე მხარეს კარგად შეუფხვია, რომ თითოეული მათგანისათვის აუცილებელი იყო ამ სადავო ტერიტორიაზე მტკიცედ ფეხის მოკიდება. და რადგან ერთბაშად ამის მოხერხება ძნელი იყო, ამიტომ ერთი მათგანი აღმოსავლეთ, მეორე კი დასავლეთ საქართველოში აძლიერებს აგრესიას. ირანელები იბერიაში მეფობას აუქმებენ და ქვეყნის მართვა-გამგეობას თვითონ იკდებენ ხელთ¹. დასავლეთში ბიზანტიელები ლაზების მეგობრობითა და, ალბათ, ხელის შეწყობითაც, იმორჩილებენ ქანების ტომს და მათ არა თუ უხნევარს ხდიან იმპერიის შავი ზღვის სანაპიროებისათვის, რომლებსაც ისინი ხშირად აოხრებდნენ ხოლმე, არამედ მათ ქრისტიანობას მიაღებინებენ; იმპერიის ჯარის კონტინგენტსაც ქანებით ავსებენ და აძლიერებენ².

ქანების დამორჩილება წილად ხვდა სიტრას, რომელიც 528 წლიდან *Magister militum per Armeniam* თანამდებობაზე იყო დანიშნული. ქანების დამორჩილების ფაქტი მკვერშეტყველურად ააშკარავებს ბიზანტიის სამხედრო და პოლიტიკურ ზრახვებს ლაზიკაში.

მესოპოტომიაში ორივე იმპერიამ ჯერჯერით იგემა გამარჯვებაცა და დამარცხებაც, რის შემდეგაც საზავო მოლაპარაკებას აწარმოებენ (530 წ.). ირანში ჩასულ ბიზანტიელ ელჩს რუფინესა და მეფე კავადს შორის საუბარი ვება ირანელთა მიერ წამოყენებულ პირობას—ან ბიზანტიელებმა მონაწილეობა მიიღონ კასპიის კარის დაცვაში, რაც მათგან ყოველწლიურად გადაწყვეტილი ფულის გადახდაში უნდა გამოიხატოს, ანდა მათ ქალაქი დარა უნდა დაანგრიონ—და უშედეგოდ მთავრდება.

აქ, როგორც ვხედავთ, კასპიის კარის დაცვის საქმე იმპერიათა შორის ურთიერთობაში კვლავ აქტიურ პრობლემად გვევლინება, მაგრამ თუ რა მხრივ უნდა იქნას იგი შეფასებული, ამის შესახებ ზევით უკვე ვრცლად იყო მოთხრობილი.

¹ B. P. II, 28; ივ. ჯავახიშვილი, მოხსენ. წ. გვ. 226.

² B. P. I, 15.

VII

კავადის სიკვდილის (531 წ.) შემდეგ ირანის სამეფო ტახტი ხოსრო პირველმა (531—579) მიიღო, როგორც ვიცი, სათანადო იურიდიული უფლების გარეშე. ეს გარემოება მას ავალბდა ფრთხილად ყოფილიყო და ფხიზლად დაეცვა თავისი ტახტზე მბრძანებლობა. ამის გამო პირველ ხანს, ვიდრე მეფობის უფლებას ძალით მაინც განიმტკიცებდა, მისთვის ომიანობა საშიში იყო, ამ გარემოებამ იგი აიძულა ბიზანტიელების მიმართ მშვიდობიანობის მისწრაფება გამოეჩინა.

მეორე მხრით, იუსტინიანე კეისარი (527—565) რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილის შემოსამტკიცებლად დიდ ლაშქრობას აპირებდა, რისთვისაც მას აღმოსავლეთში მშვიდობიანობა სჭირებოდა.

ორივე მხრით ამ მშვიდობიანობის საჭიროების ნიადაგზე განახლდა ბიზანტია-ირანს შორის საზავო მოლაპარაკება. მოლაპარაკების შინაარსს სამი მთავარი საკითხი შეადგენდა:

1. კასპიის კარის დაცვაში ბიზანტიელების მიერ მონაწილეობის მიღება, ან ქალაქ დარას დანგრევა; მაგრამ თუ კი ბიზანტიელები დათანხმდებოდნენ კასპიის კარის დაცვისათვის ოქროს გადახდაზე, მაშინ დარას საკითხი იხსნებოდა.
2. ირანელების მიერ ლაზიკის ორი ციხის (სკანდა და შორაპანი) ბიზანტიელებისათვის და ბიზანტიელების მიერ პერსარმენიის ციხე-ქალაქების (ბოლონი და ფარანგიონი) ირანელებისათვის დაბრუნება.
3. ქალაქ დარას ბიზანტიელი ჯარის უფროსის რეზიდენციის კონსტანტინეში გადატანა¹.

ორივე მხრით ერთი-მეორისადმი მოთხოვნა-შეპირებების რამდენიმეჯერ მიღება-უკუღებების გამო მოლაპარაკება წყდებოდა. მაგრამ, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ორივე მხარეს მშვიდობიანობა ესაჭიროებოდა, ამიტომ ბოლოს მაინც მიღწეის შეთანხმებას და იუსტინიანეს კეისრობის შეეწყვეტე წელს ე. წ. „საუკუნო“ ზავი დადევს.

მართალია, საზავო პირობებში და ზავის შესახებ წარმოებულ მოლაპარაკებაში ლაზიკასა და იბერიაზე ძლიერ ცოტაა ნათქვამი, მაგრამ ამისდა მიუხედავად 532 წლის ზავი ბევრი რამის მაჩვენებელია არა მხოლოდ ბიზანტიის, არამედ აგრეთვე ლაზიკა-იბერიის ცხოვრებიდანაც.

Karl Güterbock-ი ასე აფასებს ამ ზავს²:

„Der Krieg, der vor 31 Jahren begonnen, war nur zu Ende; als Sieger bei diesem Frieden ging aber doch der Perser hervor; denn

¹ B. P. I, 22.

² „დასრულდა ომი, რომელიც 31 წლის წინათ დაიწყო; გამარჯვებულად ამ ზავის დროს უღავოდ სპარსეთია, რადგან ზავის პირობები რომაელებისათვის არც სასახლო და განსაკუთრებით კი არც სასარგებლო ყოფილა. თუ ომის საბაბი ანასტასისგან კასპიის კარის თანადაცვაზე უარის თქმა იყო, ახლა იუსტინიანე იძულებულია მძიმე პირობაზე დათანხმდეს და, გარდა კარის დაცვისათვის კუთვნილი თანხისა, ერთდროული კონტრიბუციაც გადაიხადოს თერთმეტი ათასი ვირგანქა ოქროს რაოდენობით, რაც ჩვენს ფულზე ათ მილიონ მარკას აღემატება“. იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 43-44.



die Bedingungen waren für die Römer weder rühmliche, noch günstige. War dereinst die Veranlassung zum Kriege die Weigerung des Anastasios gewesen, die Zuschüsse für die Kaspischen Pässe zu leisten, so musste jetzt Justinian sich der harten Bedingung fügen, als Friedenspreis und zugleich als Abfindung für alle rückständigen Beiträge die schwere Kontribution von elftausend Pfund Gold — nach unserem Gelde etwas über zehn Millionen Mark auf einmal zu entrichten“.

ამის შემდეგ იგი იხსენიებს ქალაქ ღარას ჯარის უფროსის რეზიდენციის შეცვლას, ლაზიკის ციხეების ბიზანტიელებისათვის დაბრუნებას და დასძინს: „... damit wenigstens tatsächlich anerkannt wurde, dass Lazika in die Römische Interessphäre falle, und Persischer Einfluss entzogen bleiben solle“¹.

რასაკვირველია, Güterböck-ი სრულებით მართალია ზავის შეფასებაში. ბიზანტია აქ ძალიან სუსტად მოჩანს და ეს მისი სისუსტე შემდგომშიაც თავს იჩენს. ჩვენ დავინახეთ, რომ ბიზანტიამ იბერიის მფარველობა აღუთქვა და პირობა დაუდგა, რომ იბერიელებზე არასოდეს აღარ გააბატონებდა ირანელებს, მაგრამ იგი ვერ ახერხებს არა თუ იბერიელებისათვის მფარველობასა და შეპირებული დახმარების აღმოჩენას, არამედ ზავის შემდეგ ირანის მიერ ლაზიკისადმი გაძლიერებულ აგრესიას ძალზე სუსტ წინააღმდეგობას უწევს და ხშირად ლაზიკასაც ხელიდან უშვებს, რაც ნაწილობრივ იმის შედეგი იყო, რომ საზავო მოლაპარაკების დროს ირანელებისათვის აშკარა გახდა ბიზანტიელების თუ საერთო სისუსტე არა, აღმოსავლეთის პოზიციებზე სისუსტე მაინც. ხოლო საზავო მოლაპარაკების დროს იბერიის საკითხის მიჩქმალვა ბიზანტიელების სისუსტის აშკარა მაჩვენებელია. ბიზანტიელებმა ვერ შესძლეს მათი მფარველობის ქვეშ მყოფი ქვეყნისათვის ოდნავი დახმარების აღმოჩენაც კი და ირანის იარაღის მიერ იბერიაში შექმნილ მდგომარეობას, ე. ი. იბერიის საბოლოოდ, სრულიად ირანისათვის დამორჩილებას იურიდიული სანქცია მისცეს, რამდენადაც თავისი სისუსტიბით ეს ფაქტი დადასტურებს, და მხოლოდ ის მოახერხეს, რომ ლტოლვილ იბერიელებისათვის სამშობლოში დაბრუნების ნებართვა გამოითხოვეს.

ბიზანტიის სისუსტეს აღნიშნავს აგრეთვე ირანელთათვის ბოლონისა და ფარანგიონის დაბრუნება, რადგან ამ ადგილებში ოქროს მადნები მოიპოვებოდა და სახელმწიფო მას ადვილად ვერ შეეღოდა, მაგრამ ეტყობა ბიზანტიელები იმდენად გაჭირვებული იყვნენ, რომ ოღონდ კი იბერიიდან ლაზიკაში შემავალი გზის (საიდანაც ირანელების შეჭრას შიშობდნენ, რაც მალე კიდევ გამართლდა) მოდარაჯე ორი ციხე (სკანდა და შორაპანი) შეენარჩუნებინათ და ყოველგვარ დათმობაზე მიდიოდნენ. აღსანიშნავია, რომ ბიზანტია აშკარად გრძობდა ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე ირანის აგრესიისა და საფრთხის ზრდას, რასაც იბერიის საბოლოოდ მის ხელში გადასვლა მოჰყვა. მაგრამ მართო ბიზანტიელთა

¹ „... ამით ის მაინც იქნა აღიარებული, რომ ლაზიკა ბიზანტიის გავლენის სფეროში ექცეოდა და იქიდან სპარსული გავლენა საბოლოოდ იდევნებოდა“. იქვე, გვ. 45.

სისუსტიით არ აიხსნება ზავის ასეთი არახელსაყრელი პირობები: როგორც ნიშნული იყო, იუსტინიანე დასავლეთში ლაშქრობას აპირებდა და არ ერიდებოდა მსხვერპლს იმისათვის, რომ აღმოსავლეთში ხელები გახსნილი ჰქონდა. მისაღებია აგრეთვე მხედველობაში იუსტინიანეს წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყება („ნიკა“), რამაც, უეჭველია, აგრეთვე იქონია გავლენა 532 წლის ზავის პირობებზე.

სხვათა შორის, არც საზავო მოლაპარაკების დროს და არც ზავის პირობებში, ლაზიკის „ქვეშევრდომობის“ საკითხი, რომელიც ამას წინათ ზავის ჩაშლის მიზეზი გახდა, მოხსენებული არ არის, მაგრამ მისი დავის გარეშე დატოვება ბიზანტიელებს ალბათ ძვირად დაუჯდათ; კერძოდ, მთელი იბერიისა და პერსარმენიის საზღვარზე მდებარე ოქროს მადნებიანი ადგილების, ბოლონისა და ფარანგიონის, დათმობით უნდა ეყიდათ იგი.

532 წლის ზავს „საუკუნო ზავი“ უწოდეს. ეს ორივე მხარის თვალთმაქცობა იყო. ნამდვილად არც ერთი მხარე ზავის შედეგად შექმნილ მდგომარეობას საბოლოოდ არ სთვლიდა და ზურგს უკან საკუთარი ძალა-უფლებისა და გავლენის სფეროს გაფართოება ჰქონდა მოწინააღმდეგე მხარის ხარჯზე განზრახული, რაც ორივე მათგანის ზავის შემდეგ სადავო ტერიტორიაზე მოქმედებაში გამოიხატა.

532 წლის ზავის პირობებში უკვე მოცემული იყო მომავალი ამბების ჩანასახი.

VIII

532 წლის ზავით მთავრდება ბიზანტიასა და ირანს შორის ძველი საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული ომიანობის ერთი ეტაპი. ამ ზავმა შეაჯამა ირანის და ბიზანტიის მიღწევა-ზარალი საქართველოს ტერიტორიაზე. ამასთანავე აშკარად გამოიჩვენა, რომ ერთი მათგანი, სახელდობრ, ირანი ძლიერი იყო აღმოსავლეთში — იბერიაში, მეორე კი, ბიზანტია, დასავლეთში — ლაზიკაში. 532 წლის ზავმა დასახა აგრეთვე მომავალი სიტუაცია.

ბიზანტია, რომელიც დასავლეთით ლაშქრობისათვის ემზადება, ამჟამად ხელს იღებს აღმოსავლეთის ფრონტზე შეტევითი ომის პრეტენზიებზე და, ირანისათვის იბერიის დათმობით, ლაზიკაში თავისთვის თავისუფალ მოქმედებას უზრუნველყოფს, მაგრამ ისიც კარგად აქვს გათვალისწინებული, რომ ირანი იბერიით არ დაკმაყოფილდება და, პირიქით, ეს მისი მომავალი მოქმედებისათვის ზურგის გამაგრება იყო და შემდგომი შეტევისათვის ფეხის მტკიცე ნიჟარაზე მოკიდებას ნიშნავდა. მას აღრე თუ გვიან ლაზიკისაკენ უნდა მიემართა იარაღი. ამიტომ ბიზანტია ცდილობს ლაზიკაში მაგრად მოიდგას ფეხი, რათა წარმატებით მოიგერიოს ირანელების იერიში. ამისთვის კი იგი იძულებულია გაძლიეროს ლაზიკის მიმართ აგრესიული მოქმედება, რასაც ბიზანტიელობათვის უარყოფითი შედეგები მოჰყვება. პირველ ყოვლისა ეს იწვევს ლაზების უკმაყოფილებას და ბიზანტიელების მეგობრობაზე გულის აყრას; რაც ბიზანტიელებს ძლიერ უძინელებს დასახული მიზნების მიღწევას.



მეორე მხრით, როგორც ბიზანტიელების ლაზიკაში განმტკიცების დასრულების ისე ის გარემოება, რომ ბიზანტიის მთავარი სამხედრო ძალები დასრულებული ფრონტზე იბრძვიან, კიდევ უფრო ამტკიცებს ირანელების გადაწყვეტილებას, რათა ლაზიკაც ჩაივლონ ხელში, და იწვევს მათი მხრით მოქმედების დაჩქარებას.

ამგვარად, 532 წლის ზავის შემდეგ და მის უშუალო შედეგად, ლაზიკა ხდება ქიზიბის მთავარი სავანი ბიზანტიასა და ირანს შორის და იგი ორივე იმპერიის მხრით მის მიმართ აგრესიულ-დაპყრობითი მოქმედების რკალში ექცევა, რასაც ლაზიკა თავის მხრივ არ ხედავს გულხელდაკრეფილი და საკუთარი ხვედრის ძიება-გადაწყვეტაში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს ხან ერთისა და ხან მეორე მტრის წინააღმდეგ.

532 წლის შემდეგ ირანისა და ბიზანტიის ომი ლაზიკისათვის ბრძოლის პერიოდად უნდა ჩაითვალოს¹.

ახლა სწორედ ამის განხილვაზე გადავიდეთ.

ბიზანტიელები დაუყოვნებლივ მოქმედებას შეუდგნენ: „საუკუნო“ ზავის შემდეგ შეშინებულმა ბიზანტიელებმა, ვაი თუ სპარსელებმა იბერიის ლაზიკაც ზედ მიიყილნ და ხელიდან გამოგვაცალონო, ლაზიკაში ჯარი გაგზავნეს². მაგრამ რადგანაც ბიზანტიელთა გავლენა ლაზიკაში ჯერ კიდევ სუსტი იყო, ლაზებზე დაყრდნობა კი საშიში, ამიტომ ბიზანტიელებმა გადაწყვიტეს ლაზიკაში თავისი გარნიზონისათვის სპეციალური ციხე-სიმაგრე აეგოთ. ბიზანტიელთა ჯარის უფროსის იოანე ციხეს რჩევით იუსტინიანემ შავი ზღვის სანაპირო ციხე, პეტრად წოდებული, ქალაქად აქცია და მას გარშემო კედელი შემოართყა³. ეს სიმაგრე სავაჭრო თვალსაზრისითაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, როგორც ეს ქვევით იქნება აღნიშნული.

ბიზანტიელთა ჯარის ლაზიკაში ჩაყენება უჩვეულო ამბავი იყო, რამაც ლაზებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ცხადია, მათ იგონეს, რომ ეს იყო შესავალი იმ ტრაგედიისა, რომელიც მათ თავს უნდა დატრიალებულიყო, ე. ი. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან საკუთარი ქვეყნის ბედის გამგებელნი მართო თვითონ აღარ იქნებოდნენ, არამედ მათ ჰქონდა ქვეშე უტხო ძალა გაუჩინათ, რომელიც ალბათ უბრალო მონაწილეობით არ დაკმაყოფილდებოდა და ქვეყნის ბედ-იღბლის სავსებით თავის ხელში ალღებს მოინდომებდა მისი საჭის საკუთარი ინტერესებთან შეფარდებით ამა თუ იმ მხრივ მიმართვის მიზნით. ლაზებს სულ

¹ რომ VI საუკუნეში ბიზანტიასა და ირანს შორის ბრძოლის მთავარი სავანი ლაზიკა იყო, ამას აგ ათ ი ა ც მიაწობს. იგი ამბობს ლაზებზე, რომ: *αι οη ου, ειτε Λαζοι, ειτε Κοζχοι, ειτε Αιρπατιοι μετανασται παρομαχοι εν τα καμ' ημια γεγενηται εδωκα, και πλειστοι οσοι αγωνες της τωστων γε εχασι κατιπικλησται χερας.*

«და, აი, ესენი, — ლაზები არიან ისინი, თუ კოლხები, თუ ეგვიპტიდან გადმოსანდგებულები — დავის სავანი გახდნენ ამ ჩვენს დროში და მეტი წილი ბრძოლებისაც სწორედ მათი ქვეყნის გამო მოხდა». *Agathiae Historiatum*, II, 18, ed. Dindorfius, გვ. 210; ს. ყაუხჩი-შვილი. გეორგიკა, ტ. III, გვ. 28.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, გვ. 227, ტფილისი, 1928.

³ B. P., II, 17.

ადვილად შეეძლოთ ბიზანტიელთა ზრახვები გაეთვალისწინებინათ. თვალწინ ჰქონდათ თავის მოძმე იბერიის მაგალითი, სადაც ირანელებმა სუსტმა მეს შეფობა და ქვეყანა მთლიანად თვითონ ჩაიგდეს ხელში. აშკარა იყო, რომ ბიზანტიელები ლაზიკას იბერიის ბედს უმზადებდნენ. ლაზებს ეს ძლიერ კარგად ჰქონდათ შეგნებულად და მოსალოდნელი საფრთხის წინააღმდეგ თავის დაცვას შეუდგნენ.

მაგრამ, რასაკვირველია, საზოგადოების ყველა ფენებსა და ჯგუფებს ბიზანტიელთა მოქმედების ერთნაირად შეფასება არ შეეძლოთ, ხოლო, მეორე მხრით, ლაზების წინაშე დიდი ხნით აღრე წამოჭრილმა საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხის რეალურად გადაწყვეტის საჭიროებამ, რაც წათეს გაქრისტიანების მომენტიდან ახალ ფაზაში შედის, გააღვია ამა თუ იმ მიმართულების ხალხთა შორის შეხლა-შემოხლა, რაც შესანიშნავად მოიხანს გუბაზის ბიზანტიელების მიერ მკვლევრობის თაობაზე გამართულ ლაზთა სახალხო ყრებაზე მომხდარი კამათიდან. 532 წლის ზავის შემდგომ პირველ ხანას ბიზანტიელთა მოწინააღმდეგე ბანაკი გაუძლიერებია და ლაზებს თავისი ორიენტაცია კვლავ ირანისაკენ მიუმართავთ¹.

რამ გამოიწვია ლაზებში ასეთი გარდატეხა? რა მიზეზებმა აიძულა ისინი პირი ებრუნათ ბიზანტიისაგან, რომელსაც რაღაც ოციოდე წლის წინათ, უმეტესწილად, სერიოზულ საფუძველზე, მიმართეს და ამით ირანული ორიენტაცია ბიზანტიურზე შესცვალეს?

ლაზების ამ განდგომის მიზეზად, როგორც პირველადი წყაროების მიერ ისე შემდგომ მკვლევართაგან, უმთავრესად ბიზანტიელი მოხელეების ანგარი საქციელია მიჩნეული, რაც განსაკუთრებით იოანე ციბეს მოღვაწეობაში გამოიხატა. ამან, როგორც გამოორკვეულია, ლაზებაში სავაჭრო მონოპოლია შემოიღო².

რასაკვირველია, ეკონომიური შევიწროება ძნელი ასატანი იყო ლაზებისათვის, მაგრამ მათი განდგომა უმთავრესად მაინც პოლიტიკური მოტივებით იყო გამოწვეული. მით უმეტეს, რომ თვით ბიზანტიის სავაჭრო-ეკონომიური პოლიტიკა ლაზიკაში უშუალოდ შეთანხმებული იყო იმპერიის სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებთან და ამასვე ემსახურებოდა. ლაზთა ელჩები ირანის მეფის წინაშე თავისი განდგომის მიზეზთა შორის, მართალია, ეკონომიურ შევიწროებასაც ასახელებდნენ, მაგრამ მათი მოთქმა უმთავრესად პოლიტიკური ხასიათის საჩივარს შეიცავს. მათი ნალაპარაკებიდან აშკარად მოჩანს, თუ როგორ ცდილობდა ბიზანტია თანდათან დაეპყრობინა ლაზთა საკუთარი სამმართველო აპარატი მათი მეფის უფლების ნელ-ნელა შეკვეცით და ბიზანტიელთა ჯარის სარდალთა უფლების ამღენადვე და ამის ხარჯზე გაფართოება-განმტკიცებით, რაც ლაზიკაში ბიზანტიელთა მუდმივი ჯარის ჩაყენებაში, ამ უკანასკნელთა-

¹ В. Р. II, 15.

² „... они также участвовали в грабежах... истощая население поборами и вызывая в нем ненависть к византийской власти, именно этим путем они в Азии довели Лазов, до тех пор остававшихся верными, до того, что они отделись персам“—ამბობს პროფესორი შ. დიდი ბიზანტიელი ჯარის სარდლებზე (III. Диль, Юстиниан... გვ. 159).



თვის სპეციალური ციხე-სიმაგრის აგებაში, ლაზიკის სამეფოს შინაურ საქმეებში ჩარევასა და ლაზებზე ეკონომიური ზეგავლენის მოხდენაში გამოიხატა. ულჩიძის სიტყვა ლაზიკის იმდროინდელი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის საინტერესო და საგულისხმო სურათს გვინატავს, მაგრამ ამჟამად მისი გაყოლა შორს წაგვიყვანდა, ოღონდ ის კი უნდა გავითვალისწინოთ, თუ ელჩების აზრით რამდენად უნდა ყოფილიყო ირანი ლაზიკით დაინტერესებული; მით უმეტეს საჭიროა ეს, რადგან ამაში თვით მეორე მეტოქის — ბიზანტიის ლაზიკით დაინტერესების საფუძვლებიც არის მოცემული.

ელჩები ხოსროს მოახსენებენ: «... იმ სარგებლობის შესახებ, რომელიც თქვენ გექნებათ ლაზთაგან, თუ მათ თხოვნას შეიწყნარებთ, ახლავ მოგახსენებთ. სპარსელთა ძალას თქვენ შეჰმატებთ უძველეს სამეფოს და მისი საშუალებით თქვენი ჰეგემონიის ღირსება გადიდებული იქნება, ხოლო ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით. აქ თუ ხომალდებს ააგებთ, მეფევ, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიის პალატს მიადწიო. გზაზე ხომ არავითარი წინააღმდეგობა არ შეგხვდება. უნდა დაუპატოთ ისიც, რომ თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწა-წყალი. ყოველ შემთხვევაში თქვენ ალბათ იცით, რომ ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენდა¹. ირანის მეფეს ხოსროს, შეიძლება ითქვას, ნატვრა აუსრულდა. იგი ისედაც იძულებული იყო, ლაზიკაში ბიზანტიელთა აგრესიული პოლიტიკის გაძლიერების გამო, თვითონაც ყურადღება აქეთკენ მიემართა, რათა ბიზანტიელთა იქ საბოლოოდ განმტკიცებისათვის ხელი შეეშალა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას გაუძნელდებოდა ლაზიკა თვითონ ჩაეგდო ხელში, რაც მისთვის აუცილებელი იყო, გარდა აღნიშნული მოტივებისა, იმისთვისაც, რომ იბერიელებისათვის ლაზიკის სახით არსებული თავშესაფარი მოესპო.

ირანელებს არ შეეძლოთ თავი უზრუნველად გერძნოთ, ვიდრე ლაზიკა, და ისიც ბიზანტიელების ხელში მყოფი, ფეხზე იდგა და, მაშასადამე, შეიძლებოდა იგი იბერიელებს ზურგის გასამაგრებლად გამოეყენებინათ. ამიტომ ხოსრომ ელჩების სიტყვა კმაყოფილებით მოისმინა და დახმარების აღმოჩენა აღუთქვა, ე. ი. ბიზანტიელების ლაზიკიდან განდევნას შეჰპირდა. იგი დაუყოვნებლივ კიდევ შეუდგა ლაშქრობისათვის მზადებას, თანაც ხმა გაავრცელა იბერიაში ირანელთა სამფლობელოზე ველურ ტომებს თავდასხმა მოუხდენიათო და თითქოს იქ ამ საქმის განსაგებლად მიემგზავრებოდა².

მაგრამ ვიდრე ირანელების ლაზიკაში ლაშქრობას შეეცხებოდეთ, უნდა განვიხილოთ ერთი საინტერესო საკითხი — ეს არის ბიზანტიელთაგან ლაზიკაში სავაჭრო მონოპოლიის შემოღება, რაც ლაზთა განდგომილების უშუალო საბაბი გახდა. ამ საკითხთან ერთად ბიზანტია-ლაზიკის ურთიერთობაც უფრო დაწვრილებით გავიცნოთ.

¹ B. P. II, 15; ს. ყაუხჩიშვილი, Georgica, II, გვ. 53.

² BP. II, 15.

IX

ქართული
ენის
საქმიანობა

იმპერიის სატანტო ქალაქის აღმოსავლეთში გადმოტანა სხვა მოტივებთან ერთად ეკონომიური პირობებითაც იყო ნაკარნახევი: აღმოსავლეთის პროვინციების (კაპადოკია, არმენია, პონტოს სამეფო და სხვ.) იმპერიის ფარგლებში საბოლოოდ მოქცევაში აღმოსავლეთისაკენ ფართო გზა გახსნა და მთელი ყურადღება ახალი ეკონომიური ბაზისაკენ მიმართა. რომის დასავლეთი პროვინციები ამ დროისათვის, მათი ეკონომიური დაქვეითების გამო, იმპერიისათვის ნაკლებ ღირებულებას და წარმოადგენდა. ყურადღების ცენტრი აღმოსავლეთშია გადატანილი, სადაც ვაჭრობა-მრეწველობა და საერთოდ ეკონომიური კეთილდღეობა განვითარების ფართო პერსპექტივებს ხსნის. რომში წელმოძაგრებული სავაჭრო კაპიტალი ძლიერი ნაკადით მიისწრაფვის აღმოსავლეთის ბაზრისაკენ. ბიზანტიაში ფულის სისტემა იყო შემოღებული, რაც მას ვაჭრობის საქმეში დიდი აქტივობის გამოჩენის შესაძლებლობას აძლევდა.

„Die überragende Macht des oströmischen Reiches beruht auf seiner geldwirtschaftlichen Grundlage im Gegensatz zur Naturwirtschaft der mit ihm freundlichen oder feindlichen Beziehungen stehenden staatenähnlichen Gebilde der Barbaren“¹.

იმპერიის ეკონომიურად დაქვეითებულმა ნაწილმა პოლიტიკური მნიშვნელობაც დაკარგა, რაც სამაგიეროდ ეკონომიურად ძლიერმა აღმოსავლეთმა მოიპოვა. მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნებში ქრისტიანობის გავრცელებით ბიზანტიამ იქ თავისი ძლიერი გავლენისათვის მტკიცე დასაყრდენი მოიპოვა, ის უფრო აძლიერებს დაპყრობითს ტენდენციებს და რელიგიის სამოსელში გახვეული, იგი ამ მხრივ საგრძნობ წარმატებასაც აღწევს. მაგრამ მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლაში, მას ირანის სახით ძლიერი მეტოქე ჰყავს. ამიტომ იუსტინიანეს დროს ბიზანტიელები ცდილობენ განთავისუფლდნენ ირანელების მეტოქეობისაგან, მაგრამ რადგან ირანელები გაბატონებული იყვნენ მსოფლიოს სავაჭრო გზებზე, ამიტომ იუსტინიანე იძულებული გახდა ცვილონის გზით აღმოსავლეთთან ვაჭრობის გახანძრვებად ეთიოპიის (აბისინიის) მეფესთან კავშირი შეეკრა.

„იუსტინიანეს დროს ვაჭრობამ ძლიერი ბიძგი მიიღო, იმპერატორი თავის მხრით მის განვითარებას სრულიად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ვისთანაც კი მოლაპარაკებას აწარმოებდა ან ხელშეკრულებას სდებდა, ყველგან ეკონომიურ საკითხებს ფვალსაწინო და ზოგჯერ კი მთავარი ადგილი უჭირავს“².

იმპერიის მიერ წარმოებული ხანგრძლივი ომები იწვევს მოსახლეობის ეკონომიურსა და მორალურ დაქვეითებას, სახელმწიფო ხაზინის გაღატაკებას, სახალხო მეურნეობის დაკნინას; და პროვინციებზე ეკონომიური, სარწმუნოებრივი და სამხედრო ზეგავლენის ცდას. ერთი მხრით, გაღატაკებული სახელმწიფო ხაზინის შევსებისა და, მეორე მხრით, აღმოსავლეთის ვაჭრობაზე ძლიერი გავლენის მოხდენის მიზნით იუსტინიანე იძულებულია იმპერიაში სავაჭრო მონო-

¹ E. Stein, Studien zur Geschichte des byzantinischen Reiches გვ. 3. Stuttgart, 1919

² III. Дилъ, op. c. გვ. 541.



პოლია შემოიღოს. ამ მონობლიის, მისი ეკონომიური და პოლიტიკური ძეგლების ფართო გამოკვლევა მეტად საინტერესოა, მაგრამ ბიზანტიური ხუროთმოძღვრებით ძლიერ ცოტაა გაკეთებული, რომ ასეთი კარდინალური საკითხების განხილვა შესაძლებელი იყოს. ამის გამო თითოეულ ახლად შესწავლილ საკითხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუნდაც იგი იმპერიის მასშტაბით არ იყოს განხილული, არამედ რომელიმე პროვინციის ირგვლივ ტრიალებდეს, რადგან ეს მთლიანი იმპერიის ნაწილს შეადგენს, და, პირიქით, ხშირად სწორედ ამგვარი საკითხების განხილვას შეაქვს ნათელი თვით იმპერიის მასშტაბით მოქმედ მოვლენებში, ჰმარტავს მათ, აშხელს იმპერიის შინაურ ცხოვრებასა და საგარეო პოლიტიკას.

ერთ ასეთ საკითხს ვფიქრობთ, შეადგენს ბიზანტიელების მიერ ლაზიკაში საგარეო მონობლიის შემოღება.

რა ეკონომიური ინტერესები ჰქონდა ლაზიკაში ბიზანტიას და რა უნდა ყოფილიყო მონობლიის ობიექტი?

პირველ ყოვლისა ვიცით, რომ ბიზანტიელებს ლაზებთან ჰქონდათ გაჩაღებული საგარეო ურთიერთობა. ლაზიკიდან ბიზანტიაში შეჰქონდათ: მონები, ხე-ტყე, ტყავიულობა და ბეწვეული.

ამ საგანზე პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს: ლაზები ძეღდამ აწარმოებდნენ პონტოში მცხოვრებ რომაელებთან საზღვაო ვაჭრობას. თვით მათ არც მართი ჰქონდათ, არც ხორბალი, არც სხვა რამე სიკეთე, ისინი მხოლოდ აწვდიდნენ ტყავსაფარებს, ტყავებსა და მონებს, და თავისთვის საჭირო საგნებს იძენდნენო¹.

პროკოპის ეს ცნობა უმთავრესად ლაზიკის მთიან ნაწილს უნდა შეეხებოდეს, რადგან, სტრაბონის მოწმობით, ლაზიკა იმ დროს, და უფრო ადრეც, არც თუ ისე მწირი ქვეყანა ყოფილა. სტრაბონი მოგვითხრობს:

«... ἀγαθὴ δ' ἔστιν ἡ χώρα καὶ καρποῖς, πλὴν τῶν μέλιτος (παρὲν δὲ γὰρ τὸ πλεόν) καὶ τοῖς πρὸς ναυπηγίαν πᾶσιν. ἄλλην τε γὰρ καὶ φύει καὶ ποταμοῖς κατακομίζει, λίνον τε ποιεῖ πολὺν καὶ κάναξιν, καὶ κηρόν καὶ πίτταν, ἡ δὲ λιουστρία καὶ τεμῖρληται. Καὶ γὰρ εἰς τοὺς ἕξω τόπους ἐξαχμίζον².

ლაზიკაში კარგა ხნით ადრე განთქმული საგარეო ცენტრებიც მოიბოვებოდა. იგივე სტრაბონი გვამცნებს: «... ἡ δ' ἀπὸ Διοσκουρίδας ἔστι καὶ ἔμπόριον τῶν ὑπερκαυμένων καὶ συνέρχουσιν αἰσὶν εἰς ἀπὸ τῆν ἕξβομῆγοντα, οἱ δὲ καὶ τριακοντα ἕξην φασὶν οἷς ὀνδῆν τῶν ὄντων μέλει³.

¹ B. P. II, 15; ს. ვიხალიშვილი, Geographica II, გვ. 26.

² «... ეს ქვეყანა მდიდარია აგრეთვე ნაყოფითაც, გარდა თავლისა (რომელიც ხშირად მოიშვარებს), და ყველაფერი იმით, რაც საჭიროა გემთაშენებლობისათვის: ტყე თვით ამ ქვეყანაში უამრავია და მდიდარეების საშუალებითაც ბლომად მოეზიდებიან. ბლომად აკეთებენ სელს, უამრავი ძენძი, ცვილი, ფისი; სელის წარმოება აქ განთქმულია — ეს ნაწარმოები სხვა ქვეყნებშიც გააქვთ: სტრაბონი, გეოგრაფია, წიგნი XI, თავი II, 17.

³ «... დიოსკურია წარმოადგენს საერთო საგარეო ცენტრს მის მეზობლად და მის ზევით მცხოვრებ ხალხთათვის. აქ, როგორც ამბობენ, თავს იყრიან 70 სხვადასხვა ერი, ხოლო იმ მწერალთა სიტყვით, რომლებიც ქეშმარტებზე სრულებით არ ზრუნავენ, სამასია: სტრაბონი იქვე წ. XI, თ. II, 16.

ამასთანავე არ უნდა დავვიწყდეს, რომ როგორც ზევით აღვნიშნეთ პერსარმენიელებისა და ქანების სახელართან ყოფილა ოქროს მადნები. გამოც დაუსრულებელი დავაა ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის. ეს ადგილები ხელიდან ხელში გადადის, ხან ირანის, ხან ბიზანტიის ხაზინაში შედის აქაური ოქრო.

მივმართოთ ისტორიულ წყაროებს.

ოქროს მადნებთან ადგილებზე პროკოპი კესარელი გადმოგვცემს:

Τότε και Περσῶν χερία ἐν Περσαρμενίῳ Ρωμαῖοι ἔσχον φροσύριον τε τὸ Βῶλον καὶ τὸ Φαράγγιον καλούμενον, ὅθεν δὴ τὸν χρυσὸν Πέρσαι ὄρυσσοντες βασιλεῖ φέρουσιν¹.

მეორე ადგილას კი ამბობს: οἱ Περσαρμενίων ὄροι ἐκδέχονται, οὗ δὴ καὶ τοῦ χρυσοῦ μέταλλον ἔστιν, ὅπερ Καβάδου δόντος ἐπετρόπευε τῶν τῆς ἐπιχωρίων Συμεώνης θύομα. οὗτος ὁ Συμεώνης, ἐπειδὴ ἀμφοτέρους ἐς τὸν πόλεμον ἀμαζόντας εἶδε, Καβάδην τῆς τῶν χρημάτων προσόδου ἀποστέρειν ἔγινω, διὸ δὴ αὐτὸν τε καὶ τὸ Φαράγγιον Ρωμαῖοις ἐνδοῦς οὐδετέροις τὸν ἐκ τοῦ μεταλλοῦ χρυσὸν ἀποφέρειν ἤξιλα².

ქამთიალმწერელი მაღალა კი შემდეგ ვრცელ ცნობას გვაწვდის:

τὰ δὲ χρυσόρυτα ὄρη ὑπάρχει μεταξὺ τῶν ὄρων Ἀρμενίων Ῥωμαίων καὶ Περσαρμενίων, ἃς εἰδότες λέγουσιν ἄτινα ὄρη φέρουσι χρυσὸν πολὺν. ὅτε γὰρ βροχαὶ καὶ ὄμβροι γίνονται κατασφύεται ἡ γῆ τῶν αὐτῶν ὄρεων, λεπτινάς ἀναβλῆζουσα χρυσοῦ. τὰ δὲ αὐτὰ ὄρη ἐμισθύνοντο τὸ πρότερον τινες ἀπὸ Ῥωμαίων καὶ Περσῶν χρυσοῦ λιτρῶν διακοσίων. ἐξ οὗ δὲ παρελήφθησαν τὰ αὐτὰ ὄρη ὑπὸ τοῦ θειοτάτου Ἀναστασίου, Ῥωμαῖοι μόνοι κομίζονται τῆν· μισσησθῆναι συντέλειαν³.

მართალია, ამ ცნობაში, მაღალა მთების სახელს არ იხსენიებს, სადაც ოქროს მადანი მოიპოვებოდა, მაგრამ, უეჭველია, ეს ის ადგილები უნდა იყოს, რომელთაც პროკოპის ცნობები ეხება.

¹ «მაშინ რომელიმე დაიპირეს სპარსელთა ადგილები პერსარმენიელთა ქვეყანაში: სიმაგრე ბოლანი და ეგრეთწოდებული ფარანგიონი, სადაც სპარსელები ოქროს თხრიან და მეფესთან მიაქვთ». B. P. I, 15; ს. ყაუხჩიშვილი, Geographica, II, გვ. 25.

² «... პერსარმენიელთა საზღვრები იწყება, სადაც ოქროს მადანი არის, რომელსაც კავადის გადაწყვეტილებით განაგებს ერთი ადგილობრივთაგანი, სახელად სიმეონი. როდესაც ამ სიმეონმა დანახა, რომ ორივე მხარე ბრძოლაში იყო გართული, გადაწყვიტა მოესპო კავადისათვის შემოსაეული, ამიტომ, თავისი თავი და ფარანგიონი რომ რომაელებს ჩააბარა, არც ერთისათვის არ სურდა მადნის ოქროს მიცემა». B. P. I, 15; ს. ყაუხჩიშვილი გვ. 27-28.

³ «ოქროს სათბრეფი მთები იწყება არმენიელთა, რომაელთა და პერსარმენიელთა საზღვრებს შორის, როგორც მცოდნენი ამბობენ. ამ მთებში არის მრავალი ოქრო. როცა წვიმა და ნიაღვარი მდლის, ამ მთების მიწა მოათრეებს ოქროს ნაწილაკების ნაკადს. ამ მთებს უწინ იჯარით იღებდნენ ხოლმე ვინმე რომაელთაგან ან სპარსელთაგან ორას ლიტრა ოქროდ — ის დღიდან, როცა რომაელებმა მიიღეს ეს მთები ღვთაებრივ ანასტასისაგან სამეფეოდროდ, მხოლოდ თვითონ იღებენ დაწესებულ გადასახადს». Iohannes Malalas, გვ. 455-456. ბონის კორპუსი.

როგორც სტრაბონის ყველასათვის ცნობილი მოთხოვნიდან ვიცით, სადაც ის ბანჯგელიანი ტყაების საშუალებით ოქროს ნაწილაკების მოგროვებულს მოგვეცემს, — ოქროს მადანის არსებობა დასავლეთ საქართველოშიც უნდა ვივარაუდოთ.

ამ მხრივ პლინიუსის ცნობაც საინტერესოა; მისი სიტყვით: «Jam regnaverit in Colchis Saulaces Aetiae subolis, qui terram virginem nactus plurimum auri argentique eruisse dicitur in Suavorum gente et alioqui velleribus aureis incluto regno»¹.

განხილული ცნობების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლებოდა იმ დროისათვის შედარებით მნიშვნელოვანი რაოდენობით ოქროს მოპოვება. ამ ოქროს მიღება კი, ერთი მხრით, ბუღბუღების დამუშავებით, მეორე მხრით ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობის საშუალებით შეიძლებოდა. მართლაც, როგორც აღნიშნული იყო, ბიზანტიელებსა და ლაზებს შორის საკმაოდ გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ყოფილა.

მაგრამ ბიზანტიელებისათვის ლაზების ტერიტორია მხოლოდ ამითან სავაჭრო ასპარეზი არ ყოფილა: ეს ტერიტორია მათთვის გზა იყო უფრო დიდი ვაჭრობისა ინდოეთთან, ისე რომ მათ ირანისათვის გზა აქციათ. ეს კი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება იყო, რადგან, ირანთან გამოუღებელი ომიანობის გამო, ამ უკანასკნელის საშუალებით ინდოეთთან წარმოებული ვაჭრობა ხშირად ფერხდებოდა ხოლმე, რასაც ბიზანტიელებისათვის დიდი ზარალი მოჰქონდა, როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული. «კოლხეთიდან შეიძლებოდა კასპიის ზღვასთან მისვლა, აქედან კი ჩრდილოეთის გზით სოფდიანის ოაზისის გავლა, ისე რომ სპარსეთის ტერიტორია გზააქცეული დარჩებოდა», — წერს პროფ. დილი².

ცნობილია, რომ მართლაც ინდოეთიდან დიდი სავაჭრო გზა იბერიასა და ლაზიკაზე მიემართებოდა შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირის ნავსადგურებისაკენ.

სტრაბონის მოწმობით, არისტოტელე თურმე (რომელიც ერატოსთენისა და პატროკლეს ცნობებით სარგებლობდა) აღასტურებს, რომ მდინარე ოქსი: «αὐτὴ ἐμπλοῦν εἶναι, καὶ πάλιν τὴν Ἰνδικὴν ποταμὸν κατὰ γαίαν εἰς τὴν Ἰρ-
κασίαν ἔμβαπτειν ἐντελευθέρω³ εἰς τὴν Ἀλβανίαν περαιοῦσθαι, καὶ οὖν τὴν Κν-
ρὸν καὶ τὴν ἔξω τῶν εἰς τὴν Ἐξέτεινον κατὰ φέρεισθαι»³.

¹ «კოლხიდაში მეფობდა აეტესის ჩამომავალი სავლაცე, რომელმაც მიიღო რა სამეფოებ-
ლოდ ჭამირი ქვეყანა, როგორც ამბობენ, მაგრამ მრავალი ოქრო-ვერცხლი სვანების ტომში
და საერთოდ თავის სამეფოში, რომელიც განთქმულია ოქროს ტყაებით»: Plinius Sec-
undus, Naturalis hist. L. XXXIII, 52.

² იხ. გვ. 544.

³ ოქსი: «გემოსასვლელია და მისი საშუალებით ინდოეთიდან მიტანილი საქონელი ჩა-
აქვთ ჰირკანის ზღვაში, აქედან გადააქვთ ალბანიაში და შემდეგ მტკვრის საშუალებით და მის
მიმდგომი ადგილების განვლით შეაქვთ ეფესოსის პონტში»: სტრაბონის გეოგრაფია, წიგნი
XI, თავი 7,3.

მართალია, პროფ. მანანდიანი, აკად. ბარტოლდის აზრზე დაყრდნობით ამ ვზის არსებობას უარყოფს¹, რადგან ოქსი (ამუ-დარია) კასპიის ზღვაში ჩამდინარე არ მიაჩნია იმ დროს, მაგრამ თვით აკად. ბარტოლდი ასე შორს არ მიდის. ის ექვს გამოთქვამს, რომ „Главный торговый путь шел не через прикаспийские области, а к югу от них“². ის მხოლოდ ექვს ქვეშ აყენებს კლასიკურ პერიოდში მდ. ოქსის (ამუ-დარიის) კასპიის ზღვაში ჩამდინარეობას. შემდეგ კი თვითონვე აღიარებს, რომ იგი ნამდვილად კასპიის ზღვაში ჩამდინარეობდა მონღოლების შემდგომ პერიოდში („с исторической точки зрения не может быть сомнений в том, что Аму-Дарья после Монгольского периода действительно впадала в Каспийское море“)³.

პროფ. მანანდიანი თავისი აზრის დასაბუთებლად ცდილობს გამოიყენოს იგროთვე გურკო-კრიაჟინის «Новый Восток»-ში დაბეჭდილი წერილის შინაარსი, რომელშიაც ნათქვამია, რომ „...торговые сношения Средней Азии с Закавказьем через Каспийское море были всегда чрезвычайно мало развиты“, რის საბუთადაც გურკო-კრიაჟინს მიუჩნევია: „...отсутствие средне-азиатских монет в Закавказье и обратно“⁴.

ბოლოს, პროფ. მანანდიანი დასძენს: „Приведенные возражения русских ученых“⁵ весьма существенны и достаточно убедительны“⁶. გურკო-კრიაჟინის მოსაზრება ფულების გაუვრცელებლობის შესახებ სრულიად უნიადაგოა.

ამა თუ იმ სახელმწიფოს (ქვეყნის) ფულის მის საზღვრების იქით გავრცელება შეიძლება იყო მხოლოდ ამ სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიური ექსპანსიის შედეგი. იმ დროს, რომლის ირგვლივაც აქ საუბარია, ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე არ გვეგულება ისეთი სახელმწიფო ერთეული, რომელსაც აღნიშნული პრეტენზიები შეიძლებოდა ჰქონოდა... და თვით საკუთარ ფარგლებში სატრიალებელი საკუთარი მონეტაც არ გააჩნდა. ხოლო შუა-აზიური ფულების ა/კ. ტერიტორიაზე გაუვრცელებლობა იმ გარემოებით აინსნება, რომ ამ ქვეყნებს შორის ვაჭრობა უშუალოდ არ წარმოებდა, მათ შორის შუამავლად ამ საქმეში ირანი იყო და სწორედ ამ ქვეყნის ფული იყო, რომელიც უკიდურეს შემთხვევაში შუა-აზიასა და ამიერ-კავკასიას ერთი-მეორისათვის უშუალო საქმიანობის დროს შეეძლოთ შეეთავაზებინათ.

რადგან ამუ-დარიის კასპიის ზღვაში ჩამდინარების დადასტურებას დიდი მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიის ტერიტორიის სომუხლებით შორეულ-აღმო-

¹ Проф. Манандян, О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, 83-44. Эривань.

² В. В. Бартольд, Место прикаспийских областей в истории мусульманского мира, 83-8, Баку, 1925.

³ В. В. Бартольд, იქვე.

⁴ Манандян, იქვე 83-45.

⁵ აკად. ბარტოლდს გულისხმობს.

⁶ Манандян, იქვე.

საფლეთთან ვაჭრობის საკითხის გადასაწყვეტად, ამისთვის საჭიროა ამჟ-დარის მდინარების საკითხი არსებითად განვიხილოთ და საბოლოო დასკვნას გამოვიტანოთ.

როგორც ცნობილია, მდ. ამუ-დარია ამჟამად არალის ზღვას ეროთვის. ჯერ ისევ გასული საუკუნის 70-იან წლებში წამოქრიალა საკითხი ამ მდინარის აღრიზდელი მიმართულების შესახებ და ამაზე არა ერთი მოსაზრება ყოფილა გამოთქმული.

1880 წელს გამოცემულ თავის ნაშრომში ფ. ბრუნი ვერცლად განიხილავს ყველა ცნობასა და მოსაზრებას, როგორც ისტორიული, ისე გეოლოგიური თვალსაზრისით გამოთქმულს, რომელიც მდ. ამუ-დარიის კასპიის ზღვაში ჩამდინარებას ან აღიარებს, ან უარყოფს და თვითონ იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამ მდინარის კასპიის ზღვაში ჩამდინარების წინააღმდეგ აზრი უსაფუძვლოა. პირიქით, მისი საბოლოო დასკვნით, არალის ზღვა მხოლოდ ამჟ-დარიის კასპიის ზღვიდან უკუქცევის შემდეგ ამ მდინარის წყლით არის შექმნილი¹.

ამ საკითხს მისი სადავოდ გადაქცევის თვალსაზრისით 1925 წ. კვლავ დაუბრუნდა აკად. ვ. ბარტოლდი თავის ნაშრომში, რომელიც აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციებს წარმოადგენს². იგი პირველსავე ლექციაში იხილავს ამჟ-დარიის კასპიის ზღვაში ჩამდინარების საკითხს, ილაშქრებს კლასიკურ მწერალთა ცნობების წინააღმდეგ და დასძენს, რომ მათი მოწმობა ამჟ-დარიის კასპიის ზღვაში ჩამდინარებაზე ყალბიაო, აკად. ბარტოლდი დასავლეთ ევროპის მეცნიერთ უკვირებს ამ ცნობების უკრიტიკოდ გამოყენებას და თითქოს სინანულით აღნიშნავს, რომ ამაში თვითონ მასაც ბრალი მიუძღვის. იგი უარყოფს ამჟ-დარიისა და კასპიის ზღვის საშუალებით ინდოეთიდან შავი ზღვის სანაპიროსაკენ ამიერ-კავკასიის გავლით არსებულ სავაჭრო გზის არსებობას და დასძენს, რომ „Это мнение (ე. ი. ამ გზის არსებობის შესახებ) возникло также в связи с моей работой³, где говорится о том, что река Аму-Дарья во второй половине средних веков впадала в Каспийское море“.

აღამიანს ეგონება, თითქოს აკად. ბარტოლდი ამ თავისი აზრის უკან წაღებს აპირებს, რითაც აღნიშნული გზის ვარაუდის საფუძვლის გამოცვლა სწადიაო, მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვა ხდება.

აკად. ბარტოლდი კვლავ უბრუნდება იმავე საკითხს და 12-13 ლექციას ასეთი სიტყვებით ამთავრებს: „В разное время предлагались различные теории относительно Аму-Дарьи, но мне кажется, что на основании данных, правильность которых никакому сомнению не подлежит, надо принять, что Аму-Дарья в Монгольский период впадала в Каспийское море“ (გვ. 76-77). 13-14 ლექციას კი იგი ამავე საკითხის განხილვით იწყებს,

¹ Ф. Брун, Черноморье, ч. III, стр. 165-166, 178—185. Одесса, 1880.

² В. В. Бартольд, Место прикаспийских областей в истории мусульманского мира, 1925 г. Баку.

³ ჰელისხმობს თავის ნაშრომს: Историко-географический обзор Ирана; С.-Петербург, 1903.

ველავ აკრიტიკებს როგორც როგორც პირველ წყაროებს, ისე შემდგომი მკვლევართ, და თავის მსჯელობას ასე ასრულებს: „С исторической точки зрения не может быть сомнений в том, что Аму-Дарья после Монгольского периода действительно впадала в Каспийское море“ (стр. 80).

თუ აკად. ბარტოლდის ამ აზრს გავეყვებით, რომელიც ადრინდელ ხანაში ამუ-დარიის კასპიის ზღვაში ჩამდინარებას უარყოფს, მონღოლთა ბატონობის ხანისთვის კი იგი ამას აღიარებს, ბუნებრივია, უნდა გივარაუდოთ, რომ მდ. ამუ-დარია თავდაპირველად კასპიის ზღვაში არ ჩადიოდა, შემდეგში მას მიმართულება უცვლია და სადინარი კასპიის ზღვისაკენ დაუქნია, შემდეგ აქედანაც უკუშტეშულა და პირი ახალი ზღვისაკენ უქნია, რომელსაც ამჟამად ერთვის. ამგვარი დასკვნა აკად. ბარტოლდის ნათქვამიდან უშუალოდ გამომდინარეობს. გამოდის, რომ მდ. ამუ-დარიას რამდენიმეჯერ შეუცვლია კალაპოტი. მაშ რაღა ვასაკვირია კლასიკურ მწერალთა ცნობები, რომ ამ მდინარის კასპიის ზღვაში ჩამდინარების შესახებ ჭეშმარიტებას შეიცავდეს? — თუ ჩვენ ამუ-დარიის მიმართულების ერთხელ შეცვლას ვგულისხმობდით, აკად. ბარტოლდმა თავისი დასკვნებით ამ მიმართულების რამდენიმეჯერ ცვლილება აღიარა. ყველაზე სწორი იქნებოდა თუ მივიჩნევდით, რომ ამუ-დარია კასპიის ზღვას ერთვოდა საშუალო საუკუნეების შუა ხანამდე, რის შემდეგაც მას მიმართულება შეუცვლია¹.

ამგვარად, აკად. ბარტოლდმა ვერ შესძლო ძველი ცნობების გაბათილება ამიერ-კავკასიის სატრანზიტო გზის შესახებ და პროფ. მანანდიანის ამავე გზის უარყოფელი აზრიც იმდენადვე მცდარია და უარსაყოფი.

ამუ-დარიის კალაპოტის ხშირი ცვლებადობის შესახებ თანანეროვე ცნობებიც მოიპოვება. ვაზ. „Известия“-ს 1934 წლის 29 ივნისის № 150-ში მოთავსებულია მ. სუვინსკის წერილი სათაურით „Река наступает на город“, სადაც აღწერილია, თუ ამუ-დარია წლითი-წლობით როგორ უახლოვდება, ზიანს აყენებს და ემუქრება ყარა-კალბაჯის დედა ქალაქ ტურკულს.

სუვინსკი სწერს: „Около 20 лет назад Аму-Дарья проходила в 10 километрах от Туркуля. Постепенно вся эта полоса культурных земель была „съедена“ своеиравной рекой, а сейчас Аму-Дарья подступила уже к самому городу и угрожает стене... полукольцом подбирается к городу и угрожает уничтожить культурные земли Туркульского района, столицу Кара-Калпакии, а также ирригационную сеть“...

შემდეგ: „В 1905 г. правый берег реки находился против урочища Ширим, а в 1915 г. здесь уже был левый берег. На участке Ширим река за десять лет продвинулась вправо на 6 километров“.

¹ აკად. ბარტოლდის მთავარი არგუმენტი, თერფანე ნილეტელის ცნობა აღვანელთა მტკვრის შესართავისა და კასპიის ზღვისადმი ინდუფერენტული დამოკიდებულება, რადგანაც თითქოს ეს ზღვა სავაჭრო თვალსაზრისით მათ არაავითარ სარგებლობას არ აძლევსო — კრიტიკულად შესწავლას საჭიროებს. ამ ცნობაში მოთხრობილი ვითარება მდგომარეობის ერთ რომელიმე (ვანსაზღვრული დროისა და პირობის წყალობით შექმნილ) მომენტს უნდა ვადმოვცემდე და მისა ასეთი განზოგადება სწორი არ უნდა იყოს.



ბოლოს დასძენს: „Аму. Дарья — капризная река. За 2,500 миль она шесть раз меняла направление своего течения. Теперь она впадает в Аральское море, а еще в XVI веке ее воды вливались в Каспийское море“.

პლინიუსი ამბობს, რომ ვარონის მოწმობით, პომპეუსის დროს გამოკვლეული იყო, რომ ინდოეთიდან პირდაპირ პონტოში შეიძლებოდა საქონლის მოტანა: «Adicit idem Pompei ductu exploratum in Bactros septem diebus ex India perveniri ad Bactrum flumen quod in Oxum influat, et ex eo per Caspium in Cyrum subvectos et V non aplus dierum terreno itinere ad Phasim in Pontum Indicas posse devehii merces¹».

ამ ფაზისის შესახებ V საუკუნის უცნობი ავტორი მოგვითხრობს: Οὐτως δὲ ὁ Φάσις παταμὸς ἔχει τὸ ῥέμα, κερρόμενον ἐκ τῆς Ἀρμενίας. ὅν πλησίον οἰκοῦσι μεταστάντες ἐξ Ἰβηρίας εἰς Ἀρμενίαν Ἰβήρας. Εἰσιόντων δὲ εἰς παταμὸν ἀριστερᾶ τὸν Φάσιδος παράκειται Μιλησίαν πόλιν Ἑλληνικὴ Φάσις λεγομένη, εἰς ἣν λέγεται καταβαίνειν ξίθη. ἐξήχοντα διαφόροις χρώμασι φαναις, ἐν αἷς τινὲς λέγουσιν ἀπὸ τῆς Ἰνδικῆς καὶ Βακτριανῆς συναφαιεῖσθαι βαρβάρους².

ამგვარად, ირკვევა, რომ ინდოეთისა და შორეული აღმოსავლეთიდან საქონელი მოჰქონდათ კასპიის ზღვამდის, აქედან კი ჯერ მტკვრისა და შერე რიონის საშუალებით ზღვის ნაპირის ქალაქ ფაზისში შეჰქონდათ.

ამ გზის შესახებ ინგლისელი მეცნიერი მაგაფი წერს: „შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებზე გადიოდა შორეულ აღმოსავლეთიდან მომავალი ჩრდილოეთის საქარაენო გზა, რომელიც ზღვას აღწევდა დღევანდელი ბათუმის ან ტრაპიზონის მახლობლად და რომელიც მეტოქეობას უწევდა იმ საქარაენო გზებს, სირიაზე წითელი ზღვით ეგვიპტეში რომ მიდიოდა“³.

აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევითაც: „... მთელ საქართველოსათვის უმთავრესი სავაჭრო გზა დასავლეთისა და შავი ზღვის ნაპირას მდებარე ნავსადგურებისაკენ მიდიოდა და იქ მოჰქონდათ, მეტადრე ბიზანტიიდან, სავაჭრო საქონელი და იქვე ყიდულობდნენ ბიზანტიელი ვაჭრები ადგილობრივ ნაწარმოებებს და საქონელს“⁴. არა ნაკლები მნიშვნელობისა იყო მეორე გზა, რომე-

¹ ვარონი «შმატებს აგრეთვე, რომ პომპეუსის დაშრობის დროს გამოკვლეული იქნა, რომ ინდოეთიდან შვიდ დღეში შეიძლება ბაქტრიაში მისვლა მდინარე ბაქტროსზე, რომელიც მდინარე ოქსს ერთვის და ამ მდინარეში კი კასპიის ზღვაზე გავლით შეიძლება მდინარე მტკვრამდის მისვლა და რომ ინდოეთის საქონელი არა უგვიანეს 5 დღისა შეიძლება მიტანილ იქნას ხმელეთის გზით ფაზისში». Plin. Sec. VI, 50.

² «ეს მდინარე ფაზისი დღეს არმენიიდან. ამის მახლობლად ცხოვრობენ იბერიიდან არმენიაში გადმოსახლებული იბერები, მდინარის შესართავთანვე ფაზისის მარჯვენა ნაპირზე, მდებარეობს მილეტელების აშენებული ბერძნული ქალაქი ფაზისი, სადაც, როგორც ამბობენ, თავს იყრის სამოცი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომი, რომელთა შორისაც, სოკიერთების ედმოტეებით, არიან ინდოეთიდან და ბაქტრიიდან მოსული ბარბაროსებიც». В. Латышев, Известия древних писателей о Скифии и Кавказе. Т. I, гл. 274.

³ ამოღებულია პროფ. მანანდიანის წიგნიდან: О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, стр. 44.

⁴ ივ. ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტ. I, გვ. 228.

ლიც საქართველოს სამხრეთით სომხეთის ქალაქ ღვინზე გადიოდა, ხოლო თვით ღვინში დიდი ვაჭრობა იყო გაჩაღებული. პროკოპი კესარიელის განცხადებით: «... Έκ τε γάρ Ἰνδῶν καὶ τῶν πλησιωχῶρων Ἰβήρων πάντων τε ὡς εἰπεῖν τῶν ἐν Πέρσαις ἐθνῶν καὶ Ῥωμαίων τινῶν τὰ φορτία ἐσχομαζόμενοι ἐνταυθὰ ἀλλήλοισι ξυμβάλλουσι»¹.

თუ ბიზანტიელები, როგორ სარგებლობდნენ ამ ვაჭრობით, პოლიბიოსი (II საუკ.) მოგვითხრობს: «... κατὰ μὲν γὰρ θάλατταν οὗτος ἐπίκαιται πω στόματι τοῦ Πόντου κυρίως ὥστε μήτ' εἰσπλεῖσθαι μήτ' ἐκπλεῖσθαι δυνατὸν εἶναι τῶν ἐμπόρων χωρὶς τῆς ἐκείνων βουλήσεως. Ἐχοντας δὲ τοῦ Πόντου πολλὰ τῶν πρὸς τὸν βίον εὐχρηστων τοῖς ἄλλοις ἀνθρώποις πάντων εἰσι τούτων κύριοι Βυζάντιοι. Πρὸς μὲν γὰρ τὰς ἀναγκαίας τοῦ βίου χρεῖας τὰ τε θιρέματα καὶ τὸ τῶν εἰς δουλείας ἀγομένων σωμάτων πληθὺς οἱ κατὰ τὸν Πόντον ἡμῖν τόποι παρασκευάζουσι θαψιλέστατον καὶ χρησιμώτατον ἔμπολογουμένως, πρὸς δὲ περιουσίαν μέλι κηρὸν τάριχος ἀψίνθος ἡμῖν χορηγοῦσιν. Δέχονται γε μὴν τῶν ἐν τοῖς παρ ἡμῖν τόποις περιττευόντων ἔλαιον καὶ πᾶν οἶνον γένος σίτη δ' ἀμείβονται, ποτὲ μὲν ἐνκαίρωσ διδόντες ποτὲ δὲ λαμβάνοντες»².

თუ პატარა Byzantion-ს ამდენი შეეძლო, ადვილი წარმოსადგენია კონსტანტინოპოლი რამდენად გაზრდიდა ამ შესაძლებლობას. მაგრამ პონტოს სანაპიროებიდან ბერძენ-რომაელნი სანოვაგესა და ფუფუნების საგნებთან ერთად იარაღების დასამზადებელ და სხვა საწარმოო საქმიანობისათვის საქირო რკინასაც იღებდნენ. ცნობილი პოეტი ვერგილიუსი (დაიბ. 70 წ. ძვ. წ.) ამბობს, რომ შიშველი ხალიბები რკინას გვაწვდიანო [... mittunt] ... at chalibes nudi ferrum)³.

როგორც ვხედავთ, ბიზანტიას ლაზიკასა და მთელ ამიერ-კავკასიასთან უდიდესი ეკონომიური ინტერესი აკავშირებდა. რასაკვირველია, ამ დიდ ეკონომიურ ინტერესს თან დიდი პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ინტერესებიც სდევდა. ამიტომაც ბიზანტიელები იძულებული იყვნენ ირანელების მიერ იბერიის საბოლოოდ თავისი გავლენის ქვეშ მოქცევისა ღმ თვით ლაზიკის

¹ «იქ ხომ საქონელი შემოაქვთ ინდოეთიდან, მეზობელი იბერიიდან და თითქმის ყველა, სპარსეთში მოსახლე ტომთა და რომაელების ქვეშევრდომ ზოგიერთ ხალხთა ქვეყნებიდან და ერთმანეთში ალენ-მიცემობას აწარმოებენ». B. P. II, 25; იხ. აგრეთვე მანანდიანის დასახელებული ნაშრომის გვ. 83-88.

² «... ხლვის მხრიდან ისინი ისე არიან გაბატონებული პონტოს შესავალზე, რომ საეჭრო ხომალდებს მათ ნებადაურთველად იქ არც შესვლა და არც გამოსვლა არ შეუძლიათ. პონტოში ბევრი რამ არის სხვა ხალხისთვის სასარგებლო და ყველა ეს ბიზანტიონის მცხოვრებთ უჭირავთ ხელში. ცნობრების აუცილებელი მოთხოვნილებებისათვის პონტოს ქვეყნები გვაწვდიან ჩვენ მსხვილფეხა საქანელს და დიდი რაოდენობით უდაოდ საუკეთესო მონებს, ხოლო ფუფუნების საგანთაგან ბლომად გვაწვდიან თაფლს, ცვილსა და დამარილებულ თევზეულს. ჩვენგან კი იღებენ იმას, რაც უხვად მადის ჩვენში: ხეთი და ყოველგვარი ღვინოები. ბურთი კი მონაცვლოებენ: ხან გვაწვდიან მას საქიროების დროს, ხან კი ჩვენგან ღებულობდენ»: პოლიბიოსი, IV, 38).

³ В. Латышев, II, 1, გვ. 14.



დასაპყრობად მათი ლტოლვისათვის ჯეროვანი ანგარიში გაეწიათ და განუხრებლად გაემაგრებინათ, რა თქმა უნდა, ლაზების ერთგულებაზე დამყარებაზე. ლაზების სიძლიერე და პოლიტიკური წინდაუხედაობა იქნებოდა, ამიტომ ისინი უნდა ცდილიყვნენ თავისთვის აქ უფრო მტკიცე დასაყრდენი შეექმნათ, რაც უნდა ძვირად დასჯდომოდათ ეს და ამ მიზნისთვის რა საშუალების ხმარებაც არ უნდა დასჭირვებოდათ. თუ უწინ ლაზების მიმართ ლმობიერი პოლიტიკა საკმარისი იყო მათს ქვეყანაში ბიზანტიელთა ინტერესების დასაცავად და იგი ამ ინტერესებთან იყო შეწონილი, — ახლა ეს აღარ კმაროდა; საჭირო გახდა უფრო აქტიური პოლიტიკის წარმოება, რასაც ბიზანტიელნი დაუყოვნებლივ კიდევ შეუდგნენ.

ამ პოლიტიკის შედეგად მათ ლაზების განდგომა მიიღეს.

პროკოპი კესარიელი ლაზთა განდგომის მთავარ მიზეზად ბიზანტიელთა ჯარის უფროსების ცუდ საქციელს ასახელებს. რა თქმა უნდა, მოსალოდნელია, რომ ბიზანტიელი მოხელენი თავისი უკუღმართი საქციელით ლაზების უკმაყოფილებას აღრმავებდნენ, მაგრამ მოხელეთა ეს უკუღმართი საქციელი მათი პირადი ხასიათის შედეგი არ ყოფილა და არც მათი თანდაყოლილი ბოროტი ბუნებით აიხსნება მხოლოდ. უეჭველია, მათი მოქმედება შეთანხმებული იყო იმპერიის იმდროინდელ პოლიტიკასთან ლაზიკაში, რასაც უფრო ცხადად ამ პოლიტიკის დაწვრილებითი გარჩევა დაგვანახებს.

განვიხილოთ, რანაირი უნდა ყოფილიყო ეს პოლიტიკა. მას შემდეგ, რაც ირანელებმა აღმოსავლეთ საქართველოში ფეხი მოიმაგრეს და იბერიის მიწა-წყლის საშუალებით ბიზანტიელთა მთავრობის ქვეშე მყოფ ლაზიკას დაუკავშირდნენ ტერიტორიულად, ცხადია, ბიზანტია ლაზიკაში ადრინდელი პოლიტიკით ვეღარ დაკმაყოფილებოდა. მას იმდენად მნიშვნელოვანი ინტერესები აკავშირებდა ამ ქვეყანასთან, რომ მისადმი გულგრილად მოკიდება ბიზანტიის მთავრობის მხრით სახელმწიფო დანაშაული იქნებოდა. თუ კი ირანელებს აფიქრებდა ის გარემოება, რომ მათი უფლებისა და გავლენის გარეშე მყოფი ლაზიკა შეიძლებოდა აჯანყებულ იბერიელებს თავშესაფარად გამოსდგომოდა, რის გამოც კეთილგონიერება უკარნახებდა მათ ამ გარემოებისთვის სათანადო ყურადღება მიექციათ და მათ ეს არც დაუყოვნებიათ: ისინი არა თუ მარტო ლაზიკის დაპყრობას ლამობდნენ, არამედ, როგორც პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს, ხოსრო მეფეს განზრახული ჰქონია ლაზების აყრა და მათ ადგილზე ირანელების დასახლება¹, — მით უმეტეს ბიზანტიელებს ევალებოდათ ამ ფრონტზე ფრთხილად ყოფილიყვნენ. სწორედ ამ მიზეზებმა აიძულა ბიზანტია ლაზიკის საკითხი სერიოზულად დაეყენებინა. თუ დღემდე ლაზიკის მოვალეობა სტრატეგიული თვალსაზრისით მხოლოდ ჩრდილოეთის საზღვრებიდან ველურ ტომთა მოსალოდნელი შემოსევების ალაგმვა და ამ შემოსევების ბიზანტიის იმპერიის სამფლობელოებისათვის თავიდან აცილება იყო, — ახლა მის მოვალეობას მნიშვნელოვანი მუხლი მიემატა: იმავე სამფლობელოების დაცვა ირანელთა შემოსევისაგან და ლაზიკის საშუალებით აღმოსავლეთთან წარმოებული ვაჭრობის უზრუნველყოფა.

¹ B. P. IV, 28.

განდგომილი ლაზები პირდაპირ ეუბნებიან ხოსროს, რომ თუ ირანი დასუსტდება, შეიერთებს, მაშინ მისთვის ადვილი იქნება ბიზანტიის დამარცხება, რადგან ლაზიკის ტერიტორიით შავ ზღვაზე მისვლა შეიძლება, აქედან კი, თუ ხოსრო ხიმალდებს ააგებს, შეუძლია უშუალოდ ბიზანტიის სატახტო ქალაქს, დამუქროს¹.

ყველა ამის გამო ბიზანტია იძულებული გახდა ლაზიაში ამიერიდან ისეთი პოლიტიკა ეწარმოებინა, რომელიც ამ ქვეყნის მის ხელთაგან სრულ დამოკიდებულებას უზრუნველყოფდა. მას ლაზიაში უნდა შეექმნა ისეთი პირობები, რომ ზემოაღნიშნული საფრთხე თავიდან აეცილებინა. ამიტომ იგი ძველი (პასიური) პოლიტიკის ნაცვლად აქტიური (აგრესიული) პოლიტიკის წარმოებას შეუდგა.

რასი გამოიხატა პრაქტიკულად ეს პოლიტიკა?

ბროკოპი კესარიელის სიტყვით, ლაზები თურმე ვერ ურიგდებოდნენ ბიზანტიელთა ჯარის-უფროსების ანგარ პოლიტიკას, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ამ უფროსებმა მთელი ვაჭრობა თავის ხელში ჩაიგდეს; თვითონ ყიდულობდნენ ლაზებისაგან თავიანთ მიერვე დაწესებულ ფასებში იმას, რაც ამ უკანასკნელებს გასაყიდი მოეპოვებოდათ, ხოლო ლაზები იძულებული იყვნენ თავისთვის საჭირო საგნები იმავე ჯარის უფროსებისაგან ეყიდათ და არა უშუალოდ ვაჭრებისაგან. ჯარის უფროსები კი ჩარჩობას ეწეოდნენ. ვაჭართაგან შესყიდულ საქონელს ძალდატანებით ჰყიდდნენ ლაზებზე, რომელნიც მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას ეს საგნები სხვისგან და სხვა ადგილზე შეეძინათ. უმჯობესია თვით საბუთებს მოვეუსმინოთ: «ხოლო შემდეგ იუსტინიანემ სხვა მთავრები გაგზავნა ლაზიაში, მათ შორის იოანეც, რომელსაც ციბეს უწოდებენ, კაცი არა წარჩინებულთა და არა ხელოვანთა შთამომავალი, რომელმაც სტრატეგოსობამდე მიაღწია სხვა არაფრით, გარდა იმისა, რომ ყველაზე უფრო საზიზღარი იყო და ყველაზე უფრო მოხერხებული ფულის საშოვნელად უსამართლო საშუალებათა გამოგონებაში. ის იყო, რომ რომაელთა და ლაზთა ყველა საქმეები გაამრუდა და არიგ-დარია. მანვე დააჯერა მეფე იუსტინიანე ლაზების ქვეყანაში ზღვისპირა ქალაქი აფსენებინა, სახელად პეტრა. იქ იჯდა ის, ვითარცა აკროპოლისში, და ძარცვავდა ლაზთა ქონებას. ვაჭრებს ხომ უკვე ნება აღარ ჰქონდათ კოლხი-დაში შეეტანათ მარილი და სხვა საქონელი, რაც ლაზებისთვის აუცილებლად საჭიროა, არც აქედან შეეძლოთ რამე ეყიდინებინათ, არამედ მან (ე. ი. იოანემ) შემოიღო ეგრეთ წოდებული მონოპოლი და თვით გარდაიქვა მეწერილმანედ და მთელი ამ საგნებით ვაჭრობის ზედამღვამად: ყველაფერს ჰყიდულობდა და აწვდიდა კოლხებს არა ისე, როგორც ეს ჩვეულებრივ იყო, არამედ ისე, როგორც ის მის მიერ ნებადართული იყო»².

ხოსროსთან მისული ლაზთა ელჩები მას ბიზანტიელთა ამგვარი მოღვაწეობის შესახებ მოახსენებენ: «რაც კი საჭირო საგნებიდან მათთვის ზედმეტი აღმოჩნდება, მის ყიდვას აიძულებენ ლაზებს, მათი ნების წინააღმდეგ; ხოლო, რაც მათთვის საჭირო საგნებიდან ლაზიკას შეუძლია მისცეს, ისინი ფიქრობენ,

¹ B. P. II, 15.

² B. P. II, 15. ს. ყაუხჩიშვილი, Georgia II, გვ. 47—48.



რასაკვირველია, მათ შესყიდვას ჩვენგან მხოლოდ სიტყვით, რადგან ფსიქოლოგურ შემთხვევაში წესდება მართველთა აზრისდა მიხედვით. ამნაირად, საქმის საგნებთან ერთად ისინი გვართმევენ მთელ ოქროსაც და უწოდებენ ამას ვაჭრობის კეთილშობილ სახელს, საქმით კი ისინი გვმძლავრობენ რაც შეიძლება უფრო მეტად. ჩვენ გვიყენია მთავარი მეწვრილმანე, რომელიც ჩვენს სიღარიბეს, ძალა-უფლების წყალობით, მოგების საშუალებად ხდის¹.

პირველივე შეხედვით ცხადია, რომ აქ ლაპარაკია იმ ცნობილ სახელმწიფო სავაჭრო მონოპოლიაზე, რომელიც ბიზანტიაში იყო შემოღებული და რომელსაც ლეი ბრენტანო ასე ახასიათებს: „В тех пограничных городах, в которых по приказанию византийского императора должен был происходить товарообмен между его подданными и персами, императорские чиновники отправляли функции не только сборщиков таможенной пошлины, они являлись вместе с тем правительственными комиссарами по закупке шелко-сырца...“

... Таможенные чиновники поставляли ко двору не все приобретенные им материи. Напротив того, им вменялось в обязанность продавать часть приобретенных ими товаров и притом по покупной цене частными лицами².

თუმცა ლ. ბრენტანოს აქ მხოლოდ აბრეშუმის ვაჭრობა აქვს მხედველობაში, მაგრამ ბიზანტიის მოხელეების ლაზიკაში მოქმედების შედეგად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ვაჭრობის ეს წესი სწვა ობიექტებზედაც ვრცელდებოდა. მაგრამ საკითხავია, რადა ახლა მოუნდა ბიზანტიას ლაზიკაში მონოპოლიის შემოღება და ამით ლაზთა უქმყოფილების გამოწვევა, როცა, პირიქით, შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა მას ლაზებთან კეთილგანწყობილების განმტკიცებას უკარნახებდა?

საქმე ის არის, რომ, როგორც ცნობილია, მონოპოლია მიზნად ისახავდა სახელმწიფო რესურსების გაძლიერებას, რასაც დაუსრულებელი ომები დაუზოგველად მოითხოვდა; ამ ომიანობას იუსტინიანეს დროს ტემპი ემატება, რადგან იგი იმპერიის მიერ წინააღრინდელი დაკარგული სამფლობელოების დაბრუნებას ისახავდა მიზნად: „Византинизм в VI веке стремится к универсальной империи и задается целью восстановить римскую империю в ее прежних границах“³.

თუ ლაზიკაში აქამდე არ ყოფილა მონოპოლია, ეს იმ პასიური პოლიტიკით აისხნება, რომელსაც ბიზანტიის მხრივ აქ ჰქონდა ადგილი. ახლა კი, როდესაც საჭირო გახდა აქ დიდი ლაშქრის შენახვა, რასაც ბიზანტია ადგილობრივი რესურსების გამოყენების გარეშე ვერ მოახერხებდა, ბიზანტიელნი იძულებული გახდნენ მიემართათ ამ ნაცადი საშუალებისათვის. ამასთანავე ეს იყო ეკონომიური ზეგავლენის ცდა, რათა ამ გზით ლაზები მეტად დამოკიდებული

¹ იქვე.

² Л. Брентано, Народное хозяйство Византии, стр. 31, Ленинград 1924.

³ Ф. Успенский, Ист. визант. имп., т. I, стр. 425.

გაეხადათ და ბიზანტიელთადმი ერთგულება აეძულებინათ და ბოლოს¹ ლაზიკში მთავარია, ეს იყო სერგიოზული ნაბიჯი აღმოსავლეთის ბაზრის ერთი თვალსაჩინო კვანძის ხელში ჩაგდებას მიზნით გადადგმული: ბიზანტია ხომ აქეთ სწორედ ამისთვის მოდიოდა; გაუთავებელი ომიანობაც ამის გულისთვის იყო ატეხილი. რასაკვირველია, შესაძლებელია ამგვარი პოლიტიკის გამტარებელ მოხელეთაგან ბიროკრატებმდებას ჰქონდა ადგილი და უამისოდ არც შეიძლებოდა, მაგრამ რომ მთელი პოლიტიკა მხოლოდ მათი ანგარებით აგვენსა, ეს შეცდომა იქნებოდა. ძნელი საფიქრებელია, ერთი მხრით, ბიზანტიელი მოხელენი იმდენად უპასუხისმგებლო ყოფილიყვნენ, რომ თავისი უხეში საქციელი იმ ქვეყანაში, სადაც ბიზანტიელთა საქმეები განსაკუთრებულ მდგომარეობაში იყო, მათთვის მისატყვებელი ყოფილიყო და, მეორე მხრით, რომ ამავე გარემოების გამო ბიზანტიის მთავრობას, რომელსაც ფხიზელი მზრუნველობა ევალებოდა, თავისი მოხელეებისათვის ასეთი თავხედური მოქმედების ნება მიეცა. ცხადია ისიც, რომ პროკოპი კესარიელს ძალიან კარგად ესმოდა, თუ რას ნიშნავდა მის მიერ აღწერილი ჯარის უფროსთა ეს სავაჭრო მოღვაწეობა, ე. ი. რომ ეს მონობოლია იყო, მაგრამ მას არ შეეძლო ბრალდება პირდაპირ აქეთკენ მიემართა, რადგან ეს ბიზანტიის მთავრობის დისკრედიტაცია იქნებოდა. მართლაც, იგი თავისი შრომის მეორე ადგილას, სადაც ქ. პეტრას შესახებ აქვს ლაპარაკი, ამბობს; «აქ იოანე ეგრეთ წოდებული ციბე, მონობოლიის დამაწესებელი, ლაზთა ვანდგომის მიზეზი შეიქნა»².

მაგრამ პეტრა მარტო სავაჭრო პოლიტიკის 'გამტარებელი ცენტრი როდი იყო, იგი იმავე დროს ლაზიკაში ბიზანტიელთა სამხედრო ბაზას წარმოადგენდა და, როგორც ასეთი, მიმართული იყო, ერთი მხრით, ირანელების, მეორე მხრით კი ლაზების წინააღმდეგ: თუ პირველნი განიზრახავდნენ ბიზანტიელთა პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების შელახვას, უკანასკნელნი კი — ბიზანტიელთა ურჩობას. პეტრაში იმყოფებოდა ბიზანტიელთა მოქმედების წარმართველი შტაბი, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა ცენტრალური ხელისუფლების დირექტივებით³.

აკად. თ. უსპენსკი ამას მხოლოდ გაუბედავად აღიარებს: «Можно, конечно, думать, что в характере деятельности Цива выражалась целая система. В самом деле, выстроенная при нем в Лазике крепость по имени Петра, на морском берегу неподалеку от Риона (древний Фазис), выражает государственную тенденцию. Здесь был устроен не только облот византийского влияния с важными запасами и провиантом, но также и таможенное ведомство»⁴. ამ საბაჟო უწყებაში თ. უსპენსკი იმას გულისხმობს, რაც, როგორც დაეინახეთ, სავაჭრო მონობოლია იყო.

¹ ს. ყაუხჩიშვილი, Georgia, II. გვ. 78, 51-52.

² შეად. ს. ჯანაშია, უფოდალური რეეოლუცია საქართველოში, გვ. 27.

³ რასაკვირველია, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ცივის მოღვაწეობის ხასიათში მთელი სისტემა იყო გამოხატული და, მართლაც, მის დროს ლაზიკაში შექმნილი სიმაგრე, ზღვის პი-



ბიზანტიელთა ლაზიკაში ასეთი განმტკიცების შემდეგ ლაზიკაში უბრალო პროვინციადღა განიხილება. აქი ამიტომაც ბიზანტიელნი ზემოლნიმ-ნულთ არ დაქმნაყოფილდნენ. მათ ეკონომიური (მონოპოლია) და სამხედრო (ქ. პეტრა) ძლიერების ხელში ჩაგდებასთან ერთად, პოლიტიკური უზენაესობის მოპოვებაც განიზრახეს და კიდევ მიადწიეს თავის მიზანს. ლაზთა ელჩები შეს-ჩივიან ხოსროს, რომ: «... τα μὲν γὰρ ἡμετέροι βασιλεῖς τὸ στήμα μόνον τῆς βασι-
λευκᾶς ἀπολαμβάνουσ ἀπὸ τῆς ἐξουσίας ἐπὶ τῶν ξέρον ἀφ' ἡμετέρων, καὶ ἀδύνατοι
βασιλεῖς ἐν ἡμετέροις μισοῦσι τὸν βασιλευσιντα στρατηγὸν δεδιδᾶς»¹.

ბიზანტიელები არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რათა ლაზები ყო-ველმხრივ დაიმორჩილონ, თავისგან ჰყონ დამოკიდებული, რომ ლაზებს არ მიეცეს საშუალება ბიზანტიელებს უღალატონ და ამით ისინი საფრთხეში ჩააგ-დონ, რათა მათ (ბიზანტიელებს) ლაზიკაში დამოუკიდებელი, საკუთარი, ბიზან-ტიური პოლიტიკის წარმოება შესძლონ.

მართლაც, როგორც არშაკიღთა საგვარეულოს მეთაურობით იმავე ხანებში ბიზანტიისაგან განდგომილი სომხების ირანის მეფის წინაშე წარმოთქმული სიტყვიდან ვიცით, თურმე დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი ლაზები და ქანები ბიზანტიელთაგან დიდ შევიწროებას განიცდიდნენ².

თუ ყველა ზემოთქმულს შევაჯამებთ, მივიღებთ, რომ: ბიზანტია იწყებს წინაგანი ცხოვრებით ნაკარნახევი მიზნების განხორციელებას აღმოსავლეთში, რაც პირველ ყოვლისა აღმოსავლეთის ვაჭრობის ხელში ჩაგდებას გულისხმობდა. ლაზიკაში სავაჭრო მონოპოლიის შემოღებაც ამ მიზანს ემსახურებოდა. ამასთანავე აღმოსავლეთ საქართველოში ირანის განმტკიცებით შეფიქრებულნი ბიზანტია, ლაზიკაში საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების დაცვის მიზნით, იძულებულია იქ აქტიური პოლიტიკის წარმოებას შეუდგეს, რისთვისაც მიჰმართავს ეკონომიურ (მონოპოლია), სამხედრო (ქ. პეტრა) და პოლიტიკურ (მეფის უფლების იგნორირება) ზეგავლენას, რაც ლაზთა უქმყოფილებას იწვევს და მათი ბიზანტიელებისაგან განდგომით მთავრდება.

ამ ამბების სარბიელზე მზადდება საუკუნო ზავის დარღვევის პირობები.

X

როგორც წინა ნაკვეთში მოყვანილი ამბების განხილვით დავინახეთ, ე. წ. საუკუნო ზავი არა თუ საშუალოდ არ აღმოჩნდა, არამედ ის ახლო მომავალშივე ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის ომს ამზადებდა. 540 წელს უკვე მომწი-ფებული იყო პირობები იმისათვის, რომ ეს ზავი დარღვეულიყო.

რად, მაშობლად რიონისა (ძველად ფაზისი) პეტრას სახელწოდებით, სახელმწიფო ტენდენ-ციას გამოჰხატავდა. აქ იყო მოწყობილი ბიზანტიელთა არა მხოლოდ გავლენის საყრდენი სამხედრო მარაგითა და სანოვაგით, არამედ აგრეთვე საბაჟო უწყებაც³.

¹ ჩვენს მეფეს ზამ მეფობის მხოლოდ გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალა-უფლება საქმეებში თვითონ მოითვისეს; მეფეც მისამახურის ბედში იმყოფება და განქარაუ-ლებელი სტრატეგოსის ეშინიან». B. P. II, 15, ს. ყაუხჩი შვილი, Georgia, II, გვ. 50.

² B. P. II, 3.

540 წელსავე ხოსრომ სირიაზე მიიტანა იერიში და, ბიზანტიელთა წინააღმდეგობისდა მიუხედავად, იგი ხელთ იგდო. ამ გამარჯვებით გათამამებული და ლაზების შეპირებით ზურგ-გამაგრებულ, ხოსრო 541 წელს დიდძალი ლაშქრით უკვე ლაზიკისაკენ გაემართა.

ცხევ უკვე შიგნიდან იყო გატეხილი და ამით ხოსროს ლაშქრობაც გადავილებული. ვასცდა თუ არა იბერიის საზღვრებს, ირანთა ლაშქარს წინ მიეგებნენ ლაზები, რომელნიც გაუვალი გზების გაწმენდითა და შეკეთებით მხედრობას წინსვლას უზღვიდნენ. ირანელები ლაზთა წინამძღოლობით უზრუნველად შევიდნენ შუა ლაზიკაში და ბიზანტიელების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციებს შეუდგნენ¹. პირველი იერიში მათ პეტრაზე მიიტანეს როგორც ბიზანტიელთა სამხედრო და ეკონომიური ბაზის წინააღმდეგ. ბიზანტიელი გარნიზონის უფროსის იოანე ციბეს მიერ მოტყუებული ირანელები პეტრას კედლებთან საგრძნობ ზიანს განიცდიან, მაგრამ პეტრას მინც აიღებენ. ციხეში მხოლოდ ირანელების რაზმი რჩება, ხოსრო კი იძულებულია უკანვე გაბრუნდეს, რადგან ცნობა მოუვიდა — ველიზარის შეთაურობით ბიზანტიელთა ჯარი ირანის სამფლობელოში შეიჭრაო...².

რა თქმა უნდა, ხოსროს წასვლა იმას არ ნიშნავდა, რომ ხოსრომ ლაზიკის დაპყრობაზე ხელი აიღო. პირიქით, ის ამ საქმეზე გრანდიოზულ გეგმას თხზავს, რომელიც იუსტინიანეს მსოფლიო იმპერიის შექმნისადმი მისწრაფების იდეას შეიძლება გვერდით ამოუდგეს. ხოსროს ეს გეგმა იმდენად საინტერესოა, თანაც ისე ნათლადა და მკაფიოდ გადმოგვცემს მის ზრახვებს ლაზიკისადმი, რომ უმჯობესია იქნება თვით პირველწყაროს მოვუხმინოთ: «მან (ე. ი. ხოსრომ) გადაწყვიტა ქალაქი დარა აეღო მოულოდნელად და ლაზიკიდან კოლხები ყველანი გამოესახლებინა, ხოლო მათ ნაცვლად სპარსელები დაესახლებინა... მას ხომ ღირსშესანიშნავ მოპოვებად მიიჩნდა კოლხიდის ქვეყანა ჰქონოდა მტკიცე საკუთრებად მითვისებული, რადგან, მისი აზრით, სპარსეთის ძალა-უფლებას ეს დიდ სარგებლობას მოუტანდა; იბერიაც ხომ მომავალში უშიშრად ეპყრებოდა, რადგან იბერებს აღარ ეყოლებოდათ ის ხალხი, ვისთანაც ისინი განდგომის შემთხვევაში თავს გადაირჩენდნენ... აგრეთვე ლაზიკის მახლობლად მოსახლე ჰუნებისაგანაც სპარსელთა სახელმწიფო სამუდამოდ დაურბეველი იქნებოდა, ხოლო ვაკილებით უფრო ადვილად მიუსევდა იმათ რომელთა სახელმწიფოს, როცა კი ეს მისთვის სასურველი იქნებოდა; კავკასიაში მოსახლე ბარბაროსთათვის მხოლოდ ლაზიკა არის საწინააღმდეგო ტიხრი, ყველაზე უფრო კი მას იმედი ჰქონდა, ლაზიკის მხრივ გაძლიერება სპარსელებისთვის იმით იქნებოდა სასარგებლო, რომ იქიდან შეტევით ისინი ადვილად შესძლებდნენ თავს ღასხმოდნენ ხმელეთითაც და ზღვითაც, ეგრეთ წოდებულ ევქსინის პონტზე მდებარე სოფლებს, დემორჩილებინათ კაპადოკიელები, მათი მოსახლეობა გალბტელები და ბითინიელები და მოულოდნელად დაეპყროთ ბიზანტიელები, ისე რომ მათ არავინ წინააღმდეგობას არ გაუწევდა»³.

¹ B. P. II, 15.

² B. P. II, 19.

³ B. P. II, 28. ს. ყაუხჩიშვილი, *Georgica II*, გვ. 64—67.



ირანის ლაზიკითა და მასთან ერთად მთელი საქართველოს ტერიტორიული დაინტერესების ეს ცნობა განმარტებას არ საჭიროებს, აღარც იმის სტრატეგიული ბით აღნიშვნა საჭირო, რომ ამ ცნობის გადმომცემი ბიზანტიელი ისტორიკოსის მონათხრობში გამოსჰვივის ბიზანტიის მიერ ირანის ლაზიკისადმი ზრახვებისა და მათთან დაკავშირებული საფრთხის სრული შეგნება.

სხვათა შორის, აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება. დიდსა და პატარა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში ამ პერიოდში დიდი გარდატეხა ხდებდა, ეს თავალსაჩინოდ მოჩანს ბიზანტიისა და ირანის ლაზიკა-იბერიის მიმართ ურთიერთობაში.

უწინ დიდსა და პატარა სახელმწიფოებს შორის დამოკიდებულებას მეგობრობისა და მოკავშირეობის ხასიათი ჰქონდა და „ქვეშევრდომობა“, როგორც ამას საისტორიო წყაროები აღნიშნავენ, მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ მფარველი სახელმწიფოს მეფე ქვეშევრდომ მეფეს ტახტზე ასვლის შემდგომ ფორმალურ სანქციას აძლევდა და ინვესტიტურის სათანადო ემბლემებს ანიჭებდა¹, რაც, უეჭველია, თანამედროვე ენაზე რომ გადმოვიტანოთ, ამ სახელმწიფოთა შორის მკიდრო დიპლომატიური ურთიერთობის აღმნიშვნელი, მაგრამ იმავე დროს ქვეშევრდომი სახელმწიფოს პოლიტიკური (სამხედრო) ორიენტაციის აღმნიშვნელიც იყო და ერთგვარ პროტექტორატს ნიშნავდა.

ბიზანტიასა და ლაზიკას შორის სწორედ ასეთი დამოკიდებულება სუფევდა. „ეს დამოკიდებულება მხოლოდ გარეგნობაზე იყო დამყარებული და უფრო მფარველობას წააგავდა. ლაზები ანუ კოლხები არც ხარკს, არც განსაკუთრებულ გადასახადს არ უგზავნიდნენ კეისარს, არც სხვაფრივ რაშიმე ემორჩილებოდნენ მას. ომიანობის დროს ლაზების მოვალეობა იყო თავიანთი ჩრდილოეთის საზღვრები გაემარებინათ, იქიდან ჰუნები არ გადმოეშვათ და ამით დაეცვათ ბიზანტიელების სამფლობელოები მურის შემოსევისაგან. ლაზიკის მთავრებს ხელისუფლების ნიშნებს ბიზანტიის კეისარი უგზავნიდა“².

ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი პატარა სახელმწიფოების მიმართ ჩვენ თითქმის არ მოგვეპოვება ცნობები, რომ ისინი ერთსა და იმავე დროს ორ დიდ სახელმწიფოსთან უოფილიყვენ სსენებულის მსგავს ურთიერთობაში. დიდი სახელმწიფოსთვის ეს იმას ნიშნავდა, რომ მეორე დიდი სახელმწიფოს წინააღმდეგ მას თავის დამოკიდებულებაში მყოფი პატარა სახელმწიფო მოკავშირედ გააჩნდა; დიდი სახელმწიფო არ აცხადებდა ქვეშევრდომი სამეფოს მიმართ შინაურ საქმეებში ჩარევის პრეტენზიას. ასეთი ურთიერთობა იყო, მაგ., იბერიისა და რომის იმპერიას შორის II-III საუკუნეებში, მაგრამ ამავე დროის მახლობლად არის მოცემული ჩანასახი ახალი მოვლენისა, რომელიც თანდათან თავს იჩენს და რომელმაც უკვე V საუკუნეში თვით იბერიაში ასეთი შეფასება ჰპოვა: „ყოველთვის რომაელებთან და სპარსელებთან ბრძოლა ჰქონდა იმიტომ, რომ თითოეული იმ ერთგვანი მფარველობის აღმოჩენის დროს სულ იმაზე

¹ B. P. II, 15; ივ. ჯავახიშვილი, ქართველის ისტ. V. I² გვ. 219.

² B. P. II, 15.

ფიქრობდა, რომ მთელ ამ ქვეყანას როგორმე დაჰპატრონებოდა“, მოკერძობის იბერიის შესახებ მეტრე ქართველის ცნობებზე¹.

ეს ტენდენცია თანდათან ფეხს იკიდებს და VI საუკუნეში მან უკვე მსაფრო ხასიათი მიიღო, რადგან ამ დროს დიდ სახელმწიფოთა შორის ახალი პრობლემა წარმოიშვა. თითოეული მათგანის საკუთარი ბატონობის გაფართოებისა და მეტრე ქე დიდი სახელმწიფოს წინააღმდეგ რვაღური ძალის დაპირისპირების მისწრაფებამ საჭირო გახადა ქვეშევრდომი სამეფოების დაპყრობა, მათთვის დამოუკიდებლობის წართმევა და მათი ისე გამოყენება, როგორც ამას უწინ მფარველი და აწ დამპყრობელი დიდი სახელმწიფოების ინტერესები და მიზნები მოითხოვდა. დიდი სახელმწიფოების მიერ პატარების მიმართ ასეთი კურსის აღება VI საუკუნის დამახასიათებელი მოვლენაა და რაც პატარა სახელმწიფოებს ამ ნიადაგზე შეემთხვათ, მეტად საინტერესოა როგორც ზოგადი, ისე კერძო ისტორიული თვალსაზრისით.

ბიზანტია და ირანი VI საუკუნეში ამ ახალი თვალსაზრისით იხილავენ ლაზიკა-იბერიის მიმართ საკუთარ ურთიერთობას და თითოეული მათგანი ცდილობს სასწორი თავისკენ გადახაროს. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით ირანმა გადადგა, რომელმაც იბერიიდან გურგენ-მეფე გააძევა და ეს ქვეყანა თავის ხელთ მოიბრტყია. იგი ამავე პოლიტიკაა განაგრძობს ლაზიკის მიმართაც... ამასვე სხადის ბიზანტიაც. ამ გარემოებით აიხსნება ორივე იმპერიის ლაზიკის მიმართ მოქმედების პარალელები.

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ამ ახალ ხასიათს პატარა სამეფოებმა აღლო დროზე ვერ აუღეს და, მეგობრობისა და მფარველობის ძებნაში, ჯერ ისევ ძველ ტრადიციებს განაგრძობენ, მაგრამ ამის ნაცვლად მხოლოდ დაპყრობით მისწრაფებებს აწყდებიან და ხან აქეთ, ხან იქით დაქანაობენ. მათ მეტად გვიან შეიგნეს, რომ ამგვარი საფრთხის წინაშე საჭირო იყო მათი — პატარა სახელმწიფოების — ურთიერთშორის გაერთიანება და საკუთარი ძალების კონსოლიდაცია, რათა დამპყრობელთა წინააღმდეგ შეერთებულად ემოქმედათ. უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ამ მოქიშვე დიდ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობას თუ როგორმე ჯამოიყენებდნენ ხოლმე ისინი.

როგორც ვთქვით, ხოსრო იძულებული იყო შეეწყვიტა ლაზიკაში ლაშქრობა და ირანს მიჰშველემოდა. ბიზანტია, დასავლეთში ცვალებადი ომიანობის გამო, აღმოსავლეთში მაინცდამაინც ძლიერად არასოდეს თავს არ გრძნობდა, და ამიტომ მან ახლაც ზავი არჩია. ველიზარის დივერსიას ხოსროს ლაზიკაში მოქმედების შეჩერება ჰქონდა მიზნად დასახულად.

იუსტინიანემ თავისი ელჩები (კონსტანტინე და სერგი) გაგზავნა ხოსროსთან ზავის შესახებ მოსალაპარაკებლად, რომლის პირობაც უნდა ყოფილიყო ირანელთა მიერ ბიზანტიელებისთვის ლაზიკის აღვიღების დაბრუნება². ხოსრომ ჯერ წინასწარი დროებითი ზავის შეკვრა მოითხოვა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ურთიერთშორის ნორმალური მისვლა-მოსვლის საშუალებით გადაეწყვი-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 249-250.

² B. P. II, 28.



ტათ ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტა არც თუ ისე ადვილი იყო მისთვის ექიმ ტრიბონიანისა და, როგორც ყოველთვის, ფულის გზავნის მოითხოვდა. იუსტინიანემ სიამოვნებით გაგზავნა ტრიბონიანი და თან 2000 ოქრო გაატანა, რის შემდეგაც ხუთი წლით დროებითი ზავი იქნა შეკრული. მაგრამ ამ ზავმა ბიზანტიელებს შვება ვერ მოუტანა. პირიქით, დროებითი ზავი სამხედრო მოქმედების შეწყვეტას ნიშნავდა და ბიზანტიელებმა კიდევ შესწყვიტეს იგი მესოპოტამიაში (ლაზიკაში სამხედრო მოქმედება იმ მომენტში ხოსროს აქედან წასვლის გამო შეწყვეტილად ითვლებოდა). ამით ირანელებს საშუალება მიეცათ მთელი ყურადღება ლაზიკისაკენ მიეპყრათ, სადაც ისინი პეტრას ადების შემდეგ გაბატონებული იყვნენ და დროებითი ზავი ამ მხრივ მათთვის ხელისშემშლელი ვერ იქნებოდა, რადგან იგი ზავს შეეკრის მომენტში წარმოებულ საომარი მოქმედების შეწყვეტას გულისხმობდა და ლაზიკის ფრონტზე არა ვრცელდებოდა. ეს ირანელების დიდი დიპლომატიური გამარჯვება იყო: ხოსრომ ამ ფრონტზე, რომლის გაჩენამაც მას ლაზიკის საქმეებში ხელი შეუშალა, მშვიდობიანობა მოიპოვა და ლაზიკაში მოქმედებისთვის ხელი გაიხსნა¹.

ამის შემდეგ ხოსროს მტდელობა იქითკენ არის მიმართული, რომ დროებითი ზავის განმავლობაში ლაზიკა სავსებით ხელში ჩაიგდოს და ბიზანტიელები ფაქტის წინაშე დააყენოს, რათა ნამდვილი ზავის პირობებზე ლაპარაკის დროს აიძულოს ისინი შექმნილი მდგომარეობა ძალაუხმებურად აღიარონ, როგორც ეს 532 წელს იბერიის მიმართ იყო ჩადენილი. ამ მიზნით ის ლაზიკაში გაღამ-წყვეტ-აგრესიულ მოქმედებას ავითარებს. რასაკვირველია, არც ბიზანტიელები არიან გულხელდაკრეფილი და ირანელებს თავის მხრივ ლაზიკაში მსგავსივე მოქმედებით უპასუხებენ. იწყება ლაზიკისთვის ბრძოლის უმაღლესი აგონია, რომელიც ლაზიკას განსაცდელთა ქარტეხილში ჰხვევს და თავის გადარჩენის ძიებაში მას ხან ერთი და ხან მეორე მტრის ბანაკში გადასტყორცნის.

ხოსრომ ძალიან კარგად იცოდა (ისე როგორც იუსტინიანემ), რომ ლაზიკაში დაყრდნობა არ შეიძლებოდა; ლაზიკაში ფეხის მოსაკიდებელი საკუთარი ნიადაგის შექმნა იყო საჭირო. მაგრამ იგი უფრო შორსაც წავიდა: განზრახვა ჰქონდა ლაზიკაში აეყარა თავიანთი მიწა-წყლიდან და იქ ირანელები დაესახლებინა.

ხოსრო კიდევ შეუდგა ამ პროგრამის განხორციელებას. პირველ ყოვლისა მან ლაზთა მეფე გუბაზის მოკვლა დაისახა მიზნად. ამისთვის მან იქ სპეციალურად ვინმე ფაბრიძი გაგზავნა, რომელსაც თან სამასი მეომარი გაატანა; მაგრამ გაგზავნილმა დავალება ვერ შეასრულა, ადგილობრივმა, ვინმე ფარსანემ, რომლის დანხარებითაც ფაბრიძის გუბაზი უნდა მოეკლა, ეს განზრახვა გუბაზს აცნობა და ფაბრიძი გაწვილებული დაბრუნდა ირანში².

ამ გარემოებამ ირანის ბატონობის შედეგებით, ისედაც გულგატეხილ ლაზიკაში აჯანყება გამოიწვია. როგორც აღნიშნული იყო, ის ცვლილება, რომელიც

¹ B. P. II, 28.

² B. P. II, 29.

დიდსა და პატარა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში მოხდა, ლაზიკის პატრიარქმა პეტროსმა შეგნებულ და როდესაც 529 წელს ირანელებს შიადგნენ, მათგან ისინი შეგობრობასა და დახმარებას მოელოდნენ. ამის ნაცვლად მათ იგივე და იმაზე უფრო უარესიც მიიღეს, რისთვისაც ისინი ბიზანტიელებს გაექცნენ.

ახლაც მათ ისევ ძველ გზას მიჰმართეს. ტრადიციის მიხედვით ირანელებს რომ ზურგი უბრუნეს, კვლავ ბიზანტიისაკენ მიაშურეს, ისევ დახმარებისა და შეგობრობის მოლოდინში.

გუბაზ-მეფემ ელჩები მიუგზავნა იუსტინიანე კეისარს და, მოიხიდა რა ბოდიში იმის გამო, რომ ლაზები ამას წინათ ბიზანტიელებს განუდგნენ და ირანელებს მიემხრნენ, უცხადებდა ისევ ბიზანტიელებისაკენ დაბრუნების სურვილს და ითხოვდა ირანელებისაგან განთავისუფლებისთვის დახმარებას. ბიზანტიელებსაც სწორედ ეს უნდოდათ: თუ აქამდე ლაზიკისთვის ბრძოლა ლაზებისა და ირანელების შეერთებული ძალების წინააღმდეგ უხდებოდათ, ახლა გარემოება საფუძლიანად იცვლებოდა მათ სასარგებლოდ. ამიტომ იუსტინიანემ დაუყოვნებლივ გაგზავნა ლაზიკაში „ლაზების დასახმარებლად“ 1000 კაცისაგან შემდგარი ჯარი და თან 1000 მეომარი ქანიც გაატანა. მიუღი ამ მხედრობის მეთაურად დაგისტე დანიშნა.

ბიზანტიელებმა და ლაზებმა ალყა შემოარტყეს პეტრას, სადაც ირანელების ჯარი იყო დაბანაკებული, მაგრამ, ირანელების მამაცად დახვედრის გამო, იგი ვერ აიღეს.

მიღწია თუ არა ამ ამბავმა ხოსრომდე, მან ალყა შემოარტყმულ ირანელთა გადასარჩენად დიდძალი ქვეითი და ცხენოსანი ლაშქარი გაგზავნა მერმეროეს მეთაურობით.

ამის გამგონე გუბაზმა სწრაფი განკარგულება მოახდინა: დაგისტეს დაავალა პეტრასკენ მიმავალი გზის ვიწრობების დაცვა, თვითონ კი ლაზიკისა და იბერიის საზღვრებზე არსებულ ვიწრობებში ჩასაფრდა, საიდანაც მერმეროეს ლაშქრის შესევას მოელოდა. თანაც ალანებთან და საბერების ტომთან კავშირი შეპკრა სამ კენტიანარად, რისთვისაც მათ ლაზიკის აოხრებისაგან დაცვისთან ერთად იბერიის აწიოკებაც აღუთქვეს, რათა ირანელები იქ გელარ შესულიყვნენ, ე. ი. გუბაზს უნდოდა ირანელებისთვის ზურგიდან მახვილი ჩაეცა... თუმცა ამ მახვილს ჯერ მოძმე იბერიის გულში უნდა გაეკლო.

გუბაზის ვარაუდი არ გამართლდა: მერმეროე ლაზიკაში ამ გზით არ შესულა. მას სწორედ ის გზა გაეკლო, რომლითაც ამოთხი წლის წინათ ხოსრომ იარა, როცა მას ლაზები მიუძლოდნენ. ამიტომ იგი გუბაზს ასცდა და ჩრდილოეთით პირდაპირ პეტრას გზას დაადგა.

დაგისტეს უხეირო სარდლობის წყალობით მერმეროემ დაუბრკოლებლივ გაიარა ვიწრობები და პეტრაც აიღო. აქ 3000 მებრძოლი, ჩააყენა, თვითონ კი დანარჩენი ჯარით ისევ უკან დაბრუნდა, რადგან მას გაუძნელდებოდა ლაზიკაში დიდძალი ლაშქრის გამოკვება. უკან გამობრუნებული მერმეროე უკვე დასახლებული ადგილების გავლას ეტანებოდა, რათა ჯარს საკვების შოვნა შესძლებოდა.



ამასობაში იუსტინიანემ ლაზიკაში ჯარის ახალი ნაწილი გაგზავნა. მერმეროემ ლაზიკაში 5000 კაცა დასტოვა და თვითონ დანარჩენი ჯარით შინისაკენ განაგრძო გზა. ეს ხუთი ადასი რიონის პირად დაბანაკდა და აქედან პატარ-პატარა რაზმებად შესეულნი ლაზიკის სოფლებს აიხრებდნენ.

გუბაშმა ყოველივე ამით გული არ გაიტება: პირიქით, განიზრახა ირანელების ამოწყვეტა. მან ისე მოახერხა, რომ ლაზთა და ბიზანტიელთა შვერთებულო ლაშქრით ირანელთა (ხუთი ათასი) ბანაკს განთიადზე ანახდელულად თავს დაესხა და მილიანად გაანადგურა. ამის შემდეგ იბერია-ლაზიკის საზღვარზე ლაზთა მცველი რაზმი იქნა დაყენებული, რომ იქიდან ირანელები აღარ შეეშვათ ლაზიკაში.

ეს ამბები 549 წელს მოხდა¹.

ამის საპასუხოდ ხოსრომ 550 წ. სარდალ ხურდიანეს მეთაურობით ლაზიკაში ახალი ძლიერი ლაშქარი გაგზავნა. ამ ლაშქარმა მდ. ცხენისწყლის ნაპირას, მუხურისის ხეობაში დაიბანაკა. აქ გუბაშსა და დავისთეს შვერთებულო ძალით უნდოდათ კვლავ ირანელებზე თავდასხმა, მაგრამ, ლაზთა მიზებით ცოტა უთანხმოების გამო, ლაზები მარტო შეებნენ ირანელებს და დამარცხებაც იგემეს; მხოლოდ ბიზანტიელთა მამაცობის წყალობით მოხერხდა ირანელების უკუქცევა².

ამ დროს ლაზებმა დავისთე იუსტინიანესთან დააბეზლეს: ის ირანელებისგან უნდა იყოს მოსყიდულიო, რადგან თავისი საქციელით ხელს უწყობდა ბიზანტიელთა ჯარის მოქმედების დეზორგანიზაციას და ამით ირანელებს საშუალებას აძლევდა გაჭირვებული მდგომარეობიდან გამოსავალი ეპოვათო. ამის გამო იუსტინიანემ დავისთე ბიზანტიაში გაიწვია და მის მაგიერ ლაზიკაში მოქმედა ბიზანტიელი ჯარის უფროსად ბესსა დანიშნა, რომელიც ცოტა ამაზე ადრე არმენიაში მყოფი ჯარის სარდალად იყო დანიშნული³.

ეს პერიოდი უკვლახე უფრო მდიდარია სომარ მოქმედებათა მომენტებით. აქ მართლაც როცა სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღებული მეტოქე მხარეთა შორის. მაგრამ ამის გაყოლა სიტყვას ძალიან გაგვიკრძელებდა. ამიტომ უმჯობესია ისევ თავიდანვე აღებულ გეზს გავეყვით და მხოლოდ ის მოვლენები განვიხილოთ, რომლებიც მოქმედ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის პრინციპულ ან ახალ გარემოებას შეიცავენ.

ამ თვალსაზრისით პირველყოვლისა ბიზანტიელთაგან აფხაზების დამორჩილება საინტერესოა.

XI

სამხედრო მოქმედებასთან ერთად ირანელები ბიზანტიელების წინააღმდეგ დიპლომატიურ ინტრიგებსაც მიჰმართავდნენ. მათ მოახერხეს აფხაზთა ტომის (Абхазы) გადაბირება; ცოტა ხნის შემდეგ აფსილებიც გადაიბირეს. აფხაზებმა, რომლებიც უწინ ლაზთა ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ, უარი განაცხადეს

¹ B. P. II, 30.

² B. P. IV, 2.

³ B. P. IV, 9.

მთრწამლებზე და თავიანთი აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილების შეერთებით შეეცა (ოფსიტე და სკეპარნა) აიძირეს. ამასთანავე ეს უკანასკნელი გაგზავნეს დასმარების სათხოვნელად, რის შედეგადაც აფხაზეთში ირანელი საბრძოლო ნაბედი გამოიგზავნა.

ბიზანტიელები, ალბათ ლაზებთან ერთად, საქმის სასწრაფოდ გამოსწორების შეუდგნენ.

სკეპარნა ჯერ კიდევ ირანში იყო, რომ ბესსამ აფხაზეთს შეუტია. ოფსიტეს მეთაურობით აფხაზეთა ლაშქარმა მას წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ იძლია და დამორჩილდა. ამის შემდეგ აფხაზეთშიც ბიზანტიის გავლენა განმტკიცდა¹.

აფსილთა ჯარის უფროსის ტეოდეტეს გუბაზის წინააღმდეგ ამხედრებაც ირანელთა ინტრიგანული მოღვაწეობის კვალს უნდა აღვარებდეს. მან მისიძიელოთა მაგარე ციხე წებულდა ირანელებს ვადასცა, თუმცა მერე ისევ შეურიგდა გუბაზს და ციხეც ირანელებს უკანვე წაართვა².

ხოლო თანდათან დარწმუნდა, რომ ლაზთა მეფის გუბაზის მიერ ბიზანტიის ფრიენტაციისაკენ აღებულმა მტკიცე კურსმა ლაზიკისთვის ბრძოლის ბედი ირანელებს საზიანოდ მიჰმართა. ამიტომ, როგორც მას ეს სჩვეოდა, ახლაც ბიზანტიელებს დროებითი ზავი შესთავაზა, რათა ამ ხნის განმავლობაში ლაზიაში ფარული ძალით ან მოხერხებით საქმე ისევ ირანელთა სასარგებლოდ შეეტრიალებინა. 551/2 წელს კვლავ ხუთი წლით დროებითი ზავი დაიდვა, როგორც მოსალოდნელი იყო, ირანელები ლაზიაში ზავის დროსაც თავისას განაგრძობდნენ. მერმეროეს გმირული ბრძოლის შედეგად ირანელებმა აქ გამარჯვებას მიაღწიეს.

გუბაზ შეეცა იძულებული გახდა მთებში გახიზნულიყო. ირანელებმა კვლავ დიპლომატიურ ხერხს მიმართეს. მერმეროემ გახიზნულ გუბაზს წერილი მისწერა. წერილის შინაარსი ძლიერ საინტერესოა: მიუხედავად ჩვეულებრივი დიპლომატიური მლიქვნელობისა, იგი მაინც ამყვანებს ირანელთა ლაზიკით დაინტერესებას. ირანელები ყოველმხრივ ცდილობენ ლაზებს ბიზანტიელებზე გულბაყრევიონ და კვლავ თავისკენ მიიბურონ ისინი. მერმეროემ გარანტიას აძლევს გუბაზს, რომ ხოსრო მას შეურიგდება და არც ლაზთა სამეფოსა და არც გუბაზის ოჯახს არაფრითაა ზიანი არ მიაღებება, რის თავებდაც წარჩინებულ ირანელთა შვილებს მძევლებად სთავაზობს: «... გარწმუნებთ, რომ ხოსრო მეფე შეგიწყალებს, ხელს არ გახლებს და მძევლებად მოგვერის სპარსეთის წარჩინებულ მთავართა შვილებს. შენც ყოველმხრივ იქნები უზრუნველი და შენი სამეფოც გემკნება სამუდამოდ დაცული, ხოლო, თუ შენ არც ერთი ეს გზა არ მოგწონს, წადი რომელსამე სხვა ქვეყანაში და ამით საშუალება მიეცი შენი უტყურობის წყალობით გაწამებულ ლაზებს ერთხელაც არის ამოისუნთკონ და განთავისუფლდნენ მოწოლილ სიმწიფეთაგან, მაგრამ გულში არ გაიელო მათთვის უსაზღვრო უბედურობის მინიჭება და მაცდუნებელ იმედს არ მიეცე: ვგუ

¹ B. G. IV, 10.

² იქვე.



ლისხმობ რომაელების მოშველებას. ისინი ხომ ვერასდროს ვერ შეძლებდნენ დაგეზმარონ თქვენ, ისევე როგორც დღემდე ვერ შესძლეს ესა¹.

ამ წერილმა გუბაზზე ვერ იმოქმედა და იგი მთებში გახიზნული კონსტანტინოპოლიდან კვლავ დახმარების მოსვლას უცდიდა.

XII

ირანელების გამარჯვებას ლაზიკაში გუბაზიცა და ლაზებიც ბიზანტიელი სარდლების შეუფერებელ მოქმედებას მიაწერდნენ.

გუბაზმა ეს აზრი იუსტინიანე კეისარს გაუზიარა, რომელმაც სამ სარდალთაგან ერთი — ბესსა — გადააყენა, ორს კი — რუსტიკესა და მარტინეს — საყვედური გამოუცხადა². ამით შეურაცხყოფილი სარდლები გუბაზს გადაემტრნენ და ამის თავიდან მოშორებას ცდილობდნენ. გადაწყვიტეს მისი მოკვლა და ამისთვის ნიადაგის მზადებას შეუდგნენ. რუსტიკეს ძმა იოანე კონსტანტინოპოლში გაგზავნეს და გუბაზი იუსტინიანესთან დააბეზღებინეს, რომ ვითომც მას გადაწყვეტილი აქვს ისევ ირანელების მხარეზე გადასვლა და თავის ქვეყანაში ირანელების შეყვანაო. იუსტინიანემ, რასაკვირველია, ეს მასწინე არ დაიჯერა და მოითხოვა გუბაზი მასთან პირდაპირ სალაპარაკოდ მიეყვანათ. მაგრამ იოანემ, ვითომ გუბაზისგან მოსალოდნელი უარისთქმის შემთხვევისათვის, კეისარისაგან დასტური მიიღო, თუ გუბაზი ამ სურვილის შესრულებას გაუძლიანდებოდა, იგი უნდა მოეკლათ და შეკვლეს სასჯელი არ მიეღოდა³.

კეისრის ამგვარი განკარგულებით ზურგგამაგრებულმა სარდლებმა გუბაზი მიიწვიეს ვითომღა ონოგურის ციხეში დაბანაკებულ ირანელთა ჯარის წინააღმდეგ იერიშის მისატანად და იგი იქ ლაღაღით მოჰკლეს⁴.

ეს მოხდა 554 წელს.

გუბაზის მოკვლის შემდეგ ბიზანტიელებმა გაილაშქრეს ონოგურზე. მაგრამ ეტყობა დღემდე მათი გამარჯვებები უმთავრესად ლაზების უნარი იყო, რომელნიც მათი მეფის მკვლელობის გამო მათ ჩამოსცილდნენ, და ისინი კიდევ დამარცხდნენ⁵.

გუბაზის მკვლელობის გამო უზომო აღშფოთებამ მოიცვა მთელი ლაზიკა. მდგომარეობა ისე გართულდა, რომ არავინ არ იცოდა, რა მოხდებოდა და როგორ უნდა მოქცეულიყვნენ: «... ἐν τῆσδε τῆς τῶν Κεϋλικῶν παράστασι μι-φίσις ἢ γε ἦν τὰ μέλισσῶν καὶ τετραρχίαν. Τοιούτοις καὶ ἀπαύτως οἱ ἐν τῆλει δευπάρουσι, τίνες δὲ γένοιτο καὶ ὅποις τραπεῖσι»⁶.

ამიტომ კავკასიონის ერთ ხეობაში ლაზები ფარულად შეიყარნენ და მდგომარეობის განსჯას შეუდგნენ.

¹ B. G. IV, 16; ს. ყაუხჩიშვილი, Georgia, II, გვ. 175—176.

² Agathiae historiarum, III, 2, გვ. 237, 259.

³ იქვე, III, 3, გვ. 232—240.

⁴ იქვე, III, 4, გვ. 241—242.

⁵ იქვე, III, 4, 5, 6, 7, გვ. 241—248.

⁶ იქვე, III, 8, გვ. 249.

ლაზთა ამ სახალხო კრების შესახებ შემონახული ცნობები მრავალწლიანი აზრის საინტერესოა.

ბირველ ყოვლისა ჩვენ ვრწმუნდებით, რომ უამთაღმწერელ აგათიას ამ ამბის აღწერის დროს რომელიმე წერილობითი წყარო ჰქონია ხელთ; თვით ამ წყაროს სათავესაც ამივე ცნობის საშუალებით შეგვიძლია მივაგნოთ: კრებაზე მომხდარი ამბების აღმწერი ვინმე გარეშე მეთვალყურეა, — იგი ლაზი არ უნდა იყოს, რადგან კოლხებს ბარბაროსებად იხსენიებს. ეს ვილაც ჯაშუშია, ლაზებში გარეული.

ვანებისლოთ ერთი ნიმუში.

წამოაყენეს თუ არა შეკრებილგმა საკითხი — ვის მიზნობოდნენ: ისევ რომაელებს თუ ირანელების მხარეზე გადასულიყვნენ, მაშინვე: «გაცხოველებული კამათი დაიწყო; ზოგი აქეთ, ზოგი აქეთ მხარეს იხრებოდა; შემდეგ საერთო და უწყესრიგო ხმაური შეიქმნა, ისე რომ ძნელი იყო გარჩევა, ვინ ლაზარაკობდა და რას ამბობდა. მაშინ დიდებულგმა, მისცეს რა ბრბოს ნიშანი, მოუწოდეს ლაზარაკის მსურველნი შეეწი გამოსულიყვნენ და საქმიანი წინადადებები გამოეცხადებინათ, ვინც და როგორიც არ უნდა ყოფილიყო იგი და სხვ.»¹

ეს ამონაწერი დამატებას აღარ საჭიროებს. იგი დამხდურის ხელისაშკარა ბეჭედს ატარებს.

ეს აღწერილობა გვაცნობს ამასთანავე ლაზთა სახალხო ყრილობის სურათს, რომელიც, უნდა ითქვას, ძლიერ ცოცხლად არის გადმოცემული. მაგრამ, რაც ჩვენთვის მთავარია: ჩვენ წინ წარმოსდგება ლაზიკის მოსახლეობის ორი აშკარად დაპირისპირებული ბანაკი, რომელთაც ერთი-მეორისაგან არა მხოლოდ პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობა უნდა ჰყოფდეს, არამედ აგრეთვე კულტურული და სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობაც. ყოველივე ამან კი გამოიხატულება ჰბოვა პოლიტიკური ორიენტაციის საკითხის განხილვაში. აქვე ჩვენთვის ცხადი ხდება ის გავლენა, რაც ბიზანტიელთა ათიოდე წლის უშუალო ბატონობას ჰქონია ლაზთა ცხოვრებაზე.

რასაკვირველია, ორიენტაციის საკითხი ლაზიკისთვის ახალი არ არის. წათეს მიერ ქრისტიანობის აღიარება, როგორც ეს თავის ადგილზე აღვნიშნეთ, ე. ი. ბიზანტიის ორიენტაციის კურსის აღება, იმას არ ნიშნავდა, რომ იგი უველა ლაზის მიერ ერთხმად იყო აღიარებული. უსათუოდ, მოიბოგებოდა მეორე ბანაკიც, რომელიც ირანულ ორიენტაციას ამჯობინებდა. საზოგადოების ასეთმა დაყოფამ ხელი შეუწყო ამა წელს ლაზების ბიზანტიელთაგან უკუშტევეს და ირანული ორიენტაციის მიღებას. არც ამ მდგომარეობამ გასტანა დიდხანს და ლაზები იძულებული იყვნენ ისევ ბიზანტიელებს მიჰყვებოდნენ. მიმართულების ასეთ ცვლას თითოეულ შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, სათანადო ბანაკი მეთაურობდა. განსაკუთრებით გუბაზის მკვლევლობის გამო ლაზების წინაშე ორიენტაციის საკითხი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით აღიმართა და ასე თუ ისე გადაწყვეტას მოითხოვდა. საქმე ის კი არ არის, რომ ფარტაქემ მოახერხა

¹ იქვე III, 8, გვ. 249, სტრ. 18—25.



დაერწმუნებინა ლაზები, რომ ბიზანტიელი სარდლების ვერაგობისთვის ბიზანტიის სამეფო არ არის პასუხისმგებელი და დამნაშავეთა კეისარ-სასჯელში მიცემის მოთხოვნით, ლაზთა მოთხოვნილებათა ბიზანტიის მთავრობისათვის წარდგენისა და მათი დაკმაყოფილების პერსპექტივებით — დაეშოშმინებინა ხალხი და ამით მდგომარეობა ჯერჯერობით მაინც ბიზანტიელთა სასარგებლოდ შეენარჩუნებინა. ჩვენთვის ის არის საინტერესო, თუ რა ტენდენციებში იჩინა კრებაზე თავი-საინტერესოა, რადგან ამ ტენდენციებს, ცხადია, თვით ხალხში და ცხოვრების პირობებში ჰქონდა ფესვები გამდგარი და ბქიდან მომდინარეობდა¹.

კრებაზე ორიენტაციის ორი სხვადასხვა ბანაკი შვევთად დაუპირისპირდა ერთი-მეორეს, ამასთანავე გაესეა ხაზი, რომ ამგვარი განწყობილება მათ შორის კარგა ხნის ამბავია. ფართაძე ორჯერ იხსენიებს, რომ აეტს ყოველთვის ირანელებისკენ ექირა თვალთ: «... და ეს მრჩეველი (აეტი), რომელიც დიდი ხანია ირანელებისაკენ მიისწრაფვის და ძალზე მოწადინებულია, რომ ჩვენ მათ მხარეზე გადავიდეთო: (... Ἄλλ' ἢ μὲν ξῆμψιστος πάσαι τῆ Μῆδων φρονῆναι καὶ μάλιστα ἰμᾶς ἔπει ἐχέουσιν ἑλπίσιν)»² ამბობს იგი.

მეორე ადგილას კი მას ასე ჰქიცხავს: «ის მარტო ერთი მიზნისაკენ მიისწრაფვის და მხოლოდამხოლოდ იმას ცდილობს, რომ გააკეთოს ის, რაზედაც იგი უწინაც ზრუნავდა», ე. ი. ირანელთა მხარეზე გადასვლაზე. (... πρὸς τὴν τὸ γὰρ μάλιστα ἔχει τὴν ἀναφορὰν, τὴν μὲν ἔξ' ἀρχῆς καὶ μετὰ τὸν μὲν ἔχει τὴν ἀναφορὰν πρὸς τὸν ἐπὶ τὴν ἑλπίσιν)»³.

კამათიდან აშკარად ირკვევა აგრეთვე, რომ ფართაძე ქრისტიანია, აეტი კი — არა-ქრისტიანი.

ფართაძის აზრმა გაიმარჯვა და სამართლიანადაც, რადგან არ არსებობს არავითარი საბუთი ვიფიქროთ, რომ გუბაზის მკვლელობა მართლაც ბიზანტიელი წინდაუხედავი სარდლების პირადი საქმე არ იყო; შეუძლებელია, ამ საქმეში ბიზანტიის უმაღლესი ხელისუფლება გარეული ყოფილიყო. მართალია, ჩვენ გვაქვს მაგალითი, როდესაც ხოსრომ განიზრახა გუბაზის მოკლა და სხვა პირობებში ეგებ ბიზანტიისთვისაც ხელსაყრელი ყოფილიყო ისეთი ძლიერი პიროვნების გზიდან ჩამოშორება, როგორც გუბაზი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც გუბაზმა მთელი თავისი სიამაცე ბიზანტიელთა მხარეზე ირანელების წინააღმდეგ ბრძოლას შეაღწია, ძლიერ საეჭვოა, რომ ბიზანტიის მთავრობას ასეთი საიმედო მკლავი-საკუთარი ხელით მოეჭრა. ბიზანტიელებმა ისიც კარგად იცოდნენ, რომ ლაზიკას მხოლოდ ლაზებთან კეთილგანწყობილების ნიადაგზე შეინარჩუნებდნენ...

ფართაძის აზრმა გაიმარჯვა — რაც ბიზანტიური ორიენტაციის მომხრე ბანაკის სიძლიერის მაჩვენებელია, და კონსტანტინოპოლში ელჩები გაგზავნეს, რომელთაც საქმე ლაზების დავალებისამებრ შეასრულეს, ე. ი. ლაზთა მეფედ

¹ შეად. ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, გვ. 59—61.

² Agath. III, 12, გვ. 257.

³ იქვე.

დანიშნულ იქნა გუბაზის ძმა წაჭე; ლაზიკაში გამოიგზავნა ბიზანტიელი მხარგრეთის ტოროი გუბაზის მკვლელთა გასასამართლებლად და დასასჯელად.

გუბაზის მკვლელთა გასასამართლება ლაზიკის ისტორიის ერთ მეტად საინტერესო ეპიზოდს წარმოადგენს, მაგრამ იგი, ლაზთა სახალხო კრებასთან ერთად, ცალკე მონოგრაფიის ღირსია.

XIII

გუბაზის მკვლელობის შემდეგ ლაზიკაში დატოვებული ამბების დროს ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის ბრძოლა არ შეწყვეტილა. ლაზიკის მრავალ ადგილას ორივე მხრით სისხლი უხვად იღვრებოდა. ირანელები ყველგან სასტიკად მარცხდებიან და ბოლოს იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ლაზიკაში მათი საქმე წაგებულა, როგორც ბიზანტიამ ისე ირანმა მრავალი ენერგია და მატერიალური საშუალება შეაღიეს ლაზიკისთვის ბრძოლას; მაგრამ განსაკუთრებით ირანისათვის იყო ომი მძიმე, რადგან სწორედ მაშინ, როცა ბრძოლა მის გადამწყვეტს სტადიაში შევიდა, ლაზებმა მას ზურგი აქციეს და საქმე გაუროთულეს, ბიზანტიას კი, პირიქით, თავისი დახმარებით საქმე გაუადვილეს. ხოსრო დარწმუნდა, რომ ბიზანტიელების დამარცხება, რომლებიც ლაზიკაში ასეთი უპირატესობით სარგებლობდნენ, შეუძლებელია და ლაზიკის დაპყრობაზე ფიქრს დროებით თავი მიანება. ირანმა ველარ მოაყრბა ბედის შემოტრიალება, მან ველარ გატეხა ლაზების ბიზანტიელებისკენ მისწრაფება, ამ აზრს იგი შეურიგდა და დაზავება არჩია. მაგრამ ირანის ზავისადმი მისწრაფება, — რაც ბიზანტიელებისათვის აგრეთვე სასურველი იყო — მარტო აღნიშნული მიზეზით არ ყოფილა გამოწვეული.

სახზოვო სიტუაცია კ. გიუტერბოკს ასე აქვს დახასიათებული: „Ein ernstes Bedürfnis nach einem dauernden Frieden war jedenfalls auf beiden Seiten vorhanden. Justinian hatte genug zu tun, sich der andrängenden Hunnen und Awaren zu erwehren; überdem lag ihm bei seinem hohen Alter — er war fast ein Achtziger — der Wunsch nahe, das Reich in friedlicher Ordnung seinem Nachfolger zu hinterlassen. Khosrau aber war in jener Zeit vollauf mit Erweiterung seiner Herrschaft nach Osten hin beschäftigt, und seine Blicke waren vom Westen abgelehnt. Und schon drohte eine andere Gefahr. Jenseits des Oxus hatten die Türkenstämme sich zu einem mächtigen Reiche zusammengeschlossen, und wenn ihr Chakan auch zurzeit friedlich gesinnt war, lag doch die Annahme nicht zu fern, dass er sich mit Byzanz gegen Iran in Verbindung setzen könnte, wie tatsächlich später geschehen. Dieser Gefahr musste durch einen Frieden mit dem westlichen Nachbar vorgebeugt werden“¹.

თუ რამდენად სერიოზული იყო ეს საფრთხე იქიდანაც ჩანს, რომ ირანი იძულებულია თურქთა შემოსევისაგან თავის დაცვის მიზნით დარუბანდის კედლი ააგოს².

¹ იხ. გიუტერბოკის დასახელ. წ. 55-56.

² В. Бартольд, დას. წ. გვ. 23.

რაკი ორივე მხარე ზავს საჭიროებდა, ამიტომ 555/6 წელს კელდები წლით დროებითი წინასწარი ზავი შეიკრა, ექვსი წლის შემდეგ კი 562 წლის ზავი იქნა დადებული, რომელიც 562 წლის ზავის სახელით არის ისტორიაში ცნობილი.

ამ ზავის შესახებ მოიპოვება ისტორიული ცნობები, რომლებიც თვით ბიზანტიელი ელჩის პეტრე პატრიკიოსის მიერ საზავო მოლაპარაკების ირგვლივ შედგენილი წიგნიდან არის ამოწერილი ისტორიკოს მენანდრეს მიერ და ამ უკანასკნელის ფრაგმენტებშია შენახული.

პეტრეს თავის წიგნში ოფიციალური დოკუმენტები შეუტანია¹.

ამავე წყაროდან მომდინარეობს ფრიად საინტერესო ცნობები სვანეთის შესახებ, რომლის გამოც 50-წლიანი ზავის დადების შემდეგ, გაცხარებული დავა ირანელებსა და ბიზანტიელთა შორის და ეს საკითხი გადაწყვეტილებას ვერც კი პოვებს².

მოლაპარაკება დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ მხარეებმა, სვანეთის საკითხის გარდა, ყველა საკითხში შეთანხმებას მიაღწიეს. ამ ზავის შედეგი თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი იყო, მეტადრე ბიზანტიისათვის. ირანსა და ბიზანტიას შორის დადებული რამდენიმე ზავიდან ეს პირველი იყო, რომელიც ბიზანტიელთათვის ხელსაყრელ პირობებს შეიცავდა, სამხედრო ასპარეზზე ბიზანტიელთა უპირატესობას ადასტურებდა, თუნდაც საომარი ფრონტის გარკვეულ ნაწილზე (ლაზიკაში) მაინც. პირველ ყოვლისა ეს იმაში გამოიხატა, რომ ირანელებმა ლაზიკისადმი ყოველგვარ პრეტენზიაზე ხელე აღდეს და იგი ბიზანტიის გავლენის სფეროში უდაოდ დატოვეს, ისე როგორც ოცდა ათი წლის წინათ ბიზანტიელები იბერიის მიმართ მოიქცნენ.

562 წლის ზავის მთავარი საგანი ლაზიკის საკითხი იყო და ეს საკითხი საესებით ბიზანტიის სასარგებლოდ გადაწყდა, რაც ამ უკანასკნელის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, უკეთ, მოპოებად, რადგან საქმის ბიზანტიელთათვის სასარგებლოდ დატრიალებაში დიდი დეაწლი თვითონ ლაზებს მიუძღვით.

პროფ. დილი ამაზე ამბობს: „ლაზიკა მათ (ე. ი. ბიზანტიელებს) რჩებოდათ და, ამგვარად, სპარსთა სამეფო მოსწყდა ზღვას. ეს კი ძლიერ მნიშვნელოვან შედეგად ჩაითვლება“-ო³.

თუმცა აქ იმდენად ბიზანტიელთა გამარჯვებაზე არ შეიძლება ლაპარაკი, რამდენადაც მათს თავის დაცვაზე, რადგან შეტევას ირანელები აწარმოებენ ლაზიკის ბიზანტიელთა ხელიდან გამოგლეჯის მიზნით, მაშასადამე, ირანელთა მცდელობის უშედეგოდ დასრულებას უფრო შეეხება სიტყვა.

ამაირად, ათეული წლების მანძილზე ორ იმპერიას შორის ლაზიკისთვის ბრძოლა ბიზანტიის სასარგებლოდ დამთავრდა, რასაც პირველ ყოვლისა თვით ლაზების ბიზანტიურმა ორიენტაციამ შეუწყო ხელი, სხვა გარემოებებთან ერთად, როგორც არის, მაგ. თურქების გამოჩენა ირანს, რაც დიდ საფრთხედ

¹ მენანდრე, Fragmenta, 12. გვ. 32. დინდორფის გამოცემა.

² იმპერიათა შორის სვანეთის ირგვლივ დავის შესახებ იხ. ჩვენი წერილი „თბ. უნივერსიტეტის შრომებს“ III ტომში.

³ Диль, Юстиниан... გვ. 224.

წარმოადგენდა... მაგრამ ხოსრო არც ისე ადვილად იღებდა საბოლოო შედეგს ბრძოლაზე და ამისთვის დიდ სასყიდვლს მოითხოვდა.

შეთანხმება მაინც მიღწეულ იქნა. ბიზანტიელებმა ერთბაშად გადაუხადეს ირანელებს 210.000 ოქრო და შვიდი წლის შემდეგ კვლავ 90.000 უნდა გადაეხადათ და ამის შემდეგ კი, ყოველწლიურად გადაწყვეტილი, 30.000 ოქრო უნდა ეძღოათ¹.

რასაკვირველია, ეს მხოლოდ ირანელების მიერ ლახიკის საკითხში დათმობის კომპენსაცია არ იყო, არამედ აქ შედიოდა ის თანხაც, რომელიც ბიზანტიელები ვალდებული იყვნენ კასპიის ჯარის დარაჯობისათვის ირანელებისთვის ეძღიათ. სრულიად პირთაღა Güterbock-ი, რომელიც ამბობს: „Die Bewachung und Sicherstellung der kaukasischen Pässe verblieb auch nach Abtretung von Lazika bei Persien, ohne dass Ost-Rom einen besonderen Beitrag zu den Kosten zu zahlen hatte; die stipulierte Geldentschädigung deckte auch diese Kosten mit“².

XIV

562 წლის ზავით ბიზანტია-ირანის ბრძოლის მეორე საფეხური თავდება და ამ საფეხურზე ბიზანტია გაბარჯვებულად მოჩანს, თუმცა ირანს მან საკმაო ოქრო გადაუხადა. გაუთავებელმა ბრძოლამ თრევე მხარე ძლიერ დაასუსტა, ისე რომ არც ერთ მათგანს შემდეგში ბრძოლაში გამამწყვეტი შედეგის მიღწევა იარაღის საშუალებით აღარ შეეძლო და მცირე შეტაკება-კინკლაობით კმაყოფილდებოდნენ. როგორც აღნიშნული იყო, ახალმა გარემოებამ — თურქების გამოჩენამ — მთელ ამ ამბებს თავისი დიდი დასვა და გარკვეული მიზართულება მისცა, რომდენადაც თურქები ირანის მოწინააღმდეგედ და ბიზანტიის მოკავშირედ გვევლინებიან. ამის გარეშე ირანის ძლიერება საკმაოდ იზრდილება და მისი პოზიციები ირყევა, რაც მის ქვეშევრდომ უკმაყოფილო პროვინციებს საშუალებას აძლევს მის წინააღმდეგ აჯანყდნენ და ბიზანტიისკენ გადაიხარნენ.

ბრძოლის ველში სამხრეთ-აღმოსავლეთით გადმოინაცვლა. ომიანობის პლაცდარმად ისევ პერსარმენია და იბერია ხდება.

572 წელს სომხები ირანელებს უჯანყდებიან. სწორედ ამავე დროს ჯანყდებიან იბერიელებიც გურგენ (II-ის) მეთაურობით.

... ἀπεστήσαν δὲ, παρὰ τὴν αἰὸν ἰβήρας καὶ περσικὰς γῆρας Ῥωμαίων, Ῥοργένους ἀπὸ τῶν ἡγεμονέων τούτων. ἦν δὲ τῶν ἰβήρων τότε ἡ Τιβάρης ἡγετὸς³.

იბერიელთა ამ განდგომილებაზე Ernst Stein-ი წერს: „Eine ähnliche Gärung gegen die Perser herrschte aus ähnlichen Ursachen in dem

¹ Güterbock, გვ. 61.

² იქვე, გვ. 69.

³ მაშინვე განდგნენ აგრეთვე იბერიელები და გადავიდნენ რომაელებისკენ. გურგენის წინამძღოლობით, ხოლო იბერიელთა ქალაქი იყო ტიფლისი». დეოფანე ბიზანტიელი, გვ. 448, დინდორფის გამოცემა.



nördlich von Armenien gelegenen Iberien, dem heutigen Georgien. Zur damaligen Mamasachlis Gurgun stand an der Spitze der nationalen Partei und machte mit den Armeniern gemeinsame Sache“¹.

საინტერესო შემთხვევაა. ეტყობა იბერიელები და არმენიელები შეთანხმებულად მოქმედებდნენ ირანელთა წინააღმდეგ და, ალბათ, ბიზანტიელებიც ამ საქმის შორიდან მყოფრებლად არ უნდა დარჩენილიყვნენ. რაკი ლაზიკაში დამკვიდრდა, ბიზანტია ახლა ცდილობს ირანელებს ამიერკავკასიის სხვა ნაწილებზეც შეედლოს. თუ ამ ორმოცი წლის წინათ (532 წლის ზავით) იბერიაში დამკვიდრებული ირანი ლაზიკის ბიზანტიის ხელიდან გამოვლევას შეეცადა, ახლა ლაზიკაში გამაგრებული ბიზანტია ცდილობს ირანს იბერიაც ხელიდან გამოსტაცოს.

შესაძლებელია, რომ ამ ორივე აჯანყებულ ქვეყანაში აჯანყების უშუალო საბაბიც ერთი და იგივე ყოფილიყო, რადგან ორივე მათგანი ირანისაგან იყო დამოკიდებული და ირანის პოლიტიკა ამ ქვეყნებში მცირე რამ განსხვავებით მსგავსი უნდა ყოფილიყო.

ვიცი, რომ სომეხთა აჯანყების მიზეზი ეკონომიური მოვლენა, სახელდობრ, ვადასახადების საქმის სიეპისკოპოსობისთვის დაქვემდებარება იყო. ამიტომ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ იბერიაშიც ჰქონდა ადგილი ირანელთაგან ანალოგიური ღონისძიების ვატარების ცდას². თუმცა მინც და მაინც რაიმე უშუალო საბაბის ძებნა საჭირო არც არის, იბერიელები აჯანყების გუნებაზე მუდამ იყვნენ და სომეხების აჯანყება საქმარისი იყო იმისთვის, რომ თვითონაც საამისო განწყობილებაზე დამდგარიყვნენ, მით უმეტეს, რომ ზურგს უკან ბიზანტიის ხელში მყოფი ლაზიკა ეგულებოდათ. ამ უკანასკნელ გარემოებას იბერიელები სავარაუდოდ უნდა წაეჭვებინა.

აჯანყებულთა დასასჯელად გაგზავნილმა ირანელთა ლაშქარმა, მიჭრანის მეთაურობით, განელო პერსარმენთა და იბერიის მიჭმართა, მაგრამ იქ დამარცხება იქცა³.

ირანელთა წინააღმდეგ სომეხების მხარეზე ბრძოდნენ კოლხები, აფხაზები და ალანები (καὶ τοὺς μὲν Ἀρμενίαις συνεμάχους Κόλχοι, Ἀβασγῶν καὶ Λαζῶν ἔ. Ἀλλανῶν β. α. ს. ს. ს.)⁴.

როგორც ვხედავთ, იბერიელების გარდა, რომელთა მონაწილეობაც თავისთავად იგულისხმებოდა, როგორც ირანელთა წინააღმდეგ აჯანყებულებისა, ირანის მოწინააღმდეგე ფრონტზე ბრძოლაში, სხვა მეზობელი ხალხებიც იღებენ მონაწილეობას, რომელთა ამგვარ გაერთიანებაშიც ბიზანტიის წველილი უმჭვლად საგულისხმებელია.

იბერიის საკითხი მეტოქე მხარეთა შორის ბრძოლას ვვლავ აწლებს.

576 წელს ხოსრომ გაილაშქრა თეოდოსიუსოლის (არზრუმის) ასაღებად, რადგან: *ἐνωστὰ γὰρ οἱ ἐπαφισιῦται μὴ οἰσὲν τὴν ἐξουσίαν ἔχειν ἀλλὰ τὴν*

¹ E. Stein, Studien... გვ. 22.

² იქვე, გვ. 21-22.

³ იქვე, გვ. 39.

⁴ თეოდოსიუს ბიზანტიელი, გვ. 448.

Περσῶν Ἀρμενίαν ἀνακτήσασθαι καὶ Ἰβηρίαν, εἰ μὴ πᾶν ὄχρα τῆς ἡμετέρας Ῥωμαίων χειρῶσιν τοῖς πᾶσιν ἔχαισέ τε καὶ ἀποδιδόμενος ἀνασώσεται τῆν ἐσ τῶν πᾶσιν λοιπῶν ἐγκυαταλειμμένην Περσαρμενίαν τε καὶ Ἰβηρίαν¹.

ბიზანტიისა და ირანს შორის შემდგომი დავა იბერიისა და პერსარმენიის ორგველვ ტრიალებს, მიგრამ სენეთიც დავიწყებული არ არის. ყოველ შემთხვევაში აშკარად ეტყობა, რომ ამ ფრონტზე ბიზანტია თან და თან ძლიერდებოდა, ირანი კი სუსტდებოდა. ირანი, რომელმაც 532 წლის ზაგის თანახმად იბერია მთლად თავის განკარგულებაში მიიღო, ხოლო პერსარმენია უფრო ადრე მას ეკუთვნოდა, — ანლა ამ ქვეყნების შენარჩუნებას ევლარ ახერხებს და ბიზანტიელნიც იბერიისა და პერსარმენიის გამო მასთან მეტოქეობას იწყებენ.

თუმცა ტიბერიუსის დროს რაღაც მიზეზების გამო ბიზანტია იძულებულია ირანს ზაგი შესთავაზოს, რომლის პირობებშიც ბიზანტიისთვის ხელსაყრელად არ მოჩანს. შესაძლებელია ამ პირობების სამაგიეროდ რაღაც კომპენსაციის მოითხოვდა იგი ირანისაგან. ასეთი რამე მგალითად შეიძლება ყოფილიყო 562 წლის ზაგის თანახმად ბიზანტიის ნაკისრი ყოველწლიური 30.000 თქროს გადახდის ვალდებულების გაუქმება.

579 წელს ტიბერიუს ავგუსტმა კვლავ გაგზავნა ელჩები ირანში ზაგზე მოლაპარაკების მიზნით და ხოსროსთანაც წერილი გაატანა, რომელშიც, სხვათა შორის, ჰპირდებოდა ვლდაეცა ირანისათვის პერსარმენია და იბერია, ვარდა იმ არმენიელთა და იბერიელთა, რომელნიც რომიელთა მხარეზე დარჩენას მოისურვებდნენ (ლტოლვილები იგულისხმება) «... ταυγαρσιν ἐπισημας ἐχῶ τῆς Περσαρμενίας τε καὶ τῆς Ἰβηρίας, ἐν μὴ τῶν βουλομένων ἦμεν νῆακισειν Περσῶν Ἀρμενίας τε καὶ Ἰβηρίας»².

ხოსროს ვარდაცვალების (579 წ.) გამო ზაგის დადება ვერ მოხერხდა, მისმა მემკვიდრე ჰორმიზდმა კი ომის გაგრძელება ირჩია³.

იბერიის შესახებ კვლავ მოგვეპოვება ცნობა, რომ მაერიკე კეისრის მიერ ირანის მეფე ხოსრო მეორისათვის აღმოჩენილ დახმარების ჯილდოდ ირანის მეფემ იბერიის მომეტებული ნაწილი მაერიკე კეისარს გადასცა ქ. თბილისითურთ. ეს უნდა 591 წელს მომხდარიყო⁴.

ამნაირად ლაზიკის მოპოვების შემდეგ, ბიზანტიამ აღმოსავლეთ საქართველოშიც წარმატებას მიაღწია.

რა მდგომარეობაში იყო ლაზიკა განხილულ პერიოდში, უშეალოდ ცნობები აღარ მოგვეპოვება.

¹ ამას მოუვიდა ახრად, რომ იქამდის ვერ მოიპოვებდა პერსარმენიას და იბერიას, ვიდრე არ დაიპყრობდა რომაელების რომელიმე მაგარ ციხე-ქალაქს, რომელში გამაგრებულსაც მას შეეძლებოდა შეენარჩუნებინა პერსარმენია და აბერია. მენანდრე, 41, გვ. 82 სტრ. 11—14; E. Stein, გვ. 64.

² მენანდრე, 54, გვ. 105, სტრ. 2—4; E. Stein, 90.

³ იქვე.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ. წ. I³ გვ. 41.

დასკვნა

ამგვარად უყველა შექმნაშვილის შეჯამებიდან ჩანს, რომ:

1. ჯერ ისევ რომის იმპერიასა და ირანს შორის დაწყებული აღმოსავლეთისა და კერძოდ ამიერკავკასიის ნაწილების ორგვლივ წარმოებული ბრძოლა VI საუკუნეში, გამოწვევების უმაღლეს წერტილს აღწევს და ორთვე მოქიშე სახელმწიფოს მთელი ძალებს დაჭიმვას ითხოვს.

2. VI საუკუნისთვის არსებითად უკვე ჩამოყალიბებული ბიზანტიანში აფართოვებს აღმოსავლეთით თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ მიხრავლებათა გეგმებს და ამით იწვევს აღორძინებული ირანის მხრით ინტენსიურ წინააღმდეგობას, რა ნიადაგზეც იწყება მათ შორის დაუსრულებელი სისხლის დგრა, რის შედეგადაც ორივე სახელმწიფო VII საუკუნეში ძლიერ დასუსტებული შედის.

3. ბიზანტიასა და ირანს შორის აღმოსავლეთში წარმოებულ ომიანობის ერთმნიშვნელოვან ობიექტსა და პლაცდარმს იბერიისა-ლაზიკის ტერიტორია წარმოადგენს, რომლის ორგვლივაც ცხარე და ხანგრძლივი ბრძოლა მოქიშე მხარეთა შორის გაჩაღებული, რაც გამოწვეულია იმ დიდი ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობით, რომელიც ამ ტერიტორიას აქონდა.

4. ლაზიკა-იბერიისთვის საუკუნის მანძილზე წარმოებულ ბრძოლა ბიზანტიის სასარგებლოდ დასრულდა, რასაც ხელი შეუწყო ერთი მხრით ამალი საერთაშორისო ფაქტორის (აურელები) გამოჩენაშ და მეორე მხრით როგორც ლაზიკა-იბერიაში, ისე მათს მიჯობელ არმენიაში ბიზანტიური ირიენტაციის გაძლიერებამ.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ძველი ისტორიის კათედრა

(შემოვილა რედაქციაში 1943, II, 16)

Г. К. Гозалишвили

Борьба между Византией и Ираном из-за Иберии и Лазики в VI веке

(Резюме)

1. При изучении истории Византии ученые мало уделяли внимания конгломератному составу Византийской империи и ее общественности, ограничивая их круг иногда лишь только пределами Константинополя, в результате чего целый ряд провинций, имеющих важное значение в жизни Империи, оставался вне внимания исследователя, что влекло за собой односторонность в изучении истории Византии; в то время, как привлечение обстоятельств, связанных с теми провинциями, жизнь которых переплеталась с общеимперской жизнью, значительно восполняет историю Византии; в некоторых случаях, явления общеимперского значения очень хорошо прослеживаются именно в истории той или другой провинции, благодаря чему они становятся более понятными.

2. Перемещение столицы Византийской империи с запада на восток не является механической операцией. Этот шаг был подготовлен сложным комплексом явлений, идущих из недр общественной и государственной жизни, и был продиктован целеустремлениями, вытекающими из внутригосударственной жизни и внешних сношений империи. Перемещение столицы знаменовало собой перелом в развитии жизни Византии и предвещало новое направление экономической и политической экспансии Империи.

3. В эпоху Юстиниана переходный этап процесса замены экономического базиса общественной жизни уже пройден. В VI веке нет такого положения, когда рабство уже не могло, а свободный труд пока еще не был в состоянии сделаться основной формой общественного производства (Энгельс). Тут уже новая общественная сила в лице феодалов в состоянии выступить на арену государственной жизни и направлять руль имперской власти соответственно интересам собственного класса.

4. Государственная и общественная жизнь Империи требовала развития торговли и промышленности, тем более, что для ведения крупных и продолжительных, частью завоевательных, частью оборонительных, войн нужны были колоссальные денежные средства. И византийская власть, особенно в лице Юстиниана, уделяет много внимания разрешению указанной проблемы. Крупные денежные средства можно было получить, завладев существующей между Западом и Востоком торговлей, каковой целью и задается византийская власть в VI веке.



5. Обеспокоенная политической и экономической активностью Византии на международном поприще, а в особенности на Востоке, Иранская империя мобилизует свои физические и моральные средства для оказания эффективного сопротивления стремлениям Византии, глубоко затрагивающим жизненные интересы Ирана. С другой стороны, Иранская империя заявляет известные претензии в качестве соперницы Византии в деле установления всемирного господства.

6. В целях реализации тех стремлений, которые возникли перед византийской государственностью на Востоке, византийская власть решила прибегнуть к подчинению своему влиянию Армении, Иберии и Лазики, для чего она использует все средства — дипломатию, религию, оружие и экономическое воздействие, чем вызывает аналогичные же стремления и действия с стороны своей соперницы — Иранской империи. На этой почве разгорается длительная борьба между двумя империями из-за Иберии и Лазики, борьба, которая с большим упорством продолжалась более чем полвека и которая возникла непосредственно из-за отказа Византии от обусловленного взноса в казну Ирана за охрану Каспийских Ворот.

7. В свете взаимоотношений Византии и Ирана в VI веке проблема Каспийских Ворот встает по двум направлениям: ставится вопрос о локализации Ворот и о той роли, которую играют Вороты в этих взаимоотношениях.

Первый вопрос разрешается на основании сообщения Плиния Старшего и соответствующей интерпретации сообщений Приска Панита и других авторов, посредством которых безошибочно устанавливается идентичность Каспийских Ворот с Дарьяльскими Воротами.

Роль и значение Каспийских ворот во взаимоотношениях тяжущихся сторон в VI веке, благодаря целому ряду обстоятельств, главным же образом имевшему место этническому перемещению в пределах за Каспийскими Воротами и имевшему своим результатом прекращение нашествий варварских племен через Каспийские Вороты — значительно уменьшается, и признание Каспийских Ворот некоторыми историками причиной возникновения войны между Византией и Ираном является беспочвенной; Каспийские Вороты явились лишь только поводом к войне, но никак не причиной, и каждый раз, когда вопрос о Каспийских Воротых в качестве аргументации затрагивается в переговорах, то эта аргументация со стороны Ирана преследует лишь только одну цель: выманить у византийцев денежные средства.

8. Действительной причиной возникновения войны между Византией и Ираном в начале VI века явилась, с одной стороны, Лазика, а с другой — Иберия, во главе с дарем Вахтагом Горгасалом, отвернувшимся от Ирана и взявшим курс внешней ориентации на Византию.

9. На первом этапе борьбы соперничающих империй, (Византия) укрепляет свое влияние в Западной Грузии — Лазике, и Ару- (Иран) в восточной Грузии — Иберии, но каждая из них стремится выбить противника из занятых им позиций, для чего каждой из них приходится прибегнуть к соответствующим мерам, чем и обуславливаются агрессивные действия их в отношении Иберии и Лазики.

10. Агрессивные мероприятия имели в виду завладение государственным аппаратом, а также материальными ресурсами страны и моральными средствами, с целью использования их в интересах империи, проводившей агрессию.

11. Агрессивные действия со стороны Ирана выразились в уничтожении царской власти в Иберии, в присвоении политической и административной власти в стране и в попытке реставрации огнепоклонства, как средства для отмежевания Иберии от христианской Лазики и Византии.

12. Византия с своей стороны захватывает в свои руки экономические ресурсы Лазики введением торговой монополии; создает на территории Лазики собственную военную базу восстановлением и укреплением прибрежной крепости Петра; распространяет в Лазике христианство, которое вскоре было объявлено государственной религией Лазики, и постепенно стесняет царя Лазики в его правах.

13. Объектом монополии в Лазике должна была являться торговля, ведущаяся через черноморские прибрежные города (Петра, Фасис и др.) между Европой, и Дальним Востоком, а также торговля собственно Лазики как внешняя, так и внутренняя. При этом монополия преследовала также и политические цели: воздействие на лавов, нуждавшихся в предметах первого потребления (напр., соли), путем обявлявания приобрести таковые только у византийцев, которые в случае надобности всегда могли создавать им в этом препятствия.

14. Существование торговых транзитных путей на территории Иберии и Лазики, подвергнувшееся некоторому сомнению в научной историографии, надо считать несомненным фактом. При этом аргумент о том, что река Аму-Дарья не впадала в древности в Каспийское море, не имеет никакого основания: всеми историческими источниками, а также и геологическими данными, подтверждается совершенно обратное.

15. Агрессивные действия обеих империй вызывают соответствующую реакцию со стороны Лазики и Иберии, что выражается в неоднократном восстании против угнетателей как одной, так и другой страны; в колебании внешней ориентации главным образом со стороны Лазики. При этом и в Иберии, и Лазике отсутствует сознание общности интересов и необходимость объединения сил против своих угнетателей, в результате чего сепаратные выступления каждой из них всегда кончаются поражением.

16. В целях пресечения участвовавших восстаний и беспрепятственного подчинения имперской власти, каждая империя стремится рвать все признаки самостоятельности подвассальной ей страны и превратить ее в простую провинцию. Эта тенденция к замене дружбы и вассальных отношений между великими и малыми странами полным подчинением последних, ярко сказывается в эту эпоху в действиях обеих империй, что не сразу разгадывается малыми странами и, в поисках прежних союзных или вассальных отношений, они бросаются в объятия то одного, то другого врага. Этим и объясняются те колебания во внешней ориентации, которые так характерны в VI веке для Лазики.

17. После продолжительной войны между соперничавшими на Востоке империями, объектом и плацдармом которой являлись Лазика и Иберия, обе стороны вынуждены были под давлением обстоятельств пойти на перемирие, результатом чего явился мир 562 года, подытоживший создавшуюся вследствие войны ситуацию.

18. Из условий мира 562 года явствует, что, несмотря на то, что Византия вынуждена была уплатить Ирану крупную денежную сумму, которая, впрочем, включала в себе большую долю суммы, следуемой Ирану за охрану Каспийских Ворот, она все же оказывается в выгодном положении, поскольку Византия прочно обосновалась в Лазике, откуда с успехом отражала опасность, грозившую со стороны иранцев захватом Черноморского побережья, откуда легко было угрожать непосредственно самому Константинополю. В то же время Византия сама брала с позиций Лазики под свой удар интересы иранцев в Иберии и грозила лишить их власти над Иберией.

19. Успеху византийцев содействовало как настроение лавов в разгаре борьбы, благоприятно развивавшейся для византийцев, так и одно явление международного значения, которое своим острием было направлено против Ирана: появление турок.

20. После шестидесятих годов борьба понемногу стихает и единственным достопримечательным явлением следует признать лишь спор по поводу Сванетии между Византией и Ираном, а также восстание иберийцев против Ирана совместно с армянами, восстание, которое, по всей вероятности, не обошлось без участия Византии.

21. Не прекращавшаяся почти в продолжение целого столетия война между двумя империями не принесла решительного перевеса в Закавказье ни одной из сторон, хотя Византия и достигла немалых успехов. В результате упорной и разорительной для обеих сторон войны обе империи вышли из нее значительно ослабленными, вследствие чего они были вынуждены легко уступить свои позиции арабам и туркам.

2. ნათაძე

დოკუმის თეორიის კრიტიკა და თანაგედროვე უაზიზგი

I

დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის გენეზისის საკითხი მეტად ძველი საკითხია მეცნიერებაში. მაგრამ მაინც მისი სრული გამოკვლევა არ დამთავრებულა. რჩება ჯერ კიდევ მრავალი სადაგო საკითხი, რომლის გარშემოც ყოველ მეცნიერს, თუ იგი ამ საკითხის სპეციალისტია, უხდება მუშაობა და კამათი. ამ მიმართულებით სპეციალისტის ყოველი სიტყვა ძვირფასია. თუ კი იგი დაფუძნებულია პირველწყაროების და სპეციალური გამოკვლევების კარგ ცოდნაზე. მაგრამ მაინც ამ კატეგორიის საკითხებზე ყველა ერთნაირ სიძნელეს არ შეიცავს. პრობლემები, რომელნიც დაკავშირებული არიან უმთავრესად ტაციტუსის და ცეზარის ტექსტებთან და მათზედ არიან დაფუძნებული, შედარებით უფრო ადვილ გამოსარკვევად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე ის საკითხები, რომელნიც დაფუძნებული არიან კაბიტულარიების, კარტულარიების, პოლიტიკების და სხვა ანგარი საბუთების შესწავლაზე. ეს იმიტომ, რომ ცეზარის და ტაციტუსის ტექსტები საკმაოდ მკაფიოა და მარტივი. მათ გარშემო ატენილი დავა უმეტეს შემთხვევაში ტექსტების ნებასურვილისამებრ შეცვლაზე, ნაძალადეგ განმარტებაზე და აშკარა დამახინჯებაზე დაფუძნებული, ნებისთია ეს დამახინჯება თუ უნებური, ყოველ შემთხვევაში წინაღობული აზრის გავლენა ტექსტების მკლარ გავებაზე ადვილი დასამტკიცებელია.

სულ სხვა არის ფეოდალური სისტემის გაფორმების პროცესის დასაწყისის პერიოდი. აქ ჩვენ თვალწინ გვეწლება იქამდის რთული, მრავალსახოვანი მოვლენა, ერთ კალაპოტში აქ სუბარულად თავს იყრის იქამდის სხვადასხვა ფორმა ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური მოვლენებისა, თვით საბუთებში იქამდის რთული და სხვადასხვაგვარი მოვლენებია აღბეჭდილი, რომ მათი გამოკვლევა და სუბარული დახასიათება როგორც ერთი მოვლენის სხვადასხვა თვისებებისა, საერთო ჯამში ერთმანეთთან დაკავშირებულის და ერთ ფორმაციად მოვლინებულის, ძლიერ ძნელია. იმიტომ ყოველგვარი თეორია, რაც უნდა მკლარი იყოს იგი, ადვილად პოულობს ნიადაგს ამ საკითხში, რის გამოც მისი გაბათილება და დამარწმუნებლად უარყოფა, შედარებით უფრო ძნელია, ვიდრე ცეზარის და ტაციტუსის ტექსტების ცოდნასთან დაკავშირებულ საკითხებში.

დაწყებული მეცხრამეტე საუკუნის ნახევრიდან ფეოდალიზმის გენეზისის საკითხების გამოკვლევები ორ ძირითად მიმართულებად არის გაყოფილი. ერთი მიმართულება ყოველთვის მჭადიოდ და მკაცრად არ არის გამოიყენებული, მეორე მათგანი ძირითადად ერთს ეკუთვნის და დეტალებში კი — მეორეს, მაგრამ საერთოდ და სქემატურად მაინც ორი ბანაკი არსებობს. ერთ ბანაკს ეკუთვნიან ის მეცნიერნი, რომელნიც გარეშე წინაღობული პოლიტიკური მოსაზრებებისა და სიმპათიებისა იკვლევენ პირველწყაროების ნიადაგზე ფეოდალიზმის გენეზისთან დაკავშირებულ საკითხებს და თითქმის სტიქიურად, თავისდა შეუძინველად, უანლოვდებიან, ადასტურებენ იმ თვალსაზრისს, რომელიც შემდეგში ამ საკითხის მარქსისტულმა გაგებამ წამოაყენა, სახელდობო, რომელიც გატარებულია ენგელსის ცნობილ შრომებში გერმანელების სახელმწიფოს, მარკის და გვარების შესახებ. მეთოდოლოგიურად ეს მიმართულება იზიარებდა და აბორტივლებდა პოზიტივისტურ შეხედულებას კაცობრიობის ისტორიაზე. ამ მიმართულებას ეკუთვნიან ისეთი მეცნიერნი, როგორც იყვნენ მაურერი, ინამა-შტერნევი, მენი, ვინოგრადოვი, ეილფე, გლასონი და სხვები. მაურერის მიერ წამოყენებული საკითხი გერმანიის მარკის შესახებ უნდა ჩაითვალოს ამ მეცნიერთა გამოსავალ წერტილად, ვინაიდან ამ საკითხიდან იწყებდნენ ესენი გამოკვლევას ფეოდალიზმის გენეზისისას. მაურერი ამბობდა, რომ გერმანული მარკა ანუ ჩვენებურად თემი, ოდესღაც სრულყოფილ და დამოუკიდებელ ორგანიზაციას წარმოადგენდა, ხოლო შემდეგში, დაწყებული ფრანკთა მონარქიის დაარსებიდან, მსხვილი შემამულეობის განვითარების გავლენით, თავისუფალი მარკა თანდათან ისპობა. მსხვილმა შემამულეებმა ხელში ჩაიგდეს ჯერ ის ადგილმამული, რომელიც თემს არ ჰქონდა გამოყენებული, ხოლო შემდეგ თვით თემის ადგილმამულის დატაცებას მიჰყვეს ხელი და თემი დაიმორჩილეს. თემი არ მოსპობილ, მაგრამ მოისპო მისი თავისუფლება. იგი გადაიქცა მსხვილი შემამულის (განსაკუთრებით, მეფეების, გრაფების და სხვ.) განკარგულებების ადმინისტრაციულ ორგანოდ. ამგვარივე თემობა ჰქონდათ აგრეთვე სლავებს (запыва, оупыва), ალბანელებს, ამერიკის აბორიგენებს, ისე, რომ, როგორც შემდეგ კიდევ უფრო ურყევად დამტკიცდა. (მორგანის კოვალევსკის და სხვათა შრომებით), თემობის არსებობა საერთო მოვლენაა კაცობრიობის ისტორიის გარკვეულ საფეხურზე და ყოველი ერი თავის განვითარების პროცესში გაივლის ამ საფეხურს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მარქსი და ენგელსი დიდად აფასებდნენ მაურერის ამ შრომას და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მაშინ, როდესაც მარქსის შეიძლება იხსენიებოდა არ იკვლევდა, მაურერმა აღმოაჩინა ისეთი მოვლენები, რომელნიც განსაკვირვებლად ადასტურებენ ისტორიის მარქსისტულ გაგებას, მერც ისეთი მეცნიერის ხელში, რომელიც დიდი ერთდროის პატრონი იყო.

მოყვანილი დებულებები მაურერისა დღეს არაფერს ახალს არ წარმოადგენს, ეჭამდის შესულია ისტორიის საკითხებში. მაგრამ სამაგვროდ მაურერის არამარქსისტობაც მკაფიოდ ჩანს იმის გამოკვლევებში. თემობის მოსპობას და მსხვილი ფეოდალური საკუთრების განვითარებას იგი ხსნის უმტკივნეულო, ბუნებრივი, ყოველივე ძალადობის გარეშე მყოფი პროცესით. ამისათვის ის იძულებულია

ბულია ამტკიცოს, თავდახნაურობა გერმანელებს შორის თავიდანვე ბობლაო.

მაერერის მოღვაწეობა შემდეგში განაგრძო ინამა შტერნეგმა, რომელმაც, გარდა იმისა, რომ იგი მთლიანად და საესებით მიემხრო მაურერს, მრავალი ახალი მასალებით დაადასტურა იგი და, ამას გარდა, გამოკვეთილად დააყენა საკითხი ნატურალური მეურნეობის, როგორც ფეოდალური წესწყობილების საფუძვლის შესახებ. ფეოდალური წესწყობილების გენეზისს ძირითადად ხსნის წვრილი საკუთრების მოსაზრების და მსხვილი საკუთრების მიერ მისი ჩაყლაპვის პროცესის განვითარებით. მასალაში, მიუხედავად იმისა, რომ ძირითად საკითხში ინამა შტერნეგი ეთანხმება მაურერს, მსხვილი საკუთრების თავიდანვე არსებობის საკითხში იგი მისი წინააღმდეგაა. იგივე მიმართულება ფეოდალიზმის გენეზისს საკითხის გამორკვევაში ვალატანილ იქმნა ინგლისის ისტორიაშიც, სადაც ყველაზე მკაფიოდ და დეტალურად დაასაბუთა ეს თეორია ვინოგრა დოვმა.

ამ მიმართულების გარშემო შეიქმნა მთელი სკოლა, რომელიც თითქმის მეოცე საუკუნემდის, ყოველ შემთხვევაში ვასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლომდის ისტორიოგრაფიაში უდავოდ ვაბატონებული იყო. მიუხედავად ამისა, ამ სკოლის მოწინააღმდეგე მიმართულება თავიდანვე ჩაისახა, პირველ ყოვლისა ვაიცის შრომებში, მაგრამ თავის განვითარებას მან მიიღწია მაშინ, როდესაც გამოირკვა, თუ რა საშიშროებას წარმოადგენდა ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობისათვის მარქსიზმის გამარჯვების თითოეული ნაბიჯი, რომელსაც როგორც ახლა უკვე მიხედნენ, ხელს უწყობდნენ მაურერისა და ინამა შტერნეგის მიმართულების გამოკვლევები. იმ ამიტომ დაირაზმა და გაძლიერდა მაურერისა და ინამა შტერნეგის მოწინააღმდეგე მიმართულება მეოცე საუკუნის დასაწყისიდანვე, როდესაც უკვე ყველასთვის თვალსაჩინო ვახდა მარქსიზმის საზოგადოებრივ-მეცნიერული მნიშვნელობა და პერსპექტივები. ჯერ 1901 წლიდან ვიტ-ტიხმა სცადა სპეციალურ შრომაში დაემტკიცებინა, რომ დასავლეთ ევროპაში კერძო საკუთრება და ამასთან მსხვილი მემპშეულობაც უძველესი დროიდანვე არსებობდა. ვიტ-ტიხს მოჰყვა კარო, რომელიც იმავე ხანებში ამტკიცებდა და განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმას, რომ ალლოდი, რომელიც ძველი დროიდანვე არსებობდა, კაროლინგების დროს კიდევ უფრო ვავრცელდა. 1903 წელს იმავე დებულებას ამტკიცებს ზელიგერი, შემდეგ ბელოვი, და ბოლოს ყველა ამათ შრომებს აჯამებს ალფონს დობში. საფრანგეთში იმავე თეორიის მომხრედ 1901 წ. გამოვიდა Henri Sée, რომელმაც საერთოდ განახალა ფიქსტელ დე კულანტის მიმართულება. ხოლო რაც შეეხება ინგლისს, იქ ეს მიმართულება წინათაც საკმაოდ ძლიერი იყო¹.

შევიჩრდეთ დომშივე. როგორც ამ შრომების ყველაზე უფრო თვალსაჩინო შემაჯამებელზე. ეს მეცნიერი ისეთი უხარმხართი ერუდიციით ასაბუთებს შესაჯანებელ დებულებებს, რომ მოწინააღმდეგე ადვილად შეიძლება დაიბნეს ამ მასალათა ლაბირინთში. ამიტომ საკვლევი საკითხების გამოსაყოფად და ფორმულირებისათვის წამოვაყენოთ ჯერჯერობით მისი ძირეული დებულებები.

¹ წინააღმდეგ ამისა იხ. ენგელსი Происхождение семьи... გვ. 142.



1. რომის იმპერიასა და შუა საუკუნეებს შორის არავითარი წყვეტილება არ არსებობდა. 2. გერმანელებმა განაგოეს განვითარება და რომის მემკვიდრეობა მთლიანად გამოიყენეს. 3. მსხვილი საკუთრება იყო და განაგრძობდა არსებობას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რომში მუშაობდნენ მონები, შუა საუკუნეებში კი ისინი ყუბად გადაიქცნენ. 4. საბოლოო ანგარიშში დღეში იმ აზრს იცავს, რომ შუა საუკუნეებში არსებობდა „ნატურალურ-მეურნეობითი“ კაპიტალიზმი. ამით მას კაპიტალისტური წესწყობილების მარადიულობის დამტკიცება სურს, მაგრამ ასეთი თუ ისე, შუა საუკუნეების ისტორიის წყაროების გარეშე ხომ არ შეიძლება რაიმე დასკვნის გამოტანა, ამ წყაროებს კი გარკვეული მეთოდებით და ხერხებით ესაპიროება მიდგომა. დღეში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ საქმეში ერთი მხრივ ძლიერ დიდ ერუდიციას იჩენს, მაგრამ მეორე მხრივ, სახელდობრ როდესაც საკითხის მეთოდური დაყენება სწყვეტს საგანს, ხანდახან განსაკუთრებულ უცოდინარობას იჩენს, როგორც ამას ამჟღავნებს სრულიად არამარქსისტი და არაკომუნისტი, დიდა სპეციალისტი ეკონომიკის საკითხებში ზომბარტი. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოს, რომ მეორე მხრივ დღეში ასეთი მკაცრი გამოლაშქრებისათვის მაურერის და ინამა შტერნევის მიმართულ ბრძნებს წინააღმდეგ ესენივე აძლევენ საბაზს. საქმე ის არის, რომ ეს მეცნიერები, განსაკუთრებით კი ინამა შტერნევი, ნატურალურ მეურნეობას შუა საუკუნეებისას ისე ჰხატავენ, როგორც თითქმის აბსოლუტურად პარზაკტილს. უკანასკნელი თავისი წიგნის ერთ საფუძლიან თავში ეხება შუა საუკუნეების ვაჭრობას. მაგრამ ამ თავში მას ვერ ვიტყვი, რომ ახასიათებდეს ისეთი დიდი საფუძლიანობა, პირველწყაროების ისეთი დიდი ცოდნა, როგორც ჩანს სხვა საკითხების გარეგნაში. ამიტომ დასკვნაც არ არის სწორი, ვითომდა ვაჭრობას შუა საუკუნეებში სრულიად უმნიშვნელო ადგილი ეკავა, და ამიტომ არც რაიმე ხედიერთი წონა უნდა ჰქონოდა ფეოდალურ სისტემაში. ეს არ არის სწორი, როგორც თავის ალავან გამოიჩვენა. დღეში ამ სუსტი ადვილით სარგებლობს, თავს უყრის მართლაც ძვირფას და მრავალ მასალას და ამტკიცებს კაპიტალიზმის არსებობას შუა საუკუნეებში. მას, როგორც ჩანს, ჰგონია, რომ ამ საკითხში ინამა შტერნევის დამარჯხება ნიშნავს მარქსიზმის განადგურებას, რადგანაც დარღვეულად მიაჩნია ის აზრი, რომელიც შუა საუკუნეების ისტორიის მარქსისტული გაგების საფუძველია, ის აზრი, რომ ნატურალური მეურნეობა და მასთან დაკავშირებული საწარმოო ძალების განვითარება წარმოადგენს ფეოდალური სისტემის საფუძველს. ის კი არ იცის დღეში, რომ მაურერისა და ინამა შტერნევის ნაწერების ძირეული შესწორების საკითხებს, განსაკუთრებით ვაჭრობის მნიშვნელობის საკითხში, მარქსისტული ისტორიოგრაფია აუცილებლად თვლის, რათა აღმოფხვრიდ იქნეს ეკონომიზმი და ნატურალური მეურნეობის არადიალექტიური გაგება.

მაგრამ ზემოაღნიშნულ მეცნიერთა ნაწერების კრიტიკა და შესწორების შეტანა არ ნიშნავს იმას, რომ ხელაღებით გადავადგოთ ყოველივე ის, რასაც მეცნიერებმა აძლევენ ამ მეცნიერთა შრომები. საკითხა საქმეს მიფუძვლეთ წყაროების ცოდნით და ამასთან სათანადო მეთოდებით შეიარაღებულნი. ინამა

მტერნეგი თუ ამცირებს ვაჭრობის მნიშვნელობას შუა საუკუნეებში დადგინდა, რომ ეს შეცდომაა. მაგრამ ამასთან ერთად სათანადო ანალიზით დაავაზრებია, რომ ეს შეცდომაა. მაგრამ ამასთან ერთად სათანადო ანალიზით და სინთეზური მიდგომით ისიც დაემატა, რომ ვაჭრობის ხვედრითი წონა ისეთი პასივობისა იყო, რომ იგი არა თუ ხელს არ უშლიდა, არამედ ხელსაც უწყობდა ფეოდალური სისტემის სიმტკიცეს. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დღემდის ამ მეორე დებულებას ნაკლები ყურადღება აქვს მიტეული. პრინციპულად ეს საკითხი დაყენებულია. დიდძალი დოკუმენტალური მასალაა გარჩეული, რომლის ნიადაგზედაც სათანადოდ გაშუქებულია მეორეხარისხის ფორმები და სოციალური ურთიერთობა; ჩემი ღრმა რწმენით, ზოგიერთი მასალა, რომელიც მეტად მკაფიო ნათელსა ჰყენს სწორედ ვაჭრობის ხვედრითი წონის და ფეოდალური სისტემაზე გავლენის ხაკით.ს, ჯერ არ არის გამოყენებული. ამისათვის მე საჭიროდ მიმაჩნია ერთი მხრივ გამოუკლებლად შესაფერი დოკუმენტალური მასალის დაშუშაება, მაგრამ მეორე მხრივ მას უნდა შეეფარდოს აგრეთვე იმ დროის ისტორიკოსების ნაწერებზეც, რომ ერთმა მეორეს მტკიცე საფუძველი და გაშუქება მისცეს.

ამით უნდა გადაწყდეს კიდევ ერთი, კიდევ უფრო დიდი და მწვავე პრინციპული საკითხი, რომელიც დღევანდელ პოლიტიკურ მომენტში, როდესაც ბრძოლის ეტაპზე სისხლის ღვარები დის, საფუძვლად უდევს ამ სისხლის ღვრის თეორიულ დასაბუთებას და გამართლებას, ეს გახლავთ ჰიტლერიზმი, რომელიც ისტორიულად ემყარება ჩრდილო-გერმანიის რასის არსებობას და მის განსაკუთრებულ უპირატესობას სხვა რასების მიმართ, რომელიც მან უნდა დაიპყროს, თავის სურვილისამებრ ამუშავოს და გამოიყენოს, რათა კაცობრიობის დაწინაურების მიზნით „საუკეთესო“ რასა კიდევ უფრო წინ წავიდეს და ამისთვის „ჩამორჩენილი“ რასები მასალად გამოიყენოს¹.

ისტორიულ კვლევა-ძიებაში ამ თეორიის წინამორბედი დობაში, რომლის მოღვაწეობაც სწორედ იმ ხანას ეკუთვნის, როდესაც ჯერ უჩინარად და შემდეგ აშკარად ჰიტლერიზმი იჭედებოდა. პირველ ყოვლისა დობაში უარყო ის აზრი, რომ გერმანელებს თავის განვითარების პროცესში რამე გადმოეღოთ რომაელებისაგან. მათ როგორც მთლიან რასის ხალხმა, გერმანიის იმპერიის ტერიტორიაზე სულ მთლად თავისი ცხოვრების ფორმები განავითარეს. სხვადსხვა ფორმებში კაპიტალიზმი მისი კერძო საკუთრებით მათ ჰქონდათ წინათაც და დარჩათ შემდეგშიც, ოღონდ უფრო განვითარებული ფორმით. ფეოდალური წესწყობილება—ეკონომიკურ მხარეს ავიღებთ, სოციალურსა თუ პოლიტიკურს—მთლიანად გერმანელთა ცხოვრების განვითარების შედეგია. გერმანელთ, როგორც მთლად რასას, არ დასჭირებიათ თავის განვითარების პროცესში სხვებისაგან რისიმე ვადმოღება. პირიქით, ისინი სხვის ტერიტორიაზე თავის ცხოვრე-

¹ გერმანული რასის გავლენის და თვისებების შესახებ უნდა ვიხელმძღვანელოთ ენკელსის აზრით, რომელიც მას გატარებული აქვს დასახელებულ წიგნში, გვ. 157.



ბის ფორმებს ავითარებენ. ამის დასადასტურებლად დოკში ცდილობს ტკიცოს, რომ გერმანელთა განვითარების გზაზე რომის იმპერიასთან შეტაკება, წყვეტილი და კატასტროფა არ ყოფილა. პიტლერელ მეცნიერებს ეს თეორია მთლიანად აქვთ აღებული და პრაქტიკულ პოლიტიკაში გამოყენებული. ამიტომ დოკშის დებულებების ჟარყოფა უნდა წარემნდგაროს ჟარყოფას თანამედროვე პიტლერიზმის აგრესიისა. ეს მუშაობა უნდა გაძლიერდეს.

მე სწორედ ესა მიაჩნს მიზნად დასახული. მაშასადამე, მე ვფიქრობ ამ შრომის პირველ ნაწილში შევებო საკითხს ფეოდალური სისტემის სოციალ-ეკონომიურ საფუძვლებისას და, თუ სადმე ოდნავ მაინც უკეთ გაშუქებას შევძლებ, გავაშუქო, ხოლო მეორე ნაწილში გამოვარკვიო, თუ რა ხასიათისა და ორგანიზაციის მოვლენა იყო მაშინდელი ვაქრობა და როგორ ხდებოდა, რომ იგი ვარკვეულ სოციალ-ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენებულ ფეოდალურ სისტემის გაერთიანებას და სიმტკიცეს ხელს უწყობდა, მის წინა-აღმდეგობაში ჯერ არ ვარდებოდა, ახალ სისტემას საფუძველს არ უყრიდა. ამით გამოირკვევა, თუ რა დეაწლი მიუძღვის ამ საქმეში რომაელების შემკვიდრობას და არაბების გავლენას, ე. ი. როგორ განხორციელდა სხვადასხვა რასების თანამშრომლობა ისტორიულ პროცესში და მძიმე რეკოლუციურ ქარტახილის შედეგად როგორ შემუშავდა ფეოდალური სისტემა.

II

კაროლინგების ეპოქის სოციალ-ეკონომიური განვითარების პროცესის შესასწავლად მეცნიერები ემყარებიან იმ დროის საკანონმდებლო აქტებისა და ბრძანებულებების გარდა, მამულების აღწერებს, რომელთა რიცხვიც ძლიერ მრავალია. მათ შორის გასაკუთრებით მნიშვნელოვანია ბორეციუსის გამოცემული „აღწერათა ნიმუშები“ (brevium exempla), რომელიც მოთავსებულია Monumenta Germaniae-ს პირველ ტომში. ამ მასალაში მოცემულია მსხვილი მამულების აღწერის ნიმუშები და ამ მამულების შემადგენლობა, რომლიდანაც ირკვევა აგრეთვე, თუ როგორი იყო მსხვილი მამულის ორგანიზაცია და მათზე დასახლებული ხალხის სოციალური მდგომარეობა, საერთო ჯამში კი ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ საწარმოო ძალების განვითარების დონეს. როგორც გვაცნობებს პროფ. უდალცოვი¹, რომელსაც ეს მასალა განსაკუთრებით ზედმიწევნით აქვს შესწავლილი, ეს ნიმუშები მეფის წარგზავნილების მიერ სდგებოდა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ესა თუ ის კონკრეტი მამული ჰქონდა თითოეულ მათგანს მხედველობაში მიღებული. ეს მით უმეტეს ნათელია იქიდან, რომ ამ აღწერაში ხშირად ჩამოთვლილია შენობები, ყოველი სამეურნეო მარაგი, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი². მეორე დიდმნიშვნელოვან ამის მავგარ აღწერა

¹ Социальная история средневековья, под редакцией Косминского и Удальцова, стр. 162.

² იქვე.

რილობითი ხასიათის წყაროს წარმოდგენს კარგად ცნობილი „საბატონო მონასტრის პოლიტიკა“, გერარისა და შემდეგ ლონიონის გამოცემული. ეს საბუთი გვაცნობს ფრანკთა მონარქიის ცენტრალური ნაწილების მდგომარეობას და იძლევა აგრეთვე მამულების ყოველმხრივ აღწერას და, როგორც სამართლიანად ამბობს უდალცოვი¹, გვაძლევს ნათელ წარმოდგენას იმ მამულების შესახებაც, რომლებიც გარს არტყია ამ საბუთში მოხსენებულ მამულებს, თუმცა მასში არ შედის.

ფლანდრიის შესახებ ამავე ეპოქისათვის ცნობებს იძლევა ბერტინის მონასტრის დავთარი, რომელშიც მეცხრე საუკუნის ცნობებია თავმოყრილი, აბატ ადალლარდის ბრძანების თანახმად. ამ მონასტრის მფლობელობას ეხება აგრეთვე კარლო მეორის კაპიტულარი, გამოცემული 877 წელს. ამ წყაროებით, კორბეის მონასტრის სტატუტების დამატებით, იკვლევს პროფ. უდალცოვი² ჩრდილო საფრანგეთის მიწათმფლობელობას მეცხრე საუკუნეში. აღმოსავლეთ ფლანდრიის შესახებ პროფ. უდალცოვი უმატებს ბლონდინის მონასტრის კარტულარს³. ამას გარდა, კარო და დოპში თავის დასკვნებში ემყარებიან სენგალენის მონასტრის ცნობებს. ჩვენი მსჯელობა ამ წყაროების და მათი მასალების შესახებ ყველაზე უმჯობესია დავიწყეთ საკანონმდებლო საბუთით, რომ ვიცოდეთ, თუ როგორი იყო იმ დროს მამულების მდგომარეობა, თანახმად რეგლამენტისა, საერთო სისტემისა, და შემდეგ გამოვარკვიოთ, თუ რამდენად ემთხვევა მას და როგორ გაშუქებას და განმარტებას აძლევს ფაქტობრივ მდგომარეობა და სტატისტიკური მასალა. შეგვირდით ამგვარ საბუთებს შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და ცნობილ საბუთზე: Capitul. de villis⁴ („კაპიტულარი მამულების შესახებ“). ეს ბრძანება გამოცემულია კარლოს დიდის მეფობაში, ბორციუსის ცნობით, მეცხრე საუკუნის დასაწყისში, ხოლო დოპის აზრით, მერვე საუკუნის ბოლოში. ამას გარდა, დოპში და ბორციუსი ერთმანეთს არ ეთანხმებიან იმაში, თუ სახელდობრ ვისი გამოცემულია ეს ბრძანება — პირადად კარლოს დიდის, თუ მისი შვილის ლუდოვიკოსი. ეს უკანასკნელი განაგებდა აკვიტანიას, როგორც მეფე, თავის მამის იმპერატორობაში, და დოპში ფიქრობს, რომ სწორედ მას აკვიტანიისათვის დასკირებია ამგვარი ბრძანება და გამოუცია კიდევ ამ ბრძანების გამოცემის ამგვარი ახსნა, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს იმ ცნობასთან, რომელსაც გვაწვდის ანონიმი ჩსტორიკოსი⁵. ის მოგვითხრობს, რომ ლუდოვიკოს აკვიტანიაში მეფობის დროს, როგორც მის მამას იმპერატორ კარლოსს გაუგია, არისტოკრატებს მთლად დაუტაცნია სამეფო მამულები და თავის საკუთრებად გაუხდია. ამის გამო მეფე ძლიერ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩავარდნილა, რადგანაც არავისი დაჯილდოვების საშუალება მას აღარ დარჩენია. რადგანაც არისტოკრატია მხოლოდ თავისთავზე ფიქრობდა, ხანინა სრულიად უყურადღებოდ ყოფილა მიტოვებული. კარლოს დიდს გადაუწყვეტია

¹ Ж. Мин. Нар. Просв. 1912 г. ნოემბერი, გვ. 2.

² А. У д а л ь ц о в, Из аграрной истории карол. Фландрии, стр. 9 и т. д.

³ იქვე, გვ. 66-67.

⁴ ხელთ მაქვს და ვიყენებ გარისის გამოცემას.

⁵ MG-SS, t. II. Vita Hludov. § 6.



შვილისათვის რამე დახმარება მიეცა, მაგრამ პირდაპირ წართმევა იმისა არისტოკრატის უკვე მეფისგან მიღებული ჰქონდა, გამოიწვევდა დიდსა და დიდებულს და მეფისათვის სახიფათო მდგომარეობას. ამიტომ იმპერატორმა სხვა საშუალებას მიმართა: მან გაგზავნა ვილჰელმის და გრაფი რიჩარდი, რომელიც მის მამულებს განაგებდა, და მათი საშუალებით გასცა განკარგულება, რათა სამეფო ხაზინისათვის უკან დაებრუნებინათ ის მამულები, რომელნიც მანამდე მეფის მოთხოვნისას ანუ საჭიროებას ემსახურებოდნენ. აქ ისტორიკოსს აღნიშნული აქვს სწორედ 796 წელი. 797 წელს კი, ღოამის აზრით, უკვე გამოიცა ზემოაღნიშნული ბრძანება, სამეფო მამულების შესახებ. შესაძლოა, ღოამის ისტორიკოსის ეს ცნობა ჰქონდა მხედველობაში მიღებული, როდესაც სწერდა, რომ ეს ბრძანება ეხება მხოლოდ იმ მამულებს, რომლებიც რაღაც არეულობის გამო უკანონოდ იყო დატაცებული. უნებურად ასე უნდა ფიქრობოთ, ვინაიდან სხვა არავითარი გარემოება არ არის ისტორიაში ცნობილი, რომ მამულების განაწილების საქმეში რამე არეუ-დარევა შეეცანა ისტორიის მსვლელობის კანონზომიერ პროცესში. აქ კი მეტად მკაფიოდ არის აღნიშნული ის გარემოება, რომელიც ბრძანების პირველსავე მუხლშია აღნიშნული და თარიღითაც ზედმიწევნით უდგება ერთი-მეორეს. *Volumus at villae nostrae, quod ad quis nostrum serviendi institutas habemus, sub integritate partibus nostris deserviant et non aliis hominibus*¹.

ანონიმი ისტორიკოსი:

... ებრძანებთ, რათა დაუბრუნონ ხაზინას ის მამულები, რომელნიც აქამდის მეფის საჭიროებას ემსახურებოდნენ.

ამ ბრძანების აღნიშნული ტექსტიდან იმ დასკვნის გამოტანა, ვითომდა ეს ბრძანება გამოცემულია ლუდოვიკოს მიერ და არა კარლოსის მიერ, შეუძლებლად უნდა მივიჩნიოთ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ისტორიკოსის გადმოცემით ეს განკარგულება, მაშინაც კი, როდესაც იგი ჯერ ზეპირი იყო და ბრძანებაში არ იყო გაფორმებული, კარლოს დიდისგან მომდინარეობდა. მერე იმიტომ, რომ თუშეცა ეს ორი განკარგულება — წერილობით გაფორმებული და წინასწარი ზეპირი — ძლიერ უახლოვდება ერთი-მეორეს, მაგრამ მათ შორის საგრძნობელი განსხვავებაც არის. „ჩვენ საჭიროებას უნდა ემსახურებოდნენო“, ეს სიტყვეში ერთნაირია, მაგრამ „ჩვენს საქმეს და არა სხვა ხალხს ემსახურებოდნენო“ (*sub integritate deserviant et non aliis hominibus*), ეს უკვე ახალია და ამასთან ისეთი, რაც აკვიტანის მდგომარეობას არ შეეფერება, თუ ისტორიკოსის სიტყვები მივიღეთ მხედველობაში. ეტყობა, კარლოს დიდს აკვიტანის მდგომარეობა საბაბად გამოსდგომია იმისათვის, რომ განკარგულება გამოეცა მთელი იმპერიისათვის. იმ დროს აკვიტანის ახლად შემოერთებული კუთხე იყო და ამიტომ გასაგებია, რომ იქ საერთო წესრიგის დამყარება ასე უცებ ვერ მოხერხდებოდა. ლუდოვიკოს თავის მახლობელი თანამეგობრებისათვის გაუცია ბენეფიციები და ამათ კი საკუთრებად ჩაუტოვებდა ხელში. იმპერიის დანარჩენ ნაწილებში


¹ Garenis, Die Landgüterordn. გვ. 23.

ასე მჭკავე მდგომარეობა არ ყოფილა. თუ აკვირდებით მეფის მამულეჭირველთა თვისებით, დანარჩენ ნაწილებში მითვისება კი ვერ გაუბედავთ, მაგონებლად გამოშვებით, ასე ვთქვათ, კონტრბანდით, კანონის გარეშე სარგებლობდნენ ამ მამულეჭირველთა, ეს კანონს გარეშე სარგებლობა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმით, რომ მამულეჭირველთა მართვა-გამგეობა, მეთვალყურეობა, ანგარიშინობა არ იყო ჯერ საღ სამეურნეო ნიადაგზე დაყენებული. აი ამიტომაც გამოდის ბრძანება, რომლითაც აკვირდებით მტკივნეულობასაც არჩენს და დანარჩენი ნაწილებსაც. ამიტომაც ამ კაპიტულარის პირველ მუხლში ისეთი ფორმულირებაა შეტანილი, რომელიც ორივე მდგომარეობას უშველის. ის მამულეჭირველნი იყვნენ თავიდანვე განკუთვნილნი მეფის საჭიროებისათვის. ახლა ეს მამულეჭირველნი საჭიროებას და არა სხვა ხალხისა უნდა ემსახურებოდნენ. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ მითვისებული მამული ხაზინასვე დაუბრუნდება და ამ მამულეჭირველთა და დანარჩენებშიც ანგარიშინობა, ორგანიზებული შოჯლა და ივალყურის დაჭერა განხორციელდება. ისე რომ ის აზრი, ვითომც ეს ბრძანება ულედოვიკოს გამოცემული იყო და არა კარლოს დიდისა, არ მართლდება, მით უმეტეს, რომ იქ არის აღვლები, რომლებიც ახლად შემოერთებულ აკვირდებით მდგომარეობას ძლიერ ნაკლებად შეეფერება.

რაც შეეხება იმას, რომ, როგორც დოკუმენტი აღნიშნავს თავისი აზრის დასაბუთებლად, ბრძანებაში მოხსენებულია ცხელი ქვეყნების მცენარეები — ატამი, არაბული მუხუდო (pisus maritimus) და სხ., ეს საბუთი არა კმატა იმისათვის, რომ ეს ბრძანება ულედოვიკოს შეეკუთვნოთ. ბუნებრივია, რომ, რაკი ბრძანება მთელ სახელმწიფოს ეხებოდა, დასაბუთებელი ყოფილიყო ის მცენარეებაც, რომლებიც სამხრეთით იზოდებოდა. ამგვარად ამ ბრძანების დანიშნულება ის ყოფილა, რომ წესრიგი და ორგანიზება შეეტანა იმ მამულეჭირველთა, რომლებიც მეფის საჭიროებისათვის იყო განკუთვნილი მთელ უბარმანარ სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ხოლო მეფის მამულეჭირველთა ვიფიქროთ, ამგვარი მამულეჭირველნი უმრავლესობას შეადგენდა, ვინაიდან, როგორც ბრძანებაშია გათვალისწინებული, მეფის საჭიროებად ითვლებოდა არა მხოლოდ ის, რომ მეფე და მისი დეჯები მადლონი ყოფილიყვნენ, არამედ მართვა-გამგეობის ამოცანებიც, შინა ყმების მდგომარეობაც, წესიერების დაცვაც, დამაშავებების დეგნაც და სხვა სასულიერო მამულეჭირველთა მთავარი მამულეჭირველთა დანიშნულება, როგორც შემდეგ საეკლესიო საბუთებიდან დავისახავთ, ის არის, რომ მონასტრის ბეჭების საჭიროებას ემსახუროს. რანაირი მამულეჭირველნი არსებობს კიდევ, ამგვარი მამულეჭირველნი გარდა, ეს საბუთებიდან არ ჩანს და არც შეიძლება რაიმე მნიშვნელოვანი მამულეჭირველნი ყოფილიყვნენ ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობის პირობებში. რაც შეეხება ბაზრის საჭიროებას, ამა, შეძლების დაგვარად, ისევ ეს მამულეჭირველნი აკმაყოფილებდნენ.

მამულეჭირველთა ამგვარი დანიშნულების მიხედვით ბრძანების ამოცანაა მათი მართვა ისე მოაწესრიგოს, რომ მთელი შემოსავალი მეფის კარზე მივიდეს, არ დიქსაქსოს, სხვების ხელში არ გადავიდეს. ამისათვის პირველად ყოველისა

¹ იხ. ჩემი Capitulare de villis: თბ. უნივერსიტეტის შრომები ტ. I, 1936 წ. გვ. 504.



საქიროთა ცნობაში იყოს მოყვანილი, თუ სად რამდენი გლეხი ცხოვრობს. საიდან რა გადასახადი უნდა შემოვიდეს, სად რა მუშაობას აწარმოებენ, ბურს არ მაღავედნენ. ყველა ეს ვალდებულება დავისრებული აქვთ მოურთავებს, ისე რომ ისპობა ის მდგომარეობა, რომელიც იყო აქამდის და მრავალ მამულში, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ისე მოწყობილებული, როგორც სამეფო მამულები, ახლაც არის. მამულები შორიშორს არის გაფანტული, ცენტრალური ხელმძღვანელობა სუსტია, გლეხობა უცხო ხალხის გავლენის ქვეშ იმყოფება და იძულებულია ნაწილობრივ მაინც მათ ემსახუროს და არა თავის უშუალო ბატონ-ბატონს. რომ ამნაირი მდგომარეობა შედეგი იყო ძველად თემების გარეშე ახობების აღებისა და მეშვიდე საუკუნეში ჯერ კიდევ გავლენას ახდენდა საქიროთა სამეურნეო სისტემაზე. ეს საკმაოდ მკაფიოდ ჩანს ბლონდინის მონასტრის კარტულარიდან, რომელიც დამუშავებული აქვს პროფ. უდალცოვს. როგორც მრავალი სხვა მონასტრების მამულები, ისე ამ მონასტრისა, მრავალი ნაჩუქარი ან ნაყიდი მამულებისაგან შესდგება, რაც ჩანს ამ საბუთის № 42 ნაწილის შინაწერიდან. *Commemoratio de illis hominibus qui tradiderunt vel vendiderunt res suas a sancti Petri monasterii Blondinto temporibus sancti atinanti...*

ამ საბუთში მეცნიერთა შორის კამათს იწვევს ტერმინი *mansioniles*, რომელიც ხშირად იხმარება. პროფ. უდალცოვის გამოკვლევა აშუქიებს, რომ ეს ტერმინი ძლიერ ხშირად დაკავშირებულია ტყის დასახლებასთან¹. *De silva mansionilis IV, his nominibus*. ამის ასახსნელად უდალცოვს მოჰყავს დიუკანჯის განმარტება, რომელშიც ერთ-ერთი საბუთიდან ამოწერილია ანალოგიური მაგრამ კიდევ უფრო მკაფიო ადგილი. *Partem etiam maximans silvae in... comparavit et mansionilia ibidem constituit (Vita S. Remigii)*, ზოგჯერ *Silvae*-ს ნაცვლად, ნახმარია სიტყვა *heremus*, ზოგჯერ ამ ადგილების სახელწოდება უდგება სიტყვა „ახრ“-ს მნიშვნელობას, რომელსაც სხვადასხვა სახელი ჰქონდა².

ამგვარი მამულები (*mansioniles*) შემოდარნიშნული ძველის შედგენის დროსაც კი ხანდახან განცალკევებულად არსებობდა ჯერ კიდევ, ხან კი რამდენიმე ამგვარი მამული იყო გაერთიანებული და ამათუიმ დიდ სამონასტრო მამულში შედიოდა, საბოლოო ანგარიშში კი რომელიმე მსხვილი მამულის ნაწილს შეადგენდა. ამგვარი წვრილი მამულები ხშირად უღრან და ცუდად მისავალ ადგილებში მდებარეობდა, ხშირად იგი გაფანტული იყო, ხშირად სხვის მამულებში შეჭრილი და არეული. აი რატომ იყო შექმნილი ისეთი მდგომარეობა, რომ დიდი მამულის პატრონს არ შეეძლო მუდამ ცნობაში ჰყოლოდა, თუ მის მამულებზე ვინ სად რას აკეთებს და ვინ სად რა უნდა გადაიხადოს. ამისათვის მას ჯერ არც უნარი და გამოცდილება ჰქონდა, არც სათანადო ორგანიზაცია და აპარატი. ყველა ამის განვითარებას სჭირდებოდა დრო, ჩვევების განვითარება და აპარატის შექმნა. ამ განვითარების პროცესს გვიხასიათებს ჩვენი დავითები, რომელშიც ზოგჯერ მეტად და ზოგჯერ ნაკლებ განვითა-

¹ Удалцов, Из агр. истории, стр. 78.

² ibidem, стр. 82-83.

რებულია დიდმა მამულის მოვლის ახალი სისტემა, ახლო მისი, ასე უჩვეულოდ სრულყოფა, როგორც ფეოდალური მამულის მოწესრიგება, დატულია ბრძანებებით სამეფო მამულების შესახებ. ანაირ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სრულყოფას პირველად ყოვლისა მეფემ მიადრია, რადგანაც ამას დიდი აპარატი, დიდი რესურსები და დიდი იძულებითი საშუალება ესაჭიროებოდა. სხვებისათვის ეს მიუღწეველი იდეალი იყო, მაგრამ ვისაც რამდენად შეეძლო, ცდილობდა ამ იდეალს მიახლოვებოდა. ამიტომ ამ ძეგლში პირველად ყოვლისა უნდა მითითებული ყოფილიყო, რომ მოწესრიგებული მამულის პატრონმა უნდა იცოდეს მისი მამულები სად, ვის ხელშია, სად ვინ რას აკეთებს და დროზე და სათანადოდ იხდის თუ არა თავის გადასახადს. მართალია, ახოს აღების სისტემა ძველია, ისე რომ კაროლინგების დროს ეს უკვე ისე ძლიერ არ იყო ვაგროცელებული, ვიდრე წინათ, მაგრამ ამ სისტემას ისეთი თვისებები აქვს, რომ იგი განვითარების სხვადასხვა საფეხურებს ეგუება. რაც უფრო წინ მიდის კულტურა, იმდენად უფრო ფართოდება აღვილ-მამული, რომლის ზთვისებაც შესაძლებელი ხდება. საცა წინათ მწირი და ჭაობიანი აღვილი იყო, შემდეგში იქ მეურნეობის წარმოება შესაძლებელი ხდება და ახო ჩნდება. ისე რომ ერთი მხრით მსხვილი მეურნეობის მოწესრიგება ხდება და წვრილი საკუთრება მას უფროდება, მეორე მხრით ჯერ კიდევ დიდხანს რჩება ძველი და ახალი ახობები, რომელნიც ფორმალურად ამა თუ იმ მსხვილი მამულის ნაწილს წარმოადგენენ, ფაქტიურად კი მას ძლიერ ნაკლებ ემორჩილებიან, მის სისტემაში ჯერ არ შესულან, როგორც მისი ორგანული ნაწილი.

მსხვილი მამულების შემადგენლობის და წვრილი გლეხკაცობის არსებობა-არარსებობის საკითხის შესახებ ეს საბუთი ვერაფერს მოგვცემს. ამ საკითხების გამოსარკვევად ჩვენ უნდა მივმართოთ კმ ძეგლებს! რომელნიც ფაქტიურ მდგომარეობას გვიხანსაიანებენ. ეს საბუთებიც არ იძლევიან მთლად გარკვეულ პასუხს ყველა ამ საკითხებზე, რომლებიც შეეხებიან აინტერესებს, მაგრამ მათი საერთო ხასიათი და ძირითადი მასალა ექვს არ სტოვებს მთავარ პრინციპულ მნიშვნელობის საკითხების ასე თუ ისე გადაწყვეტაში. სადავოდ აქ ითვლება წვრილი თავისუფალი გლეხკაცობის მოსპობა ფეოდალური სისტემის განმტკიცების ხანაში წარმოადგენს თუ არა უდავო ფაქტს, და შემდეგ მართლაც ვითარდებოდა თუ არა მსხვილი შემამულებობის გაბატონების პროცესი. ამ საკითხის გასარჩევად უნდა გავეცნოთ იმ მეთოდს, რომელსაც იყენებენ ვიტტისი და კარო, რომელნიც არ ეთანხმებიან აზრს ზემოთ აღნიშნული პროცესის განვითარების შესახებ. ესენი მთავარ ყურადღებას ამატებენ იმ გარემოებას, რომ წყაროებში ზოგჯერ აღნიშნულია მამული და კი არ არის დასახლებული მასზედ მოსახლე, არც არის აღნიშნული ეს მიწა თავისუფალია, თუ არა. ამგვარ მამულებში შეღის ხან თითო მანზი, ხან რამდენიმე. ასეთი აღვილები გვხვდება, მაგალითად, სენ ჟერმენის სააბატოს აღწერებში. იქ ზოგჯერ მოხსენებულია მამული კოლონის ცოლისა, რომელიც თვითონ თავისუფალია, ან მამული, რომელზედაც დამოკიდებული გლეხკაცობა არ ყოფილა დასახლებული. ამგვარი შემთხვევებიდან ვიტტისს გამოჰყავს დასკვნა, რომ ესენი საშუალო შემამულეები ყოფილანო, ვინაიდან ზოგს მათგანს 4 მანზი აქვსო, კარო კი ფიქრობს, რომ



ესენი წვრილ თავისუფალ გლეხებს წარმოადგენენო და დასასაღამო უკრეწველნი საკუთრების მოსპობა არ დაატურდნათ¹. როდესაც პროფ. უდალცოვი² მანუელის ძეგლების ამგვარ აღგილებს, მაშინ სულ სხვა ირკვევა. მართლაც, მამულებს შორის ყოფილა ზოგიერთი ჯერ კიდევ თავისუფალი სოფელი, მაგრამ მათი მოსახლეობის ნაკვეთები უკვე საკუთრებად იქცევიან და მონასტრის ხელში გადადიან. ეს კი აძლევს საშუალებას მონასტერს, რომ შეიგროვოს ამ სოფელში და თანდათან ჩაიკეოს ხელში მისი მიწები. ისე რომ პროფ. უდალცოვი, წინააღმდეგ ვიქტინისა და კაროსი, წყაროების საშუალებით ითვალისწინებს არსებულ მდგომარეობას, მაგრამ ამავე დროს მისი განვითარების ტენდენციებს და მიმართულებას იღებს მხედველობაში და გამოდის სურათი მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარების პროცესისა და არა მისი თითქმის დაუსაბამო დროიდან არსებობისა. დოპში თავის წინამორბედთა შორის კატეგორიულად უარპყოფს ინაშა შტერნგეტის აზრს მსხვილი საკუთრების განვითარების პროცესის შესახებ, იმ აზრს, ვითომდა კაროლინგების ხანაში წვრილი საკუთრება მოსპობილი ყოფილიყოს. ან არაერთი მნიშვნელობა არა მქონოღეს³. ის უზნობა ვიქტინის, რომელიც ყურადღებას ამახვილებს იმ აზრს ვარწმუნო, რომ ხშირად (მაგალ. ვესტფალიაში) კაროლინგების დროს 4-5 ჰექტარი მფლობელობა ხშირი იყო, რომ იყვნენ აგრეთვე 25 ჰექტრის მფლობელებიც, თუმცა გაფანტულად⁴. ხოლო თვითონ დოპსს აქედან ის დასკვნა გამოპყავს, რომ არა თუ კაროლინგების ხანაში, არამედ იმავე წინა ხანაშიც (მეროვინგების დროს) ფრანკთა მონარქიაში არსებობდა მსხვილი მიწათმფლობელობა, რომელსაც ამტკიცებდა და აძლიერებდა იმუნიტეტის და ევრეთწოდებული მუნდებურდის (mundeburdum „მფარველობა“) წესი⁵. ასევე კატეგორიულად ილაშქრებს დოპში ვიქტინთან ერთად თემური წესწყობილების ნაშთების არსებობის წინააღმდეგ. ამასთან იგი ვაყენებს, რომ დოპში მსხვილი საკუთრების არსებობის პოვნას ცდილობს და იმედოვნებს უკვე ტაციტუსის დროს, ცხადი იქნება, რომ ეს ფორმა მიწათმფლობელობისა მას თითქმის გაკვავებულ მოვლენად მიაჩნია. ამის წინააღმდეგ ლაპარაკობს რამდენიმე მოსაზრება, დადგენიებული კონკრეტ და ჟრუჟყე მასალაზე. ავიღოთ ბერტინის მონასტრის აღწერა და მოვიყვანოთ იგიდან ნიმუშები. ვნახათ, რამდენად ადასტურებენ ისინი ვიქტინის, კაროს ან დოპსის მოსაზრებებს. ამ მონასტრის მამულები უმთავრესად ნაჩუქარი მამულებისაგან შესდგება. მათ შორის არის მსხვილი მამულებიც, მაგრამ ეს მსხვილი მამულები თავის მხრივ დანაწილებული არის უფრო წვრილ-წვრილ მამულებად და, გარდა ამისა, თვით მონასტრის ხელმძღვანელ ორგანოებისაგან რაიმე დამოკიდებულებაში იმყოფებიან, რისთვისაც რაიმე ვალდებულებას იხდიან. ეს დამოკიდებულება და ვალდებულება შეიძლება ყველგან არ იყოს აღნიშნული და ამ გარე-

¹ Удальцов, Своб. деревня в зап. Нейстрии...; Ж. Мин. Нар. Просв., 1912 წ. ნომბერი, გვ. 8.

² Dopseh, Die Wirtschaftsentwicklung in der Karolingerzeit... t. I, გვ. 307.

³ ibidem.

⁴ იქვე, 376. იხ. აგრეთვე მისივე; Wirtschaftl. und sociale Grundlagen... t. 2, გვ. 98



მოებას შეჰყავდეს შეცდომაში ზოგიერთი მკვლევარი, მაგრამ მრავალ შემთხვევაში აღნიშნულია პრეკარული დამოკიდებულება. აი, მაგალითად, 811 წელს ვინმე ფოლბერტს თავისი დედის სულს მოსახსენებლად შეუწირავს მონასტრისათვის თავისი მამულის ნაწილს და უკანვე მიუღია როგორც პრეკარია, რისთვისაც იხდის ყოველწლიურად 4 დენარს.

მაგრამ უმჯობესია მსხვილა მამულების გადაცემის ნიშნები მოვიყვანოთ. ვინმე როლინი აღწევს მონასტერს 883 წ. თავის მამულს: ეკლესიას, საბატონო მიწას თავის შენობებით, სახნავ მიწას, სათიბს და ტყეს. სულ ყველა ეს შეადგენდა 9 მანზს, აქედან 7 საბატონო (cum manso indomincato, mansa VII)¹. ამასთან ამ მამულზე დასახლებულ 20 მონასტრის მონასტრის უთმობს. ამის შემდეგ მიმცემმა და მისმა ცოლმცილმა მიიღეს პრეკარიად მონასტრის კიდევ სხვა მამულები, რისთვისაც იხდიან თვითონ 5 სოლიდს, ხოლო შეიღები ნ. უფრო ხშირია შემთხვევები 30—33 ბუნუარის ამავე პირობებით გადაცემისა, რაც აგრეთვე არ არის წვრილი მამული. 5—10 ბუნუარადის კიდევ უფრო მეტია. აქედან ირკვევა არა მარტო ის, რასაც ამბობს პროფ. უდალცოვი, სახელდობრ, რომ წვრილი საკუთრება არსებობდა (ამას ხომ კარც ამბობს), არამედ, რაც მთავარია, ისიც, რომ მონასტრის მამულებში შემავალი ნაწილები წვრილი იყო იგი, თუ მსხვილი, ყველა ცოტად თუ ბევრად დამოკიდებული იყო თავით მონასტრისაგან და მას ემსახურებოდა. მასსადანვე, ყოველი ამ ნაწილთაგანი დამოუკიდებლობის დაკარგვის პროცესში იმყოფებოდა და ამით მზადდებოდა ის მთლიანობა მსხვილი ფეოდალური მამულებისა, რომელიც კი დასაწყება და წარმოსადგენია ფეოდალური სისტემის პირობებში.

ეს მთლიანობა არ არის სრული და არც შეიძლება იყოს ასეთი ფეოდალური სისტემის პირობებში. რადგანაც ეს სისტემა მდგომარეობს წვრილი მეურნეობისა და მსხვილი მიწათმფლობელობის ერთიანობაში. წვრილ მემამულეთა, ასე ვთქვათ, მექანიკური კავშირი გარე-ეკონომიური იძულების საშუალებით არის მთავარი არსი ფეოდალური სისტემისა. და აი აღნიშნულ საბუთებში ჩვენ თავლწინ გვეჩვენება სწორედ ამ სისტემის განვითარების პროცესი. იმავე ხომ ნურას ვიტყვი, რომ ზოგიერთი მაგალითი აღმოსავლეთ ფლანდრიის შესახებ წარმოადგენს ნიშნებს საშუალო მამულის დაქუცმაცებისას და წვრილ-წვრილ ნაჭრებად უფრო დიდი მამულის ნაწილად განდომისას. ასეთი მაგალითი ხომ ამგვარად თავისთავად აღსტურებს საშუალო მემამულეობის მოსპობის პროცესის მიმდინარეობას, როგორც უწყებს და ეუვგარეშე არსებულ ფაქტს. ასეთ მაგალითს იძლევა თუნდაც შემდეგი შემთხვევა: pagus Hainau, სოფ. Niella-ში ნაჩუქებია სულ 4 ბუნუარი სახნავი მიწა და 1 ბუნუარი ტყე და ეს ნაწილი მსხვილი მფლობელობისა. უდალცოვს თავის ამონაწერებში² რამდენიმე ამგვარი შემთხვევა აქვს აღნიშნული. შესაძლოა, რომ ზოგიერთი მეცნიერი შეცდომაში შეჰყავს სწორედ იმ გარემოებას, რომ ამ აღწერებში მასალები გვიჩვენებენ ერთი მხრივ წვრილი, დამთავრებული, თავის-თავადი მეურნეობის არსებობას, და

¹ Удальцов, Из агр. ист., стр. 60-61.

უდალცოვი, იქვე, 88-93.



მეორე მხრივ ამ მეურნეობათა არაეკონომიურ, არამედ ხელისუფლებების კიდებულებას უფრო მსხვილი შემამულისაგან.

თუმცა ეს საკითხი — ნატურალური მეურნეობის არსებობისა შუა საუკუნეებში — იქამდის უდავო საკითხად უნდა ჩაითვალოს, რომ მასზედ მსჯელობა აღარ იყოს საჭირო, მაგრამ რაკი ამაზედაც კი დავობენ არა თუ გერმანიაში, არამედ თვით საბჭოთა სახელმწიფოშიც, იძულებული ვარ რამდენსამე ხანს შევხერდე ამაზედაც. დოკში თავის ცნობილ შრომაში ამტკიცებს, რომ კაროლინგების ხანაში ბაზრისათვის საქონლის დამზადება არსებობდა¹. ეს თუ მივიღეთ, მაშინ უნდა ვცნოთ სასაქონლო მეურნეობის არსებობა. მაგრამ ეს ასე არ არის. დოკსს, მართალია, ჩამოთვლილი აქვს სასოფლო მეურნეობის ნაწარმოები, რომელიც ბაზარში გამოდიოდა, მართალია, ამის დადასტურება შეიძლება საბუთებითაც, მაგრამ ამ მოვლენასაც ღრმად ჩაკვირება და მეთოდური ანალიზი ესაჭიროება, სანამ დასკვნას გამოვიტანდეთ. ავიღოთ ამ საბუთებიდან ის მუხლი, რომელიც ვაჭრობის რეგლამენტირების საბაზით მას ფაქტიურად საშინლად ზღუდავს. *Ut nullus comparet caballum bovem aut iumentum vel alia, nisi illum hominem cognoscat, qui ei vendidit, aut de quo pago est vel ubi manet aut quis est eius senior.* და შემდეგ: *De negotio super omnia praeciendum est, ut nullus audeat in nocte negotiare in vasa aurea et argentea, mancipia, gemmas, caballos, animalia, excepto vivanda et fodro, quod iter agentibus necessaria sunt*².

აქრძალემა, ყოველ შემთხვევაში, ძლიერ იზღუდება, ვაჭრობა, განსაკუთრებით ოთხფეხი პირუტყვით. პირველ შემთხვევაში აკრძალულია უცხო კაცს მიჰყიდოს ვინმემ ასეთი საქონელი, ე. ი. ისეთ კაცს, ვისი ვინაობა, სადაურობა და სენიორის ყმობა არ იცის გაწყიდველმა. მეორე შემთხვევაში აკრძალულია ღამით ვაჭრობა, ყოველივე საქონლით, გარდა საქმლისა და საკვებისა, რომელიც მგზავრობაში სჭირდება ადამიანს. რაღაც მიზეზით, განსაკუთრებით აკრძალულია ოქროს და ვერცხლის ნივთებით და ოთხფეხი საქონლით ვაჭრობა. არა მგონია, რომ აქედან შეეძლოს ვისმე იმ დასკვნის გამოტანა, რომ ვაჭრობას დიდი მნიშვნელობა ჰქონოდაც ცნობრებაში. პირიქით, ასეთ ღონეზე მღვარი ვაჭრობა ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდა მეურნეობაზე და ეს უკანასკნელიც მისი მოთხოვნილებების მიხედვით ვერ დაირაზმებოდა და ვერ იმუშავებდა. მაგრამ ამგვარი დასკვნისათვის ჩვენ ხელთა გვაქვს უფრო უკეთესი მასალა. ავიღოთ 983 წლის საბუთი, რომელიც წარმოადგენს ვაჭრობის საქმის მოწესრიგებისათვის გამოცემულ რეგლამენტს და ეხება გერმანიას, ე. ი. ყოფ. ფრანკთა მონარქიის აღმოსავლეთ ნაწილს. რეგლამენტი მიზნად ისახავს ბაჟის გადამხდევინებლის (thaloneus) ფუნქციების გამოკვევას და ეკუთვნის ოტტონ I. რეგლამენტი სულ 9 მუხლისაგან შედგება და ამ ცხრა მუხლში, როგორც სავაჭრო საქონელი, მარლი დასახელებულია 6-7-ჯერ. რამდენჯერმეა დასახელებული როგორც სავაჭრო საქონელი — მონები, მხოლოდ ორჯერ ოთხფეხი საქონელი და ერთხელ — სურსათი (victualia).

¹ Dopsch, ibidem გვ. 325-326.

² M. G. Capitularia, ტ. I, გვ. 157 და 142.

Si autem Bavori vel Sclavi istius patrie ipsam regionem in
ad emenda victualia cum mancipiis vel cavalis vel bobus vel ceteris
suppellectilibus suis... ubicumque voluerint, in ipsa regione, sine thelo-
neo emant, que necessaria sunt¹.

ბავარებს და სლავებს, თუ ისინი წასულნი არიან სურსათის ან საქონ-
ლის, ან მონების საყიდლად თავის ქვეყნიდან სახელმწიფოს სხვა ნაწილებში,
მებაჟის გარეშე აქვთ უფლება ივაჭრონ. ამ შეღავათის ახსნა მხოლოდ იმა-
შია, რომ ბავარები და, განსაკუთრებით, სლავები, შედარებით სხვებთან,
ახალი დასახლებულნი იყვნენ, ყოფილი ნომადები, და სასოფლო მეურნეობა
მათში ნაკლებად ყოფილა განვითარებული, ნომადები კი მუდმივ გაცულა-გამო-
ცულის იყვნენ მიჩვეულნი. დანარჩენ შემთხვევებში შეღავათი აქვს მხოლოდ
მარილის ვაჭრობას, რაც დეფიციტურ საქონელს წარმოადგენდა იმ დროს.

Si aliquis de Bavaris sai suam propriam domum suam transmittere
voluerit, gubernatore navis hoc adprobante cum juramento, nihil solvat,
sed securiter transeant².

Carre autem salinarie, que per stratum legitimam Auesin fluvium
transeunt, ad Urulam tantum unum scaffi plenum exsolvant et nihil am-
plius exsolvere cogantur. Sed ibi naves, que de Trungowe sunt, nihil
reddant, sed sine censu transeant³.

ბირველ შემთხვევაში ბავარებს აქვთ შეღავათი მაშინ, როდესაც მათ
მარილი მიაქვთ თავისი სახლის საჭიროებისათვის, მეორე შემთხვევაში, მხედვე-
ლობაში არის მიღებული ვასასყიდად მიშავალი მარილი, მაგრამ აქაც გამყი-
დელი გადასახადს შეღავათით იხდის, ჩვეულებრივზე ნაკლებს, ზოგიერთ შემ-
თხვევაში კი, იმის მიხედვით, თუ სად მიდის ეს მარილი, სულ არაფერს ახდე-
ვინებენ. ხოლო თუ ბავარები და სლავები თავის სამშობლოს სახლებს არა
სცილდებიან და იქ ვაჭრობენ (ყიდულობენ თუ ჰყიდიან), არაფერს არ იხდიან.
Bavori vero vel Sclavi istius patrie ibi ementes vel vendentes, nihil sol-
vere cogantur⁴.


ის, რომ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები ამ საბუთში თითქმის არ არის
მონხენებული, ის, რომ ვაჭრობაში შეღავათი ეძლევათ იმათ, ვინც მარილით
ვაჭრობენ, ამტკიცებს, რომ სასოფლო მეურნეობა ვაჭრობის მიმართულებით და
მიზნით არ მუშაობდა. ეს რომ ასე ყოფილიყო, სასოფლო მეურნეობის ნაწარ-
მოებზე და მის ყიდვა-გაყიდვაზე ნეტი ზრუნვა გამოჩნდებოდა ამ საბუთში. ეს
მდგომარეობა რომ შევადაროთ კარლოს დიდის დროისას, როდესაც მთავარი
უზრუნველობა დასავლეთ ნებისტრიას (შემდეგი დროის საფრანგეთს) ეეცეოდა, მეტ
გარკვეულობას ენახავთ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს იგივე Capitulare de villis.
აქაც არის საუბარი ვაჭრობაზე და მებაჟეებზე და იგივე ტერმინიც იხმარება:
thelonarius. ამ საბუთში უფრო მეტად ღვინის გაყიდვაზეა საუბარი.

¹ M. G. I. II pars secunda, p. 250, Inquisitio de thelonis Rasselstetensis.

² Ibidem § 2.

³ Ibidem § 5.

⁴ Ibid.



Et quando quidem plus de ipso vino comparatum fuerit quod ad villas nostras condirigendum mittendi opas sit, nobis innotercat, commendemus, qualiter nostra fuerit exinde voluntas¹.

თუ ღვინო იმდენი დამზადდება, რომ გადაორბება იმას, რაც სასახლეში გასავაჭენად საჭირო აღმოჩნდება, შეგვატყობინეთ, რათა ჩვენ მოგცეთ დავალება, როგორ იქნება ამ შემთხვევაში ჩვენი ნება-სურვილი — გუბნება მეფე თავის მოურავს, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ღვინო გაიყიდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის წინდაწინვე გასასყიდად მზადდებოდა, რაც აუცილებელია სასაქონლო მეურნეობისათვის. მეორე მხრივ, თვითონ ბატონი (ამ შემთხვევაში მეფე) ყიდულობს ღვინოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მის მდარე ხარისხის ღვინო დააკლდება, მოსამსახურეებისათვის. თავი ღვინო კი უმკველად მამულში უნდა დამზადდეს და ბატონის კარზე იქნეს გაგზავნილი იმ ბაოდნობით, რომ ღვინო, როგორც ყველა სხვა სანოვავე, ჭარბად ჰქონდეს სასახლეში.

... Diligenter praevidere faciat, quod nullo modo naufragatum sit, aliud vero vinum peculiare comparando emere faciant, unde villas dominicas condirigere possint.

წინდაწინვე გათვალისწინებული ხარჯების გარდა, დიდ მემამულეს, მეტადრე გრაფის ან მეფის ხარისხის შქონეს, ბევრი რიგს გარეშე, საოჯი ჰქონდა მოსალოდნელი, ელჩების მიღება იქნებოდა, ან ომი, ან დიდი სტუმრობა. უმჯობესი იყო, ზედმეტი დარჩენილიყო, რაც, როგორც ეტყობა, უფრო ხშირად ხდებოდა, ვიდრე დაჰკლებოდა. და აი რაც ზედმეტი ვადაორბებოდა, ის გაიყიდებოდა. მაშასადამე, წინასწარი გარდაუდებელი ბაზრისათვის, გასასყიდად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა, არ ყოფილა. მემამულეებს არც რჩებოდათ საყიდელი არაფერი სურსათ-სანოვაგიდან. თავისი მამულებიდან მათ მისდიოდათ ჭარბად არა მარტო პირველსაჭიროების, საგნები, ათამედ, მაშინდელი გემოვნების კვალობაზე. ფუფუნების საგნებიც: თუ საჭმელ-სასმელზე ვილაპარაკეთ, პურისა და ღვინოს გარდა, ხორცის და ქონის გარდა, ისინი რეგულარულად და ჭარბად ღებულობდნენ მამულებიდან აგრეთვე ქათამს, ბატს, კვერცხს, სასმელებიდან ბადავს, მოღულებულ ღვინოს, ხილს, ყურძნის ჯაგნებს ან აკიდოებს (Coronas de racemis)², თევზს (ut pisces de vivarils nostris veniuntur et alii mittantur)³, ტკბილ სასმელს (cerevisiam, velpomañum, rive piratum vel aliud quod cumque liquamen)⁴.

ამას გარდა, სასახლის მოსართობად დეკორაციული მცენარეების და, ასე ვთქვათ, დეკორაციული ფრინველების მოშენებაც კი ევალებათ, ისეთი ფრინველის, როგორც ფარშავანგი, ისეთი მცენარის, როგორც pisus mauriscus (არაბული მუხუდო) და სხვ. მემამულე თავის მამულებიდან ღებულობს აგრეთვე კარაქს (ან ერბოს), ყოველგვარ ზოსტენულს, ყველს, თაფლს, ძმარს და, ამას

¹ Capit. de villis. Gareis (ed.) § 8. ამის მაგალითი განკარგულებები სხვა სანოვაგის შესახებ იხ. იქვე § 33 და 39.

² Capit. de villis § 22.

³ იქვე § 65.

⁴ იქვე § 45.

გარდა, ისეთ ნაწარმოებებსაც, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებებსა და არც კი უნდა ჩაითვალოს, რადგანაც სპეციალურ ვადაზე შეიკრებიან მოითხოვს. ასეთია: ცვილი (cera)¹, საბინი (savonem)², ხელისნობის ნაწარმოებიც, რომელიც მასობრივი მოწარმების საგანია და არა ფუფუნებისა, მემამულეს სოფლიდან შემოსდეს. ამისათვის სოფელში არიან აღნუსხულნი სხვადასხვა ხელოსნები, რომელნიც ბატონის კარისათვისაც თავის ნაშუშეარის ნაწილს ამზადებენ. Unusquisque iudex in suo ministerio bonos habeat artifices³. რის ხელოსნები არიან ესენი? მჭედლები (fabros ferrarios), ოქრომჭედლები (aurifices vel argentarii), მენეკნეები, ხარატები (tornateres), ხურობი (carpentarios), იარაღის ოსტატები (scutarios), საბნის ოსტატები (saponarios), ღუღის ოსტატები და სხვ. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გენიციებში მრავალი ქსოვილი მზადდებოდა. ეს დაწესებულება სასახლესთან იყო ვაპართული და იქ გროვებოდა წინააღინე საფლიდან შემოტანილი საქსოვი მასალა: მატყლი, სელი, საღებავები, იქვე იყო მატყლის საწმენდი საფარცხელი, საბინი და მრავალი სხვა⁴. გენიციებს დიდი ყურადღებით ეპყრობოდნენ, რადგანაც აქ დაზიდებული ტანისამოსით იმოსებოდა კარის მსახურთა უმრავლესობა. როდესაც გემოვნება განვითარდა და გრატები და მუყები უკვე უცხოეთიდან მოსულ ქსოვილებს ხმარობდნენ, ფარჩის და სამკაულებს, მაშინ უკვე გენიციები მათ ვერ ამეყოფილებდნენ, მაგრამ შინაყმანი (პროვენცარიები), რომელთაც დიდი რაოდენობა სჭირდებოდათ ამგვარი საქონლისა, გენიციებში მოქსოვილ ტანისამოსს იცვამდნენ. ფარჩის ტანისაცმელი და სამკაულები ძალიან წრის ხალხისთვის უცხოეთიდან მოდიოდა. ისე რომ უცხო ქვეყნებთან ვაჭრობაც საყურადღებო საკითხია, იგრამ ამას განსაკუთრებით უნდა შევხებით შემდეგში. ჯერ კი უნდა ვადაწყვიტოთ საკითხი, თუ რა საქონელი გამოჰქონდათ შინაურ ბაზარზე და რა მნიშვნელობა ჰქონდა მას ფეოდალური საზოგადოებისათვის. მთავარი სავაჭრო საქონელი, როგორც აღვნიშნეთ, იყო მირილი, ოთხფეხი საქონელი, მონები, ცვილი. სასოფლო-სამეურნეო საქონლიდან ვამოდიოდა ისეთი საქონელი, რომელიც ერთ ნაწილში უკაბად იყო, ხოლო მეორეში აკლდათ, ან სულ არ ჰქონდათ. მაშინდელი ევროპისათვის პური ასეთი საქონელი არ იყო, ღვინო კი იყო, ვინაიდან ვენახი ყველგან არ გვარობდა შავის სხვადასხვაობის გამო. ამგვარად შინაური ბაზარი, მიუხედავად თავისი მცირე მნიშვნელოვანობისა, მაინც ცოტა რაღაც სამსახურს უწყევდა საზოგადოებას ერთი რაიონიდან მეორეში კარბი საქონლის გადატანით. ამ გარემოებას კი საზოგადოებრივი და პოლტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა, იგი მცირე კავშირს მაინც ამყარებდა სხვადასხვა საფეოდალოებს შორის და ჰქმნიდა ერთგვარ, სუსტს, მაგრამ მაინც ფეოდალურ სახელმწიფოს პირობებშიც კი აუცილებელ კავშირს, სწობდა სრულსა და თავისთავად კარჩაკეტილობას. ამ კავშირის წარის-

¹ Cap. do vil. ed. Pareis § 31.
² იქვე § 44.
³ იქვე § 45.
⁴ იქვე § 43.



ხის და ზომის რყევადობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ევროპის ფეოდალურ წესწყობილების ისტორიის განმავლობაში, ყოველთვის თან სდევდა, როგორც მისი ერთ-ერთი პირობათაგანი, საშინაო ბაზრის რყევადობაც; კარლოს დიდის წინ, კარლოს დიდის შემდეგ, ჰოჰენშტაუფენების დროს და ასე შემდეგ. ნატურალური მეურნეობა, ბენეფიციური სისტემა ჰქმნიდა ძირითად საფუძველს სენიორულ-ფეოდალურ დამოკიდებულებასათვის, ხოლო შინაური ბაზარი ამ სისტემის ეფექტურობას ხელს უწყობდა, აძლიერებდა. ბაზრის ამგვარი მნიშვნელობით აინსერება ის გარემოება, რომ მამულების შესახებ ბრძანებაში, თუმცა ბაზარი, როგორც საფუძვრო პუნქტი დასახელებულია (§ 54), მაგრამ ისეა დასახელებული, რომ მისი მცირე მნიშვნელობა მაშინვე თვალში ეცემა მკითხველს.

მოურავებს ვვალდებათ, თვალყური აღევნონ გლეხებს, რომ მათ კარგად იმუშაონ მათ საქმეზე და ტყუილ-უმრალოდ არ იბეტიანონ ბაზრებზე. ბაზარს რომ დიდი სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონოდა და მამულისათვის უფრო მეტად ყოფილიყო საქირო, მოსალოდნელი იყო კანონმდებელს ეთქვა, რომ ხელი შეეწყოს გლეხობას, რაც შეიძლება მეტი საქონელი დააგროვონ და ბაზარზე გაიტანონ ვასაყიდად.

III

არა ნაკლებ მკაფიოდ ახასიათებს ნატურალურ მეურნეობას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაც. წყაროებში აქა-იქ გაფანტულია ცნობები მიწის დამუშავების ტექნიკის შესახებ. მიწის გაპატივება ბუნებრივი პატივით უკვე წესად იყო შემოღებული მეცხრე საუკუნეში, მაგრამ ამ წესის განხორციელების საშუალება ყველას არა ჰქონდა. გლეხი ვალდებული იყო ბატონის მამულზე გაეტანა პატივი და თვითონ კი ამის შესაძლებლობას მოკლებული იყო, ვინაიდან იმ დროს უკვე შესაქონლეობა ისე აღარ იყო განვითარებული, როგორც რამდენიმე საუკუნის წინ, და ბატონა ნაკვეთ მამულზე გლეხი ბევრ საქონელს ვერ იყოლიებდა, რომ მისი პატივი ბატონის მამულსაც ჰყოფნოდა და ყმისასაც. ამიტომ, როგორც სამართლიანად ამბობს ნ. გრაციანსკი, წყაროებში სსუქის დაყრა მიწაზე და გაპატივება იშვიათად თუ სადმე არის მოხსენებული. ერთადერთი მაგალითი მერგელის ხმარებისა მას უპოვია კაპიტულარების მეორე ტომში, სადაც ბატონების მამულის გაპატივებაზეა საუბარი.¹

ეს იმას არ ნიშნავს, რომ მიწის გაპატივების ცოდნა ეწინააღმდეგებოდეს ნატურალური მეურნეობის არსებობას. მაგრამ ეს კია, რომ სასაქონლო მეურნეობის არსებობა წოითხოვს იმას, რომ უბრალო ბუნებრივი პატივის დაყრა მაინც იყოს შემოღებული, თორემ ამის ცოდნა წინათაც ჰქონდათ. მიწეში ამისა ის არის, რომ საძოვარი ძირეზ ცოცხალი აქვთ. თითოეულ გლეხს ირმინონის საბატონოში 3 არძენი სათიბის მტრი არ გააჩნია და ამ სათიბის მოსავალი ბალახით ბევრი საქონელი ვერ გამოიკვებებოდა.²


¹ M. G. Capitularia II, 33, 323.

² Pol. de l'abbayé, მონების ნანების შესახებ.

საქონლის ნაკლებულობა ხენაზედაც ახდენდა გავლენას. გლენობას ხშირად ვუთანხმებ შესაბმელი საქონელი აკლდებოდა და ხარის მაგიერ ხაზინა აბამდნენ. იყო შემთხვევები, რომ გუთანში თხასაც კი აბამდნენ, ხარის ნაცვლად. ცხენი ხომ ისე ნაკლები იყო უკვე ამ დროს, რომ ცხენებით ხენას სრულიად არავინ აწარმოებდა¹. მაშინ როდესაც ოდესღაც, თანახმად სალიკური კანონების ცნობისა, ცხენი მეტი იყო, ვიდრე ხარი. საერთოდ ეს გარემოება, გარდა საქონლის ნაკლებობისა, კიდევ იმით აისხნება, რომ, შედარებით წინანდელ მდგომარეობასთან, თვით ხენის წესი შეცვლილი იყო კაროლინგების დროს. სხვათა შორის ამასიც გამოიხატა სასოფლო მეურნეობის ტექნიკის პროგრესი. რაკი შედარებით წინანდელ მდგომარეობასთან, მიწის სიფიწროვე დაიწყო და პერიოდულად სახნავეს ცვლა, როგორც ეს ტაციტუსის დროს ხდებოდა, აღარ შეიძლებოდა და არც შემამულეები მისცემდნენ ამის უფლებას, ამიტომ მიწის ხენა უფრო უკეთ უნდა ყოფილიყო წარმოებული, ე. ი. უფრო ღრმად უნდა ეხნათ და ბელტიც კარგად გადმოებრუნებინათ. წინანდელი ახლების აღების, ან ყამირის გატეხის, ან სახნავეცვლითი სისტემა ახლა ძლიერ იშვიათად ხერხდებოდა და ამიტომ სასოფლო მეურნეობაში შემოდის თანდათან სამშინდეროვანი სისტემა. ყოველი მეურნე მიწას სამად ჰყოფს, ერთს ასვენებს, ორს ხნავს. მაგრამ ძველებურ გუთნით ხენის პირობებში ასე იშვიათი დასვენება მიწისა საქმარისი არ იყო, მიწა თანდათან იფიტებოდა, თუ ხენა არ იქნებოდა უფრო ღრმა სახნისით. ამას კი დასჭირდა ახლა შიშივე გუთანი, ხოლო შიშივე გუთანს ერთი უღელი. ხარი, როგორც იყო წინათ, ვეღარ მოერეოდა. ამიტომ ახლა შიშივე გუთანში აბამდნენ ორ ან სამ უღელ ხარს. მართალია, ეს მდგომარეობა, როგორც პროფ. გრაციანსკის აქვს აღნიშნული, ახასიათებს უფრო XI—XII საუკუნეებს, მაგრამ ეს მაინც გვიჩვენებს, თუ რა მიმართულებით მიმდინარეობდა მეურნეობის განვითარება, დაახლოვებით რა მდგომარეობა უნდა ყოფილიყო კაროლინგების დროს. ერთი სიგელი, რომელიც ეკუთვნის XII საუკუნეს, გლენობას ავალტებს თითოეული შესაბმელი საქონლის ნაცვლად, ხარი იყოს თუ ძროხა, თუ ვირი, თუ რომელიმე სხვა საქონელი, გადინადოს 12 დენარი. ვინაიდან ყველა ეს საქონელი, რაკი იგი შებმული იქნება გუთანში, ხარს ეთანაბრება. *De unoquoque animalitrahente ad carucam, sive bos, sive vacca, sive asinus, sive iumentum fuerit, XII denarios... singulis annis et si animal, quod associatum fuerit, pro bove reputabitur*². მასასადამე, საქონლის ნაკლებულობას ამ დროს მსხვილი შემამულეც გრძნობდა, არა თუ გლენობა. მეცხრე საუკუნეზე, ამის მიხედვით, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რაც ამჟამად ჩვენი მსჯელობისათვის არის საჭირო, რომ არავითარი საუბარი სასაქონლო მეურნეობის არსებობის შესახებ არ შეიძლება არა თუ სხვა მონაცემების მიხედვით, რომელიც ზემოთ იყო აღნიშნული, არამედ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განვითარების დონის მიხედვითაც. ამ პირობებში სასოფლო მეურნეობის დონის შედარებითი სიმაღლის დამახასიათე-

¹ Граднанский, Из ист. с.-х. техники во Фр.: Изв. Гос. Ак. И. Нат. Культ. стр. 43.

² Flach, Les origines de l'anc. Fr. გვ. 404, ციტირებულია გრაციანსკიდან, გვ. 43.



ბელი იქნებოდა, რომ ყოფილიყო მეურნეობის გაერთიანება გუთნეულის შესადგენად და ისე ხვნა, როგორც ეს იცოდნენ საქართველოში და ოდესღაც ინგლისში. კაროლინგების დროის კონტინენტურ ევროპაში ამის კვალი არ ჩანს, როგორც ამას პროფ. გრაციანსკიც ადასტურებს¹. რით უნდა აინსნას ეს, ძნელი საბჭმელია. პროფ. გრაციანსკი ამას ხსნის საერთო მინდვრების უქონლობით, რომლის გამოც ღობეები ხელს უშობდნენ საერთო მუშაობას; შესაძლოა ეს ასეც იყოს, ვინაიდან მსხვილ მემამულეებს ზოგჯერ ჰქონიათ ასეთი ორგანიზაცია. ბრძანება მამულების შესახებ ამაზე არას ამბობს. გუთნეული იქ ერთხელ არის მხოლოდ მოსხენებული, ისიც მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ არაერთარ შემთხვევაში არ შემცირდეს². ეტყობა, ამ დროს ეს საკითხი ჯერ არ ყოფილა მწვავე. შემდეგი დროის საბუთებში კი ამაზე ხშირად არის საუბარი. ახლა საკითხი ის არის, თუ როგორ მუშაობდნენ გლეხები, თუ ასე ძნელი იყო გუთნეულის შედგენა. ჯერ ერთი მხედველობაშია მისაღები, რომ, თუ XI—XII საუკუნეებში მძიმე გუთნით ხვნა და გუთნეულის ყოლა ხშირად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა, მანამდის ეს ასე არ იყო. ბევრგან ჯერ კიდევ მსუბუქი გუთანი იყო გავრცელებული, რომელსაც მხოლოდ უდელი ხარი ან ერთი ცხენი სჭირდებოდა. VIII—IX საუკუნეში ხომ ხელით დამუშავება მიწისა ჯერ კიდევ ძლიერ გავრცელებული იყო. ირმინონის საბატოს საბუთში არის ნათქვამი, რომ ამა და ამას ევალება 4 ბეგარა, ევალება ხარებიო (si boves habuerint)³. მაშასადამე, მართლაც IX საუკუნეში ეს ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა. ამ პირობებში სხვი რა გზა ჰქონდა გლეხს; თუ მიწას ბარით არ დაბარავდა, მოხენის ნაცვლად.

რასაკვირველია, ეს მდგომარეობა უშედეგოდ არ რჩებოდა. შედეგი კი ის იყო, რომ მოსავალი ძლიერ ნაკლები მოდიოდა. ამის შესახებ პროფ. გრაციანსკის მეტად საინტერესო ცნობები აქვს შეკრებილი. ეს ცნობები ამოკრებილია იმ საბუთებიდან, რომელთაც ეწოდება „Brevium exempla“⁴. ჯერ ერთი აღსანიშნავია, რომ ამ საბუთების მიხედვით, კაროლინგების ხანაში სწვდასხვა ბურჟუაზი მოჰყავდათ: ხორბალი, ჭვავი, ქერი. ერთ-ერთ საფისკოში მოსავალი მოსულა 60 მოდიის სათესლედან 100—ხორბალი, ჭვავის სათესლის რაოდენობას არაფერი მოჰმატებია. ქერს ცოტაოდენი მოჰმატებია 1500—1800-მდის, ცნობები—მეორე საფისკო მამულის შესახებ იმავე შედეგებს იძლევა დაახლოებით. ამავე დროს, იმავე პროფ. გრაციანსკის მიერ შეკრებილი მასალების მიხედვით, XII საუკუნეში კლუნის მონასტრის შემოსავალი, როდესაც მისი მამული მუშავდებოდა მძიმე გუთნით და სამი უდელი ხარით, ხანდახან 5-ჯერ და 6-ჯერ მეტ რაოდენობას აღწევდა, შედარებით თესლის რაოდენობასთან. სამ-ჯერ და ოთხჯერ მეტი მოსავალი ხომ ხშირი მოვლენა იყო⁵. საინტერესოა

¹ გრაციანსკი, op. cit. გვ. 44.

² Capit. de villis § 23.

³ Polpitique de l'abbayé d'Irmiton.

⁴ IX 304, გრაციანსკიდან, იქვე, 42.

⁵ გრაციანსკი, op. cit. გვ. 44, შენიშვნა.

ისიც არის, რომ სწორედ ამ დროის შესახებ არის ცნობები, რომლებიც ნანსტერს, თუმცა ცოტა რაოდენობით და არა მუდმივად, ბურის უწყაროებას უწყობდა. ესეც კერძოდ არ ნიშნავს იმას, რომ იქ ამ დროს სასაქონლო მეურნეობა ყოფილა. მაშინ მაინც უნდა ითქვას, რომ IX საუკუნეში ბურის გაყიდვის შესახებ არსებობდა ნათქვამი და არც შეიძლება ყოფილიყო ასეთი მცირე მოსახლეობა; პირობებში, ბაზრისათვის საქონლის დამზადების შესახებ ინამა შეტყობინებდა იმ აზრსა, რომ ბაზარზე საქონლის გატანა შეუძლებელი იყო, სახალხო მეურნეობის გაბატონებულ ფორმად იყო დამყარებული. თან მოჰყავს Capitale de ville-ის ადგილები, რომლებიც ჩვენს ადგილობრვად, მაგრამ ინამას დიდი ნაწილს არის, რომ საქონლის ბაზარზე გატანის სისტემის შესახებ ვერაფერს ამბობს. მაგრამ არა აქვს წყაროებიდან ნოყვანილი შენობებების ახალი ნატარებულობა იმ ვარაუდით, რომ გამოიკვეთს, თუ რითაა განპირობებული ეს შენობებები. უამისოდ კი ნაადვილი ხედვითი წონა ვაჭრობისა, მისი სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის დონე და ხარისხი გამოურჩეველი რჩება. ამას შესწორება ესაჭიროება და არა მთლიანად უარყოფა იმისა, რასაც ეს მეცნიერი იძლევა, როგორც იქცეობს დოკუმენტი და მისი მომხრეები.

აქედან შეგვიძლია ჩვენ გამოვიკვლიოთ ისიც, თუ რამდენად საბუთიანია, ანდა რით აიხსნება ის, რომ ისეთი მეცნიერნი, როგორც დოპში და პეტრუს-შეესკი, კაროლინგების დროის სამეურნეო სისტემის კაპიტალიზმს უწოდებენ; „სამაშულო“ კაპიტალიზმი, როგორც ამბობს აკად. პეტრუს-შეესკი, ან „ნატურალური კაპიტალიზმი“, როგორც ამბობს ალფ. დოპში, არ არსებული ცნებებია, ცხოვრებაშიც და მეცნიერებაშიც კაპიტალიზმის ცნება უარყოფს ცნებას „სამაშულოს“ და „ნატურალურს“. ამისთანა რისამე თქმა ეს მეცნიერები იმან აიძულა ალფათ, რომ, როგორც უკვე ნათქვამი გვექონდა, მაშინდელ მამულებში თავმოყრილი იყო ერთი მენაშულის ხელისუფლების და პატრონობის ქვეშ მრავალი სხვადასხვა კატეგორიის მუშა ხალხი. ამგვარი ხალხი ზოგიერთ მამულზე ათასობით იყო დასახლებული. ამას გარდა, ამათ ნამუშევარს წარმოადგენდა არა მარტო მიწის ნაყოფი, არამედ ხელოსნობის პროდუქციაც, რაც ახლანდელი მოქალაქის წარმოდგენაში კაპიტალისტურ წარმოებასთან არის დაკავშირებული: საპონი, სელის ქსოვილი, ბატყის ქსოვილი, მარცხი, ყველა ეს ამ მეურნეობაში მზადდება. არის მამულები, რომლებშიც გლეხობას რკინის შოვნა და ბატონისათვის მიტანაც კი ევალებათ, ასე, მაგალითად, სენ-ჟერმენის მონასტერში მონებმა ევალებათ, რკინის შიშნა ბატონისათვის, ზოგიერთს 100 გირვანქის რაოდენობით¹. ადლარდის სტატუტების თანახმად, მონასტრის მამულში, მუშაობს—პირველ სახელოსნოში 3 მეჩქმე, 2 მეტყავე, 2 მემამულე-მეორეში—6 მკედელი, 2 ოქრომჭედელი, 2 მემარალე და სხვ.² ეს ფაქტობრივი ცნობები საესებით უდგება იმას, რაც მოცემულია ბრძანებაში მამულების შესა-

¹ Inama Sternegg, Deutsche Wirtschaftsgesch., 439.

² Polipt... Villars.

³ Удальцовъ, op. cit. 105. ადლარდის სტატუტები.



ნებ. ყველა ანას თუ დაუშუალებით ის, რომ ზოგიერთ აღწერებში (*breve exemplum*) გვხვდება შრავალი ნაწარმოებია ხელოსნობისა — ქვაბები, ცულები, მსხვილი და სხვ., რომლებიც იქვე მამულში არის დაშვადებული, დაგრწმუნდებით, რომ მამული დიდი მემამულის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა არა მარტო სასოფლო მეურნეობის დარგში, არამედ მრეწველობის დარგშიც. აქედან დაუსკვნიათ ჩვენ მიერ დასახელებულ მეცნიერებს, რომ კაროლინგების დროსაც კაპიტალიზმი ყოფილაო. მხოლოდ იმ ვითომდა პატარა განსხვავების აღსანიშნავად, რომლითაც მაშინდელი სტრუქტურა აბლანდელისაგან განირჩეოდა, თითო სიტყვა დაუშუალებით იმის სათქმელად, რომ ეს ის კაპიტალიზმი კი არ არის, რომელიც ჩვენ დროს არსებობსო, იმისი განვითარების ერთ-ერთი საფეხური არისო. ის კი ავიწდებათ მათ, რომ ეს ვითომ პატარა განსხვავება, იქამდის პრინციპული მნიშვნელობისაა, რომ ამ განსხვავების პირობებში არავითარ კაპიტალიზმზე არ შეიძლება ლაპარაკი, ვინაიდან არც კაპიტალი არსებობს, არც სუდმეტილირებულება და არც ექსპლუატაციის კაპიტალისტური ფორმა, რომელიც თვით წარმოების პროცესთან არის დაკავშირებული. და არ მოითხოვს გარე-ეკონომიურ იძულებას, როგორც ფეოდალური სისტემის დროს.

ყველა ამ პირობებში სოციალური სტრუქტურაც უფრო გარკვეულია და გვეხატება თვალწინ იმ მემამულეების ზედაფენი, რომელთაც ათასობით მკვდართ დინახლებულა მამულებზე გლეხკაცობა, არავითარ ექვს არ იწვევს, ვერაფერ ვერ ამბობს უარს იმაზე, რომ ასეთი ჩამოყალიბებული მსხვილ მემამულეთა ზედაფენი, შეიძლება მცირერიცხოვანი, მაგრამ მაინც არსებობდა. სანიმუშოდ შეიძლება ავიღოთ დაკავებულ და დაუსახლებელ (*mansi serviti* და *mansi absi*) მანჭების რიცხვის შეფარდება აუგსბურგის საეპისკოპოსოს მამულებში. სულთავესუფალა მანჭების რიცხვი (ე. ი. ისეთი მანჭებისა, რომელიც თავისუფალ ხალხს უჭირავს, (*mansi ingenuiles*) 1041, ამათში 1006 დაკავებულა, ხოლო 35 დაუსახლებელი, მონების მანჭი (*mansi servites*) სულ 466, აქედან 421 დასახლებული და 45 დაუსახლებელი, ორივე ერთად — დაუსახლებელი 1427, დასახლებული — 80².

აქედან ირკვევა, თუ ეს მაგალითი სანიმუშოდ ავიღეთ, რომ პროცესი მსხვილი მემამულეობის განვითარებისა საკმაოდ შორს იყო წასული, ყოველ შემთხვევაში ამ კლასის მაღალი ფენა თუ ვიქონიეთ მხედველობაში. დასახლებული მანჭების დიდი რაოდენობა და დაუსახლებელის მცირე რაოდენობა მოწმობს იმას, რომ უმსხვილესი მამულების გაფორმების პროცესი მოაგრდებოდა. ამასვე მოწმობს ბრძანება მამულებს შესახებ. მის ერთ-ერთ მუხლში ნაცულისხმევია ისეთი მდგომარეობა, როდესაც თავისუფალი მანჭები აღარ არის, რომ ახლად შექმნილი ყმები დასახლოვნ, და მოურავი უნდა ბატონს შეეკითხოს, თუ როგორ მოქცეს. *De mancipiis acquisitis, si aliquid super se habuerit, quod non habeant, ubi eos collocare possit*³. აი ამ პირობებში იწყება გლეხ-

¹ იხ. Петрушевский, Очерки из эконом. ист. средневек. Европы, гл. 211.

² Удальцов, Сав. Ист. Среднев. Т. I, стр. 163. იხ. აგრეთვე *Brev. exempla*.

МРТИ § 9, გვ. 250.

³ Capit. de vil. ed. Garetis § 67.

კაცობის დაყმევების და მსხვილი მემამულეების უფლებების გაფართოვების მიზნით კონსტიტუციის დამოკიდებულება. მაგრამ ეს მდგომარეობა ჯერ არ ენება ყველა მსხვილი მემამულეს. მათში არიან ისეთნიც, რომელთა მდგომარეობა ჯერ მერყევა: ეს ის მემამულეები არიან, რომელნიც უფრო მსხვილი მემამულის დანაკიდებულუბაში იმყოფებიან. ამათი რიცხვი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე მსხვილი მემამულეებისა, მაგრამ მდგომარეობა ჯერ მერყევა. მომავალში ამათი მცირე ნაწილი, შესაძლოა, მსხვილ მემამულეებად გამსდარაყენენ. მაგრამ უმრავლესობა დამოკიდებულ მდგომარეობაში რჩება და წვრილ ან საშუალო მემამულეობას ვერ შორდება. ეს საშუალო მერყევი ცენი აძლევს საშუალებას ვიტყვის, რომ იკამათოს მსხვილი მემამულეობის საკითხის გარშემო.

მეორე ამგვარი საკითხი არის ალლოდების საკითხი. მიგვეთითებენ, რომ ალლოდების წარმოშობას კაროლინგების დროსაც ჰქონდა ადგილი. ეს არა თუ შესაძლებელია, ადგილი წარმოსადგენიც არის, ვინაიდან თემის (მარკის) რღვევის პროცესი და მისი მსხვილი მემამულისხადმი დამოკიდებულება ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს. ჩამორჩენილ კუთხეებში, განსაკუთრებით, აღმოსავლეთის მხარეზე, პროცესი მარკის რღვევისა და მსხვილი მემამულეებისადმი დამოკიდებულებისა, ბევრად უფრო გვიან დაიწყო. ამიტომ ადგილი გასაგებია, რომ მამულეობის განოკოფა კერძო საკუთრებად სათემო მფლობელობიდან ამ ადგილებში უფრო გვიან უნდა დაითავრებულიყო, ვიდრე სხვა ადგილებში, სადაც მსხვილი მემამულეობის გაფორმების პროცესი ბევრად უფრო წინ იყო წასული. მაშასადამე, პუფი, რომელიც სათემო მიწების ნაწილს წარმოადგენდა, ალლოდიდ ექცეოდა და მხოლოდ შემდეგ მსხვილი მემამულის ხელში უნდა გადასულიყო. ეს შემთხვევები გარკვეულ რაიონებში, შესაძლოა, ხშირად ყოფილიყო. შესაძლებელია, ალლოდების წარმოშობის შემთხვევები საშუალო და მომსხვილო მემამულეობის წრეშიც მომხდარიყო, თუმცა კი ეს, თუ მოხდებოდა, მოხდებოდა როგორც გამონაკლისი, ვინაიდან არაფიზიკური ეკონომიური და სოციალური პროცესი არ ხდებდა არაოდეს პირდაპირი, ტრაფარეტული ხაზით, მიუხევედ მოუხეველად. შემთხვევითობას ხშირად აქვს გავლენა ამ პროცესზე, მხოლოდ დროებით შემადგობელი და არა საერთო პროცესის მიმართულების შემცვლელი. კერძო შემთხვევებში ამ მოვლენაზე, შესაძლებელია, ჰქონოდა გავლენა, მაგალითად, მსხვილი მემამულის ოჯახურ მდგომარეობას, რის შედეგადაც, შესაძლოა, პრეკარიის მქონე მემამულე დამოუკიდებელი მფლობელი გამსდარაყო ხანდაზმულობის ძალით, თუ დიდხანს არავინ ვალდებულებას შესრულებას მის არ მოსთხოვდა. ან შესაძლებელია, თემის გარეშე მყოფ წვრილ მემამულეს ყოფილ თემის წევრისაგან მემკვიდრეობა რგებოდა ნათესაობის საფუძველზე, თუ ყოფილ თემის წევრს სხვა ნათესავი აღარ დარჩებოდა ცოცხალი. ამგვარ შემთხვევით მოვლენებს ყველას ვერ გაითვალისწინებს შეკვლევათ და ამიტომ მათ არ უნდა მიეცეთ გადაჭარბებული მნიშვნელობა, თუ გვინდა ისტორიული განვითარების ძირითადი პროცესი და კანონზომიერება სწორად გავიგოთ.

IV

მსხვილ მემამულეთა შორის დამოკიდებულების და იერარქიული ურთიერთობის საკითხი ვერ გადაწყდება ცალკეულ, თუნდაც უმსხვილესი მამულების დაჯთრების და რეგლამენტების შეწყველის საფუძველზე. არ უნდა დაივიწყოთ, რომ ეს დაეთობები შედგენილია იმ მამულებისათვის, რომლებიც განკუთვნილია მემამულის და მის გარშემო მყოფი წრეების სარჩენად. ეს აზრი მიღებულია არა მარტო *Capitai de villis* შესახებ, არამედ სხვადასხვა მამულების პოლიტიკების და ვარტულარიების შესახებაც. ჭინაიდან: თვით სასიათი ამ საბუთებშია ამას სრულიად გარკვევით გვიჩვენებს. ამის მაგვარი საბუთები ახასიათებენ ისეთი წრეების ურთიერთობას, რომელნიც ამა თუ იმ სახით და ამა თუ იმ ხარისხით, მსხვილი მამულის ნაწილს შეაღწენენ და მისი მესაკუთრის მიერ დასახულ ნივთიერი საჭიროების დაცვაყოფილებას ემსახურებიან. რის გამოც არა აქვთ ისეთი დამოკიდებულება, როგორიც ესაჭიროება მსხვილ მამულს იმისათვის, რომ იგი განვითარდეს. მსხვილი მამულის მდგომარეობას და მსხვილ მემამულეთა შორის ურთიერთობას ბენეფიციური სისტემა ახასიათებს უფრო უკეთესად; ამგვარი მამულები კი ჩვენ მიერ დასახელებულ ისტორიულ ძეგლებში გამოკლებულია, ამიტომ ამაზე ცალკე უნდა ვისაუბროთ.

ჯერ-ჯერობით კი ცალკეული მსხვილი მამულების ფარგალში მყოფი მოსახლეობის სოციალურ ურთიერთობის გამოსარკვევად ისევე ამ ისტორიულ ძეგლებს უნდა დაეუბრონდეთ, რაკი საშუალო და მსხვილი მემამულეების საკითხი ამ მასალებით ვერ გადაწყდება, ამიტომ შეეცნობი გლუხკაცობის სხვადასხვა ფენებს, რომელნიც მსხვილი მემამულის სამსახურში ასე თუ ისე, იმყოფებიან. სრულიად სამართლიანია ის აზრი, რომ ეს გლუხობა კაროლინების ხანაში არ წარმოადგენდა ერთგვარ მასას. ამას არც არავინ ამტკიცებს და არც არავის სჭირდება ამისი დამტკიცება. აქ სადაველ მხოლოდ ის არის, თუ რა მიმართულებით მიდის ისტორიული პროცესი. გლუხობა უფრო და უფრო დამოკიდებულ მდგომარეობაში ვარდება, თუ მისი დამოკიდებულება ერთ დონეზე დგას და მხოლოდ მონები ყმების მდგომარეობაში გადადიან, როგორც ამას აღიარებს დოპში. სრულიად უდავოდ და აშკარად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ XX საუკუნეში გლუხობის მდგომარეობის გ. შარცხება ისეთი ფაქტობა, რომელიც დასტურდება თუნდაც სენ-ჟერმენის სააბატოს საბუთით. მანზები, რომლებიც მონასტრის მამულებშია და გლუხებს უჭირავთ, სამ კატეგორიად არის გაყოფილი: *mansi ingenuiles*, *mansi litiles* და *mansi serviles* (თავისუფალი მანზები, ლიტების მანზები და მონების მანზები). მ. შასადაძე, მემამულეს წინდაწინვე ჰქონია გადაწყვეტილი, თუ რომელ მანზებთან რა გადასახადი უნდა მიეღო მას და რა შემოსავალი უნდა ჰქონოდა. აქედან საფიქრბელია, რომ თავისუფალი გლუხი, თუ მას ეწეებოდა არჩევის საშუალება, არ დასახლდებოდა სხვა მანზებზე, თუ არა თავისუფლისათვის განკუთვნილზე. ეს შეიძლება მანამდის, ვიდრე მამულში ბევრი იყო დაუსახლებელი მანზი და თავისუფალ გლუხს შეეძლო თუ ერთ მემამულესთან არა, მეორესთან მაინც მოენახა თავისი მდგომარეობის შესაფერისი მანზი. მაგრამ ჩვენ უკვე გვცნო და

ზემოთ აღვნიშნეთ კიდევ; რომ დაუსახლებელი მანზები ამ დროს უკვე კოლონი იყო. მაშასადამე, თავისუფალი გლეხი ან უნდა უადგილმამულოდ დარჩენილიყო ან აეღო ის მანზე, რომელიც დაუსახლებელი დახედებოდა. ვინაიდან სადმე შორს, უღრან და უბატონო ადგილებში ანოს აძება და თავისუფალი ცხოვრება ამ დროს, როგორცაა ნათქვამი ადვანიშნეთ, თუ შეუძლებელი არა, ყოველ შემთხვევაში ძლიერ ძნელი იყო. ამიტომ ის იძულებული იყო ის მანზე აეღო, რომელსაც მას შესთავაზებდნენ, ლიტისა იქნებოდა თუ მონისა, და გადასახადიც და ბეგარაც ეხადა იმის შესაფერისად, რომელ მანზედაც ის დასახლდებოდა.

ამიტომაც არის, რომ სენ-ჟერმენის მონასტრის მამულებზე ხშირად თავისუფალ კაცს ლიტის (და ხან მონისაც კი) მანზე უჭირავს. ამიტომ არის ისიც, რომ ამ მონასტრის მამულებიდან გლეხკაცობას ხშირად დიდი გადასახადები და სამუშაო ბეგარა უწევს. მაგალითად, გლეხებს შორის ბევრი მონახევრეა, რაც იმ დროისათვის მძიმე მდგომარეობად უნდა ჩაითვალოს.

მონების მანზე ხშირად ლიტს ან კოლონს უჭირავს. აი მაგალითები: ვანინგი—კოლონი. ბერალდი—კოლონი. ორივეს უჭირავს მონის მანზე. ვანლეარ—ლიტი და ცოლი მისი კოლონი—უჭირავს მონის $\frac{1}{2}$ მანზე. ოსტრეველდი—ლიტი, უჭირავს $\frac{1}{2}$ მანზე მონისა. ფროდვეერტი—კოლონი და ცოლი მისი კოლონი, უჭირავთ მონის $\frac{1}{2}$ მანზე.

ვილტრამი—ლიტი, უჭირავს მონის $\frac{1}{2}$ მანზე. ინგრადი—ლიტი და ცოლი მისი მონა და ვიტხაუსი ლიტი და ცოლი მისი ლიტი—ორივეს უჭირავს მონის 1 მანზე. კოლონებს უჭირავთ თავისუფლის მანზეები. სიგებოლდი—კოლონი და ცოლი მისი კოლონი, უჭირავს 1 თავისუფლის მანზე.

ფულფეგავდი—კოლონი, უჭირავს 1 თავისუფალი მანზე. ამბრიკი—კოლონი და ცოლი მისი ლიტი. ამალგავდი კოლონი და ცოლი მისი კოლონი. ორივეს უჭირავს 1 თავისუფალი მანზე. ლანდოინი—კოლონი და ცოლი მისი კოლონი და მისი ამხანაგი ხილდგავდი. უჭირავთ 1 თავისუფალის მანზე.

ლიტებს უჭირავთ თავისუფლის მანზე. ოსტროვალდი—ლიტი წმ. გერმანესი და გავტილდი კოლონი და დაქვრედი—კოლონი. სამივეს უჭირავს 1 თავისუფალის მანზე. ვანინგი—ლიტი და ცოლი მისი კოლონი, ადალვილდა—ლიტი. ორივეს უჭირავს 1 თავისუფალის მანზე.

ფროტლანკი—ლიტი და ცოლი მისი—კოლონი. ხაირვეი—ლიტი და ცოლი მისი ლიტი. მარგილდი—ლიტი და ცოლი მისი ლიტი. სამივეს უჭირავს 1 თავისუფალის მანზე.

ალტრამნი—ლიტი და ცოლი მისი ლიტი. ხილდუინი კოლონი, გარალდი—გადმოსასლებული და ცოლი მისი კოლონი. სამივეს უჭირავს 1 თავისუფალის მანზე.



იმას გარდა, რომ ამ ცნობების თანახმად კოლონები, ლიტები და სერვები (მონები) არეულნი არიან ერთმანეთში, კიდევ ის გარემოება იპყრობს ჩვენს ყურადღებას, რომ იშვიათი შემთხვევაა, რომ გლენს მთლიანი მანზი ეჭიროს. ხშირად 1 მანზზე ორი და სამი მოსახლე ცხოვრობს. ეს ორი გარემოება, ერთად შეერთებული, ბევრს რასმე მოასწავებს. ჯერ ერთი, ეტყობა თავისუფლები, ლიტები და სერვები თანდათან უხალცილეობიან ერთმანეთს უფლებრივად. ამ პროცესში, მართალია, მონის მდგომარეობა მსუბუქდება შედარებით იმასთან, რაც იყო იგი რომის იმპერიის ბოლო ხანებში და შუა საუკუნეების დასაწყისში. ისე რომ ჩვენ წინაშე მდებარე საბუთების სერვი (servus) ის არ არის, რაც იყო ძველად. ის ანლა უხალცილეობა ყმას და ამ დროს სრული ყმის მდგომარეობაში მყოფი გლენია. ასეც იწოდებოდა. სხვებს თავის სახელები ჰქონდათ. ეს მდგომარეობის შემსუბუქება რაიმე განმათავისუფლებელი აქტით არ მომხდარა. თუმცა განათავისუფლების აქტებიც არსებობს, მაგრამ ისინი მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებს ეხებიან და ამ დროს მასობრივ ხასიათს მოკლებული არიან. მასობრივი ან, უკეთ რომ ვთქვათ, ჯგუფური განათავისუფლება ხდება მამულის სამეურნეო ორგანიზაციის გავლენით, ფაქტიური მდგომარეობის ცვლილების გავლენით და არა კანონმდებლობით. წვრილ მეურნეობა, მსხვილ მემამულეობასთან დაკავშირებული, მოითხოვდა იმას, რომ მიწის მუშას თავის განკარგულებაში ჰქონოდა მიწის ნაკვეთი და ზედ თავის მეურნეობა ეწარმოებინა. მართალია, ბატონი მას თვალყურს ადევნებდა, ბევრას და ღალას ახდევინებდა, მაგრამ ეს მონა თავის ოჯახში და მეურნეობაში ერთგვარი, თუ დამოუკიდებლობით არა, ავტონომიის მაგვარი უფლებით მაინც სარგებლობდა. ისიც კი დასაშვებია იყო, რომ მას საკუთრება ჰქონოდა ან ხელსაწყო იარაღის სახით, ან მუშა საქონლისა. მართალია, ბატონს ჰქონდა საშუალება ესეც წაერთმია მისთვის, „აეკლო“ იგი, როგორც ზოგიერთი ქართული წყაროები ამბობენ, მაგრამ გონიერი ბატონი არ იყო ამაში დანტერესებული, რადგანაც, რაც უფრო ღონიერი იქნებოდა ნივთიერად მისი სერვი, იმდენად მეტს შეიძენდა მისგან ბატონი.

ასეთია ფეოდალური მეურნეობის სისტემის, ასე ვთქვათ, ლოკიკა. სამაგიეროდ, მეორე მხრივ, ლიტები და თავისუფლები, როდესაც ისინი მონის მანზზე სახლებიან, თავისი ფაქტიური მდგომარეობით, ხოლო შემდეგ უკვე იურიდიულადაც, ჰკარგავენ უფლებებს და ვალდებულებებით იტვირთებიან. ასე მიმდინარეობს პროცესი ძირეული ყმაგლეხის ტიპის შემუშავებისა. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ყმები ყველგან და ყოველთვის ერთგვარ, თანაბარ მასას წარმოადგენდნენ. თვით ბატონყმობის განვითარების უმწვერვალესი საფეხურის დროსაც იყო ყმებს შორის განსხვავება და დაჯგუფება, მაგრამ მათი მდგომარეობის საერთო სახე და საფუძველი ერთი იყო ყველგან. ეს პროცესი სრულიად ნათელი იქნება, გადასახადების ერთი-ორი მაგალითი რომ მოვიგონოთ. ლიტი, რომელსაც ლიტის მანზი უჭირავს, იხდის სამხედრო გადასახადს 2 სოლიდს, დანარჩენ გადასახადებს იხდის ისე, როგორც თავისუფალ მანზზე მოსახლე ლიტი, ხოლო რომელიც მონის მანზზეა დასახლებული, იხდის იმდენს, რამდენსაც წინა მუხლებში აღნიშნული სერვი, ე. ი.

1. სამხედრო გადასახადს—1 ცხვარს,
2. სულზე გადასახადს—4 ღენარს,
3. ყავარს—50,
4. ხის ქერქს—50,
5. სალტებს—3,
6. სვიას—2 სექსტარს,
7. მაშხილას—7,
8. ქთამს—3,
9. კვერცხებს—15.

ამას გარდა, სამუშაო ზეგარეხსაც ასრულებს, რომელთაგანაც ზოგი წინდაწინვე გამოირკვეული, ზოგი კი ბატონის სურვილზეა დამოკიდებული¹.

ასეთსავე დასკვნაზე მივალთ, თუ შევადარებთ თავისუფალი გლეხის გადასახადები თავისუფალი მიწიდან და იგივე, თუ მას უჭირავს მიწის მანძი. როგორც ჩანს Villare მიმულის სიდიდან (სენეერმენის საახატოდან), ვინაც თავისუფალის მანძი უჭირავს, მონა იქნება იგი, ლიტი თუ თავისუფალი, ყველა დაასლოვებით მაინც ერთნაირად იხდის. ამისათვის საკმარისია შევადაროთ § 36, რომელშიც მონის მიერ დაკავებული თავისუფალი მანძია დასახლებული, და § 37, რომელშიც თავისუფალ მანძე დასახლებულად 1 მონაც არის აღნიშნული, დანარჩენ პარაგრაფებს, რომელშიც თავისუფლების და მონების მოსახლეობაა აღნიშნული. ყველა ესენი განურჩევლად ერთსა და იმავე გადასახადს იხდიან.

რაც შეეხება ნაკვეთის სიდიდეს, თითო მანძი ხშირად 4—5 ბუნუარისაგან შედგება, თუმცა ხანდახან 14 ბუნუარსაც აღწევს. მაგრამ შთავარი ის არის, რომ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირად თითო მანძეზე რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს. რასაკვირველია, იმ მოსაველიანობის პირობებში, როგორც აღვნიშნული იყო, მიწის ამ ფართობზე ცხოვრება გლეხს არ შეეძლო და ამიტომ იძულებული იყო ყოველგვარი საშუალებით არსებობის წყარო მოეძებნინა. ეს მდგომარეობაც იყო მიზეზი იმისა, რომ თავისუფალი გლეხის დაყმევების პროცესი მტკიცედ, თუმცა, აქნება, ნელნელა, მიდიოდა წინ. სხვა გზა გლეხს არ ჰქონდა, რადგანაც თავისი სამუშაო ძალის გამოყენება სხვგან არსად შეეძლო. მსხვილი მრეწველობა არ იყო. ხელოსნობაც ჯერ კიდევ სასოფლო მეურნეობას არ გამოჰყოფოდა; როდესაც გამოეყო, მაშინაც პირველ ხანებში, ზევრ მომუშავეს ვერ გამოჰყვებოდა; ამას გარდა, ცეხებიც ერთგვარ ზღოდეებს წარმოადგენდნენ ხელოსნობის მსურველთათვის. ვაჭრობა ხომ ჯერ ისე გაძნელებული იყო, რომ მას დიდი ძალა და ორგანიზაცია უნდოდა, რადგანაც ერთი მხრით მრავალგვარი ზიჯათი სდევდა თან, და მეორე მხრივ მის დაწყებას წინასწარ ერთგვარი თანხა მაინც ესაჭიროებოდა, რის შოვნაც მაშინ, იქნება, კიდევ უფრო ძნელი იყო, ვიდრე ადგილ-მამულისა.

¹ ეს ცნებები უფალთვის წიგნიდან არის ამოკრებილი. სამწუხაროდ, ამჟამად დედანი არ მქონდა ხელთ. ისე რომ ტერმინები, შეიძლება, შემცდარი ტრანსკრიპციით იყოს მოკმეული, რადგანაც რუსული თარგმნიდან არის გადმოღებული.

დაგვიჩა ბენეფიციუმის საკითხი, რომლის გარჩევას საფუძველზე მსხვილი მიწათმფლობელობის მდგომარეობა უნდა განიარაღებინა, სწორად იქცევა შეე-
ლიგვრი, როდესაც ის მსხვილი მიწათმფლობელობის საკითხის გამოსარკვე-
ვად მიმართავს ბენეფიციური და პრეკარიული სისტემის გამოკვლევას, თუმცა
დასკვნები მისი არ არის სწორი:

ჩვეულებრივ, ბენეფიციური სისტემის გამოსარკვევად მიმართავენ ხოლმე
გვიანდელ კაროლინგების ხანას, ან შეათე საუკუნეს, იმ მოსახრებით, რომ შა-
ნაშდის ბენეფიციური სისტემას არ ჰქონია აღვილირი. ვაიცი და როტი აღიარებ-
დნენ, რომ VI—VII საუკუნეებში ბენეფიციუმები მოხსენებული არ არის. შე-
ჩემ გამოკვლევაში ბენეფიციუმების შესახებ ჯერჯერობლაზე ძველ საბუთებში
აღვილები, სადაც აღნიშნულია VI—VII საუკუნეებში ბენეფიციუმების არსე-
ბობა, ახლა ამას აღარ გავიმოვრებ. რაც შეეხება X საუკუნეს, ამ დროს ბენე-
ფიციუმებს ჯეროდებად გადაქცევის პროცესი ხდება, ისე რომ ბენეფიციუმე-
ბის ეპოქასე შევჩერდეთ.

როგორც ყოველ მოვლენას, ისე ბენეფიციურ სისტემას, აქვს თავისი ბს-
ტორია, რომლისოდაც ბენეფიციუმის ხასიათი ვერ გამოირკვევა. გამოსარკვევი
კი არის ზოგი, რამე, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი განსაკუთრებით კარ-
გად არის სპეციალურ ლიტერატურაში დამუშავებული. მთავარი აქ ის არის,
რომ ისეთი დიდი მკვლევარიც კი, როგორც იყო როტი (ვაიცი აღიარას ვი-
ცევი), ამტკიცებდა, რომ ვასალიტეტი, და მაშასადამე, ბენეფიციუმი პოლიტი-
კური სისტემაა, შემოღებული კაროლინგების ხანაში ფეოდალური სისტემის და-
საწყობად. დროში ამ შემცდარი აზრის გამოსასწორებლად აღნიშნავს ბენე-
ფიციური სისტემის ეკონომიურ მნიშვნელობას, მაგრამ მეტიდ გაუბედავად,
ბუნდოვანად. მისი ნათქვამიდან არა ჩანს, რომ ბენეფიციუმი შექმნილია წარ-
მოების მთელი სისტემის წყვეტად და მას მოსდევს ვასალურ-სენიორული ურ-
თიერთობა, როგორც შედეგი. მე ჩემ ნაშრომში მაქვს აღნიშნული ის საბუთები,
რომლებშიც მოხსენებულია ბენეფიციუმი და რომლიდანაც ირკვევა, ამ სის-
ტემის ეკონომიური საფუძველი. ირკვევა, რომ მეფეები ბენეფიციუმს აძლევდნენ
სანდო ხალხს, ან თავის ანტრუსტიონს, (*trustis*), ან იმას, ვინც მეფის მფარვე-
ლობით (*mundeburdum*) სარგებლობდა; და ამასთან აძლევდნენ დასამუშავებ-
ლად მეურნეობის მოსაწყობად (*ad plantandum, collendum, aedificandum*).
შემდეგში ბენეფიციუმის პოლიტიკური მხარე წინ იწევს, ჰჭარავს ეკონომიურ
მხარეს, მაგრამ მისი საფუძველი წარმოების სისტემაში მიანიც ჩანს, თუ კარგად
ჩავაკვირდით საქმეს. თვით ტერმინი ისეთია მოგონილი, რომ ჰჭარავს ბენეფი-
ციუმის გაცემის ნამდვილ მნიშვნელობას და მიზანს. მსხვილი მემამულეები და,
განსაკუთრებით, მეფეები, როდესაც რომის პროვინციები დაიპყრეს, დაუშუშავე-
ბელ ადგილებში კულტურის შეტანას და მეურნეობის მოწყობას ცდილობდნენ.

გ. ნათაძე, ახალი პირობებები ევროპის ფეოდალური სისტორიაში: თბილ. უნივ.
მაგნი, VI, 1926 წ.

Dopsch, op. cit t. I, გვ. 228.

ეს საჭირო იყო ახალი ხელისუფლებისათვის. ხალხს ვაჲ ისე აჩვენებდნენ თავის ვითომც მიწყალებას სწადიოდნენ, რომ მამულებს არიგებდნენ. ასეთივე მსგავსი ლობა ჰქონდა ტერმინს praecaria-ს. პრეკარიები, ჩვეულებრივ: როგორც წესი, ეძლევა ყოველ მსურველს, ხშირად სხვაგნაოდ მოსულსაც და (pr. data) ამნაირად მოცემული მამული ჩვეულებრივ მცირე ფართობისაა. მანვე დასახლებულს ევალება იმგვარი ხასიათის ვალდებულებები, როგორიც დამოკიდებულ გლეხებს. ე. ი. წმინდა ეკონომიური. ისინი რომელიმე მსხვილი მამულის ფარგალში შედებიან და მის ნაწილს წარმოადგენენ. ბენეფიციუმები მსხვილი მამულის დავთრებში თითქმის არ არის მოხსენებული. ეს იმიტომ, რომ ბენეფიციუმში თვითონ მსხვილი მამულია და თვით მის პატრონს ჰყავს თავისი დამოკიდებული ხალხი. აქვს თავისი ვანაწყისი. ამის ვალდებულებებს ეკონომიურა ხასიათისაც არის. მაგრამ წმინდა პოლიტიკური უფრო მეტია, თუმცა სანსახურის ეს ორი მხარე იმ ხანაში ძველად განიჩიოდა ერთმანეთისაგან. ბენეფიციუმის მფლობელის ამოცანას ის შეადგენდა, რომ ტერიტორიის დიდი ფართობი, მოსურსებრებელი და ახალი სახელმწიფოსთვის ვერ გამოუხადებგარი, მოაწყვსრიგოს და სახელმწიფოს მოქმედი ორგანული ნაწილი გაშხადოს. ამისათვის მას ნდობაც მეტი ესაჭიროება და თავისუფალი გასაქანიც, ინიციატივის საშუალება. ამიტომ მეფე ბენეფიციუმის მფლობელის შინაური საქმეების წვრილმანებში ჩარევას არ აწარმოებს. შემდეგ ხომ იმშუნიტეტის უფლებაც განგითარდა. მაშინ, როდესაც მეორე მხრივ დამოკიდებულ გლეხობის, თავისუფლება უფრო და უფრო იზღუდება, მის სამეურნეო საქმეების წვრილმანებში ჩარევა, მეტი ვადსახადების და ვალდებულებების მოახიფის მიზნით, უფრო და უფრო ძლიერდება. შემდეგში, პირველიდან ვიხარდება ხენიორულ-ვასალური დამოკიდებულება; ხოლო მეორიდან ბატონ-ყმური.


მეფეების გარდა, მათზე დაბლა საფეხურზე მდგომი, ხელისუფალი—მემამულეებიც არიგებდნენ ბენეფიციუმებს, მაგრამ ძათი უფლებები დაბალი საფეხურის კვალბაზე, რასაკვირველია, ისეთი დიდი არ იქნებოდა, როგორიც მეფისაგან უშუალოდ ბენეფიციუმის ამღებისა, აქაც, რასაკვირველია, ისტორიული პროცესი ტრაფარეტულადარ უნდა წარმოგიდგინათ. მოხდებოდა, რომ პრეპარისტი და წვრილი ბენეფიციუმის მფლობელი ერთგვარ მდგომარეობაში ჩავარდებოდნენ, ამგვარი სახიდან წარმოიშვნენ შემდეგში წვრილი ვასალები, რაინდები (Caballari, vollfreien), ისე როგორც ღარიბი თავისუფალ გლეხობიდან (liberti¹, mindsfreien), რომელთაგანაც პირველნი სახელმწიფოს წინაშე სხვადასხვა ვალდებულებებს იხდიდნენ, ხოლო მეორენი მარტო მძიმე ვადსახადების ტვირთს ეხიდებოდნენ. ისე რომ ბენეფიციუმის მფლობელნი იერარქიულ ურთიერთობაში იწყობებოდნენ. რაც უფრო დაბალ საფეხურზე იდგა იგი, იმდენად უფრო გლეჩაკს უახლოვდებოდა თავისი მდგომარეობით; რაც უფრო მაღალ საფეხურზე იდგა, იმდენად ფართო იყო მისი არა მარტო ნივთიერი შეძლება, არამედ პოლიტიკური უფლებების მოცულობაც, მაშინ როდესაც

¹ იხ. უდალც ოვის წევროვი, მასალები. 1942 წ. ნომბერი, გვ. 43.



გლები, ძლიერ დიდი შემამულის ხელქვეითი იქნებოდა იგი თუ ძლიერ მამული
 ლისა, სულ ერთია, ერთნაირად უფლებებო და გადასახადებით დატვირთული
 იყო, თანაბარი საფესურის პირობებში. პირიქით, რაც უფრო მსხვილი იყო მამული,
 იმდენად უფრო მოწესრიგებული და დაწინაურებული იყო, ფეოდალიზმის
 კვალობაზე, მისი მეურნეობა, მაშასადამე საბატონო ბევრა უფრო გაძლიერებული
 იყო, რადგანაც მის ბატონს მამულის ცენტრში თავისი მეურნეობა
 აქონდა და მარტო გლების გადასახადებით არ კმაყოფილდებოდა. მეორე-
 ხარისხოვანი შემამულის მიწები კი დაქსაქსული და გაფანტული იყო, ამიტომ
 საბატონო მეურნეობა მას არ აქონდა მოწყობილი და ბევრის ნაცვლად გა-
 დასახადებთ კმაყოფილდებოდა. ეს კი უფრო შეღავათიანი პირობა იყო გლე-
 ხისათვის. ვიდრე საბატონო ბევრის მოფხოვნა¹. რაც უფრო გადიოდა და ფეო-
 დალური მეურნეობა ვითარდებოდა, იგი უახლოვდებოდა იმ ტიპს, რომელიც
 ასახულია „ბრძანებაში მამულების შესახებ“ და უფრო და უფრო საბატონო
 ბევრას აძლიერებდა. ეს კი ამრავლებდა რიცხვს მთლიანად დამოკიდებული
 გლეხობისა ნახევრად დამოკიდებული გლეხობის შარჯზე. მსხვილი მამულების
 და მსხვილი ბენეფიციუმების პატრონები ამ მიმართულებით უფრო სწრაფად
 მიდიან წინ, ხოლო წვრილი ბენეფიციარები უფრო მეტად ბრეკარიუმის მდლო-
 ბელები, ისიც თუ ამათ რაშდენიმე მანში მაინც აქონდათ და ზედ დასახელებული
 ყმებიც (manscipia) აყუდათ, უფრო ჩამორჩენილნი იყვნენ.

საბოლოო ანგარიშში საერთო სურათი მთელი ამ პროცესისა თუ თვალ-
 საჩინოდ დავისახეთ. მივიღებთ ერთგვარ სქემატურ სურათს, რომელიც, მარ-
 თალია, ჩვენ ცოდნას ამ საგნისას კი ვერას შეჰმატებს, მაგრამ თვალსაჩინოო-
 ბას კი შეუწყობს ხელს, რაც აგრეთვე საჭიროა ცოდნის გარკვეულობისათვის.
 ავიღოთ ერთი ოლქი, რომელიც ერთი რომელიმე ტომის მოსახლეობას შეი-
 ცავს და მის საცხოვრებელ ტერიტორიას წარმოადგენს. ამ ოლქში ფრანკთა
 მონარქიის წარმოშობის პროცესში, თუ სადმე ძველად დარჩენილი რომაული
 დროის შემამულებები იყვნენ, უმრავლესობა დაიხოცა. მათი მამულები მეფის
 ხელში გადავიდა. ბრძოლის პროცესში, შესაძლოა და ბუნებრივია, გადარჩენი-
 ლიყო აქა-იქ თითო-ორიოლა მსხვილი შემამულე, რომელთაც ზოგმა იძულებით,
 ზოგმა შეგნებით სცნეს ისტორიული ფაქტი ახალი (ფრანკთა) მონარქიის წარ-
 მოშობისა, როგორც ერთგვარი ისტორიული აუცილებლობა, შეურიგდნენ მდგო-
 მარეობას და ცდილობდნენ მასთან შეგუებას, ახალ ხელისუფლებასთან დახ-
 ლოგებას, მასთან სამსახურს. ხელისუფლებაც ცდილობს ისინი მიიზიდოს, რათა
 ერთგული შინაყმების რიცხვი გაადიდოს. აი ერთი ამგვარ შინაყმთაგანი (ან-
 ტრუსტიონი) ან ამგვარი ერთგული შემამულეთაგანი (მეფის მუნდბურღუმში
 მყოფი) მეფემ მთელ ამ ოლქის გამგედ დანიშნა და იმ ოლქში, რაც მეფეს
 ბეითალმანი მამული აქონდა, მას მისცა ბენეფიციუმად. თან მას თავისი უფლე-
 ბების ნაწილიც, მისცა, ამ ოლქზე გარე-ეკონომიური იძულების უფლება შეანიჭა.
 ამის შემდეგ ამის უფლება, როგორც ხელისუფლებისა და როგორც შემამული-



სა, ერთმანეთზე გადახლართული, ძლიერდნება. გლენობის მსხვილ მამულებზე დასახლების პროცესი, რომელიც ზემოთ იყო აღწერილი, ამ ახალ ეტაპზე უფრო დიდი მამული აქვს. მაშასადამე ნივთიერად გაძლიერება და მეურნეობის ორგანიზაციის წარმატება ამის მამულში უფრო სწრაფად მიდის წინ; თუმცა მემამულეებიც იძინენ გლენებს. ბოლოს გლენობის უმრავლესობა და ამ ოლქის მემამულეები მისგან ერთგვარად დამოკიდებულნი ხდებიან, რადგანაც მას შეუძლია დანარჩენ მემამულეებს სხვადასხვა შემთხვევებში მეფის სახელით სამსახური მოსთხოვოს. ამგვარად, ეს მემამულეები მისი ვასალები ხდებიან, ისე როგორც თვითონ ის ძდება მეფის ვასალი და, რაკი შემდეგ ბენეფიციური ფორმად გადაიქცა, მისი მამული და დანარჩენი მემამულეების მამულები უფლებრივად ერთმანეთს დაუახლოვდნენ. ასე წარმოიშვა სიუბერენტლ-ვასალური ურთიერთობა, ასე წარმოიშვა ფეოდალური სისტემა, სრულიად გარკვევით აშობს ენგელსი, რომ კატასტროფების შედეგად მოხდა შერწყმა რომაული და გერმანული ელემენტებისა და კაცობრიობის წინსვლა (იხ. Происхождение... გვ. 157).

ამგვარად ირკვევა, რომ გერმანელი ერის განვითარების ყოველი მხარე წარმოადგენს ძველ რომაულ და ახალ გერმანულ ელემენტების შერწყმას და მის განვითარებას, რაც დიდის მტკივნეულობით ხდება ერთი მხრივ გერმანელთა შემოსევების ნიადაგზე და მეორე მხრივ რომის მონების და სხვა დამოკიდებულ ხალხის აჯანყებებისა. შედეგად ელემენტებით ერთ ჩამოყალიბებულ ფეოდალურ სისტემას. არავითარი განსაკუთრებული როლი ნორდულ რასისა არ იქნეს თავს. სხვა და სხვაფერი ერების გაერთიანება და ნიქის გამოყენება, მართალია, დიდ შეტაკებებს, სისხლის დღვრას და ისტორიულ ნაბტომებს იწვევდა, მაგრამ საბოლოო ანგარიშში იგი ძალზე ერთ გარკვეულ წესწყობილებას, რომელიც, წინანდელთან შედარებით, წარმოადგენს უდავო წინსვლას და ცხოვრების გაუმჯობესებას, ე. ი. ბოგარესული მოვლენაა. დობაშის თეორია იყო გამოსავალი წერტილი ისეთი შრომებისა, როგორც ციმერმანის გერმანიის ისტორია, როგორც „რასის ბედი“, ბალტერის „რასა და კულტურა“ და სხვები, რომელთაც შეჰქმნეს ნორდული რასის თეორია. დობაშის თეორიის უარყოფაც მათაც აცლის ნიადაგს ფეხქვეშ, თუ მთლად არა, ნაწილობრივ მაინც.

მაგრამ ეს პროცესი დასავლეთ ნეისტრიისათვის არის ტიპური. აღმოსავლეთ ნეისტრიაში და წმონდა გერმანულ ოლქებში იგი ბევრად შეგვიანებით ვითარდებოდა, და ამას გარდა, გართულებული იყო კიდევ სხვა ისტორიული მოვლენებით, რომელთაც საგანგებო გამოკვლევა ესაჭიროება.

ამას გარდა, ფეოდალიზაციის ეს პროცესი, ასე ვთქვათ, მხოლოდ ნორმატიულია, რომელსაც რეალურად მეტად თუ ნაკლებად უახლოვდება ცალკეული ტომების ისტორია. საფუძველი ამ პროცესისა ის საწარმოო ძალების განვითარება იყო, რომელიც ზემოთ არის აწერილი. მაგრამ ეს პროცესი ხომ დროგამოშეებით ფერხდებოდა, ირღვეოდა, მაგალითად, უკანასკნელ კაროლინგების დროს, მაშინ როდესაც კარლოს დიდის დროს უფრო მტკიცედ მიდგოდა წინ. მაშასადამე, კიდევ რაღაც გარემოება ყოფილა, რომელსაც ამ პროცეს-



სისათვის ხელის შეწყობა უწარმოებინა და, თუმცა მისი შექმნა და მფლობელობაში შესვლა, მაგრამ ხელის შეწყობაში და შეფერხებაში, მისი ეფექტურობის გაძლიერებაში ვი როლი უთამაშია. ეს იყო საერთაშორისო ურთიერთობა და საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაცია, რომელიც აგრეთვე ცალკე სპეციალურ გამორკვევას მოითხოვს.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შუა საუკუნეების ისტორიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1943. IX. 9)

ლევან გვილიაშვილ-გვამ

სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის იშვიათი ქმედი

(სომხური ხელნაწერი-კრებული ქართული ტრანსკრიპციით)

სომხური ხელნაწერები ქართული ტრანსკრიპციით, ისევე როგორც, თურქული და აზერბაიჯანული ხელნაწერები და ძველი ნაბეჭდი წიგნებიც სომხური ტრანსკრიპციით, საკმაოდ-რავლენობით იყო გავრცელებული XVIII—XIX საუკუნეებში. ისინი არა მხოლოდ ორი მეზობელი ხალხის, ერთს შემთხვევაში — სომეხთა და ქართველთა, მეორეში კი — სომეხთა და აზერბაიჯანელთა ანუ სომეხთა და თურქთა, კეთილშეზობლურსა და შეგობრულ ურთიერთობას შიშობენ. არამედ აგრეთვე იმ გულტურულ სიტუაციას, რომელსაც გარკვეულს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ სფეროში მოქცეული ესათვის ეთნიკური კოლექტივი ანუ მისი რომელიმე ნაწილი მისდევდა: ვეფლისხმობთ სომეხს საქართველოში სომეხთის სამეფო-სამთავროთა დაცემის შემდეგ XI და XIV საუკუნეებიდან მოყოლებული. კერძოდ, სასულიერო შინაარსის სომხური ხელნაწერები ქართული ტრანსკრიპციით გავრცელებული იყო საქართველოში ღვთისმსახურების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რამდენადაც საქართველოში მყოფ სომეხთა სამღვდელთაგან შესამჩნევი ნაწილი სომხური წვთაკითხვის უცოდინარი იყო.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ თავაზიანად გამოგვიგზავნა; სამეცნიერო კონსულტაციისათვის, თბილისში მცხოვრების გორელი იაკობ კონსტანტინეს-ძის ხიზანოვის (ხიზანიშვილის) კუთვნილი ორი-ორდ სომხური ხელნაწერი, რომელთა შორის ერთი ქართული ტრანსკრიპციით შესრულებულ იშვიათ მანუსკრიპტად აღმოჩნდა.

ხელნაწერი, რომელიც, უთუოდ, unicum-ების რიცხვს უნდა მიეკუთვნოს, დაწერილია მოლდოვო ქალაქში in folio, 332 ფურცლად, და მუყაოს ყდაშია ჩასმული. პაგინაცია ქართული ასოებით არის აღნიშნული. არსებითად იგი მრავალშინაარსიანი და მრავალფეროვანი კრებულია, რომელიც თავიდან ბოლომდე, მცირე გამოჩაკლისით, დაწერილია თბილისის სომხური დიალექტის ყაიდაზე გამართულ-გადაკეთებულ ვრძაბრზე (ძველ სალიტერატურო სომხურზე), ოღონდ ქართული ასოებით.



კრებული ძირითადად 6 კარისაგან შედგება, შემდეგი თანამიმდევრობით: 1. ძველი და ახალი აღთქმა, გვ. 1 r — 56 v; 2. სვინაქსარი და ბენედიქტინური კრებული, გვ. 87 r — 215 v; 3. ლოცვათა წიგნი, გვ. 217 r — 258 r; 4. პინარიაჟი, გვ. 269 v — 284 v; 5. ხოტბათა და შესმათა კრებული (სასულიერო შინაარსისა), გვ. 286 r — 305 r; და 6. სინლუათა და შაბრათა კრებული, გვ. 322 r — 332 v.

ბელნაწერი დაწერილია XIX ს. პირველ ნახევარში სტეფან დუჟიის-ძის (დავითის) ალამდაროვის მიერ, რომელსაც თვისი და მახლობელ ნათესავთა სხულებს სათითოდ სხენება დაურთავს მეორე კარში შეტანილი ჰაგიოგრაფიულ მარტიროლოგიურისა და პომილეტიკურის თითქმის ყველა ტექსტისათვის ბოლოში, იმავე ენით (ე. ი. თბილისის სოკბური დიალექტის ყაიდაზე გამართულ გრაზარზე), ოღონდ ქართული ტრანსკრიპციით. იგივე, სტეფან ალამდაროვი, იხსენიება ბოლო — მეექვსე — კარში ნოთაგებულ ზოგიერთ დექსში, მაგალითად: ჯამელ-ოდლანისაში, სადაც ორჯერ მოხსენებულია „პარუნ სტეფან“, ე. ი. ბატონი სტეფან, უსახელო ავტორის ორჯერ დექსში, რომელთაგან ერთში მოხსენებულია „სტეფან“, მეორეში კი „ალამდაროვი“; აგრეთვე ერთს ქართულში, რომელსაც სათაურადა აქვს „მუხამბანი ქართული“, მეორე სტრიქონში მოხსენებულია „ალამდაროვის თვალთა ნათელი“.

კრებულის მეორე კარში შეტანილი მინაწერები შემორჩაღური ხასიათისაა გარკვეული ტრაფარეტით შედგენილი, რომლის შინაარსი დაახლოებით ასეთია (მოკლევან ჩვენს თარგმანში სომხურიდან): „მადლითა და შერობითა წმიდისა მარად ქალწულისა მარიამისა, შეიწყილე, ქრისტე ღმერთო, წმიდასა წიგნსა ამასა ზედ მშრომელი სტეფან დავითის ალამდაროვი და მშობელნი მისნი დავით და სარა, მეუღლენი მისნი შინი და მარიამი¹, ძმანი და დანი მისნი, დედისერთა ძე მისი დავითი და ძეგლნი და ამაღლი მიცვალებულნი მისნი. ვინც წაიკითხოთ, შენდობა თქვით, ღმერთავაც თქვენ შეგიწყალოს, საღიღებლად ქრისტესი, ღმრთისა ჩვენისა. ამინ“.

რაც შეეხება კრებულის შინაარსს, მის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი.

პირველ კარში შეტანილი მასალა წარმოადგენს უგამონაკლისოდ მოთხრობებს, სულ 31 ნაკვეთად, რომლებიც ძირითადად ბებლის ძველი და ახალ აღთქმის საფუძველზეა აგებული, და, ამრიგად, არაფერს ახალსა და ორიგინალურს არ შეიცავს.

გაცილებით უფრო საინტერესოა მეორე კარი, სადაც თავმოყრილია ჰაგიოგრაფიულ-მარტიროლოგიური და პომილეტიკური ტექსტები მსოფლიო და სომეხთა ეკლესიის შემდეგ წმიდათა შესახებ, სულ 33 ნაკვეთად. ეს წმიდანები არიან: გრიგოლ აკრაკანტელი; სერაპიონი და ამაზ მარკოზი; მარკონ რომაელი; ლუკიოსი; იოანე გარნელი; სილიბისტრო და კონსტანტინე; გრიგოლ განმანათლებელი; გუროსი, სამონას და აბიბას დააკონი; კოზმან და დამიანოს; იაკოვიე სპარსელი; პოლა და მისი მეუღლე; სტეფანე უსპეტაკესი მოძღვარი — ოსქანის ძე; იოანე ოქროპირი; ეფრემ ასური; ქარიტონია; ევდოკია წმიდა ქალწული; ეფროსინე წმიდა ქალწული; კატარინე წმიდა ქალწული; მარიამ მეგვიბ-

¹ ე. ი. პირველი ცოლი — განსვენებული, და მეორე — ცოცხალი.

ტელი; წმიდა გიორგი; ირინე ქალწული; კირილე ებესკაპოსი და დედოფანული ანნა; კირიაკე და დაი მისი პარასკევი; ტაისა; ივლიტა და კირიაკე; ქალწული; ძმანი — საშუელი, მანუელი და იმნაელი; იოზ მართალი; დედა ღვთისა [ხარება]; საბა სტრატელატი და რუსინოსი; მარტი[ნი]ანოსი; მარკოზ და მაკარ მეუღაბნოენი; კან[ო]ნოსი.

მესამე კარში მოყვანილია ათიოდე ლოცვა: 4 — ეფრემისნი, 1 — ათანასესი და ეფრემისა, 2 — გრიგოლ განმანათლებლისა, 2 — გრიგოლ ნარეკელისა და 1 — უცნობი ავტორისა.

მეოთხე კარში შეტანილია უმთავრესად მიცვალებულთაღმის მიძღვნილი საგალობლები (შარაკანები), აგრეთვე ნაწილობრივ ყრმათაღმის მიძღვნილნიც, სულ 58 კალად.

მეხუთე კარში მოცემულია ხოტბანი და შესწმანი (სომხურად „ტად“, აქედან კრებულის სახელწოდება „ტადარან“) როგორც სასულიერო, ისე საერო სასიათისა, მაგ.: სულიწმინდას, მაცხოვარს, მარად ქალწულ მარიამს, იერუსალიმს, ვარდობას — ერთი მხრით, და გაზაფხულს, სიმბიარულეს, სიყვარულს, მეგობარს და სხვ. — მეორე მხრით, სულ 47 კალად.

დასასრულ, შევიქცხე და უკანასკნელი კარი, რომელიც ყველაზე ორიგინალური და საინტერესოა, შეიცავს 19 ლექსს, მათ შორის რამდენიმეს აშუღჟოს, სხვადასხვა ენაზე: 5 ჭართულს, 4 აზერბაიჯანულსა და თურქულს; დანარჩენი 10 სომხურია. უკანასკნელთაგან 3 ჯაჭელ-ოღლანისა, 3 სტეფანოსისა, 2 შამჩი-მელქოსი და 2 უცნობი ავტორისა. ეს უკანასკნელნი ჩვენ დამზადებულნი გვაქვს ცალკე გამოსაცემად.

რამდენადაც აღწერილ ხელნაწერ-კრებულში ყველაზე ორიგინალური და საინტერესო შევიქცხე კარია, კერძოდ მასში შემოწმებული ქართული და სომხური ლექსები, ამიტომ ქვემოთ სტრიქონებში შევეცდებით სტეციალურად ამ უკანასკნელთ შევხებით.

* * *

ქართული ლექსების შესახებ ბევრის თქმა არ დაგვიკორღება, გარდა იმისა, რომ აღვნიშნათ, რომ მათგან ორი (მეორე და მეხუთე) ალ. ჭავჭავაძის ლექსთა ვარიანტებია:

პირველი ლექსი 25 სტრიქონს შეიცავს (გვ. 323 რ — V), და იკითხება ასე:

მხო, სხვანგან უმეტეს მე შევიძლებ ქრთამსა,
შენის ხიდვის ლაშქარნი გულს მამდინე ჩამსა,
ხამს მარადის მშვიებითა ვატარებდეთ ქანსა,
დღე-დაღამ ვიხაროთ, მოშორებას ნუ შეტყვი.
მაგ რით შენთან შექცევას?

გმართებს, ვარდა, ბუღბუღსა მინედავდე წყალბით,
ღამე და დღე შეფრთხივით გაღმენს ტკბილის-ვალბით,
ნატრობს ვით გაიშლება ზმინავს ვშპის თვრალბით,
ნარგიზი ჭყავს მოწმათა, თვალთ ვერ ხედავს შრალბით,
გულმაკათ ყოფს იადონს, გზაენის თვისის მალბით.
მატყუმიან დრო არ დასცეს, შის შეხებას ნუ მტყუვი.

მაგ რით შენთან შექცევას?

გამშორდით მთა და ბარნო, გამოჩნდეს საყვარელი,
 ღრუბელნო, ბჭვენი ილტრადეთ, მან გაქანათლოს ბნელი,
 მისგან სხივი მომადღეს, მარად ჩემი დამწველად,
 ვგვბის ცნას, შეგებრალდე, მისგან ველათ ცობი ხელი,
 მომქლავს ან [და]მადრცხლებს ანუ იქნება მსსნელი,
 მისის ეწმის ჯამი ვაფი, კვლავ აღდესებას ნუ მეტყვი.
 მაგ. რით შენთან შექცევას?

მოკვდე, შენგან მშორს ყოფი მიჯობს სიცოცხლისგანა,
 ვით შეიშლო შენებრის მოშორება ვნისგანა,
 ერთ თვე არის მოშორდი, უფრო არის წლისგანა,
 ვფისტოლე მამაკელ, შექსმენილგარ სწვისგანა,
 მაშ ცრემლი არ ვადინო, უმეტესათ: ხდვისგანა,
 კმარა ხაელის ტანჯვა, კულავ ცეცხლებს ნუ მეტყვი.

მეორე ლექსი 24 სტრიქონად (გვ. 323 v) ალ. ჭავჭავაძის სათანადო
 ლექსის ვარიანტია:

ჰოი, დრონი, დრონი წაგებნი მტკბარათ,
 წარვდეტენ, განქრეს სიზნარებ ჩქარათ,
 მე იგივე ვარ მარად და მარად,
 არ ვხდევ ვამთა ცვლას,
 მე იგივე ვარ მარად და მარად,
 განეშორდი მოყვას[ს], ძალ ც[ა]გრებისას,
 არ გიკვირს, ხედავთ ვლევთ სულმდგარათ,
 მე იგივე ვარ მარად [და] მარად,
 არ ვხდევ ვამთა [ცვლას],
 ვლამ ბედისაგან ასრეთ დასჯილი,
 იმედოვნებას უწოდეს ფარად,
 მე იგივე [ვარ მარად, და მარად],
 იგივე მელტვის, მიბრალეთ/ამად,
 უსასრთ ვოფას ყოფა სჯობს მკვდარ[ათ],
 მე იგივე ვარ მარად [და მარად],
 თუმც იგი ჩემებო უტავს სიბტკიცე,
 გაბრალდებ რაყიფს მწერების მომცდარათ,
 მე იგივე ვარ მარად და მარად,
 არ ვხდევ [ვამთა ცვლას],
 საჯეთ: ყრობილმან უწყისა ტრფობა,
 სადცა გინდა ყოს, მასთანვე მარად,
 მე იგივე ვარ მარად და მარად,
 არ ვხდევ ვამთა ცვლას,
 მე იგივე ვარ მარად და მარად.

მესამე ლექსი, რომელსაც სათაურადა აქვს „მუნამბაზი ქართული“, 30 სტრი-
 კონს შეიცავს (გვ. 327 v):

ჰაი, ჰაი, მიხეხო, — ხარ საყვარელი,
 აღამდართვის თვალთა ნათელი,
 რაც შენთან განლდი, ვიყავ ნებითა,
 როცა მოგშორდი ავის ნებითა,
 მინდა რომ გაქო ტკბილის ენითა
 და სიამოვნე უცნოთ ნებითა,
 რათგან იყავი ნაცნობი გველი.

ჰაი, ჰაი, მიხეზო, ხარ საყვარელი,
ტკბილი გვილი, უცხო სული ხარ,
ნაქები ბაღის-თავიგული ხარ,
უცხო ბუღბუღლო, სხე [ჯრ]მელი ხარ,
საცა გინებთ თქვენ, არ მადიხარ,
მისთვის შევიქმენ გულმოტეხილი.

ჰაი, ჰაი, მიხეზო, ხარ საყვარელი,
თავით ნაქებო, თმა გაქვს გიშრისა,
სახით ლამაზო გასრლ მთვარისა,
ენითა ტკბილი ვარდ-ბუღბუღლისა,
შიგ უცხო სული იასამანისა,
უბრალოთ გაუნდი მითგან ნატრული.

ტანით მოსული აღვის ხე, ხარო,
უცხო ნარგიზო, შენ ჭაიხარო,
მზეო, ამხდი, მთვარე ასარო,
ჰეი, მაგისთანა ერთი რა ხარო,
მიჯნურს განგდე შებრალებული.

ერთის იმედით გული დაუდე,
გულის გარეშე ბაღსა აუდე,
შენ ვარდის გვაგსო ბუღბუღლს მოუდე,
ერთი წყალობაც აქიშ დაუგდე,
რომ არ დატირნეს წვადწალებული.
ჰაი, ჰაი, მიხეზო, ხარ საყვარელი.

მეოთხე ლექსი 25 სტრიქონისაგან შედგება (გვ. 331 v):

ზემწიფე წიგნს იწერება,
მისგან ვარდი იფარება,
მით გულს შეგებას იღერება.
ნუ სტირ, საყვარელო, მოვალ,
ნუ სტირ, საყვარელო, მოვალ,
არყოფ მარად ნახვის მთხოვარ.
სოფლის საქმეს უფყარ ყური,
არწინ იყოს მახი შური,
სხვით მიჯნურთაც დასამდური.
ნუ სტირ, საყვარელო, [მოვალ]-
მოვარე მნათობი ბნელსა,
აღვერ მანზრვერი წილსა,
მნასვით მკურნელი ხელსა,
ნუ სტირ, საყვარელო, [მოვალ].

გთხოვ ზილფთა ქამანდ სროლასა,
მით შევინს ნიათ ქროლასა,
გარდაქდის ყელსა ბროლასა.
ნუ სტირ, საყვარელო, მოვალ]
გიხმოდ სუნელ წალგობ-ბოლად,
ყვაგილოვანა[დ],
გაქვს გულ დაღად,
მოვალ, სვე მსოფლხარ რაღად.
ნუ სტირ, საყვარელო, მოვალ,
ნუ სტირ, საყვარელო, მოვალ,
არყოფ მარად ნახვის მთხოვარ.

დასასრულ, მეხუთე ლექსი 16 სტრიქონად (გვ. 332 r) ოლ. ჭავჭავაძის სათანადო ლექსის ვარიანტია:

კმუნის მახვილი გულსა მსომია,
მიკვირს, თუ სული რათ არ მხდომია,
ნაცვლად იმედთა მათ ჩემდა მზეო,
კოგორით მკვრეცა შე-ლა-მრჩომია.
მკურნელად გახლდი, მიბრუნო სული,
თუმცა გონება შე-ლა-მრჩომ[ია],

კმაყოფის გზასა ვხედავ ზღაქრთულად,
 სურვილი უჭმოდ გულს შემსჭრამია.

თუ აწ ვერ გავით შენ ჩემ გქუხრნელად,
 ვის ტრფიალებით ფერი მზღომი,
 გამხვებებია ვა სიყვარული
 და გულსა მიხრეს ვითა ლომია.

არგეს მის ობრავე, ობრის მიხეზო,
 სასმენთა კარნი ჩემთვის გსშომია.
 რისხვამა შენა სიცოცხლის ძაფი
 შასწყვიტოს, რათვან შესაწყდომია¹.

აზერბაიჯანულ-თურქული ლექსი სულ ოთხია, მათ შორის სამი უცნობი ავტორისა, ერთი კი „ქორაოლისა“. ამ ლექსების საწყისი სტრიქონებია: პირველისა (გვ. 325 რ) — „თავრიზ უშალამ ირუმ სოსტურ“, მეორისა (გვ. 327 ვ) — „ჰადრ შევლამ ბზა ბარ დოვლათ“, მესამისა (გვ. 328 ვ) — „ეს ქორაოლი არის — ხოჯა ფულურ ოღსუნ გედან“, ხოლო მეოთხისა (გვ. 332 რ) — „ნავურ ბას ტუმ იოლარტუმ დი ბალამდომინ“.

აზერბაიჯანულ-თურქული ლექსებისაგან განსხვავებით, სომხური ლექსების ავტენტია ორიოდ გამოჩაკლისით ცნობილია. ეს ავტორები არიან ჯაჰელ-ოღლანი, სტეფანოსი და შაჰი-მელქო.

ჯაჰელ-ოღლანის ფსევდონიმით (აზერბაიჯანულად და თურქულად „ახალგაზრდა შვილს ან ბიჭს“ ნიშნავს) ცნობილია თბილისელი აშუღა-მელექსე, რომელიც ხარაზ (მეწაღე) ესტატე დრეკილოს შვილი იყო და, მისდევდა რა ბაზახობას, მოხდოკში ცხოვრობდა²; მის შემოქმედებიდან დღემდე ცნობილი იყო 4-იოდე ლექსი, რომელთაც აწ, ამ ახლად მოპოვებული ხელნაწერი-კრებულის მიხედვით, ემატება 3: 1. „მუხამბაზ. თე სურ უნიმ, იმ დიჟანს ანის დუ“ (გვ. 324 რ), 48 სტრიქონად 3 სტროფში; 2. „მე თნდუთიუნ უნის ბარუთ თვანგი“ (325 ვ), 19 სტრიქონად 1 სტროფში; და 3. „პარუნ სტეფან, იაღუზ ბედამალ ის დუ“ (332 ვ), 23 სტრიქონად 2 სტროფში. ყველა ლექსი 11(7)-მარცვლოვანია.

ჯაჰელ-ოღლანის ლექსებს მოსდევს 3 ლექსი სტეფანოსისა, რომელიც დღემდე მხოლოდ სახელით იყო ცნობილი, მისი შემოქმედება კი თითქმის უცნობი. ახლა, ამ ხელნაწერი კრებულის საფუძველზე შესაძლებელი ხდება სტეფანოსის 3 ლექსის დადგენა: 1. „იმ აზნუთიდ ლუის პატკირიდ ტისუთიან“ (გვ. 326 ვ), 25 სტრიქონად 5 სტროფში; 2. „იმ სირელუ ლუის პატკირინ ტასუთიან“ (გვ. 326 რ), 20 სტრიქონად 5 სტროფში; და 3. „მაქურ ივ სურფ ისტიანც ქუინ ფაფაგიმ“ (გვ. 327 რ), 20 სტრიქონად 5 სტროფში. ყველა ლექსი 11-მარცვლოვანია.

¹ როგორც ამ, ისე მეორე ლექსის ტექსტები იხ.: ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, თბ. 1940, გვ. 4, 63.

² ჯ. აზვერდიანი, სომეხი აშუღები (სომხურად), II, თბილისი, 1903, გვ. 494, შენიშვნა 1.

სტეფანოსის ლექსების შექმნეგ ხელნაწერ-კრებულში ადგილი აქვს დათმობილი ზილი 2 ლექსს უცნობი ავტორისას ან ავტორებისას: 1. „იმ სიტყვით, რომელიც არი, ჰალდ იმანამ“ (გვ. 330 r), 20 სტრიქონად 5 სტროფში — 13-მარცვლოვანი; და 2. „ოვ, სირელი, მითე ის ძირ მიხენ ისკი ჩიმ გალი“ (გვ. 329 r—v), 35 სტრიქონად 5 სტროფში — 15-მარცვლოვანი.

ხელნაწერ-კრებულის სულ ბოლოში მოქცეულია ორიოდღე ლექსი შამჩი-მელქოსი, რომელიც შედარებით შემოსენებულ ავტორებთან კარგადაა ცნობილი ლიტერატურაში თვისი ლექსებით როგორც სომხურს, ისე ქართულ ენებზე¹. ეს ორი ლექსი ახალია: 1. „მე ტარი ვნაცი პენტელინც ბაღს“ (გვ. 230 v), 20 სტრიქონად 5 სტროფში — 11-მარცვლოვანი; და 2. „უხუმ იმ თარიფდ ანიმ, ტალავრეცი შუნ არაქილ“ (გვ. 331 r), 35 სტრიქონად 7 სტროფში — 15-მარცვლოვანი. ამითგან პირველი თეჯლისია — იგი შეეხება პენტელაანთ ბაღს და წააგავს დარბედიარის ასეთსავე ლექსს ჩითანაანთ ბაღის შესახებ²; მეორე კი მუხამბაზია. იგი ახალი ვარიანტია შამჩი-მელქოს მიერ ტალავრელი არაქელასადმი მიძღვნილი ლექსისა³. ორივე ლექსი ჰუმორულ-სატირული ხასიათისაა, თბილისისა და მის მიდამოს ცხოვრებასთან დაკავშირებული.

კერძოდ შამჩი-მელქოს შესახებ ჩვენ იძულებული ვართ გავიმეოროთ აქ ის, რაც უკვე გამოთქმული გვექონდა 1941 წელს: „შამჩი-მელქო — ფსევდონი-შია მელქონ გულქანოვისა, თბილისელისა, რომელიც მოღვაწეობდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX ს. დასაწყისში. დაბადებული უნდა იყოს დაახლოებით 1740—1750-იან წლებში, გარდაცვლილი უნდა იყოს 1820—1830-იან წლებში. თავისი ხელობით იგი ყოფილა მესანთლე, ამიტომაც ეწოდება „შამჩი-მელქო“ ანუ, როგორც გრიგოლ ორბელიანი იხსენიებს, მას ერთი ეპიგრაფის ქვეშ, „ჩამჩი-მელქო“, რაც მესანთლე მელქოსას ნიშნავს. მისი შემოქმედებიდან ჩვენამდე მოუღწევია 14-იოდღე სომხურსა და 7-ოდღე ქართულ ლექსს: სომხური ლექსები მიმოხნეულია სხვადასხვა ხელნაწერ კრებულებში, ანდა მათ მოუღწევიათ ჩვენამდე ფოლკლორულის გზით. ქართული ლექსებიდან კი ექვსი თავმოყრილია დავით რექტორის კრებულში, ხოლო ერთი (ერთტაეპოვანი) დაცულია „ფეფენსტყაოსნის“ ყარაბაღული ვარიანტის შემცველ ხელნაწერში. საიათ-ლოვას მსგავსად, შამჩი-მელქო ხელოსანთა წრის იდეოლოგია, მათი მომღერალნი, ამიტომაც არის, რომ მის სომხურ ლექსებში თავს იჩენენ, პირველ ყოვლისა, ხელოსნები, რომელთა სახეები გამოყვანილია... ჰუმორული ხასიათის-მატარებელ ლექსებში“, და სხვ.⁴

ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ, რომ აღწერილი ხელნაწერი ფასდაუდებელ ვანძს წარმოადგენს როგორც შინაარსის მხრივ, ისე ენობრივადაც, რამდენადაც მასში უხვადაა ჩაქსოვილი მონაცემები თბილისის სომხური დიალექტიდან, რომ-

¹ ამ ავტორს დაწვრილებით ვეხებით ჩვენს დაუბეჭდავ საბეჭდალო მონოგრაფიაში: „შამჩი-მელქო და მისი სომხური და ქართული ლექსები“; ჯერჯერობით კი იხ. ლ. მელქი-სეთ-ბეგის, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბილისი 1941, გვ. 208 — 213.

² გ. ახვერდიაანი, op. cit., 251—252.

³ იქვე, 265—266.

⁴ ლ. მელქი-სეთ-ბეგის, op. cit., 208 — 213.



ლის ისტორიისათვის XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე ჩვენ დღესაც უნდა მხოლოდ საიათნოვას და ზოგიერთი სხვა მოგვიანო აშუღის შემსრულებლებს გვაქვს ხელთ; გ. სუნდუქიანცისა და სხვა დრამატუგთა და ფილეტონისტთა ნაწერები კი საერთოდ იმავე XIX საუკუნის მეორე ნახევრისაა.

სომხურ ლექსებს ვიყენებთ ცალკე გამოცემისათვის.

დასასრულ, ვაქვეყნებთ ჩვენს თარგმანებს შამჩი-მელქოს ორრვე სომხურ ლექსისას, რომლებიც აღწერილ ხელნაწერშია მოთავსებული.

I

ერთ წელს წავედი პენტელანთ ბაღსა,
შენ მაწყენინე, ვერელ გოდერძო!
ოღონდ ასეთი შეურაცხყოფისთვის
სჯობს წამხდარიყავ შორეთს, გოდერძო!

გამოგეცალოს შენ ბარაქათი,
გამოგელიოს მთლად ჰარაქათი,
შენი ოჯახი ლეკეთს — რაჯათი,
შიშვლად იარო ტყვედა, გოდერძო!

შენ ოცნებობდი განდიდებასა,
სულთანობასა, შაჰად ყოფნასა,
აბა თუ შემსვდე პურძვირობასა,
სკინტლს რა ეძებდე ტყეში, გოდერძო!

სიკეთეს მოსცდე შენს ცხოვრებაში,
გამოილიო ბოროტებაში,
ვირი გარეგო, წახვიდე მთაში,
არ გამთბრუნდე ტყიდან, გოდერძო!

შენ მე დამხრუჯე, თანაც დამდავე,
როს ინარხარე, მასწრად ამიგდე,
შენ შამჩი-მელქო ხომ აწყენინე,
აწ გაგიკვითდი, ვერელ გოდერძო!

ოეჯლისია

II

მსურს შეგაქო, გაგადიდო, ტალავრელო არაქელო,
მულამ ჯავრობ და ბრაზდები, ცუდი ზნე გაქვს, არაქელო,
შენი თავის ქებაში ხარ, ნეტა ეინ ხარ, არაქელო,
ბუნებობთა ძალლო, მელაგე, მაიმუნო, არაქელო,
თუ ერთხელაც ჩვენგან მოხვალ, თოვლს დაგაყრი, არაქელო!

მეტის-მეტად შენ იმტერევი, თითქოს შაჰის-ზადა ხარო;
იცის მთელმა ქვეყანამა, თვითონ მონად მზადა ხარო;
სულიერო აშკარადა, შენ ხომ ჰარამზადა ხარო;
შენს მუცელში გველებია, ჯოჯოხეთის გზადა ხარო;
ნეტა შენ რა შეველა გაქვს-ლა, ვაი შენს სულს, არაქელო!

ვერცხლმოყვარე იმ რგასავით ღირს შეიქნე რგათა დასსა;
ჯოჯოხეთის წილი გაზნდე, უცქელოდე კუბრის კასრსა;

იქ შენ ღვინოს ვერ მოწაზავ, ინატრებ კი საყვებ თასსა;
 თუ რომ იტყვი, აწ მოვიტონოვ ჩემსა სესხსა — ცხრა აბაზსა;
 მოხვედ, ჩხუბით გამოწართვი ორ მინალთუნ, არაქელს!

ერთ შენს ცოლსა სიკეთესა ათას თუმნად რომ აფასებ,
 უსწორ-მასწორ გზით სიარულს მიგვეჯღანარ, არ იზარებ,
 ასე სწრაფად რომ მდიდრდები, ქურდობით თუ გაიპარებ,
 და უზომო ღოთობისთვის მიკიტნებში დაიარებ,
 გმართებს ტყეში ავიღული ჰკრეფი შეინდი, არაქელს!

აქამომღე ვმეგობრობდით, აწ კი გაწყდა ის წაღისი,
 როს შენ წახვალ მარნულში, გინახულებს მამსახლისი,
 დასაულად დამიყენე ცხვირ-მოკრილი ძმა სახლისი,
 ათასი რომ გამოგაფრღე, არ ვიქნები უვარგისი,
 გამიგანე, სიციფეში რწყილი გიგბენს, არაქელს!

შენ შემხედე — შენი ქება ლაზათადა დამიწყია,
 შენისთანა კაცთა ვალი ვაით-ვეუთი გამიწყია,
 ტანთხაცმული შენ დაგმარნე, ზედ ვუთნითა მომიწვნია,
 მარნულის წისქვილიდან მონაგებრიც მე მიწყვია,
 მე სიკეთე ვერ ზაგიგი, მაპატე, არაქელს!

უნახავო, მაჯღაჯუნავ, რომ ძალდი ხარ ლაფიანი,
 ურთობილად იყავ შენ ჩემგანა, ოინი ვარ, მზანიანი,
 შენ შენითა როს მადლდები, არ ჰგონიარ ტანიანი,
 შენ ტყვილადა აწყენინე შამჩი-მელქო მადლიანი,
 გემართებს ერთად ვისადილოთ, დობა მომცე, არაქელს!

სტალინის ხანელობის
 თბილისის ხანელმწიფო უნივერსიტეტი
 არმენოლოგიის კათედრა

(შემოწვიდა რედაქციამ 1942. VI, 9)

Л. Меликсет-Бек

Редкий памятник Армяно-Грузинских литературных связей

(Армянский рукописный сборник в грузинской транскрипции)

Резюме

Армянские рукописи в грузинской транскрипции, так же, как и азербайджанские и тюркские или турецкие рукописи и печатные книги в армянской транскрипции в достаточном количестве представлены в наших музейных собраниях и библиотеках. Они свидетельствуют не только о добрососедских и дружественных отношениях между двумя соседними братскими народами, в одном случае — армян и грузин, а в другом — тех-же армян и азербайджанцев или армян и тюрков (турок),



но и о той культурной ситуации, которой следовал вовлеченный в деленную общественно-политическую орбиту тот или иной этнический коллектив, например армяне в Грузии после падения армянских царств — анийского в XI в. и киликийского в XIV в.

Одною из таких рукописей, именно в грузинской транскрипции, притом весьма оригинальною по составу и содержанию своему, является сборник из частной коллекции — горийского жителя Якова Константиновича Хизанова (Хизанишвили). Рукопись in folio, в 332 листа, переписана в первой половине XIX в. Степаном Давидовичем Алашадаровым, который упоминается в мемориальных записях (приписках), следующих после каждой главы второго раздела сборника, носящего в основном характер синаксаря.

Сборник состоит из 6 разделов: в первом представлен 31 рассказ на темы ветхого и нового завета (по библии); во втором — агиографо-мартирологические и гомилетические тексты, числом до 33 (по синаксарю в древнейшей редакции тер-Иеразля, до 1252 г.); в третьем налицо молитвы: 4 — Ефрема, 1 — Афанасия и Ефрема, 2 — Григория Просветителя, 2 — Григория Нарекского и 1 неизвестного автора, всего до 10; в четвертом сгруппированы песнопения (шараканы) на усопших и на отроков, всего до 58; в пятом собраны, с одной стороны — оды, посвященные духу святому, спасителю, богородице, Иерусалиму, Преображению, и с другой — песни о весне, весельи, любви, дружбе и пр., всего до 47; наконец, в шестом помещены стихи и ашугские песни на разных языках: 5 — на грузинском (в том числе 2 варианта стихов Ал. Чавчавадзе), 4 — на азербайджанском и тюркском, и 10 — на армянском, всего до 19; причем из армянских стихов и песен 3 принадлежат Степаносу, 3 — Джаһел-оглану, 2 — Шамчи-Мелко и 2 — неизвестному автору. Армянские стихи и песни нами подготовлены к публикации особо.

Рукопись особенно ценна тем, что весь материал в ней, за исключением песен последнего (шестого) раздела, изложен на грабаре (древне-литературном армянском языке), вульгаризированном под влиянием тбилисского армянского диалекта. Содержание и состав рукописи не оставляют сомнения в том, что она специально обработана или, вернее, приспособлена к нуждам армян гор. Тбилиси и вообще Грузии. Значение ее для истории тбилисского армянского диалекта неопределимо.

მამს. გეგენიშვილი

დევონდის ცნობა ურთის შესახებ¹

სომეხი ისტორიკოსი დევონდ ვარდაპეტი ანუ ლეონიდე მოძღვარი თავის ე. წ. „ხალიფათა ისტორიის“ X თავში გადმოგვცემს ერთს საგულსნმო ცნობას ფოთის შესახებ, რომელიც მნიშვნელობასა და ინტერესს არაა მოკლებული ბერძნულ ქალაქ ფაზისის, resp. ფასესის, ისტორიის თვალსაზრისით.

დევონდი სომეხეთში არაბთა ლაშქრობის აღწერისას მოგვითხრობს სუზბატ კუროპალატისა და სომეხ ნახარართა ბრძოლას არაბების წინააღმდეგ, ამ ბრძოლაში ბახანტიური ჯარის მიშველიებას და სომეხთა ამგვარი მოქმედების საპასუხოდ ახლად გახალიფებული გელიდიის ბრძანებით ნახარართა და მათი მხედრებებს ამოწყვეტას არაბთა სარდლის შაჰმედის მიერ ნახკენის მმართველის კასმას ღებნარებით.

აღნიშნული ბრძოლის თეობას ისტორიკოსი ამთავრებს შემდეგი აფმატიკურად საგულსნმო სიტყვებით:

„ხოლო სუმბნუ კუროპალატი და ნახარარები, რომლებიც მასთან იყვნენ, გაშორდნენ ამ ქვეყანას, წავიდნენ და სთხოვეს ბერძენთა მეფეს ქალაქი სპაკვიდრებლად და სადგომი თავის საქონლისთვის. და მან შისცა მათ ქალაქი, რომელსაც ეწოდებოდა ფუჟო (|| ფოჯო, Φοξο) ეგერთა ქვეყნის მხარეში, სადაც დაემკვიდრნენ ექვს წელიწადს.

„როდესაც მაჰმედი შყო ყველა ეს ბოროტება, აღიძრა დრტყინვა და მიადწია ისმადიტელთა მთავრის ვლითის (|| ველიდის) ყურამდე; მაშინ ის გზავნის შროარტავს და მოუწოდებს მას თავისთან და მის ნაცვლად გზავნის ვინმე აბდელ-აზიზს, რომელიც იყო უძღური სმენით, გარნა იყო ცბიერე, აღსაყუ ქვეყნიური სიბრძნით, ზღაპრებითა და იგავებით მოუბარი.

„როდესაც ვანტკიცდა ხელისუფლებაში, მისწერა შროარტავი სომეხთა ნახარარებს და არწმუნებდა მათ დაბრუნებულნი იყვნენ თავიანთ ქვეყანაში და

¹ ეს ცნობა, თავის დროზე აღნიშნული ავად. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიაში“ (თბილისი, 1913, გვ. 314), გაჯაბსჯნა დაც. ილია აბუღაძემ, რისთვისაც მას მადლობას ვუძღვინთ დამუშავებული წინამდებარე ნარკვევის სახით, იგი მოხსენდა კლასიკური ფილოლოგიისა და ძველი ისტორიის კათედრათა გაერთიანებულ ლია სხდომას 1943 წ. ივნისის 30-ს და თბილისის უნივერსიტეტის VI სამეცნიერო კონფერენციას 1944 წლის მაისის 5-ს.



აძლედა მათ ფიცის წიგნს, თავიანთი ჩვეულებისამებრ. მიენდინენ რა მისთვის ქმას, ბიღეს და ქალაქში, სადაც მკვიდრობდნენ, მოიტაცეს საეკლესიო მსახურთა და დაბრუნდნენ სომხეთში. განუდგნენ რა ბერძენთა ქუასას.

როცა ეს ამბავი ესმა კვიპაროს, ეწყინა მათი ასეთი უსამართლობა, მოუწოდა ეკლესიის წინამძღვრებს: მიტროპოლიტსა და არქიეპისკოპოსებს, უბრძანა ჩაეწერათ წიგნში წყევლა და წაეეთხათ აღდგომას დღესასწაულის შესრულებისას უსამართლობის ჩამდენთა მიმართ, ვინაიდან ეს უკანონო საქმე ჩაიდინეს ამ დღესასწაულს დღეს. და იმავე დღესასწაულისთვის განაწიეს ყოველწლივ წაეეთხათ იგივე წყვეა დღეინდელ დღემდის, რაც ეწულა მათ და იქმნა მიზეზი მათი დაღუპვისა¹.

როლის ცხოვრობდა ამ სტრტიქონების ავტორი ლევონდ ვარდაპეტი, ამის მეთითებას ვხვდებით მის „ხალიფათა ისტორიის“ ბოლოში ამგვარიად: „დამთავრდა ლევონდის შრომა... წამოწყებული შაჰუ ბაგრატუნის ბრძანებითა ი². ოღონდ სომხეთის ისტორია იცნობს არა ერთს, არამედ ორს შაჰუ ბაგრატუნს: პირველს, რომელიც, ქ. პატკანიანის სიტყვით³, გარდაიცვალა 818 წელს, ე. ი. IX ს. დასაწყისში, და მეორეს, 838—920 წლებში რომ ცხოვრობდა⁴. ამიტომ გამოსარკვევია და დღემდე არაა შეცნიერებაში დადგენილი⁵. ამ ორში სახელდობრ რომელი შაჰუს ბრძანებით აქვს ლევონდს თავისი შრომა შესრულებული, ჩვენი აზრით, ლევონდის შრომის დამკვეთად შაჰუ II ძნელსაგულეგბელი, რადგან ის, როგორც თავად ისტორიკოსი⁶, თვითონვე დასწერდა მისთვის საინტერესო თემაზე შრომას, სხვას კი აღარ დაავალებდა. ესეც არ იყოს, თვით „ხალიფათა ისტორიაში“ სახელდახლო გადაკითხვისას ვხედავთ ისეთ ინდიციებს, რომელნიც ცხადჰყოფენ, რომ ლევონდის შრომის დამკვეთად საგულისხმებელია ვირტოოდენ პირველი შაჰუ და არასგზით მეორე. აი ეს ინდიციებიც:

1) აღნიშნავს რა ფაქტს — ქალ. ხარანში არაბთა სარდლის შაჰმედის ფიცს მის შესახვედრად სომხეთიდან წასულ და იქ გარდაცვალებულ სომხთა კათოლიკოსის საჰაქის (677—703) ცხედრის წინაშე, ლევონდი დასძენს: „შაჰმედმა... თავიანი სცა მიცვალებულის ნეშტს და, როგორც გვსმენია მართლად პიროთაგან, მან ეს ფიცა სამეზის გაიმეორა“⁷.

¹ *Quintus Curtius... II* გამ., სპბ. 1887 წ., გვ. 35—36.
² *Гевонд Вардапет, История халифов, перев. К. Патканяна, СПб., 1862, стр. 23—24.* ლევონდის ცნობას იმეორებენ მოკლედ: სტეფანოს ასტოდიგი (*Всеобщая история Степаноса Таронского Асохика по прозванию... Пер. Н. Шинна, М., 1864, кн. II, гл. IV, стр. 93*) და ვარდანი (*Всеобщая история Вардана Великого, пер. Н. Шинна, М., 1861, стр. 92*). მაგრამ რადგან ესენი იჯიანიდელი დროის მწერლები არიან და ახალს არაფერს გვაუწყებენ ამ ფაქტის შესახებ, ამიტომ მათ სრულიად არ ვემყრებით. აღნიშნულ ავტორებზე მივყვითათ პროფ. ლ. შელდისეტი-ბეგმა, რომელსაც მადლობას ვუძღვნიან.
³ პატკანიანის რუსული თარგმანით, სპბ., 1862, გვ. 117.
⁴ იქვე, პატკანიანის წინასიტყვაობა, გვ. IV.
⁵ ლ. შელდისეტი-ბეგმა, მედი სომხური ორიტორატურის ისტორია, ხბ., 1947, გვ. 111.
⁶ იქვე, გვ. 83.
⁷ იქვე, გვ. 111.
⁸ ლევონდი, პატკანიანის თარგმანით, გვ. 20.

2) არქეპიტან სომეხ-არაბთა ბრძოლის აღწერისას დევონდი ამბობს, რომ თვით მოპირდაპირეთაგან გვსმენია მათა ნაშობობი, რომ სომეხთა ერთად ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდნენ ანგელოსთა დასებთა¹.

ცხადია, ხაზგასმულ ფრაზათა ხმარება შეეძლო მარტო ისეთს პირს, რომელიც თანამედროვე იქნებოდა ვადმოცემული ფაქტების (თუნდაც მისტრიკით გადაბურული ფაქტების) მომსწრეთა და მოწმეებისა. ეს ფაქტები კი ნოადაპირველად — 703 წელს, ხოლო მეორე, დიულორიეს გამოანგარიშებით², 761 წელს. მაშასადამე, ამ ფრაზათა ავტორი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ შაჰუ ბირველის თანამედროვე და ვერასვლით ვერ იქნებოდა მეორე შაჰუს მძმსწრე; ეს უკანასკნელი დაიბადა 838 წელს და შოთომის დაკვეთას შესძლება მარტო 860-იან წლებში, დაჯბუჯების ხანებში (70-22 წლისა), როცა დევონდი, მომსწრე 703 წლის ამბის (საჰაკ კათალიკოსის სიკვდილის) თანამედროვეებისა, ცოცხალი ვეღარ იქნებოდა. ამიტომ „ხალიფათა ისტორიის“ დამკვეთადაც უნდა აღვიაროთ მარტოდენ შაჰუ I.

ახლა რაკი ცხადია, რომ დევონდი, როგორც შაჰუ I-ლის თანამედროვე, VIII ს. მწერალია, უკიდურეს შემთხვევაში IX ს. დამდეგისა, საკიროა იმის დადგენაც, თუ სახელდობრ რა დროს სიეჟუტენება სომეხ ისტორიკოსის მიერ ვადმოცემული და შემორე ციტირებული ეპიზოდი, ფუჯთთან რომაა დაკავშირებული.

სხვებული ფაქტის ქრონოლოგიურ განსაზღვრას გვიადვილებს ის გარემოება, რომ დევონდს საერთოდ წესად აქვს ამბები დასაჯოს ცალკეულ ხალიფათა მიხედვით, კერძოდ კი ფუჯთთან დაკავშირებულ ეპიზოდს მოგვითხრობს, როგორც ხალიფა აბდ-ალ-მელიქის შვილის, ველიდის, ხალიფობის დროს დაწყებულსა და დამთავრებულ ამბავს³. მისი განმეგების შემდეგ დაიწყება სუმბატისა და ნახარარ-მხედრების დევნა სომხეთში და მის ხალიფობაშივე მოხდება მათი რედიცია. ამრიგად, თუ გვეცოდინება ველიდის ხალიფობის წლები, *ex ipso* დავადგენთ სომეხთა ემიგრაცია-რეემიგრაცია დროს, *implicite* ქ. ფუჯთში მათი ბინადრობის წლებსაც.

ჩვენ კი ვიცით, რომ აბდ-ალ-მელიქი ხალიფობდა 695—705 წლებში, ხოლო მისი შვილი ველიდი 705—715 წლებში⁴. ახლა ისიც გაეხსენოთ, რომ

¹ იქვე, გვ. 104. ამ ფრაზაზე დამყარებით პატკანიანი აცხადებს: „при передаче некоторых происшествий автор говорит, как очевидец (sic!) и современник“ (ი. ე. პ., IV). მაგრამ ავტორის თვითხილველობა ტექსტით აშკარად გამოირცხულია.

² Recherches sur la chronologie arménienne, p. 247. ციტირებულია პატკანიანის თარგმანით, გვ. 161, შენიშვნა 212.

³ მართლაც, „ხალიფათა ისტორიის“ X თავი, სადაც ეს ამბავი მოთხსენებული იწყება ასე: „იგი [ე. ი. აბდ-ალ-მელიქი, რომელზედაც წინა თავშია ლაპარაკი] შესცვალა მისმა შვილმა ვლითმა || ველიდმა. ისმაილის მბრძანებელმა, იყო 10 წელი და 8 თვე, და შემდეგ გარდაიცვალა“ და ასევე ბოლოვდება: „ხოლო ისმაილის მფლობელი ცხურობს 10 წელიწადი და 8 თვე და კვდება“ (დევონდი, პატკანიანის თარგმანი, გვ. 21 და 27).

⁴ Стэнли Левн-Пуль, Мусльманские династии, перев. В. Бартольда, СПб., 1899, стр. 7, 8.



სომეხ ნახარარების დევნა დაიწყო სწორედ ამ უკანასკნელის გამეფების შემდეგ წელს, რასაც ლევონდი გვაუწყებს თავისი „ისტორიის“ X თავში შემდეგნაირად:¹

«თავისი მეფობის პირველ წელს ველიდმა განიზარა ალმოცუნტერა სომეხთა ქვეყნიდან ნახარართა ტომი და მათი მხედრები სუმბატ კუროპალატისადმი შურისგებისათვის»².

მაშასადამე, 705 წელი, როგორც ველიდის გამეფების პირველი წელი, წინათარიღია სომეხ ნახარართა დევნის, რასაც შემდეგ ნიჰეა მათი ბიზანტიაში გახიზნა და მერე ქ. ფუჯათში დასახლება.

ლევონდის მონათხრობიდან ისიც ცხადია, რომ სუმბატის ემიგრაცია ფუჯათში ერთბაშად არ მოხდა. ამას წინ უსწრებდა სომეხების ბრძოლა არაბებთან, მათი დამარცხება, შემდეგ ბიზანტიისაგან შაწველი ჯარის გამოთხოვნა, ხელახალი, უკვე გაერთიანებული ძალ-ღონით შებმა არაბებთან, კვლავ დამარცხება და გაძვინვარებული ველიდის რებრეზია სომეხ ნახარარებისა და მხედრების მიმართ სარდალ მაჰმედისა და ნახქენის მმართველის კასმას საშუალებით: ცუცხლით ვადამუჯვა ეკლესიაში³, ნახარარების შეპყრობა, წვალება და გადახლეული განძეულობის მიტანით თავის დახსნა (ნაწილობრივად). ამას მოჰყვა ნახარართა ერთი ნაწილის ფიზიკური განადგურება და, ბოლოს, გადარჩენილი სუმბატ კუროპალატისა და ნახარარების გახიზვნა ბიზანტიაში, სადაც ისინი ითხოვეს საცხოვრებელ ადგილს და მიიღებენ ქ. ფუჯათს, ყოველივე ამას სჯამოდრო შეეწირებოდა და ამიტომაც ვეიქრობთ, რომ სუმბატისა და ნახარარების დამკვიდრება ქ. ფუჯათში მოხდებოდა არა 705 წელსვე, არამედ ცოტა ვეიან, ერთი წლით მაინც, 706 წელს.

მაგრამ რომელი წლის ვეიან არ შეიძლებოდა მომხდარიყო სუმბატ-ნახარარების დაბინავება ქ. ფუჯათში? ამის დასადგენად ძვირფასი რეალია მოგვოვება ლევონდს, როცა ის გვაუწყებს, რომ ქ. ფუჯათში სუმბატმა და ნახარარებმა დაჰყვეს ექვსი წელიწადი, ხოლო ამის შემდეგ აბდელ-აზიზის წინადადებით სამშობლოში დაბრუნდნენო.

რაკი ჩვენ ვიცით, რომ სომეხთა რედიცია მოხდა აბდელ-აზიზის ინიციატივით და მისი „ახალ თანამდებობაზე განმტკიცების შემდეგ“, ე. ი. დანიშნის მომდევნო ხანებში, ეს აბდელ-აზიზი კი სომხეთის მმართველად რავე ხალიფა ველიდმა დანიშნა, ხოლო ველიდი ვარდაიცვალა 715 წელს, — მაშასადამე, 715 წელი უკანათარიღია სუმბატ-ნახარარების უკუქცევისათვის სამშობლოში: ამხე ვეიან ვერ დაბრუნდებოდნენ. ასე რომ, თუ ისინი ქ. ფუჯათიდან სომხეთში დაბრუნდნენ 715 წელს, ხოლო აქ ბინადრობდნენ 6 წელიწადი, მაშინ გამოდის, რომ სუმბატი თავისი დასით ამ ქალაქში დასახლებულა, სულ ვეიანი დრო რომ ეთქვათ, 715—6=709 წელს.

¹ ლევონდი, ოქსუღლი თარგმანით, გვ. 21.

² შტრ. თეთფანგს Chronographia, ed. De Bour, t. I, p. 372 (Lips., 1883) და მიქელ ასურის Chronique, ed. Chabot, t. II, fasc. III, Paris, 1904, p. 474. მარკვარტის ვარაუდით, ეს მოხდა 705 წ. (Osteurop. und ostasiat. Streifzüge, 448—449).



ამრიგად, ჩვენ ხელთ გვაქვს მეტნაკლებად ზუსტი ორივე *Chronographia* ante quem non-იც და post quem non-იც სუმბატის დაბინაჟების შესახებ. ფუფათში. ერთია 706 წ., ხოლო მეორე — 709 წ. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ სუმბატ კუხოვალატი და მისი ხალხი სამწელიწადს ვერ გააფრდებოდა სომხეთში საფრთხის შემყურე და არც ბიზანტიის იმპერატორი დასტოვებდა ამდენ ხანს თავის მოჰსრე დასს განსაცდელში და მიუსაფარად, უნდა ვიფიქროთ, რომ ქ. ფუფათი მას საცხოვრებლად შეიჩინებოდა უფრო 706 წელს.

ყოველ შემთხვევაში იმის თქმა კი ყატეგორიული უქვეყლობით შეიძლება, რომ სუმბატისა და მისი რაინების დასახლება ქ. ფუფათში ოა წელსაც არ უნდა მომხდარიყო, 706-დან 709-მდე, მაინც მოხდა იმ დროს, როცა ბიზანტიაში ხელშეკრედ (705—711) მეფობს იუსტინიანე II რინოტმეტი. ეს კი მეტად შიშვენლოვანი გარემოებაა, უნიადან სწორედ რინოტმეტის მეორედ იმპერატორობისას ლიზიკეში ანუ დევონდის ვეგოში, კერძოდ კი ქალ. ფაზისში, ე. ი. დევონდის ქ. ფუფათში სომხებს ანუ არმენიელებს ვხედავთ ბერძნული წყაროითაც, სახელდობრ, თეოფანეს ნაწარმოებთ. მაგონი ამაზე ქვემოთ.

მეორე მხრით, იმის შესაბამისად, რომ ქ. ფუფათში სუმბატის დაშვიდრების თარიღი ასე თუ ისე დადგენილია სამი (706—709) წლის სიზუსტის ფარგლებში, ჩვენ აღარ გავგეინებულვით ექვსი წლის, ფუფათში ცხოვრების დროის, არითმეტიკული მიმატებით სუმბატისა და მისი დასის რედიცის თარიღის დადგენაც. ასეთი იქნება 712 ან, უკიდურეს შემთხვევაში, 715 წელი, ველიდის ხალიფობის უკანასკნელი წელი, ე. ი. ისეთი დრო (712—715), როცა ბიზანტიაში სიტუაცია შეიცვალა: სუმბატის მწყალობელი რინოტმეტი უკვე მოკლულია (711 წ. ბოლოს), მის მომდევნო ღინასტებს ხედიზე ამაობენ, ხოლო თვით იმპერიაზე არაბთა მომძლავრება იწოდება. ასეთ პირობებში ქ. ფუფათის სომხობის საკითხი ბიზანტიისთვის აღვიღად მიიჩნდილებოდა და მისი რედიციაც, აბდელ-აზიზის გარანტიებით განმტკიცებული, სრულიად ბუნებრივად არის საგულფებელი, როგორც საუკეთესო გამოკავალი შექმნილი მდგომარეობიდან.

საგულსხმობა, რომ ჩვენ მიერ ნაწარაუფევ თარიღს, 712 წელს, ზურგს უმაგრებენ თეოფანეც (გარდ. 818 წ.) და ანტიოქიის იაკობიტი (მონოფიზიტი) პატრიარქი მიქელ ასურცი (1165—1199 წ.): მათი ცნობა ბიზანტიის იმპერიიდან არმენიელთა გაძევების შესახებ ბუნებრივად შეიძლება გავრცელდეს ფუფათელ სომხებზედაც, ვინაიდან ქ. ფუფათიც, ოგივე ფაზისი, რამპარიის ფარგლებში შედიოდა.

მართლაც 712 წლის ქვეშ თეოფანე გადმოგვცემს:

დასტო ტᄅ ოთ. Φιλιστουδς τᄅς Ἀρμενιουδς τᄅς ἑαυτουδς γγς ἔξελᄅσας Μεσითη γγν και τᄅν τετᄅρτην Ἀρμενιᄅν ὀσᄅησα: ἡᄅᄅᄅασεν¹.

ამა წელს ფილიპიკემ განდევნა თავის მიწა-წყლიდან არმენიელები და აიძულა ისინი დასახლებულიყვნენ მედტენგესა და მეოთხე არმენიაში.

¹ Chronographia, ed. Car. de Boor, vol. I, Lips., 1838, p. 382.



ხოლო მიქელ ასურის ამასვე შემდეგნაირად გავაწყობა:

A cette époque Philippiens, empereur des Romains, chassa les Arméniens de son empire. Ils sortirent et se réfugièrent chez les Talyayé. Ceux-ci les firent habiter à Mésitine et dans ses environs, et dans l'Arménie IV-e. Les Arméniens se multiplièrent beaucoup et se fortifièrent dans ces contrées, et ils devinrent les auxiliaires du royaume des Talyayé et les adversaires de l'empire des Romains. Les Romains se montrèrent aussi mauvais gouverneurs parce qu'ils persistaient dans un esprit détestable, remplis de démençe, à cause de leur haine pour tous les orthodoxes¹.

თეოფანესა და მიქელ ასურის ციტირებულ ცნობებში ჩვენთვის ყურადსაღები ისაა, რომ სომეხთა გაქცევა (sic!) მოხდა ფილიპის მეფობის უამს, ხოლო თეოფანეს უფრო ზუსტი მითითებით — 712 წელს. ეს ფილიპივე კი, იგივე ვარდანი, ბიზანტიის იმპერატორად იყო იუსტინიანე II რინოტმეტის მოკელის შემდეგ, 714 წ. დამლევიდან 713 წ. 3 ივნისამდე, ე. ი. სწორედ იმ დროს, რომელსაც ჩვენ ვერაუდობთ ლევონდის სომეხების ფუფათიდან წასვლის თარიღად. ამაშია თეოფანე-მიქელის ცნობათა ღირებულება.

თავისთავადაც ამითი ცნობები იმ მხრივ არის საინტერესო, რომ აქ წარმოდგენილი პარალელები ერთგვარ მასალას გვაძლევენ ლევონდის სიტყვათა ღირებულება-სანდობის შესამოწმებლად, რაც უმნიშვნელო არ უნდა იყოს.

საჭირო კია ითქვას, რომ ეს პარალელები არსებითს სხვაობას არ იძლევიან. მართლაც: 1) ლევონდი სომეხების ნებაყოფლობით დაბრუნებაზე ლაპარაკობს, თეოფანე და მიქელ ასური კი იძულებითზე ამბობენ (ἐξέλασσε, dhassa); იყო ეს წასვლა ნებსითი რედიცია თუ იძულებითი, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება — სომეხები იმპერიიდან წავიდნენ. 2) ლევონდი მოგვითხრობს მართო ფუფათში მყოფ სომეხებზე, ხოლო თეოფანე და მიქელ ასური — საერთოდ იმპერიის სომეხობაზე; აქ ზოგადი ცნება (იმპერია) ჰფარავს კერძოს (ფუფათს ანუ ფაზისს, იმპერიის შემავალს) და წინააღმდეგობა მაინც არაა². 3) ლევონდი ზოგადად ამბობს — სომეხთა დაბრუნდნენო, ესენი კი კონკრეტულად ასახელებ-

¹ Chronique de Michel le Syrien, ed. j.-B. Chabot, t. II, fasc. III, Paris, 1904, p. 482.

² საუბრებელია, რომ თეოფანეც და მიქელიც სწორედ ფუფათელ სომეხებს გულისხმობდნენ. ასეთი ვარაუდი მიტომია დასაშვები და შესაწყნარი, რომ თეოფანე-მიქელის არმენიელთა გაძევებაც და ლევონდის ფუფათელ სომეხების დაბრუნებაც სამშობლოში ხდებოდა ერთსა და იმავე დროს, რაც არაა შემთხვევითი და უკულებელსაყოფი. ამგვარი სინქრონიზმი

ბენ მელიტენესა¹ და მეოთხე არმენიას. აზრს აქვს წინააღმდეგობა; ეგნატიონი მელიტენეც და IV არმენიაც, როგორც სომხური ეთნიკურ-ტერიტორიული ერთეულები, სომხეთში შედიოდნენ. პირიქით, ლევონდის ნოვალი თქმა — სომხეთი — უფრო მართებულია. ეს იმიტომ, რომ ამ ოლქებში სომხების გაძევება (გზავლა), რასაც ამბობს თეოფანე², 712 წლისთვის უნებ ანაქრონიზმს წარმოადგენს, რაც აღნიშნა კულაკოვსკიშვიცი³. მართლაც, თვით თეოფანეს მოწმობით, IV არმენია უკვე 702 წელს დაპყრობა ბიზანტიამ შვიდგზის ენმაკად წოდებული ვაჰანის მეოხებით⁴, და ამჟამად, იქ სომხების გაძევებას ბიზანტია ევლარ შეხსობდა 702 წლას მერე. რაც შეეხება მელიტენეს, ის ხომ უფრო ადრე ჩამოშორდა ბიზანტიას: IV არმენია უკანასკნელი-და ნაწილი იყო სომხეთისა, რომელიც ბიზანტიას ხელთ ჰქონდა 702 წლამდე⁵.

ზემოთ შეწამება გვიჩვენებს არა მარტო განხილულ სხვაობათა უმნიშვნელობას, მეტი ისეთს, რომელსაც ლევონდის მიერ წარმოდგენილ ვითარებას არსებითად არაფერში არ სცვლის, არაშეუღებელი იმისაც ცხადყოფს, რომ ლევონდის ჩვენების ეს ნაწილი უფრო მკაფიოა, სრული, ზუსტი და ამიტომ სარწმუნოც. ამის გარეშეც ლევონდის სანდობა საერთოდ ჩვენი ეპიზოდის მიმართ სადიფო არ უნდა იყოს, რატომ?

ა) ჯერ ერთი იმიტომ, რომ მან თავისი შრომა დასწერა მხოლოდ ბაგრატუნის დავალებით და, რისკვირველია, მას სანდო ცნობები ექნებოდა პირველყოელისა თვით ბაგრატუნის გეარის წევრთა შესახებ, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდა სუმბატ კერობალატიც;

ბ) მეორე: ლევონდი, როგორც სომეხი, საერთოდაც მეტად იყო დანტერესებული და უკეთატი ექნებოდა ინფორმირებული თვისტომთა ბედ-იღბალზე, ვიდრე ბერძენი თეოფანე და მიქელ ბასურო;

გ) ლევონდი მიუდგომელი და პირუთვნელია, რაც ნათელია თუნდაც შედეგიდან: მოსალოდნელი იყო, რომ ის, როგორც თვისტომი და ერთმორწმუნე, ნაკლებ გაჭიკცხავდა თავის მომხმე მკრებელებს, რომელთაც გაძარცვეს ფუჟათის ტაძრები; ლევონდი კი ინვექტივებს არ მოერიდა — მათ „უკანონობის ჩამდნთა“ სახელი შეარქვა, ხოლო თვით საქციელს უწოდა „უკანონო“.

ლევონდის სანდობის მიუხედავად, თეოფანე-მიქელის ზემოთ ცნობები მაინც ძვირფასია იმ მხრივ, რომ სომეხთა დაბრუნება სამშობლოში უკანონო-

გარკვეული რომ ყოფილიყო ერთობ აღლოიანი ბრძოლა. კულაკოვსკისთვის, ვგებ აღარ აღძვროდა კითხვა — გინ ეყენ ეს სომეხები და საიდან გააძევა ისინი უარდაწმალ — და აზრს კაბადოკიასა და პონტოში ეგულისხმა ისინი (История Византии, т. III, Киев, 1915, стр. 311—312).

¹ თეოფანე — მელიტენეს ოლქს, ხოლო მიქელი ამავე სახელის ქალაქს მიდამოებითურთ.

² მიქელზე ეს ვერაძეჟისი, რადგან მისი ყრუ თქმა — არმენიელები გაიქცნენ არაბებთან. ესენი დაასახლეს... — არაბთა ინიციატივას უფრო გულისხმობს, ვიდრე ბიზანტიელებისას.

³ O. c., стр. 311.

⁴ თეოფანე, Chronographia... p. 372.

⁵ M. B. Левченко, История Византии, М.-Л., 1940, стр. 118.



დება ვარდან-ფილიპიკეს სახელს, რაც ფუძეთელი სომეხების მიმართე კონტრულე ფაქტს, როგორც ადვილშესაძლებელს სწორედ ამ პიროს მეფობისას. ისინი მტკიცედ მოწმობენ, რომ ვარდან-ფილიპიკე, რომლის დროსაც მოხდა სომეხთა რედიცია, მონოთელიტი იყო და თავისი ხანმოკლე და ერთობ ონიათო მეფობა იმპერიაში აღბეჭდა მონოთელიტიური საქმიანობით, როგორი პოპულა პქონდა მას მოწოდებითების მიმართ, კერძოდ სომეხთა მიმართ, ჩვენ არ ვიცით. არც ის ვიცით, რა ჯავშორი არსებობდა ფილიპიკეს მონოთელიტიურ დონის მიმართა და სომეხთა გადასახლებას შორის. მაგრამ მიველ ასურის თქმა — უფუნქურ ჯიუტობას იჩინდნენ ბიზანტიის უბირო მმართველები ყველა მართლმორწმუნის (ე. ი. მისებრ მონოთეისტის) სიძულვილის გამძო, აგრეთვე სომეხთა რედიციისა და აობებთან შეთანხმების ფაქტი, ამასთანავე მკრეხელობის საბასხელად მღვდელთმთავართა მოწვევა და ანათემის დაწესება — აი ყველა ეს გვაუჩრებინებს, რომ ფილიპიკეს პოპულა მონოთეისტ-სომეხების მიმართ შაინცლანისე არ უნდა ყოფილიყო კეთილგანწყობლური. ყოველ შემთხვევაში იმ ვითარებასთან შედარებით, რომელიც ამ ფუძეთელი სომეხობისათვის იყო რინოტმეტის დროს, აბლა, სარწმუნოებრივი რევიმის საერთო შეცულისა, იმპერიის შინაშლილობისა და დაძაბუნების პირობებში, სუმატის წრეს სასიკეთო მდგომარეობა არ ექნებოდა.

ასეთი ასპექტით გასაგები ხდება სუმატის დასის მკრეხელობა ფუძეთის ეკლესიებში: იქაური განძეულობა-სამკაულის გაძარცვა, აღბათ, პასუხი, იყო ფილიპიკეს ბრძანებამე, სარწმუნოების შესაღებ რომ გამოსცა.

გასაგებია აგრეთვე ბიზანტიური ეკლესიის კონტრინომა მკრეხელობის საბასხელად — მკრეხელთა დაწყველა და ყოველწლოვოად აღდგომა-დღეს შეჩვენების დაწესება, რასაც გვაუჩრებს ლეონდი და, ვფიქრობთ, უნდა გულისხმობდეს შიქელ ასურისც, როცა ბიზანტიელებს უკიჟინებს ყველა მართლმორწმუნის (ე. ი. მონოთეისტის) სიძულვილს.

II

დევონდ ვარდაპეტის შემორე ციტირებულ ცნობას ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის უდავოდ აქვს გარკვეული მნიშვნელობა და ინტერესი.

პირველ ყოვლისა აღნიშნული ცნობა იმ მხრივია საგულისხმო, რომ სუმატისა და მისი დასისთვის საცხოვრებლად მიჩენილი ქალ. ფუძეთის მდებარეობას გვიჩვენებს ვგერ II ეგერქში ანუ ეგერთა ქვეყანაში. ვგერ II ეგერქი ანუ VII საუკ. სომხური გეოგრაფიის გამოთქმით ვგერ¹ გარკვეულად ათის ჩვენი ისტორიული ეგრისი², იგივე საეგრო³ ანუ დღევანდელი სამეგრელო, ბიზანტიურ მწერლობაში იმ დროს დაიხვეს სახელით ცნობილი, რომლის გეოგრაფიული

¹ ციტირებულა Н. Алонд-ის Архангел в эпоху Юстиниана (СПБ, 1908, стр. 26-ისა) და ივ. ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორიის (ტ. II, თბ., 1913, გვ. 329) მიხედვით.

² ჯუანმერი (მარიაშის ვარიანტი), ხელნ. გვ. 359; მატიაშე ქართლისაჲ, გვ. 441; შდრ. სიმ. ყაუხჩიშვილის რედაქციით გამოცემულ ანასულ ნუსხას (ახელთა საძიებელი, გვ. 268—269).

³ მატიაშე ქართლისაჲ, გვ. 505; ისტორიანი და ახმანი, გვ. 650.

მიჯნები მკაფიოდ აქვს მოცემული ჩვენს ისტორიკოსს ლეონტი მროველს შემდეგი სიტყვებით: «ეგრის წყალსა და ჩიონს შუა ზღვიდგან მთამდე... ეგრისი და სვანეთი»-¹. საზოგადოდაც ეგერ || ეგერქ-ის ანუ VII ს. სომხური გეოგრაფიის ეგრ-ის იგივეობა ეგრისთან იმდენად ნათელი და უპირობებელია თუნდაც მარტო ვოკალური იდენტურობის ძალით, რომ აქ ორი ახრი ან შეიძლება იყოს: ამ ქვეყნის დღევანდელ სახელწოდებაშიაც კი სა-მ-ეგრ-ელო, არა თუ ისტორიულ სა-ეგრ-ისსა და ეგრ-ისში, მკაფიოდ და შვეთრად ისმის მისი სომხური შესატყვისი ეგრ-ი, დაცული VII ს. სომხურ გეოგრაფიაში, და თუნდაც ლევონდისეული ფორმით ეგერ || ეგერქ-ი.

მეჭვს არც ის იწყევს, რომ ეგერ || ეგერქში ანუ ეგერთა ქვეყანაში სუბიექტისა და ნაბარებებისთვის მიჩენილი ქალაქი ფუჟათ=ფოჟათ არის დღევანდელი ფოთი ანუ, ბერძნული ძეგლების თანახმად, ფასის || ფაზისი, ვინაიდან სხვა რომელიმე ქალაქი არას დროს არ ყოფილა ცნობილი ასეთი ან მიმსგავსებული სახელით: ფუჟათ || ფოჟათ || ფოთი (ხოლო მეგრული გამოთქმით დღესაც ფუთი).

სისრულისათვის უნდა ითქვას, რომ ფუთის, როგორც სამოსახლო პუნქტის, სახელი გვხვდება ერთს ძველს ქართულ ძეგლში, ნიკორწმიდის XI ს. სიგელში, შემდეგი კონტექსტით: «ვარაზუაჩე შემოსწირა ძისა მისისათვის ფუთს გლეხი და აღაპი გარდაცდების დღესა ახალ კვირთაჲსა». ეს ფუთი ძეგლის გამოცემელმა თ. ყორღანიამ პრობლემატურად გაიგია ფოთთან², ხოლო განსვენებულმა აკად. ივ. ჯავახიშვილმა იცნა ქალაქ ფუთად და სომხური წყაროების მიხედვით ეგრისის ქალაქად (ლევონდით) და დედაქალაქად (მიქელ ასურის სომხური თარგმანით) მიიღო³.

მაგრამ ნიკორწმიდის სიგლის გამოწვლილვა ასეთ ბდენტიფიკაციას გამოიცხავს. პირველ ყოვლისა სიგლის ავტორს ფოთის აღნიშვნა რომ სდომებოდა, მაშინ აღარ დასწერდა „ფუთს“, პირიქით, ანმარდა იმ დროს მიღებულ ფორმას „ფოთს“, როგორც მოიქცა მისი თანამედროვე გიორგი ხუციეს-მონაზონი გიორგი მთაწმინდელის მარშრუტის აღწერისას, სახელდობრ: «მოვიწიენით სამისონს, ქალაქსა ზღვის კიდისასა, ... ნავითა წარვემართებით კერძოთა აფხაზეთისათა, ... მოვიწიენით ფოთს და შიერ სახელრითა ქუთათისსა»-⁴.

შემდეგ: ვარაზუაჩეს შეწირულება შორს, ზღვის პირას მდებარე ქალაქში ორი გლეხისა ნიკორწმიდისათვის ფიქცია იქნებოდა, რადგან მათგან სარგებლობას ნაკლებად მიიღებდა და მათი ექსპლოატაცია და კონტროლი ტაძარს გაუძნელდებოდა სწორედ სიშორის გამო.

მერე: ნიკორწმიდის ტაძრის მეურნეობითი საქმიანობის რადიუსი 26 კმ-ზე შორს არ მიდის, ოკრიბასა და ჩხარის რაიონს არა სცილდება, ისიც მარტო სიგლის დაწერის წინარე ხანებში, ამ საქმიანობის გაცხოველების უამს მხოლოდ.

¹ ლეონტი მროველი, გვ. 128.
² ქრთიეები, II, გვ. 45; შენიშვნა 3.
³ ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 314. შდრ. ქართ. სამარ. ისტორია, წ. II, ნაკვ. 2, გვ. 436, § 2.
⁴ ათონის კრებული, თბ., 1901, გვ. 319.



ამიტომ სიგელში მოხსენებულ ფუთად საგულვებელია არა შორეულად და არამედ ნიკორწმიდაზე მახლობელი რომელიმე სხვა პუნქტი მსგავსი სახელისა ან ფუთიეთ || ფუტიეთი, თვით რაქაშივე მდებარე, ან ძირულას ხეობის ფუთი. მაგრამ რადგან ფუთიეთ || ფუტიეთის არსებობა ამ დროისთვის საეგებიოა და თვითონ ფუთიც სიგელში უქარაგმოდ არის აღნიშნული, ასე რომ გასაიგივებლად ფორმალური საყრდენი არ გვეძლევა, ამიტომ ფუთიეთ || ფუტიეთი გამოსარიცხია და გვრჩება მარტო ძირულას ხეობის ფუთი. გარდა ამისა ფუთის სასარგებლოდ ისიც ამბობს, რომ შემწირველ ვარაზგანეს ფეოდი მის მახლობელ რაიონში არის საგულვებელი (პირობითად)¹.

ვთქვათ კიდევ, რომ დევონდის ფუთად || ფოთად ნაგულისხმევია ეს ძირულას ფუთი ვოკალური იდენტურობის ძალით. მაინც ასეთი აზრი არ იქნება შესაწყნარი და აი რატომ. ჯერ ერთი ეს ტერიტორია იმისდა მიუხედავად, თუ სად მდებარეობდა — ეგრისსა თუ იბერიაში², 706—712 წლებში ბიზანტიას არ ეკუთვნოდა, მაშასადამე, რინოტმეტი ვერც უბოძებდა მას სომხებს. და რომ არ ეკუთვნოდა ბიზანტიას, პირუკუ, რომ იგი არაბთა ხელთ იყო ამ ხანებში, ამას გვიდასტურებს თეოფანე ქამთაღამწერელი: აღნიშნაში სპათარ ლეონის ვაგზავნისასო — ამზობს ის, — ესარკინოზებს ეპყრათ აბაზგრიაც, ლაზიკეც და იბერიაცო» (πῶν Σαρακηνῶν παρὰ τὸν ἄρχοντα τῆς Ἀβασγίας καὶ Ἀλαξίας καὶ Ἰβηρίας)³. კერძოდ ლაზიკე ბიზანტიისა აღარ იყო 697 წლიდან, რაც ჩანს შემდეგიდან: იმპერ. ლეონტის (695—698) შეფობის მეორე წელს, ე. ი. 697 წ. * ჯაჯანყდა ლაზიკის პატრიკიოსის სერგი ბარნუკისძე⁴ და ეს ქვეყანა [ლაზიკე] არაბებს დაუქვემდებარაო, წერს იგივე თეოფანე⁵.

მერე: დევონდის გარკვეული მოწმობით, ესუმაბატი და ნახარარები ბერძენთა მეფეს სთხოვდნენ ქალაქს (ქალაქ) საცხოვრებლად და აკი მიიღეს კიდევ «ქალაქი ჭუჯთა ეგერთა ქვეყანაშია; ძირულას ფუთი კი არა თუ ქალაქად, არამედ საერთოდ სამოსახლო პუნქტადაც არა ჩანს XI ს-მდე მაინც.

¹ უფრო დაწვრილებით იხ. ჩვენი ნარკვევი: «ვარაზგანე და გიორგი ქართულ-ბერძნული წყაროებით».

² ძირულას ფუთი ძვეს შორაპნის ოდნავ აღმოსავლეთით და ამ მოსაზრებით შეიძლება იგი იმ დროს იბერიის ფარგლებში ვიგულოთ, რადგან შორაპანი და სკანდე, პროკაპის (VI ს.) სიტყვით (გეორგიკა, II, 155), იბერიის საზღვართან მდებარეობდა და ლაზიკეში (ეგრისში) შედიოდა, რასაც ვუკუბა ჩვენი ჯუანშერის ჩვენებაც: «არჩილ დაემკვიდრა ეგრისსა ვიდრე შორაპანამდეო» (ანასეული ნუსხით, გვ. 154; მარიაშის ვარიანტით, დაბეჭდ. გვ. 209).

³ გეორგიკა IV, I, გვ. 106—107.

⁴ აკად. ივ. ჯავახიშვილს ნაჩვენები აქვს პანდოროეთი 689 წ. (ქ. ერის ისტორია, II, 849) და არ მიუთვლია 8 წელი. შდრ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა IV, I, გვ. 72. მართებულ თარიღს უჩვენებს აკად. ს. ჯანაშია, არაბთა საქართველოში, თბ., 1936, გვ. 27:

⁵ ა. ბრილიანტოვს და ს. ყაუხჩიშვილს ბარნუკი მიანიათ იმ ლებარნიკით, რომელიც იხსენიება თეოდოსე განჯაელის «მოგონებაში» (გეორგიკა IV, I, 49, შენ. 2).

⁶ გეორგიკა IV, I, გვ. 105.

ამრიგად ლევონდის ფუძით ფოთად მისაჩნევია მისივე ფოთი, რომელიც მაოთლაც ქალაქად ჩუო ცნობილი ხელნაწერში დგელი დროიდანვე, როგორც ფაზისის სახელით.

ამის შემდეგ განსჯები უნდა იყოს ის ინტერესი და მნიშვნელობა, რაიც ენიჭება VIII ს. სომეხი ისტორიკოსის ცნობას ქალაქ ფაზისის წარსულის თვალსაზრისით.

თქმულთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება იმის გარკვევა, თუ რა მისაზრებნი მისცა ბიზანტიის იმპერატორმა სუმბატ კურთხალატს სწორედ ფუძით ანუ ფაზისი საეპოკოვზად და არა იმპერიის სხვა რომელიმე ბუნქტი. დასაუვებია, რომ რინოტმეტმა ბინა ყუფთი იმიტომ მიუზინა სუმბატს, რომ იგი ახლოს მდებარეობდა სუმბატის სამკვიდრებელ თუხარისთან ე. წ. ამიერტაოში¹. მაგრამ უფრო სდტიქ-ებელია, ხაზნებს ფუძით მეცა იმ აზრით, რომ 697 წლიდან დაკარგული ფაზიკეს აღკლად დასაბრუნებლად ბიზანტიას შქონოდა საიმედო ალიკდარმი; ამისთვის კე ბიზანშეწონილი იქნებოდა ფუძით ბიზანტიური ორიენტაციის სამხედრო ძალის, სუმბატისა და მისი გამყოლი სომხების სახით, დაბანეება. ზართლაც, აკა ვხვდართ კიდეც ლაზიკეს დაბრუნების კლას სწორედ ფაზისის გზით ლეონ სპათაროს ლაზიკე-ალანიაში ყოფნის ხანებში: ბიზანტიელ-არმენიულნი აქედან — ასე ჩანს თეოფანეს ტექსტიდან — შეიქრებიან ლაზიკეში, ალყას შემოარტყამენ მის სიმაგრეს არქეობოლეს და ისევ უკან ფაზისისკენ დაისვენნ არაბთა გამონენის შემდეგ.

III

ლევონდის ცნობა ფაზისის ისტორიკოსისათვის განსაკუთრებით იმითაა ყურადსაღები და ღირებული, რომ VIII საუკ-ში, ე. ი. სხენებელი მწერლის დროს, როცა ქალ. ფაზისი ჯერ ისევ ბერძნების პოლიტიკურ გავლენა-მბრძანებლობის სფეროშია, მას უკვე აქვს მეორე, დღემდე შერჩენილი, სახელიც — ფოთი; სომხური გამოთქმით, ფუძთ || ფოძთ, რაც თავისი ვოკალნიციით ემთხვევა მის მეგრულ შესატყვისს ფუთთ-ს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ქართული ელემენტი, კერძოდ და სახელდობრ მისი მეგრული ინგრედიენტი, საქმოდ გაბატონებულია ამ ბერძნულ ქალაქში, თუმცა ქართველობის ამგვარი პრევალიცია ფაზისში ისედაც ცხადია კულისხმიერ მკითხველისთვის სტრაბონისა, ბრიანეს და აგათიას გარკვეულ მოწმობათა შემდგომ².

ფაზისად ცნობილი ქალაქის მოხსენიება ფუძთ || ფოძთად VIII საუკ-ში არ ჩაითვლება ლევონდის შემოქმედების ნაყოფად და არც მისი ორიგინალობის

¹ თუხარისი ანუ სომხულად თუხარქი რომ სუმბატის სამკვიდრებელი იყო, ამას გვიდასტურებს ლევონდი. მოვეითხრობს, რა, რომ ვაოდანაკურტთან გამარჯვების მერე სუმბატმა ბიზანტიის იმპერატორს ძენად გაუუზავნა არაბული ცნენები და დახოცილი მტრის ნესტაები, რის გამოც მას კურთხალატობა ებოძა, ლევონდი დასძენა: «ამის შემდეგ ის წაიღო ტაიქში || ტაიქში, ჩაიკეტა თუხარქის ციხეში და ერთდებოდა ისმარლის შვილთთ» (ვატყანანის თარგმანით, გვ. 17); ხოლო ჩაიკეტა თუხარქის ციხეში, ცხადია, იმიტომ, რომ იგი მის სამკვიდრებელს წარმოადგენდა.

² იხ. ჩუენი: ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, გვ. 235, 239—240, 281—282.



გამოვლენად; უმკველია მის დროს, თუ უფრო ადრე არა, სახელი „მეტიკე“- ფოთი უკვე მტკიცედ იხმარებოდა¹ არა მარტო მევიდრი მოსახლეობის მეტყველებასში, არამედ მეზობელ სომხეთშიაც და სწორედ ამიტომაც, რომ ბერძნულ სამყაროში ფაზისად ცნობილ ქალაქს ლევონდი იხსენიებს იმ სახელით, რომელიც მისი მკითხველისთვის გასაგები და ნაცნობი იყო, ბოლო იყო გასაგები მითომ, რომ ეს სახელი ერქვა მას ეგრისის მოსახლეობაში.

გარდა ამისა თუ ვაჭისხენებთ, რომ ფოთის, როგორც ფაზისის ეკვივალენტის ანუ აღდეკატის, გარკვეული ხსენება ქართულ წყაროთა შორის პირველად გვხვდება მხოლოდ XI ს. ძველში, „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“, ლევონდის აღნიშნული ცნობა უნდა აღვიაროთ პირველ დოკუმენტალურ ფიქსაციად ახალი, მანამდე უცნობი სახელით. ამ თვალსაზრისითაც მას განსაკუთრებული ღირებულება ენიჭება.

ამის შემდეგ უცილობელი ხდება, რომ ეგრისისა და მოსაზღვრე სომხეთის მოსახლეობისათვის ფაზისი ცნობილი იყო უკვე ფოთისა ანუ ფრთის სახელით არა XI საუკუნეში მხოლოდ, გიორგი მთაწმიდელის ხანებში, არამედ სამი საუკუნით უწინაც, ლევონდის დროსვე და, ვფიქრობთ, ადრეც, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ნოვატორობა ტოპონიმიკაში ადვილად და სწრაფად ვერ იკიდებს ფეხს².

ყოველ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ფოთის სახელი უფრო ძველი წარმოშობისაა, ვიდრე VIII საუკუნე დასრულებისა, როცა ლევონდი სწერდა თავის „ხალიფათა ისტორიას“ და მეორე მხრით, როცა აფხაზთა მეფემ ლეონმა, „მატიანე ქართლისაჲ“-ს სიტყვით, „დაიბუკა ეგრისი ვიდრე ლხის მთაღმდეგ“, implicite ფაზისიც, როგორც ეგრისში შემავალი ერთ-ერთი სამოსახლო პუნქტი. ამ დრომდე ცოცხალი რომ არ ყოფილიყო სომეხთა შორის და მით უფრო ადგილობრივი მოსახლეობის მეტყველებაში ეს სახელი „ფოთი“, მაშინ სომეხი მწერალი ველარ უკუაგდებდა ქალაქის საერთაშორისოდ ცნობილ სახელს და ველარ იხმარდა მარტო ახალსა და ადგილობრივს სახელს, როგორც უცნობსა და გაუგებარს.

ლევონდის ცნობა ძვირფასია ლინგვისტიკებისათვისაც, რამდენადაც ხელთ ეძლევათ VIII საუკუნე ძველში ფიქსირებული ფუძით || ფოძთ-ის ფორმა და შესაძლებელი ხდება ფაზის || ფასის — ფოთის ურთიერთ მიმართების დადგენა. ამ მხრივ საყურადღებოა აკად. ს. ჯანაშიას კონცეფცია³, რომლის სისრულეს აკლია მეორე სომხური ფორმის ფუძად || ფოძდ-ის გათვალისწინება. იგი გვხვდება მიქელ ასურის ქრონიკის სომხურ თარგმანში შემდეგ

¹ ამიტომაც ლევონდი პირდაპირ წერს კიდევ: „ამისცა ქალაქი, რომელსაც ეწოდებოდა ფუთი“.

² ამის მავალითად კმარა გავისხენით ქალ. ანტიოქია: 529 წ. იუსტინიანე I-მა მას უწოდა თეუპოლისი, მაგრამ ხალხში ისევ ძველი სახელი შერჩა და დღესაც კი ამ პატარა, უკვე თურქულ, ქალაქს ეწოდება ანტიოქიე.

³ მარიამ დედოფლის გარბანტი, გვ. 441/218.

⁴ ჩერქეზული (ადიდურთი) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში (ავად. საქ. ფილიალის მონაბე, ტ. I, № 8, 1940, გვ. 627); მისი გვ: ფასილი (ენიქის მონაბე; ტ. X, გვ. 350).

კონტექსტში: მეორე ასისთავმა, ლაზმა, კვართის თავისი ხედილი ნაწილი მიიღო ტანა თავის ქალაქ ფოადჱ ფუად-ში, ეგერთა ქვეყნის დედაქალაქში

IV

ლევონდის ცნობა ჩვენთვის იმ მხრივაც არის საგულისხმო და მნიშვნელოვანი, რომ იგი გვიჩვენებს და ზოგ რამეში გვიხსნის კიდევ უამისოდ გაუგებარ ცნობებს, რომელნიც გვხვდება სწორედ ჩვენთვის საინტერესო დროის (705—715) მანძილზე ლაზიკეში მოქმედ არმენიელების შესახებ თეოფანეს ქრონოგრაფიაში. ეს გარემოება, ცხადია, ზრდის ლევონდის ცნობისადმი ნდობას და უკანასკნელს ანიჭებს სრულღირებულებას.

საქმე ისაა, რომ თეოფანე, ლეონ III ისავერიელის მეფობის (717—741) თხრობისას, ვნება რა შისი გამეფების წინა პერიოდს, გადმოგვცემს, რომ იუსტინიანე ბინოტმეტმა მეორედ მეფობის ყაშს (705—711 წ.), უნდოდა რა მისი თავიდან მოცილება, ლეონი, მაშინ სპათარის პატივით მოსილი, გაგზავნა ლაზიკეში სპეციალური დავალებით — აემხედრებინა ალანები აბაზგების წინააღმდეგ. თი ამის თხრობისას ლაზიკესა და ფაზისთან დაკავშირებით თეოფანე რამდენჯერმე ასხენებს არმენიელებს ანუ სომხებს, იმას კი არ გვაუწყებს, როგორ განდნენ აქ არმენიელები, რატომ არიან ისინი ბიზანტიელთა თანამოსაგრენი არაბთა წინააღმდეგ და რის გამო აქვთ მათ ძალა და წონა უცხო მხარეს.

თი თვითონ ხსენებანიც:

ა) μετά δὲ χρόνον τινά πασάτων Ῥωμαίων καὶ Ἀρμενίων ἐσελεύθοντων ἐν Δαξίῃ καὶ τὴν Ἀρχαῖσπολιν πελορξουσῶν, ἀκουσάντων τε τὴν τῶν Σαρακηῶν ἔλευσιν, ἀνεχώρησαν.

ბ) τῶν δὲ Σαρακηῶν καταβόντων τὴν Δαξίῃ, φυχῆ χρησάμενος ὁ τῶν Ῥωμαίων καὶ Ἀρμενίων² λαὸς ἐπὶ τὸν Φάσιν ὑπέστρεψαν.

გ) Κάστρον οὐν ὑπῆρχεν ἔχειτε, ἐπιλεγόμενον Σιδηρόν³, ἐν ᾧ ἦν τοποτηρητὴς Φαρασμάνος τις τοῦνομα ὑπὸ

ცოტა ხნის შემდეგ, როცა რომაელები და არმენიელები ლაზიკეში შეიჭრნენ, და არქეპოპოსს ალყა შემოარტყეს და როცა შეიტყვეს სარკინოზების მოსვლა, ისინი უკან გაბრუნდნენ.

როცა სარკინოზები ლაზიკეში მოვიდნენ, რომელთა და არმენიელთა ჯარი გაიქცა და ფაზისისკენ დაიხია.

აქ ოთი ციხე იყო, ეგრეთ-წოდებული „რკინის ციხე“, სადაც მცველად იჯდა ვინმე ფარასმანი, სარკინოზთა-

¹ პარნოს ნაციონალური ბიბლიოთეკის 1721 წ. ხელნაწი. № 90, ფ. 38 ა — 38 ბ; Н. Марр, Хитон господень в важных легендах армян, грузин и сирийцев. Из сборника учеников проф. бар. В. Р. Рязева, СПб. 1897, стр. 80—81, прим. 2.

² καὶ Ἀρμενίων აქლი ვატოქანის ერთს ვოდექს № 978-ს (XII ს.).

³ სიდრონი ანუ რკინის ციხე, მეორედაც მოხსენებული თეოფანეს მიერ (გეორგიკა IV, 115), ჩვენი ფიქრობი, არის ის ციხე Τλαχας, რომელსაც ასახელებს მისიმიანთა ტერიტორიისად ავათია: „ამ ციხეს ძველითავე (ex παλαιῶν) ეწოდებოდა ძახარი, მეტსახელად კი „რკინისა“ ეძახიან (Σιδηρῶν αἰσχάλουσιν), მისი სიმტიცისა და დაუძლეველობის გამო“ (გეორგიკა, III, 163).



τους Σαρακηναίους συγγάμων και εὐρήνην ἔχων μετὰ τῶν Ἀρμενίων. παρὰ τοὺς ὁ σπαχιάρχους δεῖλαι ἀπὸν, ὅτι „ἐφ' ἕσπον εὐρήνην ἔχαις μετὰ τῶν Ἀρμενίων, εὐρήνευσον και μετ' ἐμῶν και γενοῦν ἕνδε τὴν βασιλείαν και δεξ ἡμῶν συναρῶν τον κατελθεῖν ἐν τῇ θιολάσση και παρασσι εἰς Τραπεζοῦντα“. τον δε μὴ ἐλαμένους τοῦτο ποιῆσαι, πέμψει ὁ σπαχιάρχους ἐκ τῶν ἀντιόχων ἀποσὺν και Ἀρμενίους, παραγγελλας ἀποτοῖς ποιῆσαι ἔγχερμα¹.

გამ დაყენებული და მშვიდობიანად თიერთობაში მყოფი არმენიულ ტომან. სპათარმა ვაცები გაგზავნა მასთან და შეუთვალა: „რამდენადაც შენ არმენიელებთან მშვიდობიანი ურთიერთობაში ხარ, მეც დამიზავდი; დაეჭვებდებარე [რომანულთა], ძალაუფლებას და დაგვეხმარე ჩავიდეთ ზღვის ნაპირამდე“ და იქიდან ტრაპეზუნდში გადავიდეთ“. [ფარასმანი] ამასზე რომ არ დათანხმდა, სპათარმა გაგზავნა მასთან რამდენიმე თავისი ვაციც და არმენიელებიც² და დაავალა მათ ჩასაფრებულთაყენენ.

ეს ციტატები აშკარად აღსატყობებენ ლაზიკეში არმენიელების ყოფნის ფაქტს იმ ხანებში, როცა იუსტინიანე რინოტიმეტის დავალებით სპათარი ლეონი წავიდა აღანიაში აბაზგების წინააღმდეგ აღანების ასამხედრობლად, ხოლო ბიზანტიელები საომარ ოპერაციებს დაიწყებენ ლაზიკეში.

ციტატები იმახაც ცხადყოფენ, რომ არმენიელებში ბიზანტიელებთან ერთად მოქმედებენ, როგორც მათი თანამოსაგრენი: ერთად შეიკრებიან ლაზიკეში, ერთად შემოარტყამენ ალყას არქეოპოლისს, არაბთა მოსვლის უშუალოდ დაიხვეწენ ფაზისისკენ, ასევე ერთად ჩაუსაფრობდებიან ფარასმანის ჯარისკაცებს. მოკლედ: ამ არმენიელთა პრობიზანტიური პოზიცია უჭეს გარეშეა.

არც ისაა უმნიშვნელო, რომ არმენიელები ლაზიკეში პრობიზანტიურ ძალას წარმოადგენენ ბიზანტიური ხელისუფლების წარმომადგენლის ლეონის გაგვბითაც: სიღერონის მცველ ფარასმანისგან ბიზანტიისადმი დამორჩილებას მოითხოვს სწორედ იმის საბუთით, რომ მას მშვიდობიანი ურთიერთობა ეჭქს არმენიელებთან: „რამდენადაც (ἐφ' ἕσπον) მშვიდობიანად ხარ არმენიელებთან, — შეუთვალის სპათარი ფარასმანს, — მეც დამიზავდი, დაემორჩილე რომაელთა ძალა-უფლებასო“³.

ამავე ფრაზაზე ყურადღების გამახვილება არც იმ შირივაა ზედმეტი, რომ მასში გულისხმიერმა შკითხველმა დაინახოს გეში მითითება იმაზე, რომ არმე-

¹ გეორგიკა IV, I, გვ. 110—111.

² სამწუხაროდ, თეოფანე არ გვირკვევს — ეს ჩასაფრებლად გაგზავნილი არმენიელები იმ ბიზანტიელებს შორისნი იყვნენ, რომელთაც ლეონი შეზღუდა აღანიის შთებში (გეორგიკა IV, I, გვ. 110—111), თუ ადგილობრივთაგანი (ღმერთთა სინოდის წინააღმდეგ) თანაგყოლებაც კი დასაშვებია: ფაზისში დაბინავების შემდეგ, თუმცა ჩამოხუდები იყვნენ, მათ ხომ კავშირი დაამყარეს კერძოდ სიღერონელ ფარასმანთან (სხ., 111); ჩანს გაცივდნენ აქაურობას და, საფიქრებელია, აღანიასაც, რამდენადაც სიღერონი, იგივე Τελαχαι პატრიარქი, აღანიის მეზობელი ტომის მისიმიანთა მიწა-წყალში მდებარებდა (გეორგიკა III, 163; შდრ. ს. ყაუხჩიშვილი, მისი მიანთა ტომი: ტფ. საბ. უნ-ტის შრომები, I, 1976, გვ. 279).

³ გეორგიკა IV, I, გვ. 111.

ნიელები ლეონის. ჩამოსვლაზე აღრე არიან დაბინავებული ამ მიწაში რამდენადაც მოუსწრიეთ *modus vivendi*-ს დამყარება სიდერონთან.

თემატიკურად კი ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ბიზანტიელ-არმენიელები, მოვლენ თუ არა ლაზიკეში არაბები, ფაიქცევიან და ფაზისისსკენ დაიხვეწა (ფსუჟ *χρησιμειος* ბ... *λαβς* *ἐπι* *τὸν* *Φάσιον* *παίστη-ρ* *εψαχ*)¹. საკითხავია: რატომ სწორედ ფაზისისსკენ და არა ლაზიკის რომელიმე სხვა პუნქტისკენ? ბასუსი მხოლოდ ერთია შესაძლებელი: ცხადია იმიტომ დაიხვეწნენ ფაზისისსკენ, რომ ბიზანტიელ-არმენიელები სწორედ აქედან შეიქრნენ ლაზიკეში (*ἐξ* *ἐλασίτου* *ἐν* *Λαζίκῃ*) და ლაზიკეში მის გარდა სხვა საყრდენი პუნქტი არ ჰქონდათ. მაშასადამე, გამოდის, რომ ფაზისი მათთვის წარმოადგენდა ერთგვარ ბაზას, რომელიც ახლა გამოიყენეს ლაზიკის საწინააღმდეგო პლატფორმად. ეს შეტად მნიშვნელოვანი ინდიცია საოცრად ადისტურებს ლევონის სიტყვას — ფუფი სომხების ზღვლისამყოფელი იყო ნ წელიწადსო. მაგრამ ამ დეტალზე ქვემოთ.

აქ გასარკვევია კიდევ ერთი დეტალი: ლტოლვილმა ბიზანტიელებმა და არმენიელებმა მდინარე ფაზისისსკენ დაიხვეწნ თუ ქალაქ ფაზისისსკენ? ეს საკითხი ჩვენი თემის რეალსაზრისით უმნიშვნელო არ არის და საჭიროებს განხილვას არსებითადაც და ფორმალურადაც. ჩვენი გაგებით, აქ იგულისხმება ქალაქი და არა მდინარე. და აი რატომ. მოცემულ ხანებში ლაზიკე, ფაზისის გამოკლებით, მაშასადამე, ფაზისის მდინარეაქ ქალაქის აღმოსავლეთით და არქეოპოლისის სამხრეთით არაბთა ხელში იყო², და ამიტომ ბიზანტიელ-არმენიელები მდინარეს ვერ გამოიყენებდნენ საფარად. მერე: მდინარე ფაზისი არსებითად ვერც გამოდგებოდა საფარად, კიდევაც რომ დაეჭირათ იგი ბიზანტიელ-არმენიელებს, რადგან არქეოპოლისის სამხრეთით და დასავლეთით მდებარე მდინარისპირა ადგილები ვაკე ადგილები იყო, საფარად გამოუსადეგარი. შემდეგ: ასეთ საფარად წინა საუკუნეებში ყოველთვის იყო არა მდინარე, არამედ ქალაქი თავის ციხე-სიმაგრითურთ. გაიხსენოთ ამ აზრით არიანე³, მეტადრე კი პროკოპი კესარიელი⁴ და აგათია⁵.

მდინარის გულისხმობის სასარგებლოდ საკითხი არ გადაიჭრება არც იმ შემთხვევაში, თუნდაც მას ფორმალურად მივუღებთ. მართალია, ფრაზაში ბ... *λαβς* *ἐπι* *τὸν* *Φάσιον* *παίστηρ* *εψαχ* მამრობითი არტიკლი *τὸν* *Φάσιον* უნდა გამოირიცხავდეს ქალაქს (*ἢ* *πῆλις*) და, პირუკუ, მდინარის (*ἢ* *παισῆδος*) გულისხმობას გვაგალებს. მაგრამ აქ გარდამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიეკუთვნოს თვითონ ავტორს ამ სიტყვებისას — თეოფანეს, რომელიც ქალაქ ფაზისს ყოველთვის მამრობითი არტიკლით ასახელებს, სახელდობრ: *τὰ* *χρηίματα* *ἀπ᾿* *ἐπι* *τὸν* *Φάσιον* (და არა *τῆ*) *Φάσιος*⁶ (ფული შესანახავად [ლეონმა] დასტოვა ფაზისში), ან კი-

¹ *ibid.*, გვ. 110.

² გეორგიკა IV, I: გვ. 106—107.

³ პერიპლუსი, რუდ. პერბერის გამ., 1885, § 9, გვ. 61—62.

⁴ B. G., VIII, 17 (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა II, 177—178).

⁵ გეორგიკა III, 97.

⁶ გეორგიკა IV, I, 107.



დევ. $\pi\epsilon\mu\phi\alpha\varsigma \epsilon\pi\eta\rho\epsilon\varsigma \tau\epsilon \chi\rho\eta\mu\alpha\tau\alpha \epsilon\kappa \tau\omicron\varsigma\epsilon$ (და არა $\tau\eta\varsigma$) $\Phi\alpha\varsigma\iota\delta\epsilon\varsigma$ ¹, ფუტკრის მხარე ღებინა [იუსტინიანემ] ფაზისიდან). აზრითაც კი ცხადზე უცხადესია, რომ იქ ორგანე იგულისხმება ქალაქი ფაზისი და არა მდინარე, თუმცა მამრობითი არტიკლია ხმარებული.

ყველა ამის ძალით ჩვენს ფრაზაშიც — $\epsilon\pi\iota$ $\tau\epsilon\upsilon$ $\Phi\alpha\varsigma\iota\delta\epsilon\varsigma$ — საგულისხმებელია უმეტესად ქალაქი და არა მდინარე. ამასვე ამაგრებს თეოფანეს წინარე თქმაც — $\epsilon\pi\iota\sigma\tau\alpha\tau\iota\sigma\tau\alpha\upsilon \epsilon\upsilon \Delta\alpha\varsigma\iota\alpha\upsilon$ (როცა შეიქრნენ ლაზიკეში): აშკარაა, მით საყრდენ ბაზად ჰქონიათ არაბთა კუთვნილი ლაზიკის, კერძოდ არქეოპოლისის მახლობლად მდებარე რომელიღაც პუნქტი, ხოლო ასეთად იმ ხანებში საგულგებელია ქალ. ფაზისი ანუ ფუათი: იგი ხომ ლევონდის მიხედვით სუმბატს მისცა ბიზანტიის იმპერატორმა, და თეოფანეს სატყვიოაც იქვე ჩადის ფუთით და სავანგებო დავალებით ბიზანტიიდან ლეონიც: ფაზისი მაშინ ბიზანტიისა იყო და იმიტომ?

ასეთსავე დამთხვევას ვხედავთ თეოფანესა და ლევონდის შემდეგი რეალითაც, რომელიც ყრუდ არის ნაგულისხმევი. თეოფანე ბიზანტიელებთან ერთად რამდენჯერმე იხსენიებს არმენიელებსაც საფიქრებელია იმიტომ, რომ მათი რიცხვი ლაზიკეში მტირვდი არ იყო. ლევონდის ტექსტიც ვვინაშეაგულებს მათ რიცხვმრავლობას. ეს ჩანს, იქიდან, რომ სუმბატ კუროპალატი იმპერატორს სთხოვს საცხოვრებელ ქალაქს გარდა აგრეთვე სამოვარ აღვილებს საქონლისთვის. ხოლო სთხოვს სამოვრებს, ცხადია, იმიტომ, რომ ის ყრმრავალი იყო და საქონელიც იმდენი ჰყავდა, რომ სამოვრებს საჭიროებდა. გარდა ამისა საქონლის მომვლენებადაც საგულისხმებელია არიან არა თვითონ სუმბატი და მისი ნახარარები (მებრე-მენახირეობას ისინი ზომ არ იკისრებდნენ), არამედ მათი გამყალი რიგითი ხალხი. ეს ხალხი მშვიდობიან პირობებში, ალბათ, სხვა სამუშაოზე საქმიანობასთან ერთად ამასაც ასრულებდა სწორედ ისევე, როგორც სიღერონის მცველი რაზმი²; ვაჭირვების ქაშს კი მარალს აისხამს და შეებმება არაბებს, რომელთა ბატონობას არ შეუივდა თავის სამშობლოში: ბიზანტიელების მხარდამხარ შეიქრება ლაზიკეში და ალყას შემოარტყამს არქეოპოლისს.

მაგრამ უფრო საგულისხმო და მნიშვნელოვანია ის სინქრონიზმი, რომელსაც ვხედავთ ლევონდისა და თეოფანეს ჩვენებებში: ლევონდის თანახმად, სუმბატ კუროპალატი თავისი ხელქვეითი ხალხით ფუათში ანუ ფაზისში იმყოფებოდა, როგორც ვაგარკეით, 706—712 (709—715) წლებში; თეოფანეს მითითებითაც არმენიელები მოქმედებენ, კერძოდ ფაზისში არიან და იქ ვაიქცევიან ბიზანტიელებთან ერთად სწორედ იმავე წლების მანძილზე, ეს სინქრონიზმი კი ნათელი ვახდება, თუ დავადგენთ ბიზანტიიდან ლეონის წამოსვლისა და მეორე მხრით უკან გაბრუნების დროს.

¹ გეორგიკა IV, I, 107.

² თეოფანეს *სტი თუ ფასი* ქალაქადვე ესმის ცნობილ ბიზანტინისტს კულაკოვსკისაც: „византийцы поспешили укрыться в Фазице“ (იხ. *Азизы по сведениям классических и византийских писателей*, Киев, 1899, стр. 50), „византийское войско бежало в Фазида“ (*История Византии*, т. III, Киев, 1915, стр. 322).

³ გეორგიკა IV, I, 111—112.

წამოსვლის დროს განსაზღვრისათვის კმარა მარტო ის მოვიგონოთ, რომელი ლეონი ისტორიის ასპარეზზე გამოდის, კერძოდ კი ფაზისში გამოვსახოთ იუსტინიანე II-ის დაეალებით, მისი მეორედ მეფობის, 705—711, წლებში¹. მაშასადამე, 705 წელი, იუსტინიანეს მეორედ გამეფების წელი, წინათარილია, რის აღრე ლეონი ფაზისში ვერ იქნებოდა. ამასთან ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ლეონი აქ ჩამოვიდა დასმენისა, საქმის გარჩევისა და რეაბლიტაციის შემდგომ, რაც იუსტინიანეს გამეფების უმაღლეს ვერ მოხდებოდა: სხვა არა იყოს რა, დრო უნდა გასულიყო, სანამ შორით აღვსილი მამულები ცილს დასწამებდნენ, საქმე გაირჩერდა და ლეონი გამართლდებოდა. ამიტომ ლაზიკე-ალანიაში ლეონის გამოგზავრება შეიძლება დავდოთ არა უადრეს 706 წლისა. ხოლო თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ანალოგიური ექსპანსია უფრო დიდი მასშტაბით ხერსონის მიმართ იუსტინიანემ გამოიჩინა თავისი მეფობის ბოლო წელს, 711-ში, და მეორე მხრით თეოფანეს მიერ აღნუსხულ ოპერაციებს კავკასიაში ორ-სამ წელზე მეტი დრო არ შეეწირებოდა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ლეონი ჩვენგან წამოვიდოდა იუსტინიანეს მეფობის უკანასკნელ (710—711) წლებში.

რაც შეეხება ლეონის უკან, ბიზანტიაში, გაბრუნების დროს, ამის დაახლოებულად გამოგვადგება თეოფანეს შემდეგი მითითება: «ფსილეთიდან ლეონი ჩავიდა ზღვის ნაპირას, გადასცურა გადაღმა ნაპირისკენ და მივიდა იუსტინიანესთან, იუსტინიანე მოეკლათ, ფილიპიკე დაებრძავებინათ და მეფობდა არტემი, რომელმაც ანატოლიკის სტრატეგოსად წარგზავნა იგოა². გავიხსენოთ აღნიშნული ისტორიული ფაქტების ქრონოლოგია: იუსტინიანე II მოჰკლეს 711 წ. დამლევს, მისი მომდევნო იმპერატორი ვარდან-ფილიპიკე ტანტიდან დამხობისას დააბრძავს 713 წ. 3 ივნისს, ხოლო არტემი, იგივე ანასტასო, გაამეფეს ამის მეორე დღეს, 713 წ. 4 ივნისს³. ასე რომ მოცემულ ისტორიულ რეალითა ძალით ლეონი ბიზანტიაში ჩავიდოდა 713 წ. 4 ივნისის მომდევნო ახლო ხანებში. ახლო ხანებში ვამბობთ მიტომ, რომ ლეონის ბიზანტიაში გაბრუნებას თითქმის უშუალოდ წინ უსწრებდა მისი შეხვედრა — ეს კი მოხდა მისში⁴ — ჩამორჩენილ ბიზანტიელ ჯარისკაცებთან, რომელნიც ლეონს გადასცემენ მეტად ნიშნობლივ ფაქტს: „სარკინოზები დაეცნენ რომანიას და ჩვენები უკან გაბრუნდნენ, ჩვენ კი ვერ მოვახერხეთ რომანიაში გასულა და მოვედით ალანიაში“ — რ. ეს ფაქტი კი, რომანიაში არაბთა შეჭრა ველიდის შეილის აბა-

¹ ეს ნათელია თეოფანეს სიტყვებიდან: როდესაც იუსტინიანე ბულგარულ ენაზე მოდიოდა, ლეონი მას შეეგება საჩუქრითო (გეოგრაფია IV, I, 106). დამხმარე ძალის, ბულგარელების, გამოყენება კი მას მოუხდა მარტო მეორედ გამეფებისას 705 წელს. პირველად კი გაემფდა სავსებით ნორმალურად, როგორც კონსტანტინე IV-ის (668—685) კანონიერი მემკვიდრე 685 წ. სექტემბერს.

² გეოგრაფია IV, I, გვ. 115.

³ Ю. А. Кулаковскій, История Византии, т. III, Киев, 1915, стр. 299, 301, 302, 313.

⁴ გეოგრაფია IV, I, გვ. 110.



სის პეტაურობით, მოხდა 712 წელს¹. ამის საბუთაო² ლეონის ჩასვლა ბიზანტიის დიდი ხნით ვერ დასოროდება ხსენებულ ფაქტს³: ის ანალი ამბავი ლეონისთვის.

ასე რომ ჩვენ გვაქვს ორივე terminus-ი ლეონის ალანიაში ჩასვლისა და ბიზანტიაში გაბრუნებისა: ერთი მხრით 706 წ. (უკიდურეს შემთხვევაში), უფრო კი 710—711 წ., მეორე მხრით — 713 წ. ეს წლები კი (706—713) სწორედ ის წლებია, როცა იუსტინიანე II ბონოტმეტის მეოხებით სუმიბატი თავისი დასით ბინადრობდა ფაზისში. სინქრონიზმი იშვიათად ზუსტია.

ამრიგად, ლეონდისა და თეოფანის ერთიერთ შეწამება გვიჩვენებს: ა) ლეონდის სომხები ფუჟთსა ანუ ფაზისში არიან 706—712 წლებში; უკიდურეს შემთხვევაში — 706—715 წლებში; თეოფანეს არმენიელებიც იქ არიან 706—713 (უფრო ზუსტად 710—713) წლების მანძილზე, ე. ი. ერთსა და იმავე დროს; ბ) ლეონდის სომხები ბინადრობენ ქალ. ფუჟთში; თეოფანეს არმენიელებსაც (ბიზანტიელებთან ერთად) საყრდენ და საფარ პუნქტად აქვთ იგივე ქალაქი, ფაზისად მოხსენებული. ვ) ლეონდის სომხები ბიზანტიური ორიენტაციისანი არიან; თეოფანეს არმენიელებიც ყველგან პრობიზანტიურ კოლში გვევლინებიან. დ) თეოფანეს არმენიელები მცირერიცხოვანნი არ ჩანან, ასევე რიცხობრივად შედარებით სომხებს ლეონდის მონათბრობითაც.

ამგვარი ზუსტი დამთხვევა ყველაფერში, მეტადრე კი სინქრონიზმი, საბუთს ვეძლევა გადაჭრით ვთქვათ, რომ თეოფანეს მიერ მოხსენებული ბრძენიელები არიან სწორედ ის სომხები, რომელნიც ლეონდის მიხედვით სუმიბატი კუროპალატის მეთაურობით დაბინავდნენ ექვსი წლით ფუჟთსა ანუ ფაზისში ბიზანტიის იმპერატორის წყალობით. ხოლო ახეთი იდენტურობის დადგენა, ვეძლევა რა საშუალებას სრული საბით და ზედმიწევნით წარმოვიდგინოთ ფაზის-ლაზიკეში სომეხთა ყოფნის ფაქტი, საყრდენით გვიოკვევს თეოფანეს თბრობაში დღემდე ამოუცნობსა და ბუნებით მოცულ კათხვედს: როგორ გაჩნდნენ არმენიელები ლაზიკეში, როცა იქ მარტო ბიზანტიელები არიან საგულეებულნი, რატომ მოქმედებენ ისინი ბიზანტიელთა მხარეზე, საიდან, რომელი საყრდენი ადგილიდან შეიჭრებიან ბიზანტიელ-არმენიელები ლაზიკეში და აღეკას შენთარტყამენ არქეოპოლისს ან რატომ იხვევენ ფაზისისყენ და არა სხვა რომელიმე პუნქტისკენ?

ახლა წინამდებარე შტუდიის შედეგად, ვფიქრობთ, ცხადი და უცილობელი ხდება, რომ ლეონდის და თეოფანეს გადმოგვცემენ ერთი და იმავე კოლექტივის, სომხების, თავზე ერთსა და იმავე ადგილას, ფუჟთსა ანუ ფაზისში, ერთსა და იმავე დროს, 706—713 წლებში, მომხდარ ფაქტს; იმ განსხვავებით მარტო, რომ პირველი მოგვითხრობს ფუჟთ-ფაზისში მათი მოსვლა-წასვლის

¹ Ю. А. Кулаковский, цит. соч., стр. 311.

² კულაკოვსკი წინამდებარე წინამდგომ ახრისა, ჩვენსას რომ ემთხვევა (Аланы... стр. 51). ლეონის დაბრუნებას სდებს ფილიბიკუს დამპობის წინა დროით, მის წინამდებარე შეთქმულების მოწყობის ხანებში (История Византии, стр. 324); მაგრამ თეოფანეს მეფობის თქმა — „და მეფობდა არტემი“ (Ἰσακίου οὐ Ἰσχυροῦ) — მის მეორე ვარაუდს დამაჯერებლობას უკაფავს. დაუსტებას საჭიროებს აკად. ს. ჯანაშიას თარიღიც, 713—715 წ. წ. (არაბობა საქართველ.ში, თბ., 1936, გვ. 28).

მომენტებს, მეორე კი გვაუწყებს მათი აქ ყოფნის დროინდელ ამბებს. თუ ერთად შეგვიკონაეთ ამ ცალკეული მომენტების შემცველ ცნობებს ლევონ-თეოდანესას, მაშინ ამგვარი ინგროსაციის გზით მოხერხდება ფუფათ-ფაზისში სომეხთა ცხოვრების ფაქტის მთლიანი სახით, თავიდან ბოლომდე, აღდგენა და ინდროინდელ ისტორიულ ვითარებასთან შემღებნიარად დაკავშირება.

ლაზიკე ბიზანტიას შემოხმტკიცებული აქვს იმპერატორ ირაკლის დროიდან (610—641), იგი მის ხელშია კონსტანტის მეფობის ხანებშიც (642—668), რაც ჩანს იქიდან, რომ 662 წელს აქ გადმოასახლებს ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს მაქსიმე აღმსარებელს¹. ლაზიკე ბიზანტიის მფლობელობაშია საგულდუბელი 692 წელსაც, იუსტინიანე II რინოტმეტის პირველი მეფობის ეპსს (685—695), ამას აღსტურებს ის ფაქტი, რომ 692 წ. ე. წ. ტრულის კრებას დაესწრო და მის ოქმებს ხელი მოაწერა ლაზიკის ორმა ეპისკოპოსმა: თეოდორე ფაზელმა და იოანე პეტრელმა².

მაგრამ 697 წელს, როცა რინოტმეტი დამხობილია, ხოლო მის ნაცვლად მეფობს ლეონტი (695—698) და არაბთა მომძლავრებაც იხრდება, ლაზიკეს ბიზანტია უკვე შკარავას: თეოდანეს სიტყვით, აჯანყებული პატრიკიოსი სერგი ბარნუჯის-ძე. შას დაუქვემდებარებს არაბებს³. ასეთი მდგომარეობა გრძელდება იუსტინიანეს მეორედ მეფობის ხანებშიც (705—711 წლ.): იმავე თეოდანეს მოწმობით, სპათარ ლეონის აღანუბში გაგზავნიას, — ეს კი იყო, ჩვენი ვარაუდით, 710—711 წლებში, სულ ადრე კი 706 წელს. — „არაბებს ეპყრათ აბაზგიაც, ლაზიკეც და იბერიაც“⁴.

ოღონდ ქალ. ფაზისი მაინც ბიზანტიას ჰქონდა შენარჩუნებული. ეს ჩანს იქიდან, რომ 706 წ. რინოტმეტი შას უბოძებს ლტოლვილ სუმბატს საცხოვრებლად, იქვე ჩავა ფულით ლეონიც, ჩვენი ვარაუდით, 710—711 წლებში და იქიდანვე წამოაღებინებს უკან რინოტმეტი ფულს⁵.

ფაზისის სახით ბიზანტიას ხელთ შერჩა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტი, როგორც აღაცდარმი თუ ტრამზღნი, საიდანაც შარჯვე შემთხვევაში შეეძლო საომარი ოპერაციების დაწყება კერძოდ ლაზიკეში, საბოლოოდ კი მისი უკან დაბრუნება და ერთბაშად შავი ზღვის აღმოსავლურ სანაპიროზე დაკარგული გავლენის აღდგენა. ასეთი ასპექტით გასაგები ხდება რინოტმეტის შიერ ამ ქალაქის საცხოვრებლად მიჩენა სუმბატისადმი: მისი პრობიზანტიური ხალხი აქ დაბინავებით აძლიერებდა ბიზანტიის პოზიციას ლაზიკეში, ააღვილებდა რა ამ მახლობელი პუნქტიდან სამხედრო ექსპედიციათა მოწყობას თვით ლაზიკესა და მებობელ აბაზგიაში. ასე რომ სუმბატის აქ დასახლება იყო, ასე ვთქვათ, პირველი ნაბიჯი წინანდელი ვითარების აღსადგენად, პროფ. კულაკოვსკი კი უსაფუძვლოდ წინაუკმოს ვარაუდობს: „повидимому, измена Сергия не

¹ გეორგიკა IV, I, 48, 49.

² Mansi, XI, 292, 293. კულაკოვსკის ციტ. შრომის (გვ. 277—278) მიხედვით. შტრ. Дояния всееленских соборов, т. VI, изд. 2-я, Казань, 1882, стр. 313, 321.

³ გეორგიკა IV, I, 105.

⁴ Ibid., 106—107.

⁵ Ibid., 107.



вызвала никаких мероприятий из центра империи с целью восстановления старых отношений, и Лазика надолго вышла из кругозора имперской политики¹.

ბიზანტიის განმტკიცებისავე ხასიათი ჰქონდა მეორე ლონისძიებასაც 710—711 წლებში, როცა იმავე რინოტმეტმა ფაზისნი და აქედან ალანიაში გაგზავნა სპათარი ლეონი, შემდეგში იმპერატორი, იქაური მოსახლეობის აბაზიგის წინააღმდეგ ასამხედროებლად². ასეთი გზით აბაზიგის დაბრუნებასაც საიმედო პირი უჩანდა.

ამჯვარ წინასწარ ლონისძიებათა შემდეგ ლაზიკეში ბიზანტიელებისა და არმენიელების შეჭრა და მათი მთავარი ციხე-სიმაგრის არქეოპოლისის გარემოცვა³ წარმოადგენდა უკვე რეალიზაციის კარგად მოფიქრებული გეგმისას, ე. ი. ლაზიკის დაბრუნების ცდას.

რასაკვირველია, მოპირდაპირე მხარე, არაბთა სახალიფო, გულგრილად არ შეხედებოდა ბიზანტიის ასეთს გეგმაშეწონილ მოქმედებას. ლაზიკე ხომ 697 წლიდან, სერგი ბარნუკის-ძის მეოხებით, უკვე არაბებისა იყო და ესენი მას ბიზანტიას არ დაუთმობდნენ უბრძოლველად. ასეც მოხდა: ბერძენ-არმენიელები შემოარტყამენ თუ არა აღყას არქეოპოლისს, არაბები გაჩნდებიან ლაზიკეში და უდავოდ ბიზანტიელებზე უფრო ჭარბი ძალით. გარეშე ამისა ვერ აიხსნება ვერც ბიზანტიელ-არმენიელთა მიერ აღყის მოხსნა სწრაფად, ამბის გაგების უბოლ, და ვერც მათი გაქცევა და ფაზისისკენ დახევა⁴.

ამრიგად, ბიზანტიის წამოწყება ლაზიკეში სასურველ შედეგს ვერ მიიღწევს. ასეც უნდა მომხდარიყო. ეს იმიტომ, რომ პატრიკ სერგი ბარნუკის-ძის დასის გავლენის პირობებში ბიზანტიის განმტკიცება ლაზიკეში მისაღები და შესაძლებელი ნაკლებად იყო. მეორე: არაბთა სახალიფო ახლა ისე იყო ძლიერი, როგორც არ ყოფილა XV—XVI საუკუნეში: ის ენერგიულად მოქმედებს ლაზიკეში, გამოგზავნის რა ჯარს არქეოპოლისის გარემოცვისას, აგრეთვე დაპყრობითს ოპერაციებს გაშლის მცირე აზიასა და რომანიაში⁵. ამავე დროს, კი ბიზანტიის, პირუკუ, შალზე დასუსტებულია: აქ იმპერატორებს ხშირად ამოზებენ⁶, მძვინვარე ხასიათისა და უტაქტო ქცევის გამო, მეტადრე ხერსონის ექსპედისციის დროს, აღმფოთებულნი რინოტმეტს მოჰკლავენ, ხოლო მის ნაცვლად იმპერატორად დადგენილი ვარდან-ფილიპიკე, აღზრდით და რწმენით მონოთელიტი,

¹ Цит. соч., стр. 278.

² გეორგიკა IV, I, 106.

³ ibid., 110.

⁴ ibid.

⁵ ამირა მასლამა ავიწროებს ბიზანტიის ჩრდილოეთ პროვინციებს. აიღებს პონტოს ცენტრს — ქალ. ამასიას და აიკლავს სხვა გამაგრებულ პუნქტებსაც. Кулаковскнй, цит. соч., стр. 311.

⁶ იუსტინიანე II-ის დამხობის (695 წ.) შემდეგ დაამხეს: ლეონტი (695—696), ანსიმარი, იმპერატორობაში ტიბერიუსად წოდებული (696—705), კვლავ იუსტინიანე II რინოტმეტო (705—711) რომელიც ახლა მოჰკლეს, ვარდან-ფილიპიკე (711—718, მ, VI) და, ბილოს, არტემი, იგივე ანასტასი (4, VI, 715—716).

პოლიტიკაში კი ერთობ ბეცი და უნიათო, სრულიად ვერ აართმევს მომენტს: გაფლანგავს იმპერიის უკანასკნელ ფინანსებს, თავის საქმიანობაში მართავს რელიგიის ხაზით და მონოთელიტურ ღონისძიებათ შეაღვეს, ეს კი ძალთა სპირო კოორდინაციის ნაცვლად მათ ქსაქსავს და საბოლოო ანგარიშში იმპერიას ასუსტებს.


ამგვარ სიტუაციაში, როცა ბიზანტიამ ფეხი ვერ მოიმარაგა ლაზიკეში, პირუტყუ, ის თვითონ იმპერიაშიც სუსტია, არაბეთი კი პირიქით მომძლავრებულია, და როცა ფილიპიკეს მონოთელიტური რეჟიმიც საიმედოს არას უჭადღა ფაზისში შეხიზნულ სომხობას შედარებით რანოტემეტის დროსთან, სუმბატ კურობალატს ძალა-უნებურად უნდა გადაესინჯა თავისი პრობიზანტიური მოქმედების ხაზიც; მით უფრო, რომ მომძლავრებული სახალიფო ტაქტიკას შეარბილებს სომხების მიმართ, შესცელის რა სომხეთის მმართველსასტიკე მამუდეს ცბიერი აბდელ-აზიზით, ხოლო ეს უკანასკნელი განართავს მათთან მოლაპარაკებას და საჭირო გარანტიებსაც აღუთქვამს. სუმბატიც, როგორც რეალური პოლიტიკის კაცი, ზურგს შეაქცევს ბიზანტიას (ანუ ლევონდის თქმით, „განუდგება ევისარს“), თავისი დასით არაბებს მიემხრობა და დაბრუნდება სომხეთში, წინასწარ კი გაძარცვავს ფაზისის ეკლესიებს, წაიღებს რა აქედან მთელ განძეულობასა და სამკაულს.

აი ეს შექმნება შევმატოთ ქალაქ ფაზისის გარდასრულ დროთა მატეინეს, ხოლო თვით ჩვენი რკვევის საგანი, ლევონდის ცნობა ფოთის შესახებ, შევფასოთ ერთი როგორც აწინდელი სახელით მისი პირველი და ქართულ წყაროებზე სამი საუკუნით უწინარესი ფიქსაცია და მეტე როგორც დღემდე გამომუყვნებელი წყარო, რომელიც ცხოველი შტრიხებით ავსებს ფაზისის ისტორიას და ცნობიერად ხდის თეოფანეს ქრონოგრაფიაში გაკვრით აღნიშნულს ამ ქალაქის წარსულის ერთს მომენტს VIII საუკ. პირველ ოცეულ წლებში, აქამდე გაუყვებარსა და ამოუხსნელს.

სტალინის სახელმძის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1943. V. 19).



Макс. Бердзნიшвили

Сообщение Гевонда о Поти

(Резюме)

Отрывок из „истории халифов“ армянского историка VIII в. Гевонда Вардапета трактует об эмиграции армии во главе с Сумбатом Куропалатом после поражения в борьбе с арабами в Византию и об отводе им для поселения в Егерской стране города Пуйт || Поит (Phyt) с пастбищами для скота, откуда после шестилетнего пребывания они возвращаются на родину.

Означенное событие, относимое Гевондом ко времени халифа Валита, гегр. Велида (705—715), автор статьи уточняет 706—712 годами; причем в пользу 712 г., как года редеции армян, говорят и показания Феофана Хронографа и Михаила Сирийца об изгнании армян из империи при Филиппике (конец 711—3, VI, 713) в Митилеу и IV Арманию; в данном показании, хотя и анахронистическом (ибо упомянутые области были утрачены Византией еще до Филиппика), все же следует видеть крупицу исторической правды, поскольку именно при Филиппике, заявившем себя рьяным монофелитом, могли действительно создаться условия, побудившие пуйтских армян-монофелитов вернуться на родину.

Сообщение Гевонда, внося новые штрихи в историю гор. Фазиса, позволяет сделать ряд интересных заключений:

1. Армяне с Сумбатом Куропалатом во главе были поселены в стране Егер || Егерк || Егр., т. е. Егриси || Са-егр-о груз. источников, иначе в современной Са-м-егр-ело (Мегрелии), известной тогда у византийцев под именем Лазики, при халифе Велиде (705-715), иначе в годы вторичного царствования в Византии Юстиниана II Рикомета (705—711).

2. Упоминанием города Пуйт || Поит, где поселили армян и который находился в стране Егер (т. е. Мегрелии), впервые в истории город, до того известный под названием Фазиса, фиксируется новым, современным, именем: Пуйт || Поит || Потп (Phyt); а это говорит о несомненной преваляции грузин, в частности мегрельского индигената еще в то время, когда город оставался в политической зависимости от Византии.

3. Отводя армянам именно Пуйт, т. е. Фазис, (Гевонд), Византия при Юстиниане II-ом очевидно имела целью, как показывают последующие события (Феофан), создать себе здесь надежный плацдарм при вторжении в Лазик, утраченную Византией с 697 г.

4. Сообщение Гевонда делает понятным упоминания Феофана об армиях, действующих в Лазике наряду с византийцами, что вошло до сих пор в объяснение.

5. Наблюдения над данными Гевонда и соответствующими местами у Феофана приводят к разительному совпадению многих моментов, а именно:

а) армяне Гевонда живут в Пуйт'-е, Феофановские армяне также Фазис имеют своим опорным пунктом;

б) пуйтские армяне-эмигранты — византийской ориентации и по Феофану они выступают неизменно в провизантийской роли;

с) армии Хронографа немалочисленны (потому-то и упоминаются), и по Гевонду их немало, поскольку им отводятся и пастбища для скота;

д) армян проживающими в Пуйт'-е и оттуда же возвращающимися по Гевонду видим при халифе Велиде (705—715), по Феофану также армяне и ромейцы (византийцы), вторгшиеся в Лазик и осадившие Археополь, отступают и укрываются в Фазисе (*ὁ λαὸς τοῦ Ρομῆϊοῦ καὶ τῶν Ἀρμενίων ἐπὶ τὸν Φᾶσις ἐπιστραφέν*) именно в те годы, когда туда со специальным поручением был послан Юстинианом II при вторичном своем царствовании (705—711) Лев III Исавр, император с 717 г. Синхронизм редкий!

Такое полное совпадение данных во всем делает несомненным вывод, что армяне Феофана есть именно те самые Гевондоры армяне, которые во главе с Сумбатом обосновались на 6 лет в Пуйт'-е по милости византийского императора (Юстиниана II) при халифе Велиде, и что оба историка (и Гевонд и Феофан), восполняя друг друга, говорят об одном и том же коллективе, впрочем, с той разницей, что первый сообщает об его эмиграции и религии, а второй повествует о событиях, связанных с данным коллективом и разыгравшихся в Лазике за время между этими двумя моментами.

Ингрессация же данных Гевонда и Феофана, несомненно касающихся одного и того же армянского коллектива, в увязке с тогдашней политической ситуацией позволяет воссоздать исторически верную картину Лазики вообще и Фазиса в частности за 705—715 годы.

Таким образом, ценность трактуемого сообщения Гевонда, во первых, в том, что оно дает несомненно первую по времени фиксацию Поти, которая на три столетия древнее грузинского свидетельства, и, во-вторых, в том, что содержит в себе донные неиспользованные данные, которые пополняют историю гор. Фазиса новыми моментами и попутно уясняют события Лазики за 705—715 г. г., в частности наличие и действия здесь армян, чего нельзя ни понять, ни объяснить по одному лишь Феофану.

ილია აბულაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი¹

1. „ცქაფი — ცქაფვა — მომცქაფავი“.

„ვეფხისტყაოსანში“ მოგვებოცება სიტყვა „ცქაფი“ და მისი ზმნური ფუძისაგან წარმოქმნილი „მომცქაფავი“ (საიუბ. გამ.) ან „მომცქაფავი“ (ვახტანგის გამ.), აღვილები, სადაც ერთი ან მეორე სიტყვა გვხვდება, შემდეგია:

ცქაფი. ცქაფვა —

„საწუთრომან ღანაღრიჯა, ცქაფნი მისნი კვლა მეცქაფნიეს“
(ვახტ. გამ. ქმდ: საიუბ. გამ. 654,4).

„აწ ნახეთ მთრვალი ვაჭარი, ცქაფი, უწრფელი, მსწრობელი“
(ვახტ. გამ. ჩრნგ; საიუბ. გამ. 1165,4).

მომცქაფავი

„ემა ეტყჳს, ვის აქუს მინდობა კაცისა მომცქაფავისა“.
(ვახტ. გამ. ქმდ: საიუბ. გამ. 702,1).

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის პირველბ ინიციატორი და მეცნიერი კომენტატორი, ვახტანგ VI, „ცქაფი-სათვის“ წერს, რომ „ცქაფი სწრაფი არის-ო“². „მომცქაფავის“ შემცველ სტრიქონს კი ასეთ განმარტებას ურთავს: „ცქაფი ზეიო სწურია-ო“³. ამრიგად, მეცნიერ-კომენტატორს „ვეფხისტყაოსნის“ დასახელებულ აღვილებში (ქმდ, ქმდ) ხმარებული ცქაფი და მისგან წარმოებული ცქაფვა ზმნისაგან წარმოქმნილი ნაზმნარი სახელი — მომცქაფავი „სწრაფის“ გაგებით ესმის.

ვახტანგ VI-ის თანამედროვე და ახლო თანამშრომელი დიდი ქართველი ლექსიკოგრაფიც, სულხან-საბა ორბელიანი, „ვეფხისტყაოსნის“ ცქაფს უკუაშორებს „სისწრაფის“ ცნებას. მას ჩვენთვის საგულისხმო სიტყვა თავის

¹ მოხსენება სტალინის სახელ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტ. ქართული ენის კათედრას 1943 წ. VI: 15-ს.

² შოთა რუსთველი, ვეფხის ტყაოსანი. ვახტანგისული გამოცემა 1712 წლისა აღდგენილი აკაკი შანტის ძიერ, ტფ. 1937 წ.; 63. ტლ.

³ იქვე, 63. ტლ.



ქართულ ლექსიკონში¹ მიეპოვება შემდეგი ფორმებით: ცქაფი, სპრქენაფი და ვარდაცქაფა. „ცქაფი ველფერქსრაფია-ო“, გვისხნის იგი, ცქაფი ჯერებლად „ვეფხისტყაოსანზე“ მიგვითითებს. „სიტქაფე სისწრაფესავითო“, გვაწვდის ის წყაოსს დაჟსახელებლად, ხოლო „ვარდაცქაფა—სიტყვა ვარდას-ხუაება“-ო, გვიმარტავს ს. ორბელიანი და სამოწმოდ ამამათა ცხოვრებაზე“ (6, 9) მიგვითითებს.

უახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანის ახსნა-განმარტებებს იწყნარებენ ჩვენი დროის რუსთაველისტებიც. ასე, მაგალითად, პროფ. იუსტ. აბულაძეს, რომლის მიერ შედგენილი ლექსიკონი დართული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ როგორც საიუბილეო გამოცემას (1937 წ.), ისე შემდეგში გამოსულ სხვა გამოცემებსაც, ცქაფი „საწუთრომან დამაღრიჯა-ს“ სტრიქონზე მითითებითა და „წინახეთ მთრვალი ვაქარისა მიხედვით შემდეგნაირად აქვს განმარტებული: „1. წინწკალი, 2. აჩქარებული, ცეცხლი“. პირველი—ცქაფნი მისნი კულა მეცქაფნესა კონტექსტისათვის არის ნაგულისხმევი, ხოლო მეორე — ცქაფი, უწრფელი, მსწრობელი-სათვის“. ამას გარდა „მეცქაფნეს-ათვის“ ის აწარმოებს მასდრად ცქაფება-ს (sic!), რასაც ასე განმარტავს: „ცეტად თქმა-იო“. ამივე წინაარსს ხედავს პროფ. იუსტ. აბულაძე „მომცქაფაშიაც“. როცა აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა „ნოუფიქრებლად მთქმულიაო“². როგორც ვხედავთ, აქ საბას მოკლე და სხარტი განმარტებებია თითქმის ყველგან ამოსავლად მიღებული. რომელთა ვარიაციას წარმოადგენს პროფ. იუსტ. აბულაძის თითქმის ყველა ახსნა; „ზოგჯერ შეუფერებელი კონტექსტთან, ახალი მანძიკი იფიქრებდა კაცი, რაც მან ამ სიტყვის გაგებაში შემოიტანა, „წინწკალია-ო“; ესაა, ასე ვთქვათ, საკუთარი წვლილი სხენებული მკვლევრისა ამ სიტყვის განმარტებაშიო, მაგრამ არა. აქ პროფ. იუსტ. აბულაძე დ. ჩუბინაშვილეს ქართულ-რუსულ ლექსიკონს ეყრდნობა. დ. ჩუბინაშვილსა აქვს სწორედ მკვლევარად ვარჩეული ერთურთისაგან „ვეფხისტყაოსნის“, სხენებული აღდგლებსა და ვისრამიანისა ერთი წინადადების მიხედვით, „ცქაფვა“ და „ცქაფება“. პირველი მისი ახსნით „აჩქარებულად ლაპარაკს“ ნიშნავს, ხოლო მეორე „ცვარისა თუ წვედის შესხმის“ (რა წყაროზე დაყრდნობით, არა აქვს აღნიშნული). ერთი სხვაობა მანძიკ არის ამ მკვლევართა შორის. დ. ჩუბინაშვილის განმარტებით „ამცქაფავი“ მომცქაფებელს ნიშნავს (რაც, როგორც ვხანავთ, სწორია), ხოლო პროფ. იუსტ. აბულაძის ახსნით იგი, როგორც ზემოთ ვხანავთ, მოუფიქრებლად მთქმელია.

როგორია საქმის ვითარება?

რომელიმე ძველი ხმარების სიტყვის წინაარსი რომ ნათლად გავარკვიოთ, უპირველეს ყოვლისა უნდა ვეცადოთ, დავებნოთ სადმე ჩვენს ძველ ძეგლებში

¹ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. იუსტ. აბულაძის და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, ტფ. 1928 წ.

² იხ. ლექსიკონი შედგენილი პროფ. იუსტინე აბულაძის მიერ და დართული „ვეფხისტყაოსნის“ საიუბ. გამოცემაში, ტფ. 1937 წ. გვ. 358.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 366.



ისეთი ადგილი, რომელშიც ასეთი სიტყვა პირდაპირ მნიშვნელობით ნახსენას ვერ
ხმარია და არა გადატანითით. უმჯობესია, რასაკვირველია, თუ ასეთი სიტყვის
შემტველი ძველი იმავე ხანის იქნება, რომლისაც განსამარტავი სიტყვის მქონე
ძველია.

«ცქაფი» ძველი მწერლობის ძეგლებს შორის «ვეფხისტყაოსნისა» და «ვის-
რამიანის» (ერთი ადგილის) გარდა იხმარება ერთს სხვა ძველშიც, რომელიც
ბერძნულიდან არის ნათარგმნი და ისიც, რამდენჯერმეც კი: შემოკლებით—
ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ (სამწუთროდ ნაკლულევანად არის მოღწეული —
საქართ. სახელმ. მუზეუმის ხელნაწერია A ფონდი № 35) და ერთლად — გი-
ორგი მთაწმიდელის მიწაფის თეოფილეს მიერ, როგორც ამას ამ ძველის ერთ-
ერთი უძველესი ნუსხის (A № 1105) გადამწერი, ვინმე კლამი მოწმობს ხელ-
ნაწერის სხვადასხვა ადგილს გაკეთებული ანდერძებით. ეს ძველია «მამათა
ცხოვრება», თეოფილესეული რედაქციისა, რომელსაც კარვად იცნობს სულხან-
საბა ორბელიანი და უხვდაც იყენებს თავისი ლექსიკონისათვის საერთოდ
და კერძოდ ჩვენთვის საგულისხმო სიტყვის შემოხვევაშიც. ამ «მამათა ცხოვ-
რებისა» იმ თავში, რომელსაც «სიძვისათჳს» ეწოდება, ერთ ადგილს მოთხრობი-
ლია ბერების სამსილღობად და მათვე დასამოძღვრავად ერთი მეტად საინტე-
რესო ამბავი, მოვიყვან აქ მას შემოკლებით:

— ბერსა უსმე დიდას აქუნდეს ათორმეტნი მოწაფენი, და შემთხუცეთა ეშმაკისათა,
განოცადა ერთი მათგანი სიძეთა და იბრეა ცოლით დედაცაცა თანა, რამეთუ ახლიდა
მთ დაბას, და ყოვლადვე წარაღნ შემღვამად ცისკრისა ღოცვისა, ვინაჲთგან ადრს
იღოცვიდაცა, და კჳლად ზირველ განხუნებისა მოვიდის სენაკადვე თჳსად, ცნეს უკუჲს
ესე ძმათა და ცნა მამამანცა და წინამძღუარმან საქმე იგი, და ჰფარავნ ძმასა მას და
სცვენ და არა ამხილა. მრავალგზის უკუჲს ატყდეს ძმასა იგი მისთვის წინამძღუარსა მას
ხედა მათსა და მამასა სულოერსა, გარნა იგი სიტკბოებით ანელენ მთ და აწყნარებნ.
წარვიდა ოდესმე ძმა იგი დაბასა უადრესრს, დაეჭვნა და სისწრაფითა სამკრისა წილ
თჳსისა შეისხა მოსასმეელი დედაცაცისაჲ მის და ესრეთ მოვიდა სენაკად თჳსად, იხილა
იგი ბერმან მომნავადი და რამეთუ ასხეს მოსასმეელი დედაცაცისაჲ, განიცადა; ადღვა
და მივიდა სენაკად ძმისა მის, ხოლო მან ვითარცა თჳსი საბეჭური გარდაჰვიდა იგი
სენაკსა შინა თჳსსა, გარნა ბერი დუმნა ჯგოეთცა, მერმე ჰრქუა მას: «სადა იყავ ძმაო?»
ხოლო მან გარდაუტყაფა: «აქა სამე ვიყავ და იქო». ჰრქუა მას ბერმან: «და არა
იყავა სოფელსა, დაბასა მას?» მრუთო: «არა მეუფსო». მაშინ ჰრქუა მას ბერმან: «და
ვისი არს მათორი ისი სადელთა, რომელი ჰკიდავს?» ხოლო ცნა რაჲ ძმამან, რამეთუ
დედაცაცისაჲ არს, დაადლო თავი თჳსი ფერკთა თანა ბერისათა და თქუა: «შემინდვე მე
ძმაო და ამიერთგან არღარა ვყო ესს»... (საქართ. სახელმ. მუზეუმის ხელნაწ. A
ფონდი № 1105, ფ. 161v—162r.).

როგორც, გნებავთ, შემტოლებული წინამძღვრის შე-
კითხვით, სწორ პასუხს არ იძლევა, არამედ ავტორის სიტყვით, «მან გარდაუ-
ტყაფა: აქა სამე ვიყავ და იქო», ე. ი. სულხან-საბას ახსნით რომ გამო-
ვთქვათ «სიტყვა გარდაუსხევაჲ», მაშასადამე, სიწრფელეს მოკლებული
პასუხი ვასცა, ტყუილი უთხრა.

როგორც ირკვევა, ამიგაგებით უნდა ჰქონდეს ნახმარი სიტყვა «ცქაფი»
შოთასაც უსერ ვაქრის დასახასიათებლად:

«აწ ნახებო მთრვალნი ვაქარი, ცქაფი, უწრფელი, მსწრობელი» ს.ო.
ამავე ადგილიდან ისიც ნათელი უნდა იყოს, რომ მის ავტორს ცქაფის მო-



მღევნო უწრფელი თუ სინონიმად არა, მის ამხსნელ სიტყვად ნახმარი.

არა-პირდაპირის, უწრფელოს, ან ტყუილის მთქმელის აზრით ჩანს ნახმარი „ცქაფის“ ზმნური ფორმიდან — ცქაფვა-დან — წარმოქმნილი „მომცქაფავი“ სახელიც წინადადებაში:

„ქმა ეტყვს, ვის აქვს მინდობა კაცისა მომცქაფავისა“-ო.

ესვე გაგება აქვს „ცქაფვა-ს“ ფისრამიანშიც:

„შენ ეგებუარი ღია იცი კაცისა ღორება და ხლათვა, გიცნობ და მრავალჯერ მომისმენია შენგან ეგებუარი ცქაფვა“

(ალ. ბარამიძის¹ „ინფოროვეს და კ. კეკელიძის რედაქციით... ტფ. 1938 წ., გვ. 254).

აქიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ცქაფვა ნიშნავს „კაცისა ღორება-სა (=მოტყუებას) და ხლათვას (=უწრფელობას).

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნისა“ ორსავე ზემო აღნიშნულს ადგილს ცქაფი თავისი პირდაპირი მნიშვნელობით არის ხმარებული, ე. ი. უწრფელოსა და მატყუარას შინაარსით. ამთ გარდა გვრჩება კიდევ ერთი ადგილი, რომელსაც წარმოადგენილი, მნიშვნელობებიდან უკანასკნელი, ე. ი. ტყუილის ანუ სიცრუვის გაგება უნდა უხდებოდეს:

„საწუთრომან დამაღრიჯა, ცქაფნი მისნი კვლა მეცქაფნეს“, ე. ი. ამ სოფლის ტყუილ-სიცრუვე იხევ ტყუილ-სიცრუველ აღმიჩნდენო.

მაგრამ შესაძლოა აქ ცქაფი ან ცქაფვა გადატანითი მნიშვნელობითაც იყოს ნახმარი, კერძოდ *განსაცქედელ-ს აღნიშნავდეს. „ტყუილ-სიცრუვიდან“ მიღება „განსაცედელისა“ გასაოცარი არც უნდა იყოს, რადგან ამ სიტყვისჭმირთან, ცედ-ასთან, კავშირში მყოფი უნდა იყოს „ცთ-უნება“, რაც ძველად „მოტყუებასაც“ აღნიშნავდა.

როცა ასეთ შესაძლებლობას ვუშვებ, მხედველობაში მაქვს შემდეგი. «მა-მათა ცხოვრების» ხსენებული ადგილი, სადაც გარდაცქაფვა იხმარება („ხოლო მან გარდაუცქაფა: აქა სამე ვიყავ და იქი“), ამ ძველის ბერძნულიდანვე მომდინარე მსგავს ძველს სომხურ რედაქციაში ასეთ გადმოცემული:

«*ჩასკ ზა ქარყაქერ თოს ს თაქერ² ანუ იღისსა - სქ*»

(*ქარე ზაღისე, ქსნისსქ 1855 წ. I ნათ გვ. 698*).

გარდაუცქაფას, მაშასადამე, აქ *ქარყაქერ თოს* უდრის. *თოს* ცრუ-სა ნიშნავს, რაღაც *ქარყაქერ?* იგი წარმოქმნილ სიტყვად მიაჩნიათ *ქარყაქ*-ისაგან, რაც სირიულიდან ნასესხებად ითვლება³. სომხურში ის ცალკე არ იხმარებო. *ქარყაქ*, წყაროსებრ, საცერს ნიშნავს, ხოლო *ქარყაქერ* ვაცრას, ან როგორც ქართულს ოთხთავშია (ლუკა 22, 31) ნახმარი — ადცრას. *თოს ქარყაქ*, ამრიგად, ტყუებას-ანუ სიცრუვით სიტყვის გადაცემას, ან, როგორც პროფ. პრ. აქარიანი განმარტავს, *მქ თოს ვერსქ*-ს წარმოადგენს. პროფ. პრ. აქარიანის მოწმობათაგან, რომელთაც ის თავის ლექსიკონში ჩამოთვლის, ჩანს, რომ ეს სიტყვა (*ქარყაქერ*—ცქაფვა) ძველ სომხურში უფრო ხშირად გადატანითი მნიშვნელობით იხმარება და ყველაზე მეტად „საფრთხეს, განსაც-

¹ ლ. მ. შათაბაძის „*სომხური ლექსის სინტაქსი*“, თბ., III, გვ. 412-414

დელს“ (*ქაიფი, ქიფი, ქიფიქი*) უდრის. სომხურის ასეთი ჩვენება ქაიფის
ლისათვისაც გვაგარაუდებინებს ანალოგიურ ვითარებას, მიღ უმეტეს რომ ასე-
თი ვაგება ცქაფვა-ცქაფ-ისა «ვეფხისტყაოსნის» შემორე აღნიშნულ აღ-
გონს ეგუება.

И. В. Абуладзе

Из лексики „Вепхис-Ткаосани“

Резюме

Автор статьи на основе показаний древнегрузинских литератур-
ных памятников (с привлечением и армянского материала) выясняет
значение слова ცქაფი и дает толкование тех мест «Вепхис-Ткаосани»,
где встречается как это слово, так и от него производные: ცქაფვა и
მომცქაფავი. По утверждению автора ცქაფი означает „не откровенный,
говорящий неправду, лгун; искустель“, как и „ложь, кривда; иску-
шение“, а ცქაფვა и მომცქაფავი—„лгать, обманывать (в пер. смысле—по-
двергать опасности; искушать, испытывать)“ и—„лжец, обманщик“.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული ენის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1943. VI 16)

265: ნიშნობა

სტრუქტურალური, როგორც თანამედროვე ენათმეცნიერების მიმდინარეობა¹

(წინასწარი მოსყენება)

სტრუქტურალურში, როგორც მიმდინარეობა, ენათმეცნიერებაში ორგანიზაციულად გაფორმდა ამ ხუთიოდე წლის წინ: 1939 წლიდან მას უკავია საკუთარი ორგანო Acta linguistica-ს სახით (პირველი ტომის პირველი ნაკვეთი, რომელიც ჩვენში მი. აქვება, გამოსულია 1939 წელს. 1940 წლის დამლევისათვის მეორე და მესამე ნაკვეთიც მიღებული იყო საბჭოთა კავშირის ზოგს ცენტრში, მაგალ., ლენინგრადში).

ჟურნალზე აღნიშნულია, რომ ესაა „სტრუქტურალური ენათმეცნიერების საერთაშორისო შიმომბილველი“, რომლის გამოცემაც ხორციელდება „საერთაშორისო საბჭოს“ ხელის შეწყობით. ამ საბჭოს წევრთა ნუსხაში (ყდაწეა მოთავსებული) მოხსენებული არიან: ვანდრიესი, ბანგენისტი, სეშაჟ, ზომერფელტი, სეპირი (გარდაცვლილი იყო — 4. II. 1939, — პირველი ნაკვეთის გამოსვლისას), კურილოვიჩი, ვესტერმანი, პიელსლევი და სხვ., სულ 21 კაცი. მათი სახით წარმოდგენილია შემდეგი სამეცნიერო ცენტრები: პარიზი, ქენეგა, ლონდონი, პრაღა, კოპენჰაგენი, ლეოვი, ბონო, ბელგრადი, სოფია, ბუდაპეშტი, ბუქარესტი, ოსლო, გრტებორგი (შვედეთში), პელსინკი, დორპეტი, ლეადენი (პოლანდიაში), გენტი (ბელგიაში), ფლორენცია, ნატუ-ჰაგენი (შვედეთ. შტატები, — კონექტიკუტის შტატი), მადისონი (დევე, ვისკონსინის შტატი), კალკუტა, ბერლინი.

წამყვანი როლი ეკუთვნის პრაღისა და კოპენჰაგენის საენათმეცნიერო წრეებს: მათი ინიციატივით დაარსდა შემოსყენებული ორგანო, აღსანიშნავია პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოებებსა და ლეოვის მეცნიერებათა აკადემიის მონაწილეობა.

¹ წაკითხული იყო მოხსენებად საქართვე. მეცნიერ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა VIII სესიაზე, 1942 წლ. 24 ოქტომბერს.



ჟურნალს ხელმძღვანელობენ კოპენჰაგენელები Brøndal-ი და Hvidtved-ი. პირველს ნაკვეთში სარედაქციო წინასიტყვაობის გარდა მრავალსავე რამდენიმე წერილი, ბიბლიოგრაფიურეცენზია და ორი ნეკროლოგი (ნ. ტრუბეცკოისა და ე. სეპირისა). საპროგრამო ხასიათისაა ბრუნდალის წერილი „სტრუქტურალური ენათმეცნიერება“ და ნაწილობრივ ჰიელმსლევის „ცნება მართვისა“.

ენობრივი ნიშნის დახასიათებას სტრუქტურული თეოსაზრისით მიზნად ისახავს ბანვენისტის წერილი „ენობრივი ნიშნის ბუნება“, არაორთოდოქსალურ მომენტებს შეიცავს ლინდროტის „ფონოლოგია და ფონეტიკა“. სპეციალური ხასიათისაა იესპერსენის წერილი „ერთი სუფიქსის ისტორია“.

მეორე და მესამე ნაკვეთებში გამოქვეყნდა რიგი საგულისხმო ნარკვევი. მათ შორის ნ. ტრუბეცკოის წერილი „ენათა ნათესაობის შესახებ“, სადაც ავტორი არაგენეტური ნათესაობის შესაძლებლობას ასაბუთებს, ე. ი. ამტკიცებს, რომ ენათა დაახლოების გზით შეიძლება მივიღოთ ნათესაობაო (და კავკასიურ ენებს მიმართავს საილუსტრაციოდ).

ჩვენს განკარგულებაში მყოფი პირველი ნაკვეთი არსებითად საპროგრამო ხასიათისაა. რედაქცია ხაზგასმით აღნიშნავს: ჩვენ შორსა ვართ იმისაგან, რომ სტრუქტურალური ენათმეცნიერების პრობლემები გადაწყვეტილად მივიჩნოთ. ყოველგვარი დოგმატიზმი ჩვენთვის უცხოა. პროგრამაც კი, რომელიც მას ასულდგმულებს, დროებითია; მსოფლიოს ინტელექტუალური ცენტრების თანამშრომლობით უნდა დამუშავდეს ძირითადი საკითხები...

მაგრამ იქვე უცილობლად არის მიჩნეული ამჟამად ენათმეცნიერებებში ხმარებული მეთოდების რევიზია და განახლება ჩვენი მეცნიერების თვით საფუძვლებისა (გვ. 2).

ერთ-ერთი რედაქტოროთავანი — ჰიელმსლევი — თავის წერილში გარკვევით ამბობს, რომ სტრუქტურალიზმი მოასწავებს ენათმეცნიერების ახალ ორიენტაციას, იგი გამოწვეულია შინაგანი საჭიროებით, რომელიც ცოცხლად იგრძნობა, და, დასასრულ, ავტორს მოჰყავს მრსაზრებანი იმის შესახებ, რომ „სასარგებლო იქნებოდა შეგვენარჩუნებინა კონტაქტი კლასიკურ ენათმეცნიერებასთან“, ამოსავლად გვქონოდ მისი მიღწევები ყველგან, სადაც კი ისინი აღმოჩნდება ნაყოფიერიო, ე. ი. გარკვევით დვას საკითხი, საჭიროა თუ არა კლასიკურ ენათმეცნიერებასთან კავშირი (ესაა ამ კონტექსტში არსებითი და არა ის, რომ თვით ჰიელმსლევი ძველისა და ახლის — nova et vetera — შეზავების შესაძლებლობას სცნობს).

რედაქცია განმარტავს: ახალი მიმდინარეობის ორგანოს დაარსების იდეა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გაჩნდა პრალასა და კოპენჰაგენში, გარკვეულს პრობლემატიკაზე ყურადღება გამახვილდა დისკუსიების შედეგად, რომელთაც ადგილი ჰქონდა პრალისა და კოპენჰაგენის საენათმეცნიერო წრეების გარდა ენათმეცნიერთა საერთაშორისო კონგრესებზე. — უკანასკნელი ათი წლის მანძილზე...

ზემოთქმულსაც თუ მოვიგონებთ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვთქვამთ, რომ ახალი მიმდინარეობა არაა შემთხვევითი მოვლენა, რომ ესპანურულსა და გასაწევი ფაქტი დასავლეთის ენათმეცნიერებაში. მიუხედავად იმისა, რომ რიგი ძირითადი საკითხი საპროგრამო წესითაა დასმულ-განხილული, და ახალი თვალსაზრისის კონკრეტინაცია ცალკეულ ენათა შესწავლისას ჯერ კიდევ არაა მოცემული, უკვე ამჟამად შესაძლებელია დახასიათებულ იქნეს ის ადგილი, რომელიც უკავია — თუ რომლის დაკავებას ლამობს — ეს მიმდინარეობა დასავლეთის ენათმეცნიერების ისტორიაში, და საჭიროა დაფასებულ იქნეს ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც სტრუქტურალიზმის საპროგრამო დებულებებსა და მომავლის გეზს განსაზღვრავენ.

ქართული ენათმეცნიერო საზოგადოების დაარსებიდან (1923 წ.) დღემდის საბჭოთა საქართველოში ენათმეცნიერული აზროვნების განვითარებამ უთუოდ მიაღწია ისეთ დონეს, რომ მოგვეახოვება ჩვენა აზრი გვეკონდეს ყველა იმ მოვლენის შესახებ, რომლებიც ჩვენი ენების შესწავლისა თუ ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და საყურადღებოა.

სტრუქტურალიზმის შემთხვევაში არ შეიძლება დავევიწყოთ ისიც, რომ ახალ ენებთან გარკვევისას სტრუქტურალისტები კავკასიურ ენათა შიგნით მიმართავენ საინალიზოდ.

როგორია სტრუქტურალიზმის ძირითადი დებულებები?

სავსებით ერთგვარი გავება არ დასტურდება იმ ავტორთა შორისაც, რომლებიც ამ საკითხს ეუბიან Acta linguistica-ს პირველ ნაკვეთში, — ერთგვარი სხვაობაა პოზიტიურს ნაწილშიცა და ნეგატიურშიც, — ისტორიულ ენათმეცნიერებისადმი დამოკიდებულების საკითხში. ტერმინი „სტრუქტურალიზმიც“ არა სავსებით უღაო.

ყველაზე დამახასიათებელი ჩანს გავება Viggo Brøndal-ისა, რომელსაც ექუთენის წერილი „სტრუქტურალური ენათმეცნიერება“.

ენათმეცნიერების ძირითად პრობლემათა შესახებ მსჯელობისას ბრონდალი სხვა მეცნიერებათა სინამდვილეში არსებულ ვითარებას იღებს მხედველობაში. ბრონდალის აზრით „ენათმეცნიერებაში ისევე, როგორც მთელ რიგ სხვა დარგებში, ახალი მეცნიერული განწყობილება (esprit) გარკვევით ანტიპოზიტივისტურია“ (გვ. 4).

„შედარებითი (და ისტორიული) გრამატიკა კი გარკვევით პოზიტივისტურია“ (გვ. 2). „პოზიტივიზმის ძირითადი ტენდენციები ხასიათდება ისტორიზმით (importance de l'histoire), კონკრეტული ფაქტებისა და კანონების დიდი მნიშვნელობის აღიარებით“ (გვ. 3). პოზიტივისტი იწყებს კონკრეტული ფაქტებით და მეტწილად იქვე რჩება, ამას იქეთ არ მიდის (გვ. 2). განმხოლოებულად აღებულ კანონს მხოლოდ შეფარდებითი და დროებითი მნიშვნელობა ენიჭება (გვ. 4). „ლალანდმა ცხადყო ევოლუციური ილუზიები: სინამდვილეში კი ის, რაც მთავარია ყოველი მეცნიერებისათვის, ესაა ქარა ცვალებადი, არამედ პერმანენტული, მუდმივი, იდენტური, და არსებითი ეტიმოლოგიისათვის ისევე, როგორც ლინგვისტური გენეალოგიისათვის — ესაა შიბოვის ზოგადი ამოსავალი პუნქტი, მათასადაშე, იდენტუფიკაცია“ (გვ. 3).



შეფიქრებელია ენის მდგომარეობა ააზროვნებით მისი ისტორიის განმარტებით. ბრინჯაოს უფლებებელყოფა წარმოშობს ძირითად შეცოცხალ დიალექტების წერისას ისტორიის საფუძველზე“ (გვ. 9).

მთელ რიგ მეცნიერებაში ბოლოს და ბოლოს იგრძნეს საჭიროება უფრო შეაჯრას ის კავშირები, რომლებიც შესასწავლი ობიექტის შიგნით იგრძნობა. მეტ-ნაკლებად ყველგან მივაღწენ იმ რწმენამდე, რომ რეალური მონაცემს უნდა ბქონდეს შინაგანი კავშირი, თავისებურა სტრუქტურა (გვ. 5-7). ასე, მაგალითად, ამჟამად ფიზიკაში იკვლევენ არა მხოლოდ კონსტრუქტებასა და ატომის სტრუქტურას, არამედ სინათლის სტრუქტურასაც (გვ. 6). ფსიქოლოგიაშიც შეიძლება ითქვას, რომ სტრუქტურის (გერმ. Gestalt, ინგლ. pattern) ცნება დღეს წესრიგშია დასმული. სტრუქტურა ჯალანდია თანხმად აქ ნახარია „სპეციალური და ახალი მნიშვნელობით... რათა აღნიშნოს, — ელემენტთა უბრალო კომბინაციის საპირისპიროდ — მთლიანობა. შეეხილი ურთიერთ დაკავშირებულ ფენომენთაგან, ისეთთაგან, როცა ყოველი დამოკიდებულია სხვებზე და არ შეიძლება არსებობდეს სხვაგვარად, თუ არ ახვებთან მიმართებაში“. ზუსტად ამგვარადვე იყო — დასძენს ბრონდალი — სოსიური რომ ლაპარაკობდა სისტემათა შესახებ, სადაც ყოველივე ერთმანეთთანაა დაკავშირებული, აგრეთვე ელ. სეპირი ლინგვისტური ერთობლიობის pattern-ისა თუ შიოდელის შესახებ. ტრუბეტკოის დიდი დამსახურებაა, რომ მან დააფუძნა და გამოიზუშავა ფონოლოგიური სისტემებისათვის სტრუქტურალისტური კონცეფტით.

ამ „ახალ საენათმეცნიერო კონცეფციას, რომელიც მომდინარეობს არა მხოლოდ სოსიურისაგან, არამედ შიოდელ-დე-კურტენესა და სხვა მკვლევართაგან, დიდი უპირატესობა აქვს. იგი თავს აღწევს იმ სიწმელებს, რომლებიც პოზიტივისმის წინაშე აღიშართებოდა ზოლმე იმით, რომ შეგნებულად-კვლავ აღადგენს ივრეობის, ერთიანობისა და შიოდელის იდეებს, რომელნიც ყოველთვის თამაშობდნენ და ახლაც თამაშობენ გადამწყვეტ როლს მეცნიერებათა წინსვლაში (გვ. 6).

იგივეობის, ერთიანობისა და მთლიანობის იდეები შინაგანს კავშირშია სინქრონიის, ენისა და სტრუქტურის ცნებებთან.

„სინქრონიის ნიშნის ქვეშ თავს იყრის ყველაფერი, რაც ეი არის ჰომოგენური ერთსა და იმავე მდგომარეობაში...“

რომ დავადგინოთ ენა-ცნება, ყველა მათგანველ ვარიანტს თავი უნდა მოეუყაროთ არსებითი და განყენებული ტექტების შივიმალური რიცხვის ქვეშ. ... განზე დავტოვოთ რა ყველაფერი, რაც უმნიშვნელოა და წმინდა ინდივიდუალური...“

რათა ღმზაა შევიკრათ სტრუქტურაში, უნდა დავადგინოთ ყველა ის მუდმივი, აუცილებელი და, მაშასადამე, კონსტრუქციური მიმართებები, რომლებსაც [გაიგივებულ და გაერთიანებულ] ელემენტებს შორის აქვს ადგილი (გვ. 7).

ახალმა თვალსაზრისმა ნაყოფიერი გამოყენება პოვა მორფოლოგიაზე და ფონეტიკაში... ენათმეცნიერთა მოუხდენათ მოიპარჯვონ იგი გრამატიკის ყველა დარგში და უფრო ენათა რიბოლოგიის რკვირისას (გვ. 7-8).

სინქრონიისა და დიაქრონიის განსხვავებასთან დაკავშირებით საკითხი; ხომ არ იქნება საჭირო დავუშვათ დიაქრონიულსა და სინქრონიულს გვერდით პანქრონიული და აქრონიული თვალსაზრისით, ე. ი. დავსვათ საკითხი, იმ ზოგად აღმიანურ ფაქტორთა, შედეგებ, რომელნიც არსებობენ ისტორიის გასწვრივ და რომელნიც იგრძნობიან ყოველი ენის შიგნით (გვ. 8). ენისა და მეტყველების აქტის გარჩევასა ჩვევის („უზუნის“) საკითხად დგება; ამ ცნებას საშუალო აღვილი უჭირავს ენასა და მეტყველების აქტს შორის (გვ. 8).

მწვავე საკითხად დგას და, ვეგს ვარეშეა, დიდხანს იქნება სადარჯიანო ტიკის სხვადასხვა დარგის ურთიერთობა: რა მიმართებამია ერთმანეთთან ფონოლოგია და ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი.

სტრუქტურისა და ელემენტების გარჩევას თან სდევს კითხვა: თანამართად აუცილებელია თუ არა სისტემაში ყველა ელემენტი? თუ უნდა ვივარაუდოთ, რომ სისტემაში აღვილი აქვს დამოკიდებულებათა სიფენურებს და, მაშასადამე, არსებობს შედარებით დამოუკიდებელი ელემენტებიც? ჯგუფთა სტრუქტურის კვლევას აქ გადაწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

მეორე მხრივ, კითხვა იბადება — უკიდობლად ყველგან გვეყენება საქმე სტრუქტურასთან თუ არა ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, რომდენად და რა ბიობობებშია სავარაუდებელი, რომ ფორმამ, სიტყვამ, ენამ დაიყვანოს თავისი სტრუქტურა ნოლიანდის? ამოკრფულობის პობობლემა, ამკვარად, განახლდება სტრუქტურალისტური თვალსაზრისით.

სტრუქტურა გაგებულია აქ, ამბობს ბრზნდალი, როგორც ავტონომიური ობიექტი, როგორც ისეთი რამ, რაც არ გამოიყვანება ელემენტებისაგან, რომელთა არც აგრევატსა და არც ჯამს იგი არ წარმოადგენს. ამიტომია, რომ შესაძლო სისტემათა და მათი ფორმის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება (გვ. 9—10).

ამისდა მიუხედავად ელემენტები, რომლებიც შეადგენენ სისტემის ნაწილებს, არ უნდა განვიხილოთ, როგორც უბრალო დერივატივ სტრუქტურულ შეფარდებათა თუ დაპირისპირებათა.

სინამდვილეში მნიშვნელოვანი იქნება გვინახვავით სისტემის წმინდა ფორმალური თვისებები და სისტემის მისაღა ანუ სუბსტანცია, რომელიც შეგუებულია რა მოცემულ სტრუქტურასთან, მასში შედარებით დამოუკიდებელია, ამისდა კვალად რეალურ კატეგორიათა, სისტემათა შინაარსისა თუ საფუძვლის შესწავლა არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იქნებოდა, ვინემ ფორმალური სტრუქტურის შესწავლა. ბუაჟოლის ღრმა ნააზრევო ფენომენოლოგიის შესახებ იქნება ამ მხრივ შთავგონების წყარო ენის ყოველი ლოგიკოსისათვის, — დაასკვნის ბრზნდალი.

ასეთია ბრზნდალის საპროგნამო წერილის შინაარსი. ენათმეცნიერების სტრუქტურის ცნება აქ, როგორც ვნახეთ, ცენტრალურ საკითხადა წარმოდენილი და მთელ რიგ საკითხს აყენებს:

- 1. როგორია სისტემის არსი?



2. ერთნაირად დამოკიდებულია თუ არა სისტემის ყოველი შემადგენელი ელემენტი?

3. ყოველ ენობრივ ფაქტისთვისაა ნიშანდობლივი სტრუქტურა თუ შესაძლავა გრადაციები ვიდრე ნოლამაის?

4. როგორია სტრუქტურის ფორმალური და მატერიალური მომენტების ურთიერთობა?

5. რა ადგილი უჭირავს ჩვევის („უზუსის“) ცნებას სტრუქტურალური ანალიზის თვალსაზრისით?

6. როგორია გრამატიკის დარგთა ურთიერთობა?

7. საკმარისია თუ არა დიქციონირული და სინქრონიული თვალსაზრისის გარჩევა, თუ საჭიროა პანქრონიული და აქრონიული ე. ი. საყოველღროვლო და დროის გარეშე („ზედროული“) თვალსაზრისი?

ეს საკითხები ენის რაობისა და სტატიკური ენათმეცნიერების ძირითად საკითხებს მორიგებს. მათი დაახლოება სტრუქტურალიზმის უღაო დამსახურებაა. ამ მხრივ სტრუქტურალიზმი პროგრესული და მისასალმებელი მოვლენაა.

სტრუქტურის ცნება სტატიკურ ენათმეცნიერებისათვის ნაყოფიერი და შინაშენელოვანი პერსპექტივების შემქნელი ჩანს.

ბრონდალი ანტიპოზიტივისტია. კონკრეტული ფაქტის კულტი, პოზიტივიზმისთვის დამახასიათებელი, მას ეუცხობება.

ჩა თქმა უნდა, მეცნიერება კონკრეტულ ფაქტის გარეშე, ზუსტად დადგენილი ფაქტის გარეშე, მეცნიერება ვერ იქნებოდა. ეს უღაო დებულეზა მას შემდეგ, რაც მეცნიერება გაჩნდა. მაგრამ ისიც სრულიად ცხადია, რომ მეცნიერება ფაქტების შემთხვევითი გროვა არაა, — ფაქტზე გაჩერება მეცნიერებას ვერ შექმნის. აქ ბრონდალის პოზიცია მტკიცეა და მეცნიერების თეორიის თვალსაზრისით მართებული. მაგრამ ბრონდალი ამას არ ჯერდება. მან პოზიტივიზმისთვის ნიშანდობლივად ისტორიზმიც გამოაცხადა.

ანტიპოზიტივიზმი ანტიისტორიზმად იქცა. ბრონდალი იქამდისაც კი მიდის, რომ აღნიშნავს: ენის მდგომარეობა შეუძლებელია გამოვიყვანოთ მისი ისტორიიდანო. სტატიკური ანალიზის პროცესში სისტემის ნაწილები, როგორც დამოკიდებულებებში მყოფნი, ერთმანეთს არკევენ. მკვლევარი უისტორიოდაც ერკვევა მოცემულ ვითარებაშიო.

ეს თვალსაზრისი პრინციპულად უმართებულა. იგი ენათმეცნიერების ისტორიის დედა-აზრს ეწინააღმდეგება. ენობრივი ფაქტის გაგება მისი ისტორიის ცოდნას, როგორც წინაპირობას, გულისხმობს. ენათმეცნიერული ანალიზის სიზუსტე პირდაპირ პრეპორციულია შესასწავლი მასალის ისტორიის ზუსტი ცოდნისა. ენის შესახებ აზრავნება ენათმეცნიერებად ისტორიულმა თვალსაზრისმა აქცია. ამიტომაც, რომ ისტორიული გრამატიკა იქცა ენათმეცნიერების საფუძვლად, ხოლო ფილოსოფიური გრამატიკა უძლეუი აღმოჩნდა ენათმეცნიერების, ამ სპეციალური მეცნიერების, კონკრეტული საყრდენი გამხდარიყო: ფილოსოფიური გრამატიკა იყო და არის წინარემეცნიერული.

ანტიისტორიზმი, სამწუხაროდ, ბრონდალით არ დაწყებულა. მისი სათავე სოსიურთანაა. მისი მასაზროლებელი წყაროა სინქრონიის დაპირისპირება დია-

ქრონისადმი, სინქრონიულ თვალსაზრისზე სიმძივის ცენტრის გადატანა მოცულობის სინქრონია, ე. ი. ერთს გარკვეულ მომენტში ენობრივი სისტემის განსაკუთრებული მდგომარეობა, პრინციპში აქრონიალ იქცევა, როგორც კი მას დაბოუქიდეტელი მეცნიერული ღირებულება მიენიჭება და დიაქრონისაგან მოწყვეტით, და მით უფრო — დიაქრონისათან დაპირისპირებაში იქნება მოცემული: პანქრონია და აქრონია სინქრონიის პრინციპის ლოგიკური შედეგია.

ანტიისტორიზმი *ultima ratio*, აქრონია, საკმაოდ დგას ბრუნდალთან. ექვს გარეშეა, იგი პრინციპად გადაიქცევა, თუ კი ამოსავალი ძირითადი დებულების შინაგანს თანამიმდევრობას ავტორი არ გადაუდგება. მაგრამ აქ განფრთხილვა შუა გზაზე დგომა იქნებოდა: ენათმეცნიერი, რომელიც ისტორიზმს უარყოფს, და ზედროული კატეგორიების ძიებას დაისახავს ძირითად მიზნად, უკვე აღარაა ენათმეცნიერი; იგი ენის ფილოსოფიის პრინციპების აღმსარებელია, გრამატიკაში, კერძოდ, „ზოგადი ანუ რაციონალური (resp. ფილოსოფიური) გრამატიკის“ ნიადაგზე მდგომია. ენაიდან შესაძლებელია ორი პრინციპი:

ერთი, — როდესაც ენაში გონების კატეგორიათა განოსახულების ვეძიებთ, მაშასადამე, ყოველი ენა, განიხილება, როგორც აზროვნების კატეგორიათა რეალიზაცია — ესაა ფილოსოფიური გრამატიკის თვალსაზრისი...

მეორე, — როდესაც ენაში ის არის შესწავლის საგანი; რაც განსხვავებული და თავისებურია — ერთდროულად სხვადასხვა ენაში, სხვადასხვა დროს ერთსა და იმავე ენაში. — ესაა ისტორიული ენათმეცნიერების თვალსაზრისი.

შესაძლებელია ვილაპარაკოთ სინთეტური თვალსაზრისის შესახებაც: კონკრეტულს მრავალფეროვნებაში მოცემულ ენათა დეტალური შესწავლის შედეგად წამოვყენოთ ზოგადი პრინციპები ენათა რაობისა, და არსებობა-განვითარების შესახებ. მაგრამ ეს არ იქნება წინა ორი თვალსაზრისის თანაზომიერი: ესაა ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისი, იგი ისტორიული თვალსაზრისის დერივატია, და იმდენადღეა კანონიერი, რამდენადაც მტკიცე მეცნიერულია მისი საყრდენი ისტორიული ენათმეცნიერება.

აქრონიული თვალსაზრისით ისტორიული ენათმეცნიერების წარმომადგენელი, ბრუნდალი, ებიუორებთ, ენის ფილოსოფიის სიბრტყეზე ხვამს ენის არსებობას. ამიტომ ვასაგებია ეს კავშირი, რომელიც სტრუქტურალურ ენათმეცნიერებასთან ბიულერის ენის თეორიას ექვს¹. ამიტომვე სრულებით ბუნებრივია და შინაგანად თანამიმდევრული, როდესაც ბრუნდალი სისტემათა შინაარსისა, რეალურ კატეგორიათა, შესწავლის შესახებ რომ მოგვითხრობს, პუსერლის ფენომენოლოგიას სახავს „შთაგონების წყაროდ ენის ყოველი ლოგიკისათვის“: გარკვეულ მომენტებში კანონზომიერი ანტიპოზიტივიზმი გართულდა სრულიად გაუმართლებელი ანტიისტორიზმით. ანტიისტორიზმში კი პუსერლის ფენომენოლოგიასთან მიიყვანა ბრუნდალი: ფაქტი საგულისხმო ანტიისტორიზმისა და

¹ იხილეთ დებულება „დამიანის ენათა უნივერსალური შესარების შესახებ“ Sprachtheorie, გვ. IV, ენათა არსობრივი სტრუქტურული ერთიანობა (აქვე).



იდელნიანის ლოგიკური ურთიერთობის თვალსაზრისით (ანტიისტორიკული ლიბნისაყენ მიფყავართ) 1.

ბრუნდალის თვალსაზრისი შეიძლება იმდენად საინტერესო არ ყოფილიყო, ერთა-გარეშობა რომ არა: მისი ყველა ძირითადი დებულება არსებითად სოსიურის დებულებათა გამეორებაა. ცნებები: ენა, სინტაქსი, სისტემა — სოსიურის სისტემა. მათ შესახებ ზოგი რამ აქ საჭიროა ითქვას.

მაგრამ-მინამდის ორიოდ სიტყვა ჰიელმსლევის შეხედულების შესახებ. ჰიელმსლევის აზრით „სტრუქტურალური ენათმეცნიერებაა ყოველი ენათმეცნიერება, რომელიც ხელახს ენაში სტრუქტურას და რომელიც სტრუქტურას აქცევს ნორმად ვრცელი კლასიფიკაციისათვის“ (Acta, გვ. 10).

რას ენის სტრუქტურა? „ენის სტრუქტურა არის დამოკიდებულებათა მთლიანი (réseau de dépendances) ანუ უფრო ზუსტად... რომი ვთქვათ, ფუნქციონალიზაციის (იქვე). „ნიშნის ფუნქციონალიზაციის რეგულაციის ფუნდამენტალური ფაქტი“ (იქვე).

„სტრუქტურა ქმნის იერარქიას, რომელმაც იცის მხოლოდ საკუთარი რიგი“... (იქვე). მისი შესწავლა უნდა წარმოებდეს დელექტივად... უნდა იწყებოდეს ყველაზე განუყვანებელი (ზოგადი, მარტივი) ფაქტებით და უნდა გადინდობდეს უფრო და უფრო კონკრეტულ ფაქტებზე.

„მეთოდს, რომელსაც ეყვანებთ ამ დელექტიური იერარქიის ძიებისას, ჩვენ ვუწოდებთ ემპირიული“-ო, ამბობს ჰიელმსლევი.


„ემპირიული მეთოდი ანუ იმპინენტური სემიოლოგიური მეთოდი, რომელიც ხელახს ნიშნის ფუნქციონალიზაციის რეგულაციის ფუნდამენტალურ ფაქტს, იქვე ყველაზე მარტივ გადარწმუნებას“ (იქვე).

ჰიელმსლევი შენიშნავს: ფუნქციონალური ენათმეცნიერება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ის, რაც ჩვენ გვაქვს მხედველობაში: განმარტებელია სტრუქტურის პრინციპით: „სემიოლოგიური ფუნქცია არაა ახალი ცნება; ახალია სტრუქტურალური თვალსაზრისი, რომელიც სემიოლოგიურ ფუნქციას პირველ რიგში ათავსებს და მას განიხილავს, როგორც ენის ყველაზე კონსტიტუციური ნიშანს“ (გვ. 12).

„სტრუქტურალურ ენათმეცნიერებას და მხოლოდ მას შეუძლია ბოლო მოუღოს იმ უწყვეტო მდგომარეობას, რომელიც ასე კარგად დახასიათა მედემ შემდეგს სიტყვებში: „ყოველ საუკუნეს აქვს თავისი ფალოსოფიის შესაბამისი გრამატიკა... იმდენივე ენათმეცნიერებაა, რამდენიც ენათმეცნიერია“... ჩვენს მეცნიერებას ობიექტურ ხასიათს მიანიჭებს სტრუქტურალური ენათმეცნიერების რეალიზაცია... (გვ. 12).

სტრუქტურა, განმარტებული, როგორც დამოკიდებულებათა მთლიანი, მთლად არს ხედება იმ გაგებას, რომელიც ბრუნდალთან ჰქონდა მინიჭებული ამ ტერმინს. აქ.ეს ტერმინი სისტემის სინონიმი ჩანს. არც კლასიკურ ენათ-

1 ბრუნდალი ავტორია სპეციალური შრომისა („მეტყველების ნაწილები“), რომელიც ანტ მედემ თქმით „ახალი ანუ რაციონალური გრამატიკის“ პრინციპებისადმი დაბრუნებას ცნადყოფს. იქვე აღსატურებს იმ დასკვნების სისწორეს, რაც ბრუნდალის საპროგრამო წერილის ანალიზისას ზემოთ ნაკეთდა.



მეცნიერებასთან დამოკიდებულება ერთგვარი: აქაც ბრუნდალად უფროსი მხარის მიდის, ვინც მკვლევარია.

საინტერესოა, რომ ლინდროტი სპეციალურ წიგნში: „რო უნდა ეწოდოს ჩვენს მეცნიერებას?“ უპირატესობას აძლევს ტერმინს „სისტემა“ „სტრუქტურა“-სთან შედარებით: „სისტემა“, „სისტემოლოგია“, „სისტემოლოგიური“-ტერმინებით უნდა შეიყვაროს „სტრუქტურა“, „სტრუქტურალიზმი“. „სტრუქტურალისტიკა“, „სისტემაზია“, როგორც ფუნქცია, ისე სტრუქტურა მოცემული (eingeschlossen)... სისტემა შეიცავს სრულიად სხვაგვარად, ვინც სტრუქტურა მთლიანობის იდეას, „მეტრის შემცველი მთლიანობის იდეას“ („den Gedanken an eine Totalität, an eine übergreifende Ganzheit“) გვ. 79-80. „მე შემიძლია შევკვირო ცალკეულ საგნებს სტრუქტურალად, რომ ამ გზებრივად მასში მოცემული ფუნქციის შესახებ“ (გვ. 80).

ცნება სისტემა სოსიურის კონცეფციის ძირითადი ცნებათაგანია, როგორც ცნობილია, სოსიურის ამ კონცეფციისათვის ამის ვალია „ენისა“ და „მეტყველების აქტის“ გარეგანება სოციალურია, მეტყველების აქტი ინდივიდუალური.

ენა ნიშნავს სისტემას: „ენა არის სისტემა, რომლის ყველა ნაწილი შეიძლება და უნდა განვიხილო იქნეს მათს სინქრონიულს კავშირში“¹.

სინქრონიულია ყველაფერი, რაც ჩვენი მეცნიერების სტატუსურ ასპექტს შეეფერება, დიაქრონიულია ყველაფერი, რაც ევოლუციის ეხება“ (გვ. 89).

სოსიური ვარკვევთ უპირატესობას ანიჭებს სინქრონიულ ენათმეცნიერებას: მარტო იგი სწავლობს ენას, როგორც სისტემას.


ისტორიულ ენათმეცნიერებას სისტემისთან კი არა აქვს საწინააღმდეგო, არამედ მხოლოდ სისტემის ცალკეულ ელემენტთან: ევოლუციის ყოველს მიმდინარეში ენა სისტემას ქმნის, მაგრამ თვით ცვლას სისტემის სახეს არასოდეს იღებს...

სისტემა მთლიანობას გულისხმობს, ენობრივი სისტემა ნიშნავს კანონს, ზომიერ ურთიერთობას და დამოკიდებულებას, რა ქმნის ამ ურთიერთობას?

პირველ ყოვლისა, ნიშნის დამოკიდებულება აღსანიშნისადმი; საგანი და თვისება, ობიექტურს ხანაბლდებულში გამოყოფილი ურთიერთობა; სათანადო ნიშნები ენაში, ცხადია, ამას ემყარება ყოველი ენობრივი სისტემა ასახავს სინამდვილეს, ყოველ ნიშანს აქვს გარკვეული მნიშვნელობა და ესაა ენობრივი სისტემის შექმნის ერთი ძირითადი პირობა. ეს სოსიურადმდისაც ცნობილი იყო.

სოსიურმა არსებითი მნიშვნელობის ახალი მომენტი გამოყო სისტემის რაობაში: ნიშნის ფუნქცია მარტო აღსანიშნისთან მიმართებით კი არ გაიზომება, არამედ თვით ამ ნიშანთან ურთიერთობითაც: „რაც ენა წარმოადგენს სისტემას, რომლის ყველა ელემენტი მთლიანობას ქმნის, ცალკეული ფაქტის ღირებულება მისი დინამიკობის ერთდროულად სხვაობა არსებობისაგან“ (გვ. 114)... ფრ. moulin, რუს. башня — ერთი და იმავე მნიშვნელობისაა თითქოს, რამდენადაც (მამალ) „ცხვარს“ ერთი აღნიშნავს და მეორეც. მაგრამ ფრ. moulin „ცხვარის ხორცისა“ აღნიშნავს, რუსულს კი საამისოდ башня აქვსო“...

¹ იხ. სოსიურის „ზოგადი ენათმეცნიერების კურსი“, რუს. თარგმ., 1933 წ., გვ. 93



იდეალოზმის დოგმატური ურთიერთობის თვალსაზრისით (ანტიისტორიზმის იდეალოზმის მისაყენ მიყვანებით) 1.

ბრუნდალს თვალსაზრისით შეიძლება იმდენად საინტერესო არ ყოფილიყო, ერთი გარემოება რომ არა: მისი ყველა ძირითადი დებულება არსებითად სოსიურის დებულებათა გამეორებაა. ცნებები: ენა, სინტრონია, ხისტემა — სოსიურისკეულია. მათ შესახებ ზოგი რამ აქ საქიროა ითქვას.

მაგრიამ-მანამდის ორიოდ სიტყვა ჰიელმსლევის შეხედულების შესახებ. ჰიელმსლევის აზრით „სტრუქტურალური ენათმეცნიერებაა ყოველი ენათმეცნიერება, რომელიც ხელახს ენ.ში სტრუქტურას და რომელიც სტრუქტურას ატყვევს ნორმად ყოველი კლასიფიკაციისათვის“ (Acta, გვ. 10).

რას ენის სტრუქტურა? — ენის სტრუქტურა არის „დამოკიდებულებათა ხლართი (tableau de dépendances) ანუ უფრო ზუსტად... რომი ფუტკათ, ფუნქციათა ხლართი“ (იქვე). „ნიშნის ფუნქციამია შესასწავლი ობიექტის ფუნდამენტალური ფაქტი“ (იქვე).

„სტრუქტურა ქმნის იერარქიას, რომელშიც იცის მხოლოდ საკუთარი რიგი“... (იქვე), მისი შესწავლა უნდა წარმოებდეს დღეუქციურად... უნდა იწყებოდეს ყველაზე განყენებული (ზოგადი, მარტივი) ფაქტებით და უნდა გადადიოდეს უფრო და უფრო კონკრეტულ ფაქტებზე.

„მეთოდს, რომელსაც ეყვინებთ ამ დღეუქციური იერარქიის მიღებისას, ჩვენ ვუწოდებთ ემპირიული“-ის, აზრობს ჰიელმსლევი.

„ემპირიული მეთოდი ანუ იმანენტური სემიოლოგიური მეთოდა, რომელიც ხელახს ნიშნის ფუნქციამია შესასწავლი ობიექტის ფუნდამენტალურ ფაქტს, იძლევა ყველაზე მარტივი გადწვევებს“ (იქვე).

ჰიელმსლევი შენიშნავს: უუნქციონალური ენათმეცნიერება უფრო ფართო ცნებაა, ვინე მის, რაც ზღერ გვაქვს მხტდეულობაში: განმასხვავებელია სტრუქტურის პრინციპით: „სემიოლოგიური ფუნქცია არაა ახალი ცნება; ახალია სტრუქტურალური თვალსაზრისი, რომელიც სემიოლოგიურ ფუნქციას პირველ რიგში ათავსებს და მას განიხილავს, როგორც ენის ყველაზე კონსტიტუციურ ნიშანს“ (გვ. 12).

„სტრუქტურალური ენათმეცნიერებას და მხოლოდ მას შეუძლია ბოლო მოუღოს ამ უნუგემო მდგომარეობას, რომელიც ასე კარგად დაახასიათა მედემ შემდეგს სიტყვებში: „ყოველ საუკუნეს აქვს თავისი ფალოსოფიის შესაბამი გრამატიკა... ამდენივე ენათმეცნიერებაა, რამდენიც ენათმეცნიერიო“... ჩვენს მეცნიერებას ობიექტურ ხასიათს მიანიჭებს სტრუქტურალური ენათმეცნიერების რეალიზაციით... (გვ. 12).

სტრუქტურა, განმარტებული, როგორც დამოკიდებულებათა ხლართი, მთლად არა ხდება იმ გავებას, რომელიც ბრუნდალთან ჰქონდა მინიკებული ამ ტერმინს. აქ ეს ტერმინი სისტემის სინონიმი ჩანს. არც კლასიკურ ენათ-

1 ბრუნდალი ავტორია სპეციალური შრომისა („მეტყველების ნაწილები“), რომელიც ანტ მედეს თქმით „ზოგადი ანუ რაციონალური გრამატიკის“ პრინციპებისადმი დაბრუნებას ცხადყოფს. ესეც აღსატურებს იმ დაკვენების სისწორეს, რაც ბრუნდალის ხაპროგრამა წერილის ანალიზისას ზემოთ გაკეთდა.



მეცნიერებასთან დამოკიდებულებაა ერთგვარი: აქაც ბროზდალი შეგუბირების მიდის, ვინემ მკვლესლული.

საინტერესოა, რომ ლინტორტი სპეციალურ წყობილში: „რა უნდა ეწოდოს ჩვენს მეცნიერებას?“ უპირატესობას აძლევს ტერმინს „სისტემა“ „სტრუქტურა“-სთან შედარებით: „სისტემა“, „სისტემოლოგია“, „სისტემოლოგური“ — ტერმინებით უნდა შეიცვალოს „სტრუქტურა“, „სტრუქტურალიზმი“, „სტრუქტურალიზტი“: „სისტემაშია“, როგორც ფუნქცია. ისე სტრუქტურა მოცემული (სინდლსაჩლოსენ)... სისტემა შეიცავს სრულიად სხვაგვარად, ვინემ სტრუქტურა მთლიანობის იღებს, „მერის შემცველი მთლიანობის იღებს“ („den Gedanken an eine Totalität, an eine „übergreifende Ganzheit“) გვ. 79—80/ „მე შემიძლია ფიქვლი ცალკეულ საგნის სტრუქტურა ისე, რომ არ გუხტრობდე მასში მოცემული ფუნქციის შესახებო“ (გვ. 80).

ცნება სისტემის სასიურის კონცეფციის ძირითადი ცნებათაგანია. როგორც ცნობილია, სასიურის ამ კონცეფციისათვის ამათ ვალი „ემისა“ და „მეტყველების აქტი“ გარჩევა. ენა საციოლური, მეტყველების აქტი ინდივიდუალური.

ენა ნიშანთა სისტემაა: „ენა არის სისტემა, რომლის ყველა ნაწილი შეიძლება და უნდა განხილულ იქნეს მათს სინქრონიულ კავშირში“.

„სინქრონიულია ყველაფერი, რაც ჩვენი მეცნიერების სტატისკურ ასპექტს შეეფერება, დიაკრონიულია ყველაფერი, რაც ევოლუციის ენება“ (გვ. 89).

სასიური უარკვეულ უპირატესობას ანიჭებს სინქრონიულ ენათმეცნიერებას: მხოლოდ იგი სწავლობს ენას, როგორც სისტემას.

ისიურიულ ენათმეცნიერების სისტემასთან კი არა აქვს საჩემ, არამედ მხოლოდ სისტემის ცალკეულ ელემენტებთან: ევოლუციის ყოველს მომენტში ენა სისტემას ქმნის. მაგრამ თვით ცვლა სისტემის სახეს არასოდეს იღებს.

სისტემა მთლიანობას გულისხმობს, ენობრივი სისტემა ნიშანთა კანონზომიერ ურთიერთობაზეა დამყარებული. რა ქმნის ამ ურთიერთობას?

პირველ ყოვლისა, ნიშნის დამოკიდებულება აღნიშნისაღმნი: სავანო და თვისება, ობიექტურს სინამდვილეში გამოყოფილი ურთიერთობაა; სათანადო ნიშნები ენაში, ცხადია, ამას ემყარება: ყოველი ენობრივი სისტემა ასწავს სინამდვილეს, ყოველ ნიშანს აქვს გარკვეული მნიშვნელობა და ესაა ენობრივი სისტემის შექმნის ერთი ძირითადი პირობა. ეს სასიურამდისაც ცნობილი იყო.

სასიურამ არსებითი მნიშვნელობის ახალი მომენტი გამოყო სისტემის რაობაში: ნიშნის ფუნქცია მართო აღსანიშნთან მიმართებით ვა არ გაიზომება, არამედ თვით ამ ნიშანთა ურთიერთობითაო: „რაკი ენა წარმოადგენს სისტემას, რომლის ყველა ელემენტი მთლიანობას ქმნის, ცალკეული ფაქტის ღირებულება მომდინარეობს ერთდროულად სხვათა არსებობისაგან“ (გვ. 114)... ფრ. point, რუს. знак — ერთი და იმავე მნიშვნელობისაა თითქოს, რამდენადაც (მაშალ) „ცხვარს“ ერთი აღნიშნავს და მეორეც. მაგრამ ფრ. point „ცხვრის ხორცსაც“ აღნიშნავს, რუსულს კი საამისოდ баранина აქვსო“...



ამგვარად, ამ სიტყვებს აქვს სხვადასხვა ღირებულება (value) სთავად ნაღო ენობრივ სისტემებში: „შედის რა სისტემის შემადგენლობაშია სიტყვა“ აქვს არა მხოლოდ მნიშვნელობა, არამედ უმთავრესად ღირებულება“ (გვ. 115). შეიძლება და გვეთქვას: ღირებულება ესაა ნიშნის ფუნქცია ენის სისტემაში...

ფრანგული მრავლობითი რიცხვი და სანსკრიტის მრავლობითი ერთი და იგივე არაა: ფრანგულში მხოლოდებითი და მრავლობითი გვაქვს, სანსკრიტში კი მხოლოდებითისა და მრავლობითის გარდა ორობითიცააო... მაშასადამე, მრავლობითის გამოყენების არც სანსკრიტსა და ფრანგულში განსხვავებულია...

ანალოგიური მაგალითები ყველა ენიდან შეიძლება დაგვესაბუღებინა. შდრ. ქართ. დიდი და რუს. большо́й: დიდი სახლი, დიდი რევოლუცია — большо́й дом, მაგრამ великая революция...

აბრაამ შვა ისააკ, Авраам родил Исаака, Abrahami zeugte Isaak, Abraham engendra Isaak: ერთი და იგივე ბერძნულ-კომპლექსი აბრაამ, Abraham — ქართულში მოთხრობითია, რუსულსა, გერმანულსა და ფრანგულში სახელობითი, ისააკ, Isaak — ქართულში სახელობითია, ხსენებულ ენებში — ბრალდებითი (accusativ); ესაა გამოწვეული იმ ენათა მორფოლოგიური სისტემით, რომელშიც მონაწილეობს სათანადო სიტყვა: ერთსა და იმავე სიტყვას ენიჭება სხვადასხვაგვარად მორფოლოგიური ღირებულება.

ენა სისტემაა; სისტემა მთლიანობაა; ყოველი ენობრივი ფაქტი ამ მთლიანობის მონაწილეა. მორფოლოგიისა და სინტაქსის ძირითადი ობიექტები — სიტყვა, შესიტყვება — გარკვეულ სტრუქტურულ ოდენობებზედ წარმოგვიდგება, რამდენადაც ეს ფაქტები ენობრივ სისტემაში მონაწილეებზედ ივსელება. „კომპოზიტორს ოპერა დაუწერია“ და „კატას თავზე დაუჭერია“ ერთი და იმავე სტრუქტურის სინტაქსური ოდენობაა მიუხედავად იმისა, რომ შინაარსობლივად მათ შორის არაფერია საერთო. ეგევე შეიძლება თქმულიყო ცალკე სიტყვის, როგორც მორფოლოგიური ფაქტის შესახებ. აქ გრამატიკის პრაქტიკა ყოველთვის ითვალისწინებდა სისტემაში მონაწილეობის როლსა და მნიშვნელობას (ამაზე დაწვრილებით აქ ვერ შევიჩრდებით).

სოსიურის ცნება „ღირებულება“ იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ თეორიულ დასაბუთებას იძლევა იმ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტისა, რომ შეიძლება რაიმე ენის სიტყვები სწორად იცოდნენ და ფრაზა კი უსწოროდ გამოვიდნენ (შდრ.: აქ ქარბ იცის — „здесь ветер знает“); თარგმნისას არ ეპარავიცოდნენ სიტყვის მნიშვნელობა (ზუსტად: ძირითადი მნიშვნელობა), საქიროთა ვიცოდნენ სიტყვის ღირებულება.

ღირებულებებს ცნება მიმართებათა ფუნქციაა. მიმართებაში ირკვევა ნიშანთა სხვაობა თუ იგივეობა: „ენაში, როგორც ყოველ სემიოლოგიურ სისტემაში ის, რითაც ნიშანი გაიჩნევა, არის ყველაფერი ის, რაც მას შეადგენს. სხვაობა ქმნის გასარჩევ თვისებას, იგივე ქმნის ღირებულებასა და ერთეულსა“... (გვ. 120).

ენობრივ სისტემას სოსიური აღარებს ჰადრაკის ფიგურებს დაფაზე და შენიშნავს: ფიგურათა ნათანადო ღირებულება დამოკიდებულია მათს ადგილ-

მდებარეობაზე დაფაზე ისევე, როგორც ენაში ყოველ ელემენტს თავისი ბუნება აქვს ყველა სხვა ელემენტთან დაპირისპირების გამო“-ო (გვ. 94). შედგე სოსიური დასძენს: „წარსულის ცოდნას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს არსებულ ვითარებაში გარკვევისათვის“ (ისევე, როგორც ქაღრაკის თამაშის გარკვეულ მომენტის წინ რაც მოხდა, უმნიშვნელოა შემდეგი ვითარებისათვის).

სოსიურის ამ დებულებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს: სისტემის მონაწილე ენობრივი ნიშნის ფუნქცია სოსიურის აზრით მთლიანად ირკვევა მისი ღირებულებით, ე. ი. სხვა ნიშნებთან მიმართებით.

ეს კი ნიშნავს: ენა, როგორც სისტემა, რომ შევისწავლოთ, ისტორია საჭირო არაა.

სისტემის რაობის ანალიზმა სოსიურთან ანტიისტორიული დებულების წინაშე დაგვაყენა.

სოსიურის დებულება უმართებულოა: ენობრივი ნიშნის მატერიალური მხარეც შეიძლება იცვალოს დროთა ვითარებაში და ფუნქციაც; სრულიად ერთგვარი შეიძლება არსებითად განსხვავდეს (ამის მაგალითია ერთი წარმოშობის სხვადასხვა ენები) ანდა პირუკუ, განსხვავებული ერთმანეთს დაემსგავსოს¹.

გავლილი ისტორიული გზის ცოდნა ერთად ერთი საშუალებაა ნიშნის სწორი დახასიათებისათვის: შდრ. ძვ. ქართ. ზელი და ხელი და ახალი ქართ. ხელი; ხელი (გიყი)...

ჩვეთ სოსიურს მოჰყავს მშენებელი მაგალითი ომონიმების გაჩენისა: ლათ. *crispus* „ხუჭუქა“-ში, ფრანგულში მოგვცა *crép*, აქედან ზნა *crépir* „გაჯის წასმა“ და *décrépir* „გაჯის მოცილება, ჩამოცვენა“.

იმავე ლათინურიდან ფრანგულმა ისესხა უცნობი ეტიმოლოგიის სიტყვა *décrepité* „დაბერებული“ *дряхлый*, ფრ. *décrépit*...

ამჟამად პოლაპარაკეთა მასა კავშირს ხედავს ამ ორ სიტყვას შორისო, ამბობს სოსიური: *un mur décrépi* „გაჯ-ჩამოცლილი კედელი“ და *un homme décrépit* „დაჩანაკებული კაცი“... (გვ. 90).

თანამედროვე ფრანგული ენის სისტემის თვალსაზრისით, აქ იგივეობის ნიშნის დასმასთან გვაქვს საქმე: ნამდვილად კი სულ სხვადასხვა ფაქტებია ჩვენ წინ. მათი გაიგივება შეუძლებელია. სისტემის თვალსაზრისი ობიექტურს ქეშმარიტებას შორდება. მეცნიერებას კი მხოლოდ ეს უკანასკნელი აინტერესებს.

ღირებულების ცნებაში, თავისთავად მეტად ფასეულმა, ანტიისტორიზმი მოგვცა. ესაა შედეგი სოსიურთან მნიშვნელობის დაჩრდილვისა ღირებულებით.

თანამედროვე სტრუქტურალიზმი სოსიურის სინქრონიული ენათმეცნიერებაა ყველაზე არსებით მომენტებში: იგიც ენას სწავლობს სინქრონიული თვალსაზრისით, მასაც ენა, როგორც სისტემა, მთლიანობა; წარმოუდგენია... იგიც იდენტობისა და სხვაობის საზომს სისტემის მონაწილე ელემენტთა ურთიერთობაში ეძიებს. იგიც ანტიისტორიულია.

¹ იენის სპიკითიკა, პირველ ყოვლისა, ამაშია მოცემული. ამაზე სხვაგან.



არის ერთგვარი სხვაობაც: სტრუქტურალიზმის ანტიისტორიზმი დემონსტრაციულია, ვინემ სოსიურისა. სტრუქტურალიზმი ისტორიულ ენათმეცნიერებასთან არსებითად სწყვეტს კავშირს და ენის ფილოსოფიას უხელოვდება.

ანტიისტორიზმის ზრდას იდეალიზმის გაძლიერება მოყვება კვალდაკვალ. ენისა და ენათმეცნიერების ჭეშმარიტი მეცნიერული თეორია ისტორიზმის განვლებას კი არ მოითხოვს, არამედ მის გაძლიერებას.

ისტორიზმმა შექმნა ენათმეცნიერება, ისტორიზმმა უნდა გაუჟაფოს გზა სტატიკურ ენათმეცნიერებას რთულ, მნიშვნელოვან და გადაუწყვეტელ საკითხთა გადაჭრისას, რომელთა დასმაც სტრუქტურალური ენათმეცნიერების დამსახურებაა, მაგრამ რომელთა ჯეროვანი მოგვარება ამ ენათმეცნიერების მიერ არჩეული გზით შეუძლებელია.

სტრუქტურალიზმის სათავე, როგორც ერთგან უკვე ითქვა, ფრანგული სოციოლოგიური სკოლაა, ყველაზე გავლენიანი და პროგრესული მიმდინარეობა XX ს. დასაუღეთის ენათმეცნიერებაში.

მეფესაგან განსხვავებით სოსიური ამ სკოლის იმ ფრთას შეადგენდა, სადაც სტატიკური ენათმეცნიერების ძირითად პრობლემათა დასმას ისტორიული თვალსაზრისის დაჩრდილვა თან სდევდა.

სტრუქტურალიზმი ფრანგული სოციოლოგიზმის ნაკლებ პროგრესული ფრთის სუსტი მხარეების ლოგიკურ განვითარებად ისახება.

სტალინის სახელობის
 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 კავკასიურ ენათა კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1943. XII. 5).

Арн. Чикобава

Структурализм, как течение современной лингвистики на Западе

(Предварительное сообщение)¹

(Резюме)

В 1939 году в Копенгагене вышел первый выпуск журнала „Acta Linguistica“, органа „структуральной лингвистики“. В „интернациональном комитете“, от имени которого выпускается журнал, представлены многие научные центры Западной Европы и США (Германия представлена лишь одним специалистом и то африканистом); инициатива основания журнала исходит от пражских и копенгагенских лингвистических кругов; ведут журнал датчане (Hjelmslev и Brøndal).

Первый выпуск (к концу 1940 года в Ленинграде уже были получены второй и третий выпуски) по существу носит программный характер; и в этих пределах имеются расхождения; даже название направления не исключает дискуссии: один из авторов предлагает термин „системологию“ (вместо „структурализма“).

При всем том, появление означенного журнала знаменательно; опубликованные программные статьи дают определенное представление о месте, занимаемом „структурализмом“ среди современных течений общей лингвистики и об основных тенденциях этой последней на Западе.

Истоки структурализма — „французский психологистический социологизм“, а именно концепция де Соссюра.

Различение диахронической (исторической) и синхронической (статической) лингвистики в концепции де Соссюра, отражая различие „речи“ (parole) и „языка“ (langue), привело автора (де Соссюра) к переоценке статической точки зрения в ущерб исторической: язык, как система — по мнению де Соссюра — изучается лишь статической („синхронической“) лингвистикой, изменения же языковой системы, — объект исторической („диахронической“) лингвистики — сами не составляют системы.

В неограмматическом направлении проблемам статического анализа не уделялось должного внимания: разрыв между исторической и практической (школьной) грамматикой не мог быть ликвидирован. У де Соссюра, наоборот, на лицо перегиб в сторону статической лингвистики.

¹ Доложено на сессии Отделения общественных наук Акад. Наук Груз. ССР

Структурализм — дальнейшее развитие сосюрианства: статическая точка зрения заслоняет историческую. Язык, как система, и проблемы — цельности, тождества, единства... — внутренне связанные с понятием системы, становятся в центре внимания.

Историзму противопоставляется полихрония, с неизбежностью ведущая к ахронии. Тем самым стирается принципиальная разница между общей лингвистикой, как теорией исторической лингвистики, и философией языка.

Правильная постановка основных проблем статической лингвистики дело, конечно, нужное; ликвидация отставания статической лингвистики (описательной грамматики) от исторической неотложная задача современной общей лингвистики. Понятия структурных единиц — слова, словосочетания — как элементов языковой системы, безусловно актуальны, и заострение внимания на соответствующих вопросах можно лишь приветствовать; но попытка решения означенных проблем путем ущемления законных прав историзма, должна быть решительно отклонена: все успехи лингвистической мысли связаны с правильным применением исторической точки зрения; ограничение последней не может вести к положительному решению основных задач статической лингвистики.